ვახტანგ ქარუმიძე

საბაჟო სამართალი

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია
სახელმძღვანელოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

მესამე გამოცემა

(შევსებული, შესწორებული)

იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო
საბჭოს გადაწყვეტილებით

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-
კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი-საზოგადოება
„ცოდნა“

თბილისი
2004

ფაკ 343. 37 (479.22)
ჯ. 301

სახელმძღვანელო მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრაზე. მას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1992-2003 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტებზე წაკითხული ლექციები და სპეცკურსები საბაჟო სამართლის საკითხებზე.

რედაქტორები: დავით სალარიძე — საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე.

ვალერი ლეონრია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი, სამართლებრივი რეფორმების სახელმწიფო კომისიის ადმინისტრაციული კანონმდებლობების რეფორმების ქვეკომისიის თამმჯდომარე.

გივი გამსახურდია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტების კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

რეცენზენტები: მაკა სალხინაშვილი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ადმინისტრაციული სამართლის კათედრის დოცენტი.
მარა კოპალეიშვილი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ადმინისტრაციული სამართლის კათედრის დოცენტი.

© ვახტანგ ქარუმიძე, საბაჟო სამართალი
© საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნა"
ISBN 5-89512-189-6

წინასიტყვაობა

წიგნი ეძღვნება იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – საბაჟო სამართლის საქართველოში დამკვიდრებისა და განვითარების თანამედროვე პრობლემებს.

წიგნის ამ სახით წარმოდგენა განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

1. XX საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოში შეიქმნა საბაჟო სამსახური, ჩამოყალიბდა მისი სტრუქტურა, საბაჟო რეჟიმებისა და გადასახადების სისტემა. საბაჟო საქმემ და სამსახურმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. დღეს საქართველოს საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეებს, განსაკუთრებით დამწყებებს, ესაჭიროებათ მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვა სახის ლიტერატურა საბაჟო სამართლის საკითხებზე;

2. ამავე წლებში შეიქმნა და დამკვიდრდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა. მის საფუძველზე აუცილებელი გახდა საბაჟო მეცნიერებისა და პრაქტიკის შეერთება, კანონების და კანონქვემდებარე აქტების შესწავლა-გაანალიზება, განზოგადებული სახის გამოკვლევების მომზადება და გამოცემა;

3. მეცნიერული და პოპულარული ნარკვევების, სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძღვანელოების, საკითხავი წიგნების გამოქვეყნება დღის წესრიგში დასვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და იურიდიულ, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტებზე, საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის სასწავლო დისციპლინების გეგმებში შეტანამ და ამ კურსების წაკითხვამ;

4. საქართველოს მოსახლეობა, უმთავრესად მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, იჩენს უდიდეს ინტერესს საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის საკითხებისადმი.

სამწუხაროდ, დღემდე ქართულ ენაზე მხოლოდ რამდენიმე მონოგრაფია გამოიცა: საბაჟო საქმის საკითხები (1996), საქართველოს საბაჟო სამართალი (1998), საბაჟო საქმე (1999). ვიქტორ

ლორთქიფანიძე, საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები (2001), საბაჟო სამართალი (2001), საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები (2002) და სხვა.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობამ, საბაჟო საქმის საკითხებზე საერთაშორისო აქტებმა და კონვენციებმა, საბაჟო ორგანოების მუშაობის პრაქტიკამ მოითხოვა მეცნიერული გააზრება, გაანალიზება, განზოგადება, მისანმიმართულ და მწყობრ სახელმძღვანელო სისტემად ჩამოყალიბება, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ეს გათვალისწინებულია წინამდებარე სახელმძღვანელოში.

მისასალმებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის (რექტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პრორექტორი პროფესორი თემურ ხუროძე, სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსი დოცენტი ნუგზარ სხირტლაძე), იურიდიული, ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტების (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი გივი ინწკირველი, პროფესორები – რომან შენგელია, ელგუჯა მექვაბიშვილი, გივი გამსახურდია, გიორგი ბაბუნაშვილი) ინიციატივა და გადაწყვეტილება სასწავლო გეგმებში საბაჟო სამართლისა და საბაჟო საქმის შეტანის შესახებ. მტკიცედ დამკვიდრდა ეს სასწავლო დისციპლინები სასწავლო პროცესში.

სტუდენტები და ასპირანტები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა საბაჟო პოლიტიკა და მისი მიზნები; საბაჟო საქმის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები; საბაჟო სამართალი – სამართლის კომპლექსური დარგია, საბაჟო სამართლის ძირითადი ცნებები, დებულებები, ტერმინები. მათი სურვილები, შეძლებისდაგვარად ასახულია წარმოდგენილ სახელმძღვანელოში.

სახელმძღვანელოში დაკონკრეტებულია საბაჟო სამართლის სასწავლო დისციპლინის მიზნები და ამოცანები. სამართლისმცოდნეობის პროფილის სპეციალისტის მომზადების სისტემაში მითითებულია სასწავლო დისციპლინის ის ნაწილები (თეორიები, საკითხები, მიმართულებები), რომელთა ათვისება აუცილებელია სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ამა თუ იმ დისციპლინის შემდგომში შესასწავლებლად. ეს ეხება საბაჟო სამარ-

თლის კავშირს სამართლის სხვა დარგებთან (საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საგადასახადო სამართალი და სხვ.).

წიგნში მკაფიოდ, ცალკე გამოკვეთილია მოცემული დისციპლინის შესწავლის შემდეგ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა და ცალკე, რა უნარ-ჩვევები უნდა გამოუმუშავდეს. აქვე მითითებულია სტუდენტის ცოდნის დონის შეფასების რა ფორმა (წერითი, ზეპირი, შერეული) იქნება გამოყენებული.

სტუდენტის ცოდნის დონის შემოწმების ძირითად ფორმებად მიჩნეულია წერითი და ზეპირი გამოკითხვები: სასწავლო წლის განმავლობაში გათვალისწინებულია კოლოკვიუმები, კონფერენციები, საქმიანი თამაშები, კითხვა-პასუხის საღამოები სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი თემატიკის მიხედვით.

გამოცდები ჩატარდება ორი ფორმით: 1. წერითი, 2. ზეპირი. შეფასება მოხდება წერითი და ზეპირი გამოცდების შედეგების მიხედვით.

ცოდნის შეფასების კრიტერიუმებად მიჩნეულია: სტუდენტის-მონაწილეობა სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობების თემების განხილვაში, კოლოკვიუმებში, საქმიან თამაშებში, კონფერენციებში, კითხვა-პასუხის საღამოებში, წერითი და ზეპირი გამოცდების შედეგები.

სახელმძღვანელოში საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოში არსებული ლიტერატურის, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის, საერთაშორისო შეთანხმებების, კონვენციების, ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოდგენილია შემდეგი თემიები და საკითხები: საქართველოში საბაჟო სამართლისა და საბაჟო საქმის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები; საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა, საბაჟო რეჟიმები, საბაჟო გადასახდელები; საბაჟო გაფორმება; საბაჟო კონტროლი; საბაჟო სამართალი – სამართლის დარგი, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები; კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება, საქართველოს საბაჟო ორგანოები და მათი ფუნქციები; საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოები, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო შეღავა-

თები; საქართველო და საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციები, საბაჟო სამართლისა და საბაჟო საქმის ძირითადი ცნებები, დებულებები და ტერმინები.

სახელმძღვანელო წარმოადგენს ცოდნის ძირითად წყაროს „საბაჟო სამართალ"ში". იგი იძლევა სტუდენტთა მიერ ამ ცოდნის დამოუკიდებლად შესწავლისა და ათვისების შესაძლებლობას. წარმოადგენს ცოდნის სისტემას და არა მის ერთობლიობას.

წიგნში გათვალისწინებულია ცოდნის ათვისების პედაგოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებები; მასში წარმოჩენილია პრობლემური საკითხები და სამართლის მეცნიერების ამ დარგის განვითარების პერსპექტივები; გათვალისწინებულია მონათესავე დისციპლინათა არსებულ სახელმძღვანელოებში (ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი და სხვ.) გადმოცემული დასკვნები და ტექნოლოგია; აგრეთვე ნაჩვენებია საქართველოს საბაჟო სამართლის როლი და ადგილი ბაკალავრის ან მაგისტრის (საერთაშორისო ბიზნესის, ეკონომიკის ფაკულტეტები) მომზადებისა და ერთსაფეხურიანი სწავლების მთელ სისტემაში (იურიდიული ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობა), სახელმძღვანელოს მოცულობა სასწავლო პროცესში საქართველოს საბაჟო სამართლის ადგილისა და დროის შესაბამისია და შეეფარდება დროს, რომელიც მოცემული კურსის შესასწავლადაა გამოყოფილი. ამასთან ისეა აგებული, რომ იგი მოიცავს საბაჟო სამართალში საათების სხვადასხვა რაოდენობისათვის გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებს.

წიგნში საპროგრამო მასალა დალაგებულია სტრუქტურულ ელემენტებად: თემებად, პარაგრაფებად. ძირითადი ტექსტობრივი მასალა დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: წინასიტყვაობა, მეთოდური რეკომენდაციები, ძირითადი ტექსტი, დანართები. სასწავლო პროგრამა, ანოტირებული და სათანადოდ კლასიფიცირებული რჩეული ბიბლიოგრაფია და სარჩევი.

სახელმძღვანელოს ერთდროულად შეისწავლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტების 500-ზე მეტი სტუდენტი.

ნაშრომი სამეცნიერო-პრაქტიკული და გამოყენებითი მიმართულებისა და მნიშვნელობისაა. მასში საბაჟო საქმისა და საქართველოს საბაჟო სამართლის ყველა ძირითად საკითხზე გაცემულია კონკრეტული, მოკლე და მეცნიერული პასუხები; განსაზღვრული და განმარტებულია საბაჟო სამართლის ძირითადი ცნებები, ტერმინები და დებულებები.

წიგნზე მუშაობისას საოცარი ყურადღება გამოავლინეს და დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს სხვადასხვა მასალებისა და ლიტერატურის გადმოცემით, შენიშვნებით, რჩევებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა გივი ინწკირველმა, თენგიზ ურუშაძემ, ლევან ალექსიძემ, პროფესორებმა აპოალონ ფალიაშვილმა, რომან შენგელიამ, ვალერი ლორიამ, ზაურ ამილახვარმა, გიორგი ტყეშელიაძემ, გიორგი ნადარეიშვილმა, შოთა ფაფიაშვილმა, ლეონიდე ადეიშვილმა, გივი ლობჟანიძემ, გივი გამსახურდიამ, გრიგოლ თოთუამ, ნუგზარ პაიჭაძემ, აგრეთვე საბაჟო კოდექსის კომენტარების ავტორებმა, რეცენზენტებმა და რედაქტორებმა, განსაკუთრებულ მადლობას გამოვთქვამთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (მინისტრი მირიან გოგიაშვილი), საბაჟო დეპარტამენტის (თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი) მიმართ, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ კონსულტაციები, სხვადასხვა ნორმატიული აქტები და სხვა მასალები.

წიგნი შეესაბამება სასწავლო დისციპლინის აპრობირებულ პროგრამას. იგი საქართველოში ქართულ ენაზე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სახელმძღვანელოს გამოცემის პირველი ცდაა, პირველი ნაბიჯი და ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელოა.

ისტორიული წყაროები და საბუთები ნათელყოფენ საქართველოში საბაჟო საქმის ერთიანი, ყოვლისმომცველი და მიზანმიმართული ტრადიციების არსებობას. ძველ საქართველოში საბაჟო საქმეს საგანგებო მოხელე – შურტა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა საბაჟო საქმის საინტერესო ტრადიციები, ჩვეულებები და მიმართულებები.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ცარიზმი ატარებდა საკუთარ საფინანსო და საბაჟო პოლიტიკას, რაც ქვეყნის ეკონომიკური დამორჩილებით, ქართული ფულისა და საბაჟო-

ბის გაუქმებით დამთავრდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდა მეფის რუსეთის საბაჟო პოლიტიკა და წესები.

საქართველო თითქმის მთლიანად ჩამოაშორეს საბაჟო საქმეს, საბაჟო დაწესებულებები ფორმალურადაც კი არ არსებობდნენ. მდგომარეობა მაშინვე შეიცვალა, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და კრახი განიცადა საბჭოთა ტოტალიტარიზმმა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოში შეიქმნა საბაჟო სამსახური; დასაბამი მიეცა საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბებას. ამასთან ერთად, მეცნიერული და გამოყენებით-პრაქტიკული მნიშვნელობა მიენიჭა ძველი საქართველოს საბაჟოების ისტორიის შესწავლას, წყაროებისა და სათანადო საბუთების გაანალიზებას, ქართველ იურისტთა, ეკონომისტთა და ისტორიკოსთა შრომებისა და ნააზრევის განზოგადებას, სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას. ეს სამუშაოები ჩვენს მიერ შესრულებულია: გამოსაცემად მომზადებულია 20 ფორმიანი მონოგრაფია „საბაჟოების ისტორია საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე“).

სახელმძღვანელოს მიმართ გამოთქმულ სამართლიან, ჯანსაღ, საყურადღებო შენიშვნებსა და წინადადებებს სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ ახალი შევსებული და გადამუშავებული გამოცემის დროს.

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის სპეციალობის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მოხელეთა და საბაჟო სამართლის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

წიგნი I

ზოგადი ნაწილი

თავი 1. საბაჟო სამართალი — საქართველოს სამართლის დარგი

საბაჟო სამართლის საგანი და სისტემა

საბაჟო სამართალს, როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგს, აქვს თავისი საგანი და კვლევის ობიექტი. ამა თუ იმ მეცნიერების საგნის გარკვევისა და განსაზღვრისათვის მთავარია იმის დადგენა თუ რას სწავლობს იგი, რა არის მისი გამოკვლევის მიზანი და ობიექტი, რომელი პრობლემები, კატეგორიები, ცნებები, მოვლენები აინტერესებს მას და როგორია ამ დარგის ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის.

საბაჟო სამართალი იურიდიული მეცნიერება და სამართლის ერთ-ერთი დარგია. მისი საგანი, შესწავლის ობიექტებია საბაჟო პოლიტიკა, საბაჟო რეჟიმები, საბაჟო ორგანოები, საბაჟო სისტემა და ურთიერთობები. იგი მჭიდროდ დაკავშირებულია სამართლის ისეთ დარგებთან, როგორიცაა საერთაშორისო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საზღვაო სამართალი, საფინანსო სამართალი, საგადასახადო სამართალი და სამართლის სხვა დარგები.

სამართლის ცნება. სამართალი ერთ-ერთი ურთულესი საზოგადოებრივი ინსტიტუტია და იგი, ისევე როგორც სახელმწიფო, საზოგადოებრივი განვითარების შედეგია. სამართალი ზოგადსავალდებულო ქცევის წესების, ნორმების სისტემაა, რომელიც დადგენილია ან სანქციონირებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ან რეფერენდუმის გზით; მათი შესრულება სავალდებულოა ყველასათვის, ხოლო რეალიზაცია უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

სამართლებრივი ნორმების დადგენა სახელმწიფოს პრეროგატივაა. მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებაა უფლებამოსილი

მიიღოს კანონი, დაადგინოს ქვეყნის მასშტაბით ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესები.

სამართალი არის ნორმების, ქცევის წესების ერთობლიობა, იგი ადგენს ვინ, როდის და როგორ უნდა მოიქცეს. სამართლის ნორმები ან დადგენილია, ან სანქციონირებული. სახელმწიფო ან ახალ, მანამდე უცნობ ნორმებს ადგენს, ან სანქციას აძლევს, ესე იგი სავალდებულო ძალას ანიჭებს უკვე ცნობილ ზნეობრივი თუ სხვა სოციალური ნორმების სახით მოქმედ ნორმებს. სამართლებრივი ნორმების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის, ვისაც ისინი ეხება. სამართლის მორთხოვნები თუ ნებაყოფილობით და დარწმუნების მეთოდებით არ სრულდება, სახელმწიფო უსრუნველყოფს მათ იძულებით შესრულებას, სამართალდამრღვევის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებას.

სამართალი აწესრიგებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით განსხვავებულ ურთიერთობებს. ამის მიუხედავად, სამართალი წარმოადგენს ერთიან სისტემას, ქცევის სავალდებულო წესების ერთობლიობას, გამსჭვალულია ერთიანი იდეებითა და პრინციპებით, ემსახურება ერთიან მიზნებსა და ამოცანებს.[1]

სამართლის აღნიშნული განმარტება ზოგადი ხასიათისაა. მასში აღნიშნული და ხაზგასმულია ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც გამოხატავენ სამართლის ბუნებას, მის სოციალურ არსსა და დანიშნულებას. ეს ნიშნებია: სახელმწიფოს მიერ დადგენა ან სანქციონირება, ნორმატიულობა, ნორმების ერთობლიობა, სავალდებულობა.

სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება სამართლის საშუალებითა და მეშვეობით. სამართლის ყველა თვისება და სპეციფიკა, დამახასიათებელია ამა თუ იმ ტიპისა და ფორმის სახელმწიფოს სამართლისათვის. ტოტალიტარულ სახელმწიფოში სამართალი გამოხატავს და იცავს გაბატონებული კლასისა თუ ფენის ინტერესებს, ხოლო სამართლებრივ სახელმწიფოში იგი ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვასა და განმტკიცებას.

---

1 ალექსანდრე შუშანაშვილი, იურიდიული ლექსიკონი, 2000, გავ. 252.

სამართლის თეორიაში, ისევე როგორც სახელმწიფოს თეორიაში, ჩამოყალიბდა სამართლის ისტორიული ტიპის განსაზღვრის ორი მიდგომა: *ფორმაციული* და *ცივილიზაციური.*

ფორმაციული მიდგომა სამართლის ტიპოლოგიის საფუძველებში დებს კაცობრიობის დაყოფას ეტაპებად, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს – მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურსა და სოციალისტურს.

ცივილიზაციური მიდგომა განსხვავდება იმით, რომ სამართლის ტიპოლოგიის საფუძველში ჩადებულია კაცობრიობის ცივილიზაციის განსაზღვრული დონე, ანუ სამართლებრივი გაგება. ამის შესაბამისად სამართლის ტიპების სახით გამოყოფენ უძველეს, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე სამართალს. თავის მხრივ, უძველესი სამართალი იყოფა ძველაღმოსავლურ (ჩვეულებით), ბერძნულ, რომაულ სამართლად; შუა საუკუნეების სამართალი – ევროპულ (პარტიკულარულ), ადრე პრეცედენტულ, აღმოსავლეთ-რელიგიურ სამართლად; თანამედროვე სამართალი – რომაულ-გერმანულ (კონტინენტურ), პრეცედენტულ (ანგლოსაქსურ, საერთო), რელიგიურ-ტრადიციულ სამართლად.

სამართლის თეორიაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სამართლის სისტემას, სამართლის დარგებს, სამართლებრივ ინსტიტუტებს, სამართლის ნორმას, სამართლებრივ ურთიერთობას, სამართლის სუბიექტებს და წყაროებს.

სამართლის სისტემა თითოეული ქვეყნის სამართლის შინაგანი სტრუქტურაა, რაც საზოგადოების ეკონომიკური წეს-ჩვეულებითაა განპირობებული და გამოიხატება საერთო პრინციპების საფუძველზე ერთიანობაში მყოფი იურიდიული ნორმების დანაწილებაში სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად, ამ დარგებისა და ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენაში.

სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთ რომელიმე სფეროს, *სამართლის დარგი* ეწოდება. სახელმწიფოში სამართლის ნორმების დაჯგუფება დარგებად იმისდა მიხედვით ხდება, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელ მხარეს აწესრიგებენ ისინი. სამართლის ტრადიციული დარგებია: სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართალი

და სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი; სამართლის დარგებია აგრეთვე შრომის სამართალი, საფინანსო სამართალი, საოჯახო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საბაჟო სამართალი და ა. შ. სახელმწიფოში მოქმედი სამართლის დარგები ქმნიან სამართლის ერთიან სისტემას.

სამართლებრივი ინსტიტუტი იურიდიული ნორმების ისეთი ერთობლიობაა, რომლებიც სამართლის ამა თუ იმ დარგის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ცალკეული სფეროს ერთ კონკრეტულ მხარეს, ერთგვაროვან და ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება იდეოლოგიური ხასიათის საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლის მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით განსაზღვრული უფლებანი და მოვალეობანი. სამართლებრივი ურთიერთობა მოწესრიგებულია სამართლებრივი ნორმებით. სამართლებრივი ნორმის რეალიზაცია, მისი პრაქტიკული განხორციელება ხდება სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით. სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ ფიზიკური და იურიდიული პირები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

რა არის სამართლის ნორმა, როგორია მისი სტრუქტურა? *სამართლის ნორმა* არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის ზოგადი წესი, რომლის დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით. სამართლის ნორმა, მისი გამოყენების შესაბამისად, სამი ნაწილისაგან შედგება: საერთო, სპეციალური და განსაკუთრებული (კერძო) ნორმები.

საერთო ნორმები შეიცავენ ისეთ წესებს, რომლებსაც ფართო დანიშნულება აქვთ და გამოიყენებიან ერთგვაროვანი ურთიერთობის რეგულირების შემთხვევაში. ამგვარ ნორმებს შეიცავს სამართლის ცალკეული დარგის ზოგადი ნაწილი. *სპეციალური ნორმები* არეგულირებენ ერთგვაროვანი ურთიერთობების მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ სახეს. *განსაკუთრებული* ან *კერძო ნორმები* შეიცავენ რაიმე გამონაკლისებს იმ წესებში, რომლებიც დადგენილია საერთო ან სპეციალური ნორმებით.

სამართლის ნორმის ნაწილს, რომელიც მიუთითებს იმ პირობებსა და გარემოებებზე, რომელთა არსებობა ან დადგომა აუცილებელია ამ ნორმით დადგენილი წესის განხორციელებისათვის *ჰიპოთეზა* ეწოდება, ხოლო იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ქცევის წესს ადგენს – *დისპოზიცია*. დისპოზიციური ნორმები შესაძლებლობას აძლევს მხარეებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსი კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში.

სამართლის ნორმის ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს იძულებითი ხასიათის ღონისძიებას დისპოზიციით დადგენილი წესის დარღვევისათვის, *სანქცია* ეწოდება. სანქციები უფრო მკვეთრად, კონკრეტული სახითა და ზომით მოცემულია სისხლის სამართლებრივ ნორმებში.[1]

სამართლის წყაროები ეწოდება სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ადგენენ შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგად წესებს. ამ აქტებს ზოგჯერ სამართლის ფორმებსაც უწოდებენ. სამართლის წყაროები წარმოადგენენ იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს.

სამართლებრივი აქტი ორი სახისაა: *ნორმატიული* და *ინდივიდუალური*. სამართლის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს ქცევის ზოგად წესს და გათვალისწინებულია ხანგრძლივი და მრავალჯერადი გამოყენებისათვის. ინდივიდუალური (ან არანორმატიული) აქტი ერთჯერადია, ეხება ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა წრეს და მისი მოქმედება მოავრდება კონკრეტული საკითხის გადაწყვეტით.

ნორმატიულ აქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია *კანონს*, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ან უშუალოდ ხალხის მიერ საერთო-სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით) მიღებულ სამართლებრივ აქტს და აქვს იურიდიული ძალა.

---

1 გ. ინწკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 2000, გვ. 119-138, 182-192.

კანონი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტია, რომელიც შეეხება ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. კანონის საფუძველზე ან მის შესასრულებლად გამოცემულ სამართლებრივ აქტებს *კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი* ეწოდება.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი მონაწილეობს ნორმატიული აქტების სისტემატიზაციაში. იგი ორი ფორმით ხორციელდება: *ინკორპორაციის და კოდიფიკაციის ფორმით*, რომელსაც პარლამენტი ახორციელებს. *ინკორპორაცია* ნიშნავს ნორმატიული მასალის დალაგებას თემატური, ქრონოლოგიური, ანბანური და სხვა ისეთი ნიშნით, რაც საჭიროა სამართლის ნორმის ადვილად და სწრაფად მონახვისათვის. ამ წესით დგება ნორმატიული აქტების კრებულები, ცნობარები, კატალოგები და სხვა მონაცემები.

კოდიფიკაცია ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის უფრო რთული და სრულყოფილი ფორმაა. ამ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების ყოფელმხრივი ანალიზისა და გასინჯვის საფუძველზე იქმნება ახალი ნორმატიული აქტი. კოდიფიკაცია, ფაქტობრივად სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ნაწილია. კოდიფიცირებულ აქტებს ამზადებენ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები და მათი მიღება ხდება კანონის მიღებისათვის დადგენილი წესით.

ჩვეულებრივ, იურიდიულ ლიტერატურაში, საკანონმდებლო აქტები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: კონსტიტუციური (ანუ ძირითადი), ორგანული და ჩვეულებრივი (ანუ მიმდინარე) კანონები. *სახელმწიფოს უზენაესი კანონია კონსტიტუცია ანუ ქვეყნის ძირითადი კანონი.* ყველა სხვა სამართლებრივი აქტი კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს.

სამართლის სუბიექტი ეწოდება სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლობს გარკვეული უფლებებით ან უნდა შეასრულოს რაიმე მოვალეობანი. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი (სამართლის სუბიექტები) შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, ზოგჯერ სახელმწიფოც.

იმისათვის, რომ სრულად გავიგოთ სამართლის სპეციფიკური და კომპლექსური დარგის – საბაჟო სამართლის არსი და ბუნება, საჭიროა მოკლედ განვსაზღვროთ სამართლის ძირითადი, ტრადიციული თუ თანამედროვე დარგები და განვიხილოთ მათთან საბაჟო სამართლის კავშირის საკითხები.

კონსტიტუციური სამართალი. საქართველოს სამართლის ერთიან სისტემაში კონსტიტუციური სამართალი წარმოადგენს წამყვან დარგს. ეს განპირობებულია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაკუთრებული შინაარსით, რომელიც რეგულირდება მოცემული დარგის და ამ ურთიერთობებზე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზემოქმედების მეთოდების მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი წარმოადგენს ყველა კონსტიტუციური ნორმისა და ინსტიტუტის, ასევე სხვა ნორმების სისტემურ ერთობლიობას, რომლებიც განამტკიცებენ და არეგულირებენ სახელმწიფოს საზოგადოებრივი წეს-წყობილების საფუძვლებს, ტერიტორიულ, სახელმწიფოებრივ მოწყობას, მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობას და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას.[1]

სახელმწიფო სამართალს კონსტიტუციურ სამართალსაც უწოდებენ, ვინაიდან აღნიშნული საკითხები ქვეყნის უსენაესი კანონით ანუ კონსტიტუციითაა მოწესრიგებული. მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საბაჟო სამართალიც.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ზოგადი ხასიათის იურიდიული მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების საერთო კანონზომიერებებს, იხილავს და წყვეტს ისეთ საკითხებს, რომლებიც საერთოა სამართლის მეცნიერებათა სისტემაში შემავალ ყველა სხვა ან მთელი რიგი დარგებისათვის, იძლევა პასუხს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ყველაზე არსებით ძირეულ საკითხზე.

ადმინისტრაციული სამართალი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო მმართველობის სფეროში ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მმართველობის ორგანოების შექმნისა და გაუქმე-

---

1 პაატა ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2001, გვ. 11.

ბის, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესსა და პრინციპებს. ადმინისტრაციული სამართლის ნორმები განსაზღვრავენ აგრეთვე მოქალაქეების, სახელმწიფო მოხელეებისა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, ადგენენ ქცევის სავალდებულო წესებს, აწესებენ პასუხისმგებლობის ზომებს მათი დარღვევისათვის.

პროფესორ ვალერი ლორიას მიხედვით: „ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს სახელმწიფო მმართველობას და მის ფარგლებს გარეთ სახელმწიფო ორგანოთა მიერ გამოყენებულ მმართველობის ფუნქციებს, ფორმებსა და მეთოდებს"[1].

სამოქალაქო სამართალი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს, განსაზღვრავს სამოქალაქო ბრუნვის, ინტელექტუალური საქმიანობისა და საოჯახო ურთიერთობების მონაწილეთა უფლებრივ მდგომარეობას, საკუთრებისა და სხვა ქონებრივ უფლებათა წარმოშობის საფუძვლებსა და განხორციელების წესს, აწესრიგებს სახელშეკრულებო და სხვა ვალდებულებებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს.

სამოქალაქო პროცესი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესს, განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

სისხლის სამართალი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს დანაშაულთან და სასჯელთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, განსაზღვრავს ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობას, აწესებს სასჯელს, ან სხვა იძულებით ღონისძიებას.

სისხლის სამართლის პროცესი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს მოკვლევის, საგამოძიებო, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს საქმიანობას. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტის პრო-

---

1 ვალერი ლორია. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, 2002, გვ. 30.

ცესში, ადგენს პროცესის მონაწილე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, მათი განხორციელების წესს და გარანტიებს.

შრომის სამართალი წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციებთან, მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ხელს უწყობს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას შრომითი უფლებების დაცვის, შრომის სამართლიანი ანაზღაურების, მისი უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების, არასრულწლოვანთა და ქალთა შრომითი პირობების განსაზღვრის თავისებურებათა გათვალისწინებით. შრომის სამართალი ადგენს შრომის ხელშეკრულების დადებისა და მოშლის, შრომის დისციპლინის, შრომის დაცვისა და ანაზღაურების წესებსა და პრინციპებს.

საფინანსო სამართალი როგორც სამართლის დარგი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს საქართველოს მიერ თავის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.[1] საფინანსო-სამართლებრივი ინსტიტუტებია: სახელმწიფო ბიუჯეტის ინსტიტუტი, სახელმწიფო გადასახადების ინსტიტუტი, სახელმწიფო ბაჟის ინსტიტუტი, ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევის ინსტიტუტი, დაკრედიტების ინსტიტუტი და სხვ.

საფინანსო სამართალი, სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, მჭიდროდაა დაკავშირებული ადმინისტრაციულ და საბაჟო სამართალთან. მისი ნორმები არეგულირებენ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან სახელმწიფოსა და მისი ორგანოების საფინანსო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

საგადასახადო სამართალი სამართლის ერთ-ერთი დარგია, რომელიც არეგულირებს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, საგადა-

---

1 რომან შენგელია. საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები, I ნაკეთი, 1992, გვ. 53.

სახადო სისტემაში შემავალ გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პრინციპებს.

საერთაშორისო სამართალი იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. საერთაშორისო სამართალი არ შედის ცალკეული რომელიმე ქვეყნის სამართლის სისტემაში. იგი წარმოადგენს სამართლის განსაკუთრებულ და თავისებურ დარგს. მისი ნორმები ყალიბდება სხვადასხვა სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად. ეს ნორმები გამოხატულებას პოულობენ, უმთავრესად, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, შეთანხმებებში, პაქტებში, კონვენციებში და აწესრიგებენ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის მათი თანამშრომლობის პროცესში.

პროფესორი ლევან ალექსიძე სამართლის ამ დარგს ასე განმარტავს: „მხოლოდ იმ ნორმებს, ანუ ქცევის წესებს, რომლებიც სახელმწიფოთა, სხვა სუბიექტების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნებიან, და, რომელთა შესრულების უსრუნველყოფა თვით სახელმწიფოების, სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ხდება, ეწოდება საერთაშორისო სამართალი“[1].

საერთაშორისო საბაჟო სამართალი იმ ნორმებისა და პრინციპების ერთიანობაა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს საბაჟო თანამშრომლობის სფეროში. იგი სახელშეკრულებო სამართლის საფუძველზე განსაზღვრავს სახელმწიფოთა უფლებებსა და მოვალეობებს საბაჟო ურთიერთობის დარგში. საერთაშორისო საბაჟო სამართალი საჯარო სამართლის ნაწილია. იგი ასრულებს სახელმწიფოთა ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის ფუნქციებს.[2]

---

1. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2001, გვ. 4.
2. Борисов К. Т. Международное право, Москва, 2001, с. 23-29.

საზღვაო სამართალი არეგულირებს საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. „საზღვაო ნაოსნობა“ გულისხმობს გემების გამოყენებას მგზავრთა გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადასაზიდად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის ძიება-მოპოვების, საბუქსირო და სამაშველო ოპერაციების წარმოებისა და სხვა სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის.

საბაჟო სამართალი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო ორგანოების საქმიანობას სახელმწიფო საზღვრის დაცვის, საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო პოლიტიკის განხორციელების დარგში.

იურიდიული მეცნიერება სამართლის დარგების გამოყოფის საფუძველად ძველთაგანვე თვლიდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთი რომელიმე სფეროს სამართლებრივ რეგულირებას. იგი სამართლის ნებისმიერი დარგის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების ძირითადი კრიტერიუმია.

სამართლის ყველა დარგს აქვს თავისი საგანი და რეგულირების მეთოდი. საბაჟო სამართალი, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა, შედარებით ახალი მოვლენაა. იგი სამართლის მეცნიერებათა შორის ნაკლებადაა გამოკვლეული და შესწავლილი. ამ საგნის განსაკუთრებულობისა და რეგულირების მეთოდების გამოვლენა შედარებით რთულ და ამავე დროს აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

დღეს მეცნიერთა შორის კამათია იმის თაობაზე, არსებობს თუ არა „საბაჟო სამართალი“, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა. ზოგიერთი თვლის, რომ საბაჟო სამართალი ადმინისტრაციული სამართლის ნაწილია. სხვები მიიჩნევენ მას საერთაშორისო სამართლის დარგად. ავტორთა ნაწილს მიაჩნია, რომ საუბარი შეიძლება მხოლოდ საბაჟო კანონმდებლობაზე და არა დამოუკიდებელ საბაჟო სამართალზე, რომელსაც თავისი კვლევის საგანი გააჩნია. საბაჟო სამართლისა და სამართლის სხვა დარგების ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრულია შესაბამის კოდექსებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის მეცნიერ-იურისტებსა და პრაქტიკოსებს შორის არ არის საბაჟო სამართლის ცნების ერთიანი გაგება. რუსეთში *ავტორთა ერთი ჯგუფი* საბაჟო სამართალს განიხილავს, როგორც რუსეთის კანონმდებლობის დარგს, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო-სამართლებრივ ურთიერთობებს.[1] *მეორენი*, საბაჟო სამართალს განსაზღვრავენ, როგორც რუსეთის სამართლის ახალ კომპლექსურ დარგს სამართლის მეცნიერების მთელი სისტემის ფარგლებში. ამ დასკვნის ავტორები თვლიან, რომ საბაჟო სამართლის რეგულირების საგანია საბაჟო ორგანოებისა და საქონლის გადამაადგილებელ პირებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები (საბაჟო გაფორმება, საბაჟო კონტროლი, საბაჟო გადასახდელების გადახდა და სხვ.).[2] *მესამენი* ამტკიცებენ, რომ საბაჟო სამართალი ესაა შერწყმა იურიდიული ინსტიტუტებისა და ნორმების, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს საბაჟო საქმის სფეროში. მეცნიერთა ეს ჯგუფი რეგულირების საგნად მიიჩნევს საბაჟო საქმის შინაარსს და ხასიათს, საბაჟო პოლიტიკის საფუძვლებს, საბაჟო ორგანოების სტატუსს და ფუნქციებს, საბაჟო საზღვარზე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესს, საბაჟო რეჟიმებს, საბაჟო გადასახდელებს, საბაჟო გაფორმებას და საბაჟო კონტროლს, პასუხისმგებლობას საბაჟოს წესების დარღვევისათვის.[3] *მეცნიერთა მეოთხე ჯგუფი* საბაჟო სამართალს ახასიათებს როგორც სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების ერთობლიობას ისეთი ურთიერთობის რეგულირებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან, საბაჟო გადასახდელების გადახდასთან, საბაჟო გაფორმებასა და საბაჟო კონტროლთან.[4]

ამ შეხედულებებში ბევრი საერთოა. *პირველ რიგში მეცნიერ-იურისტები* აღიარებენ სამართლის ახალი დარგის – საბაჟო სა-

---

1 Козырин А. Н. Таможенное право России. Общая часть, Москва, 1995, с. 9.

2 Воробьев Ю. А. Основы таможенного дела, Москва, 1995, с. 12.

3 Таможенное право, Под ред. Б. Н. Габричидзе, Москва, 1998, с. 56-80.

4 Таможенное право, Под ред. А. Ф. Ноздричева, Москва, 1998, с. 46-47.

მართლის წარმოშობას; დარგისა, რომელიც იკვლევს საბაჟო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებს.

მეორე, მეცნიერი-იურისტები გამოყოფენ სამართლებრივი ინსტიტუტებისა და საბაჟო ურთიერთობების სპეციფიკურ ნორმებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სამართლის ახალ დარგს – საბაჟო სამართალს.

მესამე, ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ საბაჟო სამართლის ნორმებისა და საბაჟო კანონმდებლობის მთელი სისტემის სოციალური და იურიდიული ანალიზის აქტუალობას, საბაჟო სამართალურთიერთობების სუბიექტებსა და საბაჟო სფეროში სამართლებრივი პროცესის ურთიერთსემოქმედების კომპლექსს.[1]

ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ საბაჟო სამართალი ადმინისტრაციული სამართლის სამართლებრივი ინსტიტუტია და იგი არ შეიძლება იყოს სამართლის დამოუკიდებელი დარგი.

ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი კონსტანტინე სანდროვსკი XX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს მიიჩნევდა, რომ საბაჟო სამართალი ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი სამართლებრივი ინსტიტუტია. ამასთან, იგი წერდა: „გამორიცხული არაა, რომ დროთა განმავლობაში,... წარმოიშვას შესაძლებლობა საბაჟო სამართლის დამოუკიდებელ დარგად გამოყოფისათვის".[2]

ახლა ასეთი შესაძლებლობა წარმოიშვა. დღევანდელი განვითარების დონე და იმ ნორმების რაოდენობა, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო ურთიერთობებს, ისევე ,როგორც საბაჟო სამართალის როლისა და მნიშვნელობის განუხრელი ზრდა, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ – *საბაჟო სამართალი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია.* კონსტანტინე სანდროვსკის აზრით, საბაჟო სამართალი იმ იურიდიული ნორმების სისტემაა, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო ურთიერთობათა სუბიექტების მდგომარეობას და საქმიანობას, რაც თავის მხრივ მი-

---

1 Таможенное право, Под ред. В. Г. Драганова, М. М. Рассолова, Москва, 2001, с. 8-17.

2 Сандровский К. Таможенное право, Общая часть, Киев, 1971, с.16.

მართულია სახელმწიფო საბაჟო ორგანოების მიერ მთავარი ეკონომიკური ფუნქციების შესრულებისაკენ — ეკონომიკური საზღვრების დაცვა, საბაჟო პოლიტიკის განხორციელება, ქვეყნის ეკონომიკური სივრცის შეკვრა და სხვ.

საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, ევროკავშირის სახელმწიფოები, იაპონია და სხვ.) საბაჟო სამართალი დიდი ხანია მიჩნეულია სამართლის დარგად. ეს ბუნებრივიცაა. ამ ქვეყნებში კარგა ხანია შეიქმნა თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურა, რომლის სრულყოფა სისტემატურად ხდება.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მხოლოდ ახლა ფორმირდება თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურა და შესაბამისად მისი იურიდიული ბაზა. ამის საფუძველზე ყალიბდება საბაჟო სამართალი, როგორც სამართლის კომპლექსური დარგი.

ჩვენი აზრით, საბაჟო სამართალი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დარგია, რომელიც იკვლევს საბაჟო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პროცესებს და სისტემებს. ამ ურთიერთობებს მიეკუთვნება:

- საბაჟო პოლიტიკისა და მისი მიზნების განხორციელების სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების განსაზღვრა;
  საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრების გადაკვეთის ძირითადი პრინციპების შემუშავება და განხორციელება;
- საბაჟო გადასახდელების გადახდის, საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების ნორმებისა და წესების შემუშავება, საბაჟო კონტროლისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების შეთანხმების უზრუნველყოფა;
- სრულყოფა იმ ურთიერთობებისა, რომლებიც დაკავშირებლია ექსპორტ-იმპორტთან, საბაჟო სტატისტიკის წარმოებასთან; საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დარღვევებთან, ამ წესების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობასთან;
- ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციასთან, საბაჟო ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასთან; საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენებასთან;

- და ბოლოს, ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობათა გაღრმავებასთან, საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფასთან, მის მისადაგებასთან ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობასთან.

საბაჟო სამართლის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან

საბაჟო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის ისეთ დარგებთან, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საერთაშორისო სამართალი და სხვ. საბაჟო სამართალი დაკავშირებულია კონსტიტუციურ სამართალთან, ზოგჯერ მას მიიჩნევენ კონსტიტუციური სამართლის ინსტიტუტად.

გარდა იმ საერთო დებულებისა, რომლის თანახმად სახელმწიფოს უზენაეს კანონს, საქართველოს კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს ყველა სამართლებრივი აქტი, კონსტიტუციის ცალკეული მუხლები კონკრეტულად არეგულირებენ საბაჟო საქმიანობას. კონსტიტუციის მესამე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას მიეკუთვნება *საბარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები*".[1]

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლით განსაზღვრულია: „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით".

კონსტიტუციის მე-6 მუხლი ადგენს საერთაშორისო შეთანხმების ან ხელშეკრულების უპირატეს იურიდიულ ძალას შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ იგი არ

1 საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2003, გვ. 6.

ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას.

საბაჟო სამართალი სჯიდრო კავშირშია ადმინისტრაციულ სამართალთან. ხშირად საბაჟო სამართალს ადმინისტრაციული სამართლის ნაწილად თვლიან, ვინაიდან საბაჟო ორგანოების შექმნა, მათი ორგანიზაციული მუშაობა, ხელმძღვანელობა ქვემდგომი ორგანოებისადმი ადმინისტრაციული სამართლის მეშვეობით რეგულირდება. მაგრამ საბაჟო სამართალს გააჩნია რეგულირების თავისი მნიშვნელოვანი საგანი, რის გამოც ეს დარგი ცალკე დარგადაა გამოყოფილი. რეგულირების ეს საგანია საბაჟო ორგანოები, საბაჟო რეჟიმები, სასაზღვრო რეჟიმები, საბაჟო კონტროლი, გადასახადები, საბაჟო გაფორმება, საბაჟო შეღავათები და სხვ. ყველა ეს საქმიანობა საბაჟო სამართლითაა მოწესრიგებული. ამ რეგულირების დროს გამოიყენება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები, ფორმები და მეთოდები. ეს განაპირობებს საბაჟო სამართლის მჭიდრო კავშირს ადმინისტრაციულ სამართალთან.

საბაჟო სამართალი მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართალთანაც. საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ზოგჯერ გადაიზრდება სისხლის სამართლის დანაშაულში. სისხლის სამართალი განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი საბაჟო წესების დარღვევებისათვის და აწესებს სასჯელს, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში (კონტრაბანდა, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა და ა.შ.).

საბაჟო სამართალი დაკავშირებულია საერთაშორისო სამართალთანაც. კვლევის პროცესში იგი იყენებს მის დებულებებსა და პრინციპებს. საბაჟო სამართალი საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებით არეგულირებს ქვეყნებს შორის მხოლოდ საბაჟო ურთიერთობებს. მისი სუბიექტებია საბაჟო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები. ამასთან, ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ქვეყნის მოქალაქე ან უცხოელი.

საბაჟო სამართლის სუბიექტებია აგრეთვე საზღვარგარეთული ფირმები და მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებიც დროებით იმყოფებიან მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და გარკვეული ურთიერთობები აკავშირებთ საბაჟო

ორგანოებთან. საბაჟო სამართალი გარანსაზღვრავს დიპლომატიური წარმომადგელობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს. იგი ემყარება ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებს, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო საბაჟო სამართლის ერთ-ერთ წყაროს. საბაჟო სამართალი საერთაშორისო სამართლის მრავალი ინსტიტუტით სარგებლობს.

საბაჟო სამართალი საქართველოს სამართლის ერთ-ერთი დარგია, იმ იურიდიული ინსტიტუტებისა და ნორმების ერთობლიობაა, რომლებითაც ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება საბაჟო საქმის სფეროში. საქართველოს საბაჟო სამართლის უშუალო კვლევის საგანია: 1. საქართველოს საბაჟო პოლიტიკა; 2. საქართველოს საბაჟო სასაზღვრების გადაკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, საბაჟო რეჟიმები; 3. საბაჟო გაფორმება; 4. საბაჟო კონტროლი; 5. საბაჟო სტატისტიკა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა; 6. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია.

რეგულირება ისეთი საკითხებისა, როგორიცაა საბაჟო პოლიტიკა – საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული გამგებლობა; საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები; დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადები; დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო შეღავათები და სხვ. – ხორციელდება კონსტიტუციური სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, საგადასახადო სამართლის და საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და პრინციპებით. ეს საკითხები არ შეადგენენ საბაჟო სამართლის უშუალო კვლევის ობიექტს. საბაჟო სამაროალი ამ დარგში იყენებს სამართლის სხვა დარგების დასკვნებს, ნორმებსა და წესებს.

საქართველოს საბაჟო სამართლის მიზნებია:

- საბაჟო და სხვა სახელმწიფოებრივი ორგანოების ეფექტური საქმიანობისათვის პირობების შექმნა საბაჟო პოლიტიკის განხორციელების, საბაჟო საქმის სრულყოფისა და განვითარებისათვის.
- საქართველოს ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია;

- საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების შემუშავება და განსაზღვრა;
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;
- საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება. და კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების უზრუნველყოფა;
- სავალუტო კონტროლის განხორციელება;
- საბაჟო პოლიტიკის სფეროში აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საბაჟო ორგანოების საქმიანობის ორგანიზაცია.

საბაჟო სამართლის არსებითი თავისებურებებია შემდეგი: სამართლის ეს დარგი ფორმირდება და ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების პირობებში; საპრივატიზაციო პროცესების გაღრმავების ეტაპზე; იგი ვითარდება საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობასთან ინტეგრაციის ბაზაზე. საბაჟო საქმე და საბაჟო სამართალი სრულყოფილი ხდება საერთაშორისო აღიარებულ ნორმებსა და პრაქტიკასთან დაახლოების პირობებში.

საბაჟო სამართლის წყაროები

სამართლის წყაროები წარმოადგენენ იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს. სამართლის ნორმები უმთავრესად გამოხატულია სახელმწიფოს მიერ თავისი ორგანოების მეშვეობით გამოცემულ აქტებში, მაგრამ სახელმწიფოს ყოველი აქტი არ შეიცავს სამართლის ნორმას, ესე იგი ზოგადი ხასიათის ქცევის წესს. ასეთი აქტი არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. აქტების ერთი ნაწილის დანიშნულებაა მოქმედი სამართლებრივი ნორმების შეფარდების საფუძველზე რომელიმე კონკრეტულ-ინდივიდუალური საკითხის გადაწყვეტა. ამიტომ მათ უწოდებენ ნორმის შეფარდების აქტებს ანუ არანორმატიულ აქტებს. ხოლო ის აქტები, რომლებიც ზოგადი

ხასიათის სავალდებულო ქცევის წესებს, ე. ი. სამართლის ნორმებს შეიცავენ ნორმატიულ აქტებად იწოდებიან და სამართლის წყაროებს წარმოადგენენ.

ნორმატიული აქტებიდან სამართლის წყაროებია: კანონი და სხვა სახის კონონქვემდებარე სახელმწიფოებრივი აქტები. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, სამართლის წყაროებად შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი აქტები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არიან სანქციონირებული, აგრეთვე იშვიათ შემთხვევაში სანქციონირებული ჩვეულება და ხელშეკრულება.[1]

(თანამედროვე საერთაშორისო საბაჟო სამართალი აღიარებს შემდეგ ძირითად წყაროებს: საბაჟო საქმის საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებები, კონვენციები, შეთანხმებები, ქვეყნის სამართლებრივი დოკუმენტები (კონსტიტუცია, საბაჟო კოდექსი, საბაჟო ტარიფები და სხვ.); საბაჟო სამართლის სანქცირებული ჩვეულებითი ნორმები, საერთაშორისო ხელშეკრულებები.

საქართველოს საბაჟო სამართლის წყაროებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილებები და კანონები, საქართველოს საბაჟო კოდექსი, კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადისა და მოსაკრებლების შესახებ; საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, საქართველოს ფინანსთა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა ნორმატიული აქტები, ბრძანებები, დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, სხვა საკანონმდებლო აქტები.)

საბაჟო-სამართლებრივი ნორმები მოცემულია მრავალრიცხოვან სამართლებრივ აქტებში. ეს აქტები მიღებულია ხელისუფლების, მმართველობისა და საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ამ აქტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კანონები. კანონი სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. კანონს ნებისმიერ სახელმწიფოში უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია ყველა სხვა ნორმატიული აქტის წინაშე. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა სამართლებრივი აქტი, რომელიც სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ გამოიცა, კანონს უნდა შეესაბამებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვლება და ძალას დაკარგავს.

---

1 გ. ინწკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 2000, გვ. 133-134.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი I) შესაბამისად, საბაჟო პოლიტიკის განხორციელება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

სახელმწიფოს უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს საბაჟო საქმის კარდინალურ საკითხებს. იგი საბაჟო სამართლის ძირითადი წყაროა.

საბაჟო სამართლის სუბიექტებია საბაჟო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები. ამასთან ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ქვეყნის მოქალაქე ან უცხოელი. საბაჟო სამართლის სუბიექტებია აგრეთვე საზღვარგარეთული ფირმები და მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებიც დროებით იმყოფებიან მოცემულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და განსაზღვრული ურთიერთობები აკავშირებთ საბაჟო ორგანოებთან. კ. კ. სანდროვსკის მიხედვით – „საბაჟო სამართალი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო ორგანოების საქმიანობას ამ უკანასკნელთა მიერ სახელმწიფო საზღვრის ეკონომიკური დაცვისა და სახელმწიფოს საბაჟო და საგარეო ეკონომიკური ფუნქციების განხორციელების პროცესში. საბაჟო სამართლის აუცილებელ სუბიექტებს, რომლებიც ყველა შემთხვევაში გამოდიან როგორც საბაჟო ურთიერთობის მონაწილენი, წარმოადგენენ სახელმწიფოს საბაჟო ორგანოები“[1].

საბაჟო სამართლის ცნება მოიცავს იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც რეგლამენტირებულს ხდიან საბაჟო ორგანოების საქმიანობას ამ ორგანოთა მიერ სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. საბაჟო პოლიტიკა კი ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

საბაჟო-სამართლებრივი ნორმები

ზოგად საბაჟო-სამართლებრივ ნორმად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ დაწესებული ქცევის წესები, რომელთა საშუალები-

1 Сандровский К.К. Таможенное право, учебное пособие, Киев, 1974, с. 9-46.

თაც რეგულირდება ურთიერთობები საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას. ამასთან საბაჟო-სამართლებრივ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეიცავენ საბაჟო სფეროსათვის საჭირო საერთო ხასიათის წესებს ანუ იურიდიულ ნორმებს.

სამართლის ნორმა აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სახეს და მისი რეალიზაცია უზრუნველყოფილია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ. სამართლის ნორმა გათვალისწინებულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის. საბაჟო-სამართლებრივი ნორმები სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნებია.

საბაჟო-სამართლებრივი ნორმები ორ დიდ ჯგუფად იყოფა – მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებად. საბაჟო-მატერიალური ნორმები განსაზღვრავენ სუბიექტების სამართლებრივ მდგომარეობას, მათ საბაჟო უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო პროცესუალური ნორმები – მატერიალური ნორმების რეალიზაციის ფორმებს. პროცესუალური ნორმების შინაარსი დაკავშირებლია საბაჟო საზღვრებზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების პროცესში წარმოშობილი კონკრეტული, ინდივიდუალური საკითხების გადაწყვეტასთან.

საბაჟო-მატერიალური და პროცესუალური ნორმები იყოფა ზოგად და კერძო ნორმებად. ზოგადი მატერიალური ნორმები შეეხება საბაჟო სამართლის სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს, მათ საერთო-სამართლებრივ მდგომარეობას, პასუხისმგებლობის სახეებს, საბაჟოების მართვის საერთო ფორმებსა და მეთოდებს. საბაჟო ზოგადი ნორმები ქმნის საბაჟო სამართლის ზოგად ნაწილს. კერძო ნორმები განსაზღვრავენ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ორგანიზაციის კერძო საკითხებს. კერძოდ, საბაჟო რეჟიმების სტატუსს, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესს, პასუხისმგებლობა საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებისათვის. კერძო საბაჟო ნორმები შეადგენს საბაჟო სამართლის კერძო ნაწილს.

საბაჟო პროცესუალური დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად შეიძლება ითქვას სრულიად პირობითია, ვინაიდან ყველა

საბაჟო ნორმა კონკრეტული საქმის განხილვისას ჰპოვებს თავის რეალიზაციას, ამდენად ყველა ნორმა არსებობს მხოლოდ კონკრეტული საბაჟო საქმის წარმოების პროცესში.

საბაჟო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა, ორი ნაწილისაგან შედგება: ზოგადი და კერძო. ზოგადი ნაწილი მოიცავს საბაჟო სამართლის თეორიისა და ისტორიის ძირითად საკითხებს: საბაჟო სამართალი, საგანი, სტრუქტურა, წყაროები; საბაჟო სამართლის კავშირი სხვა დარგებთან, საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია, საბაჟო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები; საბაჟო ორგანოების ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, საბაჟოების მოკლე ისტორია საქართველოში; საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობა საბაჟო სფეროში; საერთაშორისო საბაჟო კონვეციები და ხელშეკრულებები, საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოები; საბაჟო შეღავათების სამართლებრივი საფუძვლები; უცხოელთა და საქართველოს მოქალაქეთა დროებითი შემოსვლისა და გასვლის სამართლებრივი რეგულირება, დროებითი გასვლის წესები.

საბაჟო სამართლის კერძო ნაწილი მოიცავს ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხებს: საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი საფუძვლები; საქართველოს საბაჟო გადასახდელების სახეები და სისტემა; საბაჟო გაფორმების ძირითადი პრინციპები; დეკლარირება, საბაჟო დეკლარაციის სახეები; საბაჟო დოკუმენტები და მათი ბრუნვა; საბაჟო კონტროლის განხორციელება და მისი სახეები, საბაჟო კონტროლისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების შეთანხმება; სპეციფიკური ტვირთების გაფორმება და კონტროლი: საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებები; საბაჟო სტატისტიკა, სასაქონლო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, საბაჟო საქმის ფინანსური ორგანიზაცია, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები, კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება.

საბაჟო სამართალი, როგორც საგანი, ისწავლება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. ამ მხრივ დადებითი გამოცდილება დაგროვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში, უკრაინაში, საფრანგეთსა და რიგ სხვა ქვეყნებში. ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებიდან აღსანიშნავია მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის, ეკატერინბურგის უნი-

ვერსიტეტები. აქ იკითხებოდა საბაჟო სამართალი, წარმოებდა სა-მეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მოსკოვის, კიევის, თბილისის და რიგ სხვა უნივერსიტეტებში გამოიცა სახელმძღვანელოები[1].

საქართველოს საბაჟო სამართლის ძირითადი პრინციპებია: 1. კანონიერება; 2. დემოკრატიზმი; 3. სრულმასშტაბიანი და ნათელი საბაჟო ურთიერთობათა რეგულირება; 4. საბაჟო-სამართლებრივი საშუალებებისა და ინსტრუმენტების ეფექტიანობის უზრუნველყოფა; 5. საბაჟო საქმის საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობისა და რეგულირების დარგში გამოცდილების შესწავლა-გამოყენება; 6. საბაჟო პოლიტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა; 7. საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაცია და უნიფიკაცია.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შექმნის საფუძველზე ქართველმა მეცნიერებმა ხელი მოკიდეს საბაჟო სამართლისა და საბაჟო საქმის პრობლემების დამუშავებას. ამ მიმართულებით მიზანმიმართული მუშაობა გაიშალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტებზე. ამ უმაღლეს სასწავლებლებში

---

1 Сандровский К.К. Таможенное право. Киев, 1974; Сандровский К.К. Международное таможенное право, учебник, Киев, 2001; Марков Л. Н. Таможенное право СССР, Иркутск, 1973; Таможенное право, отв. ред. проф. Б. Н. Габричидзе, Москва, 1998; В. Ю. Пресняков. Таможенная политика России на современном этапе, учеб. пособ., Москва, 1996; А. Д. Ершов. Международные таможенные отношения, Санкт-Петербург, 2000; Основы таможенного дела, учебник, под общ. ред. В. Т. Драганова, Москва, 1998; Борисов К. Т. Международное таможенное право, Москва, 2001; Таможенное право, под ред. В. Г. Драганова, М. М. Рассолова. Москва, 2001; Российское таможенное право, учебник, под ред. Б. Н. Габричидзе, Москва, 1998; ემზარ ჯგენერაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002; ვიქტორ ლორთქიფანიძე, საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები, თბ,: 2001; გონერ ურიდია. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხებში), თბ., 2001; გონერ ურიდია. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, თბ., 2002; საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული: რედაქტორ-შემდგენელი ზაურ ამილახვარი, თბ., 2002; ვახტანგ ქარუმიძე. საბაჟო საქმე, თბ., 1999; ვახტანგ ქარუმიძე, საბაჟო სამართალი, თბ., 2001 და სხვ.

სასწავლო გეგმებში შეიტანეს სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინები – საბაჟო სამართალი და საბაჟო საქმე. ამ საქმის ინიციატივა ჩვენთან ერთად ეკუთვნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს, პროფ. გივი ინწკირველს, პროფესორებს რომან შენგელიას, ვალერი ლორიას, გივი გამსახურდიას, გიორგი ბაბუნაშვილს. დღემდე შექმნილია საინტერესო მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები: ვახტანგ ქარუმიძე – საბაჟო საქმის საკითხები (1996), საქართველოს საბაჟო სამართალი (1998), საბაჟო საქმე (1999), საბაჟო სამართალი (2001), საერთაშორისო ორგანიზაციები (2003), საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები (ავტორთა კოლექტივი, 1998),; ვიქტორ ლორთქიფანიძე – საბაჟო კოდექსის, კომენტარები (2001), ვიქტორ ლორთქიფანიძე – საბაჟო საქმის საფუძვლები (2002); გონერ ურიდია – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხებში) (2001), საბაჟო ღირებულების განსაზღვრა (2002); ემზარ ჯგერენაია – საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები (2002) და სხვ.

მნიშვნელოვან გამოკვლევებს აქვეყნებენ ჟურნალები: „სამართალი" და „მაკრო მიკრო ეკონომიკა" (რედაქტორები პაატა ცნობილაძე, ემზარ ჯგერენაია). თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტებმა გამოაქვეყნეს სამეცნიერო სტატიები და წერილები (ეკა ნიკოლაძე, ალექსანდრე ჩხიტაური, მამუკა ქარუმიძე და სხვები).

2003 წლის ივნისში სამაგისტრო ნაშრომები წარმატებით დაიცვეს მაგისტრანტებმა ვასილ გაგნიძემ – საბაჟო პოლიტიკა, რუსუდან ბაღათურიამ – საბაჟო გადასახადები, გიორგი მარდალეიშვილმა – საბაჟო კონტროლი. მოდის ნიჭიერი, ბეჯითი და განსწავლული ახალგაზრდობა, რომელთა გადაწყვეტილებაა საბაჟო სამართლისა და საბაჟო საქმის საკითხების დამუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

აღსანიშნავია საბაჟო კანონმდებლობის კრებულების გამოცემა. 1996-1997 წლებში გამოიცა ნორმატიული აქტების სრული კრებული[1] სამ წიგნად. პირველი წიგნი მოიცავს საბაჟო საქმის

1 საბაჟო საქმე, ნორმატიული აქტების სრული კრებული, წიგნი 1, თბ., 1996; წიგნი 2, თბ., 1997; წიგნი მესამე, თბ., 1997.

ზოგად საფუძვლებს და საბაჟო საქმის მართვას, მეორე წიგნში მოცემულია საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირების, საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების გადაადგილება და გატარება, ხოლო მესამე წიგნში – გადასახადები და მოსაკრებლები.

2002 წელს გამოვიდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული ორ წიგნად[1] (რედაქტორ-შემდგენელი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაურ ამიდახვარი). მასში შეტანილია საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე აქტები. მისი გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა.

საბაჟო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. საბაჟო სამართალში განსაკუთრებით ხაზგასმულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების როლი. ეს აქტები დგება კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე. საბაჟო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების უმრავლესობას შეადგენენ ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული ხასიათის ბრძანებები, დებულებები, ინსტრუქციები და წესები. ხშირად ისინი მიიღებიან სხვა უწყებებთან (ეროვნული ბანკი, სამართალდამცავი, თავდაცვის, სასაზღვრო, სატრანსპორტო და სხვა უწყებები) ერთად. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაჟო კოდექსსა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებს. წინააღმდეგობის არსებობისას გამოიყენება საბაჟო კოდექსის ან შესაბამისი კანონის დებულებები. ყველა საბაჟო-სამართლებრივი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი განიხილება და რეგისტრაციაში ტარდება იუსტიციის სამინისტროში, რომელსაც ევალება კანონქვემდებარე აქტების კანონებთან შესაბამისობის კონტროლი.

საბაჟო საქმის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები აწესრიგებენ ურთიერთობებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების, საბაჟო კონტროლის, საბაჟო სტატისტიკისა და სხვა სფეროებში.

საბაჟო საქმის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი იურიდიული ძალის მქონე აქტია, რომელიც საბაჟო საქმის შესაბამის სფეროს მართავს და მისი შეუსრულებლობისას დგება

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობების კრებული, ორ წიგნად, თბ., 2002.

პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც აწესებს სამართლებრივი აქტი.

საბაჟო კანონმდებლობა საქართველოს კონსტიტუციის ის ნორმებია, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო ურთიერთობებს.

საბაჟო კანონმდებლობას მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორიცაა პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები, ფინანსთა და სხვა სახელმწიფო უწყების ზოგიერთი აქტი.

საბაჟო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 4, ნაწილი 4), „საბაჟო ურთიერთობების სფეროში გამოიყენება საბაჟო კანონმდებლობის გამოქვეყნებული აქტები, რომლებიც მოქმედებს საქონლის მესაკუთრის ან მფლობელის სრულ განკარგულებაში გადაცემის დღისათვის". აქ იგულისხმება საბაჟო გაფორმების დამთავრების დღე ან საბაჟო რეჟიმის დამთავრება.

საბაჟო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის დამახასიათებელი ნიშნები:

- საბაჟო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი არის სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამართლის ნორმებს;
- საბაჟო ნორმატიული აქტები იქმნება სახელმწიფო ორგანოების ნორმაშემოქმედებითი (კანონშემოქმედებითი) საქმიანობის შედეგად.
- იგი წარმოადგენს სამართლის ძირითად წყაროს და იურიდიულად სავალდებულოა ყველასათვის.
- აქტები მოქმედებენ მუდმივად მათ ოფიციალურ გაუქმებამდე.

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში მოცემულია მხოლოდ სამართლის ნორმები ანუ ყველასათვის სავალდებულო ზოგადი ხასიათის ქცევის წესები. ამიტომ ისინი უნდა განვასხვაოთ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისაგან, რომლებიც სამართლის წყაროს არ წარმოადგენენ. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამოიცემა სამართალ-გამომყენებელი ორგანოების მიერ, არ შეიცავენ სამართლის ნორმებს, იურიდიულად სავალდებულოა მხოლოდ ამ აქტებში მითითებულ პირთათვის, ფორმდება ბრძანებების, დადგენილებების, ბრძანებულებების, განკარგულებების სახით და გათვალისწინებულია ერთჯერადი გამოყე-

ნებისათვის და თავის მოქმედებას წყვეტენ კონკრეტული უფლების ან მოვალეობის რეალიზაციასთან ერთად (მაგალითად, საბაჟო დეპარტამენტის მუშაკისათვის დახმარების გაწევა, კონკრეტულ სამუშაოზე დანიშვნა და სხვა).

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ორი სახისაა: კანონი და კანონქვემდებარე აქტი. კანონებს წამყვანი ადგილი უკავიათ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების იერარქიაში.

საბაჟო სამართლის ნორმათა მოქმედების ფარგლები. სამართლის ნორმათა სწორი რეალიზაციისათვის აუცილებელია სამართლის ნორმათა მოქმედების ფარგლების დადგენა. 1. სამართლის ნორმის მოქმედება დროში; 2. სამართლის ნორმის მოქმედება სივრცეში; 3. სამართლის ნორმის მოქმედება პირთა წრის მიმართ.

სამართლის ნორმის მოქმედება დროში ნიშნავს, თუ რა მომენტიდან შევიდა ნორმა ძალაში და როდის წყვეტს ის მოქმედებას.

ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში ნიშნავს იმ ტერიტორიის განსაზღვრას, რომლის ფარგლებშიც მოცემული ნორმა ექვემდებარება სავალდებულო შესრულებას.

ნორმატიული აქტების მოქმედება პირთა წრის მიმართ ნიშნავს მათ გამოყენებას სამართლის სუბიექტთა განსაზღვრული კატეგორიის მიმართ ანუ იმას, თუ ვისზე ვრცელდება მოცემული ნორმები.

საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობები აღმოცენდება სამართლის ნორმებისა და განსაზღვრული ცხოვრებისეული გარემოებების საფუძველზე სამართლის კონკრეტულ სუბიექტებთან დაკავშირებით. სამართლებრივი ურთიერთობა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: სუბიექტი, ობიექტი, უფლება და მოვალეობა, იურიდიული ფაქტები.

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებია: ფიზიკური პირები (ინდივიდები), ორგანიზაციები (იურიდიული პირები) და სახელმწიფო.

სუბიექტს ახასიათებს ორი თვისება – უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ის, რისკენაც მიმართულია ამ ურთიერთობის მონაწილეთა საქმიანობა.

იურიდიული ფაქტები არის კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებები, რომელთა საფუძველზე აღმოცენდება, იცვლება და წყდება სამართლებრივი ურთიერთობა.

სამართლის თეორიაში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები იყოფა ზოგად, უწყებრივ, ადგილობრივ და შიდაორგანიზაციულ აქტებად.

ზოგადი კანონქვემდებარე აქტები თავისი იურიდიული ძალით მოსდევს კანონებს. მათი მოქმედება ვრცელდება ყველა პირზე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში. მათ მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტები; პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები.

ადგილობრივ კანონქვემდებარე აქტებს გამოსცემენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები (მერიის, გამგებლის გადაწყვეტილებები და დადგენილებები).

უწყებრივი ნორმატიული აქტები გამოიცემა სამთავრობო ორგანოების სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ (სამინისტროები, დეპარტამენტები, ინსპექციები, უწყებები) და ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სფეროზე (ბრძანებები და სხვა).

შიდაორგანიზაციული კანონქვემდებარე აქტები გამოიცემა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შიდა საკითხების რეგლამენტაციისათვის და ვრცელდება ამ ორგანიზაციის წევრებზე (ინსტრუქცია და სხვა).

ჩვენ ვეთანხმებით ჟურნალის „მაკრო მიკრო ეკონომიკის" მთავარ რედაქტორს ემზარ ჯგერენაიას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მნიშვნელობის, როლისა და იერარქიის თაობაზე[1], მათ 4 ჯგუფად დაყოფაზე.

ავტორის მიხედვით, საბაჟოს სამართლებრივ ბაზას შეადგენენ კანონები, რომლებიც საბაჟო პოლიტიკის განსაზღვრაში პრიორიტეტულნი არიან. *ეს არის საქართველოს კონსტიტუცია*, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს საბაჟო პოლიტიკას; *საბაჟო კოდექსი*, რომელიც განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების სამართლებ-

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, XV განყოფილება, საბაჟო ურთიერთობების იურიდიულ-ნორმატიული ბაზა, თბ., 2002, გვ. 581-597.

რივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადგენს საბაჟო და სხვა სახელმწიფო ორგანოთა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების პროცესში; *საგადასახადო კოდექსი*, რომელიც არეგულირებს საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს; *სისხლის სამართლის კოდექსი*, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას; *ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი*, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს; *სამოქალაქო კოდექსი*, რომელიც აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს; *კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადისა და მოსაკრებლების შესახებ* და სხვა. ეს დოკუმენტებია ძირითადი ნორმატიული აქტები, რომელთაც ეყრდნობა ყველა სხვა დოკუმენტი საბაჟო ურთიერთობის სფეროში.

ნორმატიული ბაზის *მეორე ჯგუფს* მიეკუთვნებიან კანონები, რომლებიც უშუალოდ არ არეგულირებენ საბაჟო ურთიერთობებს, მაგრამ განაპირობებენ მას. *ეს კანონებია*: აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ; საჯარო სამსახურის შესახებ; ნორმატიული აქტების შესახებ; მეწარმეთა შესახებ; საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ; გრანტების შესახებ; უცხოური ინვესტიციების შესახებ; ნავთობისა და გაზის შესახებ; სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ; ვეტერინალური მედიცინის შესახებ; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ; სუბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ; საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ; შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და

რეექსპორტის რეგულირების შესახებ; სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ; საზღვაო კოდექსი და სხვა.

მესამე ჯგუფის დოკუმენტებია: ბრძანებები, ინსტრუქციები, დებულებები, რომლებსაც ფინანსთა სამინისტრო შიდა სამუშაო დოკუმენტების სახით იღებს. ესაა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებსაც გამოსცემენ საბაჟო და ხელისუფლების სხვა ორგანოები. ამათგან აღსანიშნავია: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები გრანტით მიღებული საქონლის საქართველოს საბაჟოზე გატარების წესის, გრანტების აღრიცხვისა და გამოყენების კონტროლის შესახებ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურისა და რეფორმის პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ; ჯერ საგადასახადო შემოსავლების, შემდეგ ფინანსთა მინისტრების ბრძანებით სხვადასხვა დროს დამტკიცებული დოკუმენტები: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელების გადაადგილების, საბაჟო კონტროლისა და გაფორმების წესი; საქართველოში იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესი, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავებისა და საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში საქონლის მოქცევისათვის ლიცენზიის ფორმისა და გაცემის დროებითი წესი; ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის შესახებ; სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმა №1-ის და ფორმა №2-ის შესახებ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დებულებები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო ორგანოების ტიპური დებულება და სხვა.

მეოთხე ჯგუფის მიმართულებაა ოპერატიული მართვითი დოკუმენტები — შიდა ბრძანებები, რომლებსაც საბაჟო ორგანოები იღებენ და ამ დოკუმენტებით ხელმძღვანელობენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება საბაჟოს ადგილობრივ ორგანოთა უშუალო ბრძანებები, რომლებსაც გარკვეული, მამობილიზებელი, მაკოორდინირებელი ან სადისციპლინო მნიშვნელობა გააჩნიათ.

იურიდიული ბაზის მომზადებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს *საბაჟო დეპარტამენტის იურიდიული სამმართველო,*

რეგლის ძირითადი ამოცანაა: საბაჟო საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მომზადების ორგანიზება; დეპარტამენტში შემოსული საჩივრებისა და პროტესტების განხილვა (სამოქალაქო დავის საკითხებზე); საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისათვის სამართლებრივ საშუალებათა გამოყენების უზრუნველყოფა; საბაჟო დეპარტამენტისა და საბაჟო ორგანოების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა ორგანოებში სამართლებრივი საკითხების განხილვისას.

იურიდიული სამსახურის კომპეტენციაა, პირველ რიგში, ვიზის მიცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, პროცესუალურად გამართულია და იურიდიულად დახვეწილი; *მეორე* – აუცილებლად უნდა იყოს იურიდიული ზედამხედველობა აქტების შესრულებაზე, რომლებიც არსებული მომენტისათვის მოქმედებს; *მესამე* – სამართალდამცავ ორგანოებში (სასამართლო და სხვა ორგანოები) თავიანთი ორგანიზაციის ინტერესების დაცვა.

საბაჟო სამართალი, რომელიც პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, დაფუძნების, ჩამოყალიბების სტადიაშია. ამიტომ იგი არის სამართლის არა მარტო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, არამედ ფრიად პერსპექტიული დარგი. საბაჟო სამართალი ვითარდება საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან ერთად, რომლის სფეროში ჩართულები არიან არა მარტო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები (იურიდიული პირები), არამედ მეწარმეთა ფართო წრე, ცალკეული მოქალაქეები (ფიზიკური პირები).

საკანონმდებლო აქტებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობის მიხედვით, საბაჟო კანონმდებლობის სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

- საქართველოს კონსტიტუციის საბაჟო-სამართლებრივი ნორმები;
- კანონმდებლობა საბაჟო საქმის ორგანიზაციის შესახებ;
- კანონმდებლობა საბაჟო ორგანოებში სამსახურის სამართლებრივი რეგულირების შესახებ;
- კანონმდებლობა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების საბაჟო რეგულირების შესახებ;

- კანონმდებლობა საქონლის საბაჟო გაფორმების სამართლებრივი რეგულირების შესახებ;
- კანონმდებლობა საქონლის დეკლარირების საბაჟო რეგულირების შესახებ;
- კანონმდებლობა საბაჟო გადასახადებისა და ვალუტის კონტროლის შესახებ;
- ძირითადი საბაჟო-სამართლებრივი ნორმები საქართველოს კანონმდებლობის აქტების შემადგენლობაში (შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის, სამოქალაქო კოდექსის მუხლები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები და სხვა);
- საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა[1].

ამ დებულებას ძირითადად ვეთანხმებით. მაგრამ არ შეიძლება საბაჟო კანონმდებლობის სისტემას არ მივაკუთვნოთ საბაჟო კონტროლი და მისი სახეები, საბაჟო რეჟიმები, საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დარღვევები.

პროფესორ ბ. გაბრიჩიძის მოსაზრებით, საბაჟო კანონმდებლობის ცნება ფართო გაგებით მოიცავს არა მხოლოდ კონსტიტუციის ნორმებს, კონსტიტუციურ კანონებს, საქართველოს კანონებს, არამედ პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს, მთავრობის დადგენილებებს, რიგ სამინისტროთა აქტებს. ამ პოზიციიდან ტერმინები „საბაჟო საქმის სამართლებრივი რეგულირება“ და „საბაჟო კანონმდებლობა“ იდენტური ცნებებია. თუ მხარს დავუჭერთ მოსაზრებას, რომ ტერმინი „საბაჟო კანონმდებლობა“ მოიცავს მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს, მაშინ მოქმედ საბაჟო კანონმდებლობას უნდა მივაკუთვნოთ კონსტიტუციური ნორმები, საბაჟო კოდექსი და კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადის, მოსაკრებლების შესახებ, აგრეთვე ზოგიერთი სხვა კანონი[2]. *ამ შეხედულებას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავეთანხმოთ.*

---

1 Таможенное право, под редакцией В. Г. Драганова, М. М. Рассолова, М., 2001, с. 27.

2 Таможенное право, учебник, под редакцией проф. Б. Н. Габричидзе, М., 1995, с. 15.

საქართველოს საბაჟო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ" (1996 წლის 29 ოქტომბერი) განსაზღვრავს ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილს საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს.

სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი.

სამართლებრივი აქტი ორი სახისაა – ნორმატიული და ინდივიდუალური. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლება აქვთ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს საკანონმდებლო აქტებია:

საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.

საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილია შემდეგი იერარქია:

- საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
- საქართველოს ორგანული კანონი;
- საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება;

- საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება;
- საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება, საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება;
- საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ბრძანება;
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- საქართველოს ორგანული კანონი;
- საქართველოს კანონი, პარლამენტის დადგენილება.

კონსტიტუციური კანონები შეადგენენ ქვეყნის კონსტიტუციას, მასში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი აქტებიც კონსტიტუციურ კანონმდებლობას მიეკუთვნება. კონსტიტუცია სამართლის უმთავრესი წყაროა და, ამავე დროს, იურიდიული ბაზაა მიმდინარე კანონმდებლობისათვის ისევე, როგორც ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიღებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას კონსტიტუციის მეორე მუხლის შესაბამისად, რომლის მი-

ხედვით „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. საქართველოს კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 2, ნაწილი 4) „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით“.

მიმდინარე ანუ ჩვეულებრივი კანონები გამოიცემიან კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

კანონს უწოდებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე. კანონთან დაკავშირებულია კოდექსის ცნება. *კოდექსი* არის განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რომელიც გამოიცემა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს. იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, ორგანულ კანონს.

მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს:

1. საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც, კონსტიტუციის თანახმად, ორგანული კანონით ან კანონით არის გათვალისწინებული;

2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, ადამიანის იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები;

3. სამოქალაქო რეესტრში შესატანი მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი;

4. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა შექმნის პირობები და მათი საქმიანობის ზოგადი წესი;

5. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა შექმნისა და საქმიანობის წესი;

6. საქართველოში მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეები, სტრუქტურა, ოდენობა, მათი შემოღებისა და გადახდის წესი;

7. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სამართლებრივი სტატუსი;

8. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოთა არჩევის წესი;

9. სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული, სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა.

საბაჟო კანონმდებლობა ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც საქართველო დაადგა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული გარდაქმნების გზას. მისი შექმნა მიმდინარეობდა მიზანმიმართულად, კომპლექსურად, გააზრებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად. საბაჟო კანონმდებლობა ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით არ შექმნილა, მან განვლო ძიების, ჩამოყალიბების, სრულყოფის რთული გზა.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება განხორციელდა ეტაპობრივად. გამოიყოფა *სამი ეტაპი.*

პირველი ეტაპი მოიცავს 1990-1991 წლებს. ამ ეტაპზე შეიქმნა საქართველოს საბაჟო სამსახური, მიღებულია საქართველოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“ (1991 წლის 15 სექტემბერი) და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებშიც განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, საბაჟოების ფუნქციები და ამოცანები.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის, საბაჟო ტარიფის შესახებ დეკრეტის (1992 წლის 21 ოქტომბერი), საქართველოს კანონის „საბაჟო გადასახადის შესახებ" (1996 წლის 27 დეკემბერი), პირველი ნორმატიული აქტების, დებულებების, ინსტრუქციების, სხვა კანონქვემდებარე დოკუმენტების მიღებასთან. ეს ეტაპი მოიცავს 1992-1996 წლებს. ამ ეტაპის დამახასიათებელია საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლების შექმნა და მისი სრულყოფა; პრაქტიკული მუშაობის განზოგადება, გაანალიზება, მუშაობის ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრა; საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სისტემებისა და სტრუქტურების ფორმირება.

მესამე ეტაპი დაიწყო 1997 წლის ნოემბერში, როდესაც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საბაჟო კოდექსი. 1998 წლის დამდეგს მიღებულია აგრეთვე საქართველოს კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადის, მოსაკრებლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტები და დოკუმენტები.

დაუშვებელია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ თავიანთ უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მათ განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება. საბაჟო კოდექსი (მუხლი 4, ნაწილი 5) მთელი პრინციპულობით მიუთითებს: „აკრძალულია სხვა კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით იმ ურთიერთობათა დარეგულირება, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობის პრეროგატივას წარმოადგენს".

აღსანიშნავია, რომ საბაჟო კოდექსის თანახმად, „საბაჟო კანონმდებლობის აქტებს უპუქცევითი ძალა არა აქვთ". ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი აქტების დებულებები არ გამოიყენება წარსულში მომხდარი საბაჟო ქმედებების მიმართ.

მოკლე დასკვნები

- *სამართალი ზოგადსავალდებულო ქცევის წესების, ნორმების სისტემაა, რომელიც დადგენილია ან სანქციონირებული, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ან რეფერენდუმის გზით.*

- *სამართლის თეორიაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სამართლის სიტემას, სამართლის დარგებს, სამართლებრივ ინსტიტუტებს, სამართებრივ ურთიერთობას, სამართლის სუბიექტებს და წყაროებს, განმარტებულია აღნიშნული ცნებები.*
- *საბაჟო სამართალი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო ორგანოების საქმიანობას სახელმწიფო საზღვრის დაცვის, საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო პოლიტიკის განხორციელების დარგში. დღეისათვის არ არის საბაჟო სამართლის ცნების ერთიანი გაგება. წიგნში განხილულია სხვადასხვა მოსაზრებები.*
- *საბაჟო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის ისეთ დარგებთან, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საერთაშორისო სამართალი და სხვ.*
- *საბაჟო სამართლის ფორმირება ხდება საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების პირობებში; საპრივატიზაციო პროცესების გაღრმავების ეტაპზე; იგი ვითარდება საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობასთან ინტეგრაციის ბაზაზე.*
- *საქართველოს საბაჟო სამართლის წყაროებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილებები, საქართველოს საბაჟო კოდექსი, კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადისა და მოსაკრებლების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, ფინანსთა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა ნორმატიული აქტები, ბრძანებები, დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, სხვა ნორმატიული აქტები.*
- *საბაჟო სამართალი ორი ნაწილისაგან შედგება: ზოგადი ნაწილი და კერძო ნაწილი.*

კითხვები გამეორებისათვის

- *განმარტეთ ცნებები: სამართალი, სამართლის სისტემა, სამართლის ნორმა, სამართლის დარგი, სამართლებრივი ინსტი-*

ტუტი, სამართლებრივი ურთიერთობა, სამართლის სუბიექტი, სამართლის წყაროები.

- *დაახასიათეთ სამართლის ძირითადი დარგები და განსაზღვრეთ საბაჟო სამართლის ცნება.*
- *ჩამოთვალეთ და განიხილეთ საბაჟო სამართალთან დაკავშირებული სამართლის დარგები.*
- *რა არის საბაჟო სამართლის წყარო და ჩამოთვალეთ სამართლის წყაროები.*
- *განმარტეთ საბაჟო სამართლებრივი ნორმების არსი და მისი შემადგენელი ნაწილების შინაარსი.*
- *რა არისსაბაჟო სამართლის ძირითადი მიზნები.*
- *დაახასიათეთ საქართველოს საბაჟო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, მათი მიღების წესი, იერარქია.*

თავი 2. საბაჟოები და საბაჟო-სამართლებრივი ძეგლები ძველ საქართველოში

საბაჟოების მოკლე ისტორია

საინტერესოა საბაჟოების ისტორია. საბაჟო საქმე უძველესი დროიდან ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის განუყოფელი ნაწილი იყო. ბაჟი მოგვიანებით აღმოცენდა, როდესაც მძიმე გადასახადების შედეგად ბერძენი მონათმფლობელები მათ ტერიტორიაზე გამვლელ ვაჭრებს ახდევინებდნენ. ისინი ქსოვილის, ღვინის, იარაღის ნაცვლად იღებდნენ პურს, თევზს, მონებს და სხვა. რაც შეეხება ბაჟს საქონლის შემოტანაზე, იგი უფრო მოგვიანებით გაჩნდა. საბერძნეთში იგი შემოზიდული საქონლის ფასის ერთ მეათედს შეადგენდა. საბერძნეთში პრაქტიკით დარწმუნდნენ, რომ ზოგიერთი ბაჟი ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას და ამავე დროს, დიდი შემოსავლების მოცემაც შეეძლო. ამიტომ დემოსთენეს დროიდან, IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შემოტანის ბაჟი შეამცი-

რეს – საქონლის ფასის ერთ მეოცედ, ერთ მეორმოცდაათედ, ხოლო მოგეიანებით – ერთ მეასედამდე. ბაეისაგან თავისუფლდებოდა იარაღისა და სამხედრო დანიშნულების სხვა აღჭურვილობის შემოტანა[1].

ბაეის გადახდა ხორციელდებოდა საზღვაო პორტებსა და ქალაქის ბაზრებში. არსებობდა აგრეთვე საზღვრისპირა საბაუოები. საბაუოები საგარეო ვაჭრობის ოპერაციებს მეზობლებთან მტრული ურთიერთობის დროს წყვეტდნენ.

ბაეს ახდევინებდნენ ოქროთი ან ვერცხლით, მისი გადახდის უფლება ეძლეოდათ ცალკეულ ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს. ყოველწლიური საბაუო მოსაკრებლები ათეულში სოლიდერ თანხას შეადგენდა.

III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კართაგენში საბაუოს მოსაკრებლები სახელმწიფოს შემოსავლის იმდენად მნიშვნელოვანი წყარო იყო, რომ ჰანიბალმა, რომელმაც ერთიან სისტემაში გააერთიანა საზღვაო და სახმელეთო საბაუოები, შეძლო მთლიანად დაეფარა ყველა ხარჯი და წარმატებით ეომა რომთან.

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოზე გადიოდა აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი საქარავნო გზა – აბრეშუმის გზად სახელდებული. ამ გზით, აბრეშუმის გარდა, ევროპაში გაჰქონდათ სუნელ-სანელებლები, ნელსაცხებლები და უძვირფასესი ქვები... აქედან გამომდინარე, არც საბაუო საქმე იყო უცხო ხილი საქართველოსათვის.

ქართულ წყაროებში გამოთქმა „ბაეი“ პირველად მეთერთმეტე საუკუნეში იხსენიება. ესაა გიორგი მეორეს (1072-1089) სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი (1072 წ.). ადრე ბაეს ზუერი (ზვერი) ერქვა.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ზუერი (ზვერი) – ხარკი, ქირა, ბაეი. ბაეი – ტვირთის ხარკი, მეზუერე (მეზვერე) – ზვერის ამღები, მებაეე, საზუერე – ზვერის ადგილი, ზუერის ასაღები ადგილი – საბაუო“[2].

---

1 კაკო ახვლედიანი, საბაუო საქმის ისტორია, ჟურნ. მაკრო მიკრო ეკონომიკა, 2000, №12, გვ. 40.

2 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I, 1991, გვ. 94, 288, 460; ტომი II, 1993, გვ. 28-29.

თეიმურაზ ბაგრატიონი მიიჩნევს, რომ „ქართულად ბაჟი ‘ხვერი არის, აქედან მესვერე – მებაჟე“[1].

ფეოდალური საქართველოს ეკონომიკაში ბაჟი არაპირდაპირი გადასახადის მნიშვნელოვანი წყარო იყო. საბაჟო საქმეს საგანგებო მოხელე – შურტა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუცუხესი განაგებდა. „ბაჟი ფეოდალური ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი დარგია, – აღნიშნავდა გამოჩენილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. – მეათე საუკუნეში მესუერე და საზუერე (და, მაშასადამე, ზუერიც) უკვე ცოცხალი ტერმინები არიან“[2].

საქართველოში მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში საგარეო საქმეები გადანაწილებული იყო ჯერ სამი უწყების: ამისპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესისა და მანდატურთუხუცესის ხელში. ათაბაგობის გაჩენიდან (მე-13 საუკუნის დასაწყისი, 1207-1212 წწ.) კი საგარეო საქმეთა ფუნქცია მთლიანად უკავია ათაბაგს.

მეჭურჭლეთუხუცესი – საქართველოს საფინანსო უწყება, ახდენდა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის რეგულაციას:

- მეჭურჭლეთუხუცესი აწესრიგებდა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს;
- განსაზღვრავდა ბაჟების ოდენობას, სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის წესებს;
- უზრუნველყოფდა სავაჭრო-ეკონომიკური მაგისტრალების სრულყოფასა და უშიშროებას;
- უცხოელი ვაჭრების ქონებისა და პიროვნების უშიშროებას;
- უცხოელი ვაჭრებისა და მათ მიერ შემოტანილი საქონლის დაბინავება-შენახვას.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „საჭურჭლეს მოხელეებს გარდა, მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეით ყოფილა: 1. ძველი ქალაქები; 2. საზოგადოდ ყველა ქალაქის ამირანი“ და „მეჭურჭლენი ქალაქისანი“; 3. ვაჭარნი და აღებმიცემობა; 4. სავაჭრო გადასახადები და ბაჟი და 5. მეფის ყოველგვარი „სავაჭრო და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი“.

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, თბილისი, 1979, გვ. 27.

2 ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, 1964, გვ. 193.

საქართველოში არსებობდა არაპირდაპირი გადასახადების სამი ფორმა: ბაჟი, აქციზი და სახაზინო მონოპოლიები. როგორც საბაჟო ტარიფისა და სხვა ძეგლების გაცნობა გვარწმუნებს, არაპირდაპირი გადასახადების ეს ფორმები, გარდა წმინდა სახის აქციზისა, განვითარების ამა თუ იმ ზომითა და მასშტაბით რუსეთთან შეერთებამდე არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოში. იყო შინაგანი ბაჟები, ანუ აქციზის განუვითარებელი ფორმები და ბაჟები ნამდვილი აზრით (ე. ი. საგარეო), შინაგანი ბაჟები განიყოფებოდა: ა) ვაჭრობის მოსაკრებლებად; ბ) შეზიდვა-გაზიდვის მოსაკრებლებად.

შინაგანი ბაჟები იყო: ა) სამეფო (სახაზინო), საუფლისწულო, სადედოფლო, სამინბაშო; ბ) საკათალიკოსო, საეკლესიო, სამონასტრო და გ) ბაჟები კერძო პირთა სასარგებლოდ. ბაჟები იყოფოდა შემოზიდვის, გაზიდვის და ტრანზიტის ბაჟებად.

საქართველო უძველესი დროიდან აწარმოებდა ვაჭრობას როგორც მეზობელ სახელმწიფოებთან, ასევე ევროპის ქვეყნებთანაც. მას მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებდა არაბეთთან, სპარსეთთან, საბერძნეთთან, რომის იმპერიასთან და ა. შ. ქართველ სოვდაგრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ საუკეთესო ხარისხის მატყლი, აბრეშუმი, ძვირფასი ქსოვილები, ხალიჩები, ძვირფასი ქვები და სხვა საქონელი. საქართველო წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ხიდს, რომელზედაც გადიოდა საქარავნო გზა.

საქარავნო ვაჭრობის შესახებ ცნობები გადმოცემულია უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებში. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფდა სავაჭრო-ეკონომიკური მაგისტრალების სრულყოფას, უშიშროებას და უცხოელი ვაჭრების ქონებისა და პიროვნების დაცვას. სავაჭრო ქარავანს აუცილებლად ესაჭიროებოდა დამცველი რაზმი, რომელიც უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას გზაში. ამ რაზმის მეთაურს, წინამძღოლს ერქვა *ქარავანბაში.* მეფისაგან ბოძებული ქარავანბაშობა წარმოადგენდა გარკვეულ პრივილეგიას, ამიტომ იგი განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებს ეძლეოდათ.

მოგზაურობა ოდითგანვე წარმოადგენდა მსოფლიოს ხალხთა ურთიერთობის საშუალებას. ამ მიმართულებით მეტად

მნიშვნელოვანია ე. წ. დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც კაცობრიობის გამაერთიანებელი პირველი საკომუნიკაციო პროექტი იყო. იგი წარმატებით ფუნქციონირებდა საუკუნეთა მანძილზე. უდიდესი ტრანსკონტინენტალური სავაჭრო-საქარავნო გზა ჩინეთს აკავშირებდა შავი და ხმელთაშუა ზღვების ნაპირებს, ევროპასა და აზიას. აბრეშუმის გზა უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალი იყო აზიასა და ევროპას შორის, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში სათავეს ჩინეთში იღებდა და XVIII საუკუნის ბოლომდე ფუნქციონირებდა. იგი იყო არა მხოლოდ სავაჭრო გზა, არამედ კულტურათა, რელიგიათა, ფილოსოფიათა დიალოგი, მოგზაურთა შეხვედრების სარბიელი.

ამ გზის ერთ-ერთი განშტოება გადიოდა საქართველოზე – მიემართებოდა არალის ზღვისაკენ და კასპიის ზღვის გავლით შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში, კვეთდა მის ტერიტორიას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და საქართველოს უძველეს საპორტო ქალაქ ფაზისიდან აღწევდა ბიზანტიასა და რომს.

საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ძველად საბაჟო დაწესებულებას „საზუერე“ ეწოდებოდა. მან ყურადღება მიაქცია „ქართლის ცხოვრებაში“ მოყვანილ ცნობას, სადაც მოხსენიებულნი არიან „აზნაურნი საზუერელნი“. სათანადო ტექსტის დამოწმებით მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ძველ ქართულ მწერლობაში, მაგალითად, სახარებაში, საზუერე საბაჟო დაწესებულებას ეწოდებოდა, ამიტომ „აზნაურნი საზუერელნი“ ალბათ საზუერეს ანუ საბაჟოს მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ“.

სიტყვა „ბაჟი“ რომ XI საუკუნეზე გაცილებით ადრე იხმარებოდა საქართველოში, ეს ნათლად ჩანს იოანე ბოლნელის ქადაგებიდან. მას მოჰყავს ადგილი ოთხთავიდან, სადაც მოხსენიებულია ტერმინები „მეზუერე“ და „საზუერე“ და იძულებულია თავის მრევლს განუმარტოს, რომ „მეზოვერე იგი არს მებაჟე, ხოლო საზოვერე იგი არს ადგილი, სადაც იგი ბაჟსა უყოფდეს“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ბოლნელის მსმენელთ უკვე აღარ ესმით ამ ტერმინების მნიშვნელობა, არსი, ვინაიდან ისინი უკვე დიდი ხანია ამოღებულია ხმარებიდან და შეცვლილია „მებაჟეთი“ და „საბაჟოთი“.

მაშასადამე, „მეათე საუკუნეში მეზუერე და საზუერე უკვე ცოცხალი ტერმინები აღარ არიან“ – ასკვნის გამოჩენილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. იგი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ უძველეს დროს, როცა ჯერ კიდევ ტერმინები „ბაჟი“ და „საბაჟო“ არ იყო შემოსული, „გაღმა მხარეში“ ანუ შემდეგდროინდელ საციციანოში არსებობდა საბაჟო დაწესებულება, რომელსაც „საზუერე“ („ზუერის ადგილი“) ერქვა.

საბაჟო საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირთათვის განსაკუთრებით საყურადღებოა გადასახადებისა და საგადასახადო ორგანიზაციების განმსაზღვრელი ძეგლები, რომლებიც ზოგადად „გარიგების წიგნების“ სახელწოდებითაა ცნობილი. მათში დაწვრილებითაა ასახული თითოეული გადასახადის ოდენობა, გადამხდელთა კატეგორიები, გადასახადების გადახდისა და აკრეფის წესი, საგადასახადო დაწესებულებები, გადასახადების ამკრეფ მოხელეთა უფლება-მოვალეობანი. მათში ბევრი ჩვენთვის საინტერესო ცნობების აღმოჩენაა შესაძლებელი. ასეთ ძეგლებს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო სისტემის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამ ხასიათის ძეგლებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც საკმაოდ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის საფინანსო უწყების ხელმძღვანელის, მეჭურჭლეთუხუცესის უფლება-მოვალეობებისა და მისი ხელქვეითი მოხელეების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია *„მუშრიბი“*, რომელსაც ებარა შემოსავლის განსაკუთრებული დარგი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადები. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია: „მუშრიბი, რაც ქალაქში საჭურჭლე შევა და ნავაჭრი რაც შევა, და სანელებელი, მასტაკი და სამარხო წამალი, სახმარი თუთუბო, ესეცა მუშრიბმა იცის და უხუცესთა მიათვლის“. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, საქართველოს ქალაქებში გასაყიდად შემოსატან განსაზღვრულ საქონელსა და საგნებზე, კერძოდ, სანელებლებზე და სხვა სამზარეულო მასალაზე დაწესებული იყო განსაკუთრებული გადასახადი – ბაჟი; სწორედ ამ ქალაქთა ბაჟისა და სავაჭრო გადასახადების აკრეფა ევალებოდა მუშრიბს.

მეჭურჭლეთუხუცესობის დაწესებამდე საქართველოში საბაჟო საქმეს განაგებდა საგანგებო მოხელე – შურტა. როგორც გიორ-

გი II-ის სიგელიდან ჩანს, მას ქალაქის ბაზრისა და ბაჟის ზედამ-ხედველობა უნდა ჰბარებოდა. ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელში მოხსენიებულია „საკოშრე“ გადასახადი, რომელიც სასწორზე დადებულ ანუ სასასწორო გადასახადს ნიშნავდა. აკად. ივ. ჯავა-ხიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ქალაქში იყვნენ ბაჟის ამ-კრეფი და სასწორთან დაყენებული დაბალი მოხელეები. რაკი იმ სიგელში, სადაც პირველად ბაჟია მოხსენიებული, მოხელეთა შორის შურტაც არის დასახელებული და რაკი იგი მოედნის ზედამხედველი იყო, შეიძლება მებაჟე და მეკოშრე მისი ხელქვე-ითი მოხელეები ყოფილიყვნენ“.

ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელში მოხსენიებულ გადასახა-დებს შორის აღსანიშნავია „სახიდე“ გადასახადი. სავარაუდოა, რომ მას ახდევინებდნენ ხიდით სარგებლობისათვის საქონლის შემოტანისას ან გატანისას. აქედან გამომდინარე, იგი არაპირდა-პირი გადასახადის ერთ-ერთი სახე უნდა ყოფილიყო. როდის ან რაზე ახდევინებდნენ ხიდის ფულს, საბუთიდან არ ჩანს.

შესაძლოა, სწორედ აღნიშნული გადასახადი დაედო საფუძ-ვლად მოგვიანებით მცხეთის ხიდზე გასავლელი ბაჟის წარმო-შობას. მეფის მიერ საფასურის აღების პრივილეგიები ბოძებული ჰქონდა მცხეთის ტაძარს. ეკლესია ვალდებული იყო დაეყენებინა ყარაული, რომელიც დაიცავდა მგზავრსა და ქარავანს გ'საზე.

საქართველოს საფინანსო სისტემის შესასწავლად საკმაოდ მდიდარ მასალას გვაწვდის *ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“*. მასში საბაჟო გადასახადების შესახებაც მოიპოვება ცნობები. კერძოდ, დასახელებულია *ხილის ბაჟი*, რომლის ერთი წილი ეკუთვნოდათ მოურავსა და მელიქ-მამასახლისს, ხოლო ორი წი-ლი — მეფეს; *ტივის ბაჟი*, რომელსაც სალბაში ეწოდებოდა — თითოეულ ტივზე აიღებოდა თითო ხე მეფის სასარგებლოდ. ეს მოსაკრებელი დატოვებულ იქნა რუსეთთან შეერთების შემდეგაც იმავე განაკვეთით, მაგრამ ვინაიდან მორები ზომითა და ხარის-ხით ერთნაირი არ იყო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ეს ნატურალური გადასახადი ფულით შეცვლილიყო; *ჭალის მწვა-ნილის ბაჟი, ტყვის ბაჟი, ჩილიეჭის ბაჟი*, რომელიც წარმოად-გენდა შემოსაზიდ და გასაზიდ ბაჟს.

როგორც ამ ძეგლიდან ირკვევა, ქალაქში გასაყიდად შემოტა-ნილ საქონელზე დაწესებული იყო საბაჟო გადასახადი, რომელ-

საც ქალაქის მებაჟე იღებდა. მაგალითად, „დასტურლამალში“ მოხსენიებულია გორის ბაჟი და გორის მებაჟე.

XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს საქალაქო გადასახადების სისტემისა და შემოსავლის შესახებ ბევრ საგულისხმო ცნობას შეიცავს „ქალაქის მოურავის სარგო“ (1784-1790 წწ.).

მიუხედავად ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა, ქალაქის შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს მაინც გარედან შემოტანილი საქონელი შეადგენდა. როგორც ამ ძეგლიდან ირკვევა, *ქალაქ თბილისს ექვსი კარი ჰქონდა:* ერთს ერქვა „აბანოს კარი“, მეორეს – „განჯის კარი“, მესამეს – „დიღმის კარი“, მეოთხეს – „კოჯრის კარი“, მეხუთეს – „წყლის კარი“, მეექვსე კარის სახელი მოხსენიებული არ არის. ყოველგვარი საქონელი თბილისში ქალაქის ექვსივე კარით შემოჰქონდათ. მხოლოდ შეშა შემოიზიდებოდა, როგორც ჩანს, სამი კარით – დიღმის, კოჯრისა და წყლისკარით.

ქალაქის ჭიშკრებზე ზედამხედველობა დაკისრებული ჰქონდა სპეციალურ მოხელეს – მინბაშს, რომელიც კრებდა სამინბაშო მოსაკრებელს. მას ებარა ქალაქის ჭიშკრის გასაღები და საქონლის შემოზიდვა-გაზიდვის შემთხვევაში ჭიშკრის გაღებისათვის გადასახადს ახდევინებდა.

ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია „კახეთ-ქიზიყის XVIII ს-ის შუა წლების გამოსაღების გარიგების წიგნი“. როგორც ამ ძეგლიდან ირკვევა, ბაჟები იყოფოდა შემოზიდვისა და გაზიდვის ბაჟებად.

საზღვარგარეთ გაზიდვისა და შემოზიდვის ბაჟები მთლიანად მეფეს ეკუთვნოდა: „გაღმის ბაჟი რაც გამოვა, ან ჭარისა, ან ენისლისა, ან შირვანისა, სულ ბატონისა არის, მოურავს ხელი არა აქვს გამსვლელი თუ გამომსვლელი“.

ქიზიყის ბაჟი იყო სამეფოც და სამოურავოც, აქედან ორი წილი ეკუთვნოდა მეფეს, ხოლო მესამედი – მოურავს.

ბაჟის შესახებ ცნობები დაცულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, კერძოდ, ბერძნულ სამართალში. კრებულში შეტანილი ბერძნული სამართლის მოქმედებას ადასტურებს ზანდუკი ანუ საძიებელი, რომელიც შედგენილია კრებულის ყველა ძეგლის მუხლის გათვალისწინებით. მთელ რიგ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ კაზუსის შესაბამისი ნორმა ეროვნუ-

ლი სამართლის წიგნებში არ მოიპოვებოდა, გამოიყენებოდა უცხო კანონთა სათანადო მუხლები.

ამ ძეგლში მოყვანილი ერთ-ერთი მუხლიდან ირკვევა, რომ ელჩს სახღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟი უნდა გადაეხადა, ხოლო ადგილზე ნაყიდ და აქედან წაღებულ ნივთებზე საბაჟო გადასახადს არ ართმევდნენ.

ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მებაჟეს უფლება ჰქონდა ხუთი წლის განმავლობაში ორმაგი გადასახადი დაეკისრებინა დამრღვევისათვის. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მას მოთხოვნისა და გამორთმევის უფლება აღარ ჰქონდა.

საქართველოში არსებობდა პირთა გარკვეული კატეგორია, რომელიც თავისუფალი იყო ყოველგვარი გადასახადისაგან. მათ ქართველი მეფეების სიგელებით შეუვალობის უპირატესობა ჰქონდათ მინიჭებული. ამგვარი პრივილეგიებით სარგებლობდა ეკლესია და პირთა განსაზღვრული წრე.

იმ მამულს ან ქონებას, რომელიც გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო, „შეუვალი“ ერქვა, იმის გამო, რომ გადასახადის ამკრეფ მოხელეებს მამულში შესვლის უფლება არ ჰქონდათ.

შეუვალობის სიგელი აუცილებლად უნდა განახლებულიყო შემდგომი მეფის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ძალას კარგავდა და ბათილად ცხადდებოდა.

ეკლესიის საბაჟო პრივილეგიების შესახებ მეტად საინტერესო ცნობაა შემონახული XVIII ს-ის მეორე ნახევრის საბუთში, რომლის სახელწოდებაა „არსა ქრისტეს საფლავის ყრმის ზაქარიასი ბაჟის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით“ (1790 წ.). ამ ძეგლიდან ირკვევა, რომ საეკლესიო ყმანი განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარი ბაჟისაგან და შეუვალობის უპირატესობა ჰქონდათ მინიჭებული.

შეუვალობასთან ერთად ეკლესია-მონასტრები ბაჟის ერთგვარი ავტონომიის უფლებითაც სარგებლობდნენ. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნას ვახტანგ VI-ის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული „ფირმანისა და ბრძანების“ წიგნი (1719 წ.). მასშინაარსია, რომ საეკლესიო მამულები – გორი, თრიალეთი, საბარათიანო, ზემო ქართლი, საციციანო განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან. იასაულსა და

მოურავს უფლება არ ჰქონდათ ნივთების შემოტანა-გატანისათვის საეკლესიო გლეხებისათვის ბაჟი გადაეხდევინებინათ: „ყოველისფრის ბაჟსა თქვენი მებაჟე აიღებდეს და თქვენ მოგართმევდესთ, ჩვენ მებაჟეს და მოსაქმეს ხელი ნუ აქვს“. გარდა ამისა, სვეტიცხოველსა და კათალიკოსს ეძლეოდათ შემოზიდულ და გაზიდულ საქონელზე აღებული ბაჟიდან მესამედი.

თეიმურაზ II-მ მცხეთის ეკლესიას და დომენტი კათალიკოსს უბოძა სიგელი ოსეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული ბაჟის მესამედი ნაწილის წყალობის შესახებ, რომელიც თავის მხრივ განაახლა ერეკლე II-მ.

მეფეების მიერ დადგენილი ქართული საბაჟო ტარიფის მიხედვით, საეკლესიო გლეხები სახაზინოსთან შედარებით იხდიდნენ სატარიფო განაკვეთის მხოლოდ ნახევარს და ეს ნახევარიც მიდიოდა იმ ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ, რომელთა ყმებსაც ისინი წარმოადგენდნენ.

შეუვალობის უპირატესობით სარგებლობდნენ, აგრეთვე, კერძო პირებიც. ქართლ-კახეთის სამეფოში უბაჟოდ ვაჭრობის შესახებ პრივილეგიები გაცემულია ძირითადად უკანასკნელი მეფეების თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მიერ. სამეფოში არსებული საბაჟოების შემოსავალი მთლიანად ეკუთვნოდათ მეფის ოჯახის წევრებს — დედოფალსა და უფლისწულებს.

მეფეების მიერ გაცემული სიგელები კერძო პირებს ანიჭებდა თანამდებობასთან დაკავშირებულ შემოსავალს. მაგალითად, შინაგან ბაჟებს კრეფდნენ თავადი ორბელიანები თავიანთ სასარგებლოდ მათ მამულზე გავლილ ურემსა და საპალნეზე; ბაჟს ახდევინებდნენ, აგრეთვე, პირუტყვზეც. საყარაულო ბაჟს ღებულობდნენ თარხნიშვილები, ბაგრატიონ-მუხრანელები და სხვა.

საქართველოში არსებობდა შინაგანი ბაჟები მეფის, ეკლესიისა და კერძო პირთა სასარგებლოდ. შინაგანი ბაჟების სიმრავლე განპირობებული იყო იმით, რომ ქვეყანა დაყოფილი იყო სამთავროებად, სათავადოებად და სხვა ერთეულებად. საკუთარ სამფლობელოში საბაჟო მოსაკრებლებს ყველა თავისი შეხედულებისამებრ და სურვილისამებრ აწესებდა. *საბაჟოები მოწყობილი იყო არა საზღვრებზე, არამედ ქალაქების კარებთან,* აგრეთვე მსხვილი ფეოდალების სამფლობელოებთან მისასვლელ გზებზე. აქედან გამომდინარე, საქონელი ქვენის შიგნით უბაჟოდ შემოდი-

ოდა, ბაჟით იბეგრებოდა ქალაქებში შემოზიდული და ზოგიერთ სამფლობელოზე გატარებული საქონელი.

შინაგანი ბაჟების უდიდესი ნაწილი გაცემული იყო იჯარა-შესყიდვის წესით, რაც მეტად აფერხებდა კომერციული მეწარმეობის განვითარებას. საქართველოს ყველა ქალაქში სხვადასხვა ზომის ბაჟი იყო დაწესებული. არ არსებობდა ერთიანი საბაჟო ტარიფი, რაც მოიჯარე-შემსყიდველს აძლევდა უფლებას თვითნებურად დაეწესებინა გადასახადი თავის სასარგებლოდ შემოზიდულ და გაზიდულ საქონელზე.

ამგვარად, საბაჟო საქმე საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა. ამაზე მიუთითებს ქართულ წყაროებსა და საკანონმდებლო ძეგლებში დაცული ცნობები საბაჟო გადასახადებისა და საბაჟო მოხელეთა უფლება-მოვალეობების შესახებ. ბაჟი საქართველოს ეკონომიკაში წარმოადგენდა არაპირდაპირი გადასახადის მნიშვნელოვან წყაროს. მის ძირითად დანიშნულებას შეადგენდა სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხაზინის შემოსავალს მნიშვნელოვნად ამცირებდა ქართველი მეფეების მიერ კერძო პირთათვის და ეკლესიისათვის მინიჭებული მრავალი პრივილეგია და შეღავათი. ამ უპირატესობის ძალით, მათ უფლება ჰქონდათ შემოეზიდათ ან გაეზიდათ საქონელი ხაზინისათვის ბაჟის გადაუხდელად.

ისტორიული წყაროები და საბუთები ადასტურებენ საქართველოში საბაჟო საქმის ერთიანი, ყოვლისმომცველი და მიზანმიმართული ტრადიციების არსებობას. XVIII საუკუნეში საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული იყო საბაჟო საქმის საინტერესო ტრადიციები და მიმართულებები.

ისე როგორც მეზობელი ქვეყნების, ასევე საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერიამ გააუქმა არსებული სუვერენული ეკონომიკური ინსტიტუტები და გარდაქმნა ისინი ერთიანი ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილებად. დაპყრობილი ქვეყნების მართვაში გააძლიერა ცენტრალიზებული საწყისები და ფაქტიურად გააუქმა სუვერენული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მართვის დამკვიდრებული წესები.

რუსეთ-საქართველოს საბაჟო ეკონომიკური ურთიერთობები დოკუმენტურად განისაზღვრა და აისახა გეორგიევსკის ტრაქტატში, შემდეგ რუსეთის იმპერატორ პავლესა და საქართველოს

მეფე გიორგი XII-ს შორის დადებული ხელშეკრულების, ტრაქტატის განმარტებით დოკუმენტებში.

ქართლ-კახეთის ანექსიისთანავე (1801 წ.) მეფის რუსეთმა ყურადღება მიაქცია ამ რეგიონში შემოსავლების აღრიცხვის, ხოლო 1802 წელს საქართველოში რუსეთის წარმომადგენელმა გენერალ-ლეიტენანტმა კნორინგმა ერთი წლით იჯარით გასცა სახელმწიფოს შემოსავლების ისეთი ძირითადი წყაროები, როგორიცაა ბაჟის აკრეფა, სხვადასხვა სახეობის პროდუქციით ვაჭრობის მონოპოლია და სხვა. სულ მალე საბაჟო საქმე მთლიანად დაუქვემდებარა ერთიან იმპერიულ საბაჟო-სატარიფო პოლიტიკას.

ცარიზმის საბაჟო-სატარიფო კანონმდებლობა ყოველთვის იცავდა რუსი მრეწველებისა და ვაჭრების ინტერესებს, ხოლო საქართველო მიაჩნდა მეტროპოლიის ეკონომიკის განვითარების სანედლეულო დანამატად.

საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ (1801 წ.) ცარიზმი ატარებდა საკუთარ საფინანსო და საბაჟო პოლიტიკას, რაც ქვეყნის ეკონომიკური დამორჩილებით, ქართული ფულის გაუქმებით დამთავრდა. 60-იანი წლებიდან ცარიზმის საბაჟო პოლიტიკა საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდა.

ცარიზმი საქართველოში ეტაპობრივად ატარებდა რუსეთის სახელმწიფო წყობილებასთან შეუთავსებელი ქართული პოლიტიკური სისტემის მოშლას, საკუთარ საფინანსო და საბაჟო პოლიტიკის დამკვიდრებას.

ცარიზმის პერიოდის რუსეთში საგარეო ვაჭრობასა და საბაჟო ურთიერთობების სფეროს განაგებდა რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარებოდნენ მთლიანად იმპერიაში და, მათ შორის, საქართველოში არსებული საბაჟო დაწესებულებები.

რუსეთი ცდილობდა ამიერკავკასიაზე და, მით უფრო, საქართველოზე სხვა ქვეყნების ზეგავლენა შეესუსტებინა, ამიტომაც ირანისა და თურქეთის საზღვრებზე რუსეთის მიერ საკარანტინო სისტემის ორგანიზაცია თანდათან ვითარდებოდა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო საბაჟო სისტემასთან და მასთან ერთობლიობაში იცავდა საზღვრებს კონტრაბანდული და სხვა სახის საქონლის შემოტანისაგან. 1804 წელს იმპერიის ფინანსთა და შინაგან

საქმეთა სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე ამიერკავკასიაში დაარსდა საბაჟო-საკარანტინო პუნქტები კასპიის ოლქში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

1847 წლის 4 მაისს იმპერატორის მიერ დამტკიცებული „კავკასიისა და ამიერკავკასიის საკარანტინო და საბაჟო სამსახურის“ დებულების საფუძველზე კავკასიის ტერიტორიაზე დაარსდა ე. წ. საკარანტინო-საბაჟო „ლინიები“: 1. ამიერკავკასიის, 2. სოხუმ-კალეს და 3. კავკასიის „ლინიები“.

აღნიშნულ საკარანტინო-საბაჟო პუნქტებს განაგებდნენ ამ პუნქტების უფროსები. საქართველოში არსებობდა ე. წ. საკარანტინო-საბაჟო დისტანციები: რედუტ-კალე-ყულევის დისტანცია (ყულევის, წმ. ნიკოლოზის, ოზურგეთის და სხვა საბაჟოებით), აფხაზეთის დისტანცია (სოხუმ-კალეს, ოჩამჩირის, ბომბორის, ბიჭვინთის, გაგრის, კელასურის საბაჟოებით), ჩერქეზეთის დისტანცია (გაგრიდან ბოღაზამდე არსებული საბაჟოებით). ამასთან, დამოუკიდებლად არსებობდა თბილისის სასაწყობო საბაჟო და მას დაქვემდებარებული სოხუმის საბაჟო-საკარანტინო, რომლებიც დისტანციების შემადგენლობაში არ შედიოდნენ.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო უწყება ორ დიდ ოკრუგად ჩამოყალიბდა: ქუთაისისა და ბაქოს ოკრუგებად. მათ ეჭირათ ორი ზღვის (კასპიისა და შავი ზღვების) და ერთი სახმელეთო – სპარსეთისა და თურქეთის სასაზღვრო სივრცე.

ვინაიდან ცარიზმის ინტერესებში შედიოდა შავ ზღვაზე გაბატონება, ამიტომ დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავსადგურების კეთილმოწყობასა და ახალი საპორტო-საბაჟო ნავსადგურების დაარსებას. 1804 წელს ყულევში აიგო ციხესიმაგრე რედუტ-კალეს სახელწოდებით, რომელიც იქცა მნიშვნელოვან ნავსადგურად, სადაც მდებარეობდა საბაჟო პუნქტიც. 60-იან წლებში, უკეთესი ადგილმდებარეობის გამო, ნავსადგური საბაჟო დაწესებულებებით ყულევიდან ფოთში გადაიტანეს და, როგორც იმდროინდელი საბუთებიდან ჩანს, ფოთის ნავსადგურის საბაჟოზე არსებული ტვირთბრუნვის შედეგად მიღებული შემოსავლები აჭარბებდა შავი ზღვისპირზე ერთად აღებული ყველა ნავსადგურის საბაჟოდან მიღებულ შემოსავლებს.

1804-1808 წლებში რუსეთის იმპერატორის მიერ გამოიცა 4 განკარგულება, რომლითაც აუქმებდა შინაგან ბაჟებს საქართველოში, ე. ი. ქართველ თავადაზნაურებს აეკრძალათ მათ ტერიტორიაზე გამავალ საქონელზე ბაჟის აღება. 1831 წლის 6 მარტს რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა დებულება „ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და ბაჟების საქმის მოწესრიგების შესახებ". ამის საფუძველზე თანდათანობით გაუქმდა ადგილობრივი ფეოდალური საბაჟოები და დამკვიდრდა რუსეთის იმპერიის ერთიანი საბაჟო სამსახური.

საბაჟო სამსახური 1918-1921 წლებში

იმის შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა (1918 წლის 26 მაისი), საჭირო გახდა საბაჟო პოლიტიკისა და ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავება, რომელიც სამართლებრივად მოაწესრიგებდა ამ უაღრესად მნიშვნელოვან სფეროს. მართლაც, ეროვნული საბჭოს მიერ უკვე *1918 წლის 30 აგვისტოს მიღებული იქნა კანონი „საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ"*, რომლითაც განისაზღვრა საბაჟო ორგანოთა სტრუქტურა, კომპეტენცია, მათი ამოცანები და ფუნქციები, საბაჟო დაწესებულებათა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. კანონის მიხედვით, გაუქმდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ დაწესებული ყველა საბაჟო: თბილისის პირველი ხარისხის საბაჟო, ბათუმის პირველი ხარისხის საბაჟო, ფოთის მეორე ხარისხის საბაჟო, გუდაუთის, ოლთის, ორჯოხის, ოჩამჩირის, სოხუმის საბაჟო საყარაულოები, ანაკლიის, გაგრის, ახალგაგრის, ლიმანის საბაჟო ბინები, აგრეთვე გაუქმებულად გამოცხადდა ამ დაწესებულებათა მთავარი სამმართველო, საინსპექციო საბაჟო უწყება, სულ 14 საბაჟო დაწესებულება.

აღნიშნული ორგანოების გაუქმების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა 19 საბაჟო უწყება:

ა) მთავარი საბაჟო — ქ. თბილისში;

ბ) მეორე ხარისხის საბაჟოები — ნატანებსა და სოხუმში;

გ) მესამე ხარისხის საბაჟოები — გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ათონში, ანაკლიაში, ფოილოში, ლაგოდეხში, ვორონცოვკაში, ნარ-

ლევანში, ბაკურიანში, აწყურში, აბასთუმანში, ოსურგეთსა და დარიალში.

განხორციელებული რეფორმის შედეგად საქართველოში საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. მინისტრი განაგებდა მთელი საბაჟო უწყების საქმეებს მთავარი საბაჟოს საშუალებით. საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, მას უფლება ჰქონდა გადაეტანა ზემოთ ხსენებული საბაჟოები ეროი ადგილიდან მეორეზე, შეეცვალა საბაჟოს ხარისხი, გაედიდებინა ან შეემცირებინა შტატი, თუ ეს ცვლილება ზედმეტ ხარჯს არ გამოიწვევდა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა საბაჟო დაწესებულება მართვა-გამგეობის მხრივ დაექვემდებარა მთავარ საბაჟოს. იგი წარმოადგენდა ცენტრალურ სამმართველო დაწესებულებას, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ქვემდგომი ორგანოების საქმიანობას, თვალყურს ადევნებდა მათ მიერ ამ სფეროში არსებული კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულებას, განმარტავდა საჭირო და გაუგებარ კითხვებს, ტარიფის შესრულებასა და პრაქტიკული შეფასების საქმეს, წარმომადგენელი იყო უწყებისა და სასამართლოს წინაშე. მთავარი საბაჟო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა განკარგულებებს, რომელიც სავალდებულო იყო შესასრულებლად ყველა ქვემდგომი ორგანოსათვის.

მთავარი საბაჟოს ხელმძღვანელ თაამდებობის პირს წარმოადგენდა გამგე, რომელიც ინიშნებოდა ფინანსთა მინისტრის წარდგენით და მთავრობის განკარგულებით. ამ უწყების შემადგენლობაში შედიოდნენ, აგრეთვე, შემდეგი თანამდებობის პირები: გამგის თანაშემწე, რევიზორი, უფროსი და უმცროსი თანაშემწეები, ხაზინდარი, ბუღალტერი, ბუღალტრის უფროსი და უფროსი თანაშემწეები, საწყობის ზედამხედველი, მისი უფროსი და უმცროსი თანაშემწეები და, ბოლოს, დარაჯ-მოსამსახურენი.

მთავარ და პირველი ხარისხის საბაჟოებს უფლება ჰქონდათ დაებეგრათ საქონლის ექსპორტ-იმპორტი, აგრეთვე გაეცათ ნებართვა ყოველგვარი საქონლის შემოტანასა და გატანაზე. იგივე უფლებით სარგებლობდნენ მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქონელს ესაჭიროებოდა

ქიმიური ანალიზი, როგორიც იყო სამკურნალო წამალი, სააფთიაქო და საღებავი მასალა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეორე ხარისხის საბაჟოები არსებობდა ნატანებსა და სოხუმში. ამ დაწესებულებებს სათავეში ედგათ გამგე, ხოლო მის აპარატში შედიოდნენ უმცროსი კონტროლიორი, ბუღალტერი, იგივე მდივანი, მისი უფროსი თანაშემწე, საწყობის ზედამხედველი (იგივე გემების ზედამხედველი — სოხუმის საბაჟოში), მისი თანაშემწე (უმცროსი თანაშემწე — ნატანების საბაჟოში), დარაჯ-მოსამსახურენი.

მესამე ხარისხის საბაჟოები, რომლებიც საბაჟო დაწესებულებათა ყველაზე მრავალრიცხოვან რგოლს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შედგებოდა გამგის, მისი თანაშემწისა და დარაჯ-მოსამსახურეებისაგან.

ეს საკანონმდებლო აქტი წარმოადგენდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმატებულ მცდელობას, მტკიცე სამართლებრივი საფუძველი დაედო ქვეყნის საბაჟო სისტემის აღორძინებისა და განვითარებისათვის. სამწუხაროდ, საქართველოს არ დასცალდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საბაჟო დაწესებულებათა დახვეწა და სრულყოფა. მიუხედავად ამისა, დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო მემკვიდრეობამ უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე საბაჟო პოლიტიკის შემუშავების საქმეში.

მოგვიანებით საქართველოს საბაჟო დაწესებულებათა მოწყობაში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ბათუმის ტერიტორიის საქართველოსთვის შემოერთებით. ამის გამო გაუქმებულად გამოცხადდა ნატანების საბაჟო და მის მაგივრად მოქმედება დაიწყო ბათუმის საბაჟომ.

მეორე ცვლილება დაკავშირებული იყო მთავარი საბაჟოს რეორგანიზაციასთან, კერძოდ, მას გამოეყო საბაჟოთა ნაწილი და დაექვემდებარა უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს. აღნიშნულ ორგანოს სათავეში ჩაუდგა გამგე, ხოლო მთავარი საბაჟო გაუქმებულ იქნა, როგორც ცენტრალური დაწესებულება.

როგორც აღნიშნული პერიოდის დოკუმენტებიდან ირკვევა, საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის საბაჟოს სტრუქტურის მოწესრიგებასა და მისი მოქმედების გაფართოებას, ვინაიდან იგი წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამა-

კავშირებელ ხიდს და, აქედან გამომდინარე, აღებ-მიცემობის მამოძრავებელ ღერძს.

საბაჟო კანონმდებლობაში განსაზღვრული იყო საბაჟოს მოხელეთა უფლება-მოვალეობანი. ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ნაწილის მიერ შემუშავებულ იქნა დებულება, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებულნი იყვნენ გამოეჩინათ ზრდილობიანი და თავაზიანი მოპყრობა უცხოელ და შინაურ ვაჭარ-მრეწველთა მიმართ, უფლება არ ჰქონდათ თვითნებურად შეეიწროებინათ მოქალაქეები. მათ ევალებოდათ საბაჟო კანონების მტკიცედ და განუხრელად შესრულება და დაცვა, რაც მოთავარია – პატიოსნება. კანონის შეუსრულებლობისა და დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა, ხოლო დამრღვევი განიდევნებოდა საბაჟო უწყებიდან.

საქართველოს მაშინდელი საბაჟო კანონმდებლობისთვის უცხო არ არის „საბაჟო საწყობის“ ცნება. ფინანსთა მინისტრის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ბათუმის საბაჟოში არსებობდა საწყობები, სადაც ინახებოდა უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი. იმ შემთხვევაში, თუკი მეპატრონე ვერ გაასაღებდა მას საქართველოში, მისი სურვილის თანახმად, საწყობში დაწყობილი საქონელი უკან იგზავნებოდა.

საბაჟო კანონმდებლობით უზრუნველყოფილი იყო თავისუფალი ტრანზიტი. იმ სახელმწიფოებიდან შემოტანილი საქონელი, რომელთანაც საქართველოს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, თავისუფალი იყო საბაჟო გადასახადისაგან, მხოლოდ მიღებული საქონლის საბუთებში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ იგი ტრანზიტს ექვემდებარებოდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყველა ზომას ღებულობდა საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და სრულყოფისათვის, ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლების დასაცავად. საქართველოს კანონები სავსებით უზრუნველყოფდა კერძო კაპიტალის, მათ შორის უცხოური კაპიტალის ხელშეუხებლობას და სრულებით არ ზღუდავდა კერძო ინიციატივას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დეკლარაცია საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და რესპუბლიკის საზღვრებში საქონლის თავისუფლად შეტა-

ნა-გატანის შესახებ. აკრძალვა ეხებოდა იმ საქონელს, რომლის შემოტანა საკანონმდებლო წესით აკრძალული იყო. ეს შეზღუდვა, პირველ რიგში, ითვალისწინებდა ფუფუნების საგნებს. დეკლარაციაში აღნიშნული იყო საქართველოს მისწრაფება დასავლეთ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისაკენ. რესპუბლიკის მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა ევროპასთან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის განსამტკიცებლად და კეთილმეზობლური კავშირების დასამყარებლად. საქართველოს ნავსადგურები თავისუფალი ვაჭრობისათვის გახსნილი იყო. დეკლარაციაში მოცემული იყო გარანტიები, რომლებიც უსრუნველყოფდა უცხო ქვეყნების ვაჭართა ინტერესების დაცვას და საქმიანობის შეუზღუდავი პირობების შექმნას. მათ უფლება ჰქონდათ საქონლის თავისუფალი შემოტანისა და ვაჭრობისა. ყველა შემოტანილ საქონელზე მხოლოდ განსაზღვრული საბაჟო გადასახადი უნდა გადაეხადათ.

იმდენად, რამდენადაც საქართველო წარმოადგენდა ევროპის დამაკავშირებელ ხიდს ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან, კერძოდ, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ამდენად, აღნიშნული დეკლარაცია ვაჭრებს აძლევდა საქართველოს ნავსადგურებიდან ჩამოთვლილ სახელმწიფოებში საქონლის ტრანზიტის უფლებას. ქვეყნის საზღვრებში შემოტანილი ყოველგვარი საქონელი მესაკუთრის ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა. გარკვეული შეზღუდვები იყო დაწესებული სურსათ-სანოვაგისა და სამონოპოლიო საქონლის (მარგანეცი, თამბაქო, მატყლი, აბრეშუმი) თავისუფლად ყიდვა-გაყიდვაზე. ისეთი საქონლის ექსპორტზე, როგორიც იყო ტყე, ქვანახშირი, ტყავი, საჭირო იყო მომარაგების სამინისტროს ნებართვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა მრავალი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს რესპუბლიკა ინფლაციის საფრთხის წინაშე იდგა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ საქონლის იმპორტი ბევრად აღემატებოდა ექსპორტს. ყოველივე ამან გამოიწვია ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მერყეობა. აღნიშნული სიტუაციიდან გამოსასვლელად აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, შემოსატანი საქონლის შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, გასატანი საქონლის გადიდება. ამ მიზნით აიკრძალა საქართველოს

რესპუბლიკის სასღვრებში ფუფუნების საგნების სასღვარგარეთიდან შემოტანა. კერძოდ, აკრძალავა შეეხებოდა შემდეგ ნივთებს: თამბაქოსა და მის ყოველგვარ ნაწარმს, გამხმარ ხილს, მაგარ სასმელებს, ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებს, ძვირფას ქსოვილებს, ოქროს საათებს, აბრეშუმის ქსოვილებს, სუნამოებს და სხვა საგნებს.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა ახალი საბაჟო ტარიფის პროექტი შემოსატან და გასატან საქონელზე, რომელიც ხელს შეუწყობდა დადებითი სავაჭრო ბალანსის განმტკიცების საქმეს. *ამ დოკუმენტის მიხედვით, ყველა შემოსატანი საქონელი იყოფოდა 4 ჯგუფად:* 1. სურსათ-სანოვაგე, მიწის დასამუშავებელი იარაღები და მანქანათა ნაწილები შემოიტანებოდა უბაჟოდ; 2. სავსებით აკრძალული იყო ფუფუნების საგნების შემოტანა; 3. მასობრივი მოხმარების საგნებზე დაწესდა მცირედი ბაჟი; 4. ყველა სახის დანარჩენ შემოსატან საგანს ბაჟი დაედებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ საჭიროებას წარმოადგენდნენ ისინი რესპუბლიკის მცხოვრებთათვის.

გასატანი საქონელი იყოფოდა 3 ჯგუფად: 1. პირველადი საჭიროების ან მასობრივი მოხმარების საგნებზე დადებული იყო აკრძალვითი ბაჟი; 2. სამინოპოლიო საქონლის და ყოველგვარი ნედლეული მასალის გატანა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთის ბაზარზე, კერძოდ, მარგანეცი, თამბაქო, აბრეშუმი, მატყლი და სატყეო მასალა, ნებადართული იყო მთავრობის მიერ დაწესებული სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ; 3. სხვა საქონელი, რომელზედაც დაწესებული იყო დიდი ბაჟი.

საქართველოდან საქონლის სასღვარგარეთ გატანა წარმოებდა საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტით. ასეთი საგნები ექვემდებარებოდა შემოწმებას. მესაკუთრეს უნდა წარმოედგინა მოწმობა ბაჟის გადახდის თაობაზე, მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა საქონლის დატვირთვა.

საქართველო, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ, თითქმის 70 წლის მანძილზე ჩამოაშორეს საბაჟო საქმეს, საბაჟო კონტროლისა და გაფორმების განხორციელებას, საზღვარზე გადაადგილების წესების შემუშავებასა და საბაჟო პოლიტიკის განსაზღვრას. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბაჟო ორგანოები (დაწე-

სებულებები) ფორმალურადაც კი არ ფუნქციონირებდნენ საქართველოში.

მდგომარეობა მაშინვე შეიცვალა, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და კრახი განიცადა საბჭოთა იმპერიამ. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა საბაჟო სამსახური და შეიქმნა საბაჟო კანონმდებლობა.

მოკლე დასკვნები

- *ქართულ წყაროებში „ბაჟი" პირველად მეთერთმეტე საუკუნეში იხსენიება. ესაა გიორგი მეორეს (1072-1089) სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი (1072). ადრე ბაჟს ზუერი (ზვერი) ერქვა.*
- *ფეოდალური საქართველოს ეკონომიკაში ბაჟი არაპირდაპირი გადასახადის მნიშვნელოვანი წყარო იყო. საბაჟო საქმეს საგანგებო მოხელე – შურტა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა.*
- *მნიშვნელოვანი სამართლებრივი ძეგლები არეგულირებდნენ ფეოდალური საქართველოს საბაჟო ურთიერთობებს („ხელმწიფის კარის გარიგება", ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი", ქალაქის მოურავის სარგო – 1784-1790 და სხვა).*
- *რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ (1801) ცარიზმი საქართველოში ატარებდა ქართული პოლიტიკური სისტემის მოშლის, საკუთარი საფინანსო და საბაჟო პოლიტიკის დამკვიდრების კურსს, რაც დამთავრდა ქვეყნის ეკონომიკური დამორჩილებით, ქართული ფულის გაუქმებით, ცარიზმის საბაჟო პოლიტიკის დამკვიდრებით.*
- *საბაჟო სამსახურის აღდგენა განხორციელდა 1918-1921 წლებში, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. შეიქმნა საბაჟო კანონმდებლობაც.*

კითხვები გამეორებისათვის

- *განმარტეთ სიტყვები ბაჟი, მებაჟე, საბაჟო (ზუერი, მეზუერე, საზუერე).*
- *დაასახელეთ ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი ძეგლები და აღნიშნეთ მათი მნიშვნელობა.*

- *რა ფუნქციებს ასრულებდა მეჭურჭლეთუხუცესი.*
- *როგორი იყო ცარიზმის საბაჟო პოლიტიკა, მისი განხორციელების შედეგები.*
- *ვინ განაგებდა ცარიზმის პერიოდის რუსეთში საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო ურთიერთობების სფეროს, რომელი სამინისტრო, უწყება.*
- *განიხილეთ ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 30 აგვისტოს მიღებული კანონის „საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ“ ძირითადი დებულებები.*

რეკომენდირებული ლიტერატურა

1. *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I, თბ., 1991 წ.; ტომი II, 1993 წ.*
2. *თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, თბ., 1979.*
3. *იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911.*
4. *ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თერთმეტ ტომად, ტომი VI, თბ., 1982.*
5. *ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თერთმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984.*
6. *ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 197*
7. *პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტომი I, 1949.*
8. *ის. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, თბ., 1963; ტომი II, თბ., 1965.*
9. *მ. პაჭკორია, ფოთის წარსულიდან, თბ., 1967.*
10. *ა. ნიხიტაური, საბაჟო ურთიერთობები ცარიზმის პერიოდის საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა), ჟურნალი „სამართალი“, 2003, №1-2.*
11. *ეკა ნიკოლაძე, საქართველოს საბაჟოების ისტორიიდან, ჟურნალი „სამართალი“, 2003, №1-2.*
12. *ეკა ნიკოლაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებანი, ჟურნალი „სამართალი“, 2003, №4-5.*
13. *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918-1921 წლები.*

თავი 3. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა

საბაჟო პოლიტიკა, არსი, მიზნები

საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია.

პოლიტიკა (ბერძნული – politika) – სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობაა შიდასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში; იგი განისაზღვრება ამ ხელისუფლების, პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებით.

პოლიტიკის სუბიექტებია: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები. ამ ფუნქციას შეიძლება, აგრეთვე, ასრულებდნენ ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული კონკრეტული პიროვნებები და ამ ორგანოებში მონაწილე პარტიები.

პოლიტიკა სხვადასხვა სახისაა: საშინაო და საგარეო, ეკონომიკური და სოციალური, მიმდინარე და სტრატეგიული, ზოგადი და კერძო, სისხლის სამართლის პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, საფინანსო პოლიტიკა, საბაჟო პოლიტიკა და სხვა. არ არსებობს ცხოვრების სფერო პოლიტიკის გარეშე.

პოლიტიკის სწორად განსაზღვრას, ანუ სწორი პოლიტიკის შემუშავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ცხოვრების ყველა სფეროში, ბუნებრივია, საბაჟო დარგშიც. პოლიტიკის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგთან ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კავშირი ეკონომიკასთან. ეკონომიკა და პოლიტიკა ურთიერთზემოქმედებას ყოველგვარი შუალედური რგოლის გარეშე ახორციელებენ. მათ ურთიერთობაში ეკონომიკა პოლიტიკის მატერიალურ საფუძვლად გვევლინება, ხოლო პოლიტიკა ეკონომიკური კანონების შეცნობილი და შეგნებული გამოყენებაა. ამდენად, მხოლოდ ის პოლიტიკაა რეალური, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიზნებსა და ინტერესებს.

საბაჟო პოლიტიკის ცნება. პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში არ არსებობს საბაჟო პოლიტიკის ცნების ერთიანი გაგება. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად განმარტავს საბაჟო პოლიტიკის საგანსა და მიზნებს.

ბ. გაბრიჩიძე თვლის, რომ საბაჟო პოლიტიკის მიზნებისა და ხასიათის განსაზღვრება ეკუთვნის კონსტიტუციური სამართლის საკითხების რიცხვს. მისი აზრით, „რუსეთის საბაჟო პოლიტიკა ზოგადად შეიძლება განვსაზღვროთ როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სხვა ფართომასშტაბიან ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია საშინაო და საგარეო-ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისა და დაცვისაკენ. იგი მიზნად ისახავს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის დინამიურ განხორციელებას“[1].

ემზარ ჯგერენაიას აზრით, „საბაჟო პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი თამაშის წესები საბაჟო სფეროში, რომლის მიზანი გაცვლით განპირობებული განაწილების მართვაა. საბაჟო პოლიტიკა ეს არის სახელმწიფოს, როგორც იძულების ორგანოს მიერ მისი კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით შექმნილი ეკონომიკური გადაწყვეტილებების ურთიერთობის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია, ძირითადად, მოხმარების დაბეგვრაზე და მოიცავს გადასახადის ობიექტს, მისი სუბიექტის, აკრეფის წესს, მენეჯმენტს, პრინციპებს და მოთხოვნებს“[2].

რა ამოცანებს ემსახურება სახელმწიფო საბაჟო ინსტიტუტი?

პირველი — სახელმწიფო საბაჟო ინსტიტუტის მთავარი ამოცანა არის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება საბაჟო სფეროში. სახელმწიფოს საბაჟო დეპარტამენტი ასრულებს საბაჟო პოლიტიკას სახელმწიფოში, ეს მისი მთავარი ფუნქციაა.

საბაჟო პოლიტიკაში იგულისხმება დადგენილი საბაჟო ტარიფებით განხორციელებული ოპერაციების გაფორმება, ოპერაციის დაბეგვრა, ფისკალური აგენტის როლის შესრულება.

---

1 Таможенное право, учебник, Отв. редак. Б. Н. Габричидзе, М., 1995, с. 10.

2 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 81.

მეორე – სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით საქონლის მოძრაობის მოქცევა იმ რეჟიმებში, იმ წესებში, რომელსაც ტვირთის დეკლარანტი ითხოვს.

მესამე – საბაჟო არის ეკონომიკური პროცესების ბარომეტრი, მისი შემსწავლელი და ანალიტიკოსი. ამავე დროს ის ეკონომიკური ბაზრის დამცველია დემპინგის და სხვა არაკეთილსინდისიერი ექსპანსიისაგან. ეკონომიკური საზღვრების მესაზღვრე.

სახელმწიფოს არსებობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ ასრულებს საბაჟო, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტი, სამივე ფუნქციას[1].

ვიქტორ ლორთქიფანიძის განმარტებით, „ზოგადი სახით „საბაჟო პოლიტიკა" შეიძლება განმარტებული იქნეს, როგორც ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრატეგია და ამ სტრატეგიიდან განხორციელებული ფართომასშტაბიანი სისტემა, რომლის ამოცანაა ქვეყნის შიდა და საგარეო ეკონომიკური მიზნების გატარება და ინტერესების დაცვა"[2]. იგი თვლის, რომ საბაჟო პოლიტიკა თავისი არსით მოქნილი და ცვალებადი უნდა იყოს. ბუნებრივია, საქართველოს საბაჟო კოდექსში (პირველი თავი „საბაჟო პოლიტიკა") განმარტებულია მხოლოდ საბაჟო პოლიტიკის არსი, ადგილი სახელმწიფო პოლიტიკაში, ზოგადი მიმართულებები და ამოცანები.

საბაჟო პოლიტიკა, რომელიც შეადგენს საბაჟო საქმის საფუძველს, წარმოადგენს საკმაოდ რთულ და მრავალფეროვან საქმიანობას.

საბაჟო სამართალში აღნიშნავენ საბაჟო პოლიტიკის განმარტების ოთხ მიდგომას[3].

ეკონომიკური მიდგომა საბაჟო პოლიტიკისადმი ძირითადად დაკავშირებულია ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებასთან. იგი ემყარება პროტექციონიზმისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს, აგრეთვე, ამ

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 100.

2 ვიქტორ ლორთქიფანიძე, საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები, თბ., 2001, გვ. 16-17.

3 А. Д. Ершов, Международные таможные положение, Учебное пособие, Санкт-Петербург, 2000, с. 33-34.

ორის ჰარმონიულ შერწყმას. ამა თუ იმ მიმართულების არჩევით და მისი ზემოქმედების ხარისხის (მაგალითად, პროტექციონიზმი გონივრული, ზომიერი და სხვა) მიხედვით პრაქტიკაში გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის, საბაჟო-სატარიფო რეგულირების სხვადასხვა ზომები.

საბაჟო პოლიტიკისადმი მბრძანებლურ-სამართლებრივი მიდგომა ღონისძიებათა სისტემაა. ამ მიდგომით საბაჟო პოლიტიკა საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების წესებისა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსია.

საბაჟო პოლიტიკის მბრძანებლურ-სამართლებრივი განმარტება, რაც გამოხატავს მის არსსა და უმნიშვნელოვანეს საწყისს, კონტროლდება ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური მიდგომით. მოცემულ შემთხვევაში საბაჟო პოლიტიკა ყალიბდება სახელმწიფო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მეშვეობით. პირველ რიგში, ესაა ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები, სხვადასხვა კომპეტენტური ორგანიზაციები და შესაბამისი უწყებები, რომლებიც ამუშავებენ ამკრძალავ-ნებართვის ან შემზღუდავ სისტემებს საქართველოს საბაჟო სასზღვრის მეშვეობით საქონლისა და ფიზიკური პირების გადაადგილებისას და ორგანიზაციას უკეთებენ მათ კონტროლს.

და ბოლოს, *ფსიქო-ეთიკური მიდგომა* საბაჟო პოლიტიკის მიმართ დაკავშირებულია იმასთან, რომ პოლიტიკა – ესაა ურთიერთობათა სისტემა. პოლიტიკაზე ზემოქმედებენ ადამიანური ენებები, გრძნობები, ქცევის წესები, ამიტომ პოლიტიკა მოიცავს ეთიკის ნორმებსა და პრინციპებსაც. ამიტომ დღეს საბაჟო პოლიტიკა – ესაა გააზრებული ნაბიჯების, მანევრირების, ლავირების, იძულებითი კომპრომისების, შეთანხმებების, დათმობების, ზეწოლის, რისკისა და ბარიერების სფერო.

საბაჟო პოლიტიკის ეს ოთხივე შემადგენელი ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული და დამოკიდებული ერთმანეთზე. ამიტომ ყველა ეს კომპონენტი მნიშვნელოვანია და მათ უნდა გააჩნდეთ ტოლფასი ძალა და მნიშვნელობა.

საბაჟო პოლიტიკის სხვადასხვა მიდგომებისა და განმარტებების სიმრავლე აიხსნება საბაჟო საქმის მრავალფეროვნე-

ბით. ამასთან ერთად, აუცილებელია არა მარტო გავიგოთ და განვსაზღვროთ მიდგომები საბაჟო პოლიტიკისადმი თანამედროვე პირობებში, არამედ გამოვარკვიოთ მათი ურთიერთკავშირი სხვა კატეგორიებთან, ისეთებთან, როგორიცაა საბაჟო პოლიტიკის შესწავლის ობიექტი და სუბიექტი, საბაჟო პოლიტიკის პრინციპები.

ჩვენი აზრით, საბაჟო პოლიტიკა ღონისძიებათა ერთობლიობა, სისტემა და სტრატეგიაა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის შეკვრას, ეკონომიკური საზღვრების დაცვას, ექსპორტ-იმპორტის კონტროლს, კონტრაბანდასთან ბრძოლას, საბაჟო კანონმდებლობის განხორციელებას, სახელმწიფო ბიუჯეტის ფისკალური ნაწილის უზრუნველყოფას.

საბაჟო პოლიტიკას შეიმუშავებენ ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები. უფრო კონკრეტულად, საბაჟო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი. ფინანსთა სამინისტრო და საბაჟო დეპარტამენტი მონაწილეობენ მის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ფინანსთა სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო დაწესებულების – საბაჟო დეპარტამენტის ფუნქციებია:

- საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და ამ პოლიტიკის განხორციელება. საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებათა შემუშავება, შესაბამისი პროგრამების შედგენა, კონცეფციის ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ორგანიზება;
- საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები მონაწილეობენ საბაჟო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, საკანონმდებლო და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში თავიანთი წარმომადგენლობის მეშვეობით.

საბაჟო პოლიტიკას ახორციელებენ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ორგანოები, აგრეთვე საზღვრების ეკონომიკური დაცვის საკითხებში რიგი სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც წარმოადგენენ საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტიტუციონალურ სამსახურს, გააჩნიათ საბაჟო რეგულირების მექანიზმები და საქმიანობის შესაფერისი ფორმები და მეთოდები.

ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციაში მონაწილეობენ საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული, კომპეტენციის ფარგლებში, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურები, საგარეო ეკონომიკურ და საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე მხარეები, სხვა სუბიექტები, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც უხდებათ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

ამრიგად, საბაჟო პოლიტიკა პოლიტიკურ-სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სხვა ფართომასშტაბიან ღონისძიებათა ერთობლიობა, სისტემა და სტრატეგიაა. მისი უმთავრესი მიზანია საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

(საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 1), საქართველოს საბაჟო პოლიტიკის მიზნებია:

- საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა;
- საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა;
- საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება;
- საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება.

„სხვა ამოცანებს“, ჩვენი აზრით, უნდა მივაკუთვნოთ ქვეყნის მეწარმეთა, ფერმერთა, ბიზნესმენთა ინტერესების დაცვა.)

საბაჟო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზნის – „საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება“ – რეალიზაცია ემყარება პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკის პრინციპს, ანუ სამამულო მეწარმეობისა და ბაზრისათვის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფას. იგი ძირითადში ხორციელდება იმპორტული საქონლის დაბეგვრით და რეგულირდება დაბეგვრის განაკვეთების დონით. რაც უფრო მაღალია საბაჟო გადასახადების განაკვეთები, მით უფრო მაღალია საბაჟო პოლიტიკაში პროტექციონიზმი.

პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას მხარდამჭერები ჰყავდა 1791 წლიდან, როდესაც ალექსანდრე ჰამილტონმა გამოაქვეყნა თავისი მოხსენება „გადამმუშავებელი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ“. ჰამილტონის პროტექციონისტული რეცეპტები ამერიკამაც გამოიყენა, განსაკუთრებით სამოქალაქო ომის შემდეგ. იმ პერიოდში შემოიღეს მაღალი საბაჟო ბარიერები, რომელიც იცავდა ეროვნულ საფეიქრო მრეწველობას, მეტალურგიასა და სხვა დარგებს. XIX საუკუნის დასაწყისში ჰამილტონის რეკომენდაციები გამოიყენა ფრედერიკ ლისტმა ასლადაღმოცენებული გერმანული გადამმუშავებელი მრეწველობის დასაცავად. პროტექციონისტულ პოლიტიკას იყენებდნენ ომისშემდგომ წლებში იაპონიაში, რამაც მათ საშუალება მისცა მიეღწიათ მაღალი კონკურენტუნარიანობისათვის[1].

ამ ასპექტით მეტად საინტერესოა ოლღა ბაკაევას წერილი „საბაჟო პოლიტიკა და სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობა“. კერძოდ, ამ წერილის ავტორს მიაჩნია, რომ კონკურენცია, რომელიც არის სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკის შედეგი და ხშირ შემთხვევაში სასარგებლოდ მოქმედებს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების პროცესებზე, განსხვავებით პროტექციონიზმისაგან, შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ეს იმის გამოა, რომ რუსეთს ჯერ კიდევ არ მიულწევია განვითარების ისეთი დონისათვის, რომელიც მას საშუალებას მისცემდა თანაბარ პირობებში გაეწია კონკურენცია სხვა ქვეყნების მწარმოებელთათვის. ამიტომ, ავტორის აზრით, ქვეყანაში შემოტანილი საქონელი უნდა

1 პიტერ ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბ., 2001, გვ. 107.

დაიყოს სამ ჯგუფად და ამის შესაბამისად დაიბეგროს იგი განსხვავებული საბაჟო გადასახადებით.

პირველ ჯგუფს უნდა შეადგენდეს ის საქონელი, რომელსაც გააჩნია მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები და ქვეყანაში იწარმოება იმ ოდენობით, რომ დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებები.

მისი აზრით, ასეთი ტიპის იმპორტულ საქონელზე უნდა დაწესდეს მაქსიმალური დონის საბაჟო ტარიფები, რათა დაცული იყოს ადგილობრივი საქონლის წარმოება. მას მიაჩნია, რომ რუსეთში ამ სახის საქონელს მიეკუთვნება სპირტის შემცველი საქონელი, კვების პროდუქტები, ნედლეული და სხვა.

მეორე ჯგუფის საქონელს შეადგენს ის საქონელი, რომელიც, მართალია, ქვეყნის შიგნით იწარმოება საკმარისი რაოდენობით, რათა დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებები, მაგრამ მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩება ანალოგიური სახის იმპორტულ საქონელს. ეს არის მსუბუქი ავტომობილები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მოსაპირკეთებელი საქონელი და სხვა. ასეთი სახის საქონელზე საბაჟო განაკვეთები უნდა დაწესდეს მოზომილად, რათა უცხოური საქონელი დაშვებული იყოს ადგილობრივ ბაზარზე და მან კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივ პროდუქციას მათი ხარისხის გაზრდისა და ფასების დაწევის მიზნით.

ოლლა ბაკაევას თეორიის თანახმად, მესამე ჯგუფში უნდა შედიოდეს ის საქონელი, რომელიც ქვეყანაში არ იწარმოება გარკვეული ობიექტური ფაქტორების გამო (ზოგიერთი სახის მედიკამენტი, უნიკალური ტექნოლოგია, ტროპიკული ხილი და სხვა). ასეთი საქონლისათვის აუცილებელია ფართოდ გაიხსნას საზღვრები, მათთვის მოიხსნას საბაჟო ბარიერები, საბაჟო გადასახადები დაწესდეს მინიმალურ დონეზე, ან საერთოდ გაუქმდეს[1].

დღეისათვის არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით, სახელმწიფომ საბაჟო სფეროში, მოცემულ ეტაპზე მაინც, გამოკვეთილი პროტექციონისტული პოლიტიკა უნდა გაატაროს, ანუ მაღალი საბაჟო ტარიფები დააწესოს იმპორტულ საქონელზე.

---

1 ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2002, №5-6, გვ. 39.

მეორე, სრულიად საპირისპირო შეხედულების თანახმად, სახელმწიფომ ამ სფეროში აბსოლუტურად ლიბერალურ პოლიტიკას უნდა მიმართოს. ამ ავტორთა აზრით, ქვეყნისათვის მით უფრო უკეთესია, რაც უფრო დაბალია საბაჟო გადასახადის განაკვეთები. ზოგიერთ ცნობილ ქართველ ეკონომისტს იმპორტზე ნულოვანი საბაჟო გადასახადიც კი მისაღებად მიაჩნია. ამგვარი კამათისას ისინი ილია ჭავჭავაძესაც იშველიებენ[1].

ჩვენი აზრით, მეცნიერთა ერთი ჯგუფი სამართლიანად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა მით უფრო მოიგებდა, რაც უფრო დაბალ საბაჟო გადასახადებს დააწესებდა, მით უფრო, თუკი ყველა სახის საბაჟო გადასახადს ნულოვან დონეზე დაიყვანდა. ცხადია, განუვითარებელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ასეთ შემთხვევაში კონკურენციას ვერ გაუწევს უცხოურ საქონელს. ასეთი გზით ქვეყანა ვერ შეძლებს ეროვნული წარმოების ვერცერთი დარგის განვითარებას.

ამასთან, მისაღები არც მეორე მოსაზრებაა, რომლის მიხედვით ადგილობრივი წარმოების დაცვის მიზნით საბაჟო გადასახადები მაქსიმალურად უნდა გავზარდოთ. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ მწარმოებლებს მიეცემოდათ მონოპოლიური მდგომარეობის დაკავების საშუალება. ასეთ შემთხვევაში კი ისინი არც იმაზე იზრუნებდნენ, რომ შეემცირებინათ საქონლის ფასები და არც იმაზე, რომ გაეუმჯობესებინათ საქონლის ხარისხი. ამიტომ საბაჟო გადასახადების მაჩვენებლის სიდიდე ამ ორ დონეს შორის უნდა მოიძებნოს, ე. ი. მათ არც იმის საშუალება უნდა მიეცეთ, რომ მონოპოლიური მდგომარეობა შეუქმნან ადგილობრივ მრეწველობას და არც იმის, რომ მათი დაუწესებლობით საფრთხის ქვეშ დადგეს ეროვნული მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

ზოგიერთ ეკონომისტს მოაქვს განვითარებული ქვეყნების მაგალითი საბაჟო სფეროში მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გასამართლებლად. ამგვარი შედარება მიუღებელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ განვითარებული ქვეყნები

---

1 მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს ამბროსი გრიშიკაშვილის წერილს „ილია და ბალცეროვიჩი ქართულ საბაჟო პოლიტიკის პერიპეტიებზე“, ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2002, №5-6, გვ. 37-39.

თავის დროზე, ანუ მაშინ, როდესაც განვითარების დაახლოებით ჩვენი ქვეყნის დღევანდელ დონეზე იდგნენ, აქტიურად იყენებდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას. მეორეც, ზოგიერთი ქვეყანა არც ახლა ამბობს უარს საკუთარი მწარმოებლების დაცვაზე[1].

საბაჟო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ბევრი რთული და მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა. საბაჟო პოლიტიკის პრინციპები – ესაა ზოგადი კანონზომიერებები, რომელთა ფარგლებში ხორციელდება კავშირები საბაჟო პოლიტიკის სხვადასხვა ობიექტსა და სუბიექტს შორის.

საბაჟო პოლიტიკის პრინციპებია:

- საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს მონოპოლიის უარყოფის პრინციპი;
- თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი;
- საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირების პრინციპი;
- ერთიანი საბაჟო ტერიტორიის პრინციპი;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი;
- საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და დაჩქარების პრინციპი.

საბაჟო სფეროში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების გარდა გამოიყენება ადმინისტრაციული მეთოდებიც: კვოტირება, ლიცენზირება, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესება. საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 5, პუნქტი „ი") ისინი მოხსენიებულია როგორც „ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები". ეს ღონისძიებანი გარკვეულად ზღუდავს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს. იგი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში აღიქმება როგორც დისკრიმინაციული მეთოდი და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები (მაგალითად, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია და სხვა) თავიანთი წევრების აუცილებელ პირობად თვლიან ასეთ მეთოდებზე უარის თქმას, თუმცა

---

1 ამბროსი გრიშიკაშვილი, ილია და ბალცეროვიჩი ქართულ საბაჟო პოლიტიკის პერიპეტიებზე, ჟურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა", 2002, №5-6, გვ. 39.

საქართველოს კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს რეგულირების ასეთ მეთოდს.

უფრო კონკრეტულად განვიხილოთ საბაჟო პოლიტიკის ზოგიერთი პრინციპი.

საბაჟო და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ერთიანობისა და გამჭვნის პრინციპი. ამ პრინციპის შესაბამისად ნებისმიერ ქვეყანაში ხორციელდება ერთიანი საბაჟო და სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

რაში მდგომარეობს საბაჟო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ერთიანობის არსი? ჯერ ერთი, იქმნება ერთობლივი კომისიები საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო-სატარიფო საკითხების განსახილველად და ამ დარგებში ღონისძიებათა შესამუშავებლად; მეორე, ერთობლივად (საბაჟო და საგარეო ვაჭრობის ადმინისტრაციები) მონაწილეობენ საერთაშორისო საბაჟო და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში; მესამე, ერთობლივად ატარებენ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, აქვეყნებენ პუბლიკაციებს და სხვა.

ამასთან ერთად, საბაჟო და საგარეო ვაჭრობის ორგანოებს განსხვავებული ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა გააჩნიათ. ეს ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკის კონკრეტული, სპეციფიკური და პრაქტიკული მიზნებისა და ამოცანების რეგულირება, შესაბამისი ინსტიტუტებისა და მართვის ორგანოების არსებობა, უწყებრივი ინფრასტრუქტურები და სხვა.

საბაჟო ტერიტორიისა და საბაჟო საზღვრის ერთიანობის პრინციპი. საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 2) საქართველოს საბაჟო ტერიტორიას შეადგენს საქართველოს სახმელეთო ტერიტორია, ტერიტორიული და შიდა წყლები და მათი საჰაერო სივრცე. საქართველოს საბაჟო ტერიტორია მოიცავს, აგრეთვე, განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში შექმნილი ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება იყოს თავისუფალი საბაჟო ზონები და თავისუფალი საწყობები, რომელთა ტერიტორიები განიხილება, როგორც საქარ-

თველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებული. თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიებზე მოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლები, აგრეთვე, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები შეადგენენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

სახელმწიფო საზღვრის ცნება. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას – ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სიბრტყეს გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან. მოკლედ: *ხაზს, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს საზღვრავს, სახელმწიფო საზღვარი ეწოდება.*

საზღვრები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა:

ორობრაფიული საზღვრები გაიყვანება ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით (ხევი, მდინარე, ბორცვი, ქედი და სხვა);

გეომეტრიული საზღვრები წარმოადგენს ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გაყვანილ სწორ ხაზს;

ასტრონომიული საზღვრები გაიყვანება მერიდიანების ან პარალელების გასწვრივ (რუსეთის პოლარული სექტორი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი – 38-ე პარალელი და სხვა).

საზღვრები ორი მოსაზღვრე სახელმწიფოს შეთანხმებით გაიყვანება. ხელშეკრულება ზუსტად განსაზღვრავს საზღვრების მიმართულებას. დართული რუკა ასახავს ამ შეთანხმებას. ამ სტადიას *დელიმიტაცია* ეწოდება. ადგილზე საზღვრის გაყვანას – *დემარკაციას* – ორივე სახელმწიფოს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიები ახორციელებენ. უკვე არსებული საზღვრების შემოწმებას, სასაზღვრო ნიშნების აღდგენას ან დამატებას *რედემარკაცია* ეწოდება[1].

კანონიერებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი. მოცემული პრინციპი მოითხოვს, რომ ყველა ძირითადი წესი, რომელიც

---

1 ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001, გვ. 245-246.

დაკავშირებულია საბაჟო სივრცის, უპირველეს ყოვლისა, საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან, უნდა ემყარებოდეს ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობას და საერთაშორისო შეთანხმებებს.

საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტებია კონსტიტუცია, საბაჟო კოდექსი, კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადისა და მოსაკრებლების შესახებ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრინციპი. იგი ემყარება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების სისტემას. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებს მიეკუთვნება: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და შეიძლება შეიცავდეს კვოტირებას, ლიცენზირებას, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესებას, აგრეთვე, მსოფლიო მეურნეობასთან საქართველოს ეკონომიკის ურთიერთკავშირის რეგულირების სხვა ღონისძიებებს.

რას ნიშნავს საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 1) დებულება – „საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა“: იგი ნიშნავს: ჯერ ერთი, ერთიანია საქართველოს საბაჟო ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი საბაჟო კანონმდებლობა (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები); მეორე, აკრძალულია სხვა კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით იმ ურთიერთობათა დარეგულირება, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობის პრეროგატივას წარმოადგენენ; მესამე, საქართველოში არავის, გარდა ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისა, არა აქვს უფლება შექმნას საბაჟო დაწესებულებანი, დააწესოს რეჟიმები და საბაჟო გადასახდელები, განახორციელოს საბაჟო გაფორმება, საბაჟო კონტროლი და სხვა საბაჟო სფეროსთან დაკავშირებული ქმედებები; მეოთხე, საბაჟო პოლიტიკის განხორციელება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას; მეხუთე, საბაჟო პოლიტიკა საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია.

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო ძლიერდება ინტერესი საბაჟო პოლიტიკისადმი. ამას განაპირობებს მთელი რიგი ფაქტორები:

ჯერ ერთი, საქართველო გადავიდა ეკონომიკური რეფორმების, ახალი საბაზრო ურთიერთობების გზაზე. გაროულდა საკუთრების ფორმების სტრუქტურა. საზოგადოებაში გაიზარდა რაოდენობა სოციალური ჯგუფებისა, რომლებსაც აქვთ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. ეს ინტერესები ხშირად უპირისპირდება სახელმწიფო პოლიტიკასა და ინტერესებს. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს საბაჟო პოლიტიკაზე, როგორც სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ურთიერთობების აუცილებელ შემადგენელ ნაწილზე.

მეორე, საბაჟო საქმემ საქართველოში საკმაო ცვლილებები განიცადა: დაკონკრეტდა მართვის ორგანიზაცია; მიმდინარეობს საბაჟო სისტემისა და საბაჟო სისტემის ინსტიტუტების სრულყოფა; გაჩნდა საბაჟო რეჟიმების ახალი ერთობლიობა; ვითარდება საბაჟო სისტემასთან დაკავშირებული საქმიანობა.

დღეს საქართველოში საბაჟო პოლიტიკა შემდეგი თვისებრივი ნაწილებისაგან შედგება:

- საბაჟო გადასახადის განაკვეთები;
- საბაჟო რეჟიმები და ტექნოლოგიები;
- საბაჟო შეღავათები;
- ინსტიტუციონალები (სტრუქტურა, დოკუმენტები, დებულებები, ინსტრუქციები);
- საბაჟო გადასახადების დიფერენცირება.

საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. საქართველო საბაჟო პოლიტიკის სფეროში ესწრაფვის აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისა და განმტკიცებისათვის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად შეუძლია შექმნას საბაჟო კავშირები, თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები საბაჟო საკითხებზე. ასეთი ხელშეკრულებები საქართველომ დადო ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიცაა თურქეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი და სხვა.

საბაჟო კავშირი ორი და მეტი სახელმწიფოს შეთანხმებაა, რომლის შესაბამისად მხარეები ვალდებულებას იღებენ ერთმანეთთან ვაჭრობისას არ გამოიყენონ საბაჟო ტარიფები და რაოდენობრივი შეზღუდვები. საბაჟო კავშირის მონაწილენი ერთმანეთს უთანხმებენ არა წევრი ქვეყნების მიმართ ერთიან საბაჟო პოლიტიკას. ასეთი ურთიერთობების შედეგად საბაჟო კავშირის წევრები აღწევენ ეროვნული საბაჟო-სატარიფო კანონმდებლობის უნიფიცირებას. ამის საფუძველზე ხდება ერთიანი საბაჟო ტარიფების შემოღება, იქმნება ერთიანი ტერიტორიული საბაჟო სივრცე.

საბაჟო კავშირის ინტეგრაციის შემდეგი ეტაპია საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის საერთო ბაზარი და ერთიანი სავალუტო კავშირი ერთიანი ვალუტით.

რას ნიშნავს თავისუფალი ეკონომიკური ზონა? უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეწარმეობისა და გადასახადების შეღავათიანი რეჟიმის ადგილი. *თავისუფალი ეკონომიკური ზონა, როგორც ეკონომიკური ურთიერთობა და მოვლენა, ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს.*

პირველი — ეს არის პორტო-ფრანკოს პრინციპი, ანუ საბაჟო საწყობი, რომელიც თავისუფალი იქნება გადასახადებისაგან. ამავე ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური ზონა, რომელიც იძლევა საქონლის წარმოებისა და რეწვის საშუალებას ამ ზონაში გადასახადების გარეშე მოცემული საქონლის ნედლეულის მაკომპლექტებელი მოწყობილობების და ტექნოლოგიების დაუბეგრავად. ეს არის სწორედ თავისუფალი საბაჟო საწარმოო ზონა და, შესაბამისად, აქ ნაწარმოები საქონელი თავისუფლად გადის როგორც ექსპორტზე, ისე შიდა ბაზარზე. ეს არის შენახვის, წარმოებისა და რეალიზაციის თავისუფლების პრინციპი.

მეორე პრინციპია იმ კაპიტალის და იმ მოგების რეპატრიაცია, რომელიც შეიქმნება საბაჟო ზონაში. ამ ზონაში ეკონომიკური საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა და მიმღებ ინვესტორს უნდა ჰქონდეს ქვეყნიდან მისი გატანის შესაძლებლობა. ამდენად, აუცილებელია კაპიტალის რეპატრიაციის თავისუფლების პრინციპის დაცვა. ეს თავისთავად მოითხოვს ვალუტის კონვერტირებადობას, მის შეუზღუდავ მიმოქცევას.

მესამე პრინციპია საგადასახადო პრეფერენციები და შეღავათები (დღგ-საგან განთავისუფლება, სხვა შეღავათები). ამ სამი

ფუნდამენტური მიმართულების ერთიანობა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა[1].

თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზანია ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვა, საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, ქვეყნის საგალუტო და სხვა სახის შემოსავლის ზრდა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება, შრომითი რესურსების დასაქმების უზრუნველყოფა, ხელშემწყობი პირობების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ჩვენი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას შემდეგი ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონები: ა) საექსპორტო წარმოების ზონა; ბ) თავისუფალი სავაჭრო ზონა; გ) სამეცნიერო-ტექნიკური პარკი.

რა არის დღეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული? რას ითხოვს თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრინციპები? პირველია — საბაჟო ტერიტორია, სადაც შეიძლება საქონლის შენახვა და მისი რეალიზაცია გადასახადების გადახდის გარეშე. ეს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია. საქართველოს საბაჟო კოდექსის მეთერთმეტე თავში „თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება ან გამოყენება“ პირდაპირ მითითებულია, თუ რა შეგვიძლია გადავამუშაოთ თავისუფალ საბაჟო ზონაში და, საერთოდ, რა შეგვიძლია იქ გავაკეთოთ.

კოდექსში ნათქვამია: თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსებისა და გამოყენების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას და/ან გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში ან სათავსებში ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამამულო საქონლის მოთავსებას და/ან გამოყენებას — ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით.

საბაჟო ორგანოების მართვის სისტემა

საბაჟო ორგანოების ერთიან სისტემას საქართველოში ქმნიან: ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამ-

1 ჟურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1998, №6, გვ. 6-7.

მართველობები, რეგიონული საბაჟო სამმართველოები, საბაჟო საგუშაგოები, საბაჟო გამშვები პუნქტები.

საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემა წარმოადგენს საბაჟო დაწესებულებათა ერთობლიობას, მათ ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას საბაჟო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საბაჟო ორგანოების ფუნქციების, ამოცანებისა და უფლებამოსილების განსაზღვრას, იმ ღონისძიებათა სისტემის შექმნას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს საბაჟო საქმის ეფექტიანობის ამაღლებას. კონკრეტულად იგი მოიცავს:

- საბაჟო დაწესებულებათა ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევას;
- საბაჟო სამსახურის გონივრულ განლაგებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- ერთიან საბაჟო პოლიტიკას;
- ერთიან საბაჟო ტერიტორიას;
- ერთიან საბაჟო კანონმდებლობას;
- ერთიან საბაჟო გადასახადების განაკვეთებს;
- ეკონომიკური პოლიტიკის ერთიან ღონისძიებებს;
- ექსპორტ-იმპორტის რეგულირების ერთიან სახელმწიფო მექანიზმს;
- საბაჟო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებასა და საქმიანობას.

საქართველოს საბაჟო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული საბაჟო საქმესთან, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია. ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო საქმის შინაარსს შეადგენს საბაჟო რეჟიმების ერთობლიობა, სუვერენული სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა – ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესი, საბაჟო კონტროლი, საბაჟო გაფორმება, საბაჟო პოლიტიკის განხორციელების სხვა საშუალებანი. საბაჟო საქმეს საფუძველად უდევს შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები საბაჟო ურთიერთობების საკითხებზე, საბაჟო კოდექსები, ტარიფები და გადასახდელები; საბაჟო პოლიტიკას ახორციელებენ სახელმწიფოს მეთა-

ურები, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებანი, საბაჟო ორგანოები.

საბაჟო საქმე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი საბაზო ინსტიტუტია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი იმ ქვეყნებში, რომლებიც ახორციელებენ გადასვლას ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე. ეს პირდაპირ ეხება საქართველოს, სადაც ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს ფართო მასშტაბით და ეკონომიკის ყველა მიმართულებით. *რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბაჟოს. ჯერ ერთი,* საბაჟოს ეკისრება საგარეო ვაჭრობის ბრუნვის რეგულირება, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღება, ამით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება; *მეორე,* იგი სახელმწიფოს იცავს იარაღის, ნარკოტიკებისა და სხვა კონტრაბანდისაგან; *მესამე,* საბაჟო სამსახური უსრულველყოფს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას და შიდა ბაზრის დაცვას, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების წახალისებას.

საბაჟო ინსტიტუტების შექმნა და დამკვიდრება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მას, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში.

რით შეხვდა საქართველოს საბაჟო სამსახური XXI საუკუნეს? რას მიაღწია დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის დამკვიდრების პერიოდში? ჯერ ერთი, შეხვდა იმით, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფოს გააჩნია სრულყოფისაკენ მიმავალი საბაჟო, რომელიც მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს ქვეყნის სივრცეს, იცავს მის ეკონომიკურ უსაფრთხოებას და ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ საბაჟო პოლიტიკას; *მეორე,* საქართველოში ჩამოყალიბდა საბაჟო საქმის სპეციალისტების გუნდი, რომლის დიდ ნაწილს შეუძლია საბაჟო პოლიტიკის, საბაჟო კანონმდებლობისა და ქვეყნის საბაჟო ინტერესების განხორციელება; *მესამე,* შეიქმნა საბაჟო სისტემის გარკვეული ინფრასტრუქტურა. ესაა სარფის საბაჟო, თბილისის, ადლიისა და ფოთის დასავლეთის სტილით მოწყობილი საბაჟო ტერმინალები; ასეთივე, მეტ-ნაკლებად ორგანიზებული საბაჟო ინფრასტრუქ-

ტურები წითელ ხიდზე, ყაზბეგში, ვალეში, სადახლოში, ლაგოდეხში და სხვაგან.

საქართველოს საბაჟო სამსახურს სერიოზული და საქმიანი ურთიერთობები აქვს ამერიკის შეერთებული შტატების, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთის საბაჟო ორგანოებთან, რომლებთანაც სტატისტიკური თუ კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ინფორმაციის გაცვლა საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა; საქართველოს ეხმარება მსოფლიო ბანკი „ასიკუდას" დანერგვაში და კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაციაში. ასევე, აშშ-ის საბაჟო ჩვენს ქვეყანას აწვედის სპეციალურ ტექნიკას, რომელიც ნარკოტიკების, ბირთვული იარაღის დეტალების უკანონო ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში გვეხმარება. მნიშვნელოვანია პროგრამები, რომელსაც მსოფლიო ბანკი ახორციელებს კონსტანტინის ფირმა „ქრაუნეიჯენტსთან" ერთად. მთლიანობაში, ერთიანი დონორი ქვეყნების კოორდინაციაში მოქცეული ურთიერთობა, რომელიც მწყობ სისტემადაა ჩამოყალიბებული, საქართველოს საბაჟოს კარგ ავტორიტეტს უქმნის.

პროგრამა „ასიკუდა" საქართველოს საბაჟო სასაზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან, ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული პროცესების მართვის კომპიუტერული სისტემაა და ამ პროცესებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამა საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების სტანდარტებს და კოდებს ემყარება, გარკვეული ხარვეზებით ეროვნულ კრიტერიუმებს ესადაგება. სისტემა ექვსი სხვადასხვა დამოუკიდებელი პროგრამისაგან შედგება.

საქართველოს საბაჟო ორგანოების საქმიანობის უმთავრეს პრობლემებს შორის ერთ-ერთი მთავარია საბაჟო საქმის ინფრასტრუქტურის ორგანიზაცია და მისი სრულყოფა. საბაჟო საქმის ინფრასტრუქტურა სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფისაგან შედგება. ასეთი დაყოფა ჯგუფებად მიღებულია რუსეთის ფედერაციისა და სხვა ქვეყნების საბაჟო ორგანოების საქმიანობაშიც[1].

---

1 Основы таможенного дела, под общей редакцией В. Драганова, М., 1998, с. 35.

პირველ ჯგუფს წარმოადგენენ საბაჟო ობიექტები, რომლებიც უსრულველყოფენ შესაბამის პირობებს საბაჟო ორგანოების ფუნქციონირებისა და საბაჟო რეჟიმების პირობებში მგზავრთა ნორმალური მომსახურებისათვის. ესაა საბაჟო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადმინისტრაციული შენობები, გამშვები პუნქტები, ტერმინალები, სხვადასხვა ტიპის საწყობები, მათ შორის დროებითი შენახვის საწყობები, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიები, სატრანსპორტო საშუალებები, სპეციალური დანიშნულების ობიექტები, ვაგზლებსე, აეროპორტებში საბაჟო კონტროლის ზონები და სხვ.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საბაჟო ორგანოების საქმიანობის სისტემები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო პროცედურების განხორციელებას, მიღებული შედეგებისა და ინფორმაციების გამოყენებას. ესაა საბაჟო ექსპერტიზისა და საბაჟო კავშირების ტექნიკური საშუალებანი, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ერთიანი ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა, საბაჟო რეჟიმების დარღვევის კონტროლის სახეების კოორდინაცია და სხვ.

მესამე ჯგუფს შეადგენს სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მუშაკთა და თანამშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა ნორმალური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სოციალური პირობების შექმნისათვის. ამ ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი სასწავლებლები და სასწავლო ცენტრები, საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი კვების სამსახურები.

საქართველოს საბაჟო სისტემაში მიმდინარეობს ძირფესვიანი, ინსტიტუციონალური რეფორმა, ოვისებრივად ახალი შინაარსის, ახალი ფორმის მორგება. ეს არის ძირფესვიანი საკადრო რეფორმა და შრომის ანაზღაურების ახლებური სისტემის დანერგვა. ეს არის საკანონმდებლო დარგში ხარვეზების გამოსწორება და ცვლილება; სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის ჰარმონიზაცია და ოპტიმიზაცია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა ძირფესვიანი, ინსტიტუციონალური რეფორმის ცენტრში და-

აყენა ჰორიზონტალური კავშირების განმტკიცება, ადგილობრივი საბაჟოების სტატუსისა და უფლება-მოვალეობების ამაღლება. პირველ რიგში გაძლიერდა ქვეყნის საზღვრები, სიმძიმის ცენტრი დაბეგვრაში გადატანილ იქნა სწორედ საზღვრებზე, ანუ იქ, სადაც ნამდვილად იწყება საბაჟო ტერიტორია. ამით დიდი ნაბიჯი გადაიდგა მთელ სივრცეში კონტრაბანდის მცდელობის აღკვეთისაკენ. ყოფილი საგუშაგოები გარდაიქმნენ სრულფუნქციონირებად საბაჟოებად. ესენია: სადახლო, ნინოწმინდა, წითელი ხიდი, გარდაბანი, ლაგოდეხი. შეიქმნა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამმართველოები, აგრეთვე რეგიონული საბაჟო სამმართველო.

ინსტიტუციონალური რეფორმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია კონტროლის ბადისებრი სისტემა, რაც მოლიანად სისტემის კონტროლს გულისხმობს. კონტროლირებადი სისტემიდან საბაჟო სამსახური გადავიდა სისტემის კონტროლზე. პირველ რიგში გადასვლა მოხდა ერთიან კომპიუტერულ ქსელზე. საბაჟო სივრცის ერთიანი ქსელი, ამ სივრცის შეცვლა და რეალური დროის რეჟიმში მუშაობა გახდა რეალობა.

თანამედროვე საბაჟო გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის აქტიური მოქმედი პირია. ყოველწლიურად სახელმწიფო საზღვრებს კვეთს 700 მილიონი კაცი და მილიარდობით ტონა ტვირთი. საბაჟო ახალ პირობებშიც ასრულებს სამ ტრადიციულ ფუნქციას: ფისკალურს, ეკონომიკურს და დამცავს.

აშშ-ის მთავრობის დახმარებით წითელ ხიდსა და ყაზბეგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გამშვები პუნქტები მოეწყობა. მშენებლობა დაიწყება 2004 წლიდან. პარალელურად მიმდინარეობს სადახლოს გამშვები პუნქტის თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობის დაპროექტება.

საქართველოში ტასის-ის პროექტი, რომელიც „საქართველოს საბაჟო სამსახურების პროცედურების“ განხორციელებას და შესწავლას ითვალისწინებს, წარმატებით სორციელდება. პროექტი, რომელიც მალე დასრულდება, ითვალისწინებს საბაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან მიახლოებას და მართვის ახალი სისტემის დანერგვას.

ევროსაბჭოს (რეზიდენტი მრჩეველი საქართველოში მანფრედ ზუმერედერი) დახმარებით მომზადდა ახალი საბაჟო კოდექსი.

ევროკომისია ვალდებულებას იღებს პროგრამის შემდგომ გაგრძელებაზე, რომელიც, სავარაუდოდ, მეორადი საბაჟო კანონმდებლობის დახვეწას ითვალისწინებს.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი, კანონმდებლობის სრულყოფასთან ერთად, გამოდის მისთვის სპეცსამსახურის ფუნქციის მინიჭების ინიციატივით. იგი მოითხოვს საბაჟო დეპარტამენტს 1999 წელს მისთვის წართმეული ოპერატიულ-საგამოძიებო ფუნქციის დაბრუნებას, რაშიც არ შეიძლება მხარი არ დავუჭიროთ. იგი 2000 წლის აგვისტოში დაუბრუნდა მას.

დღეს განიხილება საბაჟო დეპარტამენტის ფორმირების ორი ვარიანტი: პირველი – საბაჟო დეპარტამენტისათვის ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციების გადაცემა და მეორე – დეპარტამენტში თანამშრომელთა აკვანა კონტრაქტის საფუძველზე.

ეროვნულ მწარმოებელთა ეკონომიკური დაცვა იცვლება თანამშრომლობის განვითარების, აგრეთვე, ვაჭრობის ლიბერალიზაციის კვალობაზე. აქ აუცილებელია დაბეგვრის წესების გამარტივება და უნიფიცირება, რაზეც მუშაობს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია. მან მოამზადა კიოტოს კონვენციის შემცველი ვარიანტი, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს საქონლის საბაჟო კლასიფიკაციის ერთიან წესებს.

თანამედროვე მსოფლიოში გართულდა ტრადიციული ფუნქციების შესრულების პირობები. დამცავი ფუნქცია ფრიად გაართულა ნარკობიზნესის, ყალბი საქონლისა და საინფორმაციო პროდუქტების, ინტერნეტის მეშვეობით ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების ზრდამ, ფულის „წმენდის“ გაძლიერებამ.

საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის ბლოკის რღვევამ საბაჟო საქმეში მოახდინა ორგვარი ეფექტი. ჯერ ერთი, მთელი რიგი ქვეყნები გადაიქცნენ მსოფლიო ეკონომიკური და, მაშასადამე, საბაჟო სივრცის ნორმალურ წევრებად; *მეორე*, ძველი სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევამ და დსთ საზღვრების „გამჭვირვალეობამ“ შექმნა უამრავი ფარული არხი, რომლებშიც იმძლავრეს მაფიოზურმა ელემენტებმა. ყოველდღიურად აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპაში და უკან მიდი-მოდის 25 ათასი სატვირთო ავტომობილი და ასეთი ნაკადის კონტროლს თავს გაართმევენ მხოლოდ ძალზე კვალიფიციური და მატერიალურად უზრუნველყოფილი მებაჟეები. მსოფლიო საბაჟო ორგანი-

ზაცია ეხმარება ცალკეულ ქვეყნებს მებაჟეების მომზადების საქმეში.

მწვავედ დგას საკადრო პრობლემა. 1999 წლის ცნობით, 1506 კაცი მუშაობდა საბაჟოში, აქედან ნახევარზე მეტს შეადგენდნენ ეკონომისტები და იურისტები. იყვნენ ექიმები, გინეკოლოგები, ზოოვეტერინარები, მეშახტეები და მომღერლებიც კი, ამასთან, პროფესიონალები ძალიან ცოტა. *ამჟამად საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში მუშაობს 1300-მდე კაცი.*

დღეს მებაჟის წინაშე სერიოზული პრობლემა დადგა – მან უნდა იცოდეს კომპიუტერი, საბაჟო, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესი, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, საგადასახადო კოდექსები, კანონები და უამრავი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, უცხო ენები... ამ მოთხოვნას ბევრი ვერ აკმაყოფილებს. კადრების საკითხში ძირითადი აქცენტი აღებულია პროფესიონალებზე, მათ შერჩევაში ადგილობრივ პროფესიონალებთან ერთად მოწვეული სპეციალისტებიც არიან, რაც ატესტაციებისა და კონკურსების მიმდინარეობის დროს ობიექტურობის ერთგვარი გარანტიაა. მასში აქტიურად ჩართულია ფსიქოლოგიური სამსახურიც.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ თამამი და პროგრესული ნაბიჯები გადადგა საბაჟო სისტემაში. დაფიქსირდა საკმაოდ ფართო სპექტრი იმ პრობლემებისა, რომლებიც აფერხებენ საბაჟო სისტემის სრულყოფილ მუშაობას.

თანამედროვე ეტაპზე საბაჟო სისტემის უმთავრესი პრობლემებია:

- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სხვადასხვა რეჟიმით მოძრავი ტვირთების კონტროლი;
- იმპორტიორების მიერ საბაჟო დაწესებულებაში წარმოდგენილი იმპორტული ტვირთების თანმხლები დოკუმენტების (ანგარიშფაქტურა, ხელშეკრულება, კონოსამენტი) სიზუსტე და მათში დაფიქსირებული ფასების რეალობა;
- საბაჟო ოპერაციების ტექნიკური გაფორმება;
- ფისკალური პოლიტიკის გატარება და ეკონომიკური ღონისძიებების გამოყენება;
- კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა;

- ტვირთების გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;
- ლიცენზირება და საბაჟო საქმიანობის მონიტორინგი;
- ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკის წარმოება და ინფორმაციული ქსელის გამართვა;
- საბაჟო ლაბორატორია;
- მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და ტრენინგი;
- საბაჟო ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მესაზღვრის ფუნქციების შესრულებას.

საქართველოს საბაჟო სისტემა ის სისტემაა, სადაც შესაძლებელი გახდა საქართველოს საბაჟო სივრცის კომპიუტერული სისტემებით შეკვრა. სისტემაში მიმდინარეობს ძირეული რეფორმა, სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომელიც მთლიანად ემყარება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას. რეფორმა, სტრუქტურული რეორგანიზაცია, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების დანერგვა მიზნად ისახავს სრულყოფილი მართვის მქონე საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებას.

ამ მეშაობის მიუხედავად, სისტემაში რჩება ისეთი მიმართულებები, რომელთა რადიკალური გარდაქმნისათვის აუცილებელია უცხოელების დახმარება. ერთ-ერთია ინსპექტირება, რომელიც მოიცავს გადაზიდვამდე ინსპექტირებას მსოფლიოში აღიარებული ფორმებით. მან უნდა მოაგვაროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრისა და საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების პრობლემები. *მეორე მიმართულებაა* ინსტიტუციონალური განვითარება და სრულყოფა. იგი გულისხმობს უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისათვის ურთიერთთანამშრომლობის ყველაზე მისაღები ფორმებით.

უცხოელი კოლეგების დახმარება დღესაც გვესაჭიროება შემდეგ საკითხებში: კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა; ტრანზიტული ტვირთის და რეექსპორტის რეჟიმის ქვეშ მოძრავ ტვირთებზე კონტროლის სრულყოფა და, აგრეთვე, საზღვარზე ტვირთების შემოსვლა-გასვლის კონტროლისა და აღრიცხვის გაუმჯობესება, განსაკუთრებით გორი-როკის, შავი ზღვისპირეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის საზღვრებზე; საბაჟო სისტემების ინ-

ფრასტრუქტურის განვითარება; საერთაშორისო ინფორმაციული ქსელის შექმნა; მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და შემდგომი ტრენინგი. ტრენინგი (ინგლ. training) – წვრთნა, წვრთნის რეჟიმი.

საერთაშორისო საავალუტო ფონდის თანადგომით შემუშავდა საბაჟო დეპარტამენტის სისტემის რეფორმის სტრატეგიის პროექტი, რომელიც ფაქტიურად არ განხორციელდა. 1999 წლის 2 ივლისს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტსა და ბრიტანულ კომპანია „ინტერტეკ ტესტინგ სერვისს" (აი-ტი-ეს-ი) შორის „საბაჟო სისტემის რეფორმისა და საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირების მომსახურების შესახებ" გაფორმდა კონტრაქტი.

დადგინდა წესი, რომლის თანახმად იმპორტიორებმა საიმპორტო საქონლის მოსალოდნელ ტრანსპორტირებამდე არანაკლებ 7 დღისა „აი-ტი-ეს"-ის ოფისისათვის უნდა მიეწოდებინათ საქონლის დოკუმენტაცია და შეევსოთ შემოწმების ორდერი. ამის საფუძველზე ხორციელდებოდა საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირება საქონლის ექსპორტიორ ქვეყანაში, იმპორტირებული საქონლის რაოდენობის, ღირებულების, ხარისხის, საქონლის კლასიფიკაციის დადგენის მიზნით. ინსპექტირების შედეგად „აი-ტი-ეს"-ის ოფისი გასცემდა შესაბამის სერტიფიკატს, რომლის საბაჟო ორგანოში წარდგენა საქონლის თავისუფალი მიმოქცევის (იმპორტის) რეჟიმით საბაჟო გაფორმების უფლებას იძლეოდა.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა მისი მოქმედების პირველ წელს საბაჟო შემოსავლების 50%-ით, ხოლო ყოველ მომდევნო წელს – 20-20%-ით ზრდას. იგი ითვალისწინებდა, აგრეთვე, საქართველოს საბაჟო სისტემის ინსტიტუციურ განვითარებას, საბაჟო ტერიტორიის კონტროლის გაუმჯობესებას, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მენეჯმენტის სისტემის სრულყოფას, ტრენინგს, საბაჟო სისტემის ინფრასტრუქტურის სრულყოფას, მის ტექნიკურ აღჭურვილობას. კონტრაქტის ხანგრძლივობა იყო 2,5 წელი. მაგრამ „აი-ტი-ეს"-მა ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. პირიქით მოხდა: ხელშეკრულების ამოქმედებამდე საბაჟო შემოსავალი თვეში შეადგენდა 11,22 მლნ აშშ დოლარს, ხოლო ამოქმე-

დების შემდეგ – 11,06 მლნ აშშ დოლარს[1], ანუ პრაქტიკულად არ შეცვლილა. ამასთან ერთად, გაიზარდა იმპორტული საქონლის რაოდენობა; შემცირდა ერთეულ იმპორტირებულ საქონელზე მიღებული შემოსავალი; არ შეცვლილა დღგ-საგან გათავისუფლებული საქონლის წილი; პრაქტიკულად არ შეიცვალა ინვესტიციით, გრანტითა და ჰუმანიტარული დახმარებით იმპორტული საქონლის წილი; შემცირდა აქციზური პროდუქციის წილი როგორც იმპორტის საერთო რაოდენობაში, ასევე მიღებულ შემოსავლებში.

„აი-ტი-ეს"-თან დადებულმა ხელშეკრულებამ შემოსავლების ზრდაზე გავლენა ვერ მოახდინა და ნაკისრი ვალდებულებანი შეუსრულებელი დარჩა.

საბაჟო სამართლის ერთ-ერთი სუბიექტი საბაჟო ორგანოებია. მათი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საგარეო ეკონომიკურ, კერძოდ, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის განხორციელებასთან. სამეურნეო-ეკონომიკური პროცესები გამოხატულებას პოულობს ხელისუფლების განხორციელების ისეთ ფორმებში, როგორიცაა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება – ამოიღოს მოსახლეობიდან გადასახადები და მოსაკრებლები, მოახდინოს ეროვნული ბიუჯეტის ფორმირება და სხვა. ასეთი უფლება მიკუთვნებული აქვს საბაჟო სისტემასაც, კერძოდ, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენის უფლება, საზღვარზე გასატარებელი საქონლის რაოდენობისა და სახეების, მათი შემოტანა-გატანის განსაზღვრა.

საბაჟო ორგანოები მიეკუთვნებიან სახელმწიფო მმართველობის სისტემას. მათ საქმიანობას აქვს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხასიათი. მმართველობის ორგანოა სახელმწიფო აპარატის ნაწილი, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას მმართველობის ფორმებისა და ფუნქციების მეშვეობით და გააჩნია კომპეტენცია, ამოცანები, უფლებამოვალეობები. იგი წარმოადგენს დარგობრივი ან ფუნქციური მართვის ორგანოს. მართლაც, საბაჟო ორგანო, პირველ რიგში,

---

1 თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 326.

სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილია. საბაჟო ორგანოების მთავარი ამოცანა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციების შემადგენელი ნაწილია. საბაჟო ორგანოები იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს საბაჟო სფეროში. ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან სახელმწიფო სტრუქტურებს. თანამედროვე საბაჟო ორგანოები წარმოადგენენ ერთიან ცენტრალიზებულს, მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოთა მთლიან სისტემაში, ატარებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

საბაჟო ორგანოები აღჭურვილნი არიან სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით: ისინი ხელმძღვანელობენ და მართავენ საბაჟო საქმეს. საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც არ ახორციელებენ საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობას, უფლება არა აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება საქართველოს საბაჟო ორგანოების კომპეტენციას საბაჟო საქმის დარგში ან სხვაგვარად ჩაერთონ ამ ორგანოების საქმიანობაში. ამასთან, საბაჟო ორგანო, რომელიც აღჭურვილია ხელისუფლების მიერ უფლებით იმოქმედოს სახელმწიფოს სახელით, მოვალეა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს განკარგულება, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის, აგრეთვე, მოითხოვოს პასუხი განკარგულების შესრულების მდგომარეობაზე.

საბაჟო ორგანოების უმთავრეს ამოცანას, ფართო გაგებით, წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის, მისი ინტერესების დაცვა, მაგრამ ამ ამოცანას სხვა ორგანოებიც ახორციელებენ. მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოები იცავენ სახელმწიფოს ეკონომიკურ სისტემას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და, ამდენად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ ეროვნული ეკონომიკის დაცვის ამოცანას.

საბაჟო ორგანოები, როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ იქმნება საზღვრებზე ვალუტის, საქონლისა და სხვა საგნების მიმართ კონტროლის უშუალოდ განსახორციელებლად, აგრეთვე, კონტრაბანდის აღსაკვეთად. ამიტომ უფრო ზუსტი იქნება, რომ საბაჟო ორგანოების მთავარ ამოცანად მივიჩნიოთ სახელმწიფო საზღვრების ეკონომიკური დაცვა.

საბაჟო ორგანოები დარგობრივი მართვის ორგანოებია. საბაჟო დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ერთ კონკრეტულ და სპეციფიკურ დარგს – საბაჟო საქმიანობას. ამასთან, საბაჟო დეპარტამენტი ახორციელებს ხელმძღვანელობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ *იგი ცენტრალიზებული მართვის ორგანოა.*

საბაჟო ორგანოები აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობის სპეციფიკურ სფეროში. იგი დაკავშირებულია სახელმწიფო სასაზღვარზე სხვადასხვა სახეობის ტვირთის, მათ შორის ბარგისა და საფოსტო გზავნილების, ვალუტისა და ძვირფასეულობის გატარებასთან, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალებების გაშვებასთან, რომლებიც ემსახურებიან მგზავრებისა და ტვირთების გადაადგილებას; მათი მეშვეობით უსრუნველყოფილია აგრეთვე ბაჟისა და მოსაკრებლების ამოღება.

საბაჟო, როგორც წესი, არსდება ან უშუალოდ სახელმწიფო სასაზღვრის ხაზზე, ან მასთან ახლოს სასაზღვრო ზონაში. ოუმცა, არცთუ იშვიათად, საბაჟოები განლაგებულია არა სახელმწიფო სასაზღვრის ახლოს, არამედ ქვეყნის შიგნით – დიდ ქალაქებში, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულების იმ პუნქტებს, სადაც ხდება ტვირთების შეტანა ექსპორტიორი ქვეყნებიდან. ამ შემთხვევაში ტვირთები სასაზღვარზე კი არ ჩერდება, არამედ მიემართება ქვეყნის სიღრმეში შესაბამის საბაჟოებში გასაფორმებლად. ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში ხშირად მიღებულია საბაჟოების დაყოფა ორ სახედ – *შინაგან* და *სასაზღვრო საბაჟოებად.* ამ გაგებით, თბილისის საბაჟო შეიძლება მივიჩნიოთ შინაგან საბაჟოდ იმ შემთხვევაში, როცა ტვირთი თბილისში შედის რკინიგზით, საავტომობილო ტრანსპორტით ან კავშირგაბმულობის არხებით. მაგრამ თუ საქმე ეხება თბილისის საერთაშორისო აეროპორტს, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო რეისების თვითმფრინავის აფრენის პირველდაწყებით პუნქტს, ან პირიქით, თვითმფრინავის დაჯდომის საბოლოო პუნქტს, საზღვარი „გადაიტანება“ თბილისში.

ამგვარად, ერთი და იგივე საბაჟო, ერთ შემთხვევაში შინაგანი, მეორე შემთხვევაში – სასაზღვრო საბაჟოა. სახელმწიფო სასაზღვრებზე განლაგებული საბაჟოები სასაზღვრო საბაჟოებია. ამიტომ საბაჟოების დაყოფა შინაგან და სასაზღვრო საბაჟოებად

ფორმალურია. ასეთ სტრუქტურას საქართველოს საბაჟო კოდექსი არ ითვალისწინებს.

ოთხმოცდაათიან წლებამდე საბაჟო კონტროლის პუნქტები ძირითადად განლაგებული იყო სასაზღვრებზე და სასაზღვრო ნავსადგურებში, რკინიგზის სადგურებსა და აეროპორტებში. საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებამ და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა საბაჟოების საქონლის გამგზავნებთან და მიმღებებთან დაახლოების საკითხი. კერძოდ, შეიქმნა ქვეყნის შიგა საბაჟოები და ტერმინალები. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ასეთმა ფორმამ გაამართლა, განსაკუთრებით საქონლის გადამუშავების და სხვა საბაჟო რეჟიმებისას საბაჟო კონტროლის განხორციელების საკითხებში.

რა ძირითად პრინციპებს ემყარება საბაჟო ორგანოების მართვა?

მართვის სისტემა და პრინციპები – სახელმძღვანელო დებულებები, წესები, ქცევის ნორმებია. ამ სისტემითა და პრინციპებით ხორციელდება საბაჟო ორგანოების მართვა.

მართვის ზოგადი პრინციპები სტრატეგიული ნორმებია, რომლებიც მოქმედებენ საბაჟო ურთიერთობის ყველა სფეროსა და დონეზე. თუმცა მათ საბაჟო სფეროში ახასიათებთ სპეციფიკური ნიშნები. მართვის ზოგად პრინციპებს მიეკუთვნება: სისტემურობა, უკუკავშირი, საინფორმაციო ქსელი, ოპტიმალობა, ურთიერთზემოქმედება, მაძიებლობა.

მართვის კერძო პრინციპები საბაჟო ორგანოებში გამოიყენება, ჯერ ერთი, საბაჟო საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ სფეროებში; მეორე, საბაჟოსათვის სამართალდამცავი ორგანოს სტატუტის უსრუნველყოფაში. მართვის კერძო პრინციპებია: კანონიერება; დეცენტრალიზაციასთან ჰარმონიულად შეხამებული ცენტრალიზაცია; ოპერატიულობა; მოქნილობა; რისკიანობა; პასუხისმგებლობა, მემკვიდრეობითობა; საბოლოო შედეგებზე გათვლის უნარი; კონკრეტულობა; ერთმმართველობა.

ერთმმართველობა საბაჟო ორგანოებში ეყრდნობა კოლეგიალობას, მაგრამ იგი სჭარბობს მას. სისტემის ყველა რგოლი და დონე ეყრდნობა ერთმმართველობის პრინციპს.

მართვის ფუნქცია მმართველობითი საქმიანობის კონკრეტული სახეა, მიმართულებაა. გამოიყოფა ზოგადი და სპეციფიკური (კერძო) ფუნქციები.

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მისი იერარქიული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სისტემის რგოლების განვითარებას.

საბაჟო სისტემაში მართვის რგოლებია: ფინანსთა სამინისტრო, საბაჟო დეპარტამენტი და მისი სისტემა (რეგიონული სამმართველოები, საბაჟო საგუშაგოები, საბაჟო გამშვები პუნქტები). სისტემის თითოეული რგოლი იმყოფება იერარქიული კიბის განსაზღვრულ საფეხურზე.

მართვის დონე მართვის ისეთი რგოლების ერთობლიობაა, რომლებიც მმართველობის სისტემაში იკავებენ ერთსა და იმავე საფეხურს. უმეტეს ქვეყნებში საბაჟოს მართვის ოთხი დონეა (საბაჟო სამინისტრო, დეპარტამენტი და საბაჟო ორგანოები). გამონაკლისებიც ბევრია.

საბაჟო სისტემის რგოლებისა და დონეების ურთიერთობა ემყარება ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და დიაგონალურ მართვას.

საბაჟო ორგანოების მართვის სპეციფიკური ფუნქციებია:

- საბაჟო გაფორმების, საბაჟო კონტროლის, სამართალდამცავი საქმიანობის მართვა;
- საბაჟოში საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის მართვა;
- საბაჟოში საკადრო პოლიტიკის, შრომითი, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და სოციალური უზრუნველყოფის მართვა;
- საბაჟო ინფრასტრუქტურის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის მართვა.

მართვის მეთოდი დასახული მიზნის მიღწევის წესების, გზების, ხერხების, საშუალებების და ფორმების ერთობლიობაა. იგი გამოიყენება საბაჟო საქმიანობაში. მართვის მეთოდი რამდენიმე სახისაა მასშტაბურობისა და ზემოქმედების ფორმების მიხედვით.

მართვის ზოგადი მეთოდები საბაჟო ორგანოების სტრატეგიული, უმთავრესი ამოცანების გადაწყვეტის, საერთოდ, საბაჟო სისტემის ფუნქციონირების საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობაა.

კერძო მეთოდები გამოიყენება ოპერატიულ და მიმდინარე მართვაში (საბაჟო ორგანოების საქმიანობა).

მართვის მეთოდებს მიეკუთვნება აგრეთვე, ზემოქმედების, ეკონომიკური, სტიმულირების, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკურ-მათემატიკური და მართვის სხვა მეთოდები.

საბაჟო ორგანოების სისტემა მოითხოვს მუდმივ სრულყოფას, განახლებას, მოდერნიზაციას, რეფორმებს. მართვის თეორიის დაუფლება ასეთი განახლების წარმართვის საუკეთესო საშუალებაა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი მმართველი ორგანოა, რომელსაც ექვემდებარება ყველა საბაჟო დაწესებულება. იგი უშუალოდ ახორციელებს საბაჟო პოლიტიკას; აწესებს საბაჟო რეჟიმებს; საბაჟო საქმის საკითხებზე გამოსცემს სამართლებრივ აქტებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოებას, საბაჟოების აღჭურვას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ა. შ. მის კომპეტენციაში შედის, აგრეთვე, საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის წარმოება. საამისოდ შექმნილია ექსპორტისა და იმპორტის კომპიუტერული ქსელი.

საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირია თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ფინანსთა მინისტრის წარდგინებით. თავმჯდომარე ნიშნავს თავისი აპარატის ყველა ხელმძღვანელი თანამდებობის პირს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და ორგანიზაციას უწევს საბაჟო საქმის მართვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საბაჟო საქმის ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით საქართველოს საბაჟო ორგანოები თანამშრომლობენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან. პირველ რიგში, საბაჟო დეპარტამენტი და მისი ორგანოები თანამშრომლობენ საქართველოს პრეზიდენტთან, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხე-

ლისუფლების მეთაურია. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საბაჟო ორგანოებისადმი საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი.

პრეზიდენტი წარმართავს საბაჟო ორგანოების საქმიანობას, ანიჭებს ამ სისტემის თანამშრომლებს სახელმწიფო ჯილდოებს, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით საბაჟო საქმის საკითხებზე. გარდა ამისა, პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებამოსილნი არიან გააუქმონ საბაჟო დეპარტამენტის აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და სხვა კანონებს.

საბაჟო ორგანოებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ საქართველოს პარლამენტთან, რომელიც კონსტიტუციის თანახმად „არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“ (მუხლი 48).

საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს კანონებს საბაჟო საქმის საკითხებზე, საბაჟო კოდექსს, საბაჟო ტარიფებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, აწესებს აგრეთვე სპეციალურ და უმაღლეს სპეციალურ წოდებებს საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მუშაკებისათვის, ისმენს თანამდებობის პირების ანგარიშებს საბაჟო საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე და ა. შ.

საბაჟო საკითხებზე წინადადებათა შემუშავების მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მიზნებისათვის საბაჟო დეპარტამენტთან მოქმედებენ სათათბირო ორგანო — საბჭო და მრჩეველთა საბჭო, რომელთა შემადგენლობასა და კომპეტენციას განსაზღვრავენ შესაბამისი დებულებები. ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა საერთაშორისო

უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს სამართალდამცავი და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობასა და კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს საბაჟო დეპარტამენტის კანონსაწინააღმდეგო აქტები და სხვა. საბაჟო ორგანოებს შესაბამისი ურთიერთობები აქვთ სამინისტროებთან, სახელმწიფო დეპარტამენტებთან და სხვა უწყებებთან. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო გასცემს ლიცენზიებს, რომელსაც საბაჟო ორგანოები მოითხოვენ საქონლის ექსპორტის დროს. მთელ რიგ სამინისტროებს (კულტურის, საგარეო, შინაგან საქმეთა და სხვა) შეუძლიათ გამოსცენ აქტები, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო საქმის საკითხებს.

საბაჟო ორგანოებს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები აქვთ სამართალდამცავ ორგანოებთან. საბაჟო და სამართალდამცავი ორგანოები ერთობლივად ებრძვიან ნარკოტიკული ნივთიერებებისა და იარაღის კონტრაბანდას, აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების, ეროვნული საუნჯის უცხოეთში გატანას.

საბაჟო ორგანოები თანამშრომლობენ სასაზღვრო ორგანოებთან, რომლებიც აწესებენ მტკიცე კონტროლს სასაზღვრო რეჟიმის დაცვაზე. ეს უწყებები ხელმძღვანელობენ სათანადო საკანონმდებლო აქტებით, სასაზღვრო რეჟიმის დაცვას ახორციელებენ სპეციალური ორგანოების მეშვეობით. მაგალითად, სასაზღვრო ზონაში საპასპორტო სისტემის დაცვას ახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, მიწათსარგებლობის წესებს — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საზღვრების პოლიტიკურ დაცვას — სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, საზღვრების ეკონომიკურ დაცვას — საბაჟო ორგანოები, საზღვრების სანიტარიულ დაცვას — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალური სამსახურები, საზღვრების ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ დაცვას ახორციელებენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ორგანოები.

კანონმდებლობის მიხედვით, სასაზღვრო რეჟიმის დაცვის კოორდინაციას ახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და

საბაჟო ორგანოები. თავის მხრივ, სასაზღვრო ორგანოები ქმნიან ხელსაყრელ პირობებს საბაჟო ორგანოების საქმიანობისათვის, რათა მათ წარმატებით განახორციელონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ეკონომიკური დაცვის ფუნქცია.

საბაჟო დეპარტამენტს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურთან. იგი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის დაცვასა და ხელშეუხებლობას ხმელეთზე, ზღვაზე, ტბებზე, მდინარეებსა და საერთაშორისო მიმოსვლის საერთო გზებზე.

საბაჟო საქმის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, საბაჟო სისტემა, მისი ყველა სამსახური ხელს უწყობს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში იგი შემოსვლის 5-10 პროცენტს შეადგენს. ბევრგან, უმთავრესად განვითარებად ქვეყნებში, — 20-40 პროცენტს.

საქართველოს საბაჟო სამსახური თანდათან ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი. გონივრული, კარგად მოფიქრებული, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა საშუალებას აძლევს ქვეყანას განავითაროს უპირატესი დარგები, ხელს უწყობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ინფრასტრუქტურის სრულყოფას. სწორი საბაჟო პოლიტიკა, მისი განხორციელება ეხმარება საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ცივილიზებულ საფუძველზე გააღრმავოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი.

ამასთან, ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საბაჟო სამსახურის სრულყოფას ხელს შეუწყობს მუშაობაში მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ არსებობის ათი-თოთხმეტი წლის განმავლობაში საბაჟო სისტემამ რამდენჯერმე განიცადა რეორგანიზაცია; ამასთან დაკავშირებით იცვლებოდნენ ხელმძღვანელები, მებაჟეები, სხვა თანამდებობის პირები. ამან თავისი კვალი დაამჩნია საბაჟო სისტემას.

დღეს მთავარია სტაბილური მდგომარეობის შექმნა საკადრო სფეროში: მებაჟეთა ტრენინგი, კადრების დენადობის შეჩერება, მუდმივ კვალიფიციურ მებაჟეთა მყარი რაზმის ჩამოყალიბება.

მეორე, საბაჟო სამსახურის სრულყოფას ხელს უშლიდა საბაჟო ტრადიციების უქონლობა. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში რესპუბლიკებს ფაქტობრივად ჩამოაცილეს საბაჟო დარგი, მისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მთავარი საბაჟო სამმართველო. იგი ხსნიდა საბაჟოებს, აწესებდა ბაჟებს, ნიშნავდა კადრებს, წყვეტდა ყველა საკითხს. საქართველოს თავისი საბაჟო ტრადიციები გააჩნდა უძველესი დროიდან, მაგრამ იგი დავიწყებულ იქნა მას შემდეგ, რაც საქართველო დაიპყრო რუსეთმა, გადააქცია თავის კოლონიად. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს არ გააჩნდა თავისი საბაჟოები. ახლა საბაჟო ჩვეულებითი ნორმები და ტრადიციები მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს, რაც საბაჟო სამსახურის სრულყოფის მნიშვნელოვანი პირობა გახდება.

მესამე, საბაჟო ორგანოების ნორმალურ საქმიანობას აფერხებდა სამართლებრივი ბაზის ჩამორჩენა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო იყო სრულყოფილი კანონებისა და ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება. ამ მხრივ დადებითი ნაბიჯები გადაიდგა. მიღებულია და ამოქმედდა საქართველოს საბაჟო კოდექსი, კანონები „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" და სხვა. მარტო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ასამდეა. მაგრამ საბაჟო კანონმდებლობა სრულყოფას მოითხოვს, იგი ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

ევროსაბჭოს დახმარებით მომზადდა ახალი საბაჟო კოდექსი; მიმდინარეობს მუშაობა მეორადი საბაჟო კანონმდებლობის დახვეწაზე. საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა გულისხმობს საბაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან მიახლოებას და მართვის ახალი სისტემის დანერგვას.

მეოთხე, საბაჟო ორგანოების მუშაობას ხელს უშლის სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სპეციალური შენობების უქონლობა, გამოთვლითი ტექნიკა, კომპიუტერული, მართვის ავტომატიზებული სისტემები და ა. შ.). ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს საბაჟო გამტარი პუნქტების აღჭურვა ტექნიკური საშუალებებით. მსოფლიო ბანკის პროექტით 1997 წლიდან მიმდინარეობს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკისა და

ანალიზის სისტემის კომპიუტერიზაცია სპეციალურად შემუშავებული პროგრამით, რომელიც უკვე მსოფლიოს 50-ზე მეტ განვითარებულ ქვეყანაშია დანერგილი. 1997 წელს დანერგილი სისტემა ამოქმედდა თბილისის აეროპორტის საბაჟოზე.

ამ პროგრამით შესაძლებელია რამდენიმე წამში მივიღოთ ზუსტი ინფორმაცია ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის პარამეტრების შესახებ ნებისმიერ რეჟიმში, ქვეყანა-ექსპორტიორი-იმპორტიორი-საქონელი-რაოდენობა-გადასახადების სიდიდე და ა. შ.

მეხუთე, საბაჟო სამსახურის სრულყოფას აფერხებდა ამ დარგის სპეციალისტთა თითქმის არარსებობა საქართველოში, არცერთ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში არ მზადდებოდა საბაჟო საქმის სპეციალისტი. იყო შემთხვევები, როდესაც საბაჟო ორგანოებში ინიშნებოდნენ შეუფერებელი პირები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საბაჟო დეპარტამენტის ახლანდელი ხელმძღვანელობა ატარებენ ეფექტიან ღონისძიებებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მეექვსე, ერთიანი საბაჟო სივრცის შექმნის ამოცანას აფერხებდა, აგრეთვე, ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაუზუსტობა. ამ პრობლემის ავტომატურად გადაწყვეტა თითქმის შეუძლებელია. საჭიროა სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, პირველ რიგში, უცხოეთის იმ ქვეყნებთან ურთიერთობა, რომლებიც უშუალოდ გვესაზღვრებიან. ამჟამად ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ტარდება საქართველოში.

მეშვიდე, საბაჟო საქმის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა, ამ ქვეყნების სამართლებრივი დოკუმენტების (საბაჟო კოდექსები, დეკრეტები, საბაჟო ტარიფები და სხვა აქტები), ცნობილ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შრომების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების ქართულ ენაზე გამოქვეყნება, მუშაობაში საბაჟო ურთიერთობების სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება, უცხოეთის საბაჟო სამსახურებთან საქმიანი კავშირებისა და ურთიერთობების გაღრმავება, განვითარება, მათი წარმომადგენლების მოწვევა, ერთობლივი კონფერენციების, სიმპოზიუმების, შეხვედრების ორგანიზაცია.

მერვე, გარდა აღნიშნულისა, საბაჟო საქმის განვითარებას ხელს შეუწყობს საქართველოში საბაჟო ურთიერთობის დარგში ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა, მეცნიერთა და მოაზროვნე პრაქტიკოსთა ძალების გაერთიანება, დასამუშავებელი პრობლემების განსაზღვრა, მათი შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება-დანერგვა; სასურველია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრი, რომელიც ამ დარგში საკვლევაძიებო მუშაობის კოორდინაციას მოახდენს, თავს მოუყრის მეცნიერთა ძალებს დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

საბაჟო საქმიანობის განხორციელების მიზნით საქონლის ექსპერტიზისა და სხვა გამოკვლევის ჩასატარებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შექმნას საბაჟო ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და სხვა საწარმოები და დაწესებულებები. საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ლაბორატორიის ძირითადი ამოცანაა: საბაჟო მიზნებისათვის სასაქონლო ექსპერტიზისა და სპეციალური გამოკვლევების ჩატარების ორგანიზება; საბაჟო საქმის საექსპორტო მეთოდურ და ტექნიკურ პრობლემებზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, სავალდებულო საბაჟო პროცედურების ჩატარების გარდა, გასწიოს საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება კანონმდებლობით დადგენილი წესით (სსკ, 159-ე მუხლი, ნაწილი 2).

საბაჟო დეპარტამენტს დაქვემდებარებული ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომლის განკარგვა ევალება საბაჟო დეპარტამენტს. ეს ქონება არ ექვემდებარება პრივატიზაციას.

საბაჟო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, საბაჟო ორგანოები საბაჟო საქმიანობის განხორციელების მიზნით ურთიერთმოქმედებენ სხვა სამართალდამცავ და სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან (საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, უშიშროების და სხვა სამინისტროები, საგადასახადო

დეპარტამენტი, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის ორგანოები და სხვა).

სახელმწიფო ორგანოები და მათი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საბაჟო ორგანოებს მათზე დაკისრებულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

საკანონმდებლო აქტების მიხედვით, საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი კონტროლითა და პასუხისმგებლობით დაუშვან მათ კომპეტენციაში შემავალ ცალკეულ უფლებამოსილებათა დელეგირება სხვა სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 163), საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ საბაჟო გაფორმება ხდებოდეს უშუალოდ მათ ტერიტორიაზე ან მათ სათავსებში, და არა საბაჟო ორგანოების განლაგების ადგილას, საბაჟო ორგანოებს დროებით უსასყიდლოდ სარგებლობისათვის გამოუყოფენ საბაჟო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სასამსახურო და საყოფაცხოვრებო სათავსებს, მოწყობილობასა და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

საბაჟო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია „საქართველოს რეზიდენტების მიერ საბაჟო ორგანოებისათვის გადაცემული ინფორმაციის გამოყენება" (მუხლი 164). ეს ეხება ამ ინფორმაციის არამართლზომიერად, არა საბაჟო მიზნებით გამოყენებისაგან მეწარმე სუბიექტების დაცვის საკითხს.

საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლის მიხედვით, „1. სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ საბაჟო ორგანოებისათვის... გადაცემული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საბაჟო საქმიანობისათვის.

ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო, კოოპერაციულ, საბანკო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას, აგრეთვე, კონფიდენციალური ინფორმაცია (ინფორმაცია, რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და რომელსაც შეუძლია შელახოს მისი გამცემი პირის უფლებები და კანონით დაცული ინტერესები) არ შეიძლება გამოქვეყნდეს, გამოყენებული იქნეს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ პირადი მიზნით,

გადაეცეს მესამე პირს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა".

კონფიდენციალურ საბაჟო ინფორმაციად ითვლება საძართველოს მეწარმე სუბიექტის და სხვა რეზიდენტების მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლისა და ქონების გადაადგილების შესახებ გაფორმებულ საბაჟო-სატვირთო დეკლარაციებში და თანმხლებ დოკუმენტებში გაცხადებული მონაცემები, რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და რომელთა გამჟღავნებამაც შეიძლება შელახოს მეწარმის უფლებები და კანონით დაცული ინტერესები, მიაყენოს მას მატერიალური ზარალი.

კონფიდენციალურად მიიჩნევა ექსპორტ-იმპორტის მდგომარეობის ამსახველი განზოგადებული საბაჟო სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც წარედგინება მმართველობის სახელმწიფო ორგანოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოიყენება ოფიციალური პუბლიკაციებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად და სხვადასხვა საბანკო გაანგარიშებისას.

კონფიდენციალური საბაჟო ინფორმაციის დაცვის ერთ-ერთი უპირველესი საშუალებაა იმ სათავსებში, სადაც ხდება ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის მიღება, დამუშავება და შენახვა, დაცვის სპეციალური ტექნიკური საშუალებების დაყენება და ინფორმაციის უცხო პირთათვის მათი ხელმიწვდომლობის რეჟიმის დაწესება. სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებში იგულისხმება: საკეტები, სეიფები, სიგნალიზაცია, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი, სპეციალური ფანჯრები, საცავები, კარადები, სტელაჟები და სხვა.

კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად საბაჟო ორგანოები განსაზღვრავენ იმ მუშაკთა წრეს, რომლებსაც ექნებათ კონფიდენციალური ინფორმაციის გაცნობისა და მისი ოპერირების უფლება და ევალებათ კონფიდენციალობის უზრუნველყოფა.

კონფიდენციალური ინფორმაცია არ შეიძლება გამოქვეყნდეს, გამოყენებული იქნეს სახელმწიფო სტატისტიკის, სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის და საბაჟო ორგანოების მუშაკთა, მათ შორის თანამდებობის პირთა პირადი სარგებლობისათვის, გადაეცეს მესამე პირს. ეს ინფორმაცია არ მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს, სამინისტროებს, დეპარტამენტებს, სხვა უწყე-

ბების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, პრესას, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოებისათვის კონფიდენციალური საბაჟო ინფორმაცია, მისი შემცველი დოკუმენტები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს დაკავშირებულია მათზე დაკისრებულ ამოცანათა შესრულებასთან და კონკრეტულად იქნება დასახელებული სამეწარმეო სტრუქტურა და საჭირო საბუთების ამომწურავი ნუსხა.

საგნების და დოკუმენტების დედნები მიეცემა გამომძიებელს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დადგენილების საფუძველზე. დასაშვებია საგნებისა და დოკუმენტების გაცემა საქმის აღძვრამდეც მოკვლევის ორგანოს უფროსის დადგენილების საფუძველზე.

სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული შემოწმებისათვის ამ შემოწმების ჩატარების დადგენილების ან შესაბამისი მიმართვის წარმოდგენისას გაიცემა მოთხოვნილი დოკუმენტების ასლები[1].

გამომძიებლის მოთხოვნით შესაძლებელია მის მიერ დოკუმენტების დათვალიერება.

დოკუმენტების, მათი ასლების გაცემის, დათვალიერებისა და გადაგზავნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო დაწესებულების უფროსი ან მისი შემცვლელი. დოკუმენტის ამოღება უნდა მოხდეს საბაჟოს იურიდიული სამსახურის წარმომადგენლის თანდასწრებით, შედგეს ამოღების ოქმი და საბაჟო დოკუმენტის გაცემა დაფიქსირდეს სპეციალურ ჟურნალში.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო ორგანოს მუშაკს საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება, მისცეს ვინმეს ზეპირი თუ წერილობითი განმარტება კომერციული საიდუმლოებისა და კონფიდენციალური საბაჟო ინფორმაციის შესახებ.

სხვა ქვეყნების საბაჟო სამსახურებისათვის, სამართალდამცავი ორგანოებისათვის საქართველოს რეზიდენტების მიერ ჩატა-

---

1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2003, გვ. 46, მუხლი 59.

რებული ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტების ასლები გაიცემა წერილობითი მომართვის საფუძველზე: თუ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე; თუ ადგილი აქვს რეზიდენტის მიერ საბაჟო საზღვარზე საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდით ავლით ან მისგან მალულად გადაადგილების ფაქტებს; თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა გათვალისწინებულია სამთავრობათაშორისო ან ქვეყნების საბაჟო უწყებებს შორის შეთანხმებებით.

უცხოელ იურიდიულ და კერძო პირებზე გაიცემა მხოლოდ საკუთარ კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

საბაჟო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხლი 166).

როგორც წესი, პირველადი საჩივარი იწერება საბაჟო ორგანოს სახელზე, რომლის სახელმწიფო მოხელის გადაწყვეტილება, მოქმედება თუ უმოქმედობა გახდა საჩივრის საბაბი. საჩივარი განხილული უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში. ზემდგომ ორგანოს შეუძლია ვადა გააგრძელოს ორ თვემდე.

საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით შესაბამისი საბაჟო ორგანოს ან თანამდებობის პირის სახელზე.

თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ან საჩივრის შედეგად გატარებული ღონისძიებები არ აკმაყოფილებს პირს, მას უფლება აქვს მიმართოს იმავე საბაჟოს უფროსს ან მის ზემდგომ ორგანოს განმეორებითი საჩივრით. თუ საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული საბაჟო ორგანოების მიერ, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს[1].

საქართველოს საბაჟო ორგანოების სიმბოლიკა. იგი შედგება დროშისა და ამოსაცნობი ნიშნისაგან. დროშასა და ამოსაცნობ ნიშანს აქვს შემდეგი აღწერილობა: ა) საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დროშა წარმოადგენს ორფეროვან ზოლოვან გადაწყვეტას ზემოთ და ქვემოთ ცისფერი ფონით, შუაში თეთრი ფონით, რომელზეც გამოსახულია საქართველოს საბაჟო

1 საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები, ოცდამეცამეტე თავის კომენტარები, ავტორი დიმიტრი აბესაძე, თბ., 1998.

სიმბოლიკა — შავსა და წითელ ფერებში სიმბოლიკის მარცხნივ და მარჯვნივ განლაგებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა „საქართველოს საბაჟო“ ოქროს ფერით; ბ) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სიმბოლიკაზე გამოსახულია ფარი, რომლის ცენტრში მზის დისკოს ფონზე მოთავსებულია წითელი ფერის გასაღებზე შემდგარი ფასკუნჯი.

ფასკუნჯი ქართულ მითოლოგიაში ჭკვიანი და კეთილი ფრინველია. „ფასკუნჯი ზღაპრებში — დიდი ზომის ფრინველი, რომელიც ჩვეულებრივ გასაჭირში ჩავარდნილ გმირს ეხმარება“[1].

სიმბოლიკა ექვსფეროვანია, რომელიც გამოხატავს ხმელეთის, ზღვის, ცის და საზღვრის პირობითობას.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის ემბლემას აქვს შემდეგი აღწერილობა: ა) ანალოგიურად ამოსაცნობი ნიშნისა, ემბლემის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს მზის ფონზე გასაღებზე შემდგარი ფასკუნჯი ოქროს ფერით; ბ) ცენტრალური დეტალის გარშემო არსებულ სპილენძის ფარში, რომელიც ასევე მოოქროვილია, ჩასმულია გამომწვარი ჭიქური; გ) გარშემო არსებულ ლენტზე ოქროს ასოებით არის წარწერა: „საქართველოს საბაჟო“ — ზემოთ.

ამრიგად, საქართველოში, ისე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, ხოლო საბაჟო საქმის უშუალო განხორციელება ეკისრებათ საბაჟო ორგანოებს.

ფინანსთა სამინისტროს სისტემა

სახელმწიფო წყობილების საფუძვლების განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1997 წლის 15 აპრილის კონსტიტუციურ კანონს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“. აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ კონსტიტუციურმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საპრეზიდენტო, აღმასრულებელი ხელისუფლე-

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ეროტომეული, ნაკვეთი მეორე, 1990, გვ. 964.

ბის, მთავრობის, სამინისტროებისა და დეპარტამენტების ახალ, კარდინალურ რეფორმაციას და მნიშვნელოვნად განსაზღვრა მათი მთავარი ამოცანები და მუშაობის ძირითადი მიმართულებები. კანონმა მტკიცე სამართლებრივი საფუძვლები შეუქმნა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სისტემას, მათი ფორმირების წესს, სახელისუფლებო და ორგანიზაციულ საქმიანობას.

საქართველოში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მეშვეობით.

აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებია: 1. სამთავრობო დაწესებულებები და 2. საქვეუწყებო დაწესებულებები.

სამთავრობოა დაწესებულება, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. სამთავრობო დაწესებულებებია: სამინისტროები, სახელმწიფო კანცელარია, სახელმწიფო დეპარტამენტები, სახელმწიფო ინსპექციები.

სამთავრობო დაწესებულება ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე, რომელიც წარმართავს, კოორდინაციას უწევს სამთავრობო დაწესებულების საქმიანობას და ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას.

საქართველოს პრეზიდენტის და სამთავრობო დაწესებულებათა გამგებლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, რომელთა ძირითად ამოცანას არ შეადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები აღმასრულებელ ხელისუფლებას შეიძლება ახორციელებდნენ კანონის საფუძველზე. ასეთ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა რიცხვს მიეკუთვნებიან საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები და სხვა. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები ასრულებენ სახელმწიფოებრივ ამოცანებს სოციალურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში, ან ეწევიან სამსახურს

სამთავრობო დაწესებულებისათვის. საქვეუწყებო დაწესებულებები შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ მმართველობის სფეროში.

სამინისტროები იქმნება კანონის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 81).

საქართველოს სამინისტროებია: განათლების; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის; ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის; თავდაცვის; იუსტიციის; კულტურის; ლტოლვილთა და განსახლების; საგარეო საქმეთა; სათბობ-ენერგეტიკის; სახელმწიფო უშიშროების; სახელმწიფო ქონების მართვის; სოფლის მეურნეობისა და სურსათის; ფინანსთა; ტრანსპორტისა და კომუნიკაციების; ურბანიზაციის და მშენებლობის; ფინანსთა; შინაგან საქმეთა; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის.

სამინისტროს სისტემაში არსებული იმ დეპარტამენტის, ინსპექციის, მთავარი სამმართველოს, სხვა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენცია, რომელიც ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში – სახელმწიფო იძულებას, განისაზღვრება სამინისტროს დებულებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის, საგადასახადო დეპარტამენტის, საგამოძიებო დეპარტამენტის, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელებს, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსს, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვის დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი – „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. ამ მუხლის მიხედვით, მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით თანამ-

დებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი[1].

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები საქართველოს პარლამენტს და პრეზიდენტს მიმართავენ მინისტრის მეშვეობით.

მინისტრის სამართლებრივი აქტები. მინისტრი კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს. მინისტრი, რომელიც ხელს აწერს ბრძანებას, პასუხისმგებელია ბრძანების კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის.

მინისტრის ბრძანება უფლებააღმჭურველი ან ამკრძალავი აქტია. მასში უნდა იყოს მითითებული საკანონმდებლო ნორმა, რომლის საფუძველზე და შესასრულებლად გამოიცემა ბრძანება.

მინისტრის ან სხვა სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტის პროექტი გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ორი კვირის ვადაში იძლევა დასკვნას მისი საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ. ნორმატიული აქტი მინისტრის ხელმოწერიდან ათი დღის ვადაში გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში შესატანად.

კანონმდებლობის მიხედვით, მინისტრის ბრძანებას უნდა ჰქონდეს სათაური, მითითებული უნდა იყოს მიღების თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული), თანამდებობის პირის ხელმოწერა, სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო თუ აქტი სახელმწიფო რეესტრში შეტანას მოითხოვს, – აგრეთვე, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

მინისტრის სამართლებრივი აქტი, თუ ის ნორმატიულია, ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს და დაუყოვნებლივ ეცნობება დაინტერესებულ პირთ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის, საგადასახადო დეპარტამენტის, საგამოძიებო დეპარტამენტის,

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 2002, გვ. 13-61.

გენერალური ინსპექციის, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს შესყიდვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს (მუხლი 17, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 პუნქტები).

საბაჟო სისტემა – არის საბაჟო დაწესებულებების და ორგანიზაციების ერთიანობა, რომელიც, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტი, ახორციელებს საბაჟოს ფუნქციებს და ამოცანებს. საბაჟო ორგანიზაციები მოიცავენ იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საბაჟო ფუნქციები – ფისკალური და ეკონომიკური საზღვრის დაცვის ფუნქცია. პირველ რიგში, ეს არის სამინისტრო, საბაჟო დეპარტამენტის სახით. საბაჟო ინსტიტუტი საქართველოში საბჭოთა კავშირის არსებობის დროს არ არსებობდა. ამ სფეროს მონოპოლია მთლიანად მეტროპოლიის ხელში იყო[1].

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დაიწყო საბაჟო სისტემის შექმნა. 1991 წელს მიღებულ იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი – კანონი საქართველოს საბაჟოს შესახებ, 1992 წელს – პირველი საბაჟო კოდექსი, რამაც ლეგიტიმური გახადა მისი არსებობა. საბაჟოს ზემდგომი ორგანოები ხან აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ დამოუკიდებელ დეპარტამენტად მიიჩნეოდა, ხან ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში იყო, ხან პრემიერ-მინისტრს ემორჩილებოდა, ხან – სახელმწიფო მინისტრს; მერე ისევ ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში მოექცა; ბოლოს, 1999 წლის შემოდგომაზე შეიქმნა საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, 2002 წელს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დაშლის შემდეგ საბაჟო დეპარტამენტი ისევ ფინანსთა სამინისტროს შემადგენელი ნაწილი გახდა.

საქართველოს კანონის „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ (1995 წლის 8 დეკემბერი) შესაბამისად (მუხლი 13), საბაჟო დეპარტამენტი დაექვემდებარა ფინანსთა სამინისტროს. იგი 1998 წლის ნოემბრამდე

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002, გვ. 106.

იყო ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტი. 1998 წლის ნოემბერში მას მიენიჭა საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის სტატუსი. 1999 წლის შემოდგომიდან იგი შეერიდა ახლად შექმნილი საქართველოს საგადასახადო, შემოსავლების სამინისტროს სისტემაში. ამით მოეხსნა სახელმწიფო დეპარტამენტის სტატუსი.

2002 წლის დასაწყისში გაუქმდა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, იგი შეუერთდა ფინანსთა სამინისტროს. საბაჟო დეპარტამენტი გახდა ამ სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

საქართველოს პრეზიდენტმა 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით (№567) დაამტკიცა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება", რომლის მიხედვით, სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონით „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, განკარგულებებით, სამინისტროს დებულებით და სხვა აქტებით.

სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელიც კოორდინაციას უწევს სამინისტროს საქმიანობას და ახორციელებს მის სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საბაჟო და საგადასახადო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს[1].

ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებია:

- ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება;

---

1 *წყარო:* საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, 31 დეკემბერი, №128, გვ. 2-14.

- ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმების ფარგლებში საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისა და საქართველოს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტების ძირითად მონაცემთა და მიმართულებათა ჩამოყალიბება; აგრეთვე, შესაბამისი საფინანსო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;
- საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და ამ პოლიტიკის განხორციელება, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების სრული მობილიზების უზრუნველყოფა;
- საგადასახადო და საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებათა შემუშავება, შესაბამისი პროგრამების შედგენა, კონცეფციების ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ორგანიზება;
- საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ გადასახადების აკრეფის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სათანადო წინადადებების მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება;
- საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი;
- საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის აღსრულებისა და გამოყენებისათვის ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შედგენა და დადგენილი წესით მათი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;
- საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობის მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და პროგნოზირება, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ სათანადო რეკომენდაციების მომზადება;
- საგადასახადო და საბაჟო სფეროში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება;

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება; ამ სფეროში სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამის წინადადებათა მომზადება;

- საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის პროგნოზირება მოდელირების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; ყოველთვიური საგადასახადო შემოსავლების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება; საგადასახადო შემოსავლების შესახებ არსებულ მონაცემებთან დაკავშირებული ანგარიშების სისტემების სრულყოფა;
- აქციზური მარკების სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მომზადება, აქციზური მარკების რეალიზაცია, მარკების გამოყენებისათვის მკაცრი კონტროლის დაწესება, სამომხმარებლო ბაზარზე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის მონიტორინგი, დასაბეჭდი აქციზური მარკების რაოდენობის განსაზღვრა და მათი ბეჭდვის ორგანიზება და სხვა.

სამინისტროს ხელმძღვანელობა და პერსონალი. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც საქართველოს პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების გარდა, სამინისტროს თანამდებობის პირები არიან:

- სამინისტროს დაქვემდებარებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- საბაჟო და საგადასახადო ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

სამინისტროს სისტემაში შედის:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;
- რაიონებისა და იმ ქალაქების საფინანსო ორგანოები, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში (ორმაგი დაქვემდებარებით).

სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებია:

- საგადასახადო დეპარტამენტი;
- საბაჟო დეპარტამენტი;
- საგამოძიებო დეპარტამენტი;
- სახაზინო სამსახური;
- გენერალური ინსპექცია;
- აქციზური მარკების სამსახური;
- აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიურო;
- ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

საგადასახადო დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა, რომელიც წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას და უზრუნველყოფს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლს.

საგადასახადო დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ორგანიზაციას უწევს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების აკრეფას და შესაბამისი დონის ბიუჯეტებში მათ დროულ და სრულ შეტანას; საქართველოს საგადასახადო სივრცეში ახორციელებს საქონლის (მომსახურების, სამუშაოების) აღრიცხვას, მონიტორინგს და დაბეგვრას; მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს და გამოსცემს მითითებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა საგადასახადო ორგანოებისათვის;
- ახორციელებს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას;
- შეიმუშავებს საგადასახადო კონტროლის განხორციელების მეთოდებსა და პროგრამებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ინსტრუქციების პროექტებს, მეთო-

დურ მითითებებსა და გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ დებულებებს;

- მონაწილეობს საგადასახადო კანონპროექტების მომზადებასა და განხილვაში და აანალიზებს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების ეფექტიანობას;
- იღებს და ამუშავებს ინფორმაციას საგადასახადო შემოსავლების შესახებ;
- ახორციელებს გადამხდელთა საგადასახადო კონტროლს; კოორდინაციას უწევს საგადასახადო ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში გადასახადის გადამხდელის ქონების დაყადაღების და დაყადაღებული ქონების სპეციალიზებულ ღია აუქციონზე რეალიზაციის საკითხებს.

ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. იგი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის ორგანოებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფის, აგრეთვე თანამდებობის პირთა მუშაობის კონტროლს, ხელმძღვანელობს მუშაობის ეფექტიანობის შემოწმებას.

გენერალური ინსპექცია ახორციელებს სამინისტროს სისტემის თანამდებობის პირთა და მოხელეთა მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვის კონტროლს, აწარმოებს სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივ მოკვლევას, განიხილავს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს ამ ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და ინფორმაციების შესახებ.

გენერალური ინსპექცია დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით ატარებს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და ფინანსთა სამინისტროს სისტემის ორგანოების, მათ შორის საბაჟო დეპარტამენტის სისტემის, საფინანსო-სამეურნეო, კომპლექსურ და თემატურ შემოწმებებს.

აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიურო ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა, რომლის ძირითადი ამოცანაა აქციზური საქონლის მიწოდების აღრიცხვისა და გადასახადების ადმინისტრირების, აგრეთვე, მისი კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლო-

ბის დაცვის მონიტორინგი; აქციზური საქონლის საქართველოს საგადასახადო სივრცეში აღრიცხვიანობის, დაბეგვრისა და რეალიზაციის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება; აქციზური საქონლის აღრიცხვისა და დაბეგვრის კოორდინაცია და ანალიზი; დასკვნებისა და წინადადებების მომზადება აქციზური საქონლის მიხედვით საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ, აგრეთვე, საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადების აკრეფის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით; ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის, მიმოქცევაში არსებული აქციზური საქონლის მონიტორინგი.

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა, რომლის ამოცანებია:

- „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროსათვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში, განახორციელოს ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ერთიანი სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობა;
- განახორციელოს ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების გამოყენებით დამზადებული ნაწარმის გასინჯვა, ძვირფასი ლითონების შემცველობის ანალიზი, ძვირფასი ქვების მახასიათებლების განსაზღვრა და ძვირფასი ლითონების ნაწარმის დადამღვა საქართველოში მოქმედი სინჯების დამადასტურებელი დამღებით. ძვირფასი ლითონების შემცველობის დადგენის მიზნით საარბიტრო ანალიზის ჩატარება; ძვირფასი ლითონების შემცველობის დადგენის, ძვირფასი ქვების იდენტიფიკაციისა და მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება, სასინჯი რეაქტივების და ქვების დამზადება იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეწევიან ძვირფას ლითონებთან დაკავშირებულ საქმიანობას; ლაბორატორიულ პირობებში ძვირფასი ლითონების დნობა და აფინაჟი; სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო და სახელობითი დამღის ანაბეჭდის ექსპერტიზა და სხვა.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

მინისტრის აპარატი; საბიუჯეტო დეპარტამენტი; საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებთან საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების კოორდინაციის დეპარტამენტი; მაკროეკონომიკური პროგნოზირების, საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკის და ფინანსური სტატისტიკის დეპარტამენტი; საგადასახადო შემოსავლების მობილიზების კოორდინაციის სამსახური; სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტი; სახელმწიფო საშინაო ვალის დეპარტამენტი; სახელმწიფო ქონების ფინანსური მართვისა და არასაგადასახადო შემოსავლების აღრიცხვის დეპარტამენტი; გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტი; იურიდიული დეპარტამენტი; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი; მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის, სათამაშო ბიზნესისა და ექსპერტიზა-უტილიზაციის დეპარტამენტი; ინფორმატიკის სამსახური; ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის სამსახური; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური; საფინანსო სამსახური; ინფორმაციის დაცვის განყოფილება.

სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანები, ხელმძღვანელობა, მის შემადგენლობაში არსებული სტრუქტურული ერთეულები და მათი ძირითადი ამოცანები, თანამდებობათა ჩამონათვალი, ქვემდებარეობა და შენაცვლების წესი განისაზღვრება სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, რომელიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით; სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარება მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

- ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს;
- თვალყურს ადევნებს სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
- ხელს აწერს ან ადასტურებს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;
- აბარებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის ანგარიშს;

- წარმოადგენს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობის შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით იძლევა სათანადო დასკვნებს;
- წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადებებს ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეების ხელფასისა და პრემიის დანიშვნის, მათი წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანების გადასაწყვეტად;
- შუამავლობს სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე.

სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გააჩნია აღმასრულებელი ხელისუფლების განყოფილების უფლებამოსილება იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან სამინისტროს მოხელეები.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანები, ხელმძღვანელობა, მის შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულები და მათი ძირითადი ამოცანები, თანამდებობათა ნუსხა, ქვემდებარეობა და შენაცვლების წესი განისაზღვრება, შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს დებულებით (დამტკიცებული პრეზიდენტის ბრძანებულებით 2002 წლის 31 დეკემბერს), სამინისტროს საშტატო ნუსხით, აგრეთვე, სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს სამმართველოებად, განყოფილებებად და სხვა შიდა სტრუქტურულ ერთეულებად.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების, საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკის და ფინანსური სტატისტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- საბიუჯეტო შემოსავლების მონიტორინგი. კონსოლიდირებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ყოველთვიური ანალიზი. შესაბამისი ანგარიშების მომზადება და საკანონმდებლო

და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ წინადადებების წარდგენა;

- საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის გრძელვადიანი მიმართულებების შემუშავება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- მოქმედი საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან და მეზობელ ქვეყნებთან ჰარმონიზაციის მიზნით წინადადებების მომზადება;
- მოსაკრებლების, ლიცენზირებისა და სერტიფიცირების სფეროში ერთიანი – კომპლექსური საკანონმდებლო აქტების პაკეტის შემუშავება და სრულყოფა.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზების კოორდინაციის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

- საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების, საგამოძიებო დეპარტამენტი და სხვა სამსახურის მიერ მინისტრისა და სამინისტროს დავალებების შესრულების პროცესის და ინფორმაციის გაცვლის კოორდინაცია და ხელშეწყობა;
- საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების და სხვა სამსახურის ერთობლივ კომპეტენციაში შემავალ საკითხთა კოორდინაცია.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური სამინისტროს დეპარტამენტებისა და მათი შიდა ერთეულებისათვის ქმნის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს, ორგანიზაციას უკეთებს კაპიტალური მშენებლობის, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა წარმოებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟრო ორგანოს ტიპური დებულების[1] საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს ამზადებს და ამტკიცებს რეგიონული საბაჟოების დებულებებს. დღეს ყველა რეგიონულ საბაჟოს თავისი დებულება გააჩნია.

---

1 წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002 წლის 3 სექტემბერი, №88, გვ. 3-6.

საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონის „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებია: ა) სამთავრობო დაწესებულებები; ბ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით დადგენილია საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტატუსი; იგი შეესაბამება საქართველოს კანონის „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ მოთხოვნებს (მუხლი მე-8). საბაჟო დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განსაზღვრულია 271 საშტატო ერთეულით, საგანგებო ლეგიონის – 290 საშტატო ერთეულით, ხოლო გენერალური ინსპექციის რიცხობრივობა – 49 საშტატო ერთეულით.

საქართველოს კანონის (1997 წლის 15 აპრილი) მერვე მუხლის შესაბამისად, „1. საქაროველოს პრეზიდენტისა და სამთავრობო დაწესებულებათა გამგებლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, რომელთა ძირითად ამოცანას არ შეადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები აღმასრულებელ ხელისუფლებას შეიძლება ახორციელებდნენ კანონის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო დაწესებულებები ასრულებენ სახელმწიფოებრივ ამოცანებს სოციალურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში, ან ეწევიან სამსახურს სამთავრობო დაწესებულებებისათვის.

3. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული წესით სამთავრობო დაწესებულებების მიერ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ მმართველობის სფეროში.

5. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დებულებას ამტკიცებს, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი ან სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი სპეციალურ რეესტრში".

სამთავრობო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფოს წარმომადგენლობა იმ მოვალეობათა შესრულებისას, რომლებიც მას ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოში ჩამოყალიბდა საბაჟო დეპარტამენტის სისტემის საფუძვლები. პირველ საკანონმდებლო აქტში „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ" (1991 წლის 15 სექტემბერი) აღნიშნულია: „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს მმართველი ორგანოა საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი, რომელსაც ექვემდებარება საბაჟოები და საბაჟო საგუშაგოები" (მუხლი 10). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის დირექტორს ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით; სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეებს – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით (მუხლი 11).

საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის მიხედვით[1], საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები (მუხლი 3).

საბაჟო საქმის უშუალო განხორციელება ეკისრებოდათ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოებს (მუხლი 4). საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები შეადგენდნენ ერთიან სისტემას, რომელშიც შედიოდა: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი; საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოები.

---

1 საქართველოს საბაჟო კოდექსი, ნორმატიული აქტების სრული კრებული, სერია: საბაჟო საქმე, წიგნი 1, თბ., 1996, გვ. 9-72.

საბაჟოების ხელმძღვანელებს ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი.

1991-1992 წლებში შეიქმნა საბაჟო დეპარტამენტის სისტემა, რომელიც მოიცავდა დეპარტამენტს, რეგიონულ საბაჟოებს და საბაჟო გამშვებ პუნქტებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უკვე 1995 წლის 2 ივნისს დაამტკიცა საბაჟო დეპარტამენტის უფრო სრულყოფილი სტრუქტურა. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნება განისაზღვრა 73 ერთეულით (შენობის დაცვისა და მომსახურე პერსონალის გარეშე).

საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურა ასეთი იყო: ხელმძღვანელობა; სამმართველოები; საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო; საფინანსო-საგადასახადო სამმართველო; კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო; კადრების სამმართველო; სამართლებრივი და საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველო; საბაჟო დაცვის სამმართველო; ·სამეურნეო სამმართველო; განყოფილებები: საბაჟო სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილება; საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება; საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება; საერთო განყოფილება.

იმ დროიდან *საბაჟო დეპარტამენტი* იყო საბაჟო სისტემის პოლიტიკის განმახორციელებელი. იგი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ფუნქციონირებდა. ის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონებით და მთავრობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე ახორციელებდა თავის ფუნქციას, წყვეტდა მის წინაშე მდგარ ამოცანებს. დეპარტამენტი, როგორც პოლიტიკური წარმონაქმნი, კანონებზე დაყრდნობით, უშუალოდ ახორციელებდა მარეგლამენტირებელ ფუნქციას, შეიმუშავებდა საბაჟო პოლიტიკას, უწევდა მენეჯმენტს, ახორციელებდა მონიტორინგს საბაჟოს უწყებების მიერ სახელმწიფოს ფისკალური აგენტის ფუნქციის შესრულებაზე, წარადგენდა წინადადებებს ზემდგომ ორგანოებში ფისკალური აგენტის ფუნქციის განხორციელებაზე, ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაზე; ეწეოდა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას, ტვირთების მოძრაობაზე კონტროლს და მონიტორინგს.

შემდგომი ნაბიჯი საბაჟო დეპარტამენტის სრულყოფის გზაზე გადაიდგა 1996 წლის სექტემბერში, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა საბაჟო დეპარტამენტის უფრო მიზანმიმართული სტრუქტურა.

საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა ასე ჩამოყალიბდა: ხელმძღვანელობა; საფინანსო-ეკონომიკური სამმართველო; საკანონმდებლო განსრახულობათა სამმართველო; სამეურნეო სამმართველო; განსაკუთრებული ინსპექცია; კადრების სამმართველო; კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ მებრძოლი ოპერატიული სამმართველო; სპეციალურ ოპერაციათა სამმართველო; ტვირთების გადაზიდვების, საბაჟო კონტროლის და დაცვის უზრუნველყოფის სამმართველო; საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო; სამართლებრივი და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო; ადმინისტრაციული სამმართველო; საბაჟო სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო; სატერმინალო ქსელის ზედამხედველობის სამმართველო. მოიმატა სამმართველოთა რიცხვმა — გახდა 14.

საბაჟო დეპარტამენტის 1996 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით (№382) თბილისის, ბათუმის, აფხაზეთის, ფოთის, ქუთაისის, სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის (მოძრავი) საბაჟოები გარდაიქმნა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ფოთის, ქუთაისის, სამცხე-ჯავახეთისა და მოძრავ (ცხინვალი) რეგიონულ საბაჟოებად. საბაჟო-საგუშაგო „ყაზბეგს" მიენიჭა დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულის სტატუსი.

გაუქმდა საბაჟო დეპარტამენტის ქვემო ქართლისა და კახეთის საბაჟოები. ამ საბაჟოებში შემავალი საბაჟო საგუშაგოები (ქვემო ქართლის: წითელი ხიდი, სადახლო, სადახლო-რკინიგზა, გუგუთი, ახკერპი, გარდაბანი-რკინიგზა, ვახტანგისი, ჯანდარა; კახეთის: ლაგოდეხი, სამთაწყარო, ერის იმედი, საგარეჯო) მათში დასაქმებული მუშაკებითურთ გადაეცა თბილისის რეგიონული საბაჟოს დაქვემდებარებაში.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სისტემის სტრუქტურა ასეთი იყო:

თბილისის რეგიონული საბაჟო: თბილისის რეგიონული საბაჟოს საბაჟო გამშვები პუნქტები — აეროპორტი, წითელი ხიდი, სადახლო, სადახლო-რკინიგზა, გუგუთი, ახკერპი, სამთაწყარო,

ვახტანგისი, გარდაბანი-რკინიგზა, ლაგოდეხი, ერის იმედი, საგარეჯო, ჯანდარა;

აჭარის რეგიონული საბაჟო: აჭარის რეგიონული საბაჟოს საბაჟო გამშვები პუნქტები – სარფი, პორტი, აეროპორტი;

აფხაზეთის რეგიონული საბაჟო: აფხაზეთის რეგიონული საბაჟოს საბაჟო გამშვები პუნქტები – ფსოუ, გაგრა, პორტი, აეროპორტი;

ფოთის რეგიონული საბაჟო: ფოთის რეგიონული საბაჟოს საბაჟო გამშვები პუნქტები – პორტი, აეროპორტი, მერეთის აეროპორტი, სენაკი-აეროპორტი;

ქუთაისის რეგიონული საბაჟო: ქუთაისის რეგიონული საბაჟოს საბაჟო გამშვები პუნქტები – აეროპორტი, მამისონი;

ახალციხის რეგიონული საბაჟო: ახალციხის რეგიონული საბაჟოს საბაჟო გამშვები პუნქტები – ვალე (ორჯოსანი), ნინოწმინდა;

მოძრავი (ცხინვალი) რეგიონული საბაჟო;

საბაჟო-საგუშაგო „ყაზბეგი“.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება, რომლის თანახმად, საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემის მუშაკთა საერთო რიცხოვნება, ნაცვლად 1506 ერთეულისა, განისაზღრა 1350 საშტატო ერთეულით, მათ შორის, ცენტრალური აპარატის ზღვრული საშტატო რიცხოვნობა – 398 ერთეულით. ეს აისახა 1999 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

დაწესდა საქართველოს საბაჟო ორგანოების მუშაკთა დღე – 15 თებერვალი. იგი პირველად 1999 წლის თებერვალში აღინიშნა საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტში.

ჩვენი აზრით, საბაჟო ორგანოების მუშაკთა დღე – 15 თებერვალი დაუსაბუთებლად დაწესდა. ეს არის პერიოდი, როდესაც თბილისში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომია, გამოცხადებულია საგანგებო წესები, საბაჟო სამსახური ხასიათდება მთელი რიგი ხარვეზებით, რაიმე ახალი საკანონმდებლო აქტი არაა შექმნილი და სხვა.

ვფიქრობთ, საქართველოს საბაჟოს დღედ უნდა დაწესდეს 15 სექტემბერი, როდესაც მიღებული იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“. იგი სწორად განსაზღვრავდა საქართველოს საბაჟო პოლიტიკას, საბაჟოს ფუნქციებს, უფლებამოსილებას, სტრუქტურას.

საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურა დებულებაში ასე განისაზღვრა: ხელმძღვანელობა; თავმჯდომარის აპარატი; შიდა კონტროლის სამსახური; საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური; საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლობები; სტატისტიკისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო; საბაჟო ტექნოლოგიების სრულყოფის და კოდიფიცირების სამმართველო; კადრების სამმართველო; ცენტრალური ბუღალტერია; იურიდიული სამმართველო; საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის კოორდინაციის სამმართველო; საბაჟო სისტემის ფუნქციონირების უსრუნველყოფის სამმართველო; სატერმინალო მომსახურებისა და ინსპექტირების სამმართველო; რეგიონული საბაჟოების საქმიანობის კოორდინაციის სამმართველო; კონტრაბანდისა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა დარღვევების წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო; მოკვლევის სამმართველო; საბაჟო ტვირთების გაცილების სამმართველო.

2001 წლისათვის საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებებია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო (ბათუმი): ა) საბაჟო გამშვები პუნქტი ბათუმის აეროპორტი; ბ) საბაჟო გამშვები პუნქტი სარფი; გ) საბაჟო გაფორმების პუნქტი ბათუმი; დ) საბაჟო გაფორმების ბათუმის ნავსადგური; კ) საბაჟო გაფორმების პუნქტი ადლია;

აფხაზეთის საბაჟო სამმართველო: ა) საბაჟო გამშვები პუნქტი ფსოუ; ბ) საბაჟო გამშვები პუნქტი სოხუმის აეროპორტი; გ) საბაჟო გაფორმების პუნქტი გაგრა; დ) საბაჟო გაფორმების პუნქტი სოხუმის ნავსადგური;

დასავლეთის რეგიონული საბაჟო (ფოთი): ა) საბაჟო გამშვები პუნქტი ფოთის ნავსადგური; ბ) საბაჟო გამშვები პუნქტი მამისონი; გ) საბაჟო გამშვები პუნქტი ქუთაისის აეროპორტი; დ) საბაჟო გამშვები პუნქტი სენაკის აეროპორტი; ე) საბაჟო გაფორმების პუნქტი ფოთი; ვ) საბაჟო გაფორმების პუნქტი ქუთაისი; ზ) საბაჟო გაფორმების პუნქტი სენაკი; თ) საბაჟო გაფორმების პუნქტი ზუგდიდი;

ცენტრალური რეგიონული საბაჟო (გორი): ა) საბაჟო გამშვები პუნქტი ვალე; ბ) საბაჟო გამშვები პუნქტი ნინოწმინდა; გ)

საბაჟო გამშვები პუნქტი კარწახი; დ) საბაჟო გამშვები პუნქტი ყაზბეგი; ე) საბაჟო გამშვები პუნქტი დარიალი; ვ) საბაჟო გაფორმების პუნქტი ახალციხე; ზ) საბაჟო გაფორმების პუნქტი გორი; თ) საბაჟო გაფორმების პუნქტი ყაზბეგი;

აღმოსავლეთის რეგიონული საბაჟო (თბილისი): ა) საბაჟო გამშვები პუნქტი სადახლო; ბ) საბაჟო გამშვები პუნქტი სადახლო „რკინიგზა"; გ) საბაჟო გამშვები პუნქტი გარდაბანი; დ) საბაჟო გამშვები პუნქტი გუგუთი; ე) საბაჟო გამშვები პუნქტი ახკერპი; ვ) საბაჟო გამშვები პუნქტი წითელი ხიდი; ზ) საბაჟო გამშვები პუნქტი ჯანდარა-ვახტანგისი; თ) საბაჟო გამშვები პუნქტი დედოფლისწყარო; ი) საბაჟო გამშვები პუნქტი ლაგოდეხი; კ) საბაჟო გამშვები პუნქტი თელავის აეროპორტი; ლ) საბაჟო გამშვები პუნქტი ვაზიანის აეროპორტი; მ) საბაჟო გაფორმების პუნქტი თბილისი „ლილო-1"; ნ) საბაჟო გაფორმების პუნქტი რკინიგზა; ო) საბაჟო გაფორმების პუნქტი რუსთავი; უ) საბაჟო გაფორმების პუნქტი გურჯაანი.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 6 აპრილის №6 ბრძანების – „საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებების სამოქმედო საბაჟო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ" შესაბამისად, საბაჟო გაფორმება ხორციელდება საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია საქონლის გამგზავნი, მიმღები ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის გადაადგილება ხდება შესაბამისი საიდენტიფიკაციო საშუალების (ლუქის) გამოყენების გარეშე. ასეთი საქონლის საბაჟო გაფორმება ხდება საქართველოს საზღვრისპირა საბაჟო ორგანოების მიერ.

საბაჟო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის, მათ მიერ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისა და კონტროლის მიზნით; განსაზღვრულია საბაჟო სამოქმედო ტერიტორიები.

1. *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს ტერიტორია* – ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს და ხელვაჩაურის ზონები;

2. *აფხაზეთის საბაჟო სამმართველო* – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია;

3. *რეგიონული საბაჟო „თბილისი“* – ქალაქი თბილისი, მცხეთა და თიანეთის რაიონები;

4. *საბაჟო „თბილისის აეროპორტი“* – თბილისის აეროპორტის გაელით გადაადგილებული საქონლისა და მგზავრთა ხელბარგის საბაჟო გაფორმება;

5. *საბაჟო „რკინიგზა“* – თბილისის საბაჟო ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გაფორმება;

6. *საბაჟო „ფოთი“* – ფოთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის, მესტიის, აბაშის, ხობის და მარტვილის რაიონები;

7. *საბაჟო „ქუთაისი“* – ქუთაისის, წყალტუბოს, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხონის, თერჯოლის, ვანის, ბაღდათის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხარაგაულისა და სამტრედიის რაიონები;

8. *საბაჟო „ქუთაისის აეროპორტი“* – ქუთაისის აეროპორტის გაელით გადაადგილებული საქონლისა და მგზავრთა ხელბარგის საბაჟო გაფორმება;

9. *საბაჟო „გორი“* – გორის, ქარელის, კასპის, ყორნისის, ცხინვალის, ჯავის, ახალგორის, ხაშურის რაიონები;

10. *საბაჟო „ყაზბეგი“* – ყაზბეგის და დუშეთის რაიონები;

11. *საბაჟო „ვალე“* – ახალციხის, ბორჯომის, ადიგენის და ასპინძის რაიონები;

12. *საბაჟო „ნინოწმინდა“* – ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონები;.

13. *საბაჟო „წითელი ხიდი“* – მარნეულის რაიონი, გარდა სოფელ სადახლოსი;

14. *საბაჟო „სადახლო“* – მარნეულის რაიონის სოფელი სადახლო, ბოლნისის, თეთრიწყაროს, დმანისისა და წალკის რაიონები;

15. *საბაჟო „გარდაბანი“* – ქალაქი რუსთავი, გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონები;

16. *საბაჟო „თელავი“* – გურჯაანის, თელავისა და ახმეტის რაიონები;

17. *საბაჟო „ლაგოდეხი“* – ლაგოდეხის, ყვარლის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონები.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი 2000 წლის 28 ივნისამდე წარმოადგენდა მოკვლევის ორგანოს საბაჟო გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებისა და საბაჟო წესების დარღვევის საქმეებზე. შემდეგ ეს სტატუსი გადაეცა საგადასახადო შემოსავლების და ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონს. იგი გამოცხადდა სპეციალური სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საგადასახადო ორგანოდ, რომელიც უსრუნველყოფდა საგადასახადო სფეროში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას, საგადასახადო ორგანოების საქმიანობის უსაფრთხოებასა და მუშაკების დაცვას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი არის სამართალდამცავი სტატუსის მქონე საბაჟო ორგანო, რომელიც შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საქვეუწყებო დაწესებულების სახით.

დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საბაჟო კოდექსით, საქართველოს სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით და საბაჟო დეპარტამენტის დებულებით.

დეპარტამენტი თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით. დეპარტამენტს აქვს ბეჭედი საქართველოს გერბის გამოსახულებით და საკუთარი დასახელებით, სიმბოლიკა, დამოუკიდებელი ბალანსი, საბიუჯეტო ანგარიშები შესაბამის მომსახურე ხაზინაში. დეპარტამენტი ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან. *დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:*

- კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა; საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და შიდა ბაზრის დაცვა; საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება, საბაჟო საქმის ორგანიზაცია.

დეპარტამენტი მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად:

- შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფისათვის, საბაჟო პოლიტიკის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების განხორციელებისა და სრულყოფისათვის, უზრუნველყოფს მის შესრულებას; შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს საბაჟო საქმის განვითარების პროგრამებს; მონაწილეობს საბაჟო საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;
- მონაწილეობს მსოფლიოს თანამეგობრობასთან ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირების მექანიზმის სრულყოფის, ექსპორტის სტიმულირების და უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფისათვის; კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს საბაჟო გადასახდელებისა და მოსაკრებლების ან სხვა გადასახადების დადგენა-გამოყენების შესახებ; მონაწილეობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა (ლიცენზირება ან სხვა სახის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება) შემუშავებაში. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ამ ღონისძიებათა შესრულებას; ორგანიზაციას უწევს საბაჟო გადასახდელების, სხვა მოსაკრებლების და გადასახადების დარიცხვა-ამოღებას და შესაბამის ბიუჯეტებში მათ დროულ და სრულ აკუმულირებას; შეიმუშავებს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს;
- საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების და სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებისათვის უზრუნველყოფს საბაჟო რეჟიმების ეფექტურ გამოყენებას; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ნებართვების (ლიცენზიების) გაცემას, შეჩერებას ან გაუქმებას; ორგანიზაციას უწევს საქოლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას, ახორციელებს საბაჟო პროცედურების გამარტივებას ტვირთბრუნვის გაზრდისა და მეწარმეობის სტიმულირებისათვის; სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაციაში შეიმუშავებს საბაჟო კონტროლის ზონების, საბაჟო ინფრასტრუქტურის და საქართველოს საბაჟო საზღვრის დაცვის ღონისძიებებს; ახორციე-

ლებს ღონისძიებათა კომპლექსს საბაჟო კანონმდებლობის დაცვის სრულყოფისათვის;

- ორგანიზებას უწევს საბაჟო კონტროლის განხორციელებას, იღებს ზომებს მისი სრულყოფისათვის, ორგანიზებას უწევს საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცალკეულ სახეობათა საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების, სტრატეგიული და საქართველოს ინტერესებისათვის სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მასალების, მედიკამენტების და ფსიქოტროპული საშუალებების, აგრეთვე, კულტურული ფასეულობების გადაადგილების წესის დაცვას; კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზებას უწევს სავალუტო კონტროლის განხორციელებას; კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობს სახელმწიფო უშიშროების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, ბუნებრივი გარემოს დაცვის ღონისძიებებში;
- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას. აწარმოებს მოკვლევას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულის საქმეებზე;
- ახორციელებს საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენას და აღკვეთის ღონისძიებებს, კანონით დადგენილი წესით განიხილავს და წყვეტს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს;
- უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის წარმოებას და მონაცემების ოფიციალურ გამოქვეყნებას, დადგენილი წესით აწვდის ინფორმაციას სამთავრობო დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს; თვალყურს ადევნებს სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებს და დამატებებს, საჭიროების შემთხვევაში, არსებული წესით შეიმუშავებს წინადადებებს, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, სასაქონლო ნომენკლატურაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე;

- ახორციელებს საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, იღებს ზომებს საბაჟო ორგანოების თანამშრომლების მხრიდან არამართლზომიერი ქმედებებისაგან იურიდიული თუ ფიზიკური პირის უფლებების დაცვის მიზნით; კომპეტენციის ფარგლებში ეწევა საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების საინფორმაციო-განმარტებით საქმიანობას საქართველოს თუ საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებში; კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს წინასწარ გადაწყვეტილებებს საბაჟო ოპერაციების განსახორციელებლად;
- მონაწილეობს საბაჟო სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში, დადგენილი წესით იღებს მონაწილეობას უცხოეთის დელეგაციებთან საბაჟო საქმის საკითხებზე გამართულ მოლაპარაკებებში, წარადგენს წინადადებებს საბაჟო საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთების შესახებ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციას უწევს საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას; კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს უცხოეთის საბაჟო და სხვა ორგანოებთან;
- ორგანიზაციას უწევს საბაჟო საქმის სფეროში სამეცნიერო-კელევითი სამუშაოების შესრულებას; სწავლობს და აანალიზებს უცხო ქვეყნების საბაჟო პოლიტიკას და საბაჟო საქმის მდგომარეობას; შეიმუშავებს და ახორციელებს ერთიან საკადრო პოლიტიკას კადრების შერჩევასა და განაწილებაში, მონაწილეობს მათი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში;
- ქმნის და სრულყოფს ერთიან ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემებს; ახორციელებს საბაჟო ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარებასა და სრულყოფას[1].

დეპარტამენტის უფლებამოსილება. საქართველოს საბაჟო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტებით დაკისრებული ამოცა-

---

1 *წყარო:* საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულება. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, 3 სექტემბერი, №88, გვ. 2-6.

ნების შესრულების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტი უფლებამოსილია:

- შეიმუშაოს საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები; დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით, გამოითხოვოს დაწესებულებებიდან (განურჩევლად საკუთრების ფორმისა და დაქვემდებარებისა), აგრეთვე მოქალაქეებისაგან საჭირო დოკუმენტები და მონაცემები;
- შექმნას საკოორდინაციო და საექსპერტო საბჭოები, სამუშაო ჯგუფები საბაჟო საქმიანობის საკითხებზე; კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს უცხოეთის სახელმწიფო საბაჟო და სხვა ორგანიზაციებთან; იქონიოს კავშირისა და მონაცემების გადაცემის საუწყებო სისტემები.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით. თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით.

დეპარტამენტის თავმჯდომარე:

- ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მუშაობას; პასუხისმგებელია საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია ფინანსთა მინისტრის წინაშე; დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მოქმედებს დეპარტამენტის სახელით, წარმოადგენს დეპარტამენტს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს დასამტკიცებლად დეპარტამენტს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და სხვა კანონქვემდებარე აქტებს;

- უშუალოდ, აგრეთვე, პირველი მოადგილისა და მოადგილეების, დეპარტამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულების და დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოების მეშვეობით წყვეტს დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრულ საკითხებს; მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოსამსახურეებს, განსაზღვრავს მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხებს, ახორციელებს მაო მიმართ წახალისებისა და დისციპლინურ ზემოქმედებას;
- ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს შორის; ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილისა და მოადგილეების, დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებისა და საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, სხვა კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე თავმჯდომარის ბრძანებებს;
- კომპეტენციის ფარგლებში წარადგენს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს; გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს; დადგენილი წესით ანიჭებს და შეაქვს წინადადებები საბაჟო ორგანოების საჯარო მოსამსახურეებისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ; თავისი ბრძანებით ქმნის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – საბჭოს, რომლის რიცხოვნობას, პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს ბრძანებით;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა ფუნქციებს და სარგებლობს სხვა უფლებამოსილებით.

თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე.

დეპარტამენტის სტრუქტურა. საბაჟო დეპარტამენტი შედგება ცენტრალური აპარატის, რეგიონული საბაჟო ორგანოების, საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და დაცვის სამსახურის და საბაჟო ლაბორატორიისაგან, რომლებიც ქმნიან ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემას;

დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის დანაყოფებია: თავმჯდომარის აპარატი; კადრების სამმართველო; მატერიალურ-ტექ-

ნიკური უსრუნველყოფის სამმართველო; ცენტრალური ბუღალტერია; საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო; საფინანსო-სატარიფო სამმართველო; საბაჟო სტატისტიკისა და ინფორმატიკის სამმართველო; აქციზური საქონლის სამმართველო; იურიდიული სამმართველო; საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო; განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველო. ამჟამად დაემატა მოკვლევისა და ოპერატიული სამმართველოები.

დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო ორგანოები:

- აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამმართველოები, მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულებით;
- რეგიონული საბაჟოები.(აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი, რკინიგზა და ენერგეტიკის საბაჟო) მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულებით.

დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის დანაყოფების ფუნქციები. თავმჯდომარის აპარატი. თავმჯდომარის აპარატის ძირითადი ამოცანაა: თავმჯდომარის თანაბირების ორგანიზება და მათი სათანადო საოქმო გაფორმება, მიღებული დავალებების შესრულებაზე კონტროლი; დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა და დამუშავება, მათ შესრულებაზე ზედამხედველობა; დეპარტამენტში საქმისწარმოების, სარეგისტრაციო-განცხადებების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა და საზოგადოების ინფორმირება დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე.

კადრების სამმართველო. კადრების სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: დეპარტამენტის სისტემაში ერთიანი საკადრო პოლიტიკის განხორციელების უსრუნველყოფა, კადრების შემადგენლობის თვისებრივი გაუმჯობესება, მათი შერჩევა, განაწილება და პროფესიული დონის ამაღლება; წოდებათა მინიჭების საკითხის მომზადება; მოხელეთა პროფესიული მომზადების, გადამზადების და ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსებისა და ატესტაციების ორგანიზება; საორგანიზაციო სტრუქტურებისა და შტატების სრულყოფა.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო. მატერიალურ-ტექნიკური უსრუნველყოფის სამმართველოს ძირი-

თადი ამოცანაა: დეპარტამენტში შემავალი სტრუქტურული დანაყოფების და საბაჟო ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მისი გაუმჯობესება და სრულყოფა; კაპიტალური მშენებლობისა და რემონტების დაგეგმვა, ორგანიზება და შესრულების კონტროლი.

ცენტრალური ბუღალტერია. ცენტრალური ბუღალტერიის ძირითადი ამოცანაა: დეპარტამენტის სისტემაში შემავალი დანაყოფების ფინანსური უზრუნველყოფა; დეპარტამენტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის მომზადება; დეპარტამენტის სისტემის ორგანოების ნაერთი ბალანსების შედგენა; ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა განაწილება და ხარჯვის კონტროლის განხორციელება; დეპარტამენტის თანამშრომელთა სტიმულირების და სოციალური დაცვის მექანიზმების შემუშავება.

საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო. საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სრულყოფა; საბაჟო პროცედურების ტექნოლოგიების შემუშავება და სრულყოფა; საბაჟო რეჟიმების რეგულირების და მათი განხორციელების მექანიზმის სრულყოფა, საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო საქმის აღსრულების მექანიზმის სრულყოფა; რეგიონული საბაჟოების (მათზე დაქვემდებარებული საბაჟო საგუშაგოების და საბაჟო გამშვები პუნქტების) ოპერატიული მართვა და მათი საქმიანობის სრულყოფა; საბაჟო საწყობების, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიების, თავისუფალი საწყობების, დროებითი შენახვის საწყობების შექმნის ნებართვების გაცემის და მათში არსებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ორგანიზება; ცალკეულ საბაჟო რეჟიმში საქონლის გაფორმებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებართვების გაცემის ორგანიზება და კონტროლი მათ შესრულებაზე.

საფინანსო-სატარიფო სამმართველო. საფინანსო-სატარიფო სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ორგანიზება და კონტროლი; საბაჟო გადასახდელების, საბაჟო მოსაკრებლების და სხვა გადასახადების დარიცხვა-ამოღებაზე და შესაბამის ბიუჯეტებში მათ დროულ და სრულ აკუმულირებაზე ზედამხედველობა და კონტროლი; დეპარტამენტს დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოებისათვის საბიუჯეტო და

სხვა შემოსაელების მობილიზაციის ყოველთვიური პროგნოზული მაჩვენებლების განსაზღვრა, მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; საგალუტო კონტროლის ორგანიზება.

საბაჟო სტატისტიკისა და ინფორმატიკის სამმართველო. საბაჟო სტატისტიკისა და ინფორმატიკის სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი; საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებზე მონაცემთა ინფორმაციული ბაზის შექმნა, რისკის ფაქტორების გამოვლენა, საბაჟო ინფორმაციული ტექნოლოგიების და მონაცემთა გადაცემის სისტემების მომსახურება, ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ტენდენციების სტრუქტურის დინამიკა და ანალიზი, დეპარტამენტს დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოების სტატისტიკური სამსახურების კოორდინაცია.

აქციზური საქონლის სამმართველო. აქციზური საქონლის სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული აქციზური საქონლის აღრიცხვის, დაბეგვრისა და კონტროლის ორგანიზება.

იურიდიული სამმართველო. იურიდიული სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: საბაჟო საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მომზადების ორგანიზება; დეპარტამენტში შემოსული საჩივრებისა და პროტესტების განხილვა (სამოქალაქო დავის საკითხებზე); საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისათვის სამართლებრივ საშუალებათა გამოყენების უზრუნველყოფა; საბაჟო დეპარტამენტისა და საბაჟო ორგანოების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა ორგანოებში სამართლებრივი საკითხების განხილვისას.

საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: საბაჟო საქმის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადების ორგანიზება; საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; უცხოეთის საბაჟო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ორგანიზება; საბაჟო საქმესთან დაკავშირებით უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, ანალიზი და დანერგვის ორგანიზება; უცხოურ

ენებზე საბაჟო საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციების მომზადება და გავრცელების ორგანიზება; საერთაშორისო მიმოწერის კოორდინაცია; უცხოეთის დელეგაციების მიღების ორგანიზება; საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს წარმომადგენლობების მუშაობის ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველო. განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: საბაჟო სფეროში სამართალდარღვევათა გამოვლენა-აღკვეთის ორგანიზება; დეპარტამენტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ორგანიზება და ზედამხედველობა; დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის მიერ დისციპლინისა და კანონიერების განუხრელ დაცვაზე ზედამხედველობა; თანამშრომელთა მიერ კანონდარღვევების, მოქალაქეთა და იურიდიული პირების უფლებების დარღვევის, სამსახურებრივი გადაცდომების ფაქტების გამოვლენა და მათი პროფილაქტიკა, აღნიშნულ საკითხებზე დეპარტამენტში შემოსული საჩივარ-განცხადებების შესწავლა (რომელიც შეეხება დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან არამართლზომიერ ქმედებებს) და სათანადო რეაგირება; დეპარტამენტში შემავალი დანაყოფების შემოწმების ორგანიზება.

საბაჟო ლაბორატორია. საბაჟო ლაბორატორიის ძირითადი ამოცანაა: საბაჟო მიზნებისათვის სასაქონლო ექსპერტიზისა და სპეციალური გამოკვლევების ჩატარების ორგანიზება; საბაჟო საქმის საექსპერტო მეთოდურ და ტექნიკურ პრობლემებზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და დაცვის სამსახური. საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და დაცვის სამსახურის ძირითადი ამოცანაა: ავტოსატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გადაზიდვის საბაჟო კონტროლი; საბაჟო კონტროლის ზონების, დეპარტამენტის კუთვნილი შენობა-ნაგებობებისა და ფასეულობების დაცვის ორგანიზება, ასევე სხვა სპეციალური დავალებების შესრულება (საბაჟოს თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების დაცვის ორგანიზება); დღეღამური ოპერატიული ვითარების ინფორმაციის მიღება-სისტემატიზაცია.

• *ოპერატიული სამსახური*, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

1. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებას საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის, თაკიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით;

2. აწარმოებს მოკვლევას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულის საქმეებზე;

3. საბაჟო სფეროში სამართალდარღვევათა ჩამდენი პირის ან პირების გამოვლენას, დადგენასა და დაკავებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საბაჟო დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში საქმის წარმოებასა და გადაწყვეტილების მიღებას;

4. საბაჟო დეპარტამენტისა და მისდამი ქვემდებარე საბაჟო ორგანოების თანამშრომლების უსაფრთხოებას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მათი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვას;

5. საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ანალიზის საფუძველზე დარღვევათა ხელშემწყობი პირობების გამოვლენას;

6. ოპერატიული ინფორმაციის დამუშავებასა და შესაბამისი მონაცემათა ბაზის შექმნას;

7. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით გადაადგილების აღკვეთას.

დეპარტამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოები. თავმჯდომარეს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებებით და განსაზღვროს მათი მოვალეობები.

კომისია იქმნება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის ამოცანები, თავმჯდომარე (საჭიროების შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები, ამოცანის შესრულების ვადა და მომსახურე სტრუქტურული ქვედანაყოფი.

კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს სხვა სამთავრობო დაწესებულების მოსამსახურე, ამ დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობით. კომისიის მუშაობაში შეიძლება თავიანთი თანხმობით ჩართული იქნენ პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები.

კომისიის საქმიანობას და კომისიის სხდომაზე საოქმო გაფორმებას უზრუნველყოფს კომისიის მოსამსახურე სტრუქტურული ქვედანაყოფი ან თავმჯდომარის აპარატი. კომისია უფლებამოსილია

მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით გამოითხოვოს აუცილებელი დოკუმენტები. კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის თავმჯდომარის წინაშე, თუ კომისიის შექმნისას სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული. კომისიის მუშაობისას დამატებითი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება შეიძლება ანაზღაურდეს დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში (1990-1991 წლიდან) მნიშვნელოვანი გარდაქმნები, რეორგანიზაციები, რეფორმები განახორციელა და ჩამოყალიბდა სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა დროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეებად მუშაობდნენ ალექსანდრე იოსელიანი, ირაკლი ქადაგიშვილი, ვიქტორ ლორთქიფანიძე, გურამ მამულაშვილი, თენგიზ აბულაძე, თამაზ მაღლაკელიძე, კობა ნარჩემაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ბადრი აბზიანიძე, ლევან ქისტაური, მამუკა ასლანიკაშვილი, დავით თარხან-მოურავი.

მიკლე მონაცემები. ბოლო 4-5 წელიწადში დეპარტამენტის ინიციატივითა და მონაწილეობით მომზადებული და გამოცემულია საბაჟო სფეროს სრულყოფასთან დაკავშირებული 100-ზე მეტი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი.

დიდი მოცულობის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის სამუშაოებია ჩატარებული საბაჟო ორგანოების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის მიმართულებით. განხორციელდა სისტემის სრული კომპიუტერიზაცია, ინერგება საბაჟო ტვიროების აღრიცხვის, გაფორმებისა და კონტროლის საერთაშორისო პროგრამა „ასიკუდა“, შექმნილია კავშირგაბმულობის სატელიტური საკომუნიკაციო ქსელი, რომელშიც ჩართულია ყველა რეგიონული საბაჟო და ძირითადი საბაჟო საგუშაგოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ საქმეში საქართველოს მეგობარი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების: ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, მსოფლიო ბანკის, ევროგაერთიანების, „ტასისის“ წელილი მათ მიერ განხორციელებული დახმარებებისა და მიზნობრივი პროგრამების სახით.

დღეს სისტემას ასეთი ტენდენცია ახასიათებს: თუ საბაჟო სისტემის ფორმირების საწყის ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტში

ყოველწლიურად 2-3 მლნ ლარი ირიცხებოდა, ამ მაჩვენებელმა 1995 წელს 9 მლნ ლარი შეადგინა, 1996 წელს – 70,3 მლნ ლარი, 1998 წელს – 210,2 მლნ ლარი, ხოლო 2001 წელს – 289,2 მლნ ლარი. დღეს ბიუჯეტი საბაჟო დეპარტამენტიდან ერთ დეკადაში უფრო მეტ თანხას იღებს, ვიდრე ამ 5 წლის განმავლობაში, რაც უსარმაზარ რეზერვებზე მიუთითებს. მათი გამოვლენა და ამოქმედება საბაჟო დეპარტამენტის გადაუდებელი ამოცანაა[1].

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოინახოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც საფუძველშივე გამორიცხავს კონტრაბანდის განხორციელების საშუალებას. ამ მხრივ აუცილებელია, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში სრულყოფილ იქნეს საბაჟოს, როგორც სრულფასოვანი სამართალდამცავი სტრუქტურის სტატუსი, ჩამოყალიბდეს შესაბამისი ოპერატიული და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურები.

დიდ ზეგავლენას ახდენს საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგებზე დაბეგვრიდან გათავისუფლებული იმპორტის ზრდის ტენდენცია. 2001 წლის იმპორტის მთლიანი მოცულობიდან საერთოდ გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან 37,9 პროცენტი, ხოლო ნაწილობრივ – 27,9 პროცენტი. აღნიშნული შეღავათების მოქმედების შედეგად მარტო ამ ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტმა 215 მლნ ლარის შემოსავლები ვერ მიიღო. *ამ მხრივ ცვლილებებია შესატანი საბაჟო კანონმდებლობაში, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს შეღავათები და შეძლებისდაგვარად გამკაცრდეს საბაჟო გაფორმების მოქმედი ლიბერალური რეჟიმები.*

საქართველოს საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეები

საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელის სტატუსი, თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, განთავისუფლებისა და სხვა პირობები განისაზღვრება კანონმდებლობის მიხედვით. საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელეებზე ვრცელდება პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 15 თებერვალი.

გარანტიები, რომლებიც განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს საბაჟო ორგანოს მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო დაწესებულებაში. იგი ამავე დროს არის სახელმწიფო მოხელე, პირი, რომელიც ინიშნება სახასინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე.

საქართველოში საბაჟო ორგანოების, როგორც საჯარო სამსახურის, ძირითადი პრინციპებია: საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება; საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას; ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების პატივისცემა; საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად; მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; საქვეყნოობა; საჯარო სამსახურის უპარტიობა და საერო ხასიათი; მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა; მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საქართველოს საჯარო სამსახური ერთიანია და იყოფა ორ სახედ: სახელმწიფო სამსახური და სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში. სამსახური საბაჟო ორგანოებში მიეკუთვნება სახელმწიფო სამსახურს.

სახელმწიფო თანამდებობა საბაჟო ორგანოებში განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

საქართველოს საბაჟო ორგანოების სისტემაში მომუშავე სახელმწიფო მოხელეთა მიერ სამსახურის გავლის წესს, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს და აწესრიგებს საქართველოს საბაჟო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის დებულება (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 1999 წლის 8 იანვარს).

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს განეკუთვნებიან საბაჟო დეპარტამენტის კადრებში ჩარიცხული რიგითი და ოფიცერ-

თა შემადგენლობის სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სპეციალური წოდებები. დამხმარე მოსამსახურეებზე, რომელთაც არ მიენიჭებათ სპეციალური წოდებები, ვრცელდება საქართველოს შრომის კანონმდებლობა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ექვემდებარებიან ატესტაციას, რომლის მიზანია განსაზღვროს მუშაკის დაკავებული თანამდებობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, უზრუნველყოს მოხელის პროფესიული ჩვევების ამაღლება, კადრების შერჩევისა და განაწილების სრულყოფა.

საბაჟო ორგანოების სამსახურში მიიღებიან საქართველოს მოქალაქენი 21 წლის ასაკიდან, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას, ზნეობრივი მონაცემების, განათლების დონის, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, უნარი შესწევთ შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი.

საბაჟო ორგანოებში სამუშაოდ მიღება ნებაყოფლობითი ხასიათისაა და, როგორც წესი, ხორციელდება კონკურსის საფუძველზე. გადაწყვეტილებას საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის მოწყობის თაობაზე იღებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი და უთანხმებს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს.

საბაჟო ორგანოებში სამუშაოდ მიღებასთან დაკავშირებით მოქალაქემ უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; ავტობიოგრაფია; ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ; განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; უკვე გაცემული შრომის წიგნაკი; ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან; სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა; სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

საბაჟო ორგანოების რიგითი შემადგენლობის თანამდებობებზე შეიძლება მიღებულ იქნენ საშუალო განათლების მქონე მოქა-

ლაქენი. უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის თანამდებობებზე, როგორც წესი, მიიღებიან უმაღლესი თანამდებობის პირები.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება ხდება თანამდებობაზე მისი დანიშვნით, რის უფლებაც, დადგენილ ნომენკლატურულ თანამდებობათა ნუსხის თანახმად, აქვს შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელს ან ამისათვის უფლებამოსილ პირს. თანამდებობაზე თანამშრომლის დანიშვნის დღედ ითვლება სათანადო ბრძანებაში კონკრეტულად აღნიშნულით თარიღი.

საბაჟო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი: ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა; იმყოფება წინასწარ გამოძიებაში ან პატიმრობაში; სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს; თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს; არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი.

საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულება[1] (დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის ბრძანებით 2002 წლის 17 დეკემბერს, №409). დებულება განსაზღვრავს საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის და მოხელეთა ფორმირების წესს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარებას, რეზერვების ფორმირებას ახორციელებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

---

1 *წყარო:* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, 20 დეკემბერი, №122, გვ. 9-15.

კომისიის თავმჯდომარე ინიშნება სახელმწიფო სამსახურის უფროსის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, ხოლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, წევრებს და მდივანს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით. კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები.

საპრეტენზიო კომისია იქმნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ საკონკურსო-საატესტაციო კომისიისაგან დამოუკიდებლად. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

რა მიზნებს ისახავს მოხელის კონკურსი და მოხელის ატესტაცია? კონკურსის მიზანია საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნ პირთა შერჩევა და მათი რეზერვის ფორმირება. კონკურსი შედგება ორი ეტაპისაგან – ტესტირებისა და გასაუბრებისაგან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა, კონკურსის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში სამდივნოს უნდა წარუდგინოს:

- წერილობითი განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
- ავტობიოგრაფია;
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- უკვე გაცემული შრომის წიგნაკი; ორი ფერადი სურათი – ზომით 3x4.

საჭირო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ კანდიდატები მიიღებენ სარეგისტრაციო ბარათს, რომელშიც მითითებული იქნება მისი სარეგისტრაციო ნომერი, კონკურსის ჩატარების დრო, ადგილი და იმ ვაკანტური თანამდებობის დასახელება, რომელზეც შემოიტანა განცხადება.

მოხელეთა ატესტაციის მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოხელეთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობების და პირადული თვისებების დაკავებულ თა-

ნამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

ატესტაციას ექვემდებარება:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელე 3 წელიწადში ერთხელ;
- მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის;
- რეზერვში ჩარიცხული პირი;
- კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

ატესტაციას არ ექვემდებარება:

- მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი;
- მოხელე, რომელიც სამსახურში მიიღება განსაზღვრული ვადით.

ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს ატესტაციის შესახებ უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე მაინც.

ატესტაციის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე დგება დახასიათება მოხელის სტრუქტურული ხელმძღვანელის მიერ. დახასიათება უნდა ასახავდეს მოხელის ყოველმხრივ შეფასებას (მის პროფესიულ და პირად თვისებებს, მათ შორის – მოქმედი კანონმდებლობის ცოდნა და დაცვა, კომპეტენტურობა, საქმის გაძღოლის უნარი, პატრიოტიზმი, ავტორიტეტი, პასუხისმგებლობის და ინიციატივის გრძნობა და სხვა. დახასიათება ასევე უნდა მოიცავდეს მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზს).

ატესტაცია ტარდება ტესტირების გზით წერილობით და გასაუბრებით. საკონკურსო-საატესტაციო ტესტირება კონკურსის და ატესტაციის პირველი ეტაპია და ტარდება სპეციალიზებული ტესტების მიხედვით. იგი ტარდება საკონკურსო-საატესტაციო ტესტირების პროგრამის შესაბამისად. პროგრამას ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი და ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

ტესტი შედგება 50 კითხვისაგან, რომელიც მოიცავს საკონკურსო-საატესტაციო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს.

კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატებზე იწერება გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

ატესტაციის შედეგები დაწესებულების ხელმძღვანელს მოხსენდება ატესტაციის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში. დაწესებულების ხელმძღვანელი კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მოხელის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების, დაწინაურების, ჩამოქვეითების და გათავისუფლების შესახებ.

მოხელეს ეროი თვით ადრე უნდა ეცნობის არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო სამსახურიდან მისი მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ. ატესტაციასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საჯარო მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა, რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვა, მათი სამართლებრივი სტატუსი, უფლებამოვალეობები და თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 113-ე–120-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამ მუხლების თანახმად, მოხელეთა რეზერვის მიზანს წარმოადგენს:

- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებისათვის მოხელეთა კანდიდატების შერჩევა;
- საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წინაშე გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სამსახურის ადგილის გამოძებნა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში;
- სამსახურიდან განთავისუფლებული პირებისათვის ახალი ადგილების გამოძებნა.

რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვას აწარმოებს შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისია. რეზერვში ინახება ჩარიცხულ მოხელეთა სია და მათი ნამსახურობის ნუსხები.

საბაჭო ორგანოების თანამშრომელთა თანამდებობრივი გადაადგილება. თანამდებობრივი გადაყვანა ზემდგომ, თანაბარ ან დაბალ თანამდებობაზე ითვლება თანამდებობრივ გადაადგილებად. თანამდებობრივი გადაადგილება ხდება:

ზემდგომ თანამდებობაზე – სამსახურებრივი დაწინაურებით საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე და მოხელის წერილობითი თანხმობით;

დაბალ თანამდებობაზე – პირადი თხოვნით ან შტატების შემცირებისას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, სააატესტაციო წესით ან დისციპლინური წესით.

თანამშრომელთა გადაადგილება შეიძლება როგორც ერთსა და იმავე სტრუქტურულ ქვედანაყოფში, ისე სხვა სამსახურში. თანამშრომლის გადაადგილება დაიშვება მხოლოდ მისი თანხმობით.

საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დისციპლინური და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, შეუძლია დროებით ჩამოაშოროს თანამდებობას თანამშრომელი, საგამოძიებო ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, აგრეთვე, სათანადო ორგანოების დადგენილების საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გადაყენებულ თანამშრომელს, გამართლების შემთხვევაში, უნდა მიეცეს ადრე დაკავებული ან მისი თანაბარი თანამდებობა, ამასთან, უნდა აუნაზღაურდეს ხელფასი იძულებით გაცდენილი დროისათვის.

რას ნიშნავს საბაჟო ორგანოებში *სამსახურებრივი დისციპლინა?* იგი ნიშნავს საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის, საბაჟო კანონმდებლობის, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებების, უშუალო უფროსის მითითებების, დაკისრებული მოვალეობისა და უფლებამოსილების შესრულებას.

საბაჟო სისტემის ქვედანაყოფის უფროსი პასუხისმგებელია ხელქვეითი თანამშრომლის სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობისათვის. იგი ვალდებულია: შეუქმნას თანამშრომლებს შრომის, დასვენებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო პირობები; ჩაუნერგოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა; სამსახურებრივი საქმიანობის შეფასებაში უზრუნველყოს საჯაროობა და ობიექტურობა; პატივი სცეს თანამშრომლის პირად ღირსებას; არ დაუშვას პროტექციონიზმი პირად შემადგენლობასთან მუშაობაში და, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლის დევნა პრაქტიკულ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკისათვის.

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა მიმართ გამოიყენება *წახალისების ფორმები:*

მადლობის გამოცხადება; ერთდროული ფულადი ჯილდო; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება; საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საპატიო სიგელით დაჯილდოება; დაჯილდოება სამკერდე ნიშნით „საქართველოს სახელმწიფო საპატიო მებაჟე", „საბაჟო სამსახურის ფრიადოსანი"; ადრე დადებული დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნა.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლის მიმართ ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. საბაჟო დეპარტამენტის მუშაკის მიმართ გამოიყენება *დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები*: შენიშვნა; გაფრთხილება; არა უმეტეს ათი დღის ხელფასის დაკავება; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შენერებით არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა; უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა; დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება.

ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

საბაჟო ორგანოების მუშაკებს უფლება აქვთ:

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განიხილონ საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები; თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებისათვის გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და შექმნან შესაბამისი მატერიალური პირობები; მოითხოვონ სამსახურებრივი გამოძიება თავიანთი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გაბათილების მიზნით; ძირითად საქმიანობას შეუთავსონ პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობა; დადგენილი წესით მიიღონ ინფორმაცია და მასალები სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად; საკუთარი ინიციატივით მიიღონ მონაწილეობა საბაჟო ორგანოებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსებში.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან:

დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა; დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულონ სამსახურებრივი მოვალეობანი; უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა; უსრუნველყონ ხელმძღვანელთა მიერ მათი კომპე-

ტენციის ფარგლებში გამოცემული ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულება; თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დროულად განიხილონ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მიმართვები და მოთხოვნები; დაიცვან საბაჟო ორგანოებში დაწესებული შინაგანაწესის მოთხოვნები, სამსახურებრივ ინფორმაციასთან დამოკიდებულების წესები და თანამდებობრივი ინსტრუქციები; როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ არ გაავრცელონ და დაიცვან სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებები, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემები, აგრეთვე, სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ცნობილი გახდა მათთვის სამსახურებრივ მოვალეობათა განხორციელებასთან დაკავშირებით.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობა. მათ შეუძლიათ მხოლოდ იყვნენ აქციებისა და წილის მფლობელნი.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელთათვის დადგენილია 40-საათიანი სამუშაო კვირა. იმ თანამშრომელთა ჩამონათვალს, რომლებისთვისაც დადგენილია არასრული სამუშაო დღე, განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ზეგანაკვეთური, აგრეთვე, ღამით, უქმე და სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის საბაჟო ორგანოების მუშაკებს ეძლევათ ფულადი კომპენსაცია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, დანამატს ნამსახურობის წლებისათვის, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ), რაიონულ კოეფიციენტს (თუ არის დაწესებული), დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

საბაჟო დაწესებულების თანამშრომლებს ეძლევათ შვებულებები: ა) ყოველწლიური შვებულება (მორიგი); ბ) მოკლევადიანი შვებულება; გ) სასწავლო შვებულება; სასწავლებლის დამთავრებასთან დაკავშირებული შვებულება; დ) ქალებისათვის – შვებუ-

ლება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისათვის, ვიდრე ბავშვი არ მიაღწევს განსაზღვრულ ასაკს.

დაუსწრებლად სწავლებისას მუშაკს სასწავლო შვებულება მიეცემა მხოლოდ სასწავლებლის გეგმით გათვალისწინებულ დროს. მოკლევადიანი და სასწავლო შვებულებები არ ითვლება მორიგი შვებულების ვადაში.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც სწავლობენ დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფორმაზე, უწესდებათ შეღავათები კანონმდებლობის მიხედვით.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს (ცოლი, ქმარი, არასრულწლოვანი შვილები) აქვთ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში ფასიანი მკურნალობისა და დასვენების უფლება, რისთვისაც უნაზღაურდებათ საგზურის ღირებულების 50 პროცენტი.

საბაჟო სისტემის თანამშრომელს, რომელიც სამსახურებრივ საქმიანობაში იყენებს პირად სატრანსპორტო საშუალებას, მისი შენახვისა და საწვავ-საპოხი მასალების ხარჯების ანაზღაურების მიზნით ეძლევა ფულადი კომპენსაცია დადგენილი წესით. გარდა ამისა, იგი ყველა სახის ტრანსპორტზე სარგებლობს ბილეთის ურიგოდ შეძენის უფლებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლები და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები იხდიან ბინის ქირას და კომუნალური მომსახურების საფასურს (ელექტრო და თბოენერგია, რადიო, კოლექტიური ანტენა, გაზი, გათბობა, წყალმომარაგება, დასუფთავება და სხვა) და სატელეფონო, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა, გადასახდელის 50 პროცენტს, მიუხედავად საცხოვრებელი ბინის კუთვნილებისა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

საბაჟო ორგანოებში სამსახურის შეწყვეტის ძირითადი საფუძვლებია: ა) საბაჟო ორგანოებიდან დათხოვნა; ბ) მოქალაქეობის შეცვლა; გ) კანონით დადგენილი წესით თანამშრომლის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობა; დ) თანამშრომლის სიკვდილი (დაღუპვა).

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანამშრომელი საბაჟო სისტემიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს: ა) სამსახურის ვადის გასვლის გამო; ბ) საკუთარი ინიციატივის სა-

ფუძველზე; გ) შემცირებასთან დაკავშირებით; დ) საბაჟო ორგანოს ლიკვიდაციის გამო; ე) დაკავებულ თანამდებობასთა შეუსაბამობის გამო; ვ) დისციპლინური გადაცდომისათვის; ზ) ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო; თ) საპენსიო ასაკის მიღწევის გამო; ი) სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო; კ) გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო; ლ) სამსახურში მიღებისას დადგენილი წესის დარღვევისათვის; მ) სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით; ნ) მოქალაქეობის შეცვლის გამო; ო) გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი შეიძლება დათხოვნილ იქნეს დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო: ა) ატესტაციის შედეგების საფუძველზე; ბ) იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად; გ) სახელმწიფო ენის არადამაკმაყოფილებელი ცოდნისა და ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობის გამო; დ) ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო; ე) არადამაკმაყოფილებელი პროფესიონალიზმის გამო; ე) გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე.

საქართველოს საბაჟო ორგანოებში სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი განისაზღვრება: ა) მამაკაცისათვის – 65 წლით; ბ) ქალისათვის – 60 წლით.

საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. პენსიის დასანიშნად ნამსახურობის წესს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ (2000 წლის 5 დეკემბერი) შესაბამისად დაწესდა ფინანსთა სამინისტროს სპეციალური წოდებები.

სამხედრო და სპეციალური წოდებები და დიპლომატიური რანგები ენიჭებათ საქართველოს მოქალაქეებს მათი სამსახურებრივი მდგომარეობის, ნამსახურევი წლების, სამხედრო და სპეციალური მომზადების, აგრეთვე, დამსახურების შესაბამისად.

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დაწესებულია შემდეგი სპეციალური წოდებები[1]:

---

1 საქართველოს კანონი „სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ“, 2001, გვ. 5-9.

- *საშუალო სპეციალური წოდება* – უმცროსი ინსპექტორი, III კლასის ინსპექტორი, II კლასის ინსპექტორი, I კლასის ინსპექტორი;
- *უფროსი სპეციალური წოდება* – III კლასის მრჩეველი, II კლასის მრჩეველი, I კლასის მრჩეველი;
- *უმაღლესი სპეციალური წოდება* – სახელმწიფო მრჩეველი და მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მოსამსახურეთა სპეციალურ წოდებებს წინ ემატება სიტყვა „საბაჟო სამსახურის“.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაწესდა შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) *უმცროსი სპეციალური წოდება* – რიგითი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი;

ბ) *საშუალო სპეციალური წოდება* – უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

გ) *უფროსი სპეციალური წოდება* – მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი;

დ) *უმაღლესი სპეციალური წოდება* – გენერალ-მაიორი.

მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად დაწესებულია სპეციალური წოდებით სამსახურის შემდეგი ვადა: უმცროსი ინსპექტორი – 1 წელი; III კლასის ინსპექტორი – 2 წელი; II კლასის ინსპექტორი – 3 წელი; I კლასის ინსპექტორი – 3 წელი; III კლასის მრჩეველი – 4 წელი; II კლასის მრჩეველი – 5 წელი; I კლასის მრჩეველი – 5 წელი.

უმაღლესი სპეციალური წოდებების მინიჭებისას სამსახურის ვადები არ განისაზღვრება.

სპეციალური წოდების მინიჭების წესს ადგენს სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელი. უმცროს, საშუალო და უფროს სპეციალურ წოდებებს ანიჭებს სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელი. იგი უფლებამოსილია უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდებების მინიჭების უფლება გადასცეს დაწესებულების სისტემაში შემავალი დანაყოფის უფროსს.

უმაღლეს სპეციალურ წოდებას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

მომდევნო სპეციალური წოდების მინიჭება ხდება შესაბამისი წინა სპეციალური წოდების გათვალისწინებით. სპეციალური წოდების მინიჭება ხდება საქართველოს კანონით დადგენილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია სპეციალური წოდების მინიჭება საფეხურგამოშვებით. მოსამსახურეს სპეციალური წოდება მისი არქონის შემთხვევაში მიენიჭება თანამდებობაზე დანიშვნასთან ერთად.

მოსამსახურეს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან მიმდინარეობს სამსახურებრივი მოკვლევა მის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ფაქტზე, სპეციალური წოდება არ მიენიჭება დისციპლინარული პასუხისმგებლობის მოხსნამდე, მარეაბილიტირებელ საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე ან სამსახურებრივი მოკვლევის დასრულებამდე.

მოსამსახურეს სპეციალური წოდება ვადამდე ენიჭება: ა) ატესტაციის შედეგების მიხედვით; ბ) განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

სპეციალური წოდება პირს შეიძლება ჩამოერთვას, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. სპეციალური წოდების ჩამორთმევის თაობაზე დავა განიხილება სასამართლოს წესით.

სპეციალური წოდებისათვის გათვალისწინებულია ხელფასის დანამატი, სამსახურებრივი და სოციალური უზრუნველყოფის სხვა გარანტიები.

სპეციალური წოდებისათვის შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების წარდგინებით შეიძლება შემოღებულ იქნეს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და განმასხვავებელი ნიშნები. სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების აღწერილობასა და ტარების წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

სპეციალური წოდების მინიჭების უსაფუძვლოდ დაგვიანების შემთხვევაში მოსამსახურეს უფლება აქვს ყველა იმ სარგოს კომპენსაციაზე, რომელიც მას უნდა მიეღო სპეციალური წოდების დროული მინიჭების შემთხვევაში.

უკანონოდ განთავისუფლებულ მოსამსახურეს სამსახურში აღდგენისას სამუშაო ადგილზე იძულებით არყოფნის მთელი პერი-

ოდი ჩაეთვლება შესაბამისი სპეციალური წოდებით სამსახურის ვადაში.

საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 169) საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით განსაზღვრულია ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე თანხების აკუმულირებისა და განაწილების პირობები.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის საბაჟო ორგანოების მიერ კონტროლირებადი შემოსავლების მიხედვით ბიუჯეტებსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების 3 პროცენტი, აგრეთვე, ბიუჯეტებისა და სპეციალური ფონდების სასარგებლოდ დამატებით დარიცხული და ჩარიცხული თანხების 50 პროცენტი ირიცხება ხაზინაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე. ამ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა ხდება ბიუჯეტებსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში ჩარიცხული თანხების პროპორციულად საბაჟო დაწესებულებების მიერ.

საბაჟო მოსაკრებლების სახით ამოღებული თანხები მთლიანად მიიმართება საბაჟო ორგანოების მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისა და ამ ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიზნობრივად დაფინანსებისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საბაჟო ორგანოების მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯვის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს საბაჟო ორგანოებისა და მათი სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და მათ ქონებას მიაყენეს თავიანთი არამართლზომიერი გადაწყვეტილებით, მოქმედებით ან უმოქმედობით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. არამართლზომიერი ქმედებისათვის საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სისტემის სახელმწიფო მოხელეებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ სპეციალური წოდებები, მიენიჭებათ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება.

ამრიგად, საქართველოს საბაჟო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეთა პრობლემებმა და სტატუსმა.

საბაჟო ორგანოები და მათი ფუნქციები

საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურაში შედიან სხვა საბაჟო დაწესებულებებიც. ესენია: რეგიონული საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო-გამშვები პუნქტები.

ეს სტრუქტურა საქართველოში ხშირად მსჯელობის, განხილვისა და კამათის საგანია. იგი ხშირად იცვლება, მაგრამ, ძირითადად, ზოგადი სქემით ეს არის საბაჟო-გამშვები პუნქტები, რეგიონული საბაჟოები და საბაჟო დეპარტამენტი.

საბაჟო-გამშვები პუნქტის ცნება. სახელმწიფო საზღვართან, სადაც სახელმწიფო საზღვარი ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს, მდებარეობს საბაჟო-გამშვები პუნქტი. ანუ ეს არის საბაჟო ორგანო, რომელიც განაპირობებს ქვეყანაში ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სხვადასხვა სახის ტრანსპორტით (საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო) ქვეყნის ტერიტორიაზე ტვირთების და საქონლის შემოზიდვა-გაზიდვას. საბაჟო-გამშვები პუნქტის უშუალო დანიშნულება, უშუალო ფუნქცია არის ქვეყნის საზღვართან, სადაც გადის სადემარკაციო ხაზი, საქონლის შემოსვლა-გასვლის კონტროლი. სადემარკაციო ხაზთან მიმართებაში საბაჟო დეპარტამენტი თანამშრომლობს სასაზღვრო ჯართან. საბაჟო სადემარკაციო ხაზიდან 500-მეტრიან ზოლში უნდა იყოს განლაგებული[1].

ამრიგად, სასაზღვრო ჯარების შემდგომ ტერიტორიაზე, სადაც საბაჟო ტერიტორია იწყება, განლაგებულია საბაჟო-გამშვები პუნქტები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიის შიგნით საქონლის მოძ-

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002, გვ. 108.

რაობას აკონტროლებენ. ეს საბაჟოს ფუნქციაა, რომელიც ორ მომენტს მოიცავს: პირველი – საბაჟო-გამშვები პუნქტი აფიქსირებს, როცა საქონელი საქართველოს სახლვარს გადალახავს. წესის შესაბამის დოკუმენტს ჰქვია შიდა საბაჟო ტრანსიტი. იგი არის თანმხლები დოკუმენტი, სხვა სასაქონლო დოკუმენტებთან ერთად, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ რეჟიმში მოძრაობს საქონელი. ეს ერთ-ერთი ეტაპია, რადგან საბაჟო ტრანსიტის დროს საქონელი ქვეყნის სახლვარს გაივლის, წავა თავისუფალი მოქცევის ქვეყანაში ან განბაჟდება, ყველა დოკუმენტს საბაჟო პროცედურა ამთავრებს; ანუ საბაჟო-გამშვები პუნქტი იწყებს პროცედურას და არ ამთავრებს მას. მეორე – საბაჟო-გამშვები პუნქტი იწყებს პროცედურას და ამთავრებს, ანუ ამ შემთხვევაში მოდის ტვირთი, საბაჟო განიხილავს შესაბამის რეჟიმში, აფასებს მის საბაჟო ღირებულებას და განბაჟების შემდეგ უშვებს თავისუფალ მიმოქცევაში. ამ შემთხვევაში საბაჟო-გამშვები პუნქტი სრულუფლებიანი საბაჟოს ფუნქციას ასრულებს.

რეგიონული საბაჟო თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ ფუნქციებს, კოორდინაციას უწევს საბაჟო ორგანოების საქმიანობას.

ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო ახორციელებს რეგიონული საბაჟოს ფუნქციებს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საბაჟო საგუშაგო არის ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, რომელიც ახორციელებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას და აღრიცხვას, საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმებას, აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების წარმოებას.

საბაჟო-გამშვები პუნქტი არის ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, რომელიც ახორციელებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას, ფიზიკური პირის მომსახურებას სახლვარზე გადაადგილებისას, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დანიშნულების საბაჟო ორგანოსათვის მისაწოდებლად განსაზღვრულ პროცედურებს.

1998 წლამდე საბაჟო-გამშვები პუნქტი იურიდიულ პირს არ წარმოადგენდა. საბაჟოში შეიქმნა ახალი სტრუქტურა. საბაჟო დეპარ-

ტამენტში შეიქმნა კოორდინაციის სამმართველო. საბაჟოები გახდნენ იურიდიული პირები. ამ პერიოდიდან საბაჟოებს გააჩნიათ საკუთარი ბეჭედი, ბულალტერია, სალარო, ფაქსიმილია და სხვ. ამიერიდან მათ შეუძლიათ სრულფასოვანი ოპერაციების ჩატარება.

ამ რეორგანიზაციას ბევრი კამათი მოჰყვა. მებაჟეები, პრაქტიკოსები თუ იგივე მინისტრები, შემდგომში საგადასახადო შემოსავლებისა და ფინანსთა მინისტრებიც, მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო არასწორი ნაბიჯი, რადგან ჩვენ კონტროლი დავკარგეთ. სინამდვილეში, იმის მაგიერ, რომ საზღვარზე განბაჟდეს ტვირთი, ჩვენ ვართულებთ საბაჟო კონტროლს, მას ვუშვებთ ქვეყნის ტერიტორიაზე, ეკარგავთ და მერე ან განვაბაჟებთ ან არა. ამას გარდა, უსასრულოა საწინააღმდეგო არგუმენტები, რომ ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ უფლებების დელეგირებისკენ, იმისკენ, რომ მონსტრი თბილისში არ არსებობდეს ბიუროკრატიული აპარატის სახით, რომელიც ხშირად კორუფციას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს უწყობს ხელს, ნებისმიერ საბაჟოგამშვებ პუნქტებში, სადაც წარმოდგენილია და უზარმაზარ ფუნქციას ასრულებენ და მათზეა დამოკიდებული. ამიტომ ისინი პირველად გაფორმებას იქ იწყებენ, ამიტომ იქ უნდა იყოს სრულფასოვანი საბაჟო ინსტიტუტი, როგორც ეს მსოფლიოს ყველა ცივილურ ქვეყანაშია[1].

ამის შემდეგ, 1998 წლიდან ჩამოყალიბდა ის სტრუქტურული ელემენტები, რასაც ეწოდება სრულფასოვანი საბაჟო. დაიწყო ფუნქციონირება 18-მა საბაჟო-გამშვებმა პუნქტმა – სადახლო, წითელი ხიდი, ლაგოდეხი, ნინოწმინდა, თელავის აეროპორტი, თბილისის აეროპორტი, გორი, ვალე, ფოთი, ქუთაისი, სარფი და სხვა. გაჩნდა შემდგომი დონე საბაჟოებისა (პატარა სასაზღვრო მონაკვეთებით, რომლებსაც შესება აქვთ უცხო ქვეყნების სასაზღვრო მონაკვეთებთან): „ერის იმედი“, „ჯანდარა-ვახტანგისი“ და სხვა. ესენი გახდნენ გამშვები პუნქტები, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება ჩაეტარებინათ სრულფასოვანი საბაჟო ოპერაცია; მათ შეეძლოთ მხოლოდ შიდა ტრანზიტის გამოწერა.

ამგვარად, ჩამოყალიბდა სამდონიანი სტრუქტურა: საბაჟო დეპარტამენტი, საბაჟოები და გამშვები პუნქტები. საბაჟო დეპარტა-

---

1 ემზარ ჯიგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, გვ. 109.

მენტი, როგორც პოლიტიკის განმახორციელებელი, შედგება სამმართველოებისაგან. ისინი ოპერატიული მუშა ორგანოებია.

საბაჟო სისტემა მოლიანობაში შედგება სამიარუსიანი ინსტიტუტისა და უწყებისაგან. ესენია: დეპარტამენტი, რეგიონული და საბაჟო-გამშვები პუნქტები.

მთლიანად ეეთანხმებით ემსარ ჯგერენაიას: საბაჟოს, როგორც ინსტიტუტის ქმედითუნარიანობა დამოკიდებულია მის სტრუქტურაზე. რამდენად იქნება მაღალკვალიფიციური კადრები, რამდენად შესრულებადია კანონი, რამდენად შეესაბამება არსებულ პირობებს ტექნოლოგია და ტექნიკა, ამდენად ქმედუნარიანი იქნება საბაჟო, როგორც სისტემა. მთავარი ბაზა, რასაც ეყრდნობა საბაჟო სისტემა, არის იმ 1250 კაცის კვალიფიკაცია, რომელიც ნელ-ნელა იმატებს. სერიოზული პრობლემაა კვალიფიკაციის დონე.

საბაჟო დეპარტამენტის ბაზა, რომელსაც საბაჟო სისტემა ეყრდნობა, მისი ტექნიკური აღჭურვილობაა — კომპიუტერული სისტემა, რომლის ერთიან კომპიუტერულ ქსელში მოქცევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (დაწყებული ბათუმიდან, დამთავრებული წითელი ხიდით და ყაზბეგით) ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით ხორციელდება. მისი მეშვეობით ოპერატიულად ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება. ოპერატიულ პროგრამებს და სპეციალურ ტექნიკას ასევე მნიშვნელობა აქვს საბაჟო ფუნქციების სრულფასოვან შესრულებაში.

მესამე ბაზა, ესაა სრულფასოვანი მენეჯმენტი, რომელიც საბაჟო ინსტიტუტის არსებობას სჭირდება. მენეჯმენტი სრულყოფილად ახორციელებს მართვას.

მეოთხე ბაზა, რომლის საფუძველზე ფუნქციონირებს საბაჟო, არის საკანონმდებლო ბაზა. ხშირად ისინი გადმოწერილია რუსული ან უცხოური წყაროებიდან, არ არის მისადაგებული ადგილობრივ პირობებს და, ამდენად, ხშირად შეუსრულებადი და გაუგებარია.

ეს ოთხი ფაქტორი განსაზღვრავს საბაჟო ინსტიტუტის არსებობას. ამ ოთხ ფაქტორშია საბაჟო სტრუქტურის პრობლემები და გადაწყვეტის გზები. არ არსებობს საბაჟო ფუნქციები ცალკე განყენებულად მისი განმახორციელებელი ინსტიტუტის გარეშე და პირიქით. ფუნქცია ქმნის ინსტიტუტს, ინსტიტუტი ახორციელებს ფუნქციას.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (2002 წლის 2 აგვისტო, №358) „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურისა და რეფორმის პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ“ შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში შეიქმნა საბაჟო ორგანოები – სტრუქტურული ერთეულები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო;
- რეგიონული საბაჟო „აღმოსავლეთი“;
- რეგიონული საბაჟო „ჩრდილოეთი“;
- რეგიონული საბაჟო „სამხრეთი“;
- რეგიონული საბაჟო „დასავლეთი“;
- რეგიონული საბაჟო „რკინიგზა“;
- რეგიონული საბაჟო „ენერგეტიკის საბაჟო“.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებზე, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საქართველოს აეროპორტებსა (აეროდრომებსა) და ღია პორტებში არსებული საბაჟო-გამშვები პუნქტები სტრუქტურულად დაექვემდებარნენ შემდეგ რეგიონულ საბაჟოებს:

საბაჟო-გამშვები პუნქტები: „სარფი“, „ბათუმის პორტი“, „ბათუმის აეროპორტი“ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს;

საბაჟო-გამშვები პუნქტები: „წითელი ხიდი“, „სადახლო“, „ახკერპი“, „ბუგუთი“, „მტკვარი“, „ლაგოდეხი“, „სამთაწყარო“, „უდაბნო“, „საბათლო“, „ვაშლოვანი“, „თბილისის აეროპორტი“ – რეგიონულ საბაჟოს „აღმოსავლეთი“;

საბაჟო-გამშვები პუნქტები: „ყაზბეგი“, „გორი“ – რეგიონულ საბაჟოს „ჩრდილოეთი“;

საბაჟო-გამშვები პუნქტები: „ვალე“, „ნინოწმინდა“ – რეგიონულ საბაჟოს „სამხრეთი“;

საბაჟო-გამშვები პუნქტები: „ფოთის პორტი“, „ქუთაისის აეროპორტი“, „სენაკის აეროპორტი“, „მამისონი“ – რეგიონულ საბაჟოს „დასავლეთი“;

საბაჟო-გამშვები პუნქტები: „გარდაბანი“, „სადახლო“, „ფოთი“ – რეგიონულ საბაჟოს „რკინიგზა“.

ბრძანებულება ამოქმედდა 2002 წლის 10 სექტემბრიდან. რა ამოცანებსა და ფუნქციებს ასრულებენ რეგიონული საბაჟო ორგანოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო-გამშვები პუნქტები?

ზოგადი დებულება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო ორგანო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფი და იგი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე პასუხისმგებელია საქართველოს ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელებასა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულებაზე.

საბაჟო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის და საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებებით და დებულებებით.

საბაჟოს აქვს ბეჭედი და ბლანკი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, აგრეთვე, სხვა ბეჭდები და დამღები საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმებისათვის, დამოუკიდებელი ბალანსი, შესაბამისი საბანკო და სახაზინო ანგარიშები. საბაჟო ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

საბაჟოს ამოცანები. საბაჟოს ძირითადი ამოცანებია: სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა; საბაჟო გადასახდელების, სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღება და შესაბამის ბიუჯეტებში მათი დროული და სრული აკუმულირება; საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლის (სატრანსპორტო საშუალებების) გამოვლენა-აღკვეთა და სათანადო რეაგირება.

საბაჟოს ძირითადი ფუნქციებია:

- კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო პოლიტიკის ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფა; საქართველოს საბაჟო ტერიტორიის მთლიანობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობა; საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების რეალიზაცია; საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენების კანონიერების უზრუნველყოფა;

- საბაჟო სფეროში არსებული პრაქტიკული გამოცდლილების გაანალიზება, საბაჟო დეპარტამენტში საბაჟო საქმის მართვის სრულყოფის თაობაზე წინადადებების წარდგენა; ცალკეული საბაჟო რეჟიმების შესაბამისად საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება და საბაჟო კონტროლი; დადგენილი წესის შესაბამისად საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას გაჩერების ადგილისა და დგომის ხანგრძლივობის განსაზღვრა, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების დროის გათვალისწინებით;
- საბაჟო გადასახდელების ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების და მოსაკრებლების დარიცხვა, ამოღება და მათი შესაბამის ბიუჯეტებში გადარიცხვა, დადგენილი წესით საბაჟო დეპარტამენტში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა; საბაჟო კანონმდებლობით შექმნილი საწყობების და სხვა ობიექტების (სადაც იმყოფება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი) საბაჟო კონტროლი; საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული კულტურული ფასეულობების (მსატერული, ისტორიული, არქეოლოგიური საგნების და ა. შ.) საბაჟო კონტროლი;
- საქონლის კლასიფიცირება და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში აღნიშნული პოზიციების მიკუთვნება; სამოქმედო ტერიტორიაზე საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება, კანონით დადგენილი წესით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა. საბაჟო სფეროში დანაშაულისა და სამართალდარღვევების გამოვლენა-აღკვეთის საქმეში სხვა სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებთან თანამშრომლობა; საგარეო ვაჭრობის, საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის ფორმირების მიზნით პირველადი მონაცემების დამუშავება და საბაჟო დეპარტამენტში წარდგენა;
- საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობა; კომ-

პეტენციის ფარგლებში იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სარიგარ-განცხადებების განხილვა-რეგირება; საბიუჯეტო შემოსავლების ოპერატიულ და წლიურ პროგნოზულ მონაცემებზე წინადადებების მომზადება და საბაჟო დეპარტამენტში წარდგენა, მათ შემდგომ დაზუსტებასა და კორექტირებაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო სასაზღვარზე გადაადგილებული საქონლის ტვირთბრუნვის ზრდის ხელშეწყობა;

- კადრების შერჩევა და განაწილება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო დეპარტამენტის და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობა; საბაჟო სამსახურების ერთიანი ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემის შექმნისა და სრულყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა;
- საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგების განხორციელება, საანგარიშო პერიოდების მიხედვით საბუღალტრო ბალანსების შედგენა და შესაბამისი ანგარიშების საბაჟო დეპარტამენტში წარდგენა.

საბაჟოს (უფლებამოსილ პირს) დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად უფლება აქვს:

- განახორციელოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსული, საბაჟო ტერიტორიაზე არსებული და ტერიტორიიდან გამავალი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი; მოითხოვოს და უსასყიდლოდ (თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) მიიღოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია საბაჟოს ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად; შეიმუშაოს ერთობლივი ღონისძიებები სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან, მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- გადაამოწმოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საცავები და სხვა ადგილები, სადაც შესაძლებელია მოთავსებული იყოს აღნიშნული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები; მოახდინოს საბაჟო სასაზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება; გან-

საზღვროს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილი და დგომის ხანგრძლივობა, გასცეს ამ სადგომიდან გასვლის ნებართვა;

- საბაჟო გაფორმების, საბაჟო კონტროლისა და სხვა ფუნქციონალური მოვალეობების აღსრულების მიზნით მოითხოვოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია პირებისაგან, რომლებიც უსრუნველყოფენ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას, დეკლარანტებისაგან, საწყობების მფლობელებისაგან, საბაჟო პროკერებისაგან, გადამზიდველებისაგან და სხვა პირებისაგან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან აწარმოონ სატვირთო და სხვა საბაჟო ოპერაციები; საბაჟო გაფორმების მიზნით აიღოს საქონლის სინჯები და ნიმუშები, ჩაატაროს მათი გამოკვლევა. მისცეს ნებართვა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელ'ზე სინჯები და ნიმუშები აიღოს საქონლის მფლობელმა ან მისმა წარმომადგენელმა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების წარმომადგენლებმა, მოითხოვოს გამოკვლევის შედეგების გაცნობა;
- განახორციელოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული, ასევე შეღავათებით შემოტანილი საქონლის ინვენტარიზაცია; იძულების წესით გააჩეროს სატრანსპორტო საშუალებები, უკან დააბრუნოს საზღვაო და საჰაერო ხომალდები, რომლებიც საბაჟო ტერიტორიიდან გავიდნენ საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე, გარდა სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე მყოფი ხომალდებისა; საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობისას მიმართოს სასამართლოს საბაჟო გადასახადების გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების ან საბანკო ანგარიშებიდან საინკასო დავალებით (განკარგულებით) საბაჟოს კუთვნილი თანხის ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად;
- საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, აკონტროლოს საბაჟო კონტროლის ზონებში საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ფიზიკურ პირთა გადაადგილება; საბაჟო კონტროლის განხორციელებისას მოიწვიოს სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეციალისტები და ექსპერტები; მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, სათავსოების და სხვა ადგილების, სადაც არის

ან შეიძლება იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ადგილები, სადაც ხორციელდება საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, აგრეთვე, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირება;

- საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით შეეიღეს ნებისმიერ საცავში, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, ან სადაც შეიძლება მოთავსებული იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთები და სატრანსპორტო საშუალებები თუ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები; მოახდინოს პირადი გასინჯვა საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, იმის თაობაზე, რომ საბაჟო საზღვრის გავლით მიმავალი ან საბაჟო კონტროლის ზონაში, ან და საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მყოფი პირი მალავს და არ ანენს საქონელს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ შეთანხმებების დარღვევის ობიექტია და რომელთა შესრულებაზე კონტროლი საბაჟო ორგანოებს ევალებათ;
- განახორციელოს საბაჟო საზღვრის გავლით, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრის გარდა, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო ფასეულობათა გადაადგილების კონტროლი; კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოითხოვოს საკონსულო ვალიზის გახსნა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან, საკონსულო ვალიზის გახსნაზე უარის შემთხვევაში დააბრუნოს იგი გამოგზავნის ადგილზე;
- განახორციელოს კადრების შერჩევა, განაწილება, მომზადება და მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, ჩაატაროს საბაჟოს სისტემის მოხელეთა ატესტაცია;
- საბაჟო წესების დარღვევის გამოვლენისას შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, დაადოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი.

საბაჟოს სტრუქტურა და მართვა. საბაჟოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე. საბაჟოს უფროსის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს, განყოფილებათა უფროსებს, მათ მოადგილეებს და სხვა საჯარო მოსამსახურეებს საბაჟოს უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საბაჟოს უფროსი: ხელმძღვანელობს საბაჟოს მუშაობას და პასუხს აგებს მის წინაშე მდგარი ამოცანებისა და დაკისრებულ ფუნქციათა შესრულებაზე; პასუხისმგებელია საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის წინაშე; იღებს გადაწყვეტილებებს საბაჟოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მოქმედებს საბაჟოს სახელით, წარმოადგენს მას სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

- საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოსამსახურეებს; კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს; წარადგენს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში განიხილავს საბაჟო წესების დარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს; დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები საბაჟო ორგანოების საჯარო მოსამსახურეებისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ.

საბაჟოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

საბაჟოს სტრუქტურული ერთეულებია: საბაჟო გამშვები პუნქტები; საბაჟო გაფორმების განყოფილება; საბაჟო საგუშაგოები; საბაჟო საქმის მართვის განყოფილება; საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობის განყოფილება; საფინანსო-საბუღალტრო განყოფილება; ინფორმატიკისა და სტატისტიკის განყოფილება; ადმინისტრირებისა და სამართლებრივ საკითხთა განყოფილება; კადრების განყოფილება; კანცელარია; სამორიგეო განყოფილება; სამეურნეო ნაწილი.

საბაჟო გამშვები პუნქტის ძირითადი ამოცანებია: სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელება; საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა და საბაჟო კონტროლი; თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო გადასახდელების, სხვა გადასახადების და მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღება და შესაბამის ბიუჯეტებში მათი დროული და სრული აკუმულირება; არაკომერციული მიზნით საქართველოში ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი საქონლის საბაჟო გაფორმება; საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოვლენა-აღკვეთა, მათზე სათანადო რეაგირება.

საბაჟო გაფორმების განყოფილების ძირითადი ამოცანებია: სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელება; საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება; საბაჟო გადასახდელების, სხვა გადასახადების და მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღება და შესაბამის ბიუჯეტებში მათი დროული და სრული აკუმულირება; ცალკეულ საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის (გადამუშავება, დროებითი შემოტანა ან გატანა, რეექსპორტი, საბაჟო საწყობი) სისტემატური კონტროლი, ამ რეჟიმით გათვალისწინებული პირობების და ვალდებულებების შესრულებაზე; საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოვლენა-აღკვეთა, მათზე სათანადო რეაგირება.

გამომდინარე იქიდან, რომ *საბაჟო საგუშაგო* შედგება საბაჟო გამშვები პუნქტისა და საბაჟო გაფორმების განყოფილებისაგან, შესაბამისად, მის ამოცანებს წარმოადგენს საბაჟო გამშვები პუნქტისა და საბაჟო გაფორმების განყოფილების ამოცანების ერთობლიობა.

საბაჟო საქმის მართვის განყოფილების ძირითადი ამოცანებია: სამოქმედო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ორგანიზაცია; საბაჟო რეჟიმების რეგულირება; საბაჟო საგუშაგოებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების ოპერატიული მართვა და მათ საქმიანობაზე კონტროლის ორგანიზება; საბაჟო საწყობების, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიების, თავისუფალი საწყობების, დროებითი შე-

ნახვის საწყობების საქმიანობის და მათში არსებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი; საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კონტროლი; სამოქმედო ტერიტორიაზე საბიუჯეტო შემოსავლების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; ავტოსატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სამოქმედო ტერიტორიაზე გადაზიდვაზე ზედამხედველობა; საბაჟო საქმის ორგანიზაციასთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ცალკეული დავალებების შესრულება.

საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობის განყოფილების ძირითადი ამოცანებია: რკინიგზის ტრანსპორტით საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გადაზიდვის საბაჟო კონტროლი.

საფინანსო-საბუღალტრო განყოფილების ძირითადი ამოცანებია: ნაერთი ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებულ მოცულობათა ფარგლებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საქმის წარმოება; საანგარიშო პერიოდების მიხედვით ბალანსების შედგენა და შესაბამისი ანგარიშგების საბაჟო დეპარტამენტში წარდგენა; ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესით ამონაგები თანხების აღრიცხვა, მათ შორის ცალკეული გადასახდელების სახეობების მიხედვით; ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვიანობის წარმოება; დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის წარმოება და მათ სალიკვიდაციოდ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება; იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი საგარანტიო ვალდებულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლის დაწესება; ზედმეტად ან არასრულად დარიცხული თანხების გადაანგარიშება და შესაბამისი საბუღალტრო ოპერაციების ჩატარება; ხელფასების, პრემიების და სხვა ანაზღაურებების დარიცხვა-გაცემა.

ინფორმატიკისა და სტატისტიკის განყოფილების ძირითადი ამოცანებია: საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა; სამოქმედო ტერიტორიაზე საბაჟო კანონმდებლობის დარ-

ღონეებზე მონაცემთა ინფორმაციული ბაზის შექმნა; საბაჟო ინ-ფორმაციული ტექნოლოგიების და მონაცემთა გადაცემის სისტე-მების მომსახურება; სამოქმედო ტერიტორიის გავლით საბაჟო სასაზღვარზე საქონელბრუნვის ტენდენციების სტრუქტურის დინა-მიკა და ანალიზი; დეკლარაციისათვის სტატისტიკური ნომრის მინიჭება; საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურებისათ-ვის დადგენილი წესით და ფორმით ინფორმაციის მიწოდება.

ადმინისტრირებისა და სამართლებრივ საკითხთა განყოფილების ძირითადი ამოცანებია: საბაჟო საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების მომზადების ორგანიზება; შემოსული საჩივრებისა და პროტესტების განხილვა; საბაჟო საქმის წარმოებისათვის სამართლებრივ საშუალებათა გამოყენების უზრუნველყოფა (იურიდიული კონსულტაცია საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისათვის); კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო ორგანოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა ორგანოებში სამართლებრივი საკითხების განხილვისას; სამოქმედო ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება; საბაჟოს პირადი შემადგენლობის მიერ დისციპლინისა და კანონიერების განუხრელ დაცვაზე ზედამხედველობა; თანამშრომელთა მიერ კანონდარღვევების, მოქალაქეთა და იურიდიული პირების უფლებების დარღვევის, სამსახურებრივი გადაცდომების ფაქტების გამოვლენა და მათი პროფილაქტიკა.

სამორიგეო განყოფილების ძირითადი ამოცანებია: დღეღამური ოპერატიული ვითარების ინფორმაციის მიღება-სისტემატიზაცია; განცხადებების და საჩივრების, ასევე საბაჟო წესების დარღვევაზე შეტყობინებების რეგისტრაცია და შესაბამისი რეაგირების ორგანიზება; დადგენილი წესით და ფორმით ინფორმაციის მიწოდება საბაჟო დეპარტამენტის სამორიგეო განყოფილებისათვის. დადგენილი წესით საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა და გადაადგილებაზე ზედამხედველობა.

სამეურნეო ნაწილის ძირითადი ამოცანებია: საბაჟოს ორგანოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მისი გაუმჯობესება; კაპიტალური მშენებლობის და რემონტების დაგეგმვა.

საბაჟოს სპეციფიკიდან და დატვირთვიდან გამომდინარე, შესაძლებელია აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების გაერთიანება ან ამოღება.

ამრიგად, რეგიონული საბაჟო ორგანოების ძირითადი ამოცანაა: სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია; საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი; საბაჟო გადასახდელების და სხვა მოსაკრებლების და გადასახადების დარიცხვა-ამოღება და შესაბამის ბიუჯეტებში დროული და სრული აკუმულირება; საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა და საბაჟო გაფორმება; საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლის (სატრანსპორტო საშუალებების) გამოვლენა-აღკვეთა და მათზე რეაგირება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი

საქართველოს პარლამენტმა 2003 წლის 26 აგვისტოს მიიღო კანონი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შესახებ". კანონი განსაზღვრავს საგამოძიებო დეპარტამენტის სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და მიმართულებებს, დეპარტამენტში სამსახურის გავლის წესს და დეპარტამენტის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

საგამოძიებო დეპარტამენტი სამართალდამცავი სტატუსის მქონე საგამოძიებო ორგანოა, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტორს სისტემაში შედის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით. *დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას.*

საგამოძიებო დეპარტამენტის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის, საჯაროობის, დეპარტამენტის სის-

ტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

კანონის თანახმად (მუხლი 4, ნაწილი 2) დეპარტამენტის თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

დეპარტამენტის თანამშრომელს ეკრძალება:

- პირად, კომერციულ, პროფესიულ და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული, აგრეთვე კანონით დაცული სხვა ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- შეთავსებით მუშაობა ანაზღაურებად სამუშაოზე, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა; თანამდებობის დაკავება სხვა სახაზინო დაწესებულებაში, ანაზღაურებად სამუშაოს შესრულება ან თანამდებობის დაკავება უცხო ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

საგამოძიებო დეპარტამენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობს, ჯერ ერთი, სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანოებთან, მეორე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანოებთან, სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

საგამოძიებო დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უსრულველყოფს ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ჩადენილი დანაშაულების *ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას* და ამ მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელებას.

რაში მდგომარეობს საგამოძიებო დეპარტამენტის უფლებამოსილებანი? დეპარტამენტი დაკისრებული ამოცანების შესრულებისას უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1. ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ჩადენილ დანაშაულზე აღძრას სისხლის სამართლის საქმე ან უარი თქვას მის აღძვრაზე;

2. ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ან საბაჟო დეპარტამენტების მოკვლევის ორგანოები და ქვედანაყოფები ჩააბას შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

4. საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალებები საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ;

5. საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისცეს წერილობითი დავალებები მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ;

6. საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

ვის წინაშეა საგამოძიებო დეპარტამენტი ანგარიშვალდებული? დეპარტამენტი, როგორც აღვნიშნეთ, არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, *რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.*

საგამოძიებო დეპარტამენტი დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ფუნქციონირებს ერთიანი, ცენტრალიზებული წესით. დეპარტამენტისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უსრუნველყოფენ დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან დეპარტამენტის თავმჯდომარეს ან დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს.

დეპარტამენტის ორგანიზება და სტრუქტურა განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საგამოძიებო დეპარტამენტის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით.

დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარის წარდგინებით. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა უფლებამოსილების გამიჯვნა და საქმიანობის სფეროების განსაზღვრა ხორციელდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. დეპარტამენტის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯომარის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

კანონში განსაზღვრულია დეპარტამენტის თავმჯდომარის ფუნქციები:

- ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, აწარმოებს დეპარტამენტის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს, პასუხისმგებელია დეპარტამენტისათვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასანიშნად წარუდგენს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურებს;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს დეპარტამენტის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებზე;
- თვალყურს ადევნებს დეპარტამენტის სტუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანობისა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს;

- პასუხისმგებელია დეპარტამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო და სპეციალური სახსრების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური მოწყობილებების (მათ შორის, შეიარაღების, სპეციალური ტექნიკის, სპეციალური საშუალებების და ა. შ.) მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტის დებულების პროექტს, სტრუქტურას, ხარჯთაღრიცხვასა და საშტატო განრიგს, ასევე აღნიშნულ აქტებში სათანადო ცვლილებების პროექტებს;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და ინფორმაციას დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე;
- დეპარტამენტის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს და მეთოდურ მითითებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა დეპარტამენტის თანამშრომელთათვის;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს სპეციალურ წოდებებს და შუამდგომლობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის შესაბამისი სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უსრუნველყოფის თაობაზე;
- წყვეტს დეპარტამენტში სამსახურის გავლის საკითხებს;
- კონტროლს უწევს გამომძიებლების იმ მოქმედებათა დროულობას, რომლებიც დანაშაულის გამოვლენისა და აცილებისკენაა მიმართული; იღებს ზომებს, რათა ყოფელმხრივ, სრულად და ობიექტურად მოხდეს სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება;
- ამოწმებს სისხლის სამართლის საქმეს, აძლევს გამომძიებელს მითითებებს წინასწარი გამოძიების წარმოების, ბრალდებულებად პასუხისმგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციის, ბრალდების მოცულობის, საქმის წარმართვისათვის და საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ.

საქართველოს კანონში განსაზღვრულია სამსახურის გავლის წესი და დეპარტამენტის თანამშრობელთა სოციალური დაცვის გარანტიები. მე-12 მუხლის თანახმად, დეპარტამენტის თანამშრომელი არის საჯარო მოსამსახურე. იგი ვალდებულია დადგენილი წესით გაიაროს ატესტაცია, რომლის ჩატარების წესს ადგენს ფინანსთა მინისტრი. დეპარტამენტის თანამშრომელს თანამდებობისა და წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით, დადგენილი წესით ენიჭება სპეციალური წოდება. ენიჭება ასევე სამსახურებრივ-საშრატო იარაღის ტარების უფლება.

თანახმად კანონისა, დეპარტამენტის თანამშრომელს თავისი ვინაობისა და უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა მოწმობა და სპეციალური ჟეტონი.

დეპარტამენტში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით სამუშაოდ მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელიც არის არანაკლებ 23 წლისა, ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს სათანადო განათლება (გამომძიებელს – უმაღლესი იურიდიული განათლება), პიროვნული თვისებებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი, გაელილი აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახური ან კანონის საფუძველზე გათავისუფლებულია მისგან და აკმაყოფილებს ფინანსთა მინისტრის მიერ შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკიციო მოთხოვნებს.

საგულისხმოა ერთი დებულება. დეპარტამენტში ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ თანამდებობებზე სამუშაოდ არ მიიღება 35 წელზე მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არა აქვს საგადასახადო, საბაჟო ან სამართალდამცავ ორგანოებში ან სპეციალურ სამსახურში მუშაობის 1 წლის სტაჟი მაინც.

დეპარტამენტში სამუშაოდ მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები: წერილობითი განცხადება; ავტობიოგრაფია; განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ცნობა ნასამართლობის შესახებ; გაცემუ-

ლი შრომის წიგნაკი (თუ ასეთი არსებობს); სამხედრო ბილეთი; ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან; სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

კანონით განსაზღვრულია, რომ დეპარტამენტში სამსახურის გავლის წესი დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით.

დეპარტამენტში სამუშაოდ არ მიიღება: ნასამართლევი პირი; ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი; პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არის მიჩნეული და სხვ.

2003 წლის 15 ოქტომბერს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი[1].

საგამომძიებო დეპარტამენტის 92 თანამშრომლიდან 30 გამომძიებელია[2].

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლს 2003 წლის 26 აგვისტოს დაემატა შემდეგი შინაარსის 6[1] ნაწილი: „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-193-ე, 196-197-ე, მე-200, 204-207-ე, 209-ე, 214-ე (გარდა ამ მუხლის 4 ნაწილისა), 218-ე მუხლებით გათვალისწინებულ იმ დანაშაულთა საქმეებს, რომლებზედაც მასალები შემოწმებულია ან/და სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ან საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოების მიერ. ამ ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა (გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისა) საქმეებს აგრეთვე იძიებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 66-ე მუხლის ე[1] ქვეპუნქტი, რომლის თანახმად „საქართველოს ფინანსთა

---

1 *წყარო:* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2003, 15 სექტემბერი, №28, გვ. 6-10.

2 გაზ. „Аргументы и факты“, 2003, №41.

სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოები – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის, საბაჟო გადასახადებისაგან თავის არიდებისა და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე".

მოკლე დასკვნები

- *საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.*
- *ფინანსთა სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას, საფინანსო-საბიუჯეტო, საბაჟო და საგადასახადო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს.*
- *სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებია: საბაჟო დეპარტამენტი; საგადასახადო დეპარტამენტი; საგამოძიებო დეპარტამენტი; გენერალური ინსპექცია; აქციზური მარკების სამსახური; აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიურო; ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტი; ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.*
- *საბაჟო ორგანოებს შეადგენენ: საბაჟო დეპარტამენტი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამმართველოები, რეგიონული საბაჟო სამმართველოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო გამშვები პუნქტები; საბაჟო კანონმდებლობაში განსაზღვრულია მათი ფუნქციები.*
- *საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემა წარმოადგენს საბაჟო დაწესებულებათა ერთიობლიობას, მათ ურთიერთკავშირს და ურთიერთთანამშრომლობას საბაჟო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.*

კითხვები გამეორებისათვის

- *საბაჟო პოლიტიკის განსაზღვრა. ჩამოთვალეთ საქართველოს საბაჟო პოლიტიკის მიზნები.*
- *რას ნიშნავს ერთიანი საბაჟო პოლიტიკა და ვინ შეიმუშავებს მას?*
- *დაასახელეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილება.*
- *რას ნიშნავს საბაჟო დეპარტამენტის სამართალდამცავი ორგანოს სტატუსი.*
- *დაახასიათეთ საბაჟო ორგანოების მართვის პრინციპები.*
- *რას ნიშნავს საბაჟო ინფრასტრუქტურა და რა გზებია მისი სრულყოფისათვის?*
- *რა ნიშნებით ხასიათდება საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურა და სისტემა? მოკლედ დაახასიათეთ.*
- *რაში მდგომარეობს საგამოძიებო დეპარტამენტის ფუნქციები?*
- *განმარტეთ ცნებები: რეგიონული საბაჟო, საბაჟო საგუშაგო და საბაჟო გამშვები პუნქტი.*

თავი 4. საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობა საბაჟო სფეროში

საქართველოს საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობების გაფართოება

1. 50-60-იან წლებში, როდესაც დაიმსხვრა კოლონიური სისტემა, ბევრი ახალი სახელმწიფო გაჩნდა. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ადრე მსოფლიოს საქმეების გარჩევისას არაფერს ეკითხებოდნენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდა.

1989 წლის რადიკალური ცვლილებების შემდეგ სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანებას კიდევ ბევრი ხალხი შეემატა. მათ

თავიანთი ადგილი დაიკავეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დაფუძნებისას – 1945 წელს – გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 50 წევრი სახელმწიფო იყო, 1987 წელს – 159, დღეს კი მათი რიცხვი 191-ს შეადგენს.

1992 წლის 31 ივლისი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში იქნება ასოებით ჩაიწერა – საქართველო გახდა მსოფლიოს ერთა ოჯახის წევრი. იგი 179-ე ქვეყანაა, რომელიც გაეროს წევრად მიიღეს. ეს კი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, მისი საერთაშორისო ცნობის გვირგვინია.

საქართველო გახდა აგრეთვე გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ევროპის საბჭოს და სხვა ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. *დღეს საქართველო 100-მდე საერთაშორისო სამთავრობათშორისი ორგანიზაციის წევრია.*

ევროპისა და მსოფლიოს სტრუქტურებში გაწევრიანება დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად იქცა. გაეროსა და ეუთოში საქართველო ჯერ კიდევ 1992 წელს შეეიდა წევრად. გაცილებით რთული იყო მწყობრი იდეოლოგიის მქონე ისეთ სტრუქტურებში გაწევრიანება, როგორიცაა ევროპის საბჭო და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. ეს საქართველოსაგან სერიოზულ შინაგან ტრანსფორმაციას მოითხოვდა. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე ქვეყანაში განხორციელებულმა მრავალმხრივმა რეფორმამ ეს რეალობად აქცია: საქართველო კავკასიის პირველი სახელმწიფო იყო, რომელიც ევროპის საბჭოს და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო საერთაშორისო თანამშრომლობის ასპარეზის გაფართოება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საბაჟო, კულტურული თუ სახელმწიფო უშიშროების ამოცანათა გადაწყვეტისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება და რესურსების მაქსიმალური მობილიზება.

მსოფლიო ქვეყნების თანამეგობრობაში საქართველო დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოა. იგი დადას-

ტურებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო, სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

დღეისათვის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ორმოცდაათამდე სახელმწიფოსთან, ყველა მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანასთან. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო სამთავრობათშორის ორგანიზაციებთან, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, გაეროს სხვა სპეციალიზებული დაწესებულებანი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, ნატო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სხვ.

საქართველოს ინტენსიური ხასიათის სტრატეგიული, ეკონომიკური, საბაჟო და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა აქვს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან, ამერიკასთან, ევროპის, შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, რუსეთთან, უკრაინასთან, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

1993 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თითქმის ყველა სტრუქტურაში.

საქართველოს პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, იზრდება უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება, შექმნილია ათობით ერთობლივი საწარმო და მათი რიცხვი სწრაფად იზრდება.

საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმოიშვა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრირების აუცილებლობა. საქართველო აღიარა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ. ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან. 30 სახელმწიფოსთან შექმნილია სამართლებრივი ბაზა ორმხრივი სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარებისათვის სხვადასხვა დარგებში.

საქართველოსათვის დიდი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ამ ბოლო წლებში დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებებს ისეთ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და სხვა. ამ ხელშეკრულებებში ცენტრალური ადგილი ეთმობა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობებისა და მომსახურების საკითხებს.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს 40-მდე სახელმწიფოს საელჩო და 50-მდე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა. 30-მდე ქვეყანაშია საქართველოს საელჩო ან წარმომადგენლობა. ეს საქართველოს ინტერესების უკეთ დაცვის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. შემუშავებულია გაეროში საქართველოს მიზნები და მათი მიღწევის გზები, სხვადასხვა ქვეყნების მისიებთან მუშაობის პროგრამა.

საქართველო ეცხოვრების ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, კულტურა, მეცნიერება, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკოლოგია, ტრანსპორტი, სპორტი, ტურიზმი, ვაჭრობა, საბაჟო საქმე, ჰუმანიტარული სამართალი და სხვა მრავალი. საქართველო გავიდა დიდ საერთაშორისო ასპარეზზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. იგი განპირობებული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით, თავსმოხვეული სეპარატისტული სამხედრო კონფლიქტებით, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სიძნელეებით.

საქართველოს ეკონომიკისათვის გამანადგურებელი დარტყმა გამოდგა აფხაზეთის ომი (1992-1993 წწ.), რომლის შედეგად პირდაპირმა ეკონომიკურმა ზარალმა 6-7 მილიარდი დოლარი შეადგინა[1].

ერთადერთი ალტერნატივა იმ წლებში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელება, საგარეო დახმარების მოზიდვა და ახალი, პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დაფუძნება იყო.

დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე საქართველოს ეხმარებოდნენ მეგობარი ქვეყნები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ევროკავშირის სხვა სახელმწიფოები, თურქეთი, იაპონია, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა.

2. *საერთაშორისო საგალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დახმარებით საქართველოში 1994 წელს შემუშავდა ანტიკრიზისული პროგრამა და დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმა, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ქვეყანაში საბაზრო მექანიზმების ამუშავება და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაცია.* საერთაშორისო ბაზარში ინტეგრაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო ვაჭრობის დეცენტრალიზაციისა და ლიბერალიზაციის დონეზე. ამის გათვალისწინებით ქვეყანაში გაუქმდა კვოტირება, საექსპორტო და საიმპორტო კონტრაქტების რეგისტრაცია, ძირითადად მოიხსნა არასატარიფო ბარიერები და შეზღუდვები, მინიმუმამდე შემცირდა ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქონლის ნომენკლატურა, გაუქმდა ექსპორტზე საბაჟო გადასახადი.

რეფორმამ ეკონომიკის ყველა სფერო და მიმართულება მოიცვა: .საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკისა და საბანკო სისტემის გარდაქმნა, პრივატიზაციის დაჩქარება, ფასების გათავისუფლება, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება და სხვა. საქართველოს პარლამენტმა 1995-2002 წლებში მიიღო 800-მდე კანონი. განხორციელდა სასამართლო რეფორმა.

ქვეყანაში 1994 წლიდან დაწყებულმა რეფორმებმა დაარწმუნეს მსოფლიო საქართველოს გეზის სისწორეში. ამან განაპირო-

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 16 ოქტომბერი.

ბა სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანების მრავალმხრივი მხარდაჭერა. ეს შეეხებათ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მეგობარ ქვეყნებს (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, იტალია, შვეიცარია, საბერძნეთი) და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამათგან აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს სააგენტოთა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერა. *დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში საერთაშორისო ორგანიზაციები, ძირითადად, ჰუმანიტარულ დახმარებას გვიწევდნენ. ამ დახმარებამ საქართველოს მოსახლეობა პრაქტიკულად შიმშილს გადაარჩინა და უზრუნველყო პირველი მოთხოვნილების პროდუქტებით. შემდგომ ეტაპზე, ქვეყანაში განხორციელებული სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმების შედეგად,* მოხდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების ტრანსფორმაცია ანუ მთლიანი დახმარების პაკეტში გაიზარდა მაკროეკონომიკური სტაბილურობისკენ მიმართული და საინვესტიციო პროექტების წილი.

მსოფლიო ბანკმა საქართველოსათვის დიდი და მრავალმხრივი „საკრედიტო პორტფელი" გამოყო. ბანკის ვალდებულებების მთლიანი მოცულობა 640 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ამჟამად უკე გამოყოფილია და მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის 400 მლნ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის 18 პროექტის განხორციელება[1].

მარტო თბილისში განხორციელდა 60-მდე პროექტი. განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში დასაქმდა 50-მდე სამშენებლო კომპანია და 5 ათასამდე ადამიანი.

მსოფლიო ბანკმა 20 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტი. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს ყველა რაიონში. დასრულდა 370 მიკროპროექტი.

.2001 წელს მსოფლიო ბანკმა 38 მილიონი აშშ დოლარი გამოყო საავტომობილო გზების პროექტების დასაფინანსებლად, რომლის ფარგლებში განხორციელდა ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის ძირითადი მაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთის, თურქე-

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 16 ოქტომბერი.

თის საზღვართან მისასვლელი გზის (ბორჯომი-ახალციხის გზის განშტოება) რეაბილიტაცია.

მსოფლიო ბანკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტი, რომელიც 1998 წლიდან ხორციელდება (4,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით) მიზნად ისახავს საქართველოს უნიკალური კულტურის მხარდაჭერას. იგი უპრეცედენტოა. პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა იკორთის მთავარანგელოზის ტაძარს, ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესიას, ნიქოზის ღვთაების ტაძარს, ნოქალაქევის ეგრისის მეფეთა სასახლეს, ნეკრესის მცირე ბაზილიკას, მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას, აწყურის ტაძარს, ურბნისის წმინდა სტეფანეს ტაძარს, გარეჯის წმინდა დავითის ლავრას და სხვა მრავალ უნიკალურ არქიტექტურულ ძეგლს თუ ნაგებობას. შესრულებული სამუშაოების შედეგად განადგურებას გადაურჩა მრავალი ფრესკა. პროექტს ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, რომელმაც 1600-ზე მეტი კაცი დაასაქმა.

მსოფლიო ბანკი ეხმარება საქართველოს კერძო სექტორის განვითარებაში საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია 100-მდე კერძო და პრივატიზებული საწარმოსათვის დახმარების აღმოჩენა.

ინვესტიციათა შემოსვლას ხელი შეუწყო პრივატიზაციის პროცესმა. საქართველოში 90-იანი წლების დამდეგს ფაქტიურად არ არსებობდა კერძო მეწარმეობა, 2000 წლისათვის კი ბიუჯეტში შენატანების 4,5% კერძო სექტორზე მოდიოდა[1].

1998 წელს ძირითად კაპიტალში ინვესტიციებმა მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია. მან შეადგინა 370 მლნ დოლარი. ეს მაჩვენებელი, ძირითადად, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაში გაწეულმა ინვესტიციებმა განაპირობა. მომდევნო წლებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, უცხოურ ინვესტიციათა ხვედრითი წილი შემცირდა ადგილობრივ ინვესტიციებთან შედარებით, თუმცა 200-2001 წლებში ქვეყნის ეკონომიკაში ყოველწლიურმა ინვესტიციამ საშუალოდ 175 მილიონი დოლარი შეადგინა[2].

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 6 ოქტომბერი.

2 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 16 ოქტომბერი.

საქართველოში 1995-1999 წლებში შემოვიდა მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციები, რომლებიც ნაკთობსადენებში, ენერგეტიკაში, ტრანსპორტში, მრეწველობასა და სხვა სფეროებში დაბანდდა. ამერიკის შეერთებული შტატების ფირმებმა, სასღვარგარეთის სახელმწიფოთა ფირმებს შორის, ყველაზე მეტი ინვესტიციები საქართველოში დააბანდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს ამერიკა-საქართველოს ბიზნესის განვითარების საბჭო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით საქართველოში 1994-2001 წლებში განხორციელებული ოთხი პროგრამის საერთო ღირებულებამ 300 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა[1]. სწორედ მის საფუძველზე დაიწყო უდიდესი სოციალური მნიშვნელობის პროგრამების განხორციელება. 2001 წლის იანვარში საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა სიღატაკის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების სამწლიანი პროგრამა. ეს არის რეალური პროგრამა, შემუშავებული საერთაშორისო ორგანიზაციების, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. იგი ითვალისწინებს 141 მილიონი დოლარის გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტის გამოყოფას. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას და ქვეყანაში სიღატაკის დაძლევას არა ჰუმანური დახმარებით, არამედ უმთავრესად ინტენსიური მეთოდებით, მცირე ბიზნესის მხარდაჭერითა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებით.

საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია და მისი მონაწილეობა შრომის გლობალურ დანაწილებაში განსაზღვრა „დიდი აბრეშუმის“ გზის აღდგენისა და „ევრაზიის დერეფნის“ კონცეფციამ, რომელიც წარმატებით ხორციელდება. იგი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ რეგიონს მოუტანს მრავალ სიკეთეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული მსოფლიოს მხარდაჭერა საქართველომ მოიპოვა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობით ან თუნდაც პლანეტის ენერგეტიკული მარაგის ცენტრებთან სიახლოვით, არამედ დემოკრატიული არჩევანით, ყოველმხრივი რეფორმებითა და თავისუფალი, სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნებით.

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წლის 13 მაისი.

ამჟამად მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების ყველა ინსტიტუტი, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, თავისუფალი მედია, პოლიტიკური პარტიები და სხვა. საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია და მოქმედებს 147 პოლიტიკური გაერთიანება და 778 ფონდი[1].

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლიდანვე ევროპის კავშირმა უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს. 1992-2002 წლებში ევროგაერთიანებამ ქვეყანას გამოუყო 400 მილიონი ევრო. აქედან მხოლოდ გრანტების სახით საქართველომ 300 მილიონი ევრო მიიღო.

3. *ბოლო წლებში საქონლის იმპორტისა და ექსპორტის სიდიდის ზრდის პარალელურად უფრო მრავალფეროვანი გახდა სასაქონლო სტრუქტურა, გაფართოვდა საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფია. თუ 1994 წელს სავაჭრო ოპერაციები მიმდინარეობდა 55 ქვეყანასთან, 2002 წლის დამდეგს მისმა რაოდენობამ მიაღწია 115-ს.*

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან უახლოესი მეზობელი ქვეყნები — თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა. ამასთან, სულ უფრო იზრდება იმპორტი დასავლეთ ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან. 2001 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის (თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, თურქმენეთი, აშშ, იტალია, შვეიცარია) წილი მთელ სავაჭრო ბრუნვაში 2000 წელთან შედარებით 2,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 75,3 პროცენტს მიაღწია[2].

2002 წლის დამდეგს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1004,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 320,0 მლნ დოლარი (2000 წელთან შედარებით 97,0%), ხოლო იმპორტი — 685,1 მლნ დოლარი (2000 წლის 105,1%). სავაჭრო ბალანსი უარყოფითია. სავაჭრო დეფიციტი 361,1 მლნ აშშ დოლარს უტოლდება[3].

ბოლო წლებში ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეჭირა ფეროშენადნობებს, სასუქებს, ლითონების ჯართს, აგრეთ-

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 16 ოქტომბერი.
2 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 27 მარტი.
3 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 27 მარტი.

ვე თხილს. აღინიშნა ყურძნის ნატურალური ღვინის, მინერალური წყლების და სამკურნალო საშუალებების წილის ზრდა. იმპორტის საერთო მოცულობაში დიდია ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის წილი.

4. *მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგნოზირების ანალიზი ცხადყოფს, რომ XXI საუკუნეში მთავარი საფინანსო, საკაჭრო და საინფორმაციო ნაკადები აშშ-ევროპა-აზიის სამკუთხედში მოიყრის თავს.* ამ მიმართულებით ევროპის კავშირის პროგრამა „ტრასეკას“ მონაწილე ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუმინეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თურქეთი, უზბეკეთი, უკრაინა) უმთავრესი ამოცანაა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების სრული რეალიზება საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ქსელების განვითარების მეშვეობით, რომელიც ოფიციალურად არის აღიარებული წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. დღეისათვის სავაჭრო მიმოქცევა აზიასა და ევროპას შორის 2 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება. მათ შორის სატრანსპორტო ხარჯების წილი 200 მილიარდ დოლარს შეადგენს[1].

ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის განვითარებით საქართველო მოექცა როგორც მეზობელი, ისე ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესთა არეში.

მასშტაბურ კონცეფციათა მატერიალიზების შედეგია „მშვიდობიანი კავკასიის“, „აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ევრაზიის დერეფნის“, „დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის“, „ტრასეკას“, „ინოგეოტის“ და „ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე ერთიანი, ინტეგრირებული ეკონომიკური სივრცის“ შემადგენელი პროექტები.

მნიშვნელოვანია საქართველოს ბოლოდროინდელი ინიციატივა „შავი ზღვის, სამხრეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის ენერგეტიკული სტაბილურობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ“. იგი მიზნად ისახავს რეგიონის ენერგეტიკული უშიშროების ერთიანი სისტემის შექმნას და შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვას, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და დონორ ქვეყნებთან ერთად, მათ შორის,

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 21 აგვისტო.

გარემოს დაცვითი პროექტების ხელშეწყობისათვის. ამ ინიციატივამ ევროკავშირის მხარდაჭერა ჰპოვა.

საქართველოში მსოფლიო ბანკისა და იუნესკოს დახმარებით ხორციელდება პროექტები განათლების, კულტურული მემკვიდრეობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

2002 წლის 18 სექტემბერს დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. მას წინ უძღოდა უდიდესი მრავალწლიანი მუშაობა. პირველი კონტრაქტი ჯერ კიდევ 1994 წლის სექტემბერში გაფორმდა. შემდეგ იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტების შეთანხმება. მილსადენის აგებას დასჭირდება 30 თვე. სამუშაოთა დასრულება 2004 წლის დამლევისათვის ივარაუდება. სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ მილსადენი საათში დაახლოებით 1 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობს გაატარებს. მხოლოდ ტრანზიტის საფასურად საქართველო ყოველწლიურად 63 მილიონ დოლარს მიიღებს[1]. მნიშვნელოვანია ინვესტიციათა მოზიდვა, ათიათასობით სამუშაო ადგილის შექმნა, საწარმოთა ამოქმედება, მოსახლეობისათვის კომპენსაციის სახით მილიონობით დოლარის გადახდა, ინფრასტრუქტურის ყოველმხრივი განვითარება, ეკონომიკური უსაფრთხოების სრული დაცვა.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი დიდი ნავთობსადენის მშენებლობისას დაახლოებით 10%-ით გაიზრდება. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მილსადენის ყოველმხრივი უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის კომპანია „ნოტროპ გრუმანი", რომელიც სამხედრო ტექნიკისა და მომსახურების უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში. იგი საქართველოში დაამონტაჟებს 36-არხიან თანამგზავრულ უსაფრთხოების სისტემას. ამასთან, დიდი ნავთობსადენისა და დიდი გაზსადენის ამოქმედების შემდეგ საბოლოოდ გადაწყდება ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემა.

მსოფლიოში საქართველოს როლისა და მნიშვნელობის აღნიშვნისას გასათვალისწინებელია ის წინააღმდეგობები, რომლებსაც ქვეყანა აწყდება განვითარების გზაზე. ესაა სეპარატისტული რეჟიმები, მოუგვარებელი კონფლიქტები, უცხო ქვეყნის სამ-

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 24 სექტემბერი.

ხედრო ბაზები და საზღვრებთან შექმნილი საფრთხე (პანკისის ხეობა და სხვა). მათი გადაწყვეტა რეგიონში სტაბილური პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარების უსრულველყოფის წინაპირობაა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელმაც საერთო მოცულობის 11 ინვესტიცია განახორციელა. მისი პირველი ოპერაცია 1994 წელს ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტი იყო. ბანკს საქართველოში დამტკიცებული აქვს პროექტები ინფრასტრუქტურის სექტორში. მათ შორის არის რიონჰესის, ენგურჰესის და გარდაბნის თბოელექტროსადგურის რეაბილიტაციის, შირაქის ადრეული ნავთობის, აეროპორტის, აეროვაგზლის რეკონსტრუქციისა და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის პროექტები.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციის 12-წლიანი პროექტი. პროექტის სავარაუდო ღირებულება 128 მილიონი დოლარია, საიდანაც 27 მილიონი საქართველოს ბიუჯეტმა და ფერმერებმა უნდა გაიღონ, 98 მილიონ დოლარს – განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, 3 მილიონს – მსოფლიოს გარემოს დაცვითი ფონდი გამოყოფენ[1]. ეს პროექტი გარდატეხას შეიტანს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

დემოკრატიული ინსტიტუტების და საბაზრო ურთიერთობების მშენებლობის საქმეში ფასდაუდებელია ის დახმარება, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები და მეგობარი ქვეყნები უწევენ საქართველოს. მაგალითისათვის საკმარისია აღინიშნოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის, აშშ-ის, გერმანიის, ნიდერლანდების, სხვა ქვეყნების დახმარება სასამართლო რეფორმის, სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფის, საბანკო დაწესებულებათა რეორგანიზაციის, ფასიანი ქაღალდებისა და კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბების, კორუფციასთან ბრძოლის საქმეში.

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 14 ივლისი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტმა (DAC) 1993 წლის 14 დეკემბერს საქართველო განვითარებად ქვეყნად მიიღო.

სპეციფიკური, არაორდინარული მდგომარეობის გამო, რომელშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოები აღმოჩნდნენ (დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად მძლავრი ეკონომიკური უკუსვლა, ზოგან ნგრევა, ქაოსი, შეიარაღებული პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, სოციალური პრობლემების უკიდურესი გამწვავება და სხვა) და მათ წინაშე სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულესი პერსპექტივა დაისახა, გაერომ აღნიშნული ქვეყნები, მათ შორის საქართველო, გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოდ მიიჩნია, რაც დააფიქსირა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საქმეების დეპარტამენტმა ნიუ-იორკში გამოცემულ „მსოფლიო ეკონომიკურ და სოციალურ მიმოხილვაში“.

ამრიგად, გაეროს კლასიფიკაციით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველო მიეკუთვნება ერთდროულად როგორც განვითარებად, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს.

ჰუმანიტარული დახმარება, რომელმაც საქართველოს ყველაზე მძიმე წლებში შიმშილობა ააცილა, ძირითადად განხორციელდა საერთაშორისო სააგენტოების საშუალებით და იგი მიეწოდებოდა მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ჯგუფებს, ლტოლვილებს. ამ ღონისძიებაში განსაკუთრებით დიდია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროგაერთიანებების, გაეროს სააგენტოების და სხვათა წვლილი. სავალუტო დახმარების სახით მიღებული ფულადი სახსრები გამიზნული იყო ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. პრაქტიკულად, ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარება საქართველოს ეროვნული ბანკისადმი საგადამხდელო ბალანსის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საერთაშორისო მომსახურების

სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის სრულყოფა, საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპირატესობების ეფექტიანი გამოყენება. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ყველა სახის ტრანსპორტისა და მათი ინფრასტრუქტურის განვითარება, ისეთი საერთაშორისო პროექტების განხორციელება, როგორიცაა ევროპა-აზიის დერეფნის შექმნა (TRASEKA), „დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინება, კასპიის ზღვისა და შუა აზიის რესპუბლიკების ნავთობისა და გაზის საქართველოს გავლით ტრანსპორტირების საკითხის გადაწყვეტა.

1999 წლის 30 ივნისს აშშ-ის სენატმა მიიღო „აბრეშუმის გზის" სტრატეგიის 1999 წლის აქტი[1]. მასში აღნიშნულია, რომ უძველესი აბრეშუმის გზა, რომელიც ერთ დროს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სასიცოცხლო გზას წარმოადგენდა, ახლა კვეთს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის ტერიტორიებს. აბრეშუმის გზის ქვეყნებს შორის ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ხალხთა შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ისტორიული ურთიერთობების აღდგენას. მართლაც, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირები მათი სუვერენიტეტის, დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების გარანტიაა. „მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კავშირების განვითარება სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის განამტკიცებს სტაბილურობას ამ რეგიონში, რაც წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბულობის ხელსაყრელ საფუძველს სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან", — ნათქვამია აქტში და, ამასთან, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორის ღია საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარება უზრუნველყოფს დადებით სტიმულს საერთაშორისო კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის, ვაჭრობის განვითარებისათვის და გააფართოებს კომერციული ურთიერთდამოკიდებულების სხვა ფორმებს დანარჩენ მსოფლიოსთან.

კანონში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო დახმარება

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 1-2 აგვისტო.

მიმართული უნდა იყოს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად და დემოკრატიის, ღია საბაზრო ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისათვის".

საქართველო აქტიურად მონაწილეობს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის", აგრეთვე ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს მუშაობაში. ნატო განიხილავს საქართველოს, როგორც ქვეყანას, რომელიც გადავიდა დემოკრატიულ სისტემაზე და იმყოფება საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში; ყოველივე ამას ძალზე დადებითად აფასებს.

აშშ მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. აშშ დახმარების მეშვეობით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, თავად აკონტროლოს თავისი საზღვრები. აშშ-მ გადასცა საქართველოს ვერტმფრენები, რომლებიც ხელს უწყობენ საზღვრის დამოუკიდებელ დაცვასა და პატრულირებას. აშშ-მ საქართველოს გადასცა აგრეთვე სანაპირო დაცვის კატარღა[1], რომელიც შესაძლებელს ხდის საქართველოს საზღვაო საზღვრის გარკვეული მონაკვეთის დაცვას.

ევროპის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადრე თუ გვიან ეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრა პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრასაც გამოიწვევდა. ამის მაგალითია საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და უზბეკეთის გაერთიანება – სუუამი. იგი სულ უფრო ხშირად გამოდის ერთიანი პოზიციით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ ფორუმებზე. დაიწყო სამხედრო თანამშრომლობაც. საქართველოში სატრანზიტო კომუნიკაციების დაცვის მიზნით, ერთობლივ წვრთნებს გადიან საქართველოს, უკრაინის და აზერბაიჯანის ქვედანაყოფები.

5. *საქართველოს საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ მიმართულებად რჩება თანამშრომლობის გაღრმავება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, ევროსაბჭოსთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცი-*

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 3 აგვისტო.

ასთან და სხვა ევროპულ თუ გლობალურ გაერთიანებებთან, აგრეთვე, თანდათანობით დაახლოება ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან, კერძოდ, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან და, რა თქმა უნდა, ევროკავშირთან. ჩვენი ერთ-ერთი საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაერთიანებაა.

საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას საქართველო ორი პრიორიტეტით ხელმძღვანელობს. ეს არის პარტნიორული, მეგობრული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან (სომხეთთან, აზერბაიჯანთან), აგრეთვე უკრაინასთან, ბალკანეთის სახელმწიფოებთან, ცენტრალურ აზიასთან და თანასწორუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო პრინციპებზე აგებული თანამშრომლობა საქართველოს ორ უდიდეს სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთის ფედერაციასთან.

1995 წლის 25 სექტემბრიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ბრუნვაში მოექცა ქართული ეროვნული ვალუტა. ლარისადმი მოსახლეობა იმთავითვე ნდობით განეწყო. ამის შედეგად ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 196 მილიონი დოლარი შეადგინა. საქართველომ შეიძინა სრულფასოვანი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი. ეს მას დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის წარმართვის საშუალებას აძლევდა.

საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა თავისი ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით, მათი კრედიტებითა და გრანტებით რეალურად ხორციელდება საქართველოსა და TRASEKA-ს სხვა მონაწილე ქვეყნების სატრანსპორტო სისტემის რეაბილიტაცია. ევროპის კავშირის დახმარებით აშენდა საბორნე გადასასვლელი ბათუმში და სარკინიგზო საბორნე გადასასვლელი ფოთში, რომელთა მეშვეობით საქართველო უკავშირდება ვარნის, ოდესის, ნოვოროსიისკის, ილიჩოვსკის, სოჭის, კონსტანცისა და ანტვერპენის პორტებს.

საქართველოს როლი XXI საუკუნის მსოფლიოში იქნება ერთ-ერთი გამორჩეული, თუ იგი თავის შესაძლებლობებს ეფექტიანად გამოიყენებს. ამისათვის კი აუცილებელია საქართველომ განახორციელოს აქტიური წინგამსწრები სტრატეგია, რომლის

არსია – სახელმწიფოს როლის ამაღლება, სოციალური პასუხისმგებლობისა და ფინანსური დისციპლინის გაზრდა, მდგრად პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა და ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება[1].

საქართველო-აზღვარგარეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს საფუძველად უდევს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. იგი ორმხრივი და მრავალმხრივია. საერთაშორისო ხელშეკრულება – საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებაა, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება იდება:

1. საქართველოს სახელით – სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება;

2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით – მთავრობათშორისი ხელშეკრულება;

3. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით – უწყებათშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება.

საქართველოს სახელით იდება საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით ენიჭება სახელმწიფოთაშორისი ხასიათი, აგრეთვე ხელშეკრულება, რომელიც ეხება: 1. ტერიტორიულ და ზავის საკითხებს; 2. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს; 3. მოქალაქეობას; 4. საქართველოს მონაწილეობას სახელმწიფოთაშორის კავშირებსა და სხვა საერთაშორისო გაერთიანებებში (ორგანიზაციებში); 5. სამხედრო საკითხებს; 6. საქართველოს ტერიტორიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას; 7. სახელმწიფოს მიერ სესხის აღებას და გაცემას, სახელმწიფო გარანტიის მიცემას, საბაჟო საქმეს.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით იდება უწყებათშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება საკითხებზე, რომლებიც მათ კომ-

---

1 თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 518.

პეტენციას განეკუთვნება. აქ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საბაჟო ურთიერთობა და მისი მართვა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადასტურდა და ძალაში შევიდა 50 საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 120-მდე საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია.

აღმასრულებელი ხელისუფლება და საქართველოს პარლამენტი იღებენ ზომებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები, რომელთა კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხები, უზრუნველყოფენ საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თვალყურს ადევნებენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს უფლებების დაცვასა და ხელშეკრულების სხვა მხარეების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ყოველივე აღნიშნულიდან? მთავარი დასკვნა ისაა, რომ საქართველოში მკვიდრდება დემოკრატია, პოლიტიკური პლურალიზმი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში ევროპასთან, ინტეგრირების პროცესი; ეს მოვლენები შეუქცევად და სტაბილურ სახეს იღებს.

6. *საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულებები მეზობელ (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) და სხვა სახელმწიფოებთან მოიცავს საბაჟო სფეროსაც.* ეს უმთავრესად უწყებათშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებებია.

1. რუსეთ-საქართველოს შორის საბაჟო სფეროში დადებული შეთანხმებებია:

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე (შესრულებულია თბილისში 1993 წლის 3 თებერვალს. რატიფიცირებულია 2000 წლის 11 თებერვალს საქართველოს პარლამენტის №146 დადგენილებით).

შეთანხმების თანახმად (მუხლი 2), ხელშემკვრელი მხარეები პირდაპირ ან ირიბად არ დაბეგრავენ შეთანხმებით მოცემულ

საქონელს ქვეყნის შიდა გადასახადებით ან ანაკრებებით, რომლებიც აღემატება იმ შესაბამის გადასახადებს ან ანაკრებებს, რითაც იბეგრება შიდა წარმოების ანალოგიური საქონელი ან მესამე ქვეყანაში წარმოებული საქონელი; შეთანხმებით მოცული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მიმართ არ გამოიყენებენ რაიმე სპეციალურ შეზღუდვებს ან მოთხოვნებს, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში არ იქნება გამოყენებული შიდა წარმოების ანალოგიური საქონლის, ან მესამე ქვეყნებში წარმოებული ანალოგიური საქონლის მიმართ; არ გამოიყენებენ მეორე ხელშემკვრელ ქვეყანაში წარმოშობილი საქონლის დასაწყობების, გადაზიდვის, შენახვის, აგრეთვე გადახდისა და გადარიცხვის მიმართ სხვაგვარ წესებს, ვიდრე ისეთს, რომლებიც ანალოგიურ შემთხვევებში გამოიყენება საკუთარი საქონლის, ან მესამე ქვეყნებში წარმოებული საქონლის მიმართ[1].

ხელშეკრულება 22 მუხლისაგან შედგება.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ (შესრულებულია 1993 წლის 8 ოქტომბერს, ძალაშია 1994 წლის 31 მაისიდან).

შეთანხმებამ გაითვალისწინა ამ ქვეყნების მთავრობათა მისწრაფებები — სრულყონ თანამშრომლობა საბაჟო საზღვარზე გადაზიდვის სფეროში და აამაღლონ გამშვები პუნქტების გამტარიანობა, შექმნან პირობები პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისათვის, რის საფუძველზე მხარეებმა გადაწყვიტეს გაეხსნათ შემდეგი გამშვები პუნქტები:

სარკინიგზო: განთიადი (საქართველო) — ადლერი (რუსეთი).

საავტომობილო: განთიადი (საქართველო) — ადლერი (რუსეთი); როკი (საქართველო) — ნიჟნი ზარამაგი (რუსეთი); მამისონი (საქართველო) — ნიჟნი ზარამაგი (რუსეთი); ყაზბეგი (საქართველო) — ვერხნი ლარსი (რუსეთი).

საჰაერო, საზღვაო მიმოსვლა, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლა საქართველოსა და რუსეთს შორის ხორ-

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, თბ., 2002, გვ. 324-328.

ციელდება გახსნილი საერთაშორისო გამშვები პუნქტების სტატუსის მქონე აეროპორტებისა და საზღვაო პორტების, საერთაშორისო საფოსტო გაცვლისა და პუნქტების საშუალებით, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლის წევრებიც მხარეები არიან, აგრეთვე მხარეთა შიდა კანონმდებლობის საფუძველზე.

პირების მიერ საბაჟო საზღვრის საავტომობილო გამშვებ პუნქტებში გადაკვეთა ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით ან ქვეითად.

2. საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმებები:

- *საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ;*
- *საბაჟო დოკუმენტებისა და საბაჟო უზრუნველყოფის ურთიერთობის შესახებ;*
- *საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ.*

საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 1996 წლის შეთანხმებით გაიხსნა შემდეგი გამშვები პუნქტები:

საავტომობილო: სარფი (საქართველო) – სარფი (თურქეთი); ახალციხე (საქართველო) – პოსოფი-თურქგობუ (თურქეთი).

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საპაერო და საზღვაო მიმოსვლა და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლა განხორციელდება იმ აეროპორტებისა და საზღვაო პორტების საშუალებით, რომლებიც მხარეების საერთაშორისო შეთანხმებებისა და შიდა კანონმდებლობის საფუძველზე გახსნილია საერთაშორისო გამშვები პუნქტების სახით.

შეთანხმების თანახმად (მუხლი 4), საბაჟო საზღვრებზე გამშვები პუნქტების გახსნასა და დახურვას მხარეები ახორციელებენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტსა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სამდივნოსთან არსებულ საბაჟო უწყებას შორის ძალაძ ანკარაში 1993 წლის 13 იანვარს დაიდო შეთანხმება საბაჟო დოკუმენტებისა და საბაჟო უზრუნველყოფის ურთიერთცნობის შესახებ. მისი მიზანია საზღვარზე ტვირთების გადაზიდვისას საბაჟო ფორმალობების გაიოლება.

შეთანხმების თანახმად (მუხლი 1), მხარეები უზრუნველყოფენ, რომ სატრანსპორტო საშუალებები, საქონელი, ბარგი, საფოსტო გზავნილებანი, ვალუტა, სხვა საგადასახდელო საშუალებანი და სავალუტო ფასეულობები საზღვრის გადაკვეთისას აღიჭურვოს შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებიც უპასუხებენ ამ მხარეების საბაჟო და სავალუტო წესებს და რომლებიც სატვირთო და სამგზავრო მიმოსვლის და საფოსტო გაცვლის დროს გამოიყენება.

ხაზი გაესვა იმას, რომ მხარეები ცნობენ ერთმანეთის საბაჟო დოკუმენტებს, საბაჟო ლუქებს, ბეჭდებისა და შტამპების ტვიფრს და სატრანსპორტო საშუალებებზე, ტვირთსა და საფოსტო გზავნილებზე აღნიშნულ ოფიციალურ ნიშნებს. შეთანხმების თანახმად, მხარეების საბაჟოებს შორის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება განხორციელდება უნიფიცირებული ნიმუშის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის საშუალებით.

მნიშვნელოვანი შეთანხმებაა საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ (შესრულებულია ქ. ანკარაში 1994 წლის 13 იანვარს). მხარეებმა მხედველობაში მიიღეს, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა ზიანს აყენებს ორივე ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და ფინანსურ ინტერესებს, რომ ბრძოლა საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნება თანამშრომლობის საფუძველზე. *შეთანხმდნენ შემდეგზე:*

- განავითარებენ და გააძლიერებენ ურთიერთთანამშრომლობას საბაჟო გამოცდილების გაზიარების გზით, უზრუნველყოფენ ერთმანეთისათვის ადმინისტრაციულ დახმარებას, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასა და პირადი შემადგენლობის გაცვლას;
- გაცვლიან ინფორმაციას: საბაჟო სამსახურის როლზე ეროვნულ ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში; საბაჟო კონტროლის მეთოდების შესახებ საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ბარგის, საფოსტო გზავნილების და სხვა ნივთების ამ ქვეყნის ტერიტორიაზე შეტანა-გამოტანის დროს; ჰარმონიზებული სისტემისა და შეფასების მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ; კონტრაბანდის ძირითად ფორმებზე, კონტრაბანდული საქონლის

დამალვის მეთოდებზე, კონტრაბანდის აცილების მეთოდებსა და შედეგებზე; საბაჟო კანონებსა და წესებზე; საბაჟო მართვის მოდერნიზაციის შესახებ; საბაჟო საქმეში კომპიუტერებისა და სხვა მოწინავე ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ; ახალი საბაჟოების შექმნის თაობაზე საბაჟო პერსონალის მომზადების შესახებ; საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და საერთაშორისო კონვენციების შესრულების შესახებ; იმ სხვა საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს დააინტერესებს;

მხარეები შეთანხმების მოქმედების განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით გაცვლიან საბაჟო საქმის სპეციალისტებს.

3. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული შეთანხმებები:

- *შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისას და იმპორტისას ორიგი გადასახადების ამოღების პრინციპების შესახებ* (შესრულებულია ქ. თბილისში 1997 წლის 27 დეკემბერს);
- *შეთანხმება მთავრობათა შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ* (შესრულებულია თბილისში 1996 წლის 8 მარტს);
- *შეთანხმება მთავრობათა შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ* (შესრულებულია ბაქოში 1995 წლის 7 მაისს).

ამ შეთანხმებათა თანახმად, მხარეებმა გაითვალისწინეს: ჯერ ერთი, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები ზიანს აყენებენ ორივე ქვეყნის ეკონომიკურ, საგადასახადო და საზოგადოებრივ ინტერესებს; მეორე, ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებების არაკანონიერი ბრუნვა საშიშროებას უქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას; მესამე, საბაჟო გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების სწორი გამოყენების აუცილებლობა საქონლის შემოტანის, გატანის და ტრანზიტის დროს, აგრეთვე, დებულებების ზუსტი შესრულება, რომლებიც ეხება აკრძალვებს, შეზღუდვებსა და კონტროლს; მეოთხე, მისწრაფება – განავითარონ თანამშრომლობა საბაჟო სფეროში (საბაჟო კანონებისა და წესების დაცვა). მხარეები შეთანხმდნენ, აღმოუჩი-

ნონ ერომანეთის დახმარება: საბაჟო კანონმდებლობის ზუსტი დაცვის მიზნით; საბაჟო წესების დარღვევის თავიდან აცილების, გამოკვლევისა და აღკვეთის მიზნით; იმ დოკუმენტების შეტყობინებაში, რომლებსაც საბაჟო კანონმდებლობასთან კავშირი აქვთ.

მხარეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ საბაჟო ადმინისტრაციები თავიანთი ინიციატივით ან მეორე მხარის მოთხოვნის შესაბამისად თვალყურს ადევნებენ:

- იმ პირებზე, რომელთა შესახებ ცნობილია, ან რომლებიც შემჩნეული არიან მეორე მხარის საბაჟო კანონმდებლობის დარღვევაში;
- იმ საქონლისა და საგადასახადო საშუალებების შესახებ, რომლებზეც შეთანხმების მონაწილე ერთი მხარის საბაჟო ადმინისტრაცია აწოდებს მეორე მხარის საბაჟო ადმინისტრაციას ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ისინი ჩაბმულნი არიან არაკანონიერ ბრუნვაში;
- ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლებიც ეწევიან ერთი მხარის ტერიტორიაზე არაკანონიერ გადაზიდვას ან შემჩნეულები არიან ასეთ ქმედებაში;
- იმ ადგილებზე, რომელთა შესახებ ცნობილია, რომ ისინი გამოყენებული არიან საქონლის შესანახად და გამიზნულია არალეგალური ბრუნვისათვის მეორე მხარის ტერიტორიაზე.

ასევე შეთანხმდნენ, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მხარეების საბაჟო ადმინისტრაციები არ დაუშვებენ:

- იმ საქონლის გატანას, რომლებზეც ცნობილია ან რომლებზეც არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ისინი გატანილი არიან მეორე მხარის ტერიტორიაზე სხვა მიზნებისათვის;
- იმ საქონლის გატანას, რომლის შეტანაც აკრძალულია მეორე მხარის სახელმწიფოში.

გარდა აღნიშნულისა, შეთანხმება ეხება ინფორმაციის გაცვლას, მოკვლევას, ექსპერტებსა და მოწმეებს, თანამდებობის პირთა მივლინების პირობებს, მიღებული ინფორმაციის და დოკუმენტების გამოყენებას, დოკუმენტების შეტყობინებას, ურთიერთდახმარებას, ხარჯებს და სხვა.

შეთანხმების თანახმად (მუხლი 12), ერთი მხარის თანამდებობის პირს მეორე მხარის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში უნდა გააჩნდეს თავისი ოფიციალური უფლება-მოვალეობის დამადას-

ტურებელი დოკუმენტები და არ უნდა ატარებდეს ფორმასა და იარაღს[1].

4. საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმებები:

შეთანხმება მთავრობებს შორის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ორიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ (შესრულებულია ქ. ერევანში 1998 წლის 26 სექტემბერს);

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და სომხეთის რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს შორის ორი სახელმწიფოს საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტების შესახებ (შესრულებულია 1993 წლის 19 მაისს ქ. ერევანში).

ამ შეთანხმების მიხედვით შეიქმნა საბაჟო გამშვები პუნქტები:

საავტომობილო: ნინოწმინდა (საქართველო) — ბავრა (სომხეთი); გუგუთი (საქართველო) — გოგარანი (სომხეთი); ახკერპი (საქართველო) — პრივოლნოე (სომხეთი); სადახლო (საქართველო) — ბაგრატაშენი (სომხეთი); ახკერპი (საქართველო) — ჩილიბა (სომხეთი).

სარკინიგზო: სადახლო (საქართველო) — აირუმი (სომხეთი).

შეთანხმების თანახმად, მოძრაობა დაშვებულია მხოლოდ აღნიშნული პუნქტების გავლით. მითითებულ გამშვებ პუნქტებში მუშაობენ დღეღამური რეჟიმით.

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და სომხეთის რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს შორის ნარკოტიკების და ფსიქოტროპული ნივთიერებების არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (შესრულებულია ქ. აშხაბადში 1993 წლის 19 მაისს).

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მხარეები გაცვლიან: ინფორმაციას ნარკოტიკების არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ; ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ; სპეციალისტებს ნარკოტიკების არაკანონიერი ბრუნის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესწავლის მიზნით; სამეცნიერო პუბლიკაციებს და სასწავლო სახელმძღვანელოებს

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, გვ. 381-385.

ნარკოტიკების არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; ინფორმაციას ნარკოტიკების ახალი სახეობებისა და წარმოების ახალი ადგილების, არაკანონიერი გადატანის მარშრუტებისა და მათი დამალვის ხერხების შესახებ.

მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა წარუდგინონ სახელმწიფო სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს მასალები, საექსპერტო დასკვნები და სხვა ცნობები გამოვლენილი ფაქტების თაობაზე[1].

საბაჟო სფეროში შეთანხმებები დადებულია აშშ-სთან, უზბეკეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, თურქმენისტანთან, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან და სხვა.

5. მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე (შესრულებულია თბილისში 1992 წლის 31 ივლისს).

ხელშეკრულების თანახმად, პროექტები, სურსათ-სანოვაგე და სხვა საქონელი, წარმოდგენილი და გამოყენებული შეერთებული შტატების დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით, შეიძლება იქნას იმპორტირებული, ექსპორტირებული ან გამოყენებული საქართველოში დადგენილი საბაჟო ტარიფების, საქონლის იმპორტზე, ექსპორტზე და სხვა გადასახადებისაგან განთავისუფლებით.

შეერთებული შტატების ნებისმიერი სამთავრობო ან კერძო ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია შეერთებული შტატების დახმარების პროექტის შესრულებაზე, შეიძლება განთავისუფლდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით, აშშ-ის მთავრობისაგან ან მთავრობისათვის გამოყოფილი თვითმფრინავები და სატვირთო გემები საქართველოს მიერ განთავისუფლდებიან ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გამოყენების, სანაოსნო, საბაჟო და მსგავსი გადასახადებისაგან.

მიზნობრივი მოთხოვნის თანახმად, აშშ-ის წარმომადგენლებს შეუძლიათ შეამოწმონ ნებისმიერი პროდუქტის, სურსათის და

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული, წიგნი II, გვ. 364-365.

სხვა ქონების გამოყენება ან მომსახურება მათი განლაგებისა და გამოყენების ადგილზე, რომლებიც უსრუნველყოფილია აშშ-ის დახმარების პროგრამით.

საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციები და კონფერენციები

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და მისი ორგანოები ხელმძღვანელობენ საბაჟო კოდექსის დებულებებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია შესაბამის მუხლებში. აი, ეს დებულებებიც: „საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. საქართველო საბაჟო პოლიტიკის სფეროში ესწრაფვის აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას“ (მუხლი 1).

„საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს მხარეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საბაჟო საკითხებზე, კერძოდ, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლის შემუშავების, შეცვლის, დამატების, განმარტებისა და გამოყენების ნაწილში“ (მუხლი 155, პირველი ნაწილი).

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ საბაჟო საკითხებზე. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი მოქმედებს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებულად.

საერთაშორისო ორგანიზაციის ცნება. საერთაშორისო ორგანიზაციის ცნება XX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა. მაგრამ ამგვარი ორგანიზაციების შექმნის ცდები შორეულ წარსულში გვხვდება. ეს, უმთავრესად, მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებია, რომელთა განხორციელება შეუძლებელი იყო განუწყვეტელი ომიანობის პირობებში.

საერთაშორისო ურთიერთობანი ყოველთვის წარმოშობდა სხვადასხვა ინსტიტუტს, რომელთა მიზანი იყო სახელმწიფოებს შორის კავშირის განმტკიცება, ამ თანამშრომლობის შედარებით

სტაბილურ საწყისებზე გადაყვანა. ეს ინსტიტუტები უმთავრესად წარმოდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციებისა და სამხედრო კავშირების სახით, რომელნიც ქმნიდნენ მუდმივ ორგანოებს ყოველდღიური ორგანიზაციული საქმიანობისათვის.

XIX საუკუნის დამლევს, საერთაშორისო ეკონომიკური და ტექნიკური ურთიერთობების გაღრმავების შედეგად, წარმოიშვა სტაბილური სამთავრობათშორისო და არასამთავრობათშორისო ორგანიზაციები. საუკუნის დამდეგს მათი რიცხვი 200-ს აღემატებოდა.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფორმებია საერთაშორისო კონფერენციები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

საერთაშორისო ორგანიზაცია ეროვნული სახელმწიფოების სამთავრობათშორისო და არასამთავრობათშორისო საზოგადოებების, ასოციაციების გაერთიანებაა, რომლის საქმიანობას საფუძველად უდევს დამფუძნებელი აქტი (წესდება, პროგრამა, შეთანხმება). წესდება განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებს, კომპეტენციას, ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემის საქმიანობის წესს და სხვა.

ფრანგი მეცნიერის კ. ა. კოლიარის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა ორ პრინციპულად სხვადასხვა კატეგორიად: 1. სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებად; 2. არასამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებად[1]. ეს დაყოფა ამჟამად დამკვიდრებულია საერთაშორისო სამართალში.

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი ამჟამად 60 ათასზე მეტია, იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: სამთავრობათშორისო და არასამთავრობათშორისო ორგანიზაციებად. მათი მიზნები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

საერთაშორისო სამართალი იურიდიული ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთო-

---

1 К. Кольяр, Международные организации и учреждения, Москва, 1972, с. 472.

ბანი პირველი სახელმწიფოების შექმნისთანავე დამყარდა. ყოველ ისტორიულ ეპოქაში ამ პერიოდისათვის ტიპობრივი საერთაშორისო ნორმები არსებობდა.

მეცნიერთა დიდ ჯგუფს მიაჩნია, რომ სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეიძლება იყოს არანაკლებ სამი სახელმწიფო. მათი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაცია სახელმწიფოთა მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმაა, ხოლო ეს ურთიერთობა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამი სახელმწიფო მაინც დაუკავშირდება ერთმანეთს საერთაშორისო ხელშეკრულებით. მათი მტკიცებით, ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა ვერ წარმოშობს სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციას.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა განვსაზღვროთ, როგორც სამი და მეტი სახელმწიფოს გაერთიანება საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე დარგში (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, სოციალური, საბაჟო და სხვა) თანამშრომლობის განხორციელებისა და განვითარებისათვის. იგი უნდა ემყარებოდეს დამფუძნებელ დოკუმენტს, რომელშიც განსაზღრულია მისი მიზნები და პრინციპები, მთავარი ორგანოები, მათი კომპეტენცია და ფუნქციონირების წესი, აგრეთვე, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა და იურიდიული ძალა.

ამ მოსაზრებას იზიარებენ გ. მოროზოვი[1], კ. ზემანეკი[2], კ. კოლიარი[3], გ. შარმაზანაშვილი[4] და სხვა. ავსტრიელ მეცნიერს ზემანეკს მიაჩნია, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი უნდა იყოს სამი სახელმწიფო მაინც.

გ. მოროზოვის აზრით, საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილური ფორმაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კონტინენტის სამ სახელმწიფოს მაინც; მის მონაწი-

---

1 Г. Морозов, Международные организации, Москва, 1974, с. 55.
2 K. Zemanek, Das Vertragsrecht der internaciobalen Organization, Wein, 1957, p. 11.
3 К. Кольяр. Международные организации и учреждения, М., 1972.
4 Г. Шермазанашвили, Международные межправительственные организации, Москва, 1980, с. 10.

ლეთა შორის შეთანხმებულია საქმიანობის მიზნები, კომპეტენცია, მთავარი ორგანოები, აგრეთვე სპეციფიკური ორგანიზაციული ინსტიტუტები (წესდება, პროცედურა, წევრობა, მუშაობის წესი, გადაწყვეტილებათა მიღება და სხვ.). ამასთან, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებულია გაეროს წესდებაში.

ინგლისელი მეცნიერის გ. ფიტცმორის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაცია სახელმწიფოთა თანამეგობრობაა, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო ხელშეკრულებაზე. მას აქვს დამფუძნებელი აქტი და კოლექტიური ორგანოები, შეუძლია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.

გერმანელი გ. შლიუტერი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციას საფუძვლად უდევს საერთაშორისო ხელშეკრულება, მას აქვს საკუთარი, მუდმივი ორგანოები.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ქმედითი ინსტიტუტებია სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ საქმიანობაზეა დამოკიდებული მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საკითხების, სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების ეფექტიანობა. მათ შორის 20-მდე საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციაა[1].

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (Всемирная таможенная организация - ВТО). საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ საბაჟო საკითხებზე (მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია – საბაჟო თანამშრომლობის საბჭო, გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, საერთაშორისო საზღვაო და სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციები, სავალუტო ფონდი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სხვ.). ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ეხება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლის შემუშავების, შეცვლის, დამატების, განმარტებისა და გამოყენების საკითხებს.

---

1 А. Д. Ершов, Международные таможенные отношения, Учеб. пособие, Санкт-Петербург, 2000, с. 5

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო (ამჟამად მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) შეიქმნა 1950 წელს საბაჟო კონვენციის შესაბამისად (ძალაში შევიდა 1952 წლის ნოემბერში); საბჭომ მუშაობა დაიწყო 1953 წლიდან 17 წევრი სახელმწიფოს შემადგენლობით. ამჟამად მასში გაერთიანებულია 143 სახელმწიფო.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ამოცანები მკაფიოდაა განსაზღვრული კონვენციაში მისი შექმნის შესახებ. ეს ამოცანებია:

- შესწავლა ყველა იმ საკითხისა, რომლებიც შეეხება საბაჟო საქმის პრობლემებზე ქვეყნების თანამშრომლობას;
- იმ ტექნიკური ასპექტებისა და ეკონომიკური ფაქტორების შეფასება, რომლებიც ახასიათებთ საბაჟო სისტემებს და რომლის მიზანია საბჭოს წევრებისათვის წინადადებების შემუშავება ჰარმონიზაციის მაღალი დონის პრაქტიკული მიღწევისათვის;
- კონვენციების (შეთანხმებების), კონვენციებში დამატებების შეტანის პროექტების მომზადება და დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ მათი მიღება;
- ინფორმაციების გაცვლის უზრუნველყოფა საბაჟო რეგულირებისა და პროცედურების შესახებ;
- მთავრობებისათვის ინფორმაციების, რჩევების და რეკომენდაციების წარდგენა საბაჟო საკითხებზე თავისი ინიციატივით ან სახელმწიფოთა თხოვნით;
- საბაჟო მოთხოვნათა შეთანხმება და უნიფიკაცია, საბაჟო ოპერაციათა სრულყოფა; საბაჟო პროცედურების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება.

საბაჟოს მუშაობის ძირითადი სამართლებრივი ფორმებია საბაჟო თანამშრომლობის საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციებისა და შეთანხმებების პროექტების შემუშავება.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო შეიქმნა, როგორც მუდმივი, დამოუკიდებელი, საერთაშორისო ორგანიზაცია. საბჭოში ფუნქციონირებდა სამი ორგანო — ნომენკლატურული კომიტეტი, ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი და ტექნიკური კომიტეტი.

ნომენკლატურული კომიტეტის ფუნქციებია: საქონლის ერთგვაროვანი კლასიფიკაციის უზრუნველყოფა; საბაჟო ტარიფების გამარტივება; ეროვნული საბაჟო ორგანიზაციების პოზიციების შეთანხმება; უნიფიკაციის გზით საქონლის შესაფასებლად

საგარეო-სავაჭრო სტატისტიკური ბაზის გამარტივება. კომიტეტი პერიოდულად აქვეყნებს გამოცემებს, რომელთა მეშვეობითაც საქონლის საბაჟო შეფასების პრაქტიკულ რჩევებს იძლევა.

ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია: საქონლის აღწერისა და კოდირების სისტემის დამუშავება. იგი ითვალისწინებს კომერციული და საბაჟო დოკუმენტების გამარტივებას; მათი ტექნიკური დამუშავების შემსუბუქებას, მიმოწერის ხარჯების შემცირებას; ინფორმაციის შეგროვებას, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ოპერატიულობას.

ტექნიკური კომიტეტი საერთაშორისო საბაჟო ტერმინოლოგიის უსრუნველსაყოფად საბაჟო ნორმებისა და ლექსიკონების დამუშავებას ახორციელებს.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო მიზნად ისახავდა:

- ხელი შეეწყო საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაციისა და გამარტივებისათვის, განემტკიცებინა ურთიერთობა საბაჟო ადმინისტრაციებს შორის;
- გაეუმჯობესებინა, განევითარებინა და სისრულეში მოეყვანა საბაჟო კონტროლი;
- გაეუმჯობესებინა ორგანიზაცია და საბაჟო ადმინისტრაციის მმართველობითი სისტემა.

ეს მემკვიდრეობა გადაეცა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციას. საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ თავისი არსებობის მანძილზე მიიღო 18 საერთაშორისო კონვენცია და 60-მდე სარეკომენდაციო დოკუმენტი[1].

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს შექმნის შესახებ კონვენციის მიღების დროს ხელი მოაწერეს 2 დოკუმენტს:

1. კონვენციას საბაჟო მიზნით საქონლის შეფასების შესახებ;
2. კონვენციას საბაჟო ნომენკლატურის შესახებ.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომელიც შედგება თავმჯდომარის, 6 ვიცე-თავმჯდომარის (რომლებიც ერთდროულად რეგიონების წარმომადგენლები არიან), პოლიტიკური კომისიის, ფინანსური კომიტეტისა და ტექნიკური კომიტეტებისაგან.

---

1 Таможенное право, учебник для вузов, отв. редактор проф. Б. Н. Габричидзе, 2001, с. 414.

საბჭოს უმაღლესი ორგანოა წევრი ქვეყნების საბაჟო სამსახურების მეთაურთა ყოველწლიური სესია, სადაც განიხილავენ მასალებს, რომლებსაც ამზადებენ პოლიტიკური კომისია და ფინანსური კომიტეტი. სესიებზე იღებენ საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს.

,საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნების რეგიონული განვითარების მიხედვით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოები შედიან ევროპის რეგიონში. იგი აერთიანებს 43 სახელმწიფოს. თანამეგობრობის ქვეყნები აქტიურად ატარებენ ევროპის რეგიონის შემადგენლობაში თავიანთ საკუთარ ხაზს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სპეციფიკას, ეროვნულ თავისებურებებს, ეკონომიკურ და ენობრივ ერთობას.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული. ზოგიერთი კომიტეტის საქმიანობაში გამოყენებულია ესპანური. საბჭოს ბიუჯეტს ქმნის წევრ სახელმწიფოთა საწევრო შესატანები.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა საბაჟო საკითხებზე საერთაშორისო კონვენციათა გავრცელება და რეკომენდაციების მომზადება მათი გამოყენების შესახებ, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით კონვენციათა გადასინჯვა და განახლება საბაჟო საქმის შემდგომი სრულყოფის მიზნით. თანამედროვე პირობებში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია კოორდინაციას უკეთებს 20-მდე კონვენციისა და საბაჟო საქმის ცალკეულ საკითხებზე 60-მდე რეკომენდაციის ფარგლებში მიმდინარე მუშაობას.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ადგილსამყოფელი ბრიუსელშია (ბელგია). *საბჭომ 28 იანვარი დაწესა საბაჟო სამსახურის საერთაშორისო დღედ*, რომელიც ყოველ წელს აღინიშნება მთელი რიგი ქვეყნების საბაჟო სამსახურების მიერ. საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრია 1994 წლიდან.

ამრიგად, საბაჟო თანამშრომლობის საბჭო, ამჟამად მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, უნივერსალური და უნიკალური საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო წესებისა და პროცედურების ჰარმონიზაციას და უნიფი-

კაციას. მის აღიარებას ნათელყოფს ქვეყნებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ შერქმეული სახელი — „საბაჟო საქმის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი საქმიანობა საბაჟო თანამშრომლობის სფეროში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ საქმიანობას. მასზე იხარჯება ორგანიზაციის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი. ეკონომიკური კავშირების მთავარი არხებია — საგარეო ვაჭრობა და საბაჟო საქმე. გაეროს სამუშაო ორგანოების (გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამდივნო და სხვ.) მუდმივი ყურადღების ცენტრში დგას საბაჟო თანამშრომლობის საკითხები.

1970 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო „განვითარების საერთაშორისო სტრატეგია“, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო ხასიათის რიგ ღონისძიებათა განხორციელებას. ეს ღონისძიებები მიმართული იყო განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და მათი საბაჟო ურთიერთობების უნიფიკაციისაკენ. უნიფიკაცია და უნიფიცირება — საერთო ნორმაზე დაყვანა, გაერთიანება, გაერთგვარება.

საერთაშორისო კავშირი საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების დარგში. კავშირი დაფუძნდა 1890 წელს. მის ძირითად მიზანს შეადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქეყეყნების საბაჟო ტარიფებისა და მათში შეტანილი ცვლილებების ოპერატიული გამოქვეყნება.

ამ მიზნით ბრიუსელში შეიქმნა სხვადასხვა ქვეყნების საბაჟო წესებისა და ტარიფების თარგმნისა და გამოქვეყნების საერთაშორისო ბიურო. მის ფუნქციებში შედის საბაჟო ტარიფების, აგრეთვე, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დადგენილებების თარგმნა და გამოქვეყნება.

საბაჟო ტარიფები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები ქვეყნდება „საერთაშორისო საბაჟო ბიულეტენში“ (საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების საერთაშორისო კავშირის ორგანო) გერმანულ, ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე.

საერთაშორისო ბიუროს პერსონალს ნიშნავს ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელსაც თანამშრომელთა შენახვი-

სათვის გამოეყოფა საჭირო სახსრები. იგი ახორციელებს კონტროლს საერთაშორისო ბიუროს ნორმალურ მუშაობაზე.

წევრ სახელმწიფოებს ყოველწლიურად ეგზავნებათ ანგარიშები საერთაშორისო ბიუროს საქმიანობისა და საფინანსო მდგომარეობის შესახებ. ბიუროს წლიური ბიუჯეტია 125 ათასი ბელგიური ფრანკი[1].

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან საერთაშორისო ბიუროს ყოველწლიურად გაუგზავნონ (ორ ეგზემპლარად) სპეციალური დოკუმენტები: 1. ქვეყნის ეროვნული საბაჟო კანონები და საბაჟო ტარიფები; 2. საბაჟო დაწესებულებების ინსტრუქციები, დებულებები, აქტები, ცირკულარები საბაჟო ტარიფებისა და საქონლის კლასიფიკაციის გამოყენების შესახებ; 3. დადგენილებები ეროვნულ საბაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ; 4. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციებისა და შეთანხმებების ტექსტები; აქ იგულისხმება ის დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ ეხება საბაჟო ტარიფებს და კანონმდებლობას.

ბიულეტენის ტექსტები ქვეყნდება იმ ენაზე, რომელსაც საერთაშორისო ბიურო ქვეყნისათვის უფრო სასარგებლოდ მიიჩნევს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. (World Trade Organisation - WTO, Всемирная торговая организация - ВТО) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), რომელიც ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (GATT) ბაზაზე 1995 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს, ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით ძირითადი ორგანიზაციაა. ამ ორგანიზაციის წევრია მსოფლიოს 145 ქვეყანა. 28 სახელმწიფოს დამკვირვებლის სტატუსი აქვს. WTO-ს შტაბ-ბინა ჟენევაშია (შვეიცარია). თანამშრომელთა რაოდენობა 500-მდეა. ორგანიზაციის ბიუჯეტი 80 მილიონ დოლარს აჭარბებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს 30-მდე შეთანხმებით, 25 სხვადასხვა დამატებითი დადგენილებითა და განმარტებით.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე მრავალმხრივი სამთავრობათაშორისი შეთანხმებაა ვაჭრობისა და სავაჭ-

1 К. Сандровский. Международное таможенное право. Киев, 2001, с. 163.

რო პოლიტიკის რეჟიმზე. საერთაშორისო შეთანხმება ვაჭრობის პირობების შესახებ ხელმოწერილია ჟენევაში 1947 წლის 30 ოქტომბერს 23 სახელმწიფოს მიერ. ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვარს ხელმომწერი 23 განვითარებული ქვეყნისათვის. შეთანხმებაში სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობდა 150-ზე მეტი სახელმწიფო.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, დასაბამს იღებს 1960 წლიდან, როდესაც შეიქმნა მისი მუდმივმოქმედი ორგანოები: საბჭო და სამდივნო შტაბ-ბინით ჟენევაში.

შეთანხმების მონაწილენი ვალდებულნი არიან ურთიერთვაჭრობა ააგონ გარკვეულ წესებზე დაყრდნობით: უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვის გაუქმება, თუ ის ზიანს არ აყენებს ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას; საბაჟო ტარიფების კონვენციური დაწესება და სრულყოფა. სადავო საკითხების გადაჭრა ურთიერთკონსულტაციების გზით ითვალისწინებს შეთანხმებების მონაწილე ქვეყნების ურთიერთ ინტერესებს სხვადასხვა ზომის მიღებით (საბაჟო შეღავათები, ბარიერები და სხვ.).

შეთანხმების მოქმედების პერიოდში განხორციელდა მასში მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების გარკვეული შემცირება. მიღებულია აგრეთვე ზომები ვაჭრობის პრობლემების ლიბერალიზაციისათვის.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე შეიცავს შეთანხმებას სავაჭრო პოლიტიკის პრინციპების შესახებ, რომელთაც საგარეო ვაჭრობაში უნდა იცავდეს წევრი სახელმწიფო, აგრეთვე, ურთიერთობათა სიას, რის საფუძველზე ხდება წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივ ხელშეკრულებათა გაფორმება.

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება 1948 წლიდან მოქმედებს და მიზნად ისახავს საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას. *შეთანხმების ძირითადი პრინციპებია:*

- *ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე.* იგი გულისხმობს წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისათვის „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ მინიჭებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას;

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების პირველ მუხლში ნათქვამია: „რაც შეეხება საბაჟო გადასახადებსა და ყველა სახის მოსაკრებლებს, რომლებიც დაწესებულია საქონლის ექსპორტზე ან იმპორტზე, ან მათთან დაკავშირებით, ანდა იმ იმპორტთან ან ექსპორტთან დაკავშირებულ საერთაშორისო სატრანსფერო გადასახადზე, აგრეთვე ამ საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფის მეთოდს და ექსპორტთან ან იმპორტთან დაკავშირებულ ყველა მარეგულირებელ წესს და ფორმალობას – ნებისმიერი უპირატესობა, ხელშეწყობა, პრივილეგია ან იმუნიტეტები, რომელიც შეთანხმების მონაწილე სხვა ქვეყანაში შექმნილ, ან რომელიმე სხვა ქვეყნისათვის განკუთვნილ ნებისმიერ საქონელს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენი ქვეყნის ტერიტორიებზე წარმოშობილ ან შეთანხმების მონაწილე ყველა დანარჩენი მხარის ტერიტორიებისათვის განკუთვნილ მსგავს საქონელს“[1];

- *საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის განვითარების დაგეგმვა* მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე;
- *კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება* ურთიერთ დათმობის განხორციელების გზით, დავის გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით;
- *შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად სატარიფო მეთოდების გამოყენება; ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების ხელშეწყობა.*

თავისი არსებობის მანძილზე გენერალურ შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე ჰქონდა მრავალმხრივი მოლაპარაკების რვა რაუნდი, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ურუგვაის რაუნდი (1986-1994). აქ მიღწეულ იქნა ახალი შეთანხმება, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეთანხმება, შეთანხმება საქონლით ვაჭრობაზე. დანარჩენი შეთანხმებები მოიცავს საბაჟო შეფასებას, წარმოშობის წესებს, იმპორტის ლიცენზირების პროცედურებს და გადაზიდვების წინა ინსპექტირებას.

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, 2002, გვ. 143.

ამგვარად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების გარდაქმნას საფუძველი ჩაეყარა ურუგვაის მერვე რაუნდზე. იგი დაფიქსირდა მარაკეშის დეკლარაციით 1994 წლის 14 აპრილს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არსებითი ფუნქციებია: მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების მართვა და შესრულება; გამოვიდეს ფორუმის როლში – მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებებისათვის; მოახდინოს სავაჭრო დავების მოგვარება; ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა და იმ სხვა საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, რომლებიც ჩართულნი არიან გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მანდატის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს თანამშრომლობა საერთაშორისო სავაჭრო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა მრავალმხრივ ინსტიტუტებთან, რათა მიღწეულ იქნეს უფრო მეტი შეთანხმებულობა გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

გენერალური შეთანხმების წესები გამოიყენება საქონლით ვაჭრობაზე. საქონელთა დამატებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ითვალისწინებს მომსახურებით ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტებს. ამასთან, დავების გადაწყვეტის სისტემა უფრო სწრაფი და ქმედითია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას დიდი როლი ეკისრება გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში. *იგი ხელმძღვანელობს სავაჭრო სისტემის მხოლოდ შემდეგი პრინციპებით*: ადგილობრივი წარმოების დაცვა მხოლოდ საიმპორტო ტარიფების მეშვეობით; ტარიფებს უნდა ჰქონდეთ ტენდენცია შემცირებისაკენ და არ უნდა იქნან გაზრდილი შემდგომში; ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე. თითქმის 50 წლის განმავლობაში გენერალური შეთანხმების უმთავრესი დებულებები კრძალავენ ვაჭრობაში დისკრიმინაციას წევრებს შორის და იმპორტირებულ და თვით ქვეყანაში წარმოებულ საქონელზე არათანაბარი პირობების არსებობას; ბაზარზე პროგნოზირებადი და მზარდი დაშვება. უსაფრთხო და პროგნოზირებად ბაზარზე დაშვების არსებობა დიდად არის განსაზღვრული ტარიფებისა და საბაჟო გადასახადების გამოყენებით; სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა

(წახალისება); განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების წახალისება[1].

ამგვარად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) დაფუძნდა 1995 წლის 1 იანვარს, მას შემდეგ, რაც ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) წევრმა ქვეყნებმა 1994 წლის 14 აპრილს მაროკოს ქალაქ მარაკეშში ხელი მოაწერეს „მარაკეშის დეკლარაციას".

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულება 29 დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება. იგი მოიცავს საკითხებს, დაწყებული სოფლის მეურნეობის ნაწარმით და დამთავრებული სამთავრობო შესყიდვებით. ასევე, მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საერთაშორისო ბაზარზე გასვლა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სატარიფო და საბაჟო სისტემაზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში აკრძალულია კვოტირების სისტემის გამოყენება, მაგრამ გამორიცხული არ არის ტარიფების არსებობა შიდა პროდუქციის დაცვისა და შემოსაელების გაზრდის მიზნით.

ტარიფების გამოყენება მხოლოდ განსაზღვრული პირობებითაა დაშვებული. ის მიმართული უნდა იყოს იმპორტის დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნები ვალდებულებას კისრულობენ, გარკვეულ საქონელზე არ გაზარდონ სატარიფო განაკვეთი ძირითად სავაჭრო პარტნიორთან სათანადო კომპენსაციის გარეშე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უნივერსალური გაერთიანებაა. მის წევრ ქვეყნებზე მსოფლიო საგარეო ვაჭრობის 90% მოდის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია: თავისუფალი და კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში ყველა ქვეყნის მეწარმესათვის ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა. ამიტომ იგი თანმიმდევრულად ატარებს არასატარიფო ბარიერების მოხსნისა და ტარიფების თანდათანობით შემცირების პოლიტიკას. ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობაა საბაჟო ტა-

---

1 ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა", 1998, გვ. 17.

რიფების შემცირებისა და არასატარიფო ბარიერების შემსუბუქების თაობაზე მოლაპარაკებათა რაუნდებისა (კონფერენციების) და ტურების ჩატარება.

მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხუთ სფეროში: 1. სამრეწველო სტანდარტები. იგი იმპორტულ საქონელზე სამამულო საქონლის მსგავს დამოკიდებულებას ითვალისწინებს; 2. სახელმწიფო შესყიდვები, რაც გულისხმობს საზღვარგარეთული ფირმების განცხადების არადისკრიმინაციულ განხილვას; 3. სუბსიდიები და კომპენსაციური ბაჟები. იგი ითვალისწინებს პოლიტიკის ინსტრუმენტად სუფსიდიების გამოყენებას; 4. ლიცენზირება. ლიცენზირება ქვეყნებს ლიცენზიების წესის მნიშვნელოვან გამარტივებას ავალდებულებს; 5. საბაჟო შეფასება. იგი აწესებს ქვეყნებს შორის ერთიანი მეთოდიკის გამოყენებას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადად სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შესახებ. კონფერენციებს შორის პერიოდში ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია მინისტრთა კონფერენციის წინაშე.

გენერალურ საბჭოში ორი სტრუქტურაა: 1. დავების გადაწყვეტის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს სადავო საკითხების მოგვარების პროცედურას; 2. სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო, რომელიც რეგულარულად განიხილავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო პოლიტიკას.

გენერალური საბჭოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში არის მრავალი კომიტეტი, საბჭო და კომისია. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გადაწყვეტილებებს იღებენ არა კენჭისყრით, არამედ კონსენსუსის წესით. არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებებს იღებენ კენჭისყრის გზით.

სესიებს შორის პერიოდში ხელმძღვანელი ოპერატიული ორგანოა წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში დაახლოებით ათჯერ. საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებებს, როგორც ყოველდღიურ, ისე გადაუდებელ საკითხებზე. ორგანიზაციულ და ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს სამდივნო.

1999 წლის 28 ივლისს ჟენევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შედგა მრავალმხრივი შეხვედრა, რომლითაც დამთავრდა ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები და გაწევრიანების ოქმზე მუშაობა. იმავე წლის 6 ოქტომბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მიერთების შესახებ. ეს ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. ამის შედეგად საქართველო ბიზნესის საერთაშორისო წესების თანამონაწილე გახდა. ქართულმა პროდუქციამ მოიპოვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღავათიანი პირობით გასვლის შესაძლებლობა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მნიშვნელოვანი ბერკეტია საერთაშორისო ბაზარზე ქართული სასაქონლო ნიშნების დაცვის თვალსაზრისითაც. გაწევრიანებამ არსებითად გაზარდა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრირების დონე, ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკური და საკანონმდებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებთან. ამან გზა გაუხსნა ქართულ ექსპორტს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 144 ქვეყნის ბაზარზე და უფლება მოგვცა, სრულფასოვნად ჩავრთულიყავით როგორც მრავალმხრივ მოლაპარაკებებში, ასევე წამოგვეყენებინა მოთხოვნები მათ ბაზარზე ქართული საქონლის და მომსახურებისათვის კარგი პირობების უზრუნველსაყოფად. სწორედ WTO-ში გაწევრიანების გამო მოგვიხსნა აშშ-მ შეზღუდვები ვაჭრობაში (საქართველო გამოირიცხა ე. წ. „ჯექსონ-ვენიკის შესწორების“ მოქმედებიდან) და მოგვანიჭა პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) სავაჭრო შეღავათები. ასეთივე შეღავათებით 2002 წლიდან ვსარგებლობთ პოლონეთსა და თურქეთთან ვაჭრობაში. აღნიშნული სრულიად ახალ შესაძლებლობებს აძლევთ ქართველ ექსპორტიორებს და მთლიანად მეწარმეებს, რომლებიც ამასთანავე დაცულნი იქნებიან უსამართლო კონკურენციისაგან.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია.(World Toutism Organisation WTO, Всемирная организация по туризму - ВОТ).

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები კვალიფიცირდება შემდეგი ნიშნებით:

ეროვნულ-ტერიტორიული: საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული ორგანიზაციები. მათ საქმიანობას გააჩნია მსოფლიო, რეგიონული და ეროვნული ხასიათი;

საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი: სამთავრობო, საზოგადოებრივი, კერძო;

საქმიანობის სახეების მიხედვით: მარეგულირებელი, მიმწოდებელი, საბაზრო აგენტები, კონსულტანტები, საპროექტო ორგანიზაციები, სასწავლო ორგანიზაციები, გამომცემლობები, პროფესიული ასოციაციები, სავაჭრო და სამომხმარებლო ორგანიზაციები;

საქმიანობის სფეროს მიხედვით: სატრანსპორტო (საჰაერო, საავტობუსო, სარკინიგზო, საავტომობილო და საკრუიზო), ტურისტული აგენტები, ტუროპერატორები, პროფკავშირები.

საერთაშორისო ტურისტული გაცვლა-გამოცვლის მუდმივმა გაფართოებამ განაპირობა მისი საერთაშორისო-სამართლებრივი რეგლამენტაციის აუცილებლობა: სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების შემუშავება და სპეციალიზებული საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების შექმნა.

თანამედროვე პირობებში ტურიზმი გახდა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მძლავრი საშუალება. ტურიზმმა, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთმა ფორმამ, მიიღო უდიდესი მასშტაბები: იგი ახდენს ძირეულ გავლენას სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კავშირებზე. ერთი მხრივ, იზრდება საქმიანი ტურიზმის მასშტაბები, ფართოვდება შემეცნებითი მოგზაურობები; მეორე მხრივ, ხდება სატრანსპორტო საშუალებათა სრულყოფა და მათი პარკის გაფართოება. ეს იწვევს მგზავრობის გაიაფებას. უცხოური ვალუტის გატანაზე დადებით როლს თამაშობს შეზღუდვების შემცირება და სასაზღვრო ფორმალობების გამარტივება.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ტურიზმი გახდა მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი დარგი, საგადასახადო შემოსავლებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება.

ტურიზმს XX საუკუნის ფენომენს უწოდებენ. იგი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის საბრუნავი კაპიტალი 3,5 ტრილიონი აშშ დოლარია. ტურიზმის გლობალიზაციის პროცესი აღინიშნება 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც დაიწყო ტრანსკონტინენტალური გადაფრენები; ტურიზმი არის მომხმარებელზე მთლიანად ორიენტირებული და ეკონომიკის ყველაზე განვითარებადი დარგი, რომელშიც დასაქმებულია 127 მილიონი კაცი, მსოფლიოში მომუშავეთა ყოველი მეთხუთმეტე[1].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის კლასიფიკაციით გამოყოფენ ქვეყნებს, რომლებიც გვეელინებიან ტურისტების მიმწოდებელ ქვეყნებად და ქვეყნებს, რომლებიც წარმოადგენენ მიმღებს (მასპინძელს). ტურისტების მიმწოდებელი ქვეყნებია: აშშ, ბელგია, დანია, გერმანია, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, შვეცია, კანადა, ინგლისი. მასპინძელ ქვეყნებს კი მიეკუთვნება: ავსტრალია, იტალია, საფრანგეთი, კვიპროსი, საბერძნეთი, მექსიკა, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი და სხვა.

საქართველოს აქვს დიდი შესაძლებლობები გახდეს ტურისტების მასპინძელი ქვეყანა. მაგრამ ტურისტს, თანაც ციივილიზებული ქვეყნებიდან ჩამოსულს, მაღალი კლასის სასტუმროები და ძლიერი ინფრასტრუქტურა ესაჭიროება.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (WTO) დღეისათვის ყველაზე ცნობილი და აღიარებულია ტურისტულ სამყაროში. იგი დაფუძნდა 1975 წლის 2 იანვარს ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციების საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი გაერთიანების მსოფლიო ტურისტულ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის გზით. საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებდა გაეროს პატრონაჟით (პატრონობით).

დღეისათვის ტურისტული ორგანიზაციის ნამდვილი წევრია 130 ქვეყანა, რამდენიმე ასოცირებული და 329 მიერთებული წევრი (ტურისტული ფირმები, ავიაკომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა)[2].

---

1 ვახტანგ ქარუმიძე. საქართველოს ტურიზმისა და სპორტის სამართალი. თბ., 2001.

2 И. Герчикова. Международные экономические организации. 2002, с. 88.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის წესდება მიღებულია 1975 წლის 27 სექტემბერს. ეს თარიღი 1980 წლიდან აღინიშნება როგორც ტურიზმის საერთაშორისო დღე. ყოველწლიურად ტურიზმის მსოფლიო დღე ტარდება განსაკუთრებული დევიზით. ყოველ ორ წელიწადში WTO იწვევს გენერალური ასამბლეის სესიებს. სესიებს შორის პერიოდში მუშაობას წარმართავს აღმასრულებელი კომიტეტი. შტაბ-ბინა იმყოფება მადრიდში (ესპანეთი). ოფიციალური ენებია: ინგლისური, ესპანური, რუსული და ფრანგული.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის სტრუქტურაში მოქმედებს ექვსი რეგიონული კომისია: ევროპისათვის, აფრიკისათვის, ამერიკისათვის, სამხრეთ აზიისათვის, ახლო აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის რაიონებისათვის. რეგიონული კომისიის სხდომები რეგულარულად ტარდება თავმჯდომარის და ორი ვიცეთავმჯდომარის ხელმძღვანელობით. მათ ირჩევს შესაბამისი კომისია ორი წლის ვადით. ფუნქციონირებს უმაღლესი სასწავლო ცენტრი მექსიკაში. მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციასთან შექმნილია რამდენიმე ფონდი.

WTO-ს რეგიონული ორგანიზაციებია: არაბეთის ტურისტული ასოციაცია; ტურისტული სააგენტოების ამერიკული საზოგადოება; წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების ტურისტული ასოციაცია; ლათინური ამერიკის ქვეყნების ტურისტულ სააგენტოთა კონფერენცია; ბრიტანეთის ტურისტულ სააგენტოთა ასოციაცია; ევროპის ტურისტული კომისია.

სტრუქტურა: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა. სესიები იმართება ორ წელიწადში ერთხელ.

გენერალური ასამბლეის ფუნქციებია: პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტების არჩევა; აღმასრულებელი საბჭოს წევრების არჩევა; გენერალური მდივნის დანიშვნა (აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციით); რევიზორების არჩევა; WTO-ს ფინანსური რეგლამენტის დამტკიცება; საერთო მიმართულებების განსაზღვრა; WTO-ს სამდივნოს პერსონალის შესახებ დებულების დამტკიცება; WTO-ს მუშაობის საერთო პროგრამის დამტკიცება; ორგანიზაციის ბიუჯეტის დამტკიცება; ორგანიზაციისა და მისი ორგანოების საქმიანობის შესახებ ანგარიშების განხილვა და დამტკიცება და სხვა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომელიც გენერალური ასამბლეის სესიებს შორის პერიოდში იღებს აუცილებელ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 4 წლით. ყოველ 2 წელიწადში ხელახლა ირჩევენ საბჭოს წევრთა ნახევარს. აღმასრულებელი საბჭო იკრიბება თავის სესიებზე წელიწადში ორჯერ. საბჭოს შემადგენლობიდან ყოველ წელს ირჩევენ თავმჯდომარეს და ორ მოადგილეს.

სამდივნო შედგება თანამშრომელთა შტატებისაგან (30 ქვეყნის დაახლოებით 90 წარმომადგენელი). მას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი.

ორგანიზაციის ბიუჯეტი ყალიბდება წევრ სახელმწიფოთა საწევრო შენატანებისაგან. შემოსავლების ნახევარი ნაწილდება თანაბრად წევრ სახელმწიფოთა შორის, ხოლო მეორე ნახევარი — მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საწევროების სკალით.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის დამოკიდებულება გაეროსთან განისაზღვრება ორივე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული შეთანხმებით (1977 წელი).

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი მოელენა გახდა მანილის (ფილიპინები) საერთაშორისო კონფერენცია ტურიზმის შესახებ. იგი გაიმართა 1980 წლის 27 სექტემბერს — 10 ოქტომბერს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი. კონფერენციამ განიხილა საკითხები: სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ტურიზმის განვითარებისათვის; ადამიანი თავისი დასვენების ორგანიზატორი; მოთხოვნილებებისა და წინადადებების რეგულირება; სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა ტურიზმის დარგში; კადრების მომზადება ტურიზმის ინდუსტრიისათვის და სხვა. დასკვნით დოკუმენტში ასახვა ჰპოვა განხილვის დროს ერთობლივად შემუშავებულმა რეკომენდაციებმა. ამ დოკუმენტმა მიიღო სახელწოდება: მსოფლიო ტურიზმის მანილის დეკლარაცია.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჰააგის დეკლარაცია ტურიზმის შესახებ (1989 წლის აპრილი). ჰააგის დეკლარაციის ძირითადი დებულებებია: ტურიზმი — თავისუფალი დროის გატარების ფორ-

მა; ტურიზმი – ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ხელისშეწყობის ეფექტიანი საშუალება; ტურიზმი ატარებს ჰუმანურ ხასიათს; ყოველ ადამიანს აქვს თავისუფალი მოგზაურობის უფლება; მგზავრობის ფორმალურობების გამარტივება – ტურიზმის განვითარების საფუძველი; ტურისტთა უსაფრთხოება და დაცვა, მათი ღირსების პატივისცემა – ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა; სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ტერორიზმთან ბრძოლაში, სრულყონ ტურისტული მომსახურების ხარისხი, დაგეგმონ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური გარემო – ტურიზმის განვითარების ძირითადი პირობა[1].

ტურიზმის ქარტია, ტურისტის კოდექსი. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე (1985 წლის სექტემბერი) მიღებულ იქნა ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი, რომელიც აღიარეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა.

საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა რა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში საქაროველოს გაწევრიანების დიდი მნიშვნელობა, საქართველოში ტურიზმის განვითარების დანქარებისათვის 1994 წლის 27 იანვარს მიიღო დადგენილება მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიისა და ტურისტის კოდექსის აღიარების შესახებ.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გარდა, მსოფლიოში 200-ზე მეტი საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციაა[2].

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (International Air Transport Assotiatiob - IATA). IATA – საერთაშორისო ავიაგადამყვანთა მსოფლიო ორგანიზაციაა. შეიქმნა 1919 წელს. 1945 წელს იგი რეორგანიზებულ იქნა პროფესიულ საერთაშორისო ავიაკომპანიების ასოციაციად. მისი მთავარი ფუნქციაა საერთაშორისო კომერციული საავიაციო მიმოსვლის მოწესრიგება, ყველა წევრისათვის ერთნაირი წესებისა და პროცედურების შემოღება, საერთაშორისო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანის შეთანხმებული ტარიფების დაწესება.

---

1 К. Г. Борисов. Международный туризм и право. Москва, 2001.

2 И. В. Зорин, В. А. Квартальнов. Энциклопедия туризма. Москва, 2000, с. 28.

IATA-ს უმაღლესი ორგანოა ყოველწლიური გენერალური ასამბლეა. აქ ხდება პრეზიდენტისა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკის რეალიზაცია. მისი წევრია 259 ავიაკომპანია, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენებს. ამ ავიაკომპანიებზე მოდის საერთაშორისო რეგულარული მიმოსვლის დაახლოებით 95%.

თავისი საქმიანობის მიხედვით IATA საჰაერო ტერიტორიას ყოფს სამ დიდ რეგიონად ან კონფერენციად. ამასთან, ცდილობს დააწესოს გადაყვანაზე შეთანხმებული ტარიფები და მომსახურების ერთიანი სტანდარტები როგორც თითოეული კონფერენციის ფარგლებში, ისე ერთმანეთს შორის.

ეს რეგიონებია:

1. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, წყნარი ოკეანის რეგიონის ნაწილი; 2. ევროპა, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი; 3. აზია, ავსტრალია და წყნარი ოკეანის ნაწილი.

ტურისტული სააგენტოები მონაწილეობენ IATA-ს საქმიანობაში სპეციალური განყოფილების – ავიაკომპანიების აგენტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით.

IATA აკონტროლებს ტურისტულ სააგენტოთა საქმიანობას წესების, სტანდარტებისა და ერთიანი მოთხოვნების დაცვის დარგში. იგი თვალყურს ადევნებს იმ სააგენტოთა საქმიანობას, რომლებიც ყიდიან საერთაშორისო ავიარეისების ბილეთებს.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია გაეროს სამთავრობათაშორისო სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელიც ფუნქციონირებს 1959 წლიდან. წევრ სახელმწიფოთა რაოდენობა 160-მდეა. *საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიზანია* ხელი შეუწყოს ნაოსნობის დარგში სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას, საბაჟო მომსახურების სრულყოფას, ზღვაოსნობის მაქსიმალურად შესაძლო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. კონვენციის თანახმად (ჟენევის 1948 წლის კონვენცია საზღვაო ორგანიზაციის შექმნის შესახებ), მან ხელი უნდა შეუწყოს ზღვაოსნობის პრაქტიკაში ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთას, მსოფლიოს საჭიროებისათვის არსებული ტო-

ნაკის თავისუფალ გამოყენებას; კონტროლი უნდა გაუწიოს საერთაშორისო საზღვაო კონვენციების შესრულებას.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ კონვენციებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად მიიღო ასობით რეკომენდაცია მეტად აქტუალურ საკითხებზე. ეს ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საზღვაო სახიფათო ტვირთები, სიგნალები, მეთევზეთა და თევზსაჭერი გემების, ატომური სავაჭრო გემების უსაფრთხოების, საბაჟო სისტემების სრულყოფისა და სხვა საკითხებს. მართალია, ამ რეკომენდაციებს არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, მაგრამ მათი მნიშვნელობა მეტად დიდია. ისინი ხელს უწყობენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს საზღვაო საკითხებზე ეროვნული წესების დამუშავებაში.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია გაეროს სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეისწავლის სამოქალაქო ავიაციის სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხებს. იგი შეიქმნა 1944 წელს ჩიკაგოში 52 ქვეყნის საეროაშორისო კონფერენციაზე. აქ მიიღეს კონვენცია სამოქალაქო ავიაციის შესახებ. ამჟამად ამ ორგანიზაციის წევრია 185-მდე სახელმწიფო.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნები: მთელ მსოფლიოში ავიაციის უსაფრთხო და გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა, მშვიდობიანი მიზნით თვითმფრინავების კონსტრუქციების შექმნა და მათი ექსპლუატაციის წახალისება, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციისათვის ავიახაზების, აეროპორტებისა და აერონავიგაციის მოწყობილობათა შექმნა, უსაფრთხო, რეგულარული, ეფექტიანი და ეკონომიკური საჰაერო გადაყვანით მსოფლიოს მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, საბაჟო სისტემის სრულყოფა და გაადვილება. ორგანიზაცია სწავლობს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის პრობლემებს, ამუშავებს ფრენის, თვითმფრინავების ექსპლუატაციის, ავიასადისპეტჩერო სამსახურის საკითხებს; ამზადებს სააეროდრომო მომსახურების (მგზავრთა გადაყვანა, საბაჟო მომსახურება და სხვ.) წესებს, რეკომენდაციებსა და სტანდარტებს, აგრეთვე ეკონომიკური და იურიდიული სასიათის მასალებს. ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საერთაშორისო ავიახაზებზე

ფრენის უსაფრთხოების ხელშეწყობა. იგი განვითარებად ქვეყნებს უწევს ტექნიკურ დახმარებას სამოქალაქო ავიაციის შექმნაში. მის მიერ შემუშავებულია საერთაშორისო კონვენციები საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა სამთავრობათაშორისო რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციაა. წესდება მიღებულია 1993 წლის 22 იანვარს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს სხდომაზე. ამჟამად მასში გაერთიანებულია 12 დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო: ბელორუსია, თურქმენეთი, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი.

თანამეგობრობის მიზნებია: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ, საბაჟო და სხვა სფეროში თანამშრომლობის განხორციელება, წევრ სახელმწიფოთა ყოველმხრივი და შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება საერთო ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისო კოოპერაცია და ინტეგრაცია, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა. თანამეგობრობა ეფუძნება ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის საწყისებს. წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან.

თანამეგობრობა ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის, ეროვნებათშორისი თანხმობის, ნდობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. თანამეგობრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს და არა აქვს ზეეროვნული უფლებამოსილებანი.

თანამეგობრობაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საბაჟო თანამშრომლობის საკითხებს. დამტკიცებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლები; შეთანხმება საბაჟო კავშირის შესახებ, შეთანხმება ვაჭრობის ზონების შესახებ.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია დაფუძნდა 1947 წელს. ამჟამად იგი წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოებს შო-

რის მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ერთადერთ მუდმივმოქმედ ორგანოს. კომისიის შემადგენლობაში შედის ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე, აშშ და კანადა. კომისიაში შექმნილია 15 მუდმივი ორგანო, რომელთა შორის 50 მუდმივმოქმედი ჯგუფია. ერთ-ერთი მთავარი ორგანოა ტრანსპორტის კომიტეტი, რომელიც დაკავებულია საავტომობილო, სარკინიგზო და სამდინარო ტრანსპორტის საკითხებით. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან ამ სახეობის ტრანსპორტის სამუშაო ჯგუფები და საბაჟო ექსპერტთა ჯგუფი. ეს ჯგუფი პრაქტიკულად წარმოადგენს სპეციფიკურ ორგანოს ევროპის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში საბაჟო საკითხების შემუშავებისათვის.

თავისი არსებობის მანძილზე საბაჟო ექსპერტთა ჯგუფმა ითამაშა მთავარი როლი 13 საერთაშორისო საბაჟო კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სახელშეკრულებო დოკუმენტების შემუშავებაში. მათ შორისაა საერთაშორისო კონვენციები: კონვენცია ტურისტებისათვის საბაჟო შეღავათების შესახებ, საბაჟო კონვენცია კონტეინერების შესახებ (1972), საერთაშორისო კონვენცია საზღვრებზე ტვირთების გადაზიდვის კონტროლის პირობების შეთანხმების შესახებ (1982) და სხვ.

განვითარებადი ქვეყნებისადმი ეკონომიკური, საბაჟო-ტექნოლოგიური, ტექნიკური დახმარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამას*. 1950 წელს მიღებულია გაეროს ტექნიკური დახმარების პროგრამა, 1959 წელს — ტექნიკური დახმარების გაფართოებული პროგრამა და გაეროს სპეციალური ფონდი; 1966 წელს ეს სამი პროგრამა გაერთიანდა ერთიან გაეროს განვითარების პროგრამად. განვითარების პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე წამყვან საერთაშორისო პროგრამას განვითარებადი ქვეყნებისადმი ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის საქმეში. ბიუჯეტის ნაწილი ხმარდება საბაჟო კონტროლის უნიფიკაციის წესების შემუშავებას და დანერგვას.

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიქმნა თურქეთის ინიციატივით 1992 წლის ივნისში სტამბოლში. მის რიგებში გაერთიანდნენ სახელმწიფოები, რომლებიც 90-იან წლებამდე დაპირისპირებულ ბანაკებს მიეკუთვნებოდნენ. 1998 წელს იალტის სამიტზე ბისეკი — როგორც ამ

ალიანსს უწოდებენ – საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია.

შავი ზღვის ქვეყნების ალიანსის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება. ამას ადასტურებს ის ინტერესი, რომელსაც მის მიმართ იჩენენ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები. ამ ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსით შეეიდნენ გერმანია და საფრანგეთი. საერთაშორისო ორგანიზაცია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საბაჟო ურთიერთობების, შეღავათებისა და ტარიფების საკითხებს.

საქართველოსადმი, ისე როგორც კავკასიის რეგიონისადმი, ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. კავკასიის თემა გამუდმებით ყიგურირებს მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებში. მას ახასიათებენ როგორც ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზას შუა აზიაკასპიისპირეთის რესურსებით მდიდარ რეგიონსა და ევროპის ბაზრებს შორის. საქართველო კი ამ ხიდის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია.

უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენა რეალობად იქცა. ტრასეკას და ინოგეიტის პროექტები, რომლებიც ევროპის კავშირის დახმარებით ხორციელდება და გულისხმობს აბრეშუმის გზის გაყოლებაზე თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დანერგვას, თავისი მასშტაბით სცილდება რეგიონულს და მსოფლიო მნიშვნელობას იძენს. ახალი აბრეშუმის გზის მიმართ ინტერესს იჩენენ ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, ჩინეთი, უკრაინა, დუნაისპირა ქვეყნები და სხვა. აშშ-ის კონგრესმა განიხილა და მიიღო კანონპროექტი „აბრეშუმის გზის სტრატეგია“.

1998 წლის სექტემბერში ბაქოში გაიმართა ტრასეკას ქვეყნების სამიტი, რომელშიც ოთხმეტი სახელმწიფოს პრეზიდენტი და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა. ბაქოს სამიტს მოჰყვა რეგიონის ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრა 1998 წლის ოქტომბერში ანკარაში, სადაც თურქეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ანკარის დეკლარაციას, რომელშიც პოლიტიკური მხარდაჭერა აღუოქვეს დიდი ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტით ტრანსპორტირებას. დეკლარაციას ხელი მოაწერა აგრეთვე აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა.

ევროპის კავშირი. ევროპის კავშირის ფესვები პარიზის 1952 წლის ხელშეკრულებაში ძევს, რომელმაც ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დააფუძნა, ასევე, შესაბამისად, რომის 1957 წლის ორ ხელშეკრულებაში, რომელთა საფუძველზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება შეიქმნა. 1993 წლის 1 ნოემბერს ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულების ძალაში შესვლამ ეს ორი გაერთიანება ევროპის კავშირად გარდაქმნა. 1995 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული ევროპის კავშირი 15 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს: საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პირველი წევრები), ინგლისი, ირლანდია, დანია (1973), საბერძნეთი (1981), ესპანეთი, პორტუგალია (1986), შვეცია, ფინეთი და ავსტრია (1995).

ევროპის კავშირის თხუთმეტივე წევრი სახელმწიფო (8 რესპუბლიკა, 7 კონსტიტუციური მონარქია) დემოკრატიული ქვეყანაა.

ჰოლანდიის ქ. მაასტრიხტში 1992 წლის 7 თებერვალს ევროსაბჭოს სხდომაზე ევროპის გაერთიანებული წევრი სახელმწიფოების საგარეო და ფინანსთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ევროპის კავშირის შესახებ. იგი ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს. მასში ნათქვამია: „ამ ხელშეკრულების თანახმად, მონაწილე მხარეები აარსებენ ევროპის კავშირს... ეს ხელშეკრულება ევროპის ხალხების მჭიდრო ურთიერთობების ახალი საფეხურია. კავშირის მიერ გადაწყვეტილებების მიღება შეძლებისდაგვარად მოქალაქეთა სურვილის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. „კავშირის ამოცანაა თანასწორუფლებიანობისა და სოლიდარობის საფუძველზე განახორციელოს წევრი სახელმწიფოებისა და მათი მოსახლეობის ურთიერთობები"[1].

ევროპის კავშირი განვითარების თანამედროვე ეტაპზე 15 დამოუკიდებელი ქვეყნის კავშირია თავიანთი კონსტიტუციებით, კანონებით, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით.

ამ ქვეყნებმა მიღებული ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინეს, რომ ევროკავშირის ნებისმიერი წევრი სახელმწიფო პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ ევრო-

---

1 ანდრო ღვამიჩავა, ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე, 1998, გვ. 20.

კავშირის სხვა დანარჩენ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების საფუძველზე.

ევროპის კავშირის შემადგენელი ნაწილებია ევროპის სამი დიდი გაერთიანება: ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური გაერთიანება.

ევროპის კავშირის მმართველობითი ინსტიტუტებია: ევროკავშირის პარლამენტი; ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო); ევროკომისია; ევროპის სასამართლო; საანგარიშო პალატა; ევროპის საინვესტიციო ბანკი; ეკონომიკისა და სოციოლოგიის კომიტეტი; რეგიონული კომიტეტი.

ევროპის კავშირის ფულადი სახსრების შევსების ერთ-ერთი წყაროა შემოსავლები საბაჟოებიდან და მსგავსი საკონტროლო პუნქტებიდან, რომლებშიც ბეგარის აკრეფა ხდება იმ საქონლის მიმოსვლის დროს, რომელიც ევროპის კავშირის არაწევრი სახელმწიფოებიდან მოედინება (საბაჟოების მსგავს პუნქტებად იგულისხმება აგრარული პროდუქტის საკონტროლო პუნქტები).

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში 1995 წლის 26 მარტიდან ძალაში შეეიდა კავშირის შიდა საზღვრების თავისუფალი გადალახვის კანონი. გერმანიის, საფრანგეთის და ბენელუქსის სამი ქვეყნის მთავრობებმა 1995 წელს ხელი მოაწერეს შენგენის ხელშეკრულებას. მოგვიანებით ამ ხელშეკრულებას შეუერთდა ავსტრია.

1993 წლის დასაწყისიდან შეიქმნა შიდა ბაზარი. შიდა ბაზარი ის სფეროა, სადაც მთელი ეკონომიკური ცხოვრება მნიშვნელოვანწილად ერთიანი წესებითა და თანაბარი პირობებით მიმდინარეობს. ერთობლივი შიდა ბაზარი არ წარმოიქმნება მხოლოდ იმით, რომ რამდენიმე სახელმწიფო ერთმანეთთან საბაჟოებს გააუქმებს და თავისუფალი ვაჭრობის ზონას ან საბაჟოების კავშირს შექმნის. მათი საზღვრები ასეთ შემთხვევაშიც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ რჩება და საქონელს, მომსახურებას, კაპიტალსა და პიროვნებებს ერთი სახელმწიფოდან მეორეში თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის, ხოლო ხელოსნებსა და მეწარმეებს თავისუფალი დაფუძნების უფლება არა აქვთ. როდესაც რამდენიმე სახელმწიფო საერთო შიდა ბაზარს ქმნის, ყველა ეს შეზ-

ღუდეა უქმდება. ევროკავშირის შიდა ბაზარი 15 სახელმწიფოს მოიცავს.

შიდა ბაზარი არ შემოიფარგლება ევროპის კავშირის საზღვრებით, არამედ მოიცავს ისლანდიას, ნორვეგიასა და ლიხტენშტეინს. ევროკავშირმა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპულმა ასოციაციამ 1994 წლის 1 იანვრიდან შექმნეს ევროპის ეკონომიკური სივრცე. შიდა ბაზარი 373 მილიონი ადამიანისათვის თავისი მსყიდველობითი უნარის მიხედვით უდიდესია მსოფლიოში.

თანდათანობით ხორციელდებოდა საერთო ბაზრის შექმნის შემდეგი შეთანხმებები: 1. უნდა გაუქმებულიყო ყველა საბაჟო და რაოდენობრივი შეზღუდვები (თავისუფალი ვაჭრობის ზონა); 2. ამავე დროს, იმ ქვეყნებთან ვაჭრობის სფეროში, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის ზონებს არ მიეკუთვნებიან, უნდა შემოღებულიყო ერთიანი საბაჟო ტარიფი (ასე წარმოიქმნა საბაჟო კავშირი). საბაჟო კავშირი შეიქმნა 1998 წლის 1 ივნისს. 3. უნდა გაუქმებულიყო ყოველგვარი წინააღმდეგობები პიროვნების საქმიანობისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სფეროში და ყოველივე ამის მარეგულირებელი კანონები იმდენად უნდა მისადაგებულიყო ერთმანეთთან, წევრი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ნორმებთან, რამდენადაც ეს საერთო ბაზრისათვის იქნებოდა საჭირო.

1986 წელს შემუშავდა შიდა ბაზრის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმატიული საფუძვლები და დადგინდა შიდა ბაზრის ამოქმედების თარიღი — 1992 წლის 31 დეკემბერი. შიდა ბაზრის პირობებში ხორციელდება „ოთხი თავისუფლება": საქონლის, პიროვნების, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

საერთო ბაზრის შესაქმნელად საჭირო იყო, ჯერ ერთი, თვალსაჩინო ბარიერების გაუქმება (შლაგბაუმების, სასაზღვრო გადასასვლელების, იმ შენობების, სადაც პასპორტებსა და ნივთებს ამოწმებენ); მეორე, სახელმწიფოებს შორის არსებული უხილავი ზღუდეების დაძლევა.

ევროპის კავშირში გაწევრიანების განაცხადი გაკეთებული აქვთ შემდეგ სახელმწიფოებს: თურქეთს, კვიპროსს, მალტას, შვეიცარიას, პოლონეთს, უნგრეთს და სხვ.

ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტმა 1964 წლის 5 მაისი – ევროპის საბჭოს დაარსების დღე – გამოაცხადა ევროპის დღედ. იგი ყოველწლიურად აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

ევროპის კავშირი საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია. იგი აფართოებს საერთაშორისო კავშირებს სხვა ორგანიზაციებთან; სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებში, შეთანხმებებში წარმოადგენს მხარეს; აქვს 100-ზე მეტი საელჩოარგარეთული წარმომადგენლობა.

საქართველო 1999 წლის 28 იანვარს გახდა ევროპის საბჭოს წევრი. ეს ქვეყანას უხსნის გზას ევროპის კავშირისაკენ.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება პარაფირებულია 1995 წლის 15 დეკემბერს, ერთი მხრივ, ევროპის გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს (ბელგიის სამეფო, დანიის სამეფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო, საფრანგეთის რესპუბლიკა, ირლანდია, იტალიის რესპუბლიკა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ნიდერლანდების სამეფო, ავსტრიის რესპუბლიკა, პორტუგალიის რესპუბლიკა, ფინეთის რესპუბლიკა, შვედეთის სამეფო), მეორე მხრივ, საქართველოს შორის. ამ შეთანხმების მიხედვით, „მხარეები მიანიჭებენ ერთმანეთს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ყველა სფეროში შემდეგი მიმართულებებით: საბაჟო მოსაკრებელი და გადასახდელები გამოყენებული იმპორტისა და ექსპორტისათვის, მათი შეგროვების მეთოდის გათვალისწინებით, დებულებები, რომლებიც ეხება საბაჟო კლირინგს, ტრანზიტს, დასაწყობებასა და გადმოტვირთვას; ნებისმიერი სახეობის ბაჟი და სხვა შიდა გადასახდელები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიყენება იმპორტული საქონლისათვის"[1].

შეთანხმების შესაბამისად (მუხლი 45), გაერთიანება და საქართველო დაამყარებენ ფართომასშტაბიან ეკონომიკურ თანამშრომლობას, რათა ხელი შეუწყონ ეკონომიკური რეფორმებისა და აღდგენის პროცესს, საქართველოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. ასეთი თანამშრომლობა ხელს უწყობს ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წლის 18 ივლისი.

თანამშრომლობის მიზანია პატიოსანი ვაჭრობისა და საქართველოს საბაჟო სისტემის მიახლოება გაერთიანების სისტემასთან. თანამშრომლობა კონკრეტულად მოიცავს: კომბინირებული ნომენკლატურის და ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის მიღებას; გაერთიანებისა და საქართველოს სატრანზიტო სისტემების ურთიერთკავშირს; საქონლის ტრანსპორტირების ინსპექციისა და ფორმალობათა გამარტივებას; თანამედროვე საბაჟო საინფორმაციო სისტემების დანერგვის მხარდაჭერას; სემინარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას; ტექნიკური დახმარება აღმოჩენილ იქნება საჭიროებისამებრ.

შეთანხმების შესაბამისად მხარეები ეხმარებიან ერთმანეთს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ოქმით გათვალისწინებული პირობების თანახმად, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ზომების მიღების, ასეთ დარღვევათა გამომჟღავნებისა და გამოძიების საქმეში.

საერთაშორისო საბაჟო კონფერენციები. საერთაშორისო კონფერენცია ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების შეხვედრაა საბაჟო ურთიერთობის საკითხების განხილვისა და მათ თაობაზე შეთანხმების მიღწევისათვის (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, განცხადება და ა. შ.). ეკონომიკური კონფერენციები განიხილავენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს საგარეო ვაჭრობის, საბაჟო რეჟიმების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო პრივილეგიებისა და იმუნიტეტების ყველაზე აქტუალურ საკითხებს; დიპლომატიური კონფერენციები ეძღვნება სამართლის კოდიფიკაციის საკითხებს საბაჟო საქმის დარგში სპეციალური ხელშეკრულებებისა და კონვენციების შემუშავებისა და მიღებისათვის.

საერთაშორისო კონფერენციები, როგორც წესი, თავდება საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის დადგენით; მისი ხელმოწერა შეიძლება იქვე ან მომდევნო კონფერენციაზე, რომელსაც მხოლოდ ამისათვის იწვევენ. უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კონფერენციები საბაჟო ურთიერთობების საკითხებზე გაიმართა 1998-2003 წლებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია. იგი შეიქმნა 1964 წლის ივნისში კონ-

ფერენციის პირველი სესიის დასკვნითი აქტისა და გაეროს გენერალური ასამბლეის მეცხრამეტე სესიის რეზოლუციის საფუძველზე. კონფერენციის მონაწილეა 185 სახელმწიფო.

კონფერენციის ძირითადი ფუნქციებია: საერთაშორისო ვაჭრობის წახალისება, სახელმწიფოებისა და რეგიონული ეკონომიკური დაჯგუფებების პოლიტიკის შეთანხმება ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების საკითხებთან (საბაჟო, საფინანსო და სხვ.), საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში (მათ შორის საბაჟო დარგში) გაეროს სხვა დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციისათვის ხელის შეწყობა.

კონფერენცია ატარებს მუშაობას საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საბაჟო და სხვა ნეგატიური ბარიერების შემცირებისა და ლიკვიდაციის დარგში.

ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის კომპეტენციაში შედის იმ პრინციპებისა და პოლიტიკის შემუშავება, რომლებიც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობას, აგრეთვე, სახელმწიფოთა ეროვნული საბაჟო პოლიტიკის კოორდინაციას.

კონფერენციის ძირითადი ორგანოებია: სესია, რომელსაც იწვევენ მონაწილე ქვეყნების მინისტრების დონეზე ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც, და ვაჭრობისა და განვითარების საბჭო, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება. საბჭოს გადაწყვეტილებებს რჩევების ძალა აქვთ. კონფერენციის სამდივნო გაერთიანებულია გაეროს სამდივნოში; მისი შტაბ-ბინა ჟენევაშია.

საერთაშორისო საბაჟო კონვენციები და შეთანხმებები

საერთაშორისო საბაჟო სამართლის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია საბაჟო საქმის საკითხებზე ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებანი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები.

საერთაშორისო ხელშეკრულება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროა. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი, იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ საერთა-

შორისო ხელშეკრულებათა დადებისა და შეწყვეტის წესს, მათი იურიდიული ძალის ნამდვილობის პირობებს; ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების მოწესრიგების საშუალებებს[1].

საერთაშორისო სამართლის სუბიექტები – სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები – საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარეებია. ხელშეკრულებანი განსხვავდებიან მხარეთა რაოდენობის მიხედვით. *ორმხრივი ხელშეკრულებები* სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ყველაზე ტიპური და მრავალრიცხოვანი სახეა. დღეისათვის მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულ ათასს შეადგენს. მრავალმხრივი ხელშეკრულებებია, რომელთა მეშვეობით იქმნება საერთაშორისო უნივერსალური და რეგიონული ორგანიზაციები, წესდება საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმები, ყალიბდება უშიშროების უზრუნველყოფის ნორმები და სხვა. დღეისათვის არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებათა მრავალი სახელწოდება: ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია და სხვა.

ხელშეკრულება ყველაზე ფართოდ მიღებული ტერმინია, რომელიც ყველა სახის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებებს ასახავს.

შეთანხმება ეწოდება იმ სახელმწიფოთაშორისო აქტებს, რომლებიც იდება მთავრობის მიერ ან მათი რწმუნების საფუძველზე.

კონვენცია ისეთი სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებაა, რომელიც რაიმე სპეციალურ დარგს ეხება და სპეციალურ დანიშნულებით ხასიათს ატარებს.

მრავალმხრივ საბაჟო შეთანხმებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებებია:

- *კონვენცია საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების საერთაშორისო კავშირის შექმნის შესახებ* (ბრიუსელი, 1890 წლის 5 ივლისი) და *ოქმი მასში ცვლილებების შეტანის შესახებ*, ხელმოწერილი იქვე, ბრიუსელში, 1949 წლის 16 დეკემბერს. ყოფილი სსრ კავშირი შეუერთდა კონვენციას 1935 წელს;
- *კონვენცია საბაჟო ფორმალურობის გამარტივების შესახებ* (ჟენევა, 1923 წლის 3 ნოემბერი);

---

1 ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001, გვ. 77.

- *კონვენცია ალკოჰოლური საქონლით კონტრაბანდის აღკვეთის შესახებ* (ჰელსინკი, 1925 წლის 19 აგვისტო) და *ოქმი ადნიშნულ კონვენციაში დამატებების თაობაზე* (მოსკოვი, 1926 წლის 24 აპრილი). ყოფილი სსრ კავშირი მონაწილეობდა კონვენციაში 1925 წლიდან;
- *კონვენცია ტურისტებისათვის საბაჟო შღავათების შესახებ* (ნიუ-იორკი, 195 წლის 4 ივნისი);
- *გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე* (1947 წლის 30 ოქტომბერი);
- *საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის აღწერასა და საქონლის კოდირებაზე* (ბრიუსელი, 1983 წლის 14 ივნისი);
- *ვენის 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ*;
- *საერთაშორისო კონვენცია საზღვრებზე ტვირთების გადაზიდვის კონტროლის პირობების შეთანხმების შესახებ* (შედგა 1982 წლის 21 ოქტომბერს, ჟენევაში).
- *შეთანხმება საბაჟო პოლიტიკის პრინციპების შესახებ* (მოსკოვი, 1992 წლის 15 აპრილი);
- *შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ* (1971 წლის 23 მარტი);
- *შეთანხმება წარმოშობის წესის შესახებ* (1986 წლის 20 სექტემბერი);
- *შეთანხმება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ* (საქართველო შეუერთდა 2000 წლის 26 აპრილის პარლამენტის დადგენილებით);
- *შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ* (საქართველო შეუერთდა 2000 წლის 20 აპრილის პარლამენტის დადგენილებით);
- *1961 წლის ვენის კონვენცია დიპლომატიური უფლებების შესახებ*;
- *1963 წლის ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ*;
- *ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ* (საქართველო შეუეროდა პრეზიდენტის 1999 წლის 4 მაისის №232 ბრძანებულებით);

- *თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუსი* (ბარსელონა, 1921 წლის 20 აპრილი);
- *კონვენცია იმ სახელმწიფოთა სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ*, რომელთაც არა აქვთ გასასვლელი ზღვაზე, ნიუ-იორკი, 1965 წლის 8 იულისი);
- *კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულებების შესახებ* (1956 წლის 19 მაისი, ჟენევა);
- *შეთანხმება საფოსტო ამანათებზე* (სეული, 1994 წლის 14 სექტემბერი);
- *შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ* (მოსკოვი, 1995 წლის 3 ნოემბერი);
- *საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ*, ჩიკაგოს 1944 წლის კონვენცია;
- *შეთანხმება სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ* (მსო-ის დოკუმენტი. საქართველო შეუერთდა 2000 წლის 20 აპრილს);
- *შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის გამოყენების შესახებ* (მსო-ს დოკუმენტი. საქართველო შეუერთდა 2000 წლის 20 აპრილს);
- *ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენცია* (1988 წლის 19 დეკემბერი).
- *კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია* (ჟენევა, 1956 წლის 18 მაისი);
- *საბაჟო წესების დარღვევათა აღკვეთის, გამოძიებისა და შეზღუდვების სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ* (შესრულებულია ნაირობში, 1977 წლის 9 ივნისს) და სხვა.

განვიხილოთ ზოგიერთი საეროაშორისო კონვენცია და შეთანხმება, მოკლედ და გასაგებად განვმარტოთ მათი მნიშვნელობა და მიზნები.

I. 1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (მსო-ის დოკუმენტი. საქართველო შეუერთდა 2000 წლის 20 აპრილს). შეთანხმების თანახმად (მუხლი 1), ნებისმიერი უპირატესობა, ხელშეწყობა, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელიც შეთანხმების მონაწილე რომელიმე მხარემ მიანიჭა რომელიმე

სხვა ქვეყანაში შექმნილ, ან რომელიმე სხვა ქვეყნისათვის განკუთვნილ ნებისმიერ საქონელს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენი მხარის ტერიტორიებისათვის განკუთვნილ მსგავს საქონელს (უპირატესი ხელშეწყობის საერთაშორისო რეჟიმი).

შეთანხმების რომელიმე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი ან ნებისმიერი სხვა მონაწილე მხარის ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონელი არ უნდა იბეგრებოდეს... ნებისმიერი შიდა გადასახადებით ან სხვა შიდა მოსაკრებლებით, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად აღემატება იმ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებიც გამოიყენება მსგავსი შიდა პროდუქციის მიმართ.

ტრანზიტი თავისუფალი უნდა იყოს შეთანხმების თითოეული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე იმ გზებით, რომლებიც ყველაზე მეტად მოსახერხებელია საერთაშორისო ტრანზიტისათვის, სატრანზიტო გადაზიდვებისათვის სხვა მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან.

შეთანხმების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მის ტერიტორიაზე სატრანზიტო გადაზიდვები განხორციელდეს შესაბამისი შემომსვლელი საბაჟო პუნქტის გაყლით, მაგრამ მოქმედი კანონებისა და წესების დაცვით.

შეთანხმება მიუთითებს, რომ სატრანზიტო გადაზიდვები შეთანხმების სხვა მონაწილე მხარეების ტერიტორიიდან ან ტერიტორიაზე უმიზეზოდ არ უნდა შეფერხდეს და უნდა გათავისუფლდეს საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან.

შეთანხმების მონაწილე მხარეებმა აღიარეს, რომ დემპინგის გამოყენება, რომლის დროსაც საქონელი ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გასაყიდად შედის საქონლის ჩვეულებრივ ღირებულებაზე უფრო დაბალი ფასით, ჩაითვლება უსამართლოდ, თუ ის მატერიალურ ზარალს აყენებს შეთანხმების მონაწილე მხარის მრეწველობას ან ქმნის ასეთი ზარალის გამოწვევის საფრთხეს, ანდა არსებითად აფერხებს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

შეთანხმებაში მოცემულია შეფასება საბაჟო მიზნებისათვის. მე-8 მუხლის თანახმად, ყველა საბაჟო შესატანი და მოსაკრებელი, რომელიც შემოღებულია შეთანხმების მონაწილე მხარეების

მიერ ნებისმიერი სახით საქონლის იმპორტზე ან ექსპორტზე, არ უნდა აღემატებოდეს შეთავაზებული მომსახურების მიახლოებით ღირებულებას.

მნიშვნელოვანი შეთანხმებაა ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის გამოყენებაზე. ამ შეთანხმებაში განმარტებულია დემპინგის ცნება.

ტარიფებსა და ვაჭრობაზე შეთანხმების მიზნებისათვის პროდუქცია განიხილება, როგორც დემპინგის ობიექტი, ანუ როგორც სხვა ქვეყნის ბაზარზე შესული მის ნორმალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით, თუკი ერთი ქვეყნიდან მეორეში ექსპორტირებული მოცემული პროდუქციის საექსპორტო ფასი უფრო დაბალია, ვიდრე ჩვეულებრივი ვაჭრობის პროცესში იმ მსგავს პროდუქციაზე არსებული ფასი, რომელიც განკუთვნილია ექსპორტიორ ქვეყანაში მოხმარებისათვის.

შეთანხმებაში განსაზღვრულია, თუ რა პირობებში უნდა იქნეს შემოღებული ანტიდემპინგური ბაჟით დაბეგვრა. ანტიდემპინგური ბაჟი მოქმედებს დროის იმ პერიოდის განმავლობაში და ისეთ ფარგლებში, რაც აუცილებელია დემპინგის, როგორც ზარალის გამომწვევი ფაქტორის გასანეიტრალებლად[1].

2. 1980 წლის ვენის კონვენცია, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ, წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო უნიფიკაციას, რომელიც აწესრიგებს ხელშეკრულების ძირითად სახეს – ყიდვა-გაყიდვას. კონვენციის მიხედვით, „ხელშეკრულებები საქონლის მიწოდებაზე, რომელიც ექვემდებარება დამზადებას ან წარმოებას, ითვლება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებად, თუ მხარე, რომელმაც საქონელი შეუკვეთა, არ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს იმ მასალის არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დამზადებისათვის".

ვენის კონვენცია არეგულირებს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების დადებას და აგრეთვე მყიდველისა და გამყიდველის იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც წარმოიშობა ასეთი ხელშეკრულებიდან.

---

1 *წყარო:* გონერ ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, თბ., 2001.

3. საერთაშორისო კონვენცია საზღვარზე ტვირთების გადასვლის კონტროლის პროცედურების შეთანხმების შესახებ

(მიღებულია 1982 წლის 21 ოქტომბერს, ჟენევაში) მიზნად ისახავს „ფორმალობის დაცვასთან მიმართებაში მოთხოვნილებათა შემცირებას და, აგრეთვე, კონტროლის სახისა და ხანგრძლივობის გაიოლებას კონტროლის პროცედურის და მეთოდების გამოყენების ეროვნულ და საერთაშორისო კოორდინაციით“. კონვენცია გამოიყენება ყველა ტვირთის მიმართ, რომელიც ტვირთის შემოტანის, ტრანზიტის ან გატანის დროს კვეთს ერთ ან მეტ საზღვაო, საჰაერო ან სახმელეთო საზღვარს; კონვენცია გამოიყენება ხელშემკვრელი სახელმწიფოების ყველა სამსახურის მიერ.

კონვენციის მიხედვით, „ყველა საზღვარზე საბაჟოების არსებობისა და მათი მუშაობის საერთო ხასიათის გათვალისწინებით, სხვა სახის კონტროლის ორგანიზაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, კოორდინირდება საბაჟო კონტროლთან“. საბაჟო უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას იმ იერიდიული მითითებებისა და წესების თაობაზე, რომლებმაც შეიძლება მოითხოვონ საბაჟო კონტროლისაგან განსხვავებული კონტროლის სხვა სახეების განხორციელება.

კონვენციიდან: „კონტროლის ორგანიზაცია: იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ერთ ადგილას რამდენიმე სახის კონტროლის ჩატარება, კომპეტენტური სამსახურები ღებულობენ ყველა სათანადო ზომას, რათა კონტროლი ჩატარდეს ერთდროულად, ან რაც შეიძლება მოკლე დროში. საბაჟოებს შეუძლიათ, კომპეტენტური ორგანოების მიერ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებით ჩაატარონ კონტროლის ყველა ან ზოგიერთი სახე, რომელთა გამოც პასუხისმგებლობას თავად კისრულობენ“.

კონვენციის თანახმად, „ჩატარებული კონტროლის შედეგების საფუძველზე კომპეტენტური სამსახურები ღებულობენ გადაწყვეტილებას – როგორ მოიქცნენ შემდგომში მოცემულ ტვირთთან მიმართებაში. აუცილებლობის შემთხვევაში ინფორმირებენ ამის შესახებ კომპეტენტურ სამსახურებს, რომლებიც ატარებენ კონტროლის სხვა სახეს. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ასეთი სახის ტვირთებისათვის საბაჟო განსაზღვრავს სათანადო საბაჟო რეჟიმს“.

კონვენციაში გამოყენებულია გამოთქმები: „საბაჟო კონტროლისა და კონტროლის სხვა სახეების შეთანხმება“; „სხვა სახის

კონტროლის ორგანიზაცია"; „რამდენიმე სახის კონტროლის ჩატარება"; „კონტროლის ყველა ან ზოგიერთი სახე"; „კონტროლის სახეობათა კოორდინაცია" და სხვა. საერთაშორისო კონვენცია ცნობს საბაჟო კონტროლისა და კონტროლის სხვა სახეებს: სამედიცინო-სანიტარიული კონტროლი, ვეტერინარული კონტროლი, ფიტოსანიტარიული კონტროლი, ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი, ხარისხის კონტროლი.

კონვენციის დანართებში (1-6 დანართი) ნაჩვენებია კონტროლის აღნიშნული სახეების განხორციელების წესები[1].

4. ვენის კონვენცია საბაჟო ტრანზიტის შესახებ (1971 წლის 7 იანვისი). მასში განხილულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმისა და გზებისა და მიმართულებების ნუსხების განსაზღვრის საკითხები.

5. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებმა 1992 წლის 13 მარტს მოსკოვში მოლაპარაკების შედეგად მიიღეს *„შეთანხმება საბაჟო პოლიტიკის პრინციპების შესახებ"*. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანმა, სომხეთმა, ბელორუსიამ, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, მოლდოვამ, რუსეთის ფედერაციამ, ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა, თურქმენეთმა, უკრაინამ. შეთანხმებას ხელი არ მოაწერა უკრაინამ და აზერბაიჯანმა.

ამ შეთანხმების შესაბამისად შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომელიც თავისი ფუნქციების სასლვრებში წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს (მუხლი 1). ამ შეთანხმების მეხუთე მუხლის შესაბამისად დაფუძნდა საბაჟო კავშირის საბჭო. იგი წარმოადგენს საბაჟო კავშირის უმაღლეს ორგანოს. საქართველო არ შევიდა საბაჟო კავშირში.

6. ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ" შედგება 53 მუხლისაგან. მასში განსაზღვრულია დიპლომატიური წარმომადგენლობების პრივილეგიები და იმუნიტეტები, მათ შორის საბაჟო შეღავათები.

კონვენციის მიხედვით (მუხლი 23), მაკრედიტებელი სახელმწიფო და წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო, რაიონული თუ მუნიციპალური გადასახდე-

---

1 *წყარო:* საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული, (ორ წიგნად), წიგნი I, თბ., 2002, გვ. 262-274.

ლებისაგან, წარმომადგენლობების საკუთარი თუ დაქირავებული ნაგებობებისათვის მოსაკრებლებისა თუ ბეგარისაგან, რომელიც კონკრეტული სახეობის მომსახურების გადასახდელია.

კონვენციის 28-ე მუხლის მიხედვით, გასამრჯელო და მოსაკრებლები, რომლებსაც წარმომადგენლობა იღებს თავისი ოფიციალური მოვალეობის შესრულებისას, თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან.

7. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე (1985 წლის სექტემბერი) მიღებულ იქნა ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი, რომელიც აღიარეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა.

ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებაა. მასში გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ტენდენციები და ნაჩვენებია ტურიზმის ადგილი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ცხოვრებაში. ორივე დოკუმენტი 14 მუხლისაგან შედგება; ეს მუხლები მოიცავენ ტურიზმის ყველა მიმართულებასა და ტურისტის ქცევის წესებს. მთელ მსოფლიოში აღიარებულია თითოეული ადამიანის უფლება დასვენების, თავისუფალი დროის გამოყენებისა და სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა, პერიოდული ხელფასიანი შვებულების ჩათვლით; აგრეთვე უფლება თავისუფალი, შეუზღუდავი გადაადგილებისა. ამ უფლების გამოყენება სოციალური თანასწორობის, ეროვნული და საყოველთაო ცნობიერების ამაღლების ფაქტორია.

ამ უფლების თანახმად, თითოეული სახელმწიფო მოვალეა შეიმუშაოს და განახორციელოს შიდასაქვეყნო და საერთაშორისო ტურიზმის ჰარმონიული განვითარების უსრუნველყოფისაკენ მიმართული პოლიტიკა, აგრეთვე იღვწოდეს იმ ადამიანთა დასვენების ორგანიზაციისათვის, ვინც ამით სარგებლობს.

ამ მიზნით თითოეული სახელმწიფო მოვალეა:

- ისრუნოს როგორც შიდასაქვეყნო, ისე საერთაშორისო ტურიზმის მოწესრიგებული და ჰარმონიული განვითარებისათვის;
- შეუფარდოს ტურიზმის პოლიტიკა საერთო განვითარების პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, გააფართოოს თანამ-

შრომლობა ტურიზმის სფეროში როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე და ამ მიზნით გამოიყენოს საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის შესაძლებლობებიც;

- იზრუნოს ღონისძიებათა გატარებისათვის იმ მიზნით, რომ თითოეულ ადამიანს მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს *შიდასაძვეყნო და საერთაშორისო ტურიზმში*, განსაკუთრებით სამუშაო და თავისუფალი დროის რეგულირებით, ყოველწლიური ხელფასიანი შვებულებების სისტემის გაუმჯობესებით და ამ შვებულებათა დღეების თანაბარზომიერი განაწილებით მთელი წლის მანძილზე, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს *ახალგაზრდული, ხანდაზმულთა და ფიზიკური ნაკლის მქონეთა ტურიზმის განვითარებას*;
- დაიცვას დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის ტურისტული გარემო, რომელიც აერთიანებს ადამიანს, ბუნებას, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და კულტურას და მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა.
- ტრანზიტისა და დროებითი გაჩერების ადგილებში ადგილობრივი მოსახლეობა მოვალეა ტურისტებს შეხვდეს სტუმართმოყვრულად, მოექცეს თავაზიანად და პატივისცემით, რაც აუცილებელია ჰარმონიული ადამიანური და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის.
- აუცილებელია ტურიზმის სფეროს მუშაკებსა და ტურიზმისა და მოგზაურობებისათვის გამწევთ, შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობების მეშვეობით, შეუქმნან სათანადო პირობები, რაც მათ საშუალებას მისცემს:
- აკეთონ თავიანთი საქმე ხელსაყრელ პირობებში, ყოველგვარი დაბრკოლებისა და დისკრიმინაციის გარეშე;
- გამოიყენონ საერთო და ტექნიკური პროფესიული მომსახურება როგორც თვით ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ ადამიანთა კვალიფიციური რესურსებით უზრუნველყოფისათვის;
- ითანამშრომლონ ერთმანეთთან, აგრეთვე საზოგადოებრივ ხელისუფლებასთან ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მათი საქმიანობის უკეთ კოორდინაციისა და მათ მიერ შეთავაზებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

- ტურისტები თავიანთი ქცევით უნდა განამტკიცებდნენ ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და მეგობრულ ურთიერთობებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რითაც ხელს შეუწყობენ მშვიდობის შენარჩუნებას.
- ტრანზიტისა და დროებითი გაჩერების ადგილებში ტურისტები პატივს უნდა სცემდნენ არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ თუ რელიგიურ წყობილებას და ემორჩილებოდნენ იქ მოქმედ კანონებსა და წესებს. ეს კოდექსის მთავარი მოთხოვნაა. ამავე ადგილებში ტურისტები მოვალენი არიან:
- განსაკუთრებული გაგებით მოეკიდონ მოსახლეობის ადათ-წესებს, რწმენასა და საქციელს, გამოიჩინონ განსაკუთრებული პატივისცემა ადგილობრივ მკვიდრთა ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების მიმართ;
- თავი შეიკავონ მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სხვაობის ხაზგასმისგან;
- გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისყური ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის მიმართ, რომელიც კაცობრიობის საერთო მონაპოვრის განუყოფელი ნაწილია;
- არ დაუშვან სხვა პირთა ექსპლუატაცია პროსტიტუციის მიზნით;
- თავი შეიკავონ ნარკოტიკებით თუ სხვა აკრძალული პრეპარატებით ვაჭრობისაგან, მათი გადატანისა და გამოყენებისაგან.

8. საბაჟო წესების დარღვევათა აღკვეთის, გამოძიებისა და შეზღუდვის სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ (ნაირობის კონვენცია). კონვენცია ოთხი კარისა და ათი დანართისაგან შედგება. კონვენციამ მიიჩნია, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები ზიანს აყენებენ ეკონომიკას, ქვეყნის სოციალურ და ფინანსურ ინტერესებს და კანონიერ ვაჭრობას; ამასთან, საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია საბაჟო ორგანოების ურთიერთთანამშრომლობით.

ტერმინი „საბაჟო კანონმდებლობა“ ნიშნავს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს, დადგენილებებს, ბრძანებებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც დადგენილია საბაჟო ორგანოების მიერ ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის მიმართებაში. „საბაჟო დარღვევა“ ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას ან დარღვე-

ვის მცდელობას, ხოლო „საბაჟო დარღვევები“ გულისხმობს საბაჟო დარღვევას, რომლის დროსაც პიროვნება მალავს სრულ ინფორმაციას, რითაც ნაწილობრივ ან მთლიანად თავს არიდებს იმპორტის, ექსპორტის და სხვა სახის გადასახადების გადახდას, რომლებიც დაწესებულია საბაჟო კანონმდებლობით ან ღებულობს საბაჟო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ უპირატესობას.

კონვენციის (მუხლი 3) წევრ ქვეყანას შეუძლია არ გაუწიოს თანამშრომლობა სხვა წევრ ქვეყანას იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია ზიანს მიაყენებს კანონიერ ბიზნესს, არის კომერციული საიდუმლოება ან საშიშროებას უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას.

კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ და საბაჟო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საჭირო ზომების მიღება, რათა თავიდან აიცილონ საბაჟო წესების დარღვევები და განაზოგადონ კონვენციის მიზნები.

კონვენციის დანართებში განსაზღვრულია ინფორმაციის მიწოდების პირობები. პირველი დანართის მიხედვით, მონაწილე მხარის საბაჟო ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით მეორე მხარის საბაჟო ორგანოს შეატყობინოს არსებითი მნიშვნელობის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია ამ მხარის მიერ და იძლევა ვარაუდს იმის თაობაზე, რომ სერიოზული საბაჟო წესების დარღვევას ექნება ადგილი მეორე მხარის ტერიტორიაზე. გადასაცემი ინფორმაცია შეეხება პიროვნებების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას.

საბაჟო ორგანო თავისი ინიციატივით გადასცემს მეორე მხარის საბაჟო ორგანოს დოკუმენტებს, ანგარიშებს, მტკიცებულებებს ან დამოწმებულ ასლებს. გარდა ამისა, ინფორმაცია უნდა შეიცავდეს დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალ მეთოდებს.

მონაწილე მხარის საბაჟო ორგანოს მოთხოვნით, რომელსაც აქვს საკმარისი საფუძველი ივარაუდოს, რომ ჩადენილია მნიშვნელოვანი საბაჟო წესების დარღვევა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე, მოთხოვნის მიმღები მონაწილე მხარის საბაჟო ორგანო გადასცემს მას ყველა შესაბამის ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება იმპორტისა და ექსპორტის საბაჟო გადასახადებით და სხვა გადასახადებით სწორად დაბეგვრის უზრუნველყოფაში.

კონვენცია მოითხოვს მონაწილე მხარისაგან პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა, მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს სასარგებლო ინფორმაცია ან დოკუმენტები:

- *საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენის მიზნით* – კომერციული ინვოისები;
- *საქონლის სატარიფო კლასიფიკაციის მიზნით* – ანალიზი, რომელიც შესრულებულია ლაბორატორიული სამსახურების მიერ საქონლის სატარიფო კლასიფიკაციის დასადგენად; ტარიფის აღწერა, რომელიც შესრულებულია იმპორტირებისა და ექსპორტირებისათვის;
- *საქონლის წარმოშობის მიზნით* – წარმოშობის დეკლარაცია.

კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით შეტყობინებები ითვალისწინებენ ინფორმაციას: *პირუტყვებების შესახებ*, რომლებიც გასამართლებულები არიან კონტრაბანდისათვის; *სადაც მისალებია, პირუტყვებების შესახებ*, რომლებსეც არსებობს ეჭვი კონტრაბანდის ჩადენის შესახებ ან რომლებიც დაპატიმრებულები არიან შეტყობინების გამგზავნი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ჩადენილი კონტრაბანდისათვის, მაშინაც კი, როდესაც პროცესუალური მოქმედებები ჯერ არ დამთავრებულა.

ინფორმაცია იგზავნება მხოლოდ ისეთი დანაშაულის მიმართ, რომლის ჩადენის შემთხვევაში სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმა აღემატება 2000 აშშ დოლარის ექვივალენტს.

კონვენციის მიხედვით, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას კონტრაბანდისა და სხვა თაღლითობის ჩადენის, დამალვის მეთოდების, ფალსიფიკაციისა და გაყალბებით თაღლითობით ჩადენის მეთოდების შესახებ.

მონაწილე მხარეები ერთმანეთს აწვდიან ცნობილი, ახალი, უჩვეულო და შესაძლებელი მეთოდების ყოველი გამოყენების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს ამ სფეროში მიმდინარე ტენდენციების დადგენა.

გასაგზავნი ინფორმაცია შეიცავს მონაცემებს:

- კონტრაბანდისა და სხვა თაღლითობის ჩადენის მეთოდების აღწერა; გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების აღწე-

რა; კონტეინერებისა და ავტოტრანსპორტის სერტიფიკატების მონაცემები, ნიშნები და სხვა;

- სამალავი ადგილის აღწერა (ფოტოსურათი ან ესკიზი);
- საქონლის აღწერა;
- სიყალბის, ფალსიფიკაციის სახე, გაყალბებული და ფალსიფიცირებული დოკუმენტები, საბაჟო ბეჭდები, სარეგისტრაციო ფირფიტა;

სხვა მონაცემები, იმ გარემოებების ჩათვლით, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის აღმოჩენას.

9. ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ.

კონვენციაში აღნიშნულია სახიფათო და სხვა ნარჩენებით და მათი საზღვარგადამკვეთი გადაზიდვით ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის ზარალის მიყენების რისკი და საფრთხე.

ამგვარი ნარჩენების მიერ შექმნილი საფრთხისაგან ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ქვეშ ეფექტურ ხერხად მინნეულია მათი რაოდენობის ან სახიფათო პოტენციალის თვალსაზრისით მათი წარმოების მინიმუმამდე დაყვანა.

კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოთა მიერ მიღებულ უნდა იქნეს აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახიფათო და სხვა სახის ნარჩენთა მართვა, მათი საზღვარგადამკვეთი გადაზიდვებისა და განთავსების ჩათვლით, თავსებადი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვასთან.

კონვენცია შედგება 29 პარაგრაფისაგან: კონვენციის მოქმედების სფერო; განსაზღვრებანი; სახიფათო ნარჩენთა ეროვნული განსაზღვრებანი; ზოგადი ვალდებულებანი; კომპეტენტური ორგანოებისა და პასუხისმგებელი პირის დანიშვნა; მხარეთა შორის საზღვარგადამკვეთი გადაზიდვა; საზღვარგადამკვეთი გადაზიდვა მხარე-სახელმწიფოდან არამხარე-სახელმწიფოების გავლით; უკანონო ბრუნვა; საერთაშორისო თანამშრომლობა; ორმხრივი, მრავალმხრივი და რეგიონული შეთანხმებანი; კონსულტაციები პასუხისმგებლობის შესახებ; ინფორმაციის გადაცემა; ფინანსური ასპექტები; მხარეთა კონფერენცია; სამდივნო; შესწორებები კონვენციაში; დანართების მიღება და მათში შესწორებათა შეტანა; დამოწმება (დასტური); დავის მოწესრი-

ბება; ხელის მოწერა; რატიფიკაცია, მიღება, ოფიციალური დასტური ან დამტკიცება; მიერთება; ხმის უფლება; დამატებითი პირობები და განცხადებები; გამოსვლა; დეპოზიტარი; აუთენტური ტექსტები.

ბაზელის კონვენცია განიხილავს კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიებს ექვს დანართში: ნარჩენების ნაკადი; კატეგორიები ნარჩენებისა, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ განხილვას; სახიფათო ნარჩენების ჩამონათვალი; განთავსება; შეტყობინებისას მიწოდებული ინფორმაცია; ბრუნვის დოკუმენტზე მოწოდებული ინფორმაცია; არბიტრაჟი.

კონვენციაში მოცემულია სახიფათო ნარჩენების ჩამონათვალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციით: ფეთქებადი ნივთიერებები; აალებადი სითხეები; აალებადი მყარი ნივთიერებები; თვითაალებადი ნივთიერებები და ნარჩენები; დამჟანგავი ნივთიერებები; ორგანული ზეჟანგები; შხამები (მწვავე); მაინფიცირებელი ნივთიერებები; კოროზიული ნივთიერებები; ტოქსიკური ნივთიერებები (დაყოვნებული ან ქრონიკული); წყალთან ან ჰაერთან შეხებისას გაზების (აირების) გამოყოფა; ეკოტოქსიკური ნივთიერებები.

მხარეები ურთიერთთანამშრომლობენ სახიფათო და სხვა ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებული მართვის მიღწევის მიზნით. ამ მიზნით მხარეები:

- მოთხოვნისთანაევ ხელმისაწვდომს გახდიან ინფორმაციას ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე;
- ითანამშრომლებენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით სახიფათო ნარჩენების მართვის შედეგების მონიტორინგის დარგში;
- თავიანთი ეროვნული კანონების, წესებისა და პოლიტიკის შესაბამისად ითანამშრომლებენ ახალი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებული, მცირენარჩენიანი ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებაში, არსებული ტექნოლოგიების სრულყოფაში, სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების წარმოების შეძლებისდაგვარად ლიკვიდაციის და მათი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებული გზით მართვის უზრუნველსაყოფად უფრო ეფექტური და ქმედითი მეთოდების მიღწევის მიზნით, მათ შორის ამგვარი ახალი ან გაუმჯობე-

სებული ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების შესწავლაში[1].

10. საფოსტო ამანათებზე შეთანხმება (ქ. სეული, 1994 წლის 14 სექტემბერი. საქართველო შეუერთდა 1999 წლის 23 ივლისს). ამ კონვენციით იკრძალება ყველა კატეგორიის ამანათებში შემდეგი საგნების მოთავსება:

- საგნებისა, რომლებიც თავიანთი ხასიათით ან შეფუთვით საფრთხეს წარმოადგენენ ფოსტის მუშაკებისათვის, დასვარონ ან გააფუჭონ სხვა ამანათები ან საფოსტო მოწყობილობები;
- ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების;
- დოკუმენტებისა, რომლებსაც აქვთ მიმდინარე და პირადი მიმოწერის ხასიათი;
- ცოცხალი ცხოველები, თუ მათი ფოსტით გადაგზავნა დაშვებული არ არის დაინტერესებული ქვეყნების საფოსტო წესებით;
- ფეთქებადი, ააალებადი ან სხვა საშიში ნივთიერებები;
- რადიაქტიური ნივთიერებები;
- უხამსი და უზნეო ხასიათის საგნები;
- საგნები, რომელთა შეტანა ან მიმოქცევა აკრძალულია დანიშნულების ქვეყანაში.

შეთანხმების 23-ე მუხლის თანახმად, მიწოდების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას და დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას უფლება აქვთ ამ ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად ამანათები საბაჟო კონტროლს დაუქვემდებარონ.

ამანათებისათვის, რომლებიც საბაჟო შემოწმებას ექვემდებარებიან მიწოდების ქვეყანაში, კონვენციის თანახმად, შეიძლება აიღონ ტარიფი საბაჟოში წარდგენისათვის არა უმეტეს 0,65 სსუ-ს (სესხების სპეციალური უფლება) ოდენობისა ერთი ამანათისათვის. ტარიფის გადახდა ხდება ამანათის მიწოდებისას.

ამანათებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან საბაჟო შემოწმებას დანიშნულების ქვეყანაში, შეიძლება აიღონ ტარიფი არა უმეტეს 3,27 სსუ-ს ოდენობისა ერთი ამანათისათვის. ეს ტარიფი აიღება მხოლოდ საბაჟოში წარდგენისათვის, ან იმ

---

1 წყარო: ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული, წიგნი 2, გვ. 211-235.

გზავნილების საბაჟო დათვალიერებისათვის, რომლებიც იბეგრება საბაჟო მოსაკრებლებით ან ასეთივე ხასიათის ნებისმიერი სხვა მოსაკრებლით.

II. კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ (ჟენევა, 1956 წლის 19 მაისი. საქართველო შეუერთდა 1999 წლის 22 იელისს).

კონვენციის თანახმად (მუხლი 4), გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულება დასტურდება ზედნადების შედგენით. ზედნადები გამოიწერება სამ ეგზემპლარად, გამგზავნისა და გადამზიდავის ხელმოწერებით. პირველი პირი გადაეცემა გამგზავნს, მეორე პირი თან ახლავს ტვირთს, მესამე პირი კი რჩება გადამზიდავთან.

ამასთან, როდესაც გადასაზიდი ტვირთი უნდა დაიტვირთოს რამდენიმე ავტომობილზე, ან თუ ტვირთი სხვადასხვა სახეობისაა, ან იყოფა ცალკეულ პარტიებად, გამგზავნს ან გადამზიდავს უფლება აქვს მოითხოვოს ზედნადების შედგენა ყველა გამოყენებული ავტომობილისათვის, ან ყველა სახეობის ან პარტიის ტვირთისათვის.

კონვენციის მუხლი 6. ზედნადები უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ზედნადების შედგენის თარიღსა და ადგილს; გამგზავნის დასახელებას და მისამართს; გადამზიდავის დასახელებას და მისამართს; ტვირთის მიღების ადგილს, თარიღს და მიტანის ადგილს; მიმღების დასახელებას და მისამართს; ტვირთის მახასიათებლობის მიღებულ აღნიშვნებს; შეფუთვის სახეობას, ხოლო სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნებს; სატვირთო ადგილების რაოდენობას, მათ სპეციალურ მარკირებას და ნუმერაციას; ტვირთის ბრუტო წონის მონაცემებს ან სხვა საზომ ერთეულებში გამოხატული ტვირთის რაოდენობის აღნიშვნებს; გადაზიდვის გადასახდელებს (გატანის დამატებით გადასახდელებს, საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები) და სხვა გადასახდელებს, რომელთა გადახდევინება ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან ტვირთის ადგილზე მიტანამდე; ინსტრუქციებს საბაჟო და სხვა ფორმალობების შესასრულებლად; მითითებას, რომ გადაზიდვა ხორციელდება კონვენციის დებულებების შესაბამისად.

საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს: მითითებას, რომ გადატვირთვა აკრძალულია; გადასახ-

დელებს, რომლებიც გამგზავნმა უნდა გადაიხადოს; გადასახდელებს, რომლებიც უნდა იქნეს გადახდილი ტვირთის ჩაბარებისას; ტვირთის გაცხადებულ ღირებულებას და თანხას; გამგზავნის ინსტრუქციებს გადაზიდვისათვის ტვირთის დაზღვევის შესახებ; შეთანხმებულ ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს გადაზიდვა; გადამზიდავისათვის გადაცემული დოკუმენტების ნუსხა. მხარეებს შეუძლიათ ზედნადებში შეიტანონ სხვა მონაცემებიც, რომლებსაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

კონვენციის მნიშვნელოვანი დებულებები:

- გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზარალისათვის;
- გამგზავნი ვალდებულია ზედნადებს დაურთოს ყველა ის საბუთი, რომელიც აუცილებელია ტვირთის მიტანამდე საბაჟო და სხვა მსგავს მოქმედებათა შესასრულებლად და სხვა.

12. თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუსი (შესრულებულია ბარსელონაში 1921 წლის 20 აპრილს. საქართველო შეუერთდა 1999 წლის 16 აპრილს).

ამ შეთანხმების თანახმად (მუხლი 3), ტრანზიტი (შესვლისა და გასვლის ჩათვლით) არ ექვემდებარება არავითარ სპეციალურ მოსაკრებლებს. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ტრანზიტი შეიძლება დაიბეგროს მოსაკრებლებით, ასეთ ტრანზიტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარავად. ამგვარი ტარიფი რაც შეიძლება ახლოს უნდა შეესაბამებოდეს იმ ხარჯებს, რომლებიც იფარება მოსაკრებლებით.

მე-5 მუხლის თანახმად, ქვეყნებმა „არ უნდა დაუშვან იმ მგზავრთა ტრანზიტი, რომლებსაც აკრძალული აქვთ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლა, აგრეთვე იმ საქონლისა, რომლის იმპორტი აკრძალულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ან უშიშროების ნიადაგზე, ან როგორც უსაფრთხოების ზომა მცენარეების და ცხოველების დაავადების თავიდან ასაცილებლად“.

13. კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია (ჟენევა, 1972 წლის 2 დეკემბერი. საქართველო შეუერთდა 1999 წლის 16 აპრილს).

კონვენციის თანახმად, დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად, შემოზიდული კონტეინერები ექვემდებარებიან გაზიდვას შემოზიდვის დღიდან სამი თვის განმავლობაში, თუმცა

ეს ვადა შეიძლება გააგრძელონ კომპეტენტურმა საბაჟო ორგანოებმა.

დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად, შემოზიდული კონტეინერების გაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სათანადო საბაჟოს გავლით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საბაჟო არ წარმოადგენს იმ საბაჟოს, საიდანაც განხორციელდა დროებითი შემოზიდვა.

კონვენციის თანახმად, დასაშვებია დროებით შემოზიდული კონტეინერების რემონტისათვის გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილების დროებით შემოზიდვა.

საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოები

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებენ საბაჟო დაწესებულებები და ორგანიზაციები. საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოები აღჭურვილი არიან სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ამიტომ წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საბაჟო ორგანოების სტრუქტურა, მათი საქმიანობის მთავარი მიმართულებები და ფორმები.

1. ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო ორგანოების მუშაობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს კონსტიტუცია და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციამ მკვეთრად გაანაწილა კომპეტენცია ფედერალურ ორგანოებსა და შტატებს შორის. ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებულია: საგარეო პოლიტიკის, შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის, მოქალაქეთა ნატურალიზების, ემიგრაციისა და იმიგრაციის, შტატებს შორის ვაჭრობისა და საქონელბრუნვის საკითხები და, აქედან გამომდინარე, საბაჟო, სავალუტო და საფოსტო ოპერაციები, ფედერალურ ბიუჯეტთან დაკავშირებული საფინანსო საკითხთა სისტემა და ა. შ.

კონსტიტუციის მერვე კარი განსაზღვრავს კონგრესის უფლებებს: დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები, ბაჟი, აქციზები,

რათა გადაიხადოს შეერთებული შტატების ვალი, უზრუნველყოს ერთობლივი თავდაცვა და საყოველთაო კეთილდღეობა. კონსტიტუცია ხაზს უსვამს იმასაც, რომ „ყველა ასაკრები ბაჟი და აქციზი ერთნაირი უნდა იყოს მთელ შეერთებულ შტატებში"[1].

კონსტიტუციის თანახმად, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ან ბაჟით ნებისმიერი შტატიდან გასატანი საქონელი. ამასთან, კონგრესის თანხმობის გარეშე არც ერთ შტატს არ შეუძლია დაბეგროს რაიმე ბაჟით ან გამოსაღებით საქონლის შემოტანა ან გატანა. შტატში შემოსატანი და გასატანი საქონლის დაბეგვრის შედეგად მიღებული წმინდა მოგება გადადის შეერთებული შტატების ხაზინის განკარგულებაში. ამ სახის ყველა კანონი ექვემდებარება კონგრესის კონტროლსა და გადასინჯვას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის XVI შესწორების (1913 წელი) თანახმად, „კონგრესს უფლება აქვს დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები ნებისმიერი წყაროდან მიღებული შემოსავლიდან, ან გადასახადების შტატებს შორის განაწილების გარეშე და მოსახლეობის რაიმე აღწერის თუ აღრიცხვის მიუხედავად".

კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები. აშშ-ში საბაჟო სამართლის სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია კანონმდებლობას ბაჟის შესახებ. ფედერალური სტრუქტურების კანონთა კრებულში 50 კარიდან 19 დაიმობილი აქვს საბაჟო საქმეს. იგი ასეა დასათაურებული: „საბაჟო გადასახადი". ამერიკის შეერთებულ შტატებში საბაჟო სამსახური ფუნქციონირებს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

2. დიდი ბრიტანეთის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, 1909 წლიდან, როდესაც განხორციელდა დიდი ბრიტანეთის საბაჟო და საფინანსო სამსახურების შერწყმა, ჩამოყალიბდა ცენტრალური საბაჟო ორგანო — საბაჟოებისა და აქციზების დეპარტამენტი. საბაჟო მართვის ამ კოლეგიალურ ორგანოს ხელმძღვანელობს საბაჟოებისა და აქციზების საქმეებზე უფლებამოსილებით აღჭურვილი უმაღლესი თანამდებობის 6 პირი, რომლებიც

---

1 ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. იხილეთ წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციები, 1992, გვ. 79.

ინიშნებიან დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ და წარმართავენ მთელ საბაჟო სისტემას ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში.

ინგლისის საბაჟო სისტემის სტრუქტურა ასეთია: 1. მთავარი სამმართველო შესაბამისი განყოფილებებით; 2. ადგილობრივი საბაჟო დაწესებულებანი, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა განლაგებული. დიდი ბრიტანეთის საბაჟო სამართლის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საბაჟო კონტროლის ამ ორი სახის ორგანოს უფლება-მოვალეობებსა და ამოცანებს, არის 1952 წლის საბაჟო და აქციზების აქტი.

ინგლისის საბაჟოებისა და აქციზების დეპარტამენტი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: 1. იმპორტისა და ექსპორტის კონტროლი; 2. სავალუტო კონტროლი; 3. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება.

საბაჟოები საქონლის იმპორტის დროს მოითხოვენ ლიცენზიას, რომელსაც გასცემს ვაჭრობის სამინისტრო; ლიცენზიის გარეშე საქონლის შეტანა აკრძალულია. ექსპორტის დროს კი ზოგიერთი საქონლის გატანა აკრძალულია. ნებადართული საქონლის გატანა-შემოტანასაც ესაჭიროება ვაჭრობის სამინისტროს ნებართვა სავალუტო კონტროლის შესახებ 1947 წლის კონვენციის საფუძველზე.

საბაჟო კონტროლის ყველა პრაქტიკული და ოპერატიული სამუშაო ეკისრებათ ინგლისის ადგილობრივ საბაჟო ორგანოებს. ისინი იყოფიან ორ სახეობად: ერთნი ახდენენ საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღებას; მეორენი ახორციელებენ ფაქტიურ საბაჟო კონტროლს საზღვაო პორტებსა და სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტებში, აგრეთვე აეროპორტებში. ამ მიზნით მთელი ქვეყანა დაყოფილია საბაჟო ოლქებად; მათი რიცხვი 30-მდეა ინგლისში. ამაოგან რამდენიმე ლონდონშია, აქ საზღვაო და საერთაშორისო აეროპორტები ითვლებიან დამოუკიდებელ საბაჟო ოლქებად.

დიდი ბრიტანეთის საბაჟო ორგანოები საერთაშორისო ტურიზმის, საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაფართოების პირობებში უზრუნველყოფენ სახელმწიფო საზღვარზე მგზავრების, ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების ეფექტიან გადაადგილებას. საბაჟო ორგანოების უმთავრესი პრობლემაა დააკმაყოფი-

ლონ მგზავრები მაღალხარისხოვანი მომსახურებით და რაც შეიძლება მოკლე დროში განახორციელონ საბაჟო კონტროლი და საბაჟო გაფორმება.

ინგლისის, ისე როგორც სხვა ქვეყნების საბაჟო სამსახურის უმთავრეს ამოცანას შეადგენს ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ. საბაჟო კანონმდებლობა აწესებს კონტრაბანდისათვის სხვადასხვა პასუხისმგებლობასა და სასჯელის ზომებს – კონტრაბანდული საგნების კონფისკაცია, ჯარიმა, რიგ შემთხვევებში – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დიდ ბრიტანეთში 1968 წლის 5 დეკემბერს მიიღეს №75 კანონი, რომელიც აწესებს ერთიან ბაჟს ინგლისში შემოტანილ საქონელზე (ღირებულების 50 პროცენტი). 1969 წლის 29 აპრილს მიღებულია კანონი საბაჟო გადასახადის შესახებ, რომელმაც თავი მოუყარა ყველა სამართლებრივ დოკუმენტს საბაჟო საკითხებზე (1957-1968 წლების აქტები). მნიშვნელოვანი აქტებია მიღებული 80-90-იან წლებში.

3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დემოკრატიული და სოციალური ფედერალური სახელმწიფო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიხედვით, „ფედერაციას აქვს განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლებამოსილება საბაჟო გადასახადებისა და საფინანსო მონოპოლიის საკითხებში“[1].

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბაჟო სამსახური ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. საბაჟო სისტემა აერთიანებს მთავარ საბაჟო სამმართველოს და საბაჟო სამმართველოებს, რომლებიც მოქმედებენ ძირითადი ქვეყნის საბაჟო საზღვარზე.

ფედერაციის კუთვნილი შემოსავლებიდან უპირველესი საბაჟო გადასახადებია. საბაჟო და სხვა აკრეფილი გადასახადის მართვას ახორციელებენ ფედერალური საფინანსო უწყებები.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია 1961 წლის 23 ნოემბრის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის განცხადება „საბაჟო წესდების შესახებ“. წესდებაში დეტალურადაა რეგლამენტირებული საბაჟო რეჟიმები გერმანიაში. ამ პრობლემებს დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე პირობებშიც.

---

1 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი. 1995, გვ. 92.

გერმანიის საბაჟო ორგანოები თავიანთ რიგებში ითვლიან 40 ათას კაცს. მოსამსახურეთა ასეთი დიდი რიცხვი განაპირობა ფართო სპექტრის ამოცანებმა, რომლებიც დგას გერმანიის საბაჟო ორგანოების წინაშე. სახელდობრ:

- გადასახადები: საბაჟო გადასახადები, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა;
- ბრძოლა ნარკოტიკულ საშუალებათა არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ;
- ბრძოლა იარაღის არაკანონიერი ვაჭრობის წინააღმდეგ;
- ცხოველთა და მცენარეთა დაცული სახეების შენარჩუნება;
- სასაზღვრო კონტროლი და სხვა.

გერმანიაში საბაჟო ორგანოები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახელმწიფო სამსახურებს, არამედ ისინი ექვემდებარებიან უშუალოდ ფინანსთა ფედერალურ სამინისტროს და შედიან მის შემადგენლობაში. გერმანიის საბაჟოს მეთაურია გერმანიის ფინანსთა მინისტრი.

გერმანიის საბაჟო ორგანოების მართვა ხორციელდება ოთხ დონეზე.

დონე 1. ფინანსთა ფედერალური სამინისტრო ახორციელებს ქვეყნის საბაჟო ორგანოების საქმიანობაზე საერთო ხელმძღვანელობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ გერმანიის, ისე როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნების, საბაჟოს მართვის ორგანო ვერ მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს საბაჟო საქმის იმ საკითხებზე, რომლებიც შედის ევროპის თანამეგობრობის საბჭოს კომპეტენციის სფეროში.

დონე 2. საბაჟო – კრიმინალური უწყება. ის ეწევა ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების ფაქტებზე გამოძიებას და საქმის წარმოებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში ისინი ერთობლივად მოქმედებენ ცენტრალურ კრიმინალისტურ სამსახურებთან.

დონე 3. მთავარი ფინანსური დირექციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო გადასახადების აკრეფასა და განაწილებას ბიუჯეტების მიხედვით (მიწის, ფედერალური და საერთოევროპული). გარდა აღნიშნულისა, აწარმოებენ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას.

ᲓᲝᲜᲔ 4. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲟᲝᲔᲑᲘ. გერმანიის საბაჟო ორგანოები ითვლიან 99 მთავარ საბაჟოს. ისინი ახორციელებენ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლსა და გაფორმებას. მათ ექვემდებარებიან საბაჟო საგუშაგოები და კომისარიატები, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საბაჟოები.

ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲡᲐᲒᲣᲨᲐ�გᲝᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲐ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და წინასწარი გაფორმება. ისინი მოქმედებენ აეროპორტებში, საზღვაო პორტებში და ავტოსადგურებში.

ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲔᲑᲘ იცავენ ევროკავშირისა და გერმანიის საბაჟო საზღვრებს. მათ მიკუთვნებული აქვთ ისეთივე უფლებამოსილება, როგორც პოლიციას (საგზაო მოძრაობის კონტროლისა და ზედამხედველობის ჩათვლით).

ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲫᲔᲑᲠᲝ ᲡᲐᲑᲐᲟᲝᲔᲑᲘ წყვეტენ *ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ.* შემოსული მასალები გადაეცემა სამართალდამცავ უწყებას. ოპერატიულ-სამძებრო საბაჟოების შემადგენლობაში მოქმედებენ „მობილური კონტროლის ჯგუფები“, რომლებიც ახორციელებენ სატვირთო ავტომანქანების, საწყობების, ფიზიკური პირების შერჩევით კონტროლსა და შემოწმებას.

ამრიგად, გერმანიის საბაჟო ორგანოებს შეთავსებული აქვთ საგადასახადო პოლიციის, ავტოინსპექციის და სასაზღვრო ჯარის ფუნქციები.

გერმანიის ნებისმიერი საბაჟოს საქმიანობა მკვეთრად რეგლამენტირებულია. შექმნილია დეტალური ინსტრუქციები, რომლებითაც დადგენილია ნებისმიერ სიტუაციაში თითოეული თანამშრომლის მოქმედების წესები.

4. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲡ ᲘᲩᲔᲜᲔᲜ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲖᲔ. მიღებულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები. ჯერ კიდევ 1968 წლის 29 მაისს გამოიცა დეკრეტი „68-81“ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფინანსური ურთიერთობის შესახებ“. ამ დოკუმენტის მიხედვით, პირებს, რომლებიც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, ნება ეძლევათ თან იქონიონ ვალუტა თითოეულზე არა უმეტეს ათასი ფრანკისა.

საფრანგეთში ფინანსებისა და ბიუჯეტის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება საბაჟო დაწესებულებების განშტოებული ქსელის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. ამ საქმეს

უშუალოდ განაგებს საბაჟო საქმის გენერალური დირექცია. იგი უზრუნველყოფს კონტროლს საქონლისა და ვალუტის შეტანა-გატანაზე; შეიმუშავებს საბაჟო ტარიფებს, საბაჟო რეჟიმების წესებს; ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე; მონაწილეობს მოლაპარაკებებში, საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში, საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციების, შეთანხმებების შემუშავებაში საბაჟო ურთიერთობების საკითხებზე; საბაჟო პროცედურების ადმინისტრაციული აქტებისა და სხვა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის საკითხების გამარტივებაში.

5. სათანადო ყურადღებას უთმობს იტალიის რესპუბლიკა საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს. იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, რესპუბლიკა დაყოფილია ოლქებად, პროვინციებად და თემებად. თანახმად კონსტიტუციაში დადგენილი პრინციპებისა, ოლქები წარმოადგენენ საკუთარი უფლებებისა და ფუნქციების მქონე ავტონომიურ ერთეულებს. მაგრამ კონსტიტუციის 120-ე მუხლის თანახმად, „ოლქს არ შეუძლია დაადგინოს ბაჟი შემოზიდვებზე, გატანაზე და ოლქებს შორის ტრანზიტზე. დაუშვებელია ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ხელს შეუშლიან მოქალაქეების ან ქონების თავისუფალ გადაადგილებას ოლქებს შორის“.

იტალიის პრეზიდენტის 1971 წლის 16 თებერვლის №18 დეკრეტით შეტანილია ცვლილებები და დამატებები საბაჟო კანონმდებლობაში. დეკრეტი შედგება 128 მუხლისაგან. იგი არსებითად საბაჟო კოდექსია. დეკრეტის განყოფილებებია: ზოგადი დებულებები; საბაჟო ინსტიტუტები და პროცედურები; ცალკეული საბაჟოები და ფისკალური ოპერაციები; დასკვნითი და გარდამავალი დებულებები.

იტალიაში საბაჟო საქმიანობას ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტროს საბაჟოების მთავარი სამმართველო, რომელიც დაკავებულია უმთავრესად საბაჟო ტარიფების პრაქტიკული საკითხებით, ბაჟით, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების პროცედურების გამარტივების პრობლემებით, საბაჟო გადასახადებითა და მოსაკრებლებით.

6. ესპანეთის საბაჟო სისტემა ემყარება ეროვნულ საბაჟო კანონმდებლობას და საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონ-

ვენციებსა და შეთანხმებებს საბაჟო ურთიერთობის საკითხებზე. მთავარი საბაჟო ორგანოა საგადასახადო საქმის გენერალური დირექცია. იგი მონაწილეობს ესპანეთის საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. გენერალური დირექცია მოიცავს საბაჟო დაწესებულებათა სისტემას, უსრუნველყოფს საბაჟო სამსახურის ორგანიზაციასა და მისი საქმიანობის ხელმძღვანელობას; ამყარებს წესრიგს საქონლისა და ვალუტის შემოტანა-გატანაზე; იცავს საბაჟო კანონმდებლობას, საბაჟო ტარიფებს, აკონტროლებს საიმპორტო და საექსპორტო საქონლის ხარისხს, ატარებს ღონისძიებებს საბაჟო პროცედურებისა და საბაჟო ფორმალობათა გამარტივებისათვის. რიგ შემთხვევებში საგადასახადო საქმის გენერალური დირექცია შეიმუშავებს და წარუდგენს დასამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოებს ნორმატიულ აქტებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა საკითხებზე. იგი დაკავებულია აგრეთვე ჯარიმების გადახდევინებით, დამატებითი ღირებულების გადასახადების ამოღებით. ესპანეთის საბაჟო სამსახური ექვემდებარება მრეწველობის, ტურიზმისა და ვაჭრობის სამინისტროებს.

7. ფინეთში საბაჟო სამსახური ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. იგი ამუშავებს საბაჟო კანონმდებლობის პროექტებს; აკონტროლებს ნორმატიული აქტების შესრულებას; გამოსცემს დადგენილებებს საბაჟო შეღავათებისა და პრეფერენციების შესახებ; ადგენს ინსტრუქციებსა და წესებს საბაჟო გადასახადებსა და სხვა საკითხებზე. საბაჟო საქმისადმი უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს მთავარი საბაჟო სამმართველო. მის კომპეტენციაში შედის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის საკითხები (საბაჟო კონტროლი, გაფორმება, რეჟიმები, შეღავათები, გადასახადები და ა. შ.); საბაჟო ტარიფების დაწესება, სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების შეტანა.

ფინეთის საბაჟო სისტემა შედგება ნაციონალური საბაჟო სამინისტროს, საბაჟო ლაბორატორიისა და საბაჟო რეგიონებისაგან. საბაჟო სამსახურის ცენტრალურ ადმინისტრაციულ გაერთიანებას შეადგენს ნაციონალური საბაჟო სამინისტრო. რეგიონული საბაჟო სამმართველო დაყოფილია *ფვიდ საბაჟო რეგიო-*

ნად; თითოეულს გააჩნია თავისი რეგიონული საბაჟო, რომლის ხელმძღვანელობა ხორციელდება ერთ ან რამდენიმე საბაჟო საგუშაგოზე. *საბაჟო ლაბორატორია* ეს არის საბაჟო სამსახურის სამეცნიერო-საექსპერტო გაერთიანება, რომელიც მოიცავს მთელ ქვეყანას.

საბაჟოების ძირითადი ფუნქციებია: საბაჟო კონტროლი; საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება; საბაჟო პრივილეგიებისა და იმუნიტეტების სისტემის სრულყოფა; აქციზის აკრეფა; საბაჟო სტატისტიკის წარმოება ევროკავშირის ფარგლებში; კონტროლი საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებზე, აღრიცხვა, აღმოფხვრა; მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

საბაჟო სამსახურის საქმიანობა ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობით. მისი ძირითადი ფუნქციაა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მომზადება და შემდგომში კონტროლი მის განხორციელებაზე. სამინისტრო შეიმუშავებს ფინანსური რესურსების გამოყენების, ბიუჯეტის ფორმირებისა და მართვის ერთწლიან სახელმწიფო პროგრამებს.

საგადასახადო დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტროს შემადგენელი ნაწილი, ამზადებს საკანონმდებლო აქტებს. ამ გზით მონაწილეობს საბაჟო და საგადასახადო საქმისწარმოების განვითარებაში.

ნაციონალური საბაჟო სამინისტრო პასუხს აგებს ფინეთის საბაჟოს ცენტრალური ადმინისტრაციის საქმიანობაზე. სამინისტრო ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ქმნის ნორმალურ პირობებს საბაჟოებში მუშაობისათვის;
- მონაწილეობს საბაჟო პროცედურებისა და საბაჟო გადასახადების გადახდევინების სისტემის განვითარებაში;
- ახორციელებს კონტროლს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებაზე;
- მონაწილეობს ევროკავშირის საბაჟო პოლიტიკის განხორციელებაში.

ფინეთის კანონმდებლობაში გამოყოფენ სამ ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ფინეთის საბაჟოს უფლებები და მოვალეობები. ესაა ნაციონალური საბაჟო აქტი, ნაციონალური კანონი აქციზის შესახებ და საბაჟო კოდექსი.

ნაციონალურ საბაჟო აქტში აღნიშნულია, რომ ფინეთის საბაჟო კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიზნებსა და ამოცანებს საბაჟო სფეროში.

საბაჟო კოდექსი მოითხოვს ყველა საბაჟო ფორმალობის დაცვას, კონტროლის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ყველა საშუალებისა და ზომების გამოყენებას, თუ ამის უფლებას იძლევა კანონმდებლობა. საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მიზნით ყველა პირი, რომელიც დაკავშირებულია საეჭვო ოპერაციებთან, ვალდებულია წარუდგინოს საბაჟო ორგანოებს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია.

კოდექსი მოიცავს საბაჟო დეკლარაციების გამოყენების, გაფორმებისა და კონტროლის განხორციელების, საბაჟო გადასახადის გადახდის და სხვა საკითხებს.

8. შვეიცარიაში საბაჟო საქმე ექვემდებარება საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტს; იგი შედის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში. დეპარტამენტს გააჩნია ფართო და შეუზღუდველი ავტონომია. მისი უფროსი მინისტრის რანგის სახელმწიფო მოხელეა. საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი შეიმუშავებს საბაჟო პოლიტიკის საფუძვლებს და უსრუნველყოფს საბაჟო კანონმდებლობის შესრულებას. დეპარტამენტის სპეციალური განყოფილება ახორციელებს საბაჟო გადასახადების ამოღებას, ადგენს საქონლის წარმოშობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვის კონტროლის წესებს.

9. იაპონიაში საბაჟო საქმე მოიცავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას. ამ საქმით დაკავებულია ფინანსთა სამინისტრო. მის შემადგენლობაშია კადრების მომზადების, ფინანსების, საბაჟოების და აუდიტის სამსახურები, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები.

10. არგენტინაში ერთიანი საბაჟო სამმართველო ექვემდებარება ეკონომიკის სამინისტროს; პერუში კი მთავარი საბაჟო სამმართველო შედის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების სტრუქტურაში.

11. სსრ კავშირის არსებობის პირობებში რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის სათავეში იდგა *სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საბა-*

ᲫᲘᲗ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ. მის დებულებაში (1987 წლის 13 ივლისის №775) განსაზღვრული იყო სამმართველოს ფუნქციები და საქმიანობის წესი. მთავარი სამმართველოს ძირითად სტრუქტურებს შეადგენდნენ სამმართველოები და განყოფილებები; კონტრაბანდასთან და საბაჟო წესების დარღვეეებთან ბრძოლის, ტექნიკური კადრებისა და სასწავლო დაწესებულებების, საბაჟო სამართლის, საბაჟო პოლიტიკისა და საგარეო კავშირების, ეკონომიკური სამმართველოები.

თანამედროვე საბაჟო სამსახურისა და საბაჟო-სამართლებრივი ინსტიტუტების შექმნის დაწყება დაკავშირებულია რსფსრ-ის პრეზიდენტის 1991 წლის 25 აგვისტოს განკარგულებასა – „რსფსრ-ს ტერიტორიაზე საბაჟო სამსახურის საქმიანობის შესახებ“ და 1991 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებასთან. ამ დოკუმენტების შესაბამისად შეიქმნა რუსეთის ცენტრალური საბაჟო ორგანო – სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი.

1991 წლის დეკემბერში შეწყვიტა არსებობა სსრ კავშირმა. რუსეთის მთავრობამ 1991 წლის 26 დეკემბერს მიიღო დადგენილება „რსფსრ-ს სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის საკითხებზე“. დამტკიცდა რუსეთის საბაჟო კომიტეტის დებულება, განისაზღრა საბაჟო ორგანოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო განრიგი.

1993 წელს მიღებულ იქნა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი და კანონი „საბაჟო ტარიფის შესახებ“. კოდექსში განსაზღვრულია რუსეთის საბაჟო ორგანოების ფუნქციები, სტრუქტურა, საბაჟო პოლიტიკის მიზნები, რეჟიმები, საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის პრინციპები.

რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოები წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს, სახელმწიფო მმართველობის სისტემის შემადგენელ რგოლებს.

რუსეთის ფედერაციის საბაჟო სახელმწიფო კომიტეტი აღმასრულებელი ფედერალური ხელისუფლების ცენტრალური ორგანოა. იგი რუსეთის ფედერაციის საბაჟო პოლიტიკის განხორციელების უშუალო ხელმძღვანელი დაწესებულებაა, სახელმწიფო მმართველობის სისტემის შემადგენელი ნაწილია. უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა და წარმატებით ფუნქციონირებენ რუსეთის ფედერაციის საბაჟო კომიტეტის ახალი და-

ნაყოფები: საბაჟო-სატარიფო სამმართველო, საბაჟო შემოსავლების ფედერალური სამმართველო, საგალუტო კონტროლის განყოფილება, საბაჟო სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო.

რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოების სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია რეგიონული საბაჟო სამმართველოები, საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო გამშვები პუნქტები.

რუსეთის პრეზიდენტმა 2003 წლის 28 მაისს ხელი მოაწერა ახალ საბაჟო კოდექსს, რომელზე მუშაობა 3 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. კოდექსი ძალაში შეეიდა 2004 წლის 1 იანვრიდან.

რუსეთის საბაჟო კოდექსი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია. იგი ეფუძნება ევროპულ საბაჟო კანონმდებლობას — ევროკავშირის საბაჟო კოდექსს, მის ძირითად დებულებებს, პრინციპებს, ფილოსოფიას.

საბაჟო კოდექსში გამოცხადებულია კონცეფცია, რომლის რეალიზებასაც ახდენს განვითარებული ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობა — კონცეფცია რისკებით მართვისა. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟომ არ უნდა გააკონტროლოს ყველაფერი, რაც მოძრაობს მისი მეშვეობით, არამედ უნდა აირჩიოს თავისთვის მიზანი, ასე თუ ისე დატვირთული რისკით ეკონომიკისათვის, უსაფრთხოებისათვის, ჯანმრთელობისათვის, ინტელექტუალური საკუთრებისათვის.

საბაჟო კოდექსი არის პირდაპირი მოქმედების კანონი. ამ კოდექსის 440 მუხლი მთლიანად ეძღვნება საბაჟო საქმეს. ახალ კოდექსში აღარ არის განყოფილებები, რომლებიც ეძღვნებოდა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებს, ამ დარგში საქმის წარმოებას, მოკვლევას და სხვა (1993 წლის კოდექსის 219-386 მუხლები);

საბაჟო კოდექსის ერთ-ერთი ღირსებაა, რომ იგი ითვალისწინებს საბაჟო პრობლემების მთელი სფეროს რეგულირებას. ეს ეხება ტვირთის შემოტანას, რეჟიმებს, გაფორმებას, კონტროლს და სხვა. აქამდე მოქმედი კოდექსი ამ საკითხებს ასე კომპლექსურად ვერ წყვეტდა.

კოდექსი იცავს კანონმდებლების ინტერესებსაც და მეწარმეთა, ბიზნესმენთა, მოსახლეობის ფართო წრეების ინტერესებსაც.

საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟოს მართავს რუსეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი, რეგიონული საბაჟო სამმართველოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო გამშვები პუნქტები. საბაჟოს თანამშრომელთა რიცხვი 54 ათასს შეადგენს.

12. ევროკავშირი. ინტეგრაციის ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო საბაჟო კავშირის შექმნა. დღეისათვის ევროკავშირი ერთიანი საბაჟო სისტემაა. ერთიანი საბაჟო ტარიფი ყოველწლიურად ქვეყნდება ევროკავშირის კომისიის (ევროკომისიის) მიერ ოფიციალურ და ინტეგრირებულ ვარიანტად.

სამართლებრივ საფუძველს, რომელიც არეგულირებს ევროკავშირის ქვეყნების საბაჟო სამსახურების საქმიანობას, წარმოადგენს ევროპის გაერთიანების საბაჟო სამართალი. ძირითადი დოკუმენტია ევროკავშირის საბაჟო კოდექსი, რომელიც ევროკავშირის საბჭომ მიიღო 1992 წლის 12 ოქტომბერს.

რამ განაპირობა ევროკავშირის საბაჟო კოდექსის შექმნა?

- ევროკავშირის საფუძველია საბაჟო კავშირი;
- აუცილებელი იყო ერთ დოკუმენტში მრავალი განკარგულების, აქტის, შეთანხმების გაერთიანება;
- საბაჟო კონტროლისა და გაფორმების გამარტივებამ და დაჩქარებამ;
- გამორიცხვა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გვერდს უვლიდნენ ევროკავშირის საბაჟო სამართალს.

ევროკავშირის საბაჟო კოდექსი შედგება 8 ნაწილისა და 253 მუხლისაგან. პირველი ნაწილის 19 მუხლში მოცემულია საბაჟო სფეროს ცნებების და ტერმინების განმარტებანი. გარდა ამისა, განსაზღვრულია თანამეგობრობის საბაჟო სივრცე.

მეორე ნაწილში განხილულია ევროკავშირის საბაჟო ტარიფები, საქონლის წარმოშობა და საბაჟო ღირებულება. საქონლის საბაჟო-სამართლებრივ დანიშნულებას ეძღვნება 124 მუხლი. აქ აღწერილია საბაჟო რეჟიმები, აგრეთვე საბაჟო გაფორმების ნორმალური და დაჩქარებული პროცედურები. მთელი რიგი მუხლები ეძღვნება საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანას.

კოდექსში ნაჩვენებია საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლების პირობები და საქონლის სახეობები.

ამჟამად მოქმედი საბაჟო ტარიფები შემოღებულია 1988 წლის 1 იანვარს. ტარიფები შემუშავებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე. ეს სისტემა მოიცავს საქონლისა და საქონლის ჯგუფების 1241 პოზიციას. საბაჟო გადასახადის თანხის განსაზღვრა ხდება ევროს მეშვეობით.

საბაჟო ორგანოების მუშაობის სრულყოფა და მისი ეფექტიანობის ამაღლება თანამედროვეობის უმთავრესი ამოცანაა. მისი მიღწევა იოლი საქმე როდია. სხვა მრავალ ღონისძიებათაგან, რაც უსრუნველყოფს საბაჟო სამსახურის ეფექტიანობის ამაღლებას, მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა; ამ ქვეყნების სამართლებრივი დოკუმენტების (საბაჟო კოდექსები, დეკრეტები, საბაჟო ტარიფები და სხვა აქტები), ცნობილ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შრომების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების ქართულ ენაზე გამოქვეყნება; უცხოეთის საბაჟო სამსახურებთან საქმიანი კავშირებისა და ურთიერთობების გაღრმავება-განვითარება; მათი წარმომადგენლობის მოწვევა, ერთობლივი კონფერენციების, სიმპოზიუმების, შეხვედრების ორგანიზაცია.

დღეს დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა: გადაისინჯოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საბაჟო თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზა და გააქტიურდეს სამსახურის საგარეო ურთიერთობები.

მოკლე დასკვნები

- *ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობები.*
- *საქართველოში მკვიდრდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში ევროპასთან, ინტეგრაციის პროცესი.*
- *თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა საბაჟო თანამშრომლობის ფორმებია საერთაშორისო ორგანიზაციები და კონფერენციები (მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო და ტურისტული ორგანიზაციები და სხვ.).*
- *საერთაშორისო საბაჟო სამართლის მნიშვნელოვანი დოკუმენტებია საბაჟო საქმის საკითხებზე ორმხრივი და მრავალმხრივი*

შეთანხმებანი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები.

- *განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და კონტაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებენ საბაჟო დაწესებულებები და ორგანიზაციები.*

კითხვები გამეორებისათვის

- *რაში გამოიხატება საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობების გაფართოება?*
- *ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციები;*
- *რომელი კონვენციები და ხელშეკრულებები იცით საბაჟო საქმის სფეროში, რაში მდგომარეობს მათი მნიშვნელობა?*
- *დაახასიათეთ საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოები და მიეცით შეფასება.*

თავი 5. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების სისტემა საბაჟო სამართალში

დიპლომატიური წარმომადგენლობების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა სხვა სახელმწიფოებთან სათანადო ურთიერთობებისა და ნორმალური კავშირების გარეშე. ამ მოთხოვნილებამ ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფოების გაჩენისას იჩინა თავი. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, ფართოვდებოდა და იხვეწებოდა სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის ფორმები და მეთოდები.

იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ და არეგულირებენ სახელმწიფოთა საზღვარგარეთული წარმომადგენლობების სამართლებრივ მდგომარეობას, დიპლომატიური მოლაპარაკების ფორმებს, დიპლომატიური აქტების მომზადებისა და შექმნის წესებს, საგარეო ურთიერთობების ორგანოთა სტრუქტურასა და კომპეტენციას, *შეადგენს დიპლომატიური და საკონსულო სამართლის შინაარსს.*

60-იანი წლების დამდეგს მიღებულია ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კონვენცია: ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ და ვენის 1963 წლის კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ (საქართველო შეუერთდა 1993 წლის 13 მაისისა და 8 ივნისის პარლამენტის დადგენილებით.) ამ დოკუმენტებში არა მარტო შეჯამებულია სახელმწიფოთა ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა, არამედ მთელი რიგი ახალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებია შემუშავებული. აღნიშნული კონვენციების საფუძველზე სახელმწიფოებმა მიიღეს ახალი ნორმატიული აქტები. ამასთან აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა მთელი რიგი კონვენციები, რომლებიც მიზნად ისახავენ დიპლომატიური სამართლის კონკრეტული სფეროების რეგლამენტაციას. ეს კონვენციებია: კონვენცია სპეციალური მისიების შესახებ (1969), კონვენცია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირთა, მათ შორის დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ დანაშაულის აცილებისა და დასჯის შესახებ (1973), ვენის 1974 წლის კონვენცია სახელმწიფოების წარმომადგენლობის შესახებ მათ ურთიერთობაში უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვ.

სახელმწიფოთა უმრავლესობა საგარეო ურთიერთობის დარგში საერთო ხელმძღვანელობას ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს მიაკუთვნებს. ყველა ქვეყნის პარლამენტების კომპეტენციაში შედის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა ანგარიშების მოსმენა, ხელშეკრულებების რატიფიკაცია და დენონსაცია, მაღალი რანგის ელჩების დანიშვნის დამტკიცება და გათავისუფლება, სხვა სახელმწიფოების პარლამენტებთან ურთიერთობების დამყარება, მოლაპარაკებებში მონაწილეობა და სხვა.

საგარეო ურთიერთობის დარგში საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელობა და საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს უსენაესი წარმომადგენლობა სახელმწიფოს მეთაურს ეკისრება (მეფე, პრეზიდენტი). სახელმწიფოს მეთაური, მიუხედავად იმისა, კოლეგიალურია თუ ერთპიროვნული, მონარქიულია (ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია, იაპონია) თუ რესპუბლიკური (აშშ, საფრანგეთი, იტალია) *შემდეგ ძირითად ფუნქციებს განაგებს:* 1. წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში; 2. დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; 3. ღებულობს და წარგზავნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; 4. ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას და დენონსაციას.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან, პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას, ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს (მუხლი 75).

საგარეო ურთიერთობების სასღვარგარეთულ ორგანოთა შორის (დიპლომატიური, საკონსულო, სავაჭრო, საბაჟო და ა. შ.) ცენტრალური ადგილი უჭირავს დიპლომატიურ წარმომადგენლობას უცხო სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან. *1961 წლის 14 აპრილის დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით, დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებია:*

- ადგილსამყოფელ სახელმწიფოში თავისი სახელმწიფოს წარმოდგენა;
- ადგილსამყოფელ სახელმწიფოში თავისი სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესების დაცვა;
- ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების წარმოება;
- ადგილსამყოფელ სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების შესახებ ცნობათა კანონიერი საშუ-

ალებებით შეგროვება და თავისი სახელმწიფოსათვის მიწოდება;

- თავის და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობათა განვითარებისათვის ხელის შეწყობა. დიპლომატიური წარმომადგენლობა უფლებამოსილია შეასრულოს საკონსულო ფუნქციებიც.

დიპლომატიური წარმომადგენლობის პირადი შემადგენლობა სამ ჯგუფად იყოფა. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით:

1. დიპლომატიურ პერსონალს წარმომადგენლობაში, მისი მეთაურის გარდა, მიეკუთვნება ყველა მუშაკი, რომელსაც დიპლომატიური რანგი გააჩნია. სახელმწიფოთაშორისო პრაქტიკამ დღეისათვის შეიმუშავა დიპლომატიურ აგენტთა წოდებების ანუ რანგების გარკვეული ნუსხა[1]. ამ ნუსხას მისდევს საქართველოში შემოღებული შემდეგი რანგები: ატაშე, მესამე მდივანი, მეორე მდივანი, პირველი მდივანი, უმცროსი მრჩეველი, მრჩეველი, უფროსი მრჩეველი, უმაღლესი დიპლომატიური რანგები – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. დიპლომატიური რანგების მინიჭებისათვის განსაზღვრულია სამსახურის გავლის შემდეგი ვადები: ატაშისა და მდივნებისათვის – 2 წელი, მრჩევლებისათვის – 3 წელი. დიპლომატიურ რანგებს ანიჭებს საგარეო საქმეთა მინისტრი, უმაღლეს სპეციალურ წოდებებს და დიპლომატიურ რანგებს – საქართველოს პრეზიდენტი;

2. ტექნიკურ პერსონალს მიეკუთვნებიან კანცელარიის გამგეები, ბუღალტრები, თარჯიმნები, მეშიფრეები, მემანქანეები და ა. შ.

3. მოსამსახურე პერსონალს მიეკუთვნებიან მძღოლები, შოკრიკები, ლიფტიორები, შვეიცარები და ამ სახის სამუშაოს სხვა შემსრულებლები. ორი უკანასკნელი ჯგუფის პერსონალი საელჩოს არაოფიციალურ შემადგენლობაში შედის და დამხმარე როლს ასრულებს[2].

---

1 რანგი (ფრანგული – rang) – ხარისხი, თანრიგი, სპეციალური წოდება.

2 საერთაშორისო სამართალი, საკანონმდებლო აქტების კრებული, თბ., 2001, გვ. 53-74.

ამ ჯგუფების პრივილეგიები და იმუნიტეტები სხვადასხვაა. შეუზღუდველი, ყოვლისმომცველი და სრული შეღავათებით სარგებლობს პირველი ჯგუფი. დიპლომატიურ წარმომადგენლობას მის ადგილსამყოფელში მიეკუთვნება განსაკუთრებული პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომელთა მიზანია უსრულველყოს საელჩოს (მისიის) საქმიანობის შეუფერხებლობა, მისი ნაყოფიერი საქმიანობა.

იმუნიტეტი ანუ შეუვალობა გულისხმობს დიპლომატის ამიღებას ადგილობრივი იურისდიქციის კომპეტენციიდან, პრივილეგიები კი ანიჭებენ მას გარკვეულ უპირატესობას, მეტ უფლებებს, ვიდრე ადგილობრივ მოქალაქეებს ან სხვა უცხოელებს გააჩნიათ. იურიდიული თვალსაზრისით ორივე კატეგორიის უფლებანი თანაბარი ძალისაა, რაც აღიარებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი და კონვენციური ნორმებით.

ვენის 1961 წლის კონვენცია მკაფიოდ განსაზღვრავს დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებრივ მდგომარეობას პრივილეგიებისა და იმუნიტეტის სფეროში. ეს უფლებებია: წარმომადგენლობის შენობები ხელშეუხებელია. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანამდებობის პირებს შეუძლიათ იქ შესვლა მხოლოდ წარმომადგენლობის მეთაურის ნებართვით. დაუშვებელია ამ შენობის, აგრეთვე, ავეჯის და სხვა ნივთების, ავტომანქანების და მიმოსვლის სხვა საშუალებების გაჩხრეკა, მათზე ყადაღის დადება (მუხლი 22); მააკრედიტებელი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საელჩოს (მისიის) მეთაურები თავისუფლდებიან შენობაზე ყველა სახის გადასახადის, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან, კონკრეტული სახის მომსახურებისათვის გადახდევინების გარდა (მუხლი 23); წარმომადგენლობის არქივი და დოკუმენტები ხელშეუხებელია, მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად (მუხლი 24); ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ ყოველგვარი საშუალება უნდა მისცეს დიპლომატიურ წარმომადგენლობას თავისი ფუნქციების შესრულებისათვის (მუხლი 25); წარმომადგენლობა უფლებამოსილია თავისუფლად დაუკავშირდეს თავის სახელმწიფოს და მის საზღვარგარეთულ ორგანიზაციებს მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად და გამოიყენოს ამ მიზნებისათვის ყველა სათანადო საშუალება, დიპლომატიური შიკრიკებისა

და კოდირებული ან დაშიფრული დეპეშების ჩათვლით. წარმომადგენლობას შეუძლია გამოიყენოს რადიომიმღებიც, მაგრამ მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით. ამასთან, დიპლომატიური ფოსტა ხელშეუხებელია და მისი დაკავება ან გასინჯვა დაუშვებელია; ამიტომ დიპლომატიური ფოსტის მქონე ყველა ყუთს ან ტომარას გარედან უნდა ჰქონდეს კარგად გასარჩევი ნიშანი. ასევე ხელშეუხებელია დიპლომატიური შიკრიკი (მუხლი 27); თუ დიპლომატიური წარმომადგენლობა თავისი ოფიციალური ფუნქციების შესრულებისას ღებულობს რაიმე ფულად ანაღაურებას, ეს თანხა თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და ბაჟისაგან; დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაზე შეიძლება გამოკიდებული იყოს მაკრედიტებელი სახელმწიფოს დროშა და ემბლემა. დროშა და ემბლემა შეიძლება გამოიკიდოს წარმომადგენლობის მეთაურის მიმოსვლის საშუალებებზეც; დიპლომატიური აგენტის პიროვნება ხელშეუხებელია, იგი არ ექვემდებარება დაპატიმრებას ან დაკავებას ნებისმიერი ფორმით. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია საჭირო პატივისცემით ეპყრობოდეს მას და ყველა შესაბამისი ზომა მიიღოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი პიროვნების, თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა (მუხლი 29); დიპლომატიური აგენტის კერძო რეზიდენცია ისევე ხელშეუხებელი და დაცულია, როგორც წარმომადგენლობის შენობა; ყოველი წარმომადგენლობა უფლებამოსილია შეიტანოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ოფიციალური სარგებლობისათვის საჭირო ნივთები, *რომლებიც თავისუფლდებიან ყოველგვარი საბაჟო გადასახადისაგან*; დიპლომატიური წარმომადგენლობა თავისუფლდება ყველა სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისა და ბაჟისაგან, კონკრეტული სახის მომსახურებისათვის გადახდევინების გარდა (მუხლი 34); ამავე დროს, აღნიშნული პრივილეგიები და იმუნიტეტები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ბოროტად. კერძოდ, დაუშვებელია ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დევნილი პირისათვის საელჩოში თავშესაფრის მიცემა და სხვა[1].

დიპლომატიური აგენტი თავისუფლდება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული ყველა სახის გადასახადისა და გა-

---

1 ჰამლეტ ჭიპაშვილი, დიპლომატიის ანბანი, თბ., 1993, გვ. 233-254.

მოსაღებისაგან, აგრეთვე, ყველა სახის შრომითი სახელმწიფო და სამხედრო ბეგარისაგან. ვენის 1961 წლის კონვენციის 36-ე მუხლში ნათქვამია: სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, მის მიერ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, შეზიდვის ნებას რთავს და ათავისუფლებს ყველა სახის ბაჟის, გადასახადისა და მასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს: 1. არაპირდაპირი გადასახადები და გამოსაღებნი, დაკავშირებული კონკრეტული სახის მომსახურებასთან; 2. არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც შეაქვთ საქონლისა და მომსახურების ფასებში; 3. გამოსაღებნი და გადასახადები შეწერილი დიპლომატიური აგენტის კერძო საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებაზე, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს; 4. გადასახადები შეწერილი სამკვიდროზე და ბაჟი, რომელსაც სახელმწიფო კრეფს მემკვიდრეებისაგან (მცირე გამონაკლისით); 5. გამოსაღებნი და გადასახადები, შეწერილი კერძო შემოსავალზე, რომლის წყარო ადგილსამყოფელ სახელმწიფოში იმყოფება, აგრეთვე, გადასახადი შეწერილი ამ სახელმწიფოში არსებულ კომერციულ საწარმოებში დაბანდებულ კაპიტალზე; 6. სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟი, საიპოთეკო და საგერბო გამოსაღები იმ უძრავი ქონების მიმართ, რომელსაც დიპლომატიური აგენტი ფლობს პირადად.

ამავე მუხლის თანახმად, შეუძლიათ შეიტანონ:

- საგნები, რომლებიც ოფიციალური გამოყენებისათვის სჭირდება დიპლომატიურ წარმომადგენლობას;
- საგნები, რომლებიც პირადი გამოყენებისათვის სჭირდება დიპლომატიურ აგენტს ან მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს, მათ შორის საყოფაცხოვრებო საგნები.

დიპლომატიური აგენტის პირადი ბარგი თავისუფლდება შემოწმებისაგან; თუ არის სერიოზული ეჭვი იმისა, რომ იგი შეიცავს საგნებს, რომლებზეც არ ვრცელდება შეუვალობა კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, ან საგნებს, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია კანონით, ან რეგულირდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საკარანტინო წესებით. ასეთი შემოწმება უნდა მოხდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტის (დიპლომა-

ტიური აგენტი არის წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით[1].

საბაჟო პრივილეგიები. ყოველ დიპლომატიურ აგენტს უფლება ენიჭება ყოველგვარი გადასახადის, გამოსაღებისა და ბაჟის გარეშე შემოიტანოს და გაიტანოს წარმომადგენლობისათვის საჭირო ნივთები, აგრეთვე, პირადი სარგებლობის პირველადი მოხმარების საგნები; გამონაკლისს შეადგენს სასაწყობო, საგადაზიდვო და სხვა მსგავსი მომსახურებისათვის დაწესებული გადასახადები და გამოსაღებნი.

ჩვენს მიერ აღნიშნული იმუნიტეტები და პრივილეგიები, დიპლომატიურ აგენტთა გარდა, სრული სახით ვრცელდება მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებზე. ამასთან, ვინ შედის ამ წრეში, სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირად წყდება. როგორც წესი, ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან დიპლომატის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები, მის კმაყოფაზე მყოფი მშობლები.

იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომატიური აგენტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა, რაც ძალზე იშვიათად ხდება, იგი სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, ისიც პირადი და ქონებრივი ხელშეუხებლობის სფეროში, სხვა იმუნიტეტებისა და პრივილეგიების მინიჭება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებასურვილზეა დამოკიდებული.

საგანგებოდ აღსანიშნავია ვენის 1961 წლის კონვენციის 41-ე მუხლი: 1. ყველა პირი, რომელიც სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, ვალდებულია ამ პრივილეგიებისა და იმუნიტეტებისათვის ზიანის მიუყენებლად პატივს სცემდეს იმ სახელმწიფოს კანონებსა და დადგენილებებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ისინი ვალდებულნი არიან, აგრეთვე, არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში; 2. ყველა ოფიციალურ საქმეს, რომელსაც დამკრედიტებელი სახელმწიფო ანდობს წარმომადგენლობას, იგი აწარმოებს იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სადაც წარმომადგენლობა

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, თბ., 2002, გვ. 2007.

იმყოფება ან ამ სამინისტროს მეშვეობით, ან სხვა სამინისტროსთან, რომლის შესახებაც შეთანხმება არსებობს, ან სხვა სამინისტროს მეშვეობით.

ვენის კონვენციაში განსაზღვრულია დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრების, წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური, მომსახურე პერსონალისა და თანამშრომელთა შინამოსამსახურეების იმუნიტეტები და პრივილეგიები: ა) დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, სარგებლობენ სრული იმუნიტეტებით, თუ ისინი არ წარმოადგენენ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეებს; ბ) წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები და მათი ოჯახები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტებით და პრივილეგიებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ცხოვრობენ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, მათზე ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტი იმ გამონაკლისით, რომ: იმუნიტეტი სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციისგან ვრცელდება ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრებზე მხოლოდ იმ მოქმედებათა მიმართ, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს;

საბაჟო პრივილეგიებიდან მათზე ვრცელდება მხოლოდ პრივილეგიები, დაწესებული პირველადი მოთხოვნილების საგნების მიმართ. მაგრამ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ და ნაცვალგების საფუძველზე გაათანაბრონ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის უფლებები დიპლომატიური აგენტების იმუნიტეტებსა და პრივილეგიებთან;

წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრები, რომლებიც არ არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი ან მუდმივად არ ცხოვრობენ, სარგებლობენ იმუნიტეტით თავიანთ მოვალეობათა შესრულებისას და თავისუფლდებიან გადასახადებისა და ბაჟისაგან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის მიღებულ გასამრჯელოზე;

წარმომადგენლობის თანამშრომელთა შინამოსამსახურენი, თუ ისინი არ არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი, თავისუფლდებიან გადასახადებისა და ბაჟისაგან თავიანთი სამუშაოს შესრულებისათვის მიღებულ გასამრჯელოზე.

საკონსულო წარმომადგენლობების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები

საკონსულო დაწესებულებების გახსნას, მის კლასიფიკაციას, ადგილსამყოფელსა და საკონსულო რაიონს ადგენს წარმგზავნელი სახელმწიფო იმ ქვეყნის თანხმობით, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ნებისმიერი ცვლილება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობით.

ვენის 1963 წლის კონვენციის მეხუთე მუხლი შეიცავს კონსულის ფუნქციების ზოგად ჩამონათვალს:

- დაიცვას იმ სახელმწიფოს ფიზიკური ან მორალური ინტერესები, ვისი წარმომადგენელიცაა. აქედან გამომდინარეობს, კერძოდ, პასპორტებისა და ვიზების გაცემის უფლება, ნოტარიუსის, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა და სხვა მსგავსი თანამდებობის პირების მოვალეობათა შესრულება. მოქალაქეთა ინტერესების დაცვა გარდაცვალების შემთხვევაში, არასრულწლოვანთა და არაქმედუნარიან პირთა ინტერესების დაცვა, წარმგზავნელი ქვეყნის მოქალაქეთა წარმომადგენლობა იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც კონსული იმყოფება. სასამართლო ქაღალდების გადაცემა, სასამართლოებთან, მფრინავ აპარატებთან და მათ ეკიპაჟებთან დაკავშირებული ზედამხედველობა და დახმარების გაწევა;
- ჩაატაროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კანონით დაშვებული გამოკვლევა;
- ხელი შეუწყოს ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირების განვითარებას;
- შეასრულოს ყველა ფუნქცია, რომელსაც წარმგზავნელი სახელმწიფო აკისრებს კონსულს იმ სახელმწიფოს მიერ ნებადართულ ფარგლებში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ეს ფუნქციები ხორციელდება საკონსულო რაიონის ტერიტორიაზე და იმ უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია საკონსულო დაწესებულების მეთაურის უფლებებით.

საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურთა შემადგენლობა რამდენიმე კლასად იყოფა. ესენია: ა) გენერალური კონსული; ბ) კონსული; გ) ვიცე-კონსული; დ) საკონსულო აგენტი. გენერალური კონსული დგას საკონსულოს სათავეში. ზოგიერთ შემთხვევა-

ში, თავისი სახელმწიფოს სპეციალური რწმუნებით გენერალური კონსული ხელმძღვანელობს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მყოფ თავისი ქვეყნის ყველა კონსულს. დამკვიდრებულია საშტატო და შტატგარეშე კონსულების ინსტიტუტი.

საშტატო კონსული სახელმწიფო სამსახურში მყოფი ანუ თანამდებობის პირია, რომელიც გამგზავნი სახელმწიფოს მოქალაქე უნდა იყოს. იგი ხელფასს ღებულობს თავისი სახელმწიფოს ხაზინიდან. შტატგარეშე კონსული, როგორც წესი, საკონსულოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები კომერსანტი ან სხვა სავაჭრო და საფინანსო წრეების წარმომადგენელია. სახელმწიფო მას ხელფასს არ უხდის. იმის გამო, რომ ამ სახის კონსულები სახელმწიფო ხელფასს არ იღებენ, მათ ხშირად საპატიო კონსულებს უწოდებენ.

საკონსულო წარმომადგენლობათა შემადგენლობა სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: ა) საკონსულო თანამდებობის პირები; ბ) საკონსულოს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები; გ) მომსახურე პერსონალის მუშაკები. ეს გათვალისწინებულია საბაჟო შეღავათების მინიჭების პროცესში.

უკანასკნელ წლებში ბევრ ქვეყანაში თავი იჩინა დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის შერწყმის აშკარა ტენდენციამ. ამის შედეგად შტატიან კონსულთა იმუნიტეტები გაფართოვდა და დიპლომატიურ ინსტიტუტებს დაემსგავსა. ეს ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება. 1963 წლის ვენის კონვენციით დადგენილმა რეჟიმმა განამტკიცა და ზოგიერთ საკითხში გააფართოვა შტატიანი კონსულების პრივილეგიები და დააწესა განსხვავება შტატიან და საპატიო კონსულებს შორის.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ნორმა, რომელიც საკონსულო წარმომადგენლობის სტატუსსაც დიპლომატიურ წარმომადგენლობათა იმუნიტეტებს და პრივილეგიებს უთანაბრებს, რაც საკონსულოს წარმომადგენლობითი ხასიათის აღიარებას მოასწავებს.

ყოველი საკონსულოს შენობა და მიმოსვლის საშუალებანი, მისი არქივი, დოკუმენტები სარგებლობს სრული ხელშეუხებლობით. საკონსულოს უფლება აქვს თავისუფლად დაუკავშირდეს თავის მთავრობას, დიპლომატიურ წარმომადგენლობას, სხვა საკონსულოებს სპეციალური შიკრიკების, დაშიფრული დეპეშების

და რადიომიმღების (ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებართვით) საშუალებით. *იგი თავისუფალია ყოველგვარი საბაჟო გამოსაღებებისა და გადასახადებისაგან, არაპირდაპირი გადასახადებისა და კონკრეტული მომსახურების სფეროს გამოკლებით.*

ვენის 1963 წლის კონვენციამ[1] დაადასტურა მის მიღებამდე არსებული საკონსულოს შენობის გადასახადისაგან გათავისუფლება. 49-ე მუხლი საკონსულოს აგენტებსა და მოსამსახურეებს ათავისუფლებს, აგრეთვე, ხელფასზე დაწესებული გადასახადებისაგან და, მცირე გამონაკლისის გარდა, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისაგან.

კონვენცია აწესებს და აფართოებს საბაჟო შეღავათების რეჟიმის გამოყენებას. მაგალითად, სხვადასხვა საგანთა და მასალათა რაოდენობას, რომლებიც ოფიციალური სარგებლობისათვის არის განკუთვნილი და რომლებიც საბაჟო გადასახადით არ იბეგრებოდა. დებულებას საკონსულოს აგენტის პირადი ბარგისა და მოწყობილობის შესახებ ემატება საკონსულოს თანამდებობის პირთა და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი ნივთების გონიერ ფარგლებში შეზიდვის შესახებ.

საკონსულოს თანამშრომლის სიკვდილის შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფო არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს განსვენებულის ავეჯისა და ქონების გატანას, იმ ქონების გარდა, რომლის გატანაც აკრძალული იყო მის გარდაცვალებამდე.

ვენის კონვენციის თანახმად (მუხლი 50), ადგილსამყოფელი სახელმწიფო, იქ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, ნებას რთავს შეზიდონ და ათავისუფლებს ყოველგვარი ბაჟისაგან, გადასახადებისა და ამასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, შენახვის, გადაზიდვისა და სხვა ამგვარი მომსახურების მოსაკრებლების გარდა:

- საგნებს, რომლებიც საკონსულოს დაწესებულებას ოფიციალური გამოყენებისათვის სჭირდება;
- საგნებს, რომლებიც საკონსულოს თანამდებობის პირს ან მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს პირადი გამოყენებისათვის

---

1 საქართველო შეუერთდა 1993 წლის 8 ივნისის პარლამენტის დადგენილებით.

სჭირდებათ, მათ შორის საყოფაცხოვრებო საგნებს ოჯახის მოსაწყობად. სამომხმარებლო საქონლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პირების მიერ უშუალო მოხმარებისათვის საჭირო რაოდენობას.

საკონსულო მოსამსახურენი სარგებლობენ აღნიშნული პრივილეგიებით და იმ საგნების ბაჟისაგან განთავისუფლებით, რომლებიც შემოსიდულია თავდაპირველი საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის.

საკონსულოს თანამდებობის პირთა და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი ბარგი, რომელიც მათ თან მიაქვთ, თავისუფლდება შემოწმებისაგან. იგი შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის სერიოზული ეჭვი, რომ მასში არის სხვა საგნები, რომელთა შემოტანა და გატანა აკრძალულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით, ან ექვემდებარებიან ამ სახელმწიფოს საკარანტინო კანონებსა და წესებს. ასეთი შემოწმება უნდა მოხდეს შესაბამისი საკონსულოს თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის თანდასწრებით[1].

საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები

სახელმწიფოთა წარმომადგენლობანი საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს ინსტიტუტი მხოლოდ XX საუკუნეში ჩამოყალიბდა, ერთა ლიგის შექმნისთანავე. მისი დაკონკრეტება, დეტალიზაცია და დახვეწა თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს. ამ ორგანიზაციების აღმასრულებელ ორგანოებთან მჭიდრო და ოპერატიული ურთიერთობისათვის მათი წევრი სახელმწიფოები ამ ორგანოებში აგზავნიან თავიანთ მუდმივ წარმომადგენლებს, რომლებიც დიპლომატთა სტატუსით სარგებლობენ. იმუნიტეტებისა და პრივილეგიების მოცულობა განსხვავდება ერთმანეთისაგან საერთაშორისო ორგანიზაციის მნიშვნელობისა და ხასიათის შესაბამისად. მაგრამ, ძირითადად, წარმომადგენლობა აღიჭურვება

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, თბ., 2002, გვ. 211.

ყველა . იმ დიპლომატიური იმუნიტეტით, რომელიც უსრულველ-ყოფს მათ მიერ თავიანთი ფუნქციების პირნათლად და შეუფერ-ხებლად შესრულებას.

დამკვიდრებულია წესი, რომლის მიხედვით პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შინაარსი განისაზღვრება თვით საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ხშირად ორგანიზაციას და დაინტერეს-ებულ სახელმწიფოს შორის იდება სპეციალური შეთანხმება, რომელიც განამტკიცებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან არ-სებული სახელმწიფოების წარმომადგენლობათა სტატუსს. წარ-მომადგენლობის წევრები დიპლომატიური რანგის მქონე პირე-ბია, ხოლო მის სათავეში მდგომ პირს საგანგებო და სრულუფ-ლებიანი ელჩის რანგი გააჩნია. ტექნიკური და მომსახურე პერ-სონალის წევრები სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტე-ტებით სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ჟენევის 1975 წლის კონვენციამ სახელმწიფოთა წარმომადგენ-ლობის შესახებ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციებ-თან ურთიერთობაში განამტკიცა სრული დიპლომატიური პრივი-ლეგიები და იმუნიტეტები დიპლომატიური რანგის მქონე თანამ-შრომლებისა და თვით წარმომადგენლობებისათვის. კონვენცია ავრცელებს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს მეთვალყურეთა მი-სიებზე, რომლებსაც ნიშნავენ სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განსაზღვრავს სახელმწიფოთა დელეგა-ციების სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო ორგანიზაციე-ბის ორგანოების მუშაობაში და საერთაშორისო ორგანიზაციე-ბის მიერ ან მათი ხელმძღვანელობით მოწვეულ კონფერენციებ-ზე. ძირითადად მათ მიენიჭებათ საცხოვრებელი ბინის და პირა-დი ხელშეუხებლობა.

მუდმივი წარმომადგენლობები გაეროს სპეციალიზებულ და-წესებულებებთან და მათი თანამშრომლები სარგებლობენ შედა-რებით შეზღუდული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით. წარმო-მადგენლობებს ენიჭებათ შენობის, მიწერ-მოწერის, არქივისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობა, შიფრით და შიკრიკით სარგებ-ლობის უფლება, საბაჟო და ყოველგვარი სხვა გადასახადებისა-გან გათავისუფლება.

1947 წლის კონვენცია სპეციალიზებული საერთაშორისო ორ-განიზაციების წარმომადგენლობების თანამშრომლებს ანიჭებს

შეუვალობას მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობის დროს, მაგრამ დღეისათვის დაინტერესებული ორგანიზაციის და მათი შტაბ-ბინის მდებარე სახელმწიფოსთან ურთიერთშეთანხმებით, მუდმივი წარმომადგენლები სარგებლობენ სრული დიპლომატიური იმუნიტეტებითა და პრივილეგიებით.

საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები. სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას მთავარი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოში მდებარე შტაბ-ბინაში თავსდება. შტაბ-ბინის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოების ნაწილი ზოგჯერ მდებარეობს სხვა ქვეყანაშიც, მაგალითად, გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია, სამდივნოს ნაწილი კი განლაგებულია ჟენევასა და ვენაში.

დღეისათვის ჩამოყალიბებულია საკმაოდ მტკიცე და ყოვლისმომცველი სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც შეეფარდება საერთაშორისო ორგანიზაციების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს. გაეროს – უნივერსალურ და უნიკალურ საერთაშორისო ორგანიზაციას ენიჭება ისეთივე პრივილეგიები და იმუნიტეტები, რაც დიპლომატიურ წარმომადგენლობებს. იგი ემსახურება გაეროს მიერ თავისი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების საქმეს.

პირადი დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მიხედვით, გაეროს თანამშრომლები იყოფიან ორ ძირითად ჯგუფად – გენერალური მდივანი და მისი მოადგილეები სრული დიპლომატიური იმუნიტეტებით სარგებლობენ; იგივე სტატუსს მიანიჭებენ გაერის სხვა მაღალი რანგის თანამშრომლებს, რომლებიც გათანაბრებული არიან გენერალური მდივნის მოადგილეების სტატუსთან. თანამშრომლები სარგებლობენ შეზღუდული შეუვალობით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილი ქმედებისათვის: პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, საბაჟო და სხვა პრივილეგიები, მაგრამ სამსახურებრივი საქმიანობის გარეშე ისინი მთლიანად ექვემდებარებიან აშშ-ს ფედერალურ და შტატების იურისდიქციას.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან ჟენევაში მდებარე გაეროს ევროპული განყოფილების თანამშრომლები. ამასთან, აქ სრული დიპლომატიური პრივილეგიების და იმუნიტეტების მქონე პირთა წრე უფრო ფართოა – გენერალური დირექტორი, მისი

მოადგილეები, დირექტორების და უფროსი თანამშრომლის წოდების მფლობელნი.

გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციების სტატუსი იგივეა, რაც თვით გაეროს ცენტრალური დაწესებულებებისა. 1947 წლის კონვენციის მიხედვით, დიპლომატიური იმუნიტეტებისა და პრივილეგიების მქონე პირთა წრე შეზღუდულია მხოლოდ უმაღლესი თანამდებობის პირებით — გენერალური დირექტორი, მისი მოადგილეები და თანაშემწენი. ზოგჯერ დეპარტამენტის უფროსები და სხვა მაღალი რანგის თანამშრომლები სარგებლობენ ამ უფლებით მხოლოდ სპეციალური შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ არა მარტო იმ პირებს, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციის სათანადო რანგის თანამშრომლებია, არამედ მათ მეუღლეებსა და არასრულწლოვან შვილებსაც.

საქართველოს კანონმდებლობა საბაჟო შეღავათების შესახებ

საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე. ამასთან, საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საბაჟო კონტროლს არ ექვემდლებარებიან: საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წევრები, უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები, მათი ბარგი.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცალკეული პირები, საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები თავისუფლდებიან საბაჟო კონტროლის გარკვეული ფორმებისაგან, თუ ეს შეესაბამება საქართველოს ინტერესებს. საბაჟო კონტროლის გარკვეული ფორმისაგან გათავისუფლება საერთაშორისო ხელშეკრულებე-

ბისა და შეთანხმებების შესაბამისად ხდება მათი რატიფიცირების შემდეგ. საქართველოს საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო შეღავათებს (მუხლები 139-144).

საბაჟო შეღავათები დიპლომატებისათვის. კოდექსის (მუხლი 140) შესაბამისად, საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება საქართველოში უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) და მათი ბარგი. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომლის მონაწილეც საქართველოა. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი.

საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ კანონით საბაჟო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებულია: საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის; აგრეთვე, ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი.

საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტითა და საკონსულო ვალიზით საქართვე-

ლოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის წესებს. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დაუშვებელია უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზის გახსნა ან დაკავება. ვალიზი დაბეჭდილი საფოსტო ტომარაა დიპლომატიური კურიერისა.

დიპლომატიური ფოსტა უნდა შეიცავდეს მხოლოდ დიპლომატიურ საბუთებსა და ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს, ხოლო საკონსულო ვალიზი – მხოლოდ ოფიციალურ კორესპონდენციას, საბუთებს ან ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს.

საბაჟო კანონმდებლობა უფლებას აძლევს საბაჟო ორგანოს, თუ არის სერიოზული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ საკონსულო ვალიზი შეიცავს საგნებს, რომლებიც აღნიშნული არ არის საბაჟო კანონმდებლობაში, მოითხოვოს, რომ საკონსულო ვალიზი გახსნას უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელმა – უფლებამოსილმა პირმა საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა თანდასწრებით. საკონსულოს ვალიზის გახსნაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი ბრუნდება გამოგზავნის ადგილზე.

კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა გზავნილს, რომელიც შეადგენს დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზას, უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშანი, რომელიც გზავნილის ხასიათზე მიუთითებს.

საბაჟო კოდექსი (მუხლი 142) აწესებს საბაჟო შეღავათებს უცხოელი დიპლომატიური და საკონსულო კურიერებისათვის. მათ შეუძლიათ საქართველოში შემოიტანონ და საქართველოდან გაიტანონ პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი ნაცვალგების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს ორ ქვეყანას შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან, საბაჟო კონტროლის გარეშე და საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლებით.

საბაჟო კოდექსში ცალკე მუხლადაა (მუხლი 143) ჩამოყალიბებული საბაჟო შეღავათები უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და დელეგაციის წევრებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. კანონმდებლობის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებზე, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციის, აგრეთვე, ნაცვალგების საფუძველზე უცხო სახელ-

მწიფოთა დელეგაციის იმ წევრებზე, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებაში, საერთაშორისო კონფერენციებსა და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად ან სხვა ოფიციალური დავალებით, მათ თანმხლებ ოჯახის წევრებზე ვრცელდება დიპლომატებისათვის გათვალისწინებული საბაჟო შეღავათები. რაც შეეხება საბაჟო შეღავათებს საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციებისათვის, მათთან არსებული უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობებისათვის, აგრეთვე, ამ ორგანიზაციებისა და წარმომადგენლობების პერსონალისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

დიპლომატიური პერსონალისა და საკონსულოს თანამდებობის პირთათვის, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და დელეგაციების წევრებისათვის, რომლებიც ტრანზიტით მგზავრობენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით, ვრცელდება დიპლომატებისათვის გათვალისწინებული საბაჟო შეღავათები.

მოკლე დასკვნები

- *დიპლომატიური წარმომადგენლობის პირადი შემადგენლობა სამ ჯგუფად იყოფა: დიპლომატიური პერსონალი; ტექნიკური და მომსახურე პერსონალი. ამ ჯგუფების პრივილეგიები და იმუნიტეტები სხვადასხვაა.*
- *იმუნიტეტი ანუ შეუვალობა ნიშნავს დიპლომატის ამოღებას ადგილობრივი იურისდიქციის კომპეტენციიდან, პრივილეგია კი ანიჭებს მას გარკვეულ უპირატესობას, მეტ უფლებებს, ვიდრე ადგილობრივ მოქალაქეებს ან სხვა უცხოელებს გააჩნიათ.*
- *დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ პრივილეგიები და იმუნიტეტები საბაჟო სფეროში. მათ შეუძლიათ საბაჟო გადასახადის გარეშე შემოიტანონ ან გაიტანონ: ა) საგნები, რომლებიც ოფიციალური გამოყენებისათვის სჭირდებათ წარმომადგენლობებს; ბ) საგნები, რომლებიც პირადი გამოყენებისათვის სჭირდებათ დიპლომატიურ აგენტებს ან მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მათ შორის – საყოფაცხოვრებო საგნები.*

- *საბაჟო პრივილეგიებისა და იმუნიტეტების დაწესება ხორციელდება ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე.*

კითხვები გამეორებისათვის

- *დაასახელეთ საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც საბაჟო პრივილეგიებს ანიჭებენ დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.*
- *განმარტეთ ცნებები „პრივილეგია“ და „იმუნიტეტი“.*
- *ჩამოთვალეთ საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები, რითაც სარგებლობენ დიპლომატიური წარმომადგენლობები.*
- *ვინ სარგებლობს შეუზღუდველი საბაჟო პრივილეგიებით?*
- *საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა საბაჟო შელავათების შესახებ; დაასახელეთ საკანონმდებლო აქტები და განმარტეთ ძირითადი დებულებები.*

თავი 6. საქართველოში შემოსვლისა და გასვლის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კანონმდებლობა. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა, საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლა, ყოფნა და გასვლა, ტურისტების აღრიცხვა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“[1], „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“[2], „საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ“, „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ“, „საქართველოში შემოსუ-

1 საერთაშორისო სამართალი, საკანონმდებლო აქტების კრებული, 2001, გვ. 140-153.

2 ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საკანონმდებლო აქტების კრებული, 2000, გვ. 136-141.

ლი და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ"[1] და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით.

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა

საქართველოში უცხოელებად ითვლებიან: პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი (უცხო სახელმწიფოს მოქალაქენი); მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც აქვთ უცხო სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (უცხო სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი).

საქართველოში უცხოელებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს კონსტიტუცია ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, ანიჭებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლებას. ასევე ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 27), სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

---

1 უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი, უცხოელთა უფლებები და მოვალეობები, უცხოური ინვესტიციები და გრანტები. საკანონმდებლო აქტების კრებული, 2001, გვ. 30-35, 44-51.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

საქართველოში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპებია:

- უცხოელებს საქართველოში ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ და ისეთივე მოვალეობები აკისრიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- უცხოელები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებათა მიუხედავად;
- საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს;
- საქართველოში უცხოელთა უფლება-მოვალეობების აღსრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებს და უგულებელყოფდეს მის კანონიერ ინტერესებს;
- იმ სახელმწიფოების მოქალაქეთა მიმართ, სადაც საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები განსრას შეიზღუდება, საქართველო აწესებს ადეკვატურ შეზღუდვებს;
- საქართველოში მყოფი უცხოელები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, პატივი სცენ ქართულ ენას, ქართველი ერის კულტურას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს;
- საქართველოში მყოფ უცხოელებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად;
- უცხოელებს საქართველოში აქვთ კულტურული ღირებულებებით სარგებლობის უფლება, თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა;

- უცხოელებს საქართველოში გარანტირებული აქვთ მშობლიური ენით სარგებლობის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების დაცვისა და განვითარების უფლება;
- უცხოელები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს და სხვა კულტურულ ღირებულებებს;
- უცხოელებს საქართველოში, თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა, გარანტირებული აქვთ აზროვნების, შეხედულებების და სარწმუნოების თავისუფლება;
- აკრძალულია მტრობისა და შუღლის გაღვივება სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა შორის, ასევე პიროვნების დევნა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისათვის.

კანონმდებლობა იცავს ადამიანის უფლებებს უცხოელთა პიროვნების დაცვისა და მათ ცხოვრებაში ჩაურევლობის გარანტიებს. უცხოელებს საქართველოში გარანტირებული აქვთ პიროვნების და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩაურევლობა, ღირსებისა და რეპუტაციის პატივისცემა, კორესპონდენციის საიდუმლოების, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ შეიძლება საქართველოში მყოფი უცხოელის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც

- ცდილობდა უკანონოდ გადაელახა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;
- უკანონოდ იმყოფება საქართველოში,
- ჩაიდინა დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა, რისთვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შეიძლება პიროვნების დაკავება ან დაპატიმრება;
- მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ან როდესაც იგი გაქცეულია თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან და თავს არიდებს სასჯელის მოხდას.

უცხოელის, მათ შორის ტურისტის, დაკავების შემთხვევაში მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზები და წარდგენილი ბრალდება, ამავე დროს განემარ-

ტოს საპროცესო უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა, უცხოელი მოქალაქის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში პროკურატურის ორგანოებმა 48 საათის განმავლობაში უნდა აცნობონ ეს საქართველოში იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც არის დაკავებული ან დაპატიმრებული პირი. საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში კი უნდა ეცნობოს საქართველოში იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, სადაც მუდმივად ცხოვრობს დაკავებული ან დაპატიმრებული პირი.

უცხოელებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოებს თავიანთი ქონებრივი, პირადი არაქონებრივი და სხვა უფლებების დასაცავად. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უცხოელები საქართველოს მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ საპროცესო უფლებებით.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ. იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქაროველოს ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. კოდექსის მეოთხე მუხლის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე“.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაუ-

ლად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდენად არ შეიძლება გადაეცნენ სხვა სახელმწიფოს, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება გადაეცნენ სხვა სახელმწიფოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად (მუხლი 5), საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

საქართველოში უცხოელთა შემოსვლისა და გასვლის წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონში „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“[1].

საქართველოში შემოსვლა. საქართველოში შემოსვლისათვის უცხოელებმა საქართველოში შემოსასვლელი ვიზის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართონ საზღვარგარეთ არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფს, წარმოადგინონ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტი ან თავიანთი მუდმივ საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი.

---

1 საერთაშორისო სამართალი, საკანონმდებლო აქტების კრებული, 2001, გვ. 148-150.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შემოსვლა საქართველოში შეიძლება უვიზოდაც.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შემოსვლის აკრძალვის პირობებს. *შემოსვლა უცხოელ მოქალაქეს შეიძლება აეკრძალოს:*

- თუ ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;
- თუ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული;
- სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესების თვალსაზრისით;
- თუ ეს აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;
- თუ მხილებულია საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების თვალსაზრისით;
- თუ საქართველოში წინანდელი ყოფნისას დაარღვია საქართველოს კანონის მოთხოვნები;
- თუ საქართველოში შემოსვლაზე შუამდგომლობის აღძვრისას წარადგინა ყალბი ცნობები.

საქართველოდან გასვლა. უცხოელებმა საქართველოდან გასვლისას უნდა წარმოადგინონ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტი ან თავიანთი მუდმივ საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი და შესაბამისი ვიზა, აგრეთვე, მიგრანტის ბარათი.

საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა უცხოელებმა საქართველოდან გასვლისას შესაბამის ორგანოებში უნდა წარადგინონ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტი ან თავიანთი მუდმივ საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი და საქართველოდან გასვლის ვიზა, აგრეთვე, მიგრანტის ბარათი.

კანონის მიხედვით (მუხლი 24, მესამე ნაწილი) უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს საქართველოდან გასვლა ეკრძალება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ მისი გასვლა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს – ამ გარემოებათა მოქმედების შეწყვეტამდე;
- თუ იგი ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში – მის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტამდე;
- თუ გასამართლებულია დანაშაულისათვის – სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისაგან განთავისუფლებამდე.

კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება უცხოელი მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გასვლის გადაადება, სანამ მოიხდის სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებებს.

საქართველოს სასაზღვრო, საბაჟო და მიგრაციული კონტროლის ორგანოებს კანონმდებლობით უფლება აქვთ უცხოელებს უარი უთხრან საქართველოს საზღვრის გადაკვეთაზე, თუ ისინი არ წარადგენენ სათანადო წესით გაფორმებულ მოქმედ უცხოეთის პასპორტებსა და სხვა საჭირო დოკუმენტებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია უცხოელი მოქალაქეების, აგრეთვე, საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოდან გაძევება. საქართველოდან შეიძლება გაძევდნენ:

- თუ აღარ არსებობს საქართველოში მათი შემდგომი ყოფნის საფუძველი;
- თუ ისინი უკანონოდ შემოვიდნენ ან იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე;
- თუ მათი ყოფნა საქართველოში ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
- თუ ეს აუცილებელია საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის;
- თუ ისინი განზრახ სისტემატურად არღვევენ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

უცხოელი მოქალაქეების, აგრეთვე, საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული გაძევების წესის შესაბამისად.

უცხოელი მოქალაქეები და საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირები ვალდებული არიან გაძევების

შესახებ გადაწყვეტილების მათთვის გასაგებ ენაზე წარდგენის შემდეგ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში დატოვონ საქართველო. ამავე დროს, თუ აღნიშნული პირები უარს იტყვიან საქართველოდან გასვლაზე ან გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ გავლენ საქართველოდან, ისინი იძულებით გაძევდებიან და გაძევებიდან ერთი წლის განმავლობაში მათზე არ გაიცემა საქართველოში შემოსასვლელი ვიზა და მიგრანტის ბარათი. რა თქმა უნდა, კანონმდებლობის თანახმად, გადაწყვეტილება საქართველოდან გაძევების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, უცხოელებს საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო წესების დარღვევისათვის ეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

საქართველოს კანონი (1993 წლის 27 ივლისი) „საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ" განსაზღვრავს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა და უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა:

- საქართველოში დროებით შემოსვლასა და გასვლას;
- უცხოელთა საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო გავლასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას;
- პასუხისმგებლობას ამ კანონის დარღვევისათვის.

უცხოელები საქართველოში შემოდიან და საქართველოდან გადიან საქართველოს საზღვარზე არსებული საერთაშორისო კავშირებისათვის ღია გამშვები პუნქტებიდან საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტით ან თავიანთი მუდმივ საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტით, თუ აქვთ საქართველოში შემოსვლის, შემოსვლა-გასვლის, საქართველოდან გასვლის ან გასვლა-შემოსვლის ვიზა.

ვიზა (ლათ. visa – ნახული) – სახელმწიფოში შესვლის, იქიდან გამგზავრების ან მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა, რომელიც აღინიშნება პასპორტში.

ვიზის კატეგორიები: ა) დიპლომატიური; ბ) სამსახურებრივი; გ) ჩვეულებრივი; დ) ტურისტული. ვიზის ტიპებია: ერთჯერადი, ორჯერადი და მრავალჯერადი.

ვიზებს გასცემენ და მათი მოქმედების ვადას აგრძელებენ საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულო დაწესებულებები და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკონსულო სამსახურები – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი და მისი წარმომადგენლობები. ვიზების გაცემის წესს ადგენს საქაროველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ვიზების გაცემის საფუძველია:

- *კერძო ვიზიტისას* – უცხოელის პირადი შუამდგომლობა, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მოწვევა;
- *ტურისტული ვიზიტისას* – უცხოელის პირადი შუამდგომლობა ან ტურისტული ორგანიზაციის შუამდგომლობა;
- *საძმიანი ვიზიტისას* – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მოწვევა;
- *ოფიციალური ვიზიტისას* – სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მოწვევა.

საქართველოდან გასვლისას ან გასვლა-შემოსვლისას – უცხოელის პირადი შუამდგომლობა. გასვლა-შემოსვლის ვიზა მიეცემათ იმ უცხოელებს, რომლებიც შემოსვლის ან შემოსვლა-გასვლის ვიზის მოქმედების ვადაში დროებით გადიან საქართველოდან. გასვლა-შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ვიზის მოქმედების ვადას.

უცხოელებს საქართველოში შემოსვლა და საქართველოდან გასვლა ეკრძალებათ „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

უცხოელებს საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლა შეუძლიათ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტით ან თავიანთი მუდმივ საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტით და საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულო დაწესებულებების ან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკონსულო სამსახურების – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის და მისი წარმომადგენლობების მიერ გაცემული სატრანზიტო ვიზით.

საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გავლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს.

სატრანზიტო ვიზა გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე ერთ ან რამდენიმე პუნქტში გაჩერების უფლებით, მეზობელ ქვეყანაში გამგზავრების მარშრუტის შესაბამისად.

საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ სატრანზიტო გავლის უფლება აქვთ:

- საჰაერო ტრანსპორტის მგზავრებს, თუ არსებობს საჰაერო სივრცის გადაკვეთის წინასწარი ნებართვა;
- საერთაშორისო ავიახაზების თვითმფრინავებით მგზავრობისას შუალედური გადაჯდომით, თუ მგზავრებს აქვთ დანიშნულების ქვეყანაში შესვლის უფლების დამადასტურებელი საბუთი და ავიაბილეთი, რომელშიც დამოწმებულია საქართველოს იმ აეროპორტიდან გამოფრენის თარიღი, სადაც შუალედური გადაჯდომა ხდება, და როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დრო არ აღემატება 24 საათს. ამასთან, მგზავრებს უფლება არა აქვთ დატოვონ აეროპორტში მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლები;
- იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებთანაც საქართველოს აქვს შესაბამისი შეთანხმება.

უცხოელებს საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო გავლა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის საერთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვა შეუძლიათ მხოლოდ საერთაშორისო საავტომობილო კავშირებისათვის ღია გზებზე.

საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გამვლელი უცხოელები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩერებულიყვნენ 72 საათზე მეტ ხანს, ვალდებულნი არიან გააგრძელონ სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადა ან მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისათვის აუცილებელი სხვა სახის ვიზა.

იძულებით გაჩერებად ჩაითვლება:

- სტიქიური უბედურება, რომელიც აფერხებს მატარებლის, ავტოტრანსპორტის, გემის ან თვითმფრინავის მოძრაობას;
- სატრანსპორტო საშუალების აუცილებელი რემონტი ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
- ავადმყოფობა, როდესაც ექიმის დასკვნით ავადმყოფის შემდგომი მგზავრობა საფრთხეს შეუქმნის მის ჯანმრთელობას.

ამ შემთხვევაში ავადმყოფთან შეიძლება დარჩნენ მისი ოჯახის წევრები და თანმხლები პირები;

- როდესაც ფერხდება საკვანძო პუნქტში ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეში გადაჯდომა;
- სხვა შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია ერთი ადგილიდან მეორეზე შეუფერხებლად გადაადგილება.

სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება ხდება უცხოელის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა ან სხვა ორგანოების ცნობის წარდგენით, რომელიც ადასტურებს იძულებით გაჩერების მიზეზსა და ხანგრძლივობას.

საქართველოს მოქალაქეთა დროებითი გასვლისა და შემოსვლის წესები

საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან დროებით გასვლის და საქართველოში შემოსვლის უფლება (ტურიზმი, ბიზნესი, საქმიანი შეხვედრები და სხვა).

საქართველოს მოქალაქეები საქართველოდან დროებით გადიან და საქართველოში შემოდიან პასპორტით, რომელსაც გასცემენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები. პასპორტი ერთიანი ნიმუშისაა და ძალა აქვს საქართველოდან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გასვლისა და საქართველოში შემოსვლისათვის. პასპორტი საქართველოს კუთვნილებაა.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, პასპორტის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი შემცვლელი დოკუმენტი.

საქართველოს მოქალაქის პასპორტს ძალა აქვს გაცემის დღიდან ხუთი წლის მანძილზე. საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, ხოლო საქართველოში ყოფნისას – შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს.

საქართველოდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან და ქმედუნარიან მოქალაქეს. პასპორტის მისაღებად პირმა უნდა წარადგინოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

საქართველოდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობა დაინტერესებულ პირს შეაქვს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის მონაცემი, რომლებიც შეიტანება პასპორტში. შუამდგომლობას უნდა დაერთოს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

- თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს თან მიჰყვებიან 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვები, – მათი წერილობითი თანხმობა კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გამგზავრებაზე;
- თუ შუამდგომლობის აღმძვრელ კანონიერ წარმომადგენელს თან მიჰყვებიან არასრულწლოვანი ბავშვები, ხოლო მეორე კანონიერი წარმომადგენელი რჩება საქართველოში – ამ უკანასკნელის თანხმობა არასრულწლოვანი ბავშვების საქართველოდან დროებით გასვლაზე.

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე, საზღვრის გადაკვეთაზე იმ შემთხვევაში, თუ:

- მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
- არ მოუხდია სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული სასჯელი;
- მის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სამართლის სარჩელი;
- შეუსრულებელი აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება;
- წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს[1].

საქართველოდან გასვლისას საზღვრის გადაკვეთისას მოქალაქეები გადიან საპასპორტო კონტროლს და პასპორტში ან მის შემცველ დოკუმენტში აღინიშნება საზღვრის გადაკვეთის თარიღი. საზღვრის გადასაკვეთად მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა, სადაც უშუალოდ მიემგზავრება.

საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოში, რისთვისაც ნებართვა არ სჭირდება.

---

1 საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, ადამიანის ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, 2000, გვ. 139.

სხვა სახელმწიფოში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეუზღუდოს ამ ქვეყანაში გასვლა გარკვეული ვადით. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ასეთი შეზღუდვის შემოღებისა და გაუქმების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს.

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო მიმოსვლა ხდება იმ სასაზღვრო გამტარი პუნქტების მეშვეობით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების შესაბამისად.

სასაზღვრო გამშვები პუნქტების ფარგლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

პირი, ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას გადის სასაზღვრო და საბაჟო კონტროლს. საზღვარგარეთიდან მომავალი, აგრეთვე, საქართველოდან მიმავალი სანაოსნო საშუალების კაპიტანს, საჰაერო ხომალდის მეთაურს, მატარებლის უფროსს, ავტოტრანსპორტის მძღოლს მისი ტრანსპორტით პირთა უკანონოდ შემოყვანა-გაყვანისათვის, აკრძალული ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საზღარგარეთიდან მომავალი ტრანსპორტის სასაზღვრო შემოწმება ხდება მფლობელის და ტრანსპორტის მომსახურე პერსონალის თანდასწრებით.

პირი ვალდებულია დაიცვას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი, რომელიც ადგენს:

- პირისა და ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის და მათი შემოწმების წესს;
- სახელმწიფო საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების, ნივ-

თების, ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ფასიანი ქაღალდების გადატანის, ცხოველთა გადაყვანის წესს;

- სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შემოტანა-გატანის წესს და სხვა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის, ტრანსპორტის, ტვირთის, ცხოველისა და სხვა ქონების გატარება ხდება სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით და გულისხმობს პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, სახელმწიფო საზღვარზე ტრანსპორტის გადაადგილების, ცხოველის გადაყვანის, ტვირთისა და სხვა ქონების გადატანის კანონიერების ცნობას.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები, გაატარებენ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა პირების მიერ წარმოებს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში.

საპასპორტო კონტროლი საქართველოში შემოსვლისას წარმოებს სრული მოცულობით, ხოლო საქართველო-აზერბაიჯანის, საქართველო-სომხეთისა და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე — არჩევით, ავტომატიზებული კონტროლის სისტემისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში, პირველ რიგში, სასაზღვრო კონტროლს გადიან საერთაშორისო, სხვა ქვეყნებისა და საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების დელეგაციათა წევრები და მათი თანმხლები პირები.

საავტომობილო მიმოსვლის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში მგზავრთა შემოწმება, როგორც წესი, წარმოებს ავტობუსის სალონში, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მოძრაობის ხაზზე საპასპორტო კონტროლის ჯიხურში. ავტობუსებითა და სატვირთო-სამგზავრო მცირე ავტობუსებით პირთა უკანონო გადაყვანის გამოვლენის მიზნით წარმოებს სამალავების დათვალიერება.

საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილი საჰაერო ხომალდების სასაზღვრო კონტროლი წარმოებს საერთაშორისო აეროპორტებში (აეროდრომებში), სადაც გახსნილია სასაზღვრო და საბაჟო გამშვები პუნქტები.

სასაზღვრო კონტროლს ექვემდებარება ყველა ქართული და უცხოური ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდი, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენას.

რკინიგზის ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, რომლის მოწყობასაც საზღვრის დაცვის სახელმწიფო და საბაჟო დეპარტამენტებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს რკინიგზის ადმინისტრაცია.

ყველა სამგზავრო მატარებლის შემადგენლობა სასაზღვრო ძალების მხრიდან გადის შიდა და გარე შემოწმებას. სასაზღვრო ძალები ამოწმებენ სარკინიგზო შემადგენლობის იმ ადგილებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზღვრის დამრღვევთა და კონტრაბანდის დასამალავად.

საქართველოში მომავალ მგზავრთა საბუთები, როგორც წესი, მოწმდება მატარებლის მოძრაობისას სახელმწიფო საზღვრიდან სასაზღვრო რკინიგზის სადგურამდე და პირიქით.

საერთაშორისო ნაოსნობისათვის განკუთვნილი უცხოეთისა და საქართველოს გემების სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება მისადგომებთან ან, საჭიროების შემთხვევაში, რეიდზე; საზღვარგარეთიდან მომავალი სამგზავრო გემების სასაზღვრო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გემების ნავსადგურში შესვლამდე.

საქართველოში შემოსვლისას (სასაზღვრო ზონაში) და გასვლისას (საბაჟო ზონაში) სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო სამსახური ამოწმებს ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა პროფილაქტიკური აცრებისა და სავალდებულო სამედიცინო გამოკვლევის (შიდსი) განხორციელებას (არაკეთილსაიმედო ქვეყნების ჩამონათვალისა და უცხო სახელმწიფოებთან შემოწმებაზე გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით).

სატრანსპორტო საშუალებებთან პირთა დაშვება სასაზღვრო, საბაჟო და სხვა სახის კონტროლის წარმოების პერიოდში იზღუდება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში იკრძალება.

სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში ყველა ორგანო ვალდებულია დროულად განახორციელოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პროცედურები, ამასთან, ტრანსპორტის გაფორმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი მოძრაობის განრიგით განსაზღვრულ დროს. ამ განრიგს საქართველოს სატრან-

სპორტო ორგანოები ადგენენ სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და საბაჟო დეპარტამენტებთან შეთანხმებით.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული პირადი სარგებლობის საგნების, ვალუტის და ფასიანი ქაღალდების დეკლარირება ხორციელდება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის გამოყენებით.

ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს დეკლარირების ქვემდებარე პირადი საგნები, ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, ავსებს და საბაჟო ორგანოს წარუდგენს ფიზიკური პირის დეკლარაციას. შევსებული დეკლარაცია რჩება საბაჟოში და ინახება სპეციალურ არქივში.

ტურისტების აღრიცხვა

საქართველოს კანონი (1996 წლის 27 ივნისი) აწესრიგებს საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტებისა და ერთდღიანი ვიზიტიორების აღრიცხვას და სტატისტიკური მონაცემების ბანკის შექმნას, ხელს უწყობს დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას[1].

ტურისტთა აღრიცხვა არის ქვეყანაში ტურისტული და საბაჟო საქმიანობის კონტროლის, რეგულირებისა და დარგის სისტემური მართვის საშუალება.

საქართველოს კანონი „საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“ გამოიყენება:

- ყველა ტურისტის მიმართ, რომლებსაც აქვთ საქართველოში შემოსასვლელი ვიზა, ან რომელთა შემოსვლა ვიზის გარეშე დაშვებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებთა მიმართ, რომლებიც ტურისტებად მიემგზავრებიან საქართველოდან.

აღნიშნული კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს საპატიო მოქალაქეებზე, უცხოეთის დიპლომატიურ და სა-

1 უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი, უცხოელთა უფლებები და მოვალეობები. საკანონმდებლო აქტების კრებული, 2001, გვ. 50-51.

კონსულო წარმომადგენლობათა მეთაურებსა და თანამშრომლებზე, იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, საერთაშორისო ავიახაზის ტრანზიტულ ტურისტებზე (მგზავრებზე), რომლებსაც უფლება არა აქვთ დატოვონ აეროპორტში გამოყოფილი ტერიტორია, საერთაშორისო სარეისო სატრანსპორტო ეკიპაჟის წევრებზე.

ტურისტთა აღრიცხვის წესი. საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვა ხორციელდება „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონით დადგენილი მიგრანტის ბარათის მეშვეობით.

მიგრანტთა ინსპექტირება არის ქვეყანაში იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების კონტროლისა და მართვის საშუალება, რომლის დროსაც ხორციელდება:

- მიგრანტთა აღრიცხვა-რეგისტრაცია მიგრანტის ბარათის საფუძველზე;
- უკანონო მიგრანტთა გამოვლენა.

მიგრანტთა ინსპექტირება გამოიყენება:

- იმ უცხოელთა მიმართ, რომელთაც აქვთ საქართველოში შემოსასვლელი ვიზა;
- იმ უცხოელთა მიმართ, რომელთა საქართველოში შემოსვლა ვიზის გარეშე დაშვებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- საქართველოში მუდმივად მცხოვრებთა (საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, იმიგრანტი) მიმართ, რომლებიც გადიან საქართველოდან;
- საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების მიმართ.

მიგრანტთა აღრიცხვა-რეგისტრაცია და ინსპექტირება წარმოებს მიგრანტის ბარათით. მიგრანტის ბარათით ხდება საქართველოდან გამსვლელ საქართველოში მუდმივად მცხოვრებთა სტატისტიკური აღრიცხვა და უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის კონტროლი. მიგრანტის ბარათის ფორმასა და გაცემის წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

საქართველოში შემომსელელი და საქართველოდან გამსელელი ყველა მიგრანტი ვალდებულია შეავსოს და თან იქონიოს მიგრანტის ბარათი და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს კომპეტენტურ პირებს.

მიგრანტის ბარათის მოქმედების ვადა უცხოელთათვის, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საქართველოში შემოსასელელი ვიზა, არის მიგრანტის მიერ ბარათში მითითებული საქართველოში ყოფნისა და საქმიანობის ვადა, რომელიც, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ვიზის მოქმედების ვადას.

მიგრანტთა ინსპექტირებას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ახორციელებს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის, ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ამ ფუნქციის დელეგირების პრინციპით.

მიგრანტთა ინსპექტირებისაგან თავისუფლდებიან:

- უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით;
- საერთაშორისო ავიახაზის მგზავრები – ტრანზიტული მიგრანტები, რომელთაც უფლება არა აქვთ დატოვონ აეროპორტში გამოყოფილი ტერიტორია.

მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებელი შეადგენს:

- უცხოელთათვის – 10 ლარს; უვიზო და ტრანზიტული მიგრანტ უცხოელთათვის – 8 ლარს;
- საქართველოს მოქალაქისათვის და საქართველოში მუდმივად მცხოვრებთათვის, აგრეთვე საქართველოს მოსაზღვრე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყაზახის, ტაუზის, კახის, ზაქათალას, ბელაქანის და სომხეთის რესპუბლიკის ყოფილი ამასიის, აშოკის, ტაშირის, ალავერდის, ნოემბრიანის რაიონების მცხოვრებთათვის, რომლებიც საქმიანობისათვის დროებით შემოდიან ნინოწმინდის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის და ლაგოდეხის რაიონებში – 5 ლარს[1].

---

1 უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი, უცხოელთა უფლებები და მოვალეობები. საკანონმდებლო აქტების კრებული, გვ. 48.

მოსაკრებლებისაგან თავისუფლდებიან:

- საქართველოს საპატიო მოქალაქეები;
- უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით;
- საერთაშორისო ავიახაზის მგზავრები – ტრანზიტული მიგრანტები, რომელთაც უფლება არა აქვთ დატოვონ აეროპორტში გამოყოფილი ტერიტორია;
- საერთაშორისო სარეისო სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟის წევრები.

მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებელი შედის საქართველოში მიგრანტთა შემოსვლის ან გასვლის სატრანსპორტო ბილეთის ფასში და ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ.

მიგრანტი, რომელიც საქართველოში შემოდის ან გადის საერთო სარგებლობის ტრანსპორტის გარეშე, მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებელს გადაიხდის შესაბამის საბაჟო ორგანოში საბაჟო კონტროლის განხორციელების დროს.

ტურისტთა აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტი „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ" საქართველოს კანონით (1996 წლის 27 ივნისი) დადგენილი წესით. დეპარტამენტი ტურისტთა მოძრაობის თაობაზე კვარტალში ერთხელ დადგენილი წესით ინფორმაციას აწვდის საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტს.

მოკლე დასკვნები

- საქართველოს კანონმდებლობა უცხოელებს ისეთსავე უფლებებს და მოვალეობებს ანიჭებს, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს.
- საქართველოში მყოფი უცხოელები ვალდებულნი არიან და-

იცვან საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, პატივი სცენ ქართულ ენას, კულტურას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

- საქართველოში უცხოელთა შემოსვლა და გასვლა ექვემდებარება სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს. დადგენილია პირობები, რომელთა საფუძველზე უცხოელ მოქალაქეს შეიძლება აეკრძალოს საქართველოში შემოსვლა და საქართველოდან გასვლა, აგრეთვე შეიძლება გაძევდნენ.
- სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს მოქალაქეთა დროებითი გასვლისა და შემოსვლის წესები და საქართველოდან გასვლისას საზღვრის გადაკვეთისათვის სავალდებულო დოკუმენტები.
- სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ხდება სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში. პირი, რომელიც კვეთავს სახელმწიფო და საბაჟო საზღვარს, ვალდებულია დაიცვას სასაზღვრო რეჟიმი.
- ტურისტთა აღრიცხვა არის ქვეყანაში ტურისტული და საბაჟო საქმიანობის კონტროლის, რეგულირებისა და დარგის სისტემური მართვის საშუალება.

კითხვები გამეორებისათვის

- განმარტეთ საქართველოში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპები.
- როდის და რისთვის შეიძლება აეკრძალოს უცხოელ მოქალაქეს საქართველოში შემოსვლა? ჩამოთვალეთ აკრძალვის პირობები.
- დასაშვებია თუ არა უცხოელ მოქალაქეთა გაძევება საქართველოდან და რა მიზეზით?
- საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემაზე, ან პასპორტის ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე? ახსენით რა მიზეზებით შეიძლება ეთქვას უარი.
- რაში მდგომარეობს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის არსი და ჩამოთვალეთ მისი დაცვის პრინციპები.
- რომელი კანონით რეგულირდება ტურისტების აღრიცხვა და განმარტეთ საკანონმდებლო აქტის ძირითადი დებულებები.

წიგნი II

კერძო ნაწილი

თავი 7. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერი წესით შემოტანას ან ამ ტერიტორიიდან მათ გატანას, მათ შორის გაგზავნას საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით, მილსადენი ტრანსპორტის და ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით.

საბაჟო რეჟიმი წარმოადგენს საბაჟო საქმის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. მხოლოდ საბაჟო რეჟიმის შესაბამისად ხდება საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა.

საბაჟო რეჟიმი იმ დებულებათა ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის წესსა და მიზნებს.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებისათვის საბაჟო რეჟიმების სახეობათა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. მაგალითად, საქართველოში თხუთმეტია, რუსეთის ფედერაციაში იყო ჩვიდმეტი, ამჟამად ცამეტია და ა. შ. საბაჟო რეჟიმების სახეობანი განსაზღვრულია შესაბამისი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობით.

საბაჟო რეგულირების მიზნით გამოიყოფა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმების სახეობათა ჯგუფები. მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა კლასიფიკაციას გვთავაზობენ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

მეცნიერთა ერთი ნაწილი (პროფესორი ვალერი დრაგანოვი და სხვები) საბაჟო საქმიანობის საერთო პროცესში საბაჟო რეჟიმების როლისა და ადგილის მიხედვით, საბაჟო რეჟიმებს წარმოგვიდგენს ორ ჯგუფად[1]. *პირველ ჯგუფს* შეადგენენ ე. წ. ეკონომიკური რეჟიმები; *მეორე ჯგუფს* შეადგენენ რეჟიმები, რომლებსაც მოაქვთ განსაზღვრული ეკონომიკური ეფექტიანობა. პირველი ჯგუფი მოიცავს საბაჟო რეჟიმებს: ტრანზიტი; საბაჟო საწყობი; უბაჟო ვაჭრობის მაღაზია; გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, დროებითი შემოტანა (გატანა), თავისუფალი საბაჟო ზონა, თავისუფალი საბაჟო საწყობი; გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

ავტორთა მეორე ჯგუფი სტანდარტულ საბაჟო რეჟიმებს ყოფს პირობითად შვიდ ჯგუფად:

1. დამოუკიდებელი და საბაჟო გაფორმებისავე პროცესში დამთავრებული რეჟიმები: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) და ექსპორტი. ამ ჯგუფის რეჟიმებს აერთიანებს ის გარემოება, რომ ანგარიშსწორების და საბაჟო ფორმალობების დამთავრების შემდეგ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები გადაეცემა ბენეფიციარს სრულ განკარგვაში და საბაჟო ორგანოებს ამ საქონელთან და სატრანსპორტო საშუალებასთან არაფერი აკავშირებს.

2. იმპორტისა და ექსპორტის მსგავსი რეჟიმები: რეიმპორტი და რეექსპორტი.

3. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება საერთაშორისო გადაზიდვის (ტრანზიტის) რეჟიმი. ეს რეჟიმი იწყება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შემოსვლით და მთავრდება მის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის დატოვებით.

4. დასაწყობების რეჟიმები (საბაჟო საწყობი, თავისუფალი საწყობი). ეს რეჟიმები შუალედური რეჟიმებია, როცა საქონელი შეინახება შეუცვლელი სახით, მოუხმარებლად და გამოუყენებლად მომავლის მოლოდინში. ამ რეჟიმის დროს დასაშვებია საქონლის დახარისხება, ტარისა და შეფუთვის შეცვლა და სხვა. ეს არ ცვლის საბაჟო რეჟიმის არსს. წინა რეჟიმებისაგან განსხვავებით, ამ რეჟიმში მყოფი საქონელი რეჟიმის დამთავრები-

---

1 Таможенное право, Под ред. В. Г. Драганова, М. М. Рассолова, М., 2001, с. 132-133.

სას არ გადაიცემა საქონლის მესაკუთრის განკარგვაში. იგი გადაიყვანება რომელიმე სხვა რეჟიმში.

5. გადამუშავების საბაჟო რეჟიმები (საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმი, საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმი და საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების რეჟიმი). წინა რეჟიმებისაგან განსხვავებით, ამ რეჟიმში მოთავსებული საქონელი მოიხმარება (გადამუშავდება), ოღონდ საბაჟო ორგანოების მიერ წინასწარ დათქმული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ წინასწარ დათქმული მიზნით. დასაშვებია საქონლის გადამუშავების ან დამუშავების შედეგად მისი სრული ან ნაწილობრივი სახეცვლილება, მიღებული პროდუქცია ან მისი ის ნაწილი, რომელიც ამ რეჟიმში რჩება, რაოდენობრივად უნდა შეესაბამებოდეს საბაჟო ორგანოებთან წინასწარ შეთანხმებულ გამოსავლიანობას.

6. რეჟიმები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ რეჟიმებში მოქცეული საქონლის მოხმარების უფლებას (დროებითი შემოტანის და დროებითი გატანის რეჟიმები). ამ რეჟიმების არსი იმაშია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი მოხმარების შემდეგ ისევ გაიტანება საბაჟო საზღვრის გარეთ ან პირიქით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქონელი მოხმარების შემდეგ ისევ შემოიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ე. ი. არ ხდება მათი რეალიზაცია არც საბაჟო ტერიტორიის შიგნით, არც საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

7. საქონლის ბრუნვიდან ამოღების რეჟიმები (საქონლის განადგურების საბაჟო რეჟიმი და საქონელზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმის რეჟიმი). ამ რეჟიმებისათვის დამახასიათებელია საბაჟო რეჟიმების დამთავრება კომერციული შედეგების გარეშე[1].

მეცნიერთა მესამე ნაწილი საბაჟო რეჟიმებს ყოფს სამ ჯგუფად. მათი აზრით, *პირველ ჯგუფს* მიეკუთვნება სრულყოფილი საბაჟო რეჟიმები, ანუ სრულყოფილი საბაჟო თამაშის წესები. სრულყოფილ თამაშის წესში შედის ის რეჟიმები, ანუ თამაშის ის წესები, რომელიც განაპირობებს სიუხვის სრულფასოვან გა-

---

1 ვიქტორ ლორთქიფანიძე, საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები, თბ., 2001, გვ. 30-32.

დაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. ერთი მხრივ, ეს არის ექსპორტი და, მეორე მხრივ, იმპორტი. ეს არის ძირითადი, სრულფასოვანი რეჟიმები, რომლებიც იწყებენ და ამთავრებენ საბაჟო ურთიერთობას. ამ შემთხვევაში ორი რგოლი – საწყისი და ბოლო მოძრაობა, ანუ ჯერ მოხმარება და მერე წარმოება ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

მეორე ჯგუფი არის შუალედური ჯგუფი და მას კავშირი არა აქვს სრულფასოვან საბაჟო ურთიერთობასთან (ტრანზიტი, რეექსპორტი, რეიმპორტი, საბაჟო საწყობი და სხვა).

მესამე ჯგუფი არის სპეციალური საბაჟო რეჟიმების ჯგუფი. სპეციალურ საბაჟო რეჟიმებში შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალი ეკონომიკური ზონები და საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ. ასეთი არის აგრეთვე საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება, სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმა და სხვა, რომელსაც შეიძლება გარკვეული ეკონომიკური არსი ჰქონდეს[1].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ემზარ ჯგერენაიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საბაჟო რეჟიმები იყოფა ორად: ძირითადი და დამხმარე რეჟიმები. მისი აზრით, სამი ძირითადი რეჟიმია (ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი), რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ თუ ფისკალურ პოლიტიკას[2]. დანარჩენი დამხმარე რეჟიმებია.

„ძირითად რეჟიმებს" აერთიანებს ის, რომ ანგარიშსწორების და საბაჟო ფორმალობების (საბაჟო კონტროლი, საბაჟო გაფორმება და სხვა) დამთავრების შემდეგ საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გადაეცემა მესაკუთრეს სრულ განკარგვაში და საბაჟო ორგანოს ამ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებთან აღარაფერი აკავშირებს, ე. ი. მთავრდება საბაჟო რეჟიმი.

ჩვენი მოსაზრებით, მართალია, მთავარი რეჟიმებია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის), ექსპორტის და ტრანზიტის რეჟიმები, რომლებიც ხასიათდებიან თავისებურებებით და მათზე მოდის საქონელბრუნვის დიდი მოცულობა, მაგრამ მხო-

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 117-118.

2 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 121.

ლოდ დამხმარე რეჟიმებად ვერ მივიჩნეთ დანარჩენ 12 რეჟიმს. მათ უმნიშვნელოვანესი ფუნქციები ეკისრებათ. განვითარებულ ქვეყნებში ე. წ. „დამხმარე რეჟიმები“ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ.

ამასთან, უნივერსალ კონვენციამ შემთხვევით არ უწოდა 15-ვე რეჟიმს *ძირითადი*. კონვენციის მიხედვით, 15 ძირითადი რეჟიმი — საბაჟო ურთიერთობაა. ესენია: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი), ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, რეიმპორტი, საბაჟო საწყობი, დროებითი შემოტანა და გატანა, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ, უბაჟო ვაჭრობის მაღაზია, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ, უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, განადგურება და სხვა.

ჩვენი აზრით, საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მათ ორ ჯგუფად დაყოფის პრინციპს.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება რეჟიმები, რომელთა მიხედვით, საბაჟო რეჟიმში მოქცევის და მისი დამთავრების შემდეგ საქონელი გადადის მესაკუთრის, მფლობელის ან მათ მიერ უფლებამოსილი პირის გამგებლობაში; ე.ი. ამ ჯგუფის რეჟიმებს აქვთ დამამთავრებელი ხასიათი. პირველი ჯგუფის საბაჟო რეჟიმებია: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი), ექსპორტი, რეიმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი.

მეორე ჯგუფის საბაჟო რეჟიმები დასაშვებად მიიჩნევენ საქონლის გამოყენებას მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის. იგი ხორციელდება საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილი პრინციპებისა და ნორმების დაცვის პირობებში. ამ ჯგუფს მიეკუთვნება საბაჟო რეჟიმების შემდეგი სახეობანი: საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა, უბაჟო ვაჭრობა, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ, დროებითი შემოტანა და/ან გატანა, თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება, თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ; განადგურება, უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ. მეორე ჯგუფის რეჟიმებს გააჩნიათ განსაზღვრული მიზანი — იგი ეხება სხვადასხვა ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას.

საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული თხუთმეტი-ვე საბაჟო რეჟიმი ორიენტირებულია ვაჭრობის, მრეწველობის და საერთაშორისო გადაზიდვების განვითარებაზე.

საბაჟო რეჟიმი გულისხმობს საბაჟო პროცედურების ერთობლიობას, რომელიც გამოყენებულია მოცემული საქონლის მიმართ და დადგენილია საქართველოს სახელმწიფო საქონლის გადაადგილების მიზნისა და ხასიათის გათვალისწინებით.

საბაჟო პროცედურებში იგულისხმება საბაჟოების მუშაკთა მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან და რომლის გარეშეც დაუშვებელია სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

საქართველოს საბაჟო კოდექსმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისა და საბაჟო რეჟიმების დაწესების საკითხებს. *საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაჟო კოდექსი (1992 წლის 21 ოქტომბერი) ძალზე სქემატურად, ან სულ არ განიხილავდა საბაჟო რეჟიმებსა და მის სახეობებს. ახალმა კოდექსმა საბაჟო რეგულირების მიზნით დააწესა საბაჟო რეჟიმების სახეობანი და განსაზღვრა ამ რეჟიმებში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოქცევის პირობები და წესები.* საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და მისი რეგიონული დაწესებულებები საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის წარმოებისას უსრუნველყოფენ საბაჟო რეჟიმების ეფექტიან გამოყენებას.

რეჟიმი ფრანგული სიტყვაა (regime) — იგი რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: 1. სახელმწიფო წყობილება; მმართველობის წესი, სისტემა; 2. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების და სხვ. მტკიცედ დადგენილი წესი, განაწესი; 3. რისამე მუშაობის, მოქმედების, არსებობის პირობები, მაგალითად, მანქანის, ტექნიკის მუშაობის რეჟიმი; 4. რაიმე მიზნისათვის საჭირო წესთა, ღონისძიებათა სისტემა.

საბაჟო რეჟიმების განხილვასთან დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ძირითადი პრინციპები და

რეჟიმები. სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და საბაჟო სამსახურები ემსახურებიან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას და შიდა ბაზრის ინტერესებს.

საქართველოს საბაჟო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის კანონმდებლობა განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნებებს, საზღვრის დადგენის, აღნიშვნისა და გადაკვეთის პირობებსა და წესებს. ეს წესები საფუძველად უდევს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას. კანონმდებლობის ძირითადი დებულებებია[1]:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და მასზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას – ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს – გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან; საქართველოს საზღვრების ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს სრული უზენაესობა და სუვერენიტეტი;

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დგინდება:

ა) ხმელეთზე – რელიეფის დამახასიათებელი წერტილებისა და ხაზების ან თვალსაჩინო ორიენტირების მეშვეობით; ბ) ზღვაზე – საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და მათი მიმდებარე ზონის მიხედვით; გ) სანაოსნო მდინარეზე – მთავარი ფარვატერის ან ტალვეგის შუაში; დ) არასანაოსნო მდინარეზე ან ნაკადულზე – შესაბამისად მდინარის ან ნაკადულის ანდა მისი მთავარი ტოტის შუაში; ე) ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე – სწორ ხაზზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე გავლის წერტილებს ერთმანეთთან აერთიანებს; ვ) ხელოვნურ წყალსატევებზე ან წყალსაცავზე – მის შევსებამდე არსებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზის შესაბამისად; ზ) სასაზღვრო ზოლში მდებარე სარკინიგზო და ავტოსაგზაო ხიდებზე, კაშხალებსა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე – მათი გეგმის განივი ღერძის ან ნაგებობის შუაში, მიუხედავად იმისა, თუ სად გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი წყალზე; თ)

---

1 საქართველოს კანონი (1998 წლის 26 ივნისი) „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ". საერთაშორისო სამართალი, საკანონმდებლო აქტების კრებული, თბ., 2001, გვ. 75-104.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ადგილზე აღინიშნება დასანახი სასაზღვრო ნიშნებით.

საქართველოს შიდა წყლებს მიეკუთვნება:

ა) მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად საქართველოს ეკუთვნის; ბ) შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; გ) საქართველოს პორტის წყლები, რომლებიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობების უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებს (ტერიტორიულ ზღვას) მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი ადგენს:

ა) პირისა და ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის და მათი შემოწმების წესს; ბ) სახელმწიფო საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების, ნივთების, ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ფასიანი ქაღალდების გადატანის, ცხოველთა გადაყვანის წესს; გ) სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შემოტანა-გატანის წესს; დ) საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების სანაოსნო საშუალებათა შესვლის, გადაადგილებისა და ყოფნის, აგრეთვე, იქიდან გამოსვლის წესს; ე) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდისა და სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს; ვ) სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წესს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო მიმოსვლა ხდება სასაზღვრო გამტარი პუნქტების მეშვეობით.

სასაზღვრო გამტარი პუნქტია საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო, საბაჟო და საქართვე-

ლოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი. სასაზღვრო გამტარი პუნქტების ფარგლებს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს;

საქართველოს ტერიტორიიდან აფრენა, აგრეთვე, საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლის შემდეგ მიწაზე დაფრენა იმ საჰაერო ხომალდისა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უნდა გადაკვეთოს, ხდება საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილ აეროპორტში (აეროდრომზე), სადაც არის სასაზღვრო გამტარი პუნქტი, საბაჟო დაწესებულება და სხვა შესაბამისი სამსახურები;

საქართველოს ან მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საფრთხის შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შეიძლება დროებით შეწყდეს მიმოსვლა ან შემოღებულ იქნეს კარანტინი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთთათვის;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევად ჩაითვლება:

ა) პირი ან ტრანსპორტი, რომელმაც გადაკვეთა ან ცდილობდა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სასაზღვრო გამტარი პუნქტის გაუვლელად, ანდა სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით, მაგრამ მისი გადაკვეთისათვის დადგენილი წესების დარღვევით;

ბ) უცხო სახელმწიფოს არასამხედრო ან სამხედრო გემი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში შემოსვლისას დაარღვია დადგენილი წესები;

გ) საჰაერო ხომალდი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა შესაბამისი ნებართვის გარეშე ან დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის წესი;

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით პრეზიდენტი აწესებს სასაზღვრო ზონას და სასაზღვრო ზოლს, სასაზღვრო ზონა დგინდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რაიონის, ქალაქის, სოფლის, თემის, დაბის ტერიტორიის ფარგლებში, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით. სასაზღვრო ზოლი დგინდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ხმელეთზე ან საზ-

ღვარზე გამავალი ზღვის, მდინარის, ტბის, წყალსატევის ნაპირების გასწვრივ;

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გამტარ პუნქტებში საბაჟო დაწესებულებების სამსახურებრივი საქმიანობის პირობების შექმნის მი'ნით წესდება რეჟიმი, რომელიც აწესრიგებს ამ პუნქტებში პირთა და სატრანსპორტო საშუალებათა ყოფნის და მიმოსვლის წესებს;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის წახელმწიფო დეპარტამენტის განსაკუთრებული კომპეტენციაა. სახელმწიფო საზღვრის დაცვა ხმელეთ'ზე, ტერიტორიულ და შიდა წყლებში, აგრეთვე, სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საერთაშორისო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ევალებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასა'ზღვრო ძალებს, ხოლო საჰაერო სივრცეში — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის ძალებს.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან, არიან: ა) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი; ბ) საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო; გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; დ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო; ე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

- დაიცვას საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, დადგენილი სასაზღვრო ნიშნები, სხვა სასაზღვრო შენობა-ნაგებობები და ობიექტები;
- აღკვეთოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო შეცვლის ნებისმიერი მცდელობა;
- მოიგერიოს შეიარაღებული ჯგუფების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის მცდელობა ან სხვა სახის პროვოკაცია, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში დაიცვას სახელმწიფო და მოქალაქეთა კერძო საკუთრება ამგვარი ხელყოფისაგან;

- თავიდან აიცილოს და აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის უკანონოდ გადაადგილება, აგრეთვე, ტრანსპორტის, ტვირთისა და სხვა ქონების უკანონოდ გადატანა;
- გამოავლინოს და დააკავოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევნი;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაატაროს პირი, ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება, საზღვრის გადაკვეთისათვის საჭირო, სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტების წარდგენისას;
- სათანადო წესით მოუარეს და დაიცვას სასაზღვრო გამტარი პუნქტები და სხვა სასაზღვრო ობიექტები;
- დამოუკიდებლად ან საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან ერთად აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ფეთქებადი, მომწამვლელი, რადიოაქტიური და ნარკოტიკული საშუალებების, იარაღისა და საბრძოლო მასალის, აგრეთვე, კონტრაბანდული ან სხვა აკრძალული საგნების გადაადგილება და გადატანა;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიწვევითა და მასთან ერთად, შეამოწმოს ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება;
- საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან ერთად ამოიღოს საგნები, რომელთა შემოტანა ან გატანა აკრძალულია, აღკვეთოს კონტრაბანდა.

საბაჟო სამსახური მჭიდროდ, ყოველისმომცველად და მიზანმიმართულად დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ორგანოებთან, სასაზღვრო ჯარებთან და მათ ხელმძღვანელობასთან.

დღეისათვის ნაყოფიერად საქმიანობენ საქართველოს სასაზღვრო ძალები. შეიქმნა სასაზღვრო ძალების ინფრასტრუქტურა პირველადი სასაზღვრო რგოლებით, საგუშაგოებით, მენაპირეებით დაწყებული და მმართველობის ცენტრალური ორგანოებით დამთავრებული. ქართველი მესაზღვრეები იცავენ ჩვენი ქვეყნის სასაზღვრო სივრცეს. შეიქმნა და განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაშიც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს აშშ-მა, თურქეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, უკრაინამ, საბერძნეთმა, გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მგზავრთა, ავტოსატრანსპორტის, ტვირთების რეგისტრაცია და კონტროლი

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მგზავრთა, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა და ტვირთების გადაადგილებისას კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნილია საკონტროლო ზონები:

სასაზღვრო ზოლი – არა უმეტეს 500 მეტრი სიგანის სასაზღვრო ზონის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს და სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი; აქ იგულისხმება სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო გამშვები პუნქტები.

საბაჟო კონტროლის ზონა – სპეციალურად გამოყოფილი სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ხორციელდება მგზავრთა ბარგის, ხელბარგისა და ტვირთების საბაჟო კონტროლი და შემოწმება.

სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარული და ფიტო-სანიტარიული სამსახურები განთავსებულია საბაჟო კონტროლის ზონის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე და ამ სამსახურების წარმომადგენლები სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო დაწესებულების მოწვევითა და თანხმობით. ამ სამსახურების საქმიანობას საბაჟო-საკონტროლო ზონაში კოორდინაციას უწევს საბაჟო დეპარტამენტი.

როგორ ხდება მგზავრთა და ავტომანქანის მფლობელთა რეგისტრაცია?

ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისას სახელმწიფო საზღვარზე მგზავრთა და სატრანსპორტო საშუალებათა გატარება ხორციელდება სასაზღვრო ზოლის გავლისა და შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე. მგზავრი და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელი წარუდგენს სასაზღვრო კონტროლის სამსახურს პასპორტს. შემოწმების შემდეგ პასპორტში კეთდება სათანადო აღნიშვნა და მიიღება მგზავრისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლის გადაწყვეტილება. სასაზღვრო კონტროლის სამსახურის მუშაკებს კანონით დადგენილ შემთხვევაში (შესაბამისი უწყების სათანადო ინ-

ყორმაციის საყუძველზე) უფლება აქვს განახორციელონ მგზავრის ბარგისა და ხელბარგის შემოწმება საბაჟო სამსახურის მონაწილეობით.

მგზავრი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლისას მებაჟეს წარუდგენს ხელბარგს და ბარგს, გაუხსნის ავტოსატრანსპორტო საშუალების საბარგულსა და სალონს დათვალიერებისათვის.

მგზავრის პირად შემოწმებას, მისი ბარგისა და ხელბარგის გახსნისა და დათვალიერების აუცილებლობას განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელი მუშაკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. თუ საბაჟო კონტროლის განახორციელების შედეგად დადგინდა საბაჟო წესების ან სხვა სახის დარღვევა, მებაჟე ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სასაზღვრო კონტროლის სამსახურს და ორივე სამსახურის თანამდებობის პირები იღებენ გადაწყვეტილებას მგზავრის საზღვარზე გადაადგილების მისახმარწონილობის შესახებ.

დადგენილია, რომ სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონაში შემოსული ყოველგვარი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაცია ხორციელდება საბაჟო სამსახურის მიერ.

ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლისას მგზავრთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელთა რეგისტრაცია, ავტოტრანსპორტის დათვალიერება და შემოწმება ხორციელდება ჯერ საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო სამსახურის, ხოლო შემდეგ — სასაზღვრო ზოლში მესაზღვრეთა მიერ.

ბარგის, ხელბარგისა და ტვირთის საქართველოს სახმელეთო საზღვარზე გატარება ხორციელდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად იმპორტის, ტრანზიტის, ექსპორტის რეჟიმით.

ბარგის, ხელბარგისა და ტვირთის, მისი თანმხლები დოკუმენტების შემოწმება და კონტროლი არის საბაჟო სამსახურის პრეროგატივა.

საბაჟო კონტროლის მიმდინარეობისას მორიგე მებაჟე წარმოდგენილ დოკუმენტებს გადასცემს საკარანტინო, ვეტერინარული და ფიტო-სანიტარიული სამსახურის წარმომადგენლებს ბარგის, ხელბარგისა და ტვირთის სახეობის გათვალისწინებით, რის შემდგომ საკარანტინო სამსახურები განახორციელებენ შემოწმებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და განსაზღვრავენ სას-

ღვარზე მაი‌ი გადაადგილების მიზანშეწონილობას თანმხლებ დოკუმენტებში სათანადო აღნიშვნის შეტანით. საკარანტინო სამსახურების მხრიდან დასკნის გარეშე კონტროლქვემდებარე ტვირთების გატარებისას პასუხისმგებლობა ეკისრება საბაჟო სამსახურს.

დალუქული ავტომანქანებით ტვირთის გადაზიდვის დროს თანმხლები დოკუმენტების შემოწმების შემდეგ დალუქული კონტეინერის ან სხვა სახის სათავსოს გახსნა და ტვირთის შემოწმება ხორციელდება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში (შესაბამისი უწყებების სათანადო ინფორმაციის დაფუძველზე). დალუქავი ავტომანქანის ტვირთის შემოწმება ხორციელდება შერჩევით, ხოლო საქვეკარანტინო ტვირთების შემოწმება შესაბამისი საკარანტინო სამსახურების მიერ ხორციელდება ყველა შემთხვევაში.

ტვირთის შემოწმების შემდეგ წარმოდგენილ დოკუმენტებზე კეთდება სათანადო აღნიშვნები. ავტომანქანისა და ტვირთის რეგისტრაცია ხდება სპეციალურ ჟურნალში.

საზღვარზე გადაადგილებული ექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმით მოძრავი დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საბაჟო სამსახური. საქვეკარანტინო ობიექტების არსებობისას შემოწმებაში მონაწილეობს შესაბამისი საკარანტინო სამსახური.

საბაჟო კონტროლის ზონაში მგზავრთა, ავტომანქანების, მათ მფლობელთა, ბარგის, ხელბარგისა და ტვირთის მოძრაობაზე გადასახადების დარიცხვა და გადახდა ხორციელდება მხოლოდ საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. იკრძალება საუწყებო გადასახადების დარიცხვა და ამოღება. საბაჟო და საგზაო ფონდის გადასახადების გადახდა ხდება საკანონმდებლო აქტებით დამტკიცებული ტარიფებით.

კანონით დადგენილი გადასახადების აკრეფა ხდება ერთ სალაროში მებაჟის მიერ შესაბამისი სამსახურებისაგან გაცემული საგადასახადო დოკუმენტების (ქვითარი) საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონაში მომუშავე საბაჟო და სასაზღვრო სამსახურების მუშაკებზე გაიცემა სპეციალური საშვი, რომელიც მაგრდება მკერდზე; საშვში ჩაკრული უნდა იყოს მფლობელის სურათი და ად-

ვილად იკითხებოდეს გვარი და სახელი, როგორც ქართულად, ასევე ლათინურად. აღნიშნული სამსახურების ცვლაში მომუშავე თანამშრომლები სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ ერთმანეთისაგან განსხვავებული ტანსაცმლის ფორმით. ცვლაში არმყოფი პირები საკონტროლო-გამშვები პუნქტის რეჟიმულ ტერიტორიაზე არ დაიშვებიან[1].

როგორ ხდება საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში გემის ეკიპაჟის, მგზავრთა, მათი ბარგისა და ხელბარგის, ტრანსპორტის, ტვირთის რეგისტრაციის, სასაზღვრო-მიგრაციული და საბაჟო კონტროლის განხორციელება?

საზღვაო ნავსადგურის ტერიტორია, რომელიც დაცვის ტექნიკური საშუალებებით გამიჯნულია სხვა გარე ობიექტებისა და ქალაქის განაშენიანების ზონისაგან, არის სარეჟიმო ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს საშვების სისტემა. ნავსადგურის ტერიტორიაზე რეჟიმის განსაზღვრისა და მისი განხორციელების ორგანიზაციას უზრუნველყოფს ნავსადგურის ხელმძღვანელობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპორტ-იმპორტისა და სატრანსპორტო ტვირთების, ბარგისა და საფოსტო გზავნილების სახელმწიფო საზღვარზე გატარებისას საბაჟო კონტროლის ზონას წარმოადგენს ნავსადგურის ის ტერიტორია, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის, საგნებისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება და შენახვა.

ნავსადგურის სამგზავრო ტერმინალში, საჭიროების შემთხვევაში, ყალიბდება სასაზღვრო-მიგრაციული და სასაზღვრო რეჟიმი, სადაც ხდება მგზავრთა საპასპორტო, მიგრაციული და საბაჟო კონტროლი.

გემზე საკარანტინო და სხვა განსაკუთრებით საშიში ინფექციებით დაავადებულ დაავადებაზე საეჭვო პირის ან ტვირთის გამოვლინების შემთხვევაში, შესაბამისი საკარანტინო სამსახურის დასკვნით გემი დგება რეიდზე.

გემის ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას (რეიდზე ან ნავსადგურში) სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის განყოფი-

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი I, თბ., 2002, გვ. 309-311.

ლების (პუნქტის) ექიმ-ინსპექტორი მესაზღვრესთან ერთად ადის გემზე, სადაც გემის კაპიტანი წარუდგენს საერთაშორისო სანიტარიულ დეკლარაციას, მოწმობას დერატიზაციის გავლის ან მისგან გათავისუფლების შესახებ. თუ გემი აღმოჩნდება კეთილსაიმედო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, მას მიეცემა ნავსადგურთან თავისუფალი ურთიერთობის ნებართვა. გემის ეკიპაჟის, მათი ბარგისა და ხელბარგის, მგზავრთა და ტრანსპორტის რეგისტრაცია ხორციელდება სასაზღვრო და მიგრაციული კონტროლის გავლისა და შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე.

გემის კაპიტანი სასაზღვრო კონტროლის გავლის შემდეგ ვალდებულია წარუდგინოს საბაჟო ორგანოს წარმომადგენელს: გენერალური დეკლარაცია; სატვირთო დეკლარაცია, ტვირთის მანიფესტი; ტვირთის კონოსამენტი; დეკლარაცია სახიფათო ტვირთის შესახებ; მგზავრთა სია; გემის ეკიპაჟის წევრების ინდივიდუალური საბაჟო დეკლარაცია; გემის სალაროში არსებული ვალუტის, იარაღისა და ნარკოტიკების შესახებ ცნობა. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს გემის კაპიტნის მიერ.

სასაზღვრო ჯარებისა და საბაჟოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ შერჩევით დაათვალიერონ გემის სათავსები. საკარანტინო სამსახურები ნავსადგურის აკვატორიაში გემის ყოფნის პერიოდში, დადგენილი საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ამოწმებენ გემის პირადი შემადგენლობისა და მგზავრთა საკვებად განკუთვნილი სურსათის მარაგს და აუცილებლობის შემთხვევაში ლუქავენ მათ შესანახ სათავსებს (მაცივარი, საკუჭნაო და სხვა), ხოლო ხმელეთზე შეძენილი სასურსათო მარაგის გემზე შეტანა დაიშვება საკარანტინო სამსახურების მიერ კონტროლისა და შესაბამისი საბუთების გაფორმებით. მთლიანი დათვალიერების გადაწყვეტილებას იღებენ ნავსადგურში წარმოდგენილი სასაზღვრო ჯარებისა და საბაჟოს ხელმძღვანელები.

მგზავრი და სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელი წარუდგენს სასაზღვრო და მიგრაციის კონტროლის სამსახურებს პასპორტს და მიგრანტის სერტიფიკატს. შემოწმების შემდეგ პასპორტში და სერტიფიკატში კეთდება სათანადო აღნიშვნა და მიიღება გადაწყვეტილება მგზავრის, სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლის შესახებ.

ჯემის ეკიპაჟის, მგზავრის პირად შემოწმებას, მისი ბარგისა და ხელბარგის გახსნა-დათვალიერების აუცილებლობას განსაზღვრავს. საბაჟოს პასუხისმგებელი მუშაკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო კარანტინ კონტროლქვემდებარე ტვირთს შესამოწმებლად წარუდგენს შესაბამის საკარანტინო სამსახურს.

სასაზღვრო-მიგრაციული (შემოსვლისას) და საბაჟო-მიგრაციული (გასვლისას) კონტროლის ზონებში სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო სამსახური ახორციელებს ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა პროფილაქტიკური აცრებისა და სავალდებულო გამოკვლევების ჩატარების შემოწმებას, თუ ქვეყანა არასაიმედოა საკარანტინო ინფექციების მხრივ ან ასეთს ითხოვს.

ბარგის, ხელბარგისა და ტვირთის საზღვაო ნავსადგურებში გატარება ხორციელდება, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, იმპორტის, ტრანზიტისა და ექსპორტის რეჟიმით.

საბაჟო რეჟიმების სახეები

პირველი ჯგუფის საბაჟო რეჟიმებია: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი); რეიმპორტი; ტრანზიტი, ექსპორტი; რეექსპორტი.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მუდმივ დატოვებას ამ ტერიტორიაზე, მისი გატანის ვალდებულებების გარეშე. ტერმინი „საქონელი თავისუფალი მიმოქცევისათვის" ნიშნავს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარებულ საქონელს, რომლითაც სარგებლობა შეიძლება საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) ითვალისწინებს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ აუცილებელ პირობას: საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდას და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების დაცვას.

რა იგულისხმება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებში? ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებია – საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემო-

ტანისა და საქართველოდან გატანის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და შეიძლება შეიცვალოს კვოტირებას, ლიცენზირებას, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესებას, აგრეთვე, მსოფლიო მეურნეობასთან საქართველოს ეკონომიკის ურთიერთკავშირის რეგულირების სხვა ღონისძიებებს.

იმპორტის საბაჟო რეჟიმი ითვალისწინებს შემდეგ საბაჟო გადასახდელებს: საბაჟო გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, საბაჟო მოსაკრებელი.

ამ რეჟიმის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცალკეულ საქონელზე ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები: კვოტირება; ლიცენზირება; მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესება; საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლება და სხვა.

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები.

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანად განკუთვნილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო კონტროლს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისთანავე.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისას, ტვირთის გადამაადგილებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირი (გადამზიდველი, ტვირთის მეპატრონის ნდობით აღჭურვილი პირი ან ტვირთის გადაზიდვაზე პასუხისმგებელი სხვა პირი) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ვალდებულია განუცხადოს (წერილობით ან ზეპირად) ამის შესახებ საზღვრის გადაკვეთის ადგილებში საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელ პირებს და წარუდგინოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად.

დეკლარანტი ვალდებულია წარუდგინოს საბაჟო ორგანოს:

- საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ფორმა – გადასახადის გადამხდელთა რეესტრში ჩართვისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების შესახებ;

- სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილ ვადებში;
- მხარეებს შორის სათანადო წესით გაფორმებული ხელშეკრულება (კონტრაქტი);
- საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან წარმოშობილ საქონელსე ფორმა CT-1-ის მიხედვით, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელსე – წარმოშობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;
- საზღვრის გადმოკვეთისას სასაზღვრო გამშვები პუნქტის თანამდებობის პირის მიერ გადამტან სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საათანადო წესით გამოწერილი შსტ ფორმების პირველი და მეორე ეგზემპლარები;
- სხვა სახელმწიფო ორგანოების (ვეტერინარული, სანიტარიული, საკარანტინო, ფიტო-სანიტარიული სამსახურების) ნებართვები, თუ საქონელი ექვემდებარება ასეთი ორგანოების კონტროლს, სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებულ ტვირთებზე, საქსტანდარტის მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი;
- ლიცენზია, თუ საქონელი საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით შემოტანისას ექვემდებარება ლიცენზირებას;
- სატვირთო საქონლის თანმხლები დოკუმენტები, ანგარიშ-ფაქტურისა და ანგარიშ-პროფორმის ჩათვლით;

საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დოკუმენტი, საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი საბუთების დედნები. საჭიროებისამებრ, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი იმ პირისაგან, რომელიც ახდენს საქონლის დეკლარირებას. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში გაცხადებული მონაცემების შემოწმების მიზნით, საბაჟო ორგანომ შეიძლება მოითხოვოს ის სატვირთო-საბაჟო დოკუმენტაცია, რომელიც გაფორმებული იქნა ტვირთის გამგზავნი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ. საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საქონლის თავისუფალ მიმოქცე-

ვაში გაშვების შესახებ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გადახდილი იქნება დადგენილი გადასახდელები.

რეიმპორტი. საქონლის რეიმპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად გატანილი სამამულო საქონლის უკან შემოტანას დადგენილ ვადებში, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქონლის რეიმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობებია:

- საქართველოს ტერიტორიაზე საქონელი შემოტანილ უნდა იქნეს გატანის მომენტიდან არა უგვიანეს სამი წლისა;
- შემოტანილი საქონელი უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, როგორც გატანის მომენტში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი კლებით და რაც, სხვა შემთხვევაში, გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- რეიმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონელი იბეგრება იმპორტის რეჟიმის შესაბამისად, თუ იგი არ არის განთავისუფლებული საბაჟო გადასახადისაგან.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უცხო სახელმწიფოთა ან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს შორის გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიის გავლით საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის შემდეგი პირობები:

- საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები: ა) უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით და არ უნდა გამოიყენებოდეს რაიმე სხვა მიზნით, გარდა ტრანზიტისა; ბ) უნდა

მიეწოდოს გასასვლელ საბაჟო ორგანოს შემოსასვლელი საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებლობების, დასახული მარშრუტებისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღისა;

- საქართველოს ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი გზებით და მიმართულებებით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საბაჟო ორგანოს აქვს უფლება საქონელი მოაქციოს ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო ნორმების დაცვის, ერთი კონკრეტული მარშრუტის დაწესების, საბაჟო თანხლების ან საბაჟო გადამზიდველის მიერ საქონლის გადაზიდვის პირობით, საბაჟო კოდექსითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

სატრანზიტო საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების თანმხლები დოკუმენტაცია გამშვებ საბაჟო ორგანოს წარედგინება შესაბამის სატრანზიტო საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია გადამზიდველის ვალდებულებები: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის განხორციელება ეკისრება გადამზიდველებს; საქართველოს საბაჟო ორგანოს ნებადაურთველად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაცემის, დაკარგვის ან გამშვებ საბაჟო ორგანოში მიუტანლობის შემთხვევაში გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დანაკლისი მოხდა ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგების შედეგად, ან თუ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაიკარგა ავარიისა თუ დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. ეს ღონისძიებებია: ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევებში საქონელი შეიძლება გადმოიტვირთოს. ასეთ შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია: ა) მიიღოს საჭირო ზომები საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად და არ დაუშვას მისი არანაირი გამოყენება; ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს საქმის გარემოება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ადგილსამყოფელი; გ) უზრუნველყოს საქონლის მიტანა უახლოეს საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა მიყვანა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების განლაგების ადგილზე.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯებს გაიღებს საქონლის გადამზიდველი.

აქციზური სახის საქონლის (თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, ეთილის სპირტი) ტრანზიტი მოქცეულია დამატებითი კონტროლის ქვეშ. ეს საქონელი უნდა გადაადგილდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ეგრეთწოდებული „აქციზური ხაზების" სქემის მიხედვით, ე. ი. ამ საქონელმა უნდა იმოძრაოს კონკრეტული მარშრუტით. ამასთან ერთად, თამბაქოს ნაწარმის და ეთილის სპირტის ტრანზიტი საჭიროებს საბაჟო დეპარტამენტის სპეციალურ ნებართვას, ხოლო ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების ტრანზიტის დროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოიწერება სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

როგორც გამონაკლისი, ეთილის სპირტის ტრანზიტი იბეგრება ე. წ. სატერმინალო მომსახურების საფასურით, რომელიც მთლიანად ამოიღება ცენტრალურ ბიუჯეტში. იგი შეადგენს 15 თეთრს 1 კგ ეთილის სპირტზე.

ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების ტრანზიტის დროს საბაჟო ორგანოებს წარედგინება საბანკო გარანტია ან ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი, ან იდება ფულადი დეპოზიტი იმ თანხის ოდენობით, რაც გადაიხდეინებოდა იმპორტის რეჟიმის შემთხვევაში. რაც შეეხება თამბაქოს ნაწარმის ტრანზიტს — საბაჟო ორგანო იტოვებს საბანკო გარანტიას ან შესაბა-

მისი ღირებულების საქონელს გარანტიის სახით (გირაო), რომლის დაბრუნებაც ხდება საბაჟო რეჟიმების ფაქტობრივი განხორციელებიდან 15 დღის განმავლობაში (სსკ, მუხლი 104).

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის დროს გამოიყენება მხოლოდ საბაჟო მოსაკრებელი.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ მისი ამავე ტერიტორიაზე შემოტანის ვალდებულების გარეშე. ამასთან, საქონლის ექსპორტი ხორციელდება კანონმდებლობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვით.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმით საქონლის გაშვებისას საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო საბაჟო ორგანოებისათვის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დღეს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

საქონლის რეექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქონლის რეექსპორტი დაიშვება საბაჟო ორგანოს ნებართვით კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 62) განსაზღვრულია საქონლის რეექსპორტის პირობები: ჯერ ერთი, საქონელი, რომლის შემოტანაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას განცხადებულ იქნა რეექსპორტისათვის, გატანილ უნდა იქნეს ამ ტერიტორიიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა მასზე საბაჟო დეკლარაციის მიღების დღიდან. დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საქონელი განიხილება იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულად; *მეორე,* რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას უნდა იყოს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო შემოტანის მომენტში, გარდა საქონლის მდგომარეობის იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

რეექსპორტის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტის დროს მოცემულ საქონელზე გადაიხდევინება იმპორ-

ტის რეჟიმით გათვალისწინებული გადასახადები ან დაიტოვება შესაბამისი ოდენობის საქონელი გარანტიის სახით, ან საბანკო გარანტია, ხოლო საქონლის რეექსპორტის დროს (გატანისას) გადამხდელს უბრუნდება გადახდილი თანხა, ან შესაბამისი საქონელი, ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების შესაბამისად.

მეორე ჯგუფის საბაჟო რეჟიმებია: საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა; უბაჟო ვაჭრობა; გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე; გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ; დროებითი შემოტანა და გატანა; თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და გამოყენება; თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და გამოყენება; გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ; განადგურება; უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი გულისხმობს საქართველოში შემოტანილი ან საქართველოდან გასატანი საქონლის შენახვას საბაჟო კონტროლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 21), საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში ან საქართველოდან გატანა აკრძალულია. ამასთან, საქონელი, რომელიც მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.

საქონელი საბაჟო საწყობში შენახვის რეჟიმში შეიძლება ინახებოდეს ერთი წლის ვადით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში.

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ განსახორციელებელი ოპერაციებია:

- საქონლის შენახვის უზრუნველმყოფელი ან საქონლის გაყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებელი ოპერაციები;
- საქონლის შენახვის უზრუნველმყოფელი ან საქონლის გაყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებელ ოპერაციათა ნუსხა და წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საბაჟო საწყობში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები: გასუთავება; განიავე-

ბა; გაშრობა (მიი) შორის ხითბოს მიწოდებით); შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაციება, გაყინვა, გახურება); დამცავ შესაფუთში მოთავსება; დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება; ჟანგსაწინააღმდეგო შეღებვა; დამცავი მოწყობილობის შეკვანა; ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ; პარტიის დანაწილება; გზავნილების ფორმირება; დახარისხება; შეფუთვა; მარკირება; საქონლის მოთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე; დატვირთვა; გადმოტვირთვა; გადატვირთვა; დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული უბრალო ოპერაციები; რაციონალური განლაგების მიზნით საქონლის გადაადგილება საწყობში[1].

საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საბაჟო გადასახდელების ვალდებულება ეკისრება საქონლის მესაკუთრეს, მფლობელს ან მათ მიერ უფლებამოსილ პირს. *საბაჟო საწყობის რეჟიმი ითვალისწინებს მხოლოდ საბაჟო მოსაკრებელის გადახდას.*

საქონლის შესანახად გამოიყენება სპეციალურად მოწყობილი სათავსები – საბაჟო საწყობები. *საბაჟო საწყობი შეიძლება იყოს ღია, რომელიც გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის და დახურული, რომელიც გათვალისწინებულია განსაზღვრულ პირთა საქონლის შესანახად.* დახურული საბაჟო საწყობები შეიძლება შეიქმნას კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე. ვინ არიან საბაჟო საწყობის მფლობელები? კოდექსის მიხედვით (მუხლი 25), საბაჟო საწყობის მფლობელები შეიძლება იყვნენ საბაჟო ორგანოები ან საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები.

საბაჟო საწყობის მფლობელი ვალდებულია:

- დაიცვას საბაჟო საწყობის შექმნის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობები და შეასრულოს საბაჟო ორგანოების მოთხოვნები, უსასყიდლოდ გამოუყოს მათ საბაჟო საწყობში საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი სათავსი, მოწყობილობა და კავშირგაბმულობის საშუალებანი;
- ხელი არ შეუშალოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;

---

1 გონერ ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხებში), თბ., 2001, გვ. 21.

- გამორიცხოს საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ამოღების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა საბაჟო კონტროლისათვის;
- აღრიცხოს შენახული საქონელი და საბაჟო ორგანოებს ამ საქონლის თაობაზე წარუდგინოს ანგარიში დადგენილი წესით.

ვის ეკისრება საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება? საბაჟო კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით: საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საბაჟო გადასახდელების გადახდა ეკისრება საქონლის მესაკუთრეს, მფლობელს ან მათ მიერ უფლებამოსილ პირს.

საქართველოს საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს საბაჟო საწყობის შექმნის და გაუქმების წესს. საბაჟო საწყობი შეიძლება შეიქმნას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიით. ლიცენზია საჭირო არ არის, თუ საბაჟო საწყობის მფლობელია საქართველოს საბაჟო ორგანო. ლიცენზიის გაცემის, გაუქმების, ჩამორთმევისა და შეჩერების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საბაჟო საწყობის გაუქმება ხდება ლიცენზიის ვადის გასვლის, ლიცენზიის გაუქმების ან ჩამორთმევის შედეგად, ან მფლობელის სურვილით. საბაჟო საწყობის გაუქმების დღიდან იგი წარმოადგენს დროებით შესანახ საწყობს, სადაც არსებული საქონელი ინახება საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული პირობებით.

ლიცენზიის ვადის გასვლის, მისი გაუქმების ან ჩამორთმევის დროს საწყობში არსებული საქონელი ექვემდებარება განმეორებით საბაჟო გაფორმებას. საქონლის შენახვის მთელ პერიოდში საწყობის მფლობელი იხდის დადგენილ გადასახდელებს. ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისას საწყობში ახალი საქონლის მოთავსება დაუშვებელია.

საბაჟო საწყობის შექმნისა და გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, საბაჟო საწყობებისათვის წაყენებული მოთხოვნები განისაზღვრება შესაბამისი დებულებითა და ვალდებულებებით.

საბაჟო საქმის სრულყოფაში, საბაჟო რეჟიმების დაწესებაში დადებითი როლი შეასრულა საბაჟო დეპარტამენტის 1999 წლის

დებულებებმა „საბაჟო საწყობების შესახებ“ და „დროებითი შენახვის საწყობების შესახებ“.

დებულება „საბაჟო საწყობების შესახებ“ ადგენს ლიცენზიის გაცემის, გაუქმების, მოქმედების შეჩერების წესებს. საბაჟო საწყობი შეიძლება დაარსებულ იქნეს სახელმწიფო საბაჟო ორგანოს ლიცენზიის არსებობისას; ლიცენზია არ მოითხოვება, თუ საბაჟო საწყობის დამაარსებელია საბაჟო ორგანო.

დებულების შესაბამისად, „ლიცენზია საბაჟო საწყობის დაარსებაზე მიეცემა პირს ერთი ან რამდენიმე სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსოსე, ღია მოედანზე ან სხვა ადგილზე, რომელიც, საბაჟო საწყობის რეჟიმის შესაბამისად, განკუთვნილია საქონლის შესანახად, თუ მოცემული სათავსო იმყოფება ამ პირის მფლობელობაში და განლაგებულია ერთი საბაჟოს მოქმედების ზონაში“.

ლიცენზიის მისაღებად სათავსოს მფლობელი წარადგენს განცხადებას, რომელშიც მითითებულია საბაჟო საწყობის ტიპი, მისი იურიდიული მისამართი და სხვ.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

- სათავსოს მფლობელის დამფუძნებელი და სარეგისტრაციო დოკუმენტების ასლები (წესდება, დამფუძნებელი ხელშეკრულება, რეგისტრაციის მოწმობა და სხვ.);
- სასაწყობოდ განკუთვნილი სათავსოს გეგმა და მისი სათანადო ნახაზები;
- სათავსოს მფლობელის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საწყობში შესვლის უფლების მქონე თანამშრომლების სია.

განცხადების განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს. ლიცენზია გაიცემა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თანხმობით იმ საბაჟოს მიერ, რომლის მოქმედების ზონაშიც არის განლაგებული საბაჟო საწყობი.

დებულების თანახმად, საწყობი ისე უნდა მოეწყოს, რომ გამოირიცხოს საქონლის შემოტანა და გატანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით და უზრუნველყოფილ იქნეს საწყობში არსებული საქონლის სათანადო შენახვა. საბაჟო საწყობის მფლობელი ვალდებულია:

- გამორიცხოს შესანახად შეტანილი საქონლის საბაჟო საწყობიდან ამოღების შესაძლებლობა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით;
- არ გაარიულოს საბაჟო კონტროლის განხორციელება;
- დაიცვას ლიცენზიის პირობები საბაჟო საწყობის დაარსებაზე და შეასრულოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნები;
- ჩაატაროს აღწერა და წარუდგინოს საბაჟო ორგანოს ანგარიში შენახულ საქონელზე;
- ლიცენზიის გაუქმების ან გამოთხოვის შემთხვევაში უზრუნველყოს საქონლის შენახვა და საბაჟო საწყობის ლიკვიდაციის პროცედურების შესრულება.

დებულება საბაჟო საწყობების შესახებ მოიცავს აგრეთვე შემდეგ განყოფილებებს: საქონლის მოთავსება საბაჟო საწყობში; შენახულ საქონელზე ჩატარებული ოპერაციები (გასუფთავება, განიავება, გაშრობა, დამცავ შესაფუთში მოთავსება და სხვ.); საბაჟო გადასახადების გადახდა; საბაჟო საწყობში შენახული საქონლის აღწერა და ანგარიში; საქონლის შენახვის ვადები; საწყობიდან საქონლის გატანა; დახურული ტიპის საწყობის დაარსების თავისებურებანი; საბაჟო საწყობის ლიკვიდაცია.

უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გაყიდვას უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტებში საბაჟო კონტროლის ქვეშ, საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებში (აეროპორტებში, ნავსადგურებსა და სხვა ადგილებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის), საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში განსაზღვრულია უბაჟო ვაჭრობის რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები. უბაჟო ვაჭრობის რეჟიმით შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია. საქონელი, რომლის გაყიდვაც საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია, შეიძლება გაიყიდოს უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმით მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტების შექმნისა და გაუქმების პირობები. უბაჟო საცალო

ვაჭრობის ობიექტი შეუძლია დააარსოს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის უფლების მქონე პირმა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიის საფუძველზე. ლიცენზიის გაცემის, გაუქმების, ჩამორთმევისა და შეჩერების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის გაუქმება ხდება ლიცენზიის ვადის გასვლის, ლიცენზიის გაუქმების ან ჩამორთმევის შედეგად, ანდა მფლობელის სურვილით. ლიცენზიის ვადის გასვლის, მისი გაუქმების ან ჩამორთმევის დროს უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტში არსებული საქონელი ექვემდებარება განმეორებით საბაჟო გაფორმებას. საქონლის შენახვის მთელ პერიოდში ობიექტის მფლობელი იხდის დადგენილ გადასახდელებს. კოდექსის შესაბამისად, ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისას დაუშვებელია საქონლის გაყიდვა უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტში. საბაჟო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, საბაჟო გადასახდელების გადახდა ეკისრება უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის მესაკუთრეს ან მფლობელს.

დებულების „უბაჟო ვაჭრობის მაღაზიების შესახებ"[1] *თანახმად, უბაჟო ვაჭრობის მაღაზია არის საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც საქონლის რეალიზაცია ხდება საბაჟო კონტროლის ქვეშ საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებში საქართველოს მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად.*

უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმის ქვეშ არსებული საქონლის რეალიზაცია ხდება საამისოდ სპეციალურად განკუთვნილ მაღაზიებში (უბაჟო ვაჭრობის მაღაზიები). მათი დაარსება შეიძლება აეროპორტებში, პორტებში, რომლებიც გამიზნულია ფიზიკური პირების მიერ საზღვრის გადაკვეთისათვის და საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილებში.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზია შეიძლება დააარსოს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის უფლების მქონე პირმა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიის საფუძველზე.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის ტერიტორია (სავაჭრო დარბაზები, დამხმარე შენობები და საწყობები) წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას. უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში შეძენილი საქონე-

---

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წლის 13 დეკემბერი, გვ. 33-38.

ლი ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანას.

პასუხისმგებლობა უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის მიერ საბაჟო რეჟიმის პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვაზე, საბაჟო მოსაკრებლების გადახდის ჩათვლით, ეკისრება უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის მფლობელს.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის დაარსებაზე გადაწყვეტილება გაიცემა საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის უფლების მქონე პირზე, რომელსაც პირად მფლობელობაში (ან არენდით) აქვს სათავსოები, რომლებიც პასუხობენ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და განლაგებულნი არიან ერთ საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო მოქმედების რეგიონში არსებულ ერთი საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის დაარსების მსურველი განცხადებით მიმართავს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს და ამასთან ერთად იხდის მოსაკრებელს. განაცხადში მითითებული უნდა იყოს:

ა) განმცხადებლის სრული და შემოკლებული იურიდიული დასახელება; ბ) საიდენტიფიკაციო კოდი; გ) განმცხადებლის იურიდიული მისამართი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ბარათის რეგისტრაციის ნომერი; დ) ეროვნული და უცხოური ვალუტის საბანკო ანგარიშების ნომრები, ბანკის დასახელებები, მისამართები; ე) სავაჭრო დარბაზებისათვის, დამხმარე შენობებისა და საწყობებისათვის განკუთვნილი შენობების ადგილმდებარეობა, თითოეული მათგანის ფართობის მითითებით; ვ) შენობების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დახასიათება; ზ) მონაცემები შენობების დაცვის, სპეციალური სიგნალიზაციის მოწყობილობისა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების შესახებ; თ) იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის რეალიზაციაც გათვალისწინებულია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სათავსოების მფლობელის დაარსების დამადასტურებელი და სარეგისტრაციო დოკუმენტების ასლები (წესდება, დაარსების დამადასტურებელი ხელშეკრულება, მოწმობა სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ და სხვა); ბ) საქონლის შესანახად და სარეალიზაციოდ განკუთვნილი შენობების გეგმა და ნახაზები უბაჟო

ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად; გ) შენობების მფლობელის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; დ) ლიცენზიის გაცემაზე მოსაკრებლების გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დოკუმენტი; ე) მუშაკთა სია, რომელთაც აქვთ უფლება ჩაატარონ სატვირთო, სავაჭრო და სხვა ოპერაციები საქონელზე, რომელიც მოთავსებულია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმის ქვეშ; ვ) იმ საბაჟოს დამოკიდებულება, რომლის რეგიონშიც გათვალისწინებულია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის დაარსება; ზ) დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ; თ) უბაჟო ვაჭრობის ფუნქციონირებისათვის კომპიუტერისა და სხვა აუცილებელი ორგტექნიკის არსებობის შესახებ; ი) მოცემული დოკუმენტების ასლები მოწმდება განმცხადებლის (ხელმძღვანელის) და მთავარი ბუღალტრის მიერ.

საბაჟო თავისი დამოკიდებულებით ადასტურებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს და გასცემს დასკვნას უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის დაარსებაზე შესაძლებლობის და მიზანშეწონილობის შესახებ. საბაჟო ორგანო ასეთ დასკვნას გასცემს შენობების მფლობელის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, მისი მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის დაარსების გადაწყვეტილება გაიცემა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ. გადაწყვეტილება ფორმდება სამ ეგზემპლიარად: ერთი ეგზემპლიარი რჩება საბაჟო დეპარტამენტში; მეორე ეგზავნება იმ საბაჟოს, რომლის მოქმედების რეგიონშიც არსდება უბაჟო ვაჭრობის მაღაზია; მესამე გადაეცემა განმცხადებელს. ლიცენზიის მოქმედების ვადა შეადგენს სამ წელიწადს და, ყველა აუცილებელი პირობის შესრულების შემთხვევაში, გრძელდება ავტომატურად. *უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის მფლობელს აუცილებელია გააჩნდეს დამოუკიდებელი ფართობები, რომლებიც განკუთვნილია:*

- სავაჭრო დარბაზისათვის (დარბაზებისათვის);
- დამხმარე სათავსოებისათვის;
- უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საწყობებისათვის.

ყოველ შენობას უნდა გააჩნდეს მაღაზიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ფართი. უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის სავაჭრო დარბაზების, დამხმარე სათავსოებისა და საწყობის მოწყობა უნდა გამორიცხავდეს საქონლის უბაჟო ვაჭრობის მაღა-

ზიის საბაჟო რეჟიმის ქვეშ მოთავსებისას მისი ამოღების შესაძლებლობას საბაჟო კონტროლის გარეშე, უსრულველყოფდეს ამ სათავსებში განლაგებული საქონლის დაცულობას. მაღაზიის საწყობის მოწყობა უნდა გამორიცხავდეს მასში საბაჟო კონტროლის გარეშე საქონლის შეტანას.

მაღაზიის სათავსოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ, სანიტარიულ, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა მოთხოვნებს. მაღაზიის სავაჭრო დარბაზები, სათავსოები და საწყობები უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი სიგნალიზაციით. აუცილებლობის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მოთხოვნის თანახმად, მაღაზიის მფლობელი ვალდებულია ამ ორგანოს პასუხისმგებელ პირებს მაღაზიის საწყობში უსასყიდლოდ გამოუყოს კავშირგაბმულობის საშუალებები და შეუქმნას სათანადო პირობები საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების საწარმოებლად.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმის ქვეშ მოთავსებული საქონლის საბაჟო გაფორმების ადგილი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ მაღაზიის საწყობი, რომელშიც გათვალისწინებულია ასეთი საქონლის რეალიზაცია. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის შემოტანის ადგილი დროებითი შენახვის საწყობია, ასეთი საქონელი ექვემდებარება უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საწყობში გადატანას საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადაადგილების წესის თანახმად.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საწყობში საქონლის მოთავსება ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირების თანდასწრებით ან ნებართვის საფუძველზე.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმის ქვეშ დაუშვებელია შემდეგი საქონლის მოთავსება:

- საქონლის, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე, ან მისი გატანა საქართველოს ტერიტორიიდან აკრძალულია;
- საქონლის, რომლის რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია;
- საქონლის, რომელიც ექვემდებარება სხვა სახელმწიფო ორგანოების კონტროლს, ამ ორგანოების ნებართვის უქონლობის შემთხვევაში;

- საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების და სხვა საქონლის, რომელიც აშკარად არ არის გამიზნული პირადი სარგებლობისათვის ან ფიზიკური პირების მიერ მოხმარებისათვის;
- მძიმეწონიანი (210 კგ-ზე მეტი) და დიდგაბარიტიანი (200 სმ) საქონლის;
- სამამულო წარმოების საქონლის, რომლის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა იბეგრება საბაჟო გადასახადით, წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან სანედლეულო საქონელს ან ექვემდებარება ლიცენზირებას.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმის ქვეშ საქონლის მოთავსებისას საქონელი ექვემდებარება დეკლარირებას. უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმის ქვეშ საქონლის (მათ შორის სამამულო საქონლის) მოთავსებისას საბაჟო გაფორმებისათვის გადაიხდება საბაჟო მოსაკრებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმის ქვეშ უცხოეთის ქვეყნებიდან შემოტანილი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საქონლის მოთავსებისას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ხორციელდება ფიტო-სანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი.

უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმის ქვეშ საქონლის მოთავსებისას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ექვემდებარება სერტიფიცირებას, საჭალდებულოა შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენა.

დაუშვებელია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის სავაჭრო დარბაზების, დამხმარე სათავსოებისა და საწყობის გამოყენება იმ საქონლის შესანახად და სარეალიზაციოდ, რომელიც არ იქნა გაცხადებული უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმისათვის.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზია აწარმოებს იმ საქონლის საცალო გაყიდვას, რომელიც მოთავსებულია უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმის ქვეშ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელ ფიზიკურ პირებზე.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში საქონლის გაყიდვა წარმოებს მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე ან საკრედიტო ბარათებით. უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებში დაუშვებელია საქონლის გაყიდვა წინასწარი შეკვეთების, შინ მიტანის, განვადებით გადახდის სახით,

ასევე დამატებითი მომსახურების გაწევა, არ დაიშვება საქონლის გაყიდვა უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის დამსმარე სათავსოებიდან და საწყობიდან.

მაღაზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანიტარიული წესები, საქონლის განთავსების ნორმები, შენახვის რეჟიმი, სახელმწიფო სტანდარტების აუცილებელი მოთხოვნები, შეასრულოს ვაჭრობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები და პირობები.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის რეჟიმის ქვეშ მოთავსებულ საქონელს შენახვისა და გაყიდვისათვის მოსამზადებლად შეიძლება ჩაუტარდეს სათანადო ოპერაციები. ოპერაციები ტარდება მაღაზიის საწყობში, ხოლო გაყიდვისათვის მოსამზადებელი — საწყობში ან დამხმარე სათავსოებში. აღნიშნული ოპერაციები ტარდება საბაჟო კონტროლის ქვეშ. კონტროლს უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში შეძენილი საქონლის ფაქტიურ გატანაზე ახორციელებს ის საბაჟო ორგანო, რომლის მოქმედების რეგიონშიც არის განთავსებული მაღაზია, აგრეთვე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ უფლებამოსილი შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფი.

საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს ჩაატაროს სავაჭრო დარბაზში, დამხმარე სათავსოებსა და საწყობში მოთავსებული საქონლის ინვენტარიზაცია და დოკუმენტაციის კონტროლი.

გადაწყვეტილება უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის გაუქმების ან შეჩერების შესახებ მიიღება საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის ლიკვიდაციაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღიდან საქონელი, რომელიც იმყოფება სავაჭრო დარბაზებსა და დამხმარე სათავსოებში, ექვემდებარება დაუყოვნებლივ გადაადგილებას მაღაზიის საწყობში. ამასთან ერთად, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საწყობი იქცევა დროებითი შენახვის საწყობად, ხოლო უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმის ქვეშ მოთავსებული და ასეთ მაღაზიაში არარეალიზებული საქონელი განიხილება, როგორც დროებითი შენახვისათვის განკუთვნილი საქონელი.

ლიკვიდირებულ უბაჟო ვაჭრობის მაღაზიასა და მის საწყობებში მყოფი სამამულო წარმოების საქონელი ექვემდებარება საბაჟო გაფორმებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო

რეჟიმის შესაბამისად, ბაჟისა და გადასახადების გადაუხდელად და ამ საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო მოსაკრებლების ამოუღებლად. ასეთი საქონლის დეკლარირება ხდება გამარტივებული წესით.

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის ლიკვიდაციის დროს მისი მფლობელი ვალდებულია მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც საქონელი ინახებოდა ლიკვიდირებულ მაღაზიაში, გადაიხადოს საბაჟო გადასახადები საქონლის შენახვაზე იმ ოდენობით, რაც დადგენილია დროებითი შენახვის საწყობებისათვის. დროებითი შენახვის საწყობში საქონლის შენახვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით გადასამუშავებლად, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად და გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიის ფარგლებიდან გატანის პირობით. აღნიშნული რეჟიმი რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე. მას გამოსცემს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი.

საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 34) ნაჩვენებია საქონლის გადამუშავების ოპერაციები. ისინი მოიცავენ: 1. საქონლის დამზადებას (დამუშავებას, გადამუშავებას), მათ შორის, მონტაჟს, აწყობასა და სხვა საქონელზე მორგებას; 2. საქონლის შეკეთებას, კერძოდ, მის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას; 3. იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება ხორციელდება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიით. *ლიცენზია მიეცემა საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს იმ პირობით, თუ:*

- შესაძლებელია შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტების იდენტიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;

- გადამუშავება იძლევა საქართველოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის საშუალებას;
- შესრულებულია საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მოთხოვნები. ლიცენზიის გაცემის, გაუქმების, ჩამორთმევისა და შეჩერების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ვადები და საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოსავლიანობა (მუხლები 36, 37). საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი უნდა გადამუშავდეს საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, რომლის განსაზღვრის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ვადების დადგენა უნდა ემყარებოდეს საქონლის გადამუშავებისა და გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის პროცესის ეკონომიკურად გამართლებულ ხანგრძლივობას. საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის საავალდებულო გამოსავლიანობის ნორმები განისაზღვრება საქართველოს ფინასთა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროების მიერ ერთობლივად დადგენილი წესით.

საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის პირობებში. საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით უცხოური საქონლის საბაჟო კონტროლის პირობებში გადასამუშავებლად გამოყენებას ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად და გადამუშავების პროდუქტების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია აგრეთვე საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების წესები. საქონლის გადამუშავების ოპერაციები მოიცავენ: ა) საქონლის დამზადებას (დამუშავებას, გადამუშავებას), მათ შორის მონტაჟს, აწყობასა და სხვა საქონელზე მორგებას; ბ) საქონლის შეკეთებას, მის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას; გ) იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისა და საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესების დაცვისათვის თავის ასარიდებლად. შემთხვევები, როცა საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენება დაუშვებელია, განისაზღვრება კანონმდებლობით.

დებულებაში „საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავებისა და საბაჟო კონტროლის პირობებში საქონლის გადამუშავების რეჟიმების შესახებ" განსაზღვრულია პრობლემასთან დაკავშირებული ცნებები და ტერმინები, ნაჩვენებია შესაბამის რეჟიმებში მოქცევისა და ლიცენზიების გაცემის წესები, ტერმინების განსაზღვრებანი:

გადამუშავების ობიექტი – უცხოური საქონელი, რომელიც შემოტანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების მიზნით (გადასამუშავებელი საქონელი), ასევე საქართველოში წარმოშობილი ან ამ ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი (სამამულო საქონელი).

საწარმოო პროცესი – საწარმოო საშუალებებისა და ადამიანების ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სასაქონლო პროდუქციის დასამზადებლად ან რემონტისათვის.

ტექნოლოგიური პროცესი – საწარმოო პროცესის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს გადამუშავების ობიექტის მდგომარეობის ცვლილებებისა და შემდგომი განსაზღვრისათვის საჭირო მიზანმიმართულ ქმედებათა ერთობლიობას.

სასაქონლო პროდუქცია – გადამუშავების ობიექტიდან გადამუშავების სრული წარმოების პროცესის შედეგად მიღებული საქონელი, რომელიც შესაძლებელია საბოლოო ნამზადის სახით მოექცეს როგორც ექსპორტის, ასევე სხვა საბაჟო რეჟიმში.

წარმოების ნარჩენები – საქონელი, რომელიც უთუოდ წარმოიშობა სასაქონლო პროდუქციის წარმოების პროცესში და რომელიც განმცხადებლის მიერ ხმარებისათვის გამოუსადეგარია.

ნაშთი – გადამუშავების ობიექტის ნაწილი, რომელიც შემოტანილ იქნა უცხოური საქონლის სახით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, არ იქნა გამოყენებული გადამუშავების (საწარმოო) პროცესში და სასაქონლო ნომენკლატურაში კლასიფიცირ-

დება იგივე ცხრანიშნა კოდით, რომელიც მიენიჭა მას საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას.

საწარმოო დანაკარგები – მასალების, ნივთიერებების დანაკარგები, რომლებიც წარმოიშობა ანდა უკან დაუბრუნებლად იკარგება სასაქონლო პროდუქციის წარმოების პროცესში.

გადამუშავებული პროდუქტები – საქონელი, რომელიც მიიღება გადამუშავებისათვის შემოტანილი უცხოური საქონლის გადამუშავების შედეგად და შეიცავს როგორც სასაქონლო პროდუქციას, ასევე წარმოების ნარჩენებსა და საწარმოო დანაკარგებს.

გადამამუშავებელი – პირი, რომელიც უშუალოდ იყენებს გადამუშავების ობიექტს საწარმოო პროცესში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების და საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების (შემდგომში გადამუშავების რეჟიმები) საბაჟო რეჟიმებში არ შეიძლება მოექცეს ის უცხოური საქონელი, რომლის შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აკრძალულია. გადამუშავების რეჟიმებში არ შეიძლება მოექცეს ელექტრული, თბური და სხვა სახეობის ენერგიები, აგრეთვე ის საქონელი, რომელთა გადამუშავების პროდუქტს წარმოადგენს ელექტრული, თბური და სხვა სახეობის ენერგია, რადგან მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელია.

გადამუშავების რეჟიმებში საქონლის გადამუშავება ხორციელდება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიით. ამასთან, გადამუშავების ობიექტის გამოყენება გადამუშავების რომელიმე რეჟიმში და სასაქონლო პროდუქციის გატანა ექსპორტის რეჟიმის შესაბამისად, ან ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში მისი მოქცევა, ასევე საწარმოო ნარჩენებისა და ნაშთის რომელიმე საბაჟო რეჟიმში მოქცევა ხორციელდება გადამუშავების უფლებაზე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე და მისი მოქმედების პერიოდში.

ლიცენზია გაიცემა განმცხადებელზე (საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი) შემდეგი პირობების დაცვით:

- სასაქონლო პროდუქციის მისაღებად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების მიზნით შემოტანილი უცხოური საქონელი (გადასამუშავებელი საქონელი), ასევე საქართველოში წარმოებული საქონელი ან

ამ ტრიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარება გადამუშავების პროცესში და ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავებული პროდუქტების წარმოებას;

- შესაძლებელია შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტებთან იდენტიფიკაცია;
- გადამუშავება იძლევა საქართველოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და გადამუშავებული პროდუქტების ექსპორტის საშუალებას საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევისას ან სხვა საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევას (საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების რეჟიმი);
- წარმოდგენილია საგადასახადო ქვითარი (ბანკის ქვითარი) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ საბუთად.

ლიცენზია გადამუშავების ობიექტის გადამუშავებაზე, გადამუშავებული პროდუქტების და ნაშთის რომელიმე საბაჟო რეჟიმში მოქცევაზე გაიცემა განმცხადებლის მიერ გადამუშავებაზე პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულების ან სხვა პირობებით, ერთჯერად შემოტანილი გადამუშავების ობიექტის ერთ პარტიაზე.

ლიცენზია არ გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც გაცხადებული გადამუშავების ობიექტის გადამუშავების შედეგად მიიღება ისეთი სახის გადამუშავების პროდუქტები, რომელთა შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აკრძალულია. ცალკეულ შემთხვევაში საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს გასცეს ლიცენზია, თუ განმცხადებელი გაიტანს აკრძალულ პროდუქციას საქართველოს ფარგლებს გარეთ მოკლე ვადაში.

ლიცენზიაში მითითებული უნდა იყოს: ა) ლიცენზიის მოქმედების ვადა; ბ) გადამუშავების ობიექტი (გადასამუშავებელი საქონელი, სამამულო საქონელი); გ) მისაღები გადამუშავებული პროდუქტები (სასაქონლო პროდუქცია, წარმოების ნარჩენები, საწარმოო დანაკარგები), მათი შესაბამის საბაჟო რეჟიმებში მოქცევის მითითებით (გარდა საწარმოო დანაკარგებისა); დ) ნაშთი, შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევის მითითებით; ე) სასაქონლო პროდუქციის ხარჯის ან გამოსავლიანობის ნორმები, რომლებიც დადასტურებულია ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის და ფინანსთა სამინისტროების მიერ წერილობითი ფორმით. სასა-

ქონლო პროდუქციის მიღების საწარმოო პროცესის აღწერა; ვ) საბაჟო ორგანოების ნუსხა, სადაც უნდა განხორციელდეს გადამუშავების ობიექტების, გადამუშავების პროდუქტების და ნაშთის საბაჟო გაფორმება.

ლიცენზიაში საჭიროა გამოყენებულ იქნეს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სასაქონლო ნომენკლატურაში გამოყენებული შესაბამისი ტერმინები და კოდები, რომლებიც ფიქსირდება საბაჟო-სატვირთო დეკლარაციის (სსდ) 31-ე გრაფაში.

ლიცენზიის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვრება იმ ვადით, რომელიც საჭიროა სასაქონლო პროდუქციის დასამზადებლად, საწარმოო პროცესის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ამასთან, ლიცენზიის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს გადამუშავების ზღვრულ ვადას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს გადამუშავების ობიექტისა და გადამუშავებული პროდუქტების, ასევე ნაშთის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ვადებს.

ლიცენზიის ვადის გაგრძელებას ახორციელებს საბაჟო დეპარტამენტი განმცხადებლის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. ლიცენზია გაიცემა ორ ეგზემპლიარად: პირველი ეგზემპლიარი გადაეცემა განმცხადებელს ან სხვა უფლებამოსილ პირს, მეორე — საბაჟო ორგანოს, რომლის მოქმედების რეგიონში ხორციელდება საქონლის გადამუშავება. ლიცენზიის მისაღებად განმცხადებელი იხდის მოსაკრებელს.

ლიცენზიის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ განმცხადებლის მიერ ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია, არასწორია, ანდა გაყალბებულია.

დებულებაში განსაზღვრულია საქართველოს საქონლის გამოყენების წესები გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში. გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში შეიძლება მოექცეს საქართველოს საქონელი, რომელიც დამატებით გამოიყენება გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში. ამასთან, აღნიშნული საქონელი შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია სასაქონლო პროდუქციის მისაღებად.

საქონლის გადამუშავების ოპერაციები მოიცავენ: ა) გადამუშავების ობიექტების გადამუშავებას და დამუშავებას; ბ) საქონლის დამზადებას, მონტაჟს, აწყობას (დაშლას) და სხვა მსგავს ოპერაციებს; გ) საქონლის შეკეთებას, კერძოდ, მის აღდგენას და

წესრიგში მოყვანას; დ) იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

დებულებაში განსაზღვრულია გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში საქართველოს საქონლის გამოყენების წესები. გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში შეიძლება მოექცეს საქართველოს საქონელი, რომელიც დამატებით გამოიყენება გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში. ამასთან, ეს საქონელი შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია სასაქონლო პროდუქციის მისაღებად.

რას ნიშნავს სასაქონლო პროდუქციასთან გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაცია? იგი ნიშნავს იმ ფაქტის დადგენის საშუალებას, რომელიც დაადასტურებს, რომ სასაქონლო პროდუქციის მიღების მიზნით გადამუშავების ოპერაციებში მონაწილეობდა უშუალოდ გადასამუშავებელი საქონელი.

შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იდენტიფიკაციის შემდეგი საშუალებები: ა) სასაწყობო ნაგებობების, ტექნოლოგიური ხაზების, გარკვეული განყოფილებებისა და სხვა ადგილების დალუქვა, რათა საწარმოო პროცესში არ იქნეს გამოყენებული ის საქონელი, რომელიც არ არის მითითებული გადამუშავებაზე გაცემულ ლიცენზიაში; ბ) განმცხადებლის, გადამამუშავებლის ან საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ გადამუშავების ობიექტებზე ბეჭდების, შტამპების, ციფრული ან სხვა სახის მარკირების დადება; გ) გადასამუშავებელი საქონლის აღწერა, ფოტოგრაფირება და მასშტაბში გამოსახვა; დ) წინასწარ აღებული სინჯების, გადასამუშავებელი საქონლის ნიმუშების შედარება სასაქონლო პროდუქციასთან; ე) გადასამუშავებელ საქონელზე არსებული მარკირების (საქარხნო ნომერი და ა. შ.) გამოყენება, როდესაც შეუძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენება.

გადასამუშავებელი საქონლის სასაქონლო პროდუქციასთან იდენტიფიკაციის მიზნით, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირებს უფლება აქვთ დაესწრონ საწარმოო პროცესებს.

გადამუშავების ობიექტებისა და გადამუშავებული პროდუქტების, ასევე ნაშთის საბაჟო გაფორმება ხორციელდება ლიცენზი-

ის მოქმედების პერიოდში მხოლოდ იმ საბაჟო ორგანოში, რომელიც მითითებულია ლიცენზიაში.

გადამუშავებისას გამოყენებული სამამულო საქონლის საბაჟო გაფორმება საჭიროებას არ წარმოადგენს.

გადამუშავების ობიექტისა და გადამუშავებული პროდუქტის საბაჟო გაფორმება შესაძლებელია საბაჟო დეპარტამენტის მიერ აღნიშნულ საქონელზე გაცემული ლიცენზიის საბაჟო ორგანოში წარდგენის შემდეგ, მხოლოდ მასში მითითებული საქონლისათვის.

გადამუშავების ობიექტის საბაჟო გაფორმებას ახორციელებს ის საბაჟო ორგანო, რომლის მოქმედების რეგიონში იმყოფება ტვირთის მიმღები (მფლობელი, გადამამუშავებელი ან აგენტი). ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს: ა) ლიცენზია გადამუშავებაზე; ბ) სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომელიც ივსება არსებული წესების შესაბამისად; გ) სხვა ორგანოების მიერ გაცემული ნებართვები, თუ აღნიშნული ნებართვის გაცემა გათვალისწინებულია კანონმდებლობით (ფიტო, ვეტსანიტარიული სერტიფიკატები და სხვა); დ) გადამუშავებული პროდუქტების გამოსავლიანობის ნორმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც გაიცემა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ.

საქონლის დროებით შემოტანის და გატანის რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანას და მის ფარგლებს გარეთ გატანას განსაზღვრული ვადით, უკან დაბრუნების ვალდებულებით, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით, დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნებას უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია საქონლის ექსპლოატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

საბაჟო კანონმდებლობაში განსაზღვრულია საქონლის დროებითი შემოტანისა და გატანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები. საქონლის დროებითი შემოტანა და გატანა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ წარმოდგენილი იქნება შემოტანის ან უკან გატანის ვალდებულება. იმ საქონლის ნუსხას, რომელთა

დროებითი შემოტანა და გატანა აკრძალულია, ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 43), საქონლის დროებითი შემოტანისა და გატანის რეჟიმში მოქცევას ახორციელებენ საბაჟო ორგანოები დადგენილი წესით. საბაჟო ორგანოებს არა აქვთ უფლება გასცენ დროებითი შემოტანისა და გატანის ნებართვა, თუ შეუძლებელია მათი საიმედო იდენტიფიკაციის უსრუნველყოფა.

საბაჟო კოდექსში 2003 წლის 26 აგვისტოს შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით 42-ე მუხლს დაემატა 3-5 ნაწილები[1]. კანონის მიხედვით, დროებითი შემოტანის და გატანის საბაჟო რეჟიმში შესაძლებელია მოქცეულ იქნეს ნებისმიერი საქონელი (გარდა იმ საქოონლისა, რომელიც დროებითი შემოტანის ან გატანის საბაჟო რეჟიმში არ დაიშვება).

დროებითი შემოტანის ან (და) გატანის საბაჟო რეჟიმში საბაჟო გადასახადების გადახდისაგან სრული განთავისუფლებით შესაძლებელია მოქცეულ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი შემდეგი საქონელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საბაჟო კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილ საქონელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ვადა):

1. ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის თევზები), რომლებიც შემოჰყავთ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის: ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება, შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვ.); ბ) წარმოდგენებში, გამოფენებში, კონკურსებში, შეჯიბრებებში ან ჩვენებებში მონაწილეობა; გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვ.), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით); დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციის და სხვა მიზნებისათვის); ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება; ვ) ძოვება; ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრან-

---

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2003, 15 სექტემბერი, №28, უე. 3-4.

სპორტირების განხორციელება; თ) სამედიცინო მიზნები (გველის შხამის მიღება და სხვ.);

2. ბაზრობების, გამოფენების, სხვადასხვა სახის შეხვედრებისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი (იმპორტული დანადგარები და მოწყობილობები საჩვენებლად და გამოსაცდელად; სამშენებლო და დეკორატიული მასალები (იმავე მიზნით); სარეკლამო-საჩვენებელი მასალა და სხვ.);

3. კინემატოგრაფიის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემების განხორციელებისათვის საჭირო პროფესიული მოწყობილობები და სხვ.

4. საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურებების, ავარიისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ;

5. სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები (გარკვეული პირობებით);

6. სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები (გარკვეული პირობებით);

7. სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობები, რომელებიც განკუთვნილია საავადმყოფოებისა და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, დიაგნოსტიკური და თერაპევტული მიზნებისათვის და გაგზავნილია განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე უფასოდ.

8. სატრანსპორტო საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდგომი პირობა:

ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე; ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად ამავე პირის მიერ;

9. საქონელი დიპლომატიური, კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული, ტურისტული და გასართობი მიზნებისათვის იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ არსებული პირის საკუთრებად.

10. შესაფუთი მასალები, კერძოდ, სავსე ან ცარიელი ყუთები, რომლებიც გამიზნულია სავსე ან ცარიელი სახით დასაბრუნებლად.

საქართველოს საბაჟო ორგანო ადგენს საქონლის შემოტანისა და გატანის ვადას, ასეთი შემოტანისა და გატანის მიზნებისა და გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. დადგენილი ვადის გასვლის დღეს დაუბრუნებელი, დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში ან მოთავსდეს დროებით შესანახ საწყობში, რომლის მფლობელიცაა საბაჟო ორგანო.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 46) მიხედვით, „პირი, რომელმაც დროებით გაიტანა საქონელი და არ დააბრუნა დადგენილ ვადაში, პასუხს არ აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად საქონლის განადგურების ან დაკარგვის, ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგების, ან უცხო სახელმწიფოს ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არამართლზომიერი მოქმედების გამო, ამ ფაქტს დაადასტურებს საქართველოს შესაბამისი „საკონსულო დაწესებულება“.

თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსებისა და გამოყენების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას და გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში ან საზღვრებში ან სათავსებში ეკონომიური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამამულო საქონლის მოთავსებასა და გამოყენებას – ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 2, ნაწილი 3,4) შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება იყოს თავისუფალი საბაჟო ზონები და თავისუფალი საწყობები, რომელთა ტერიტორიები განიხილება, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებული. თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს საბაჟო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლები, აგრეთვე თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები შეადგენენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

თავისუფალი ზონების დიდი მრავალსახეობა არსებობს: თავისუფალი საბაჟო ზონები, თავისუფალი ზონები ნავსადგურებში, თავისუფალი სავაჭრო ზონები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები და ა. შ. გაეროს დოკუმენტებში 30-ზე მეტი თავისუფალი ზონაა დასახელებული.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო სამ ათწლეულში გავრცელდა. ამჟამად 3 ათასზე მეტი სხვადასხვა სახეობის თავისუფალი ეკონომიკური ზონაა, მათზე მოდის მსოფლიო ტვირთბრუნვის 20 პროცენტი.

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება კიოტოს 1973 წლის კონვენციის მერვე დანართის განმარტება: „თავისუფალი ზონის ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ნაწილი, რომელზეც შემოტანილი საქონელი ჩვეულებრივ განიხილება როგორც საქონელი, რომელიც იმყოფება საბაჟო ტერიტორიის გარეთ იმპორტისა და შესაბამისი გადასახადების მიმართ, და არ ექვემდებარება ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს“.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არ მოქმედებს არც ერთი თავისუფალი ზონა. ბუნებრივია, როდესაც შეიქმნება, ამოქმედდება ასეთი ზონებისათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმები. ამიტომ საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 48) აღნიშნულია: „თავისუფალი საბაჟო ზონების... შექმნა და მათში საქონლის განთავსებისა და გამოყენების პირობები, აგრეთვე თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი საბაჟო რეჟიმები რეგულირდება კანონმდებლობით“.

საქართველოში გარკვეული ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონები უკვე მოქმედებს და მათ გააჩნიათ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ნორმატიული ბაზა (საბაჟო კოდექსით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმების ფართო სპექტრი, ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა შეთანხმება „თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ“). საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ით-

ეალისწინებს მრავალ პრეფერენციას, რომელიც დამახასიათებელია თავისუფალი ეკონომიკური ზონებისთვისაც. კერძოდ, საქართველოს კანონის „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ შესაბამისად, მთელი რიგი საქონლის, მათ შორის საწარმოო დანადგარების, მოწყობილობების, ტექნოლოგიური ხაზების, სანედლეულო მასალების იმპორტი იბეგრება საბაჟო გადასახადის შეღავათიანი განაკვეთით (5 პროცენტი ნაცვლად ძირითადი 12-პროცენტიანი განაკვეთისა). საიმპორტო გადასახადისაგან მთლიანად გათავისუფლებულია საექსპორტო პროდუქციის დამზადებისათვის განკუთვნილი ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, ტარა-შესაფუთი მასალების იმპორტი, პრაქტიკულად ყველა სახის საქონლის ექსპორტი გათავისუფლებულია საექსპორტო გადასახადისაგან. საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია დღგ-ს ნულოვანი განაკვეთი და აქციზის მოხსნა ექსპორტზე.

საგადასახადო შეღავათების გარდა, ქვეყანაში მოქმედებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ძალზე ლიბერალური სისტემა, რომელიც სავსებით შეესაბამება თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრინციპებს. კერძოდ, ქვეყანაში არ არსებობს ექსპორტის ან იმპორტის კვოტირების წესი, საერთაშორისო ნორმებით დასაშვებ მინიმუმამდეა შემცირებული საექსპორტოდ აკრძალული და ლიცენზირებადი პროდუქციის ნუსხა, გაუქმებულია საგარეო ეკონომიკური კონტრაქტების რეგისტრაციის წესი.

საქართველოში ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პროცესში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ფონი თავისთავად შეიცავს თავისუფალი ეკონომიკური ზონების მთელ რიგ მახასიათებლებს, ხოლო, ამავე დროს, ქვეყანაში გამწვავებული საბიუჯეტო პრობლემები გვაიძულებს ვიზრუნოთ საგადასახადო ბაზის გაფართოებაზე და არა მის შემცირებაზე. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა კი გამოიწვევს საგადასახადო ბაზის მკვეთრად შემცირებას.

საქართველოში, სპეციალისტთა დასკვნებით, კლასიკური ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა ტერიტორიული პრინციპით მიზანშეუწონელია შემდეგი მოსაზრებების გამო:

- საქართველოში შექმნილია საკმაოდ ლიბერალური და გახსნილი ეკონომიკური გარემო, რომლის პირობებში ზონების დაარსების საკითხი აქტუალობას კარგავს;
- ზონის შექმნით სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შემოსავლები მკვეთრად შეუმცირდებათ;
- ზონის შექმნა და რეალური ამოქმედება დაკავშირებულია მნიშვნელოვან საწყის დაბანდებებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ზონის დაარსება ფორმალურ ხასიათს შეიძენს (ამის საშუალება ქვეყანას დღეს არ გააჩნია);
- თურქეთისა და რუსეთის ფედერაციის კავკასიის რეგიონში უკვე არსებობს ან შექმნის სტადიაზეა თავისუფალი ეკონომიკური ზონები. საქართველოს თავისუფალი ეკონომიკური ზონები მათ სათანადო კონკურენციას ვერ გაუწევენ, განვითარებული ინფრასტრუქტურისა და საწარმოო ბაზის შექმნისა და ქვეყნის შიდა ბაზრის მოცულობის თვალსაზრისით;
- საერთაშორისო პრაქტიკის მონაცემებით, ეთნიკური პრინციპით დაყოფილ პატარა ქვეყნებში თავისუფალი ეკონომიკური ზონები არ იქმნება. მათთვის უფრო დამახასიათებელია საერთაშორისო ეკონომიკურ ზონებში გაერთიანება, ვიდრე ისედაც მცირე ტერიტორიის დანაწევრება;
- ტერიტორიულ ასპექტს უკავშირდება ზონების დაარსება საზღვაო პორტებში. ეს საკითხი განსაკუთრებულ დაფიქსირებას საჭიროებს. ერთი საქმეა, როდესაც რუსეთის რამდენიმე პორტში იქმნება თავისუფალი ზონა და სულ სხვაა საქართველოს ორადორი პორტის ბაზაზე თავისუფალი ზონების ჩამოყალიბება. ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ განახორციელებს თავის საზღვაო და საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკას;
- ეკონომიკური ზონების შექმნა მნიშვნელოვან დადებით გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე ვერ მოახდენს, ვინაიდან ტერიტორიული პრინციპით აგებული ზონის ერთ-ერთ ქვაკუთხედს ქვეყნის დანარჩენი სივრცისაგან იზოლაცია წარმოადგენს. კავშირები ქვეყანასა და ზონას შორის საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათს იძენს.

ტერმინით „თავისუფალი საწყობები“ მოიხსენიება: ჯერ ერთი, საბაჟო რეჟიმები; მეორე, ადგილი, შენობა, ტერიტორია, რომელშიც ხორციელდება ეს რეჟიმები. თავისუფალი საბაჟო სა-

წყობის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე. საწყობის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის საჭიროა საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზია.

თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობში შემოტანილი უცხოური საქონელი კვეთს სახელმწიფო სასაზღვარს, მაგრამ არ კვეთს საქართველოს საბაჟო სასაზღვარს და მის მიმართ ვერ გამოიყენება ვერც ერთი საბაჟო რეჟიმი, ვინაიდან დადგენილია, რომ ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი დაკავშირებულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან.

აქედან დასკვნა: თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობებში საქონლის იმპორტი თავისუფალია საბაჟო გადასახდელებისაგან და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისაგან.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 48) შესაბამისად, თავისუფალი საწყობების შექმნა და მათში საქონლის განთავსებისა და გამოყენების პირობები, აგრეთვე თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი საბაჟო რეჟიმები რეგულირდება კანონმდებლობით.

საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საქონლის გატანასა და გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად მისი გადამუშავებისა და მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით.

საქონლის საქართველოს გარეთ გადამუშავების ოპერაციები იგივეა, რაც საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების დროს. სახელდობრ, ეს ოპერაციებია: ა) საქონლის დამზადება (დამუშავება, გადამუშავება), მათ შორის მონტაჟი, აწყობა და სხვა საქონელზე მორგება; ბ) საქონლის შეკეთება, კერძოდ, მისი აღდგენა და წესრიგში მოყვანა; გ) იმ საქონლის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუმცა ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში. საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საქონლის გადამუშავების ცალკეული ოპერაციები შეიძლება შეიზღუდოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსი (მუხლი 51) განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი. იგი არ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგ შემთხვევებში:

- თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმპორტისათვის საბაჟო გადასახდელების დაბრუნება ან გადასახდელებისაგან გათავისუფლება;
- თუ საქონელი გატანამდე გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის საბაჟო გადასახდელებისაგან სრული გათავისუფლებით;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება ხდება საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ:

- გადამუშავების პროდუქტების საქართველოში შემოტანისას შესაძლებელია იმის დადგენა, რომ ისინი ნამდვილად მიღებულია გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება არ აყენებს ზიანს საქართველოს ეკონომიკის ინტერესებს.

ლიცენზიის გაცემის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით. საბაჟო კოდექსის მიხედვით, საქონელი უნდა გადამუშავდეს საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში. ვადების დადგენა უნდა ემყარებოდეს საქონლის გადამუშავების პროცესის ეკონომიკურად გამართლებულ ხანგრძლივობას. გადასამუშავებლად გატანილი საქოლის მიმართ საბაჟო გადასახდელები გამოიყენება კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 56), საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანილი საქონლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების შეცვლა უცხოური საქონლით დაიშვება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია პასუხისმგებლობა იმ პირისა, რომელმაც მიიღო საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ლიცენზია და არ დააბრუნა საქონელი ან დადგენილ ვადაში არ შემოიტანა გადამუშავებით

მიღებული პროდუქტები. ასეთ პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად საქონლის ან გადამუშავებით მიღებული პროდუქტების განადგურების, დაკარგვის, ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგების გამო დანაკლისის ან უცხო სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არამართლზომიერი მოქმედების გამო, ამ ფაქტს დაადასტურებენ საქართველოს შესაბამისი საკონსულო დაწესებულებები (მუხლი 57).

დებულებაში „საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმის შესახებ“ განსაზღვრულია ამ რეჟიმში მოქცევისა და ლიცენზირების პირობები და წესები.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმში (შემდგომი გადამუშავების რეჟიმი) არ შეიძლება მოექცეს ის სამამულო საქონელი, რომლის გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ აკრძალულია. გადამუშავების რეჟიმში არ შეიძლება მოექცეს ელექტრული, თბური და სხვა ენერგიები, ასევე ის საქონელი, რომლის გადამუშავების პროდუქტს წარმოადგენს ელექტრული, თბური და სხვა ენერგია, რადგან მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელია საწყის (ან საბოლოო) პროდუქტებთან.

საწარმოო ნარჩენები, რომელიც წარმოადგენს გადამუშავების ერთ-ერთ პროდუქტს, შესაძლებელია მოექცეს ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოო დანაკარგები, რომელიც რჩება საბაჟო ტერიტორიის გარეთ, საბაჟო გაფორმებას არ ექვემდებარება. ნაშთი, რომელიც არ იქნა გამოყენებული, შესაძლებელია მოექცეს ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში. ნაშთის საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებისას იგი ექვემდებარება საბაჟო გაფორმებას კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით.

გადამუშავების წესების დარღვევის, გადამუშავების რეჟიმში მოქცეული საქონლით არამართლზომიერი მოქმედებების, გადამუშავების რეჟიმის გამოყენების პირობების დარღვევისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების (ასევე გირაოს) გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს.

გადამუშავების რეჟიმში საქონლის მოქცევა ხორციელდება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიით. გადამუშავების ობიექტის გამოყენება გადამუშავების რეჟიმში, სასაქონლო პროდუქციის შემოტანა და გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში საბაჟო ტერიტორიაზე, ასევე საწარმოო ნარჩენების და ნაშთის რომელიმე საბაჟო რეჟიმში მოქცევა ხორციელდება გადამუშავების უფლებაზე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე და მისი მოქმედების ვადაში.

განმცხადებელზე ლიცენზიის გაცემისას საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა:

- სასაქონლო პროდუქციის მისაღებად განმცხადებლის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს საქონელი, რომელიც გადასამუშავებლად გადის საბაჟო ტერიტორიის გარეთ;
- შესაძლებელია გატანილი გადამუშავების ობიექტის იდენტიფიკაცია შემოსატან სასაქონლო პროდუქციასთან (ასევე საწარმოო ნარჩენებთან, თუ იგი შემოტანილია საბაჟო ტერიტორიაზე);
- მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ საბუთად წარმოდგენილია საგადასახადო ქვითარი;
- წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დასკვნა, რომ აღნიშნული გადამუშავების ობიექტის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება ზიანს არ აყენებს საქართველოს ეკონომიკას.

გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაცია სასაქონლო პროდუქციასთან არის იმ ფაქტის დადგენის საშუალება, რომელიც დაადასტურებს, რომ სასაქონლო პროდუქციის მიღების მიზნით გადამუშავების პროცესში მონაწილეობდა უშუალოდ გადასამუშავებელი საქონელი (გადამუშავების ობიექტი).

გამოიყენება იდენტიფიკაციის შემდეგი საშუალებები:

- სასაწყობო ნაგებობების, გარკვეული განყოფილებებისა და სხვა ადგილების დალუქვა, რათა არ მოხდეს გადამუშავების შედეგად მიღებული სასაქონლო პროდუქციის შერევა სხვა საქონელთან, რომელიც არ არის მითითებული გადამუშავებაზე გაცემულ ლიცენზიაში;
- განმცხადებლის, გადამამუშავებლის ან საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირების მიერ გადამუშავების ობიექტზე ბეჭდების, შტამპების, ციფრული და სხვა მარკირების დადება;

- გადასამუშავებელი საქონლის აღწერა, ფოტოგრაფირება და მასშტაბში გამოსახვა;
- წინასწარ აღებული სინჯების, გადასამუშავებელი საქონლის ნიმუშების შედარება სასაქონლო პროდუქციასთან;
- გადასამუშავებელ საქონელზე არსებული მარკირების (საქარხნო ნომერი და ა. შ.) გამოყენება. როდესაც შეუძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენება, განმცხადებელი უფლებამოსილია წარადგინოს საბაჟო ორგანოში დამოუკიდებელი საექსპორტო ორგანიზაციის ან საბაჟო ლაბორატორიის დასკვნა გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლო საშუალების განსაზღვრის შესახებ სასაქონლო პროდუქციასთან. დასაშვებია საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანილი საქონლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების შეცვლა უცხოური საქონლით, თუ ორივე საქონელი კლასიფიცირდება სასაქონლო ნომენკლატურის ერთი და იგივე ცხრანიშნა კოდით, რომელიც მითითებულია გადამუშავებაზე გაცემულ ლიცენზიაში.

საქონლის განადგურების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის განადგურებას საბაჟოს კონტროლით, მათ შორის მის გამოსაყენებლად უვარგის მდგომარეობაში მოყვანას საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქონლის განადგურების ნებართვას იძლევა საბაჟო ორგანო შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საქონელს ანადგურებს მესაკუთრე ან მფლობელი საკუთარი სახსრებით. ასეთი განადგურება არ უნდა იწვევდეს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს. რაც შეეხება საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენებს, იგი უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო რეჟიმში, როგორც საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული უცხოური საქონელი.

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს პირის მიერ საქონელზე მესაკუთრის ან მფლობელის უფლებებზე უარის თქმას, მის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა დაიშვება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამასთან დადგენილია, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა არ იწვევს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს.

სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა

სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ხდება სატრანსპორტო საშუალებების მიმართ გამოყენებული საბაჟო რეჟიმების მიხედვით. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც საბაჟო საზღვარს გადაკვეთენ როგორც საქონელი, განლაგდებიან საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოები ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებათა იძულებითი გაჩერების ღონისძიებებს.

სატრანსპორტო საშუალებების დგომის ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბაჟო ორგანო გადამზიდველთან ერთად, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების განხორციელებისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით. სატრანსპორტო საშუალებების გასვლა სადგომებიდან ხდება საბაჟო ორგანოების ნებართვით.

სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროსა და ადგილს გადამზიდველი უთანხმებს შესაბამის საბაჟო ორგანოს საბაჟო კოდექსის მეათე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

ამ მუხლის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო ორგანოების სამუშაო დროს დაიშვება იმ ადგილებში, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. სხვა ადგილებში ან საბაჟო ორგანოების არასამუშაო დროს საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა დასაშვებია საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

სახელმწიფოს საკუთრებად მიქცევა და განკარგვა. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში განსაზღვრულია სახელმწიფოს საკუთრებად მიქცევისა და განკარგვის პირობები. სამართალდარღვევის ობიექტი და სამართალდარღვევის ჩადენის საშუალებები, აგრეთვე უპატრონო და ის საქონელი და სატრან-

სპორტო საშუალებები, რომლებსედაც უარი ითქვა სახელმწიფოს სასარგებლოდ, მიიქცევა სახელმწიფოს საკუთრებად. სახელმწიფოს საკუთრებად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიქცევისა და განკარგვის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტისა და სხვა სავალუტო ფასეულობათა გადატანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

დებულება „ჰუმანიტარული დახმარების ტვირთების შემოტანის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ“ არეგულირებს საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოტანილი საქონლისა და ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკისა და ტექნიკური საშუალებების საბაჟოზე გატარებას, აღრიცხვასა და კონტროლს.

ჰუმანიტარული დახმარება არის დონორის (ჰუმანიტარული დახმარების გაცემა) მიერ უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლის შემდგომი გამოყენება ხდება დონორის მიერ განსაზღვრული პირობებისა და მასთან შეთანხმებული პროგრამის თანახმად სოციალური სფეროს, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, გარემოს დაცვის, მცირე ბიზნესის, ღარიბთა და სოციალურად დაუცველ პირთა დახმარების, მოსახლეობის სოციალური რეაბილიტაციის, რელიგიური დანიშნულების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროგრამათა განხორციელებისათვის; ჰუმანიტარულ დახმარებად ჩაითვლება კონკრეტული ჰუმანიტარული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკა და ტექნიკური საშუალებები.

დებულების თანახმად, ჰუმანიტარული დახმარების გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს: საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხოეთის ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, აგრეთვე უცხოეთის არასამეწარმეო იურიდიული (ფონდი) და ფიზიკური პირი.

ჰუმანიტარული დახმარების მიმღები შეიძლება იყოს:

საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი ორგანოს (ორგანიზაციის) სახით; საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება, საქართველოს მოქალაქე, უცხოეთის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

ქვეყნის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული ტვირთის გადაადგილების პროცესი და საბაჟო რეჟიმის განსაზღვრა ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

საბაჟო ორგანოებში წარმოდგენილი საბუთები შევსებული უნდა იყოს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი) ტვირთის დასახელებისა და რაოდენობის ჩვენებით; წარდგენილი საბუთების საფუძველზე ხდება ჰუმანიტარული ტვირთის განბაჟება მოქმედი საბაჟო წესების თანახმად.

მოკლე დასკვნები

- *სახელმძღვანელოს ამ თავში განხილულია საბაჟო რეჟიმების სახეები და ამ რეჟიმებში მოქცევის პირობები; ნაჩვენებია საბაჟო რეჟიმების კანონმდებლობა.*
- *საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბაჟო რეჟიმების ეფექტიან გამოყენებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას და საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის წარმოებისას.*
- *საბაჟო ორგანოები ადგენენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, სტრატეგიული და საქართველოს ინტერესებისათვის სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მასალების, აგრეთვე კულტურული ფასეულობების გადაადგილების სანებართვო წესს და ორგანიზაციას უწევენ ამ წესის დაცვას.*
- *საბაჟო რეჟიმების რეგულირების მიზნით, გამოიყოფა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმების სახეობათა ორი ჯგუფი:*

- *რეჟიმები, რომელთა მიხედვით საბაჟო რეჟიმში მოქცევის შემდეგ საქონელი გადადის მესაკუთრის გამგებლობაში. ამ ჯგუფის რეჟიმებს აქვთ დამამთავრებელი ხასიათი;*
- *რეჟიმები, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ საქონლის გამოყენებას მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის.*

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲘᲪᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

- *რა არის საბაჟო რეჟიმი?*
- *რა სახის საბაჟო რეჟიმები არსებობს საქართველოში?*
- *როგორ ხდება პირის მიერ საბაჟო რეჟიმის არჩევა?*
- *ვინ განსაზღვრავს საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს და ადგილს?*
- *რას ნიშნავს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები?*
- *რა გადასახდელებია იმპორტის საბაჟო რეჟიმის დროს გათვალისწინებული?*
- *რას ნიშნავს „პირობითი გაშვება“?*
- *როგორ ხდება სახელმწიფო საზღვარზე მგზავრთა, ავტოტრანსპორტის, ტვირთების რეგისტრაციისა და კონტროლის განხორციელება?*

ᲗᲐᲕᲘ 8. საბაჟო გადასახდელების სისტემა და მართვა

ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების (მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების) გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი არეგულირებს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზორმიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს.

კოდექსის თანახმად (მუხლი 1, ნაწილი 3), საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლის გადახდა რეგულირდება საბაჟო კანონმდებლობით.

გადასახადები არ წარმოადგენენ ბიუჯეტის ფორმირების ერთადერთ წყაროს, თუმცა სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებაში მათ უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნით. თვით სახელმწიფოს არსებობა განუყოფლადაა დაკავშირებული გადასახადებთან. ამ კავშირის მნიშვნელობის შესახებ მკაფიოდ აქვს ნათქვამი აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთ ავტორს – ბენჟამინ ფრანკლინს: „ცხოვრებაში მხოლოდ სიკვდილი და გადასახადებია გარდაუვალი“[1].

სახელმწიფო ხაზინაში გადასახადების გარდა ირიცხება სხვა სახის შენატანებიც. ნებართვების, ლიცენზიების გაცემისა და სხვა სახის სახელმწიფო მომსახურების გაწევიდან მიღებული მოსაკრებელი და საფასური, სახელმწიფო ქონების იჯარის გადასახადი, შემოსავალი სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან და სხვა.

ბიუჯეტი ფორმირდება საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ხარჯზე. საგადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

გადასახადები წარმოადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს. გადასახადების ხარჯზე ფორმირ-

---

1 ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ., 2002, გვ. 11.

დება საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის 84,5-85,5%.

როგორია ამ მხრივ საზღვარგარეთის ქვეყნების მონაცემები? საფრანგეთში გადასახადები შეადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 95%-ს, აშშ-ში – 90%-ზე მეტს, გფრ-ში დაახლოებით – 80%-ს, იაპონიაში – 75%-ს[1].

გადასახადების გადახდა წარმოების ბიუჯეტში ან სპეციალურ სახელმწიფო ფონდში. ეს ფონდებია: საქართველოს სოციალური უსრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და საქართველოს სახელმწიფო საგზაო ფონდი.

გადასახადის ცნება. გადასახადი არის ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებსაც საგადასახადო კოდექსის ნორმების შესაბამისად, აკისრიათ გადასახადის გადახდის ვალდებულება.

გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენენ მატერიალური სამყაროს ობიექტები, რომელთა არსებობასაც კანონი უკავშირებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობას (ბინა, მიწის ნაკვეთი, ეკონომიკური ეფექტი (სარგებელი), საქონელი, ფული).

გადასახადით დაბეგვრის ობიექტი წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს ან იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) ერთობლიობას, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა გადასახადის გადახდის ვალდებულება. პირის გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია გადასახადით დაბეგვრის ობიექტი[2].

საქართველოში გადასახადები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; ქონების გადასახადი; მიწის გადა-

---

1 Козырин А. Н. Налоговое право зарубежных стран: Вопросы теории и практики, М., 1993, с. 7.

2 ზეიად როგავა, საგადასახადო სამართლის საფუძვლები, თბ., 2000, გვ. 18.

სახადი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი; გადასახადი ქონების გადაცემისათვის; სოციალური გადასახადი; გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის; გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის.

ადგილობრივი გადასახადები: გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის; სათამაშო ბიზნესის გადასახადი; საკურორტო გადასახადი; სასტუმროს გადასახადი; რეკლამის გადასახადი; მანქანების პარკირების გადასახადი; გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

ადგილობრივი გადასახადების განაკვეთების დაწესებისას ამოსაელად მიჩნეულია საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების განაკვეთები, ე. ი. ადგილობრივი მოსაკრებლებისა თუ გადასახადების განაკვეთები არ შეიძლება აღემატებოდეს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების განაკვეთებს და მის ჩარჩოებში უნდა თავსდებოდეს. *მიუხედავად გადასახადების მრავალფეროვნებისა, ისინი ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა:*

- სოციალური გადასახადები (სახელმწიფო, სოციალური, არასაბიუჯეტო ფონდებში გადასახადების სისტემა);
- გადასახადები კაპიტალის შემოსავლების მიხედვით (მოგების, პირადი შემოსავლების გადასახადების სისტემა);
- ეკოლოგიური გადასახადები (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახდელების სისტემა);
- უძრავი ქონების გადასახადები (ქონების, მემკვიდრეობის, მიწის გადასახადების სისტემა).

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდანვე დაიწყო საკუთარი საგადასახადო სისტემის შექმნა. 1997 წლის 13 ივნისს მიღებულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსი", მიღებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

გადასახადები იყოფა *პირდაპირ* და *არაპირდაპირ* გადასახადებად. *პირდაპირი გადასახადების დროს უშუალოდ იბეგრება გადასახადის გადამხდელის შემოსავლები (საშემოსავლო გადასახადი), ქონება ან სხვა მასთან გათანაბრებული ობიექტი.* პირ-

დაპირი გადასახადი ქვეყანაზე ადრეული ფორმა იყო საგადასახადო დაბეგვრისა. ასეთი იყო სულადობრივი გადასახადი; მიწის გადასახადი; საკომლო გადასახადი და სხვ. პირდაპირი გადასახადის დროს აშკარად ჩანს ვინ და რამდენს იხდის.

არაპირდაპირი გადასახადი გადასახადის შენიღბული ფორმაა. ის, როგორც წესი, შედის საქონლის ფასში, როგორც ფასწანამატი და არავითარ კავშირში არ იმყოფება გადასახადის გადამხდელის შემოსავლებთან ან ქონებასთან. არაპირდაპირი გადასახადის დროს, მართალია, მას უშუალოდ იხდის საწარმო, რომელიც უშვებს ან ყიდის ფასწანამატიან საქონელს (მომსახურებას), მაგრამ რეალურად აღნიშნულ გადასახადს იხდის მომხმარებელი, რომელმაც ფასწანამატიანი საქონელი (მომსახურება) შეიძინა.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არაპირდაპირი გადასახადების წილად მოდის მოლიანი საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 44%. აშშ-ში ეს შეადგენს 8,65 პროცენტს, იაპონიაში – 28,8 პროცენტს, კანადაში – 20,9 პროცენტს, ავსტრიაში – 20,4 პროცენტს, რუსეთში – 40 პროცენტს.

არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია გერმანიასა (40,4 პროცენტი) და საფრანგეთში (39,9 პროცენტი). ეს იმითაა გამოწვეული, რომ შეიქმნას გარანტიები ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განმტკიცებისათვის, ხოლო ბიუჯეტს მისცენ მკაცრი სოციალური მიმართულება. ამ ქვეყანაში არაპირდაპირი გადასახადების 60 პროცენტზე მეტი სხვადასხვა სოციალური ფონდების შევსებაზე მოდის.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია გადასახდელების სახეები და ჩამოყალიბებულია ზოგადი დებულებები საბაჟო-სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლიდან მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში გადაისდევინება გადასახდელები – გადასახადები და მოსაკრებლები.

საქართველოს კანონებში „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“, „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ დაკონკრეტებულია საბაჟო გადასახდელების სახეები და განსაზღვრულია საბაჟო ორგანოების მუშაობის მთავარი მიმართულებები.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში გამოყენებულია გამოთქმები: საბაჟო გადასახდელები, საბაჟო გადასახადები, საბაჟო მოსაკრებლები, საბაჟო გადასახადი.

საბაჟო გადასახდელების ცნება მოიცავს ყველა გადასახდელს, რომელთა გადახდევინების ადგილია საბაჟო ორგანო.

საბაჟო გადასახადების ცნება გულისხმობს საბაჟო, დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადებს.

საბაჟო გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტში საავალდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის.

საბაჟო მოსაკრებელი არის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისა და ლიცენზიების გაცემისათვის.

საბაჟო გადასახადი

საბაჟო გადასახადი უშუალოდ დაკავშირებულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან. საბაჟო ტარიფისა და საბაჟო გადასახადის ცნებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", რომლის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ერთიან საბაჟო ტერიტორიაზე. კანონი ადგენს საქართველოს საბაჟო ტარიფის, როგორც საქართველოს შიდა სასაქონლო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმის ფორმირებისა და გამოყენების წესს, აგრეთვე საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო გადასახადით დაბეგვრის წესებს.

იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს საგადასახადო სისტემაში და მთლიანად ეკონომიკის რეგულირებაში საბაჟო გადასახადისა და საბაჟო ტარიფის როლი, ცხადყოფს აღნიშნული კანონის მიზნებიც. ესენია:

- საქართველოში საქონლის შემოტანის სტრუქტურის რაციონალიზაცია;

- საქართველოში საქონლის შემოტანისა და საქართველოდან გატანის, საგალუტო შემოსავლისა და გასავლის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა;
- საქართველოში საქონლის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაში პროგრესული ცვლილებებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- საქართველოს ეკონომიკის დაცვა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი სემოქმედებისაგან;
- მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაციის პირობების უსრუნველყოფა.

საბაჟო ტარიფის ცნება. საბაჟო ტარიფი არის საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან ამ ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მიმართ, მისი საბაჟო ღირებულების შემცირების ან გაზრდის მიზნით, გამომდინარე საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან.

ამერიკელი ეკონომისტის პიტერ ლინდერტის მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკისაგან გადახრა გამართლებულია შემდეგ შემთხვევებში:

- იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ძალუძს ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიო ფასებზე, შეიძლება მოიძებნოს ტარიფის განაკვეთის დონე, რომელიც მას წმინდა მოგებას მოუტანს;
- ტარიფი, როგორც სუბოპტიმალური გადაწყვეტა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში შიდა პრობლემებია გადასაჭრელი, ტარიფის შემოღება შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე ეკონომიკური პასიურობა;
- ცალკეული წმინდა საგარეო-სავაჭრო პრობლემების გადაწყვეტისას საბაჟო ტარიფების შემოღება ზოგჯერ ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ ღონისძიებაზე ეფექტიანია;
- საბაჟო ტარიფი ყოველთვის ხელსაყრელია იმ საქონლის მწარმოებელთათვის, რომელიც კონკურენციას უწევს იმპორტს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დროს ერთობლივი კეთილდღეობა ეცემა[1].

---

1 პიტერ ჰ. ლინდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, თბ., 2001, გვ. 86.

საბაჟო გადასახადის ცნება. საბაჟო გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტში საყალდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის.

საბაჟო გადასახადის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც საქონლით გადაკვეთენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

საბაჟო გადასახადის განაკვეთები

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო გადასახადის განაკვეთის სახეებს. საგადასახადო განაკვეთები საბაჟო-სატარიფო რეგულირების ძირითადი მექანიზმია. საქართველოში გამოიყენება საბაჟო გადასახადის განაკვეთების სახეები:

ა) *ადვალური* — განისაზღვრება პროცენტებით დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ. ადვალური სახით გადახდევინებული გადასახადის სიდიდე განაკვეთის უცვლელობის პირობებშიც ცვალებადია და დამოკიდებულია სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურაზე.

ბ) *სპეციფიკური* — განისაზღვრება ეროვნული ვალუტით — ლარებით, დასაბეგრი საქონლის ერთეულის მიმართ.

გ) *კომბინირებული* — მოიცავს განაკვეთების ორივე სახეს.

საბაჟო გადასახადის განაკვეთები ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და დაუშვებელია მათი შეცვლა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამტანი პირების გარიგების შინაარსისა და სხვა ფაქტორების მიხედვით.

საქართველოში საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის განხორციელება დაიწყო 1991-1992 წლებიდან. საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებულ იქნა ერთიანი საბაჟო გადასახადი და განისაზღვრა პირველი ეროვნული უნიფიცირებული (ერთიანი ყველა საქონლისათვის) ტარიფები: ექსპორტისას — 8 პროცენტი გარიგების (კონტრაქტის) ღირებულებიდან, იმპორტზე — 2 პროცენტი, ბარტერზე — 20 პროცენტი. მართალია, საბაჟო გადასახადის მოცემული განაკვეთები სრულიად არ შეესაბამებოდა რეალურ ეკონომიკურ

მდგომარეობას, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიაზე საბაჟო გადასახადის დაწესებას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

1994 წლიდან მოიხსნა საექსპორტო და ბარტერის ტარიფები. იმპორტის ტარიფი განისაზღვრა 12 პროცენტის ოდენობით და საბაჟო ტარიფებს საფუძვლად დაედო საქონლის საბაჟო ღირებულება.

წლების განმავლობაში საქართველოში მოქმედებდა უნიფიცირებული საბაჟო ტარიფი – საბაჟო ღირებულების 12 პროცენტი. მოგვიანებით საქონლის მცირე ჯგუფზე დაწესდა 5-პროცენტიანი ტარიფი. ასეთი ტარიფი ვერ ასრულებდა მარეგულირებელ ფუნქციას და საბაჟო პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტის როლს.

სწორი საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, ეკონომიკის განვითარებას და შიდა ბაზრის დაცვას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირებას და სხვა.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის პიტერ ჰ. ლინდერტის მოსაზრებები საბაჟო-სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით:

სამამულო მწარმოებლები, რომლებიც იმპორტის კონკურენტ პროდუქციას უშვებენ, ტარიფის შემოღებით მხოლოდ იმ შემთხვევაში იგებენ, როდესაც ამას ნამდვილად მოსდევს იმპორტის შეზღუდვა. რაც უფრო ძვირი უჯდება მომხმარებელს საზღვარგარეთული საქონელი, მით უფრო დაინტერესებულია მიმართოს სამამულო მწარმოებელს; ეს უკანასკნელი კი იგებს როგორც ვაჭრობის ზრდით, ისე შემოღებული ტარიფის შედეგად საქონლის გაძვირებით[1]. რაც უფრო მაღალია ტარიფი, მით უფრო საიმედოდ იცავს იგი იმპორტის კონკურენტ სამამულო ფირმებს (გვ. 89).

პიტერ ლინდერტის აზრით, საბაჟო ტარიფებიდან შემოსავლები უთუოდ მოგებას აძლევს მთლიანად ქვეყანას. სახელმწიფოს მიერ ბაჟის სახით მიღებული თანხა შეიძლება იქცეს სოციალური პროგრამისათვის საჭირო დამატებით ხარჯებად, ხელი შეუწყოს, მაგალითად, საშემოსავლო თუ სხვა გადასახადების შემ-

---

1 პიტერ ჰ. ლინდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, თბ., 2001, გვ. 88-112.

ცირებას, ან გაუდიდოს განაკვეთები სახელმწიფო მოსამსახურეებს (გვ. 90).

ჩვეულებრივ, ორი სახის ტარიფი არსებობს: 1. სპეციფიკური ტარიფი (specitic tariff), რომელიც გულისხმობს პროდუქციის ყოველ ფიზიკურ ერთეულზე ფულით ფასნამატის დაწესებას (მაგალითად, დოლარი ტონაზე) და 2. (at valorem) ტარიფები დადგენილი საქონლის ღირებულების მიხედვით საზღვარზე მისი მიტანისას.

საინტერესოა პიტერ ლინდერტის კიდევ ერთი მოსაზრება: სამამულო წარმოების განვითარების სტიმულირებისათვის ტარიფის გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი გვეხმარება, რომ შევაფასოთ პროტექციონიზმის დამცავი ყველაზე გავრცელებული მოსაზრებები. მეცნიერთა და მათი იდეების გამტარებელთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს არგუმენტი ახალგაზრდა დარგების დაცვის აუცილებლობის შესახებ. არგუმენტის შინაარსი შემდეგია: ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ტარიფის დროებითი შემოღება გამართლებულია, რამდენადაც იგი აკავებს თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის იმპორტს მანამ, სანამ ახალაღმოცენებული საკუთარი ინდუსტრია გამოცდილებას დააგროვებს და წარმოების ხარჯები იმ დონემდე შემცირდება, რომ შესაძლებელი გახდეს წინააღმდეგობის გაწევა იმპორტული პროდუქციის მხრიდან კონკურენციისათვის. ამტკიცებენ, რომ განვითარებული ქვეყნებიდან მომავალი იმპორტის კონკურენციის შეკავება დროთა მსვლელობაში გამოიწვევს წარმოების ეროვნულ ხარჯთა მრუდების ქვემოთ გადანაცვლებას. ოპტიმალური ტარიფისაგან განსხვავებით, პროტექციონიზმის მოცემული სახეობა გრძელვადიან პერსპექტივაში ხელსაყრელი აღმოჩნდება არა მარტო თვით ამ ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიო მეურნეობისთვისაც. გარდა ამისა, მის დასაცავად ის მოსაზრებაც გამოითქმის, რომ ასეთი ტარიფი მხოლოდ დროებითი ხასიათისაა.

სამართლიანად მიგვაჩნია პიტერ ლინდერტის დებულება: ახალგაზრდა დარგების დაცვის აუცილებლობის საკითხი კვლავაც აქტუალური დარჩება, რადგან ასეთი დარგები კვლავაც გაჩნდება. მსოფლიო წარმოებასა და ვაჭრობაში ახლებური ტექნოლოგიით დამზადებული ახალი პროდუქტების წილის გადიდება ეკო-

ნომიკური განვითარების იმანენტური თვისებაა, ამიტომ მუდმივად იარსებებს სამამულო წარმოების იმ ახალი დარგების დაცვის პრობლემა, რომლებიც დროებით ჩამორჩებიან სხვა ქვეყნებს კონკურენტული პოზიციების მიხედვით (გვ. 106-107).

როდესაც ეროვნული მეურნეობა მოშლილია, ტარიფების შემოღება შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს (გვ. 111).

მნიშვნელოვანია პიტერ ჰ. ლინდერტის მოსაზრებები იმპორტის არასატარიფო ბარიერებისა და ექსპორტის შესაზღუდავზეც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არასატარიფო ბარიერების მნიშვნელობა გაიზარდა. 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში ბევრი ქვეყანა იყენებდა მათ საერთაშორისო გარიგებათა მიხედვით გადახდაზე მკაცრი კონტროლის შენარჩუნების მიზნით. 50-იანი წლებიდან დაწყებული, მრავალმხრივ მოლაპარაკებათა შედეგად მოხერხდა ტარიფების დონეთა მნიშვნელოვანი დაწევა, მაგრამ არასატარიფო ბარიერები თითქმის ხელუხლებელი დარჩა.

არასატარიფო ბარიერების სახეებს შორის ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა იმპორტულმა კვოტამ, ანუ ქვეყანაში შემოსატანად ნებადართული საზღვარგარეთული პროდუქციის რაოდენობრივმა შეზღუდვამ. სახელმწიფო შეზღუდული რაოდენობით გასცემს შემოტანის ნებართვის შემცველ ლიცენზიებს და კრძალავს ულიცენზიო იმპორტს. თუ ლიცენზირებული იმპორტის მოცულობა შიდა ბაზრის მოთხოვნაზე ნაკლებია, მაშინ კვოტა არა მარტო ამცირებს იმპორტის მოცულობას, არამედ იწვევს შიდა ფასების გადამეტებას მსოფლიო ფასებზე, რომლითაც ლიცენზიის მფლობელები საზღვარგარეთ საქონელს ყიდულობენ. ამ აზრით საიმპორტო კვოტა სატარიფო შეზღუდვის ანალოგიურია.

საქართველოში გამოყენებულია ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები. იგი მიმართულია იმპორტის არასატარიფო ბარიერებისა და ექსპორტის შეზღუდვაზე. ხშირ შემთხვევაში დაწესებულია საქონლის შემოტანა-გატანის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან. განსაკუთრებული პირობებია კვოტირება, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესება და სხვა.

ამ ფონზე განვიხილოთ საბაჟო-სატარიფო პოლიტიკისა და საბაჟო გადასახადების ძირითადი საკითხები.

საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის საბაჟო გადასახადები: ა) ჩვეულებრივი; ბ) სეზონური; გ) განსაკუთრებული.

ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი არის მუდმივმოქმედი გადასახადი, რომლის მოქმედებაც დროებით ჩერდება სეზონური და განსაკუთრებული გადასახადების გამოყენების პერიოდში.

სეზონური საბაჟო გადასახადი არის დროის გარკვეული პერიოდისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის რეგულირება მისი წარმოებისა და მოხმარების სეზონური თავისებურებების გათვალისწინებით. სეზონური საბაჟო გადასახადის მოქმედების ვადა არ აღემატება წელიწადში ექვს თვეს. სეზონური საბაჟო გადასახადის შემოღების საფუძველია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ სისტემატურად წარმოებული ანალიზი.

განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი არის გადასახადი, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც დაცვითი და საპასუხო ღონისძიება იმ სახელმწიფოთა ან პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს.

საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები: ა) სპეციალური; ბ) ანტიდემპინგური; გ) საკომპენსაციო.

სპეციალური საბაჟო გადასახადები გამოიყენება სამი მნიშვნელობით:

- *როგორც დაცვითი ღონისძიება*, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება იმ რაოდენობითა და ისეთი პირობებით, რომლებიც ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ ან მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს;
- *როგორც საპასუხო ღონისძიება* დისკრიმინაციული ან მსგავსი ქმედებისათვის სხვა სახელმწიფოების ან მათი კავშირების მხრიდან, რომელიც ლახავს საქართველოს ინტერესებს;
- *როგორც დაცვითი ღონისძიება* განსაკუთრებულ შემთხვევებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის ცალკეული სახეობების ექსპორტის დროებით შეზღუდვის მიზნით.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება მის რეალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოში მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას ან გაფართოებას.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი იმ საქონლის მიმართ, რომლის წარმოების ან შემოტანის დროს გამოყენებულ იქნა პირდაპირი ან არაპირდაპირი სუბსიდიები და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოში მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას ან გაფართოებას.

განსაკუთრებული (სპეციალური, ანტიდემპინგური, საკომპენსაციო) საბაჟო გადასახადების შემოღების საფუძველია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საათანადო ორგანოების მიერ სისტემატურად წარმოებული ანალიზი საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებმა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – სხვა სამინისტროებთან, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან და სხვა უწყებებთან ერთად, სისტემატურად წარმოებული ანალიზის საფუძველზე უნდა შეიმუშაონ სარეკომენდაციო წინადადებები სეზონური ან განსაკუთრებული საბაჟო გადასახადების შემოღების აუცილებლობის შესახებ და წარუდგინონ ისინი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეორმების, აგრარულ საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებს.

სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადების შემოღების შესახებ შემუშავებული გადაწყვეტილების პროექტი აუ-

---

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, 27 დეკემბერი, №34, ნაწილი I, გვ. 3-355.

ცილებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, სავალდებულო საპარლამენტო პროცედურების გავლის გარეშე, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით წესდება სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები.

საქართველოს კანონში (2003 წლის 29 იანვარი) „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შეტანით ჩამოყალიბდა *საბაჟო გადასახადის განაკვეთების თანამედროვე კონცეფცია.* მისი ძირითადი დებულებებია:

1. საბაჟო გადასახადის განაკვეთები ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და დაუშვებელია მაოი შეცვლა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამტანი პირების, გარიგების შინაარსის და სხვა ფაქტორების მიხედვით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2. საბაჟო გადასახადის განაკვეთები საქართველოში დიფერენცირებულია და განისაზღვრება პროცენტულად დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ, ან ლარებით – დასაბეგრი საქონლის ერთეულის მიმართ.

საქართველოში იმპორტირებული იმ საქონლის მიმართ, რომელიც წარმოშობილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, გამოიყენება კანონის დანართში (სატარიფო ცხრილებში) მოცემული განაკვეთები, მაგრამ არა უმეტეს ხუთპროცენტიანი განაკვეთისა.

„საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" (2002 წლის 6 დეკემბერი)[1] სატარიფო ცხრილებში საბაჟო გადასახადის განაკვეთები მოცემულია სამ სვეტად.

I სვეტში მოცემული განაკვეთები მოქმედებენ 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე;

II სვეტში მოცემული განაკვეთები – 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე;

III სვეტში მოცემული განაკვეთები მოქმედებას დაიწყებენ 2005 წლის 1 .იანვრიდან.

სატარიფო ცხრილებში ნაჩვენებია აგრეთვე საქონლის კოდი (HS96) და საქონლის დასახელება. მასში შეტანილია 1643 საქონლის დასახელება, ამ საქონლის საბაჟო გადასახადის განაკვეთის ჩვენებით.

ზოგიერთ საქონელზე განაკვეთი უცვლელია სამივე სვეტისათვის, მაგრამ ზოგიერთ საქონელზე ტარიფები თანმიმდევრულად მცირდება და ხშირად იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, ე. ი. ზოგიერთ საქონელზე ტარიფი არა ერთბაშად, მაგრამ თანდათანობით მცირდება, ზოგიერთზე კი საერთოდ უქმდება.

საქართველოში იმპორტირებული იმ საქონლის მიმართ, რომელიც წარმოშობილია იმ ქვეყნებში, რომლებიც არ წარმოადგენენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს, გამოიყენება კანონის დანართში (სატარიფო ცხრილებში) მოცემული განაკვეთები, მაგრამ არანაკლებ 12-პროცენტიანი განაკვეთისა.

მსუბუქი ავტომანქანის იმპორტისას საბაჟო გადასახადი განისაზღვრება 0,05 ლარით ავტომანქანის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე, პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომანქანის ექსპლოატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ წარმოადგენენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს, საქონლის შემოტანისას საბაჟო გადასახადის 5-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის იმპორტი:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 130120000, 150420, 151530, 1520, 170211000 კოდებში, 28-ე და 29-ე თავებში წარმოდგენილი სამკურნალო ნედლეული და სუბსტანციები, 30-ე თავში მითითებული ფარმაცევტული პროდუქცია, მათ შორის ვაქცინები, 391212000, 391231000, 701010000, 701090470, 701090670, 960200000 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონელი, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა;

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 84-ე, 85-ე, 88-ე და 90-ე ჯგუფებში მითითებული იმ საქონლის იმპორტი, რომელიც დღგ-ისგან განთავისუფლებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ბ) საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი პოზიციების მიხედვით: 3808 10 000 – ინსექტიციდები;

3808 20 – ფუნგიციდები;

3808 30 100 ჰერბიციდები;

3808 90 000 – თესლის შესაწამლი პრეპარატები;

3904 10 000 – პოლივინილქლორიდი, სხვა ნივთიერებებთან შეურეველად;

400 – ნატურალური კაუჩუკი;

02 00 000 – ხის ცელულოზა, ხსნადი ხარისხები;

5001 – გადახვევისათვის ვარგისი აბრეშუმის პარკი;

5101 – მატყლი, ვარცხნილის გარდა;

5106 და 5107 – საცალო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი შალის აპარატული და ვარცხნილი ნართი;

5203 00 000 – ბამბის ბოჭკო, ვარცხნილი;

5402 – საცალო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი სინთეზური კომპლექსური ძაფები;

7207 – არალეგირებული ფოლადის და რკინის ნახევარფაბრიკატები;

7208 – ფურცლოვანი ფოლადი;

7216 – არალეგირებული ფოლადის და რკინის კუთხოვანი, ფასონური და სპეციალური პროფილები;

7408 – სპილენძის მავთული;

7606 – ფურცლოვანი ალუმინი;

8713 და 8714 20 000 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტლები და მათი სათადარიგო ნაწილები;

3808 40 – მადეზინფიცირებელი საშუალებები.

საქონლის იმპორტი იბეგრება სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი პოზიციების მიხედვით: საბაჟო გადასახადის სპეციალური განაკვეთით:

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	საბაჟო გადასახადის განაკვეთი
1	2	3
2204	ღვინო ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით; ყურძნის ბადაგი, 2009 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა:	
220410	ღვინო ცქრიალა:	
	არანაკლებ 8,5 მოც. % სპირტის ფაქტობრივი კონცენტრატით:	
22041011	- - - შამპანური	1.5 euro/lt
22041019	- - - სხვები	1.5 euro/lt
	- - - სხვები:	
22041091	- - - ასტი სპუმანტე	1.5 euro/lt
22041099	- - - სხვები	1.5 euro/lt
22042	- ღვინო სხვა; ყურძნის ბადაგი, რომლის დუღილის აკრძალება ან შეწყვეტა მოხდა სპირტის დამატებით:	
22-421	- 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში:	
22042110	- - - ღვინო, 2204 10 სუბპოზიციაში აღნიშნულის გარდა, დამშერიან ან სამაგრიან 'სოკოსებურ'' საცობებთან ბოთლებში; ღვინო სხვა ტარაში, ხსნარში ნახშირბადის დიოქსიდით განპირობებული ჭარბი წნევით 1-დან 3 ბარამდე, 20°C ტემპერატურაზე	0,5 euro/lt
22042190	- - - სხვები	0.5 euro/lt
220429	- - - სხვები:	
22042910	- - - ღვინო, 2204 10 სუბპოზიციაში აღნიშნულის გარდა, დამშერიან და სამაგრიან 'სოკოსებურ'' საცობებიან ბოთლებში; ღვინო სხვა ტარაში, ხსნარში ნახშირბადის დიოქსილით განპირობებული ჭარბი წნევით 1-დან 3 ბარამდე, 20°C ტემპერატურაზე	0.2 euro/lt
22042990	- - - სხვები	0,2 euro/lt

1	2	3
220430	- ყურძნის ბადაგი სხვა	0.2 curo/lt
2205	ვერმუტები და ნატურალური ღვინოები ყურძნის სხვა, მცენარეული ან არომატიზებული ექსტრაქტების დამატებით:	
220510	- არა უმეტეს 2 ლ ტევადობის ჭურჭელში	0.5 curo/lt
220590	- სხვები	0.2curo/lt
2206	- სასმელები დადუღებული სხვა (სიდრი ვაშლის, პერი [სიდრი მსხლის], სასმელი თაფლის); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვაგან მიუთითებელი	
220600	- სასმელები დადუღებული სხვა (სიდრი ვაშლის, პერი [სიდრი მსხლის], სასმელი თაფლის); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვაგან მიუთითებელი	0.5 curo/lt
2207	სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის არანაკლებ 80 მოც. % კონცენტრაციით; სპირტი ეთილის და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცეტრაციით	
220710	- სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის არანაკლებ 80 მოც. % კონცენტრაციით	3 curo/lt
220720	- სპირტი ეთილის და სხვა სპირტები დენატურირებული, ნებისმიერი კონცენტრაციით	3 curo/lt
2208	სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის 80 მოც. %-ზე ნაკლები კონცენტრაციით; სპირტიანი ნაყენი, ლიქიორი და სხვა სპირტიანი სასმელები:	
220820	- ნაყენი სპირტიანი, მიღებული ყურძნის ღვინის დისტილაციის (გამოხდის) ან ყურძნის ჭაჭის გამოწურვის შედეგად	5 curo/%volHL
220830	- ვისკი	5 curo/%volHL
220840	- რომი და ტაფია	5 curo/%volHL

1	2	3
220850	- ჯინი და ღვინის ნაყენი:	
	- - - ჯინი:	
220850110	- - - 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%volHL
220850190	- - - 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%volHL
	- - - ღვინის ნაყენი:	
220850910	- - - 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%volHL
220850990	- - - 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში	5 euro/%volHL
220860	- არაყი	5 euro/%volHL
220870	- ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	5 euro/%volHL
220890	- სხვები:	
ex220890	- - - ტეკილა და მესკალი	5 euro/%volHL
ex220890	- - - სხვები	5 euro/%volHL
2209	ძმარი და ძმარმჟავასაგან მიღებული მისი შემცვლელები:	
220900	- ძმარი და ძმარმჟავასაგან მიღებული მისი შემცვლელები	0.4 euro/IT

ფულის ერთეული (ევრო) გადაიანგარიშება შესაბამისი კურსით ლარებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქონლის იმპორტი იბეგრება სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი პოზიციის მიხედვით, საბაჟო გადასახადის 20-პროცენტიანი განაკვეთით – ჩაი და ჩაის ნაწარმი; მინერალური წყლები; ლუდი.

საქონლის იმპორტი იბეგრება სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი პოზიციის მიხედვით, საბაჟო გადასახადის 30-პროცენტიანი განაკვეთით – ხილისა და ბოსტნეულის წვენები.

დანარჩენი საქონლის იმპორტი იბეგრება საბაჟო გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით. იგივე განაკვეთი გამოიყენება ნავთობპროდუქტების იმპორტზე, მათ შორის, დსთ-ის ქვეყნებიდან.

სატარიფო შეღავათები

სატარიფო შეღავათები (სატარიფო პრეფერენციები) საქონლის მიმართ დგინდება კანონით და ისინი არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური.

სატარიფო შეღავათები გულისხმობს უცხო ქვეყნებთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების პროცესში საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლისათვის ცალმხრივი ან ორმხრივი შეღავათების მინიჭებას.

სატარიფო შეღავათების სახეებია:

ა) გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება;

ბ) საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება;

გ) საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება.

საქართველოში საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებულია:

1. *საქონლის ექსპორტი,* გარდა სეზონური და განსაკუთრებული გადასახადებით დაბეგვრის შემთხვევებისა;

2. *საქონლის რეექსპორტი.* საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

3. *საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;*

4. *იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას.* დაბეგვრა ხდება დადგენილი წესით, საქონლის საბაჟო საწყობებიდან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში — ამ რეჟიმის შესაბამისად;

5. *საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, აფარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;*

6. *საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტების შესახებ,* საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;

7. *საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით,* რომლებიც შეიცავს გრანტის ელემენტს არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით. გრანტის ელემენტს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით, კრედიტის ფარგლებში გადასახდელია დისკონტირების გზით დისკონტის განაკვეთიდან გამომდინარე, კრედიტის პირობების შესაბამისად;

8. *საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის,* აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი, აგრეთვე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომელიც განკუთვნილია „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის;

9. *საქონლის დროებით შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე;*

10. *საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში.* ამ ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ტარა-შესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან

დაიტოვება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

11. *ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 300 ლარამდე ღირებულების საქონელი,* საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის № 273-IIს დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად;

12. *ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის.* რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების იმპორტი;

13. *ქართველ კლასიკოსთა და საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გამოცემული შემოქმედებითი და მეცნიერული ნაწარმოებების იმპორტი;*

14. *16 დასახელების ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი* საქართველოს ფინანსთა, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ჩამონათვალის შესაბამისად;

15. *საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები.* საქართველოს ტერიტორიაზე ამ საქონლის შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოები იტოვებენ საბანკო გარანტიას, ხოლო საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია;

16. *„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით* განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

17. *საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები;*

18. *საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;*

19. *ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები, ალაოს იმპორტი.*

საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება

საბაჟო გადასახდელების გადახდა ხდება საქონლის საბაჟო გაფორმების დამთავრებამდე კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საბაჟო გაფორმების დამთავრებამდე გადამხდელის მიერ გადასახდელების გადახდილი თანხა შემოსაელების შესაბამის საბიუჯეტო ანგარიშებზე გადაიტანება მხოლოდ საქონლის დეკლარირებისა და საბაჟო გაფორმების დამთავრების შემდეგ. *ეს დაემატა საბაჟო კოდექსს 2003 წლის 28 მარტს.*

საბაჟო გადასახადის დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით და იგი გადაიხდევინება საქართველოს საბაჟო სასაზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო გაფორმებამდე სხვა საბაჟო გადასახდელებთან ერთად.

საბაჟო გადასახადის გადახდევინების საფუძველია სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საბაჟო გადასახადის თანხის განსაზღვრისას ვალუტა გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

თუ საბაჟო გადასახდელების გადამხდელმა განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა დადგენილი საბაჟო გადასახდელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი და მისი შესაბამისი საბაჟო ორგანოები აღნიშნული გადასახდელის იძულებით გადახდევინებას ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 42-ე თავით საგადასახადო ორგანოებისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 245). *ქონებაზე ყადაღის დადება:*

„1. ქონებაზე ყადაღის დადება არის გირავნობის უფლების რეალიზაცია და ნიშნავს გადასახადის გადამხდელის ქონების აღწერას, ქონების განკარგვის (გადამხდელის მიერ ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე გირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადების) აკრძალვის გამოცხადებას და ქონების შესანახად გადაცემას.

2. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადაუხდელი თანხის (რომელიც აღიარებულია გადასახადის გადამხდელის მიერ ან დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით) გადახდევინების მიზნით ყადაღა დაადოს გადასახადის გადამხდელის ქონებას წარმოქმნილი დავალიანების გირავნობის უფლების ფარგლებში, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინოს მოვალეს არანაკლებ 30 დღით ადრე. ყადაღის დადება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს".

საგადასახადო კოდექსის ამ მუხლში განსაზღვრულია შეტყობინება გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის შესახებ თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს (ნაწილი 3), თუ გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, საგადასახადო ორგანომ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს (ნაწილი 4, 5, 6).

საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული ყადაღა მოხსნილად ითვლება, თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო დავალიანება სრულად დაფარა, — დავალიანების დაფარვისთანავე.

საბაჟო კანონმდებლობა პასუხისმგებლობას საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის აკისრებს როგორც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრესა და მფლობელს, ასევე მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებსა და გადამზიდველს.

საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია საბაჟო გადასახდელების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პირობები. 75-ე მუხლის თანახმად, ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხა უბრუნდება გადამხდელს 30 დღის განმავლობაში განცხადების მიღების დღიდან სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით ან ჩაეთვლება გადასახდელების გადამხდელს საბაჟო გადასახდელების გადახდის ანგარიშში.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად (მუხლი 128), სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

საბაჟო გადასახდელების უკან დაბრუნებისას მათზე დაირიცხება პროცენტი საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესით.

საგადასახადო კოდექსი, მუხლი 252, ნაწილი მეორე: საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით გადასახადის ზედმეტად გადახდევინების შემთხვევაში პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელისათვის ანაზღაურების შესახებ დეკლარაციის წარდგენის მომენტიდან ნამეტი თანხის დაბრუნების მომენტამდე. იმ შემთხვევაში, თუ ნამეტი თანხა ჩაითვლება, ანაზღაურებად ჩაითვლება იმ გადასახადის გადახდის თარიღი, რომლისთვისაც მოხდა ჩათვლა. ამ მიზნით ანაზღაურება ჩაითვლება განხორციელებულად, თუმცა გადასახადის გადამხდელი დაბრუნებულ თანხას მიიღებს შვიდი დღის განმავლობაში. გადასახდელი პროცენტი ყოველი კვარტალისათვის უთანაბრდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს.

საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლს დაემატა მესამე ნაწილი (2003 წლის 28 მარტი), რომლის თანახმად, ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების ჩათვლა (გადატანა) სხვა გადამხდელების საბაჟო გადასახდელების ვალდებულებათა დაფარვის ანგარიშში დაუშვებელია.

საქონლის საბაჟო ღირებულებისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა

რა არის საბაჟო ღირებულება?

საბაჟო ღირებულება ეს არის საქონლის ერთეულზე, ან სიუხვის ერთეულზე დახარჯული ყველანაირი შრომა, მასალები, და დამატებული მისი სასაქონლო სახედ ქცევის ხარჯები, საშუალო მოგება, ტრანსპორტირების ან სხვა რისკების ხარჯები. რამდენად რთულია ეს განსაზღვრა? ეს არის რთული და ყოვლისშემცველი განსაზღვრება. საბაჟო ღირებულება, უბრალოდ, საქონლის ღირებულება არ არის[1].

საბაჟო ღირებულების მოკლე განსაზღვრა ასეთია: საქონლის საბაჟო ღირებულება არის საქონლის ფასი საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს.

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 411.

საქონლის საბაჟო ღირებულება მოიცავს გარიგების ფასს საქონლის შეძენისას, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პუნქტამდე მისი ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, დაზღვევის, საკომისიო (გარდა საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების საზღაურისა) და საბროკერო მომსახურების ხარჯებს, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებისათვის მყიდველის მიერ პირდაპირ და არაპირდაპირ გადახდილ სალიცენზიო და სხვა გადასახდელებს.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმით გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას მათ საბაჟო ღირებულებას აკლდება გადასამუშავებლად გატანილი და დეკლარირებული საქონლის ღირებულება.

საქონლის საბაჟო ღირებულება გადაიანგარიშება საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში აღიარებული პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით და რეგულირდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ამჟამად მოქმედი ასეთი ნორმატიული აქტია „საქართველოში იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესი" (1999 წლის 4 ოქტომბერი). კანონის თანახმად (მუხლი 10, ნაწილი 4), თუ ვერ ხერხდება იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების დროული განსაზღვრა, იმპორტიორს უნდა მიეცეს საქონლის საბაჟოდან გატანის საშუალება, თუ იგი წარმოადგენს საქონლის მაქსიმალური საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ოდენობის ფულად დეპოზიტს.

როგორ და სად ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირება? იგი ხდება დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოში საქონლით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული წესით. კანონის შესაბამისად (სსკ, მუხლი 11, ნაწილი 2), საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი.

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეს აკონტროლებს ის საბაჟო ორგანო, სადაც ხდება საქონლის საბაჟო გაფორმება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით დასაშვებია საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეზე კონტროლის განხორციელების სხვა ფორმებიც.

საბაჟო ღირებულება საქონლის ღირებულების ერთ-ერთი ფორმაა. იგი ასახავს მოცემული საქონლის შექმნაზე, შეფუთვაზე, ტრანსპორტირებაზე, ე. ი. ამ საქონლის წარმოებასა და მიმოქცევაზე გაწეულ ხარჯებს მოცემული ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტში.

1953 წლამდე მსოფლიოში არ არსებობდა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ერთიანი, უნიფიცირებული მეთოდიკა. ეკონომიკურმა მდგომარეობამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში რიგი ქვეყნების დღის წესრიგში დააყენა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისტემის შექმნის აუცილებლობა, რაც განხორციელდა 1953 წელს ბრიუსელის „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უნიფიცირებული მეთოდოლოგიის შექმნის კონვენციის" სახით. კონვენციას შეუერთდა 70-ზე მეტი სახელმწიფო[1].

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია „ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების" VII მუხლი – „საქონლის შეფასება საბაჟო მიზნებისათვის"[2].

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება ექვსი მეთოდის გამოყენებით:

- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით;

---

1 გონერ ურიდია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა (პრაქტიკული სახელმძღვანელო), თბ., 2002, გვ. 7-169.

2 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, თბ., 2002, გვ. 149-150.

- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის შედგენილი ღირებულების მიხედვით;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის მიხედვით.

საქართველოში სატარიფო პოლიტიკის განხორციელება დაიწყო 1992 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი[1] და დაამტკიცა დეკრეტი საბაჟო ტარიფის შესახებ[2].

ამ დოკუმენტების შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაწესდა ერთიანი საბაჟო გადასახადი და უნიფიცირებული (ერთიანი ყველა საქონლისათვის) ტარიფები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1994 წლის 5 დეკემბერს დაამტკიცა ინსტრუქცია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესის შესახებ. *ამ წესის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა წარმოებდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:*

1. შემოტანილი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
2. იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
3. ერთგვაროვანი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
4. ღირებულების გამოკლებით;
5. ღირებულების შეკრებით;
6. სარეზერვო მეთოდით.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ძირითად მეთოდად მიჩნეულ იქნა მეთოდი — შემოტანილი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მეთოდის გამოყენება არ შეიძლებოდა, თანმიმდევრულად გამოიყენებოდა დანარჩენი მეთოდები. ამასთან, ყოველი შემდგომი მეთოდი გამოიყენებოდა, თუ საბაჟო ღირებულების განსაზღვრა არ მოხერხდებოდა წინა

---

1 საბაჟო საქმე, ნორმატიული აქტების სრული კრებული, წიგნი 1, თბ., 1996, გვ. 9-79.

2 საბაჟო საქმე, ნორმატიული აქტების სრული კრებული, წიგნი 3, თბ., 1997, გვ. 11-22.

მეთოდის გამოყენებით. ღირებულების გამოკლებისა და შეკრების მეთოდებს იყენებდნენ ნებისმიერი თანმიმდევრობით[1]. ინსტრუქციამ, რომელიც მოქმედებდა 1995-1999 წლებში, დადებითი როლი შეასრულა საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაში.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1996 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ კანონის „საბაჟო გადასახადის შესახებ" მიღება. კანონის მეხუთე მუხლის თანახმად, საბაჟო გადასახადი საქართველოში იყო დიფერენცირებული და განისაზღვრებოდა პროცენტებით საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ. დადგინდა საბაჟო გადასახადის განაკვეთები – 5 და 12 პროცენტი[2].

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების მეშვიდე მუხლის შესრულების თაობაზე (საქონლის შეფასება საბაჟო მიზნებისათვის), რომელიც მოიცავს აგრეთვე გადაწყვეტილებებს იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების საპროცენტო დაბეგვრისა და მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების შეფასების შესახებ.

გენერალური შეთანხმების VII მუხლის თანახმად, „ღირებულებაზე დაფუძნებული ან ღირებულების მიხედვით რეგულირებული საბაჟო გადასახადები ან სხვა მოსაკრებლები, ანდა შეზღუდვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულების განსაზღვრის საფუძვლები და მეთოდები, უნდა იყოს მნიშვნელოვანი დონით გამჭვირვალე, რათა ვაჭრობაში მონაწილე მხარეებს საშუალება მიეცეთ რაც შეიძლება ზუსტად განსაზღვრონ ღირებულება საბაჟო მიზნებისათვის"[3].

---

1 საბაჟო საქმე, ნორმატიული აქტების სრული კრებული, წიგნი 3, თბ., 1997, გვ. 25-36.

2 საბაჟო საქმე, ნორმატიული აქტების სრული კრებული, წიგნი 3, გვ. 165-168.

3 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, თბ., 2002, გვ. 150.

იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება მოიცავს გარიგების ფასს, ანუ საქართველოში საექსპერტოდ გაყიდულ საქონელში გადახდილ ან გადასახდელ ფასს. *საბაჟო ღირებულება იმპორტირებულ საქონელზე გადახდილ ან გადასახდელ ფასთან ერთად მოიცავს:*

1. ხარჯებს იმ ოდენობით, რაც გასწია მყიდველმა, მაგრამ არ ჩათვლილა საქონელში ნამდვილად გადახდილ ან გადასახდელ ფასში:

- საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შესყიდვაზე გაწეული საკომისიო ხარჯებისა;
- იმ კონტეინერების ღირებულება, რომლებიც საბაჟო მიზნებისათვის განიხილება შეფასებულ საქონელთან ერთობლიობაში;
- შეფუთვის ღირებულება შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით;
- იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირების ღირებულება;
- დატვირთვის, გადმოტვირთვის და დამუშავების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში იმპორტირებული საქონლის იმპორტირების ადგილზე ტრანსპორტირებასთან;
- დაზღვევის ღირებულება.

2. იმ საქონლის და მომსახურების პროპორციულად განაწილებული ღირებულება, რომელიც მყიდველის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეწოდება უფასოდ ან ფასდაკლებით და რომელიც გამოიყენება იმპორტირებული საქონლის წარმოებასა და საექსპერტო გაყიდვასთან დაკავშირებით ისე, რომ ასეთი ღირებულება არ ჩათვლილა ნამდვილად გადახდილ ან გადასახდელ ფასში:

- მასალები, ნაწილები, კომპონენტები და მსგავსი ელემენტები, რომლებიც ჩართულია იმპორტირებულ საქონელში;
- იმპორტირებული საქონლის წარმოებისას გამოყენებული ინსტრუმენტები, შტამპები, ფორმები და მსგავსი ელემენტები;
- იმპორტირებული საქონლის წარმოებისას გამოყენებული მასალები;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-სადიზაინო საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, გეგმები და ესკიზები, რომლებიც საჭიროა იმპორტირებული საქონლის წარმოებისათვის.

3. შესაფასებელ საქონელთან დაკავშირებული საბაჟო პონორარი და სალიცენზიო გადასახადები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა გადაიხადოს მყიდველმა.

4. ნებისმიერი შემდგომი გაყიდვის მოგების ნაწილის ღირებულება, იმპორტირებული საქონლის გადაცემა ან გამოყენება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის გამყიდველს.

საბაჟო ღირებულების დადგენისას არ უნდა დაიშვას რეალურად გადახდილ ან გადასახდელ ფასზე დამატება.

მყიდველის მიერ იმპორტირებული საქონლის ყიდვასთან დაკავშირებით დადებული საფინანსო შეთანხმების საპროცენტო დაბეგვრა არ ჩაითვლება საბაჟო ღირებულების ნაწილად, თუ:

- ეს საპროცენტო დაბეგვრა განცალკევებულია საქონელში გადახდილი ან გადასახდელი ფასისაგან;
- საფინანსო შეთანხმება დაიდო წერილობითი ფორმით.

საჭიროების შემთხვევაში მყიდველს შეუძლია დაადასტუროს, რომ

ა) საქონელი ფაქტობრივად გაყიდულია იმ ფასად, რომელიც დეკლარირებულია როგორც გადახდილი ან გადასახდელი ფასი;

ბ) მის მიერ მითითებული საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება იმ დონეს, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა დაფინანსებისას იმ ქვეყანაში, რომელშიც მოხდა დაფინანსება.

მონაცემების ავტომატიზებული დამუშავება ან სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მხოლოდ ასეთი პროგრამების მატარებლის ფასი ან ღირებულება.

ამრიგად, საბაჟო ღირებულებაში არ უნდა შევიდეს მონაცემების ან სასწავლო პროგრამების ფასი ან ღირებულება და, ამასთანავე, პროგრამების მატარებლების ფასი ან ღირებულება განცალკევებული უნდა იყოს.

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა *გარიგების ფასის მიხედვით*, საბაჟო ღირებულებად უნდა ჩაითვალოს იმ *იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება*, რომელიც საქართველოში იყო გაყიდული და საქართველოში იყო იმპორტირებული იმავე ან თითქმის იმავე დროს, რაც შესაფასებელი საქონელი.

იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება გამოყენებულ უნდა იქნეს იმავე კომერციულ დონეზე და იმავე რაოდენობით

გაყიდვისას, რაც შესაფასებელი იდენტური საქონლის საბაჟო ღირებულების განსასაზღვრავად. თუ ასეთი გაყიდვა არ განხორციელდა, გამოყენებულ უნდა იქნეს გარიგების ღირებულება იდენტური საქონლისა, რომელიც იყიდება სხვადასხვა კომერციულ დონეზე ან სხვადასხვა ოდენობით.

რას ნიშნავს იდენტური საქონელი? იგი ნიშნავს საქონელს, რომელიც ყოველმხრივ, ფიზიკური დახასიათების, ხარისხისა და რეპუტაციის ჩათვლით, ერთნაირია. უმნიშვნელო გარეგნული განსხვავებები არ უნდა აბრკოლებდეს იმას, რომ საქონელი ითვლებოდეს იდენტურად, თუ სხვა პარამეტრებით იგი შეესაბამება მოცემულ განსაზღვრებას.

საქონელი ჩაითვლება იდენტურად შესაფასებელ საქონელთან მიმართებაში, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები:" ერთნაირი ფიზიკური მახასიათებლები; ერთნაირი ხარისხი; ერთნაირი რეპუტაცია; ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა; ერთი და იგივე მწარმოებელი პირი; სხვადასხვა მწარმოებელი პირი, თუ არ მოიპოვება იდენტური საქონელი, რომელიც წარმოებულია შესაფასებელი საქონლის მწარმოებელი პირის მიერ[1].

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასისა და იდენტური საქონლის *გარიგების ფასის მეთოდების დებულებათა მიხედვით*, საბაჟო ღირებულებად უნდა ჩაითვალოს *იმ მსგავსი საქონლის გარიგების ღირებულება*, რომელიც საქართველოში საექსპორტოდ იქნა გაყიდული და საქართველოში ექსპორტირებული იყო იმავე ან თითქმის იმავე დროს, რაც იმპორტირებული საქონელი.

საბაჟო ღირებულების დასადგენად გამოყენებულ უნდა იქნეს მსგავსი საქონლის გარიგების ღირებულება იმავე კომერციულ დონეზე და იმავე რაოდენობით, რაც შესაფასებელი საქონელი. თუკი ასეთი გაყიდვა არ განხორციელდება, გამოყენებულ უნდა იქნეს საბაჟო ღირებულება მსგავსი საქონლისა, რომე-

---

1 გონერ ურიდია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა (პრაქტიკული სახელმძღვანელო), თბ., 2002, გვ. 21-22.

ლიც გაიყიდა სხვადასხვა კომერციულ დონეზე და სხვადასხვა ოდენობით.

რას ნიშნავს „მსგავსი“ საქონელი? იგი ნიშნავს საქონელს, რომელიც თუმცა არ არის ზუსტად ისეთი, როგორიც შესაფასებელი, მაგრამ აქვს მსგავსი მახასიათებლები და შემადგენელი მასალები, რომელთა საფუძველზედაც ამ საქონელს საშუალება ეძლევა შეასრულოს იგივე ფუნქციები და იყოს კომერციული თვალსაზრისით ურთიერთშემცვლელი. საქონლის ხარისხი, მისი რეპუტაცია და სავაჭრო ნიშნის არსებობა შედის იმ ფაქტორების წრეში, რომელთა განხილვაც საჭიროა იმის გარკვევისას, მსგავსია თუ არა საქონელი.

საქონელი ჩაითვლება მსგავსად შესაფასებელ საქონელთან მიმართებაში, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები: მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები; მსგავსი ხარისხი; მსგავსი რეპუტაცია; ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა; ერთი და იგივე მწარმოებელი პირი; სხვადასხვა მწარმოებელი პირი, თუ არ მოიპოვება მსგავსი საქონელი, რომელიც წარმოებულია შესაფასებელი საქონლის მწარმოებელი პირის მიერ. ცნებები „იდენტური საქონელი“ და „მსგავსი საქონელი“ არ გულისხმობს საქონელს, რომელიც მოიცავს ან ასახავს ინჟინერიას, დამუშავებას, მხატვრულ-დიზაინურ ნამუშევარს, ნახაზებსა და ესკიზებს.

საქონელი ვერ ჩაითვლება „იდენტურ“ ან „მსგავს“ საქონლად, თუ იგი არ იყო წარმოებული იმავე ქვეყანაში, რაც შესაფასებელი საქონელი.

საქონლის ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით. თუ იმპორტირებული, იდენტური ან მსგავსი იმპორტირებული საქონელი იყიდება იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იყო იმპორტირების დროს, საქონლის საბაჟო ღირებულება *უნდა ეფუძნებოდეს პროდუქციის ერთეულის ფასს,* რომელშიც იმპორტირებული იდენტური ან მსგავსი საიმპორტო საქონელი შესაფასებელი იმპორტირებული საქონლის შემოტანის იმავე ან თითქმის იმავე დროს უდიდესი ერთობლივი ოდენობით მიეყიდება იმ პირებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ასეთი საქონლის გამყიდველებთან შემდეგი გამოქვითვების განხორციელების პირობით:

- საკომისიო გადასახადები;
- ჩვეულებრივი სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯები და მათთან დაკავშირებული საქართველოში გაწეული სხვა ხარჯები;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო და სხვა გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტირებასთან ან გაყიდვასთან.

თუ არც იმპორტული, არც იდენტური და არც მსგავსი საქონელი საქართველოში არ იყიდება იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იყო იმპორტის მომენტისათვის, მაშინ იმპორტიორის მოთხოვნისამებრ, საბაჟო ღირებულება *უნდა განისაზღვროს პროდუქციის ერთეულის ფასის საფუძველზე,* რომელშიც იმპორტირებული საქონელი შემდგომი დამუშავების შემდეგ უდიდესი ერთობლივი ოდენობით მიეყიდა საქართველოში იმ პირებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ასეთი საქონლის გამყიდველებთან. ამავე დროს, სათანადო ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი დამატებულ ღირებულებაში.

საქონლის ღირებულების განსაზღვრა საქონლის შედგენილი ღირებულების მიხედვით. შედგენილი ღირებულება შეადგენს შემდეგი პარამეტრების ჯამს:

- იმპორტირებული საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, დამზადებისა თუ სხვა დამუშავების ფასი და ღირებულება;
- მოგებისა და საერთო ხარჯების რაოდენობა, რომელიც ტოლია იმ რაოდენობისა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოისახება იმავე ტიპისა და კლასის საქონლის გაყიდვაში, რაც შესაფასებელი საქონელი, რომლის დამზადებაც ხდება მწარმოებლის მიერ ექსპორტის ქვეყანაში – საქართველოში საექსპორტოდ;
- ხარჯები იმ ოდენობით, რაც გასწია მყიდველმა, მაგრამ არ ჩათვლილა საქონელში ნამდვილად გადახდილ ან გადასახდელ ფასში: ა) იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირების ღირებულება; ბ) დატვირთვა, გადმოტვირთვა და დამუშავების ხარჯები, დაკავშირებული საქართველოში იმპორტირებული საქონლის იმპორტირების ადგილზე ტრანსპორტირებასთან; გ) დაზღვევის ღირებულება.

საბაჟო ადმინისტრაციას არ შეუძლია შედგენილი ღირებულების დადგენის მიზნით მოსთხოვოს ან აიძულოს პირი, რომელიც არ არის საქართველოს რეზიდენტი, შესამოწმებლად წარადგინოს ნებისმიერი ანგარიში და სხვა ჩანაწერი, ან დაუშვას საბაჟო თავის რომელიმე ანგარიშთან.

მაგრამ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია საქონლის მწარმოებლის მიერ საბაჟო ღირებულების დასადგენად, შეიძლება დადასტურებულ იქნეს საქართველოს ხელისუფლების მიერ სხვა ქვეყანაში, მწარმოებელთან შეთანხმების საფუძველზე და იმ პირობით, რომ ისინი წინასწარ გაუგზავნიან შეტყობინებას დაინტერესებული ქვეყნის მთავრობას, ხოლო ეს უკანასკნელი არ იქნება ასეთი გამოკვლევის წინააღმდეგი. ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება გამჟღავნდეს ამ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების საფუძველზე გამოტანილია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

იმავე კლასის ან სახეობის საქონელი ეწოდება საქონელს, რომელიც მიეკუთვნება საქონლის იმ ჯგუფს ან კატეგორიას, რომელიც წარმოებულია გარკვეული მრეწველობის სექტორში და მოიცავს იდენტურ ან მსგავს საქონელს.

თუ იმპორტული საქონლის საბაჟო ღირებულება ვერ განისაზღვრება აღნიშნული მეთოდების მიხედვით, საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს სარეზერვო მეთოდის, ანუ გონიერული საშუალებების გამოყენების გზით, რომლებიც შეესაბამება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების პრინციპებსა და დებულებებს საქართველოში არსებული მონაცემების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად არ გამოიყენება:

- საქართველოში წარმოებული საქონლის შიდა გასაყიდი ფასი;
- სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო მიზნებისათვის ორ ღირებულებას შორის უფრო დიდი ღირებულების მიღებას;
- საქონლის ფასი ექსპორტის ქვეყნის შიდა ბაზარზე;

- წარმოების ხარჯი, გარდა შედგენილი ღირებულებებისა;
- სხვა ქვეყანაში საექსპორტო საქონლის ფასი;
- მინიმალური საბაჟო ღირებულებები;
- თვითნებურად შერჩეული და ფიქციური ღირებულებები.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიყვანება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

იმპორტიორს უფლება აქვს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისაგან მიიღოს წერილობითი განმარტება იმის თაობაზე, თუ რიგორ იქნა განსაზღვრული მის მიერ იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება.

რა არის საქონლის საბაჟო ღირებულება? საქონლის საბაჟო ღირებულება არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის ფასი, რომლის საფუძველზეც გაიანგარიშება საბაჟო გადასახადი. საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირებას დაქვემდებარებული საქონლის საბაჟო ღირებულების გათვლისას საბაჟო ორგანო ხელმძღვანელობს საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციით.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს, სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება ქვეყანა, სადაც საქონელი სრულად იქნა წარმოშობილი ან გადამუშავებული. გარდა ამისა, საქონლის წარმოშობის ქვეყნად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნების ჯგუფი, საბაჟო კავშირები, რეგიონი ან ქვეყნის ნაწილი, თუ მათი გამოყოფა აუცილებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისათვის.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმები და წესი ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

რა მიზანს ემსახურება საქონლის წარმოშობის დადგენა? იგი გამოიყენება:

1. საბაჟო გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ზოგიერთ ქვეყანასთან აქვს დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ამ ქვეყნებში წარმოშობილი და ამ ქვეყნებიდან ექსპორტირებული და საქართველოში იმპორტირებული საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. იმისათვის, რომ საქართველოში იმპორტირებული საქონელი გათავისუფლდეს საბაჟო გადასახადისაგან, უნდა დადგინდეს საქართველოს საბაჟო ორგანოში მისი წარმოშობის ქვეყანა;

2. არასატარიფო ზომების გამოსაყენებლად. ზოგიერთ ქვეყანაში წარმოშობილი საქონლის შემოტანა იზღუდება (ან იკრძალება) სხვადასხვა მოტივებით, მაგალითად, ემბარგო;

3. წარმოშობის სერტიფიკატის მოსამზადებლად და გასაცემად;

4. ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების გამოსაყენებლად;

5. საიმპორტო კვოტებისა და სატარიფო შეღავათების დასადგენად.

საქონლის წარმოშობის დადასტურება. მოცემულ ქვეყანაში საქონლის წარმოშობის დასადასტურებლად საქართველოს საბაჟო ორგანო ვალდებულია მოითხოვოს საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი.

მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილად ჩაითვლება საქონელი, რომელიც მთლიანად წარმოებული ან მოპოვებულია ამ ქვეყანაში, ან, როცა ამ საქონლის დამზადებაში მონაწილეობას ღებულობდა მრავალი ქვეყანა, ხოლო მოცემულ ქვეყანაში საქონელმა განიცადა ბოლო მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. ეს ნიშნავს საქონლის ისეთ გადამუშავებას მოცემულ ქვეყანაში, როდესაც ამ საქონლის დამზადებაში მონაწილეობენ სხვა ქვეყნებიც, მაგრამ ამ საქონელმა საკმარისი გადამუშავება განიცადა მოცემულ ქვეყანაში და მისი სასაქონლო კოდი შეიცვალა ოთხციფრიან დონეზე სასაქონლო ჩართვის შედეგად.

საქონლის წარმოშობა დასტურდება წარმოშობის სერთიფიკატით და მას სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც წესი, გასცემენ საავაჭრო-სამრეწველო პალატები, ხოლო საქართველოში 2001 წლის 15 სექტემბრიდან – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო გასცემს წარმოშობის სერთიფიკატს CSP-ს (პრეფერენციების ზოგადი სისტემა) ბენეფიციარის სტატუსის მომნიჭებელ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, აგრეთვე შვეიცარიაში, ჩეხეთში, კანადაში, სლოვაკეთში და იაპონიაში საიმპორტოდ მომზადებულ საქონელზე, რომლის ექსპორტიც ხდება საქართველოდან. დსთ-ს ქვეყნებში საექსპორტო საქონლის წარმოშობის სერთიფიკატს გასცემს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

წარმოშობის სერთიფიკატი უნდა შეიცავდეს საქონლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო შემდეგ მონაცემებს: ექსპორტიორის სახელი და მისამართი; იმპორტიორის სახელი და მისამართი; ადგილების რაოდენობა, შესაფუთი მასალის სახეობები, ნიშნები, ნუმერაცია; საქონლის სახეობა; საქონლის ბრუტო ან ნეტო წონა ან საქონლის რაოდენობა და მოცულობა; ტრანსპორტირების საშუალებები და ტრანსპორტირების მარშრუტი შესაძლებლობის მიხედვით; სერთიფიკატში დაფიქსირებული უნდა იყოს საქონლის გამომგზავნის განცხადება იმის შესახებ, რომ საქონელი შეესაბამება წარმოშობის შესაბამის კრიტერიუმებს; სერთიფიკატში დაფიქსირებული უნდა იყოს სერთიფიკატის გამცემი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი დადასტურება სერთიფიკატში მოცემული მონაცემების სიზუსტის შესახებ.

საბაჟო ორგანოში საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება ათას აშშ დოლარს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო გასცემს საქონლის წარმოშობის სერთიფიკატს იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია იმპორტიორი ქვეყნის წესებით ან განთავისუფლებულია შესაბამისი კონტრაქტით, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებით.

საქართველოში იმპორტირებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სახელმწიფო ან საერთაშორისო სტანდარტს და დასტურდებოდეს ხარისხობრივი შესაბამისობის სერთიფიკატით.

საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი ერთმნიშვნელოვნად უნდა ადასტურებდეს საქონლის წარმოშობას მოცემულ ქვეყანაში. ამისათვის იგი უნდა შეიცავდეს შემდეგი შინაარსის აუცილებელ მონაცემებს:

- გამომგზავნის წერილობით განაცხადს იმის შესახებ, რომ საქონელი აკმაყოფილებს წარმოშობის შესაბამის კრიტერიუმს;
- სერთიფიკატის გამცემი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წერილობით დასტურს იმის შესახებ, რომ სერთიფიკატში აღნიშნული მონაცემები უტყუარია.

საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის საბაჟო გაფორმების დროს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად. საქონლის წარმოშობის სერთიფიკატის ან მასში აღნიშნული მონაცემების უტყუარობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ორგანოს შეუძლია თხოვნით მიმართოს სერთიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერთიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას დამატებითი და დაზუსტებული მონაცემების მისაღებად.

საქონელი, რომლის წარმოშობა ზუსტად არ არის დადგენილი, იმპორტის საბაჟო რეჟიმით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გაიშვება მაქსიმალური განაკვეთით გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების გადახდის შემდეგ.

წინასაიმპორტო, ანუ საქონლის გადაზიდვამდელი ინსპექტირება არის შესაბამისი საქონლის ღირებულების, ხარისხის, რაოდენობისა და სასაქონლო ნომენკლატურის დადგენა. საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგება იმპორტის გადასახადის მოწმობის სახით. 2500 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელი ექვემდებარება წინასაიმპორტო ინსპექტირებას.

საბაჟო მოსაკრებლები

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 6 თებერვლის კანონის პირველი მუხლის თანახმად, მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას, ან სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული გარკვეული მომსახურებისათვის. მოსაკრებლების სახეებია: საბაჟო მოსაკრებლები; სალიცენზიო მოსაკრებლები; სახელმწიფო სერთიფიკატის მოსაკრებლები; სარეგისტრაციო მოსაკრებლები; მიგრაცია ინსპექტირების მოსაკრებლები; სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებლები; სახელმწიფო ბაჟი; საკონსულო მოსაკრებლები; საპატენტო მოსაკრებლები; თანამდებობის პირთა დეკლარაციებისა და თანდართული მასალების ასლების გადაღების მოსაკრებლები; სატენდერო მოსაკრებლები; მგზავრთა მომსახურების მოსაკრებლები.

მოსაკრებლები შეიძლება იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი. ადგილობრივ მოსაკრებლებს მიეკუთვნება: მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის; მოსაკრებელი ვაჭრობის ნებართვისათვის; მოსაკრებელი გარე რეკლამის გავრცელების ნებართვისათვის; მოსაკრებელი საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის ნებართვისათვის; მოსაკრებელი ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვის ნებართვისათვის; მოსაკრებელი არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლის ნებართვისათვის; მოსაკრებელი ავტოტრანსპორტის პარკირების ნებართვისათვის; სატენდერო მოსაკრებელი.

მოსაკრებელი, როგორც წესი, წარმოადგენს გადასახდელს, რომელსაც კრეფენ სახელმწიფო ორგანოები ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებისათვის, სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 73) მიხედვით, საბაჟო კონტროლიდან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების (საქონლის სახით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, აგრეთვე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო პროცედურების გაფორმებისა და საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის პირები იხდიან სათანადო მოსაკრებლებს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

საქართველოს კანონი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" (1998 წლის 18 თებერვალი) ადგენს საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო პროცედურებისათვის და საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის გადასახდეკინებელი მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, ამ მოსაკრებლების გადახდევინების წესსა და ვადებს[1]. როგორ განვსაზღვროთ საბაჟო მოსაკრებლის ცნება? *საბაჟო მოსაკრებელი არის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის და ლიცენზიების გაცემისათვის.*

საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარებენ ამ საშუალებებს, აგრეთვე პირები, რომლებიც იღებენ საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ ლიცენზიებს.

საბაჟო მოსაკრებლების სახეებია: ა) მოსაკრებელი საქონლის საბაჟო დათვალიერებისა და გაფორმებისათვის; ბ) მოსაკრებელი საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის.

საქართველოში საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები დიფერენცირებულია პროცედურებისა და რეჟიმების მიხედვით.

საბაჟო მოსაკრებელი საბაჟო მომსახურების საზღაურია და გადაიხდეკინება საბაჟო გაფორმებისას, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია საქონელი გადასახადებისაგან თუ არ არის გათავისუფლებული.

საბაჟო პროცედურებში იგულისხმება საბაჟოების მუშაკთა მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან. ამის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

რას ვგულისხმობთ გამოთქმებში: გაწეული საქმიანობა, ან გაწეული მომსახურება და მოსაკრებლები საბაჟო პროცედურებისათვის.

გაწეულ მომსახურებაში იგულისხმება საბაჟოების მუშაკთა მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც განპირობებულია საქართველოს საზღვრის გადამკვეთი იურიდიული და ფიზიკური პირების მოთხოვნით.

მოსაკრებლებში საბაჟო პროცედურებისათვის იგულისხმება მოსაკრებლები: საგაჭრო ბრუნვაში მყოფი ტვირთების გაფორმებისათვის; საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთების გაფორმებისათვის; იურიდიული და ფიზიკური პირების ქონების გაფორმებისათვის; სამემკვიდრეო ქონების გაფორმებისათვის; სახელმწიფო საზღვარზე გამცილებლის გარეშე გადასატანი ბარგის და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაფორმებისათვის; იურიდიული და ფიზიკური პირების დროებით ან მუდმივად კერძო საკუთრებაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის არასავაჭრო (მგზავრთა გადაყვანა) ბრუნვაში; საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეების მიერ შემოსაჯვანი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისათვის მოწმობების გაცემაზე.

გაწეულ მომსახურებაზე მოსაკრებლებს მიეკუთვნება: საბაჟო ზონის გარეთ საქონლის და სხვა საგნების, ასევე საგამოფენო ტვირთების საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟოს მუშაკის გამოძახება (სამუშაო ან არასამუშაო დროს), მათ შორის საბაჟო კონტროლზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება მათი შენახვა; საბაჟო კონტრო-

ლის პირობებში საქონლის, ბარგის და სხვა ქონების შენახვა; დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების დაცვა; სატრანსპორტო საშუალებების და ტვირთების დაცვა საბაჟო ზონაში; სატრანსპორტო საშუალებების დანიშნულების ადგილამდე გაცილება; წერილობითი ცნობების, დეკლარაციის პირების, ბარგის, ვალუტის აღრიცხვის წიგნაკების, კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების გაცემა; საბაჟო კანონმდებლობის საკითხებზე იურიდიული და კერძო პირებისათვის კონსულტაციის გაწევა.

საბაჟო პროცედურებზე მოსაკრებლების გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მომენტში ან მანამდე საბაჟო მუშაკების მიერ ჩაუტარდათ ერთი ან რამდენიმე სახის საბაჟო პროცედურა.

გაწეულ მომსახურებაზე საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც მათივე მოთხოვნით გაეწიათ მომსახურების ერთი ან რამდენიმე სახე საზღვრის გადაკვეთის მომენტში, საზღვრის გადაკვეთამდე ან მის შემდეგ.

საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებია:

საქონლის საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის საბაჟო ღირებულების 0,15 პროცენტი. საბაჟო პროცედურებისათვის გათვალისწინებული საბაჟო მოსაკრებლის ოდენობა არ შეიძლება იყოს 2 ათას ლარზე მეტი და 50 ლარზე ნაკლები, გარდა ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 2000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთების საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით – ერთ დეკლარაციაზე 100 ლარი;

ბ) რკინიგზის ტრანსპორტით – ერთ დეკლარაციაზე 200 ლარი;

გ) საზღვაო ტრანსპორტით – ერთ დეკლარაციაზე 300 ლარი.

საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისათვის და/ან ამ ტერიტორიიდან მისი დროებით გატანისათვის

ა) 10 ათას კილოგრამზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 1 თეთრი;

ბ) 10 ათას კილოგრამზე მეტი წონის ყოველ კილოგრამზე – 100 ლარიდან დამატებით 0,3 თეთრი;

გ) საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე – 2,5 თეთრი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 24 საათზე მეტი ვადით შემოსაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერების და/ან გაშორმებისათვის – ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე – 10 ლარი;

საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის:

ა) საბაჟო საწყობის შექმნის ლიცენზიის გაცემისათვის, საერთო მოხმარების შემდეგი ფართობის საბაჟო საწყობზე:

1) 1000 კვ. მ-ზე ნაკლები – 5000 ლარი;

2) 10000 კვ. მ-დან 2000 კვ. მ-მდე – 10 ათასი ლარი;

3) 2000 კვ. მ-ზე მეტი – 15000 ლარი;

ბ) უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის შექმნის ლიცენზიის გაცემისათვის – 10 ათასი ლარი;

გ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ლიცენზიის გაცემისათვის – 1000 ლარი;

დ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ლიცენზიის გაცემისათვის – 2000 ლარი;

ე) საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების ლიცენზიის გაცემისათვის – 1000 ლარი.

საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან განთავისუფლებულია:

საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

1. საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით;

2. უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;

3. ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი 50 კილოგრამზე ნაკლები წონის საქონელი.

საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვა და ამოღება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საბაჟო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადამხდელთა მიერ მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფისა და მისი გამოყენების კონტროლისათვის.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლი დასათაურებულია ასე: „გადასახადები საბაჟოში". ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი, ისე როგორც აქციზი, არ წარმოადგენს საბაჟო გადასახადს, მაგრამ მათი გადახდა ხდება საბაჟოში. საბაჟო დეპარტამენტს საგადასახადო სამსახურიდან დელეგირებული აქვს დღგ-სა და აქციზის გადახდევინების უფლება.

კოდექსში ნათქვამია: „საბაჟო კონტროლიდან მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში საქონელი ექვემდებარება საბაჟო, დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადებით დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საბაჟო გადასახადის შესახებ კანონის მიხედვით" (მუხლი 72).

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადს წარმოადგენს. მისი აკრეფის

სქემა შეიმუშავა ფრანგმა ეკონომისტმა მ. ლორემ (1954 წ.). საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში დამატებული ღირებულების გადასახადი 1958 წლიდან იქნა შემოღებული.

დღგ-ს თანამედროვე ევროპული სისტემის საფუძველს 1977 წლის 17 მაისს, დღგ-ის უნიფიცირების მიზნით, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს მიერ მიღებული მეექვსე დირექტივა წარმოადგენს. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ მონაწილე ქვეყნების ბიუჯეტებში დღგ-ს სახით ჩარიცხული თანხიდან განსაზღვრული ანარიცხები მიიმართება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთო ბიუჯეტის ფორმირებაზე. მეექვსე დირექტივის შინაარსი დაზუსტებულ იქნა 1991 წლის 16 დეკემბრის მეათე დირექტივით. ამ დოკუმენტების დებულებები ასახულია ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში.

დღგ-ს სისტემა სხვადასხვა ქვეყნებში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დღგ იკრიბება დაახლოებით 45-მდე ქვეყანაში. ზოგიერთ მათგანში იგი შემოღებულ იქნა გაცილებით გვიან, ვიდრე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებში. იაპონიაში დღგ 1989 წლიდან, ხოლო კანადაში 1990 წლიდან შემოიღეს[1].

საშუალოდ დღგ ბიუჯეტის შემოსავლების 14%-ს შეადგენს. საფრანგეთში იგი იძლევა საგადასახადო შემოსავლების 45%-ს, ნიდერლანდებში – 24%-ს და ა. შ.

დღგ გამოიყენება მსოფლიოს 45-მდე ქვეყანაში. მისი საფუძველიც და ამოსავალიც წარმოებისა და მიმოქცევის თითოეულ სტადიაზე წარმოებული ახლად შექმნილი ღირებულებაა. დღგ მთლიანად შედის საქონლის ფასში: წარმოების სტადიაზე საბითუმო ფასში; მიმოქცევის სტადიაზე – საცალო ფასში.

საქართველოში დღგ შემოიღეს 1992 წლის 15 მარტიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფასწარმოქმნა სახელმწიფო მონოპოლიას ემყარებოდა. საქართველოს საგადასახადო შემოსავლე-

---

1 ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ., 2002, გვ. 372.

ბის სტრუქტურაში დღგ-ს ხვედრითი წილი სხვა გადასახადებთან შედარებით დიდია. 1998 წელს იგი შეადგენდა 38,62 პროცენტს. თავდაპირველად დღგ-ს განაკვეთი 28 პროცენტი იყო, მოგვიანებით 14, ხოლო ამჟამად იგი 20 პროცენტის ფარგლებშია.

დღგ მოქმედებს მრავალ ქვეყანაში. საფრანგეთში 1988 წელს მოქმედებდა ოთხი განაკვეთი: სტანდარტული – 33,33 პროცენტი (ფუფუნების საგნები, თამბაქო, ალკოჰოლური სასმელები); ნორმალური – 18,6 (ყველა სახის საქონელი და მომსახურება); შემცირებული – 7 (კულტურულ-საგანმანათლებლო საქონელი); მინიმალური – 5,5 (პირველადი მოხმარების საქონელი, მათ შორის კვების პროდუქტები, მედიკამენტები, ტრანსპორტი). ამჟამად აქ სამი განაკვეთი არსებობს: სტანდარტული – 22 პროცენტი, ნორმალური – 18,6 და მინიმალური – 5,5. ავსტრიაში დღგ ძირითადად 20 პროცენტია, მაგრამ იგი მერყეობს – კვების პროდუქტებზე და ბინაზე 10 პროცენტს შეადგენს, მსუბუქ ავტომანქანებზე, ველოსიპედებზე კი 32 პროცენტამდე იზრდება. დიდ ბრიტანეთში დღგ 1993 წელს შემოიღეს და იგი 15 პროცენტს შეადგენს. იგი არ ერიცხება კვების პროდუქტებს, ელექტროენერგიას, წიგნებს, განათლების სისტემის მომსახურებას. იტალიაში დღგ 19 პროცენტია, დანიაში – 25. აშშ-ში დღგ დიფერენცირებულია შტატების მიხედვით და იგი 3 პროცენტიდან 8,25 პროცენტის ფარგლებში მერყეობს[1].

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით მოსაზრებას დღგ-ს დიფერენცირებასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება გადასახადის განაკვეთების დიფერენცირება საქმიანობის სფეროთა მიხედვით, კერძოდ, იგი მაღალი უნდა იყოს ფუფუნების საგნებზე, სიგარეტზე, ალკოჰოლურ სასმელებზე და ა. შ. ყოველდღიური მოხმარების საგნებზე კი – დაბალი.

დამატებული ღირებულების გადასახადი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, წარმოებისა და მისი მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართვე-

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 1 აპრილი.

ლოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში საეალდებულო შენატანი. დამატებული ღირებულების გადასახადი ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 91, ნაწილი პირველი, ნაწილი მესამე), *დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, ითვლება დღგ-ის გადამხდელად ამგვარ იმპორტზე.*

დამატებული ღირებულების დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი. დასაბეგრ იმპორტად ითვლება საქონლის იმპორტი, გარდა იმ იმპორტისა, რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისაგან.

დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ს ჩაუთვლელად. მომსახურების ღირებულება შეიტანება დასაბეგრი იმპორტის თანხაში დღგ-ის გარეშე.

დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა გამოიანგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი ფორმულით:

საბაჟო ღირებულებით, საბაჟო მოსაკრებლებით, საბაჟო გადასახადით და აქციზით დასაბეგრ საქონელზე:

(ს. ღ. + ს. მ. + ს. გ. + ა. თ) x დღგ/100.

საქონელზე, რომელიც ექვემდებარება საბაჟო გადასახადებით დაბეგვრას, მაგრამ არ ექვემდებარება აქცით დაბეგვრას:

(ს. ღ. + ს. მ.) x დღგ/100

ამ შემთხვევაში, სღ – საბაჟო ღირებულება; სმ – საბაჟო მოსაკრებლების თახა; სგ – საბაჟო გადასახადის თანხა; ათ –

აქციზის თანხა; დღგ – დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (მუხლი 110) მიხედვით, საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელიც ატარებს ძირითადი საქონლის მიწოდების, სამუშაოების შესრულებისა თუ მომსახურების გაწევის მიმართ დამხმარე ხასიათს, განიხილება როგორც საქონლის იმპორტის ნაწილი. სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელთაც დამხმარე ხასიათი აქვთ საქონლის იმპორტის მიმართ, წარმოადგენენ ამ საქონლის იმპორტის ნაწილს.

დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი საქონლის იმპორტის თანხის 20 პროცენტს. დღგ გადაიხდეინება ეროვნული ვალუტით – ლარით და მთლიანად ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ საქონელზე დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდეეინებას ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები. გადასახადის გადახდის საფუძველია სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

დღგ-სგან გათავისუფლებულია იმპორტის შემდეგი სახეები:

1. ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების იმპორტი;

2. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;

4. ჩამორთმეულ, უპატრონო ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

5. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 13-120000, 150420, 151530, 1520 და 170211000 კოდებში მითითებული საქონლის, 28-ე და 29-ე ჯგუფებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედ-

ლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის ვაქცინების 391212000, 391231000, 701010000, 701094790 და 960200000 (უელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული იმპორტი;

6. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000, 9001 30 000, 9001 40, 9001 50, 9018-9022, 9025 11910 და 9402 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713 და 8714 20 000 კოდებში მითითებული ინვალიდთა ეტლების, იოდირებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) იმპორტი;

7. დიაბეტური კვების პროდუქტების იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

8. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

9. სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის ბეჭდვა, მიწოდება და იმპორტი;

10. სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთელითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარებისა და ქიმიური რეაქტივების იმპორტი;

11. სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორები საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი;

12. პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის იმპორტი;

13. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4406, 7208 40 100, 7209 26 900 და 7302 კოდებით, 84-

ე, 85-ე, 88-ე და 90-ე ჯგუფებით გათვალისწინებული საქონლის (გარდა (8414 51 900, 8414 59 300, 8414 59 500, 8414 59 900, 8415, 8418, 8419 50 900, 8419 81 910, 8419 81 990,8419 89 950, 8421 12 000, 8421 21 900, 8421 23 900, 8421 29 900, 8421 31 900, 8422 11 000, 8422 19 000, 8423 10, 8423 81, 8431, 8450, 8469, 8470 10, 8470 21 000, 8470 29 000, 8470 30 000, 8470 90 000, 8471 10 900, 8471 41 900, 8471 49 900, 8471 50 900, 8471 60 400, 8471 60 500, 8471 60 900, 8471 70 400, 8471 70 510, 8471 70 530, 8471 70 590, 8471 70 600,8471 70 900, 8471 80, 8472 10 000, 8472 90, 8473, 8481 80, 8481 90 000, 8482, 8507-8514, 8516-8524, 8525 20 910, 8525 30, 8525 40, 8527-8528, 8529 10 200, 8529 10 310, 8529 10 390, 8529 10 400, 8529 10 500, 8529 10 900, 8531, 8536 61, 8536 69, 8539-8540, 8544-8546, 8548, 9001 90 900, 9003-9004, 9005 10, 9006-9010, 9014 20 900 და 9016 00 კოდებში ჩამოთვლილი საქონლისა), აგრეთვე 8531 10 100, 8539 10 100, 8601-8603, 8604 00 000, 8605 00 000, 8606 10 000, 8607 19, 8702 (გარდა 20 კაცის ან ნაკლების გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით), 8704-8705, 8709, 8716 20, 8716 31, 8716 39, 8901-8902 და 8904-8906 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი.

14. საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა, დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; ასევე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა

და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

15. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში აღნიშნული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და ტარა-შესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ხდება დღგ-ის გადახდევინება ან საბანკო გარანტიის დატოვება, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

16. საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი, დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, საქონლის საერთაშორისო გადაზიდვასთან და მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანასთან (გარდა საავიაციო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისა) უშუალოდ დაკავშირებული სატრანსპორტო და სხვა მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება, სატვირთო ოპერაციები, ნავსადგურებში აგენტირება;

17. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ და საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

18. ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რომელიც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებისათვის;

19. „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარ-

მოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

20. შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი;

21. ალაოს იმპორტი.

დღგ-ისაგან გათავისუფლება ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისას.

დღგ-საგან გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნით საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას გათავისუფლების პირობების დარღვევის გამო, დღგ-ის მიმართაც გამოიყენება იგივე რეჟიმი.

საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით. ნულოვანი განაკვეთით იბეგრება აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება.

დღგ გადაიხდევინება შემოსატანი დასაბეგრი ტვირთის საბაჟო გაფორმების მომენტში და დაუშვებელია მისი გადავადება. დღგ-ის დარიცხვის სისწორე მოწმდება საბაჟო ორგანოს საგადასახადო მუშაკის მიერ და დასტურდება ხელმოწერით და სათანადო ნომრიანი ბეჭდით იმავე დღეს, რა დღესაც სატვირთო საბაჟო დეკლარაციაში გაკეთდა აღნიშვნა: „გაშვება ნებადართულია". დაუშვებელია საბაჟო ორგანოების მიერ იმ ტვირთების გატარება, რომელთაც ერიცხებათ დავალიანება დღგ-ის ნაწილში.

დღგ-ის თანხის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება ეროვნულ ვალუტაზე – ლარებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 222): „უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, გადაიანგარიშება ლარებზე;

ა) ოპერაციის დღისათვის – საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით, თუ ასეთი არსებობს; ბ) თუ

ოპერაციის დღისათვის ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი არ არსებობს, მაშინ იმ კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსის მიხედვით, მათ შორის სხვა ქვეყნებში გამოქვეყნებული კურსის მიხედვით იმ ვალუტის მიმართ, რომელზეც არსებობს ლარის გაცვლის ოფიციალური კურსი".

საბაჟო ორგანოს ეკრძალება ტვირთების საბაჟო გაფორმება იმ დრომდე, სანამ საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ საქონელზე განსაზღვრული დღგ არ მოხედება საბაჟოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

დღგ-ის თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოების მიერ ზედმეტად არის გამოთვლილი დღგ-ის გადასახდელი თანხა ან საბაჟო ღირებულება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (მუხლი 240) მიხედვით:

1. თუ გადასახადის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას, საგადასახადო ორგანო: ა) ზედმეტ გადახდილ თანხას ჩათვლის გადასახადის გადამხდელის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში; ბ) გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში დარჩენილ ნაწილს ჩათვლის მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში; გ) უბრუნებს გადასახადის გადამხდელს დარჩენილ თანხას 20-დღიან ვადაში მისი წერილობითი განცხადების მიღების დღიდან, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 2. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, ცნობები აღნიშნული თანხის გამოყენების შესახებ უნდა აღემატებოდეს შეტყობინებაში გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ.

დღგ-ის გამოანგარიშების სისწორეს და ბიუჯეტში სრულად შეტანაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები.

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, ყოველთვის, როდესაც საბაჟო რეჟიმით საქონლის გადაადგილება საზღვარზე თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, ის თავისუფლდება დღგ-ის გადახდისაგანაც.

აქციზი

აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით.

აქციზის გადამხდელად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს და ეწევა მის იმპორტს საქართველოში.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია საქონლის იმპორტი, საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება, მათ შორის დამკვეთის ნებლეულით დამზადებული აქციზური საქონლის გადაცემა. საქონლის იმპორტის შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება იმპორტის დრო საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით. აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

საქართველოში აქციზი შემოღებულ იქნა 1992 წლის 15 მარტიდან.

აქციზის თანხა გამოიანგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი ფორმულით:

$$\text{ს. ღ.} + \text{ს. მ.} + \text{ს. გ.}) \times \text{ა. გ.}/100$$

აქ ს. ღ. ნიშნავს საბაჟო ღირებულებას;
ს. მ. — საბაჟო მოსაკრებლების თანხა;
ს. გ. — საბაჟო გადასახადის თანხა;
ა. გ. — აქციზის განაკვეთი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად, აქციზისაგან თავისუფლდება:

1. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი; საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი;

2. აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებითი შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

3. აქციზური საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტისათვის გათვალისწინებულ აქციზურ სა-

ქონელ'ს; გადაიხდევინება აქციზი, დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი, ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

4. მანქანებისა და საბურავების იმპორტი სტიქიური უბედურების დროს ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

5. საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავი იმპორტისას საბაჟო ორგანოებისათვის საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე;

6. „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი.

აქციზური საქონლის ტრანზიტის, დროებითი შემოტანის და რეექსპორტის მიხედვით, აქციზისაგან გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნისათვის საქართველო'ში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას გათავისუფლების პირობების დარღვევის გამო, იგივე რეჟიმი გამოიყენება აქციზის მიმართაც.

იმპორტისას დასაბეგრი ოპერაციის თანხად ითვლება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა (მაგრამ არანაკლებ საბითუმო საბაზრო ფასისა, აქციზისა და დღგ-ის გარეშე) და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი მოსაკრებლებისა და გადასახადების თანხის (აქციზისა და დღგ-ის გარდა) ჯამი. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ შედის მრავალჯერადად გამოსაყენებელი დასაბრუნებელი ტარის ღირებულება.

აქციზური საქონელი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

№	საქონლის დასახელება	საქონლის ნომენკლატურის კოდი	ზომის ერთეული კოდი	აქციზის განაკვეთი
1	2	3	4	5
1	ცქრიალა და შუშხუნა ღვინოები (მათ შორის შამპანური)	2204 10 2204 21 100 2204 29 10	1 ლიტრი	0,50
2	შემაგრებული ღვინოები ჩამოსხმული ჩამოსასხმელი	2204 21 870 2204 21 990 2204 29 870 2204 29 990	1 ლიტრი	 1 ლარი 0,50 ლარი
3	ვერმუტი და სხვა ნატურალური ღვინოები, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები	2205	1 ლიტრი	2 ,00
4	ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომლებიც არ შედის ამ ცხრილის პირველ და მეორე ნაწილებში ჩამოსხმული ჩამოსასხმელი	2204	1 ლიტრი 0,20 ლარი	 0,10 ლარი
5	სხვა დადუღებული სასმელები (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი); დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი, რომლებიც ამ ცხრილში სხვა ადგილას არ არის დასახელებული	2206 00	1 ლიტრი	2,00
6	ეთილის სპირტი	2207	1 ლიტრი	0,70
7	სპირტიანი სასმელები, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით	2208 20	1 ლიტრი	2,00
8	ვისკი	2208 30	1 ლიტრი	2,00
9	რომი და ტაფია	2208 40	1 ლიტრი	2,00
10	ჯინი და ღვინის ნაყენი	2208 50	1 ლიტრი	2,00
11	ლიქიორი და ტკბილი ნაყენები	2208 70	1 ლიტრი	2,00
12	არაყი	2208 60	1 ლიტრი	1,00
13	სხვა სპირტიანი სასმელები	2208 90	1 ლიტრი	2,00

1	2	3	4	5
14	ლუდი	2203 00	1 ლიტრი	0,12
15	თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა): — სიგარა, სიგარები გადაჭრილი ბოლოებით და სიგარილა (წვრილი სიგარები), რომლებიც შეიცავენ თამბაქოს — ფილტრიანი სიგარეტი — ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი — სხვა ნაწარმი, დამზადებული თამბაქოსა და მისი შემცვლელებისაგან, „ჰომოგენიზირებული" ან „აღდგენილი" თამბაქო, თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები	2402 10 000 2402 20 2402 20 2403	1 ღერი 1 ღერი 1 ღერი 1 კგ	1,50 ლარი 7,50 ლარი 2,50 ლარი 20,00 ლარი
16	ამოღებულია			
17	მსუბუქი ავტომობილები	8703		15%
18	მსუბუქი ავტომობილების საბურავები	401 10 000 4012		15%
19	თართისა და ორაგულის ხიზილალა თევზის ძვირფასი სახეობის და ზღვის პროდუქტები დელიკატესური პროდუქცია	160430 1605		20%
20	ქვანახშირის ფისის მაღალტემპერატურული გამოხდისას მიღებული ზეთები და სხვა პროდუქტები, ანალოგიური პროდუქტები, რომლებშიც არომატული შემადგენელი ნაწილების მასა აჭარბებს არაარომატულ მასას (გარდა ნაფტალინისა და კრეოზიტული ზეთებისა, რომელიც გამოიყენება ნახშირბადის მისაღებად (სასაქონლო ჯგუფის კოდი 2803)	2707 (გარდა 2707 40 000, 2707 99 910)		60%
21	ბუნებრივი გაზის კონდენსატი, გარდა მილსადენისა	2709 00 100		60%
22	ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები	271000110 - 271000690		80%

1	2	3	4	5
23	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	271112, 271113, 2711 14 000, 2711 19 000		60%
24	ნედლი ნავთობისაგან და ბითუმინოზური მინერალებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტები (გარდა ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისა და მაზუთისა)	271000 (გარდა 271000110 - 271000690 და 271000710 - 271000780		60%
25	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	391190000 391190900	ტონა	400 ლარი

აქციზის გადასახადი გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში. აქციზით იბეგრება წარმოებული საქონლის განსაზღვრული ჩამონათვალი და ასრულებს ორმაგ დანიშნულებას:

1. იგი წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს;

2. აქციზური გადასახადი არის აქციზური საქონლის მოხმარების შეზღუდვის და საქონლის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის რეგულირების საშუალება.

აქციზით ძირითადად იბეგრება მაღალრენტაბელური საქონელი; იგი სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დაცვის საშუალებაა. მთელ რიგ ქვეყნებში საკმაოდ შეზღუდულია აქციზური საქონლის ჩამონათვალი. აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში აქციზური საქონლის ჯგუფთა რაოდენობა ოთხს არ აღემატება, იაპონიაში პირიქით — ასეული 600-ზე მეტია. ასევე მაღალია აქციზური საქონლის ხვედრითი წილი იტალიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვ. ამ ქვეყნებში აქციზით იბეგრება ფუფუნების საგნები, ალკოჰოლური საქონელი, თამბაქოს ნაწარმი, ასევე დელიკატესები.

აქციზი, აქციზური გადასახადი ამავე დროს წარმოადგენს საშინაო ბაზრის და, აქედან გამომდინარე, ადგილობრივი პროდუქციის დაცვის საშუალებას, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა ახორ-

ციელებს საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე. ამ დროს, რიგორც წესი, მაღალი აქციზური განაკვეთებით იბეგრება იმპორტი. საქართველოს საგადასახადო კოდექსით საქონლის სახეობების მიხედვით დაწესებულია აქციზური განაკვეთები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (მუხლი 134) მიხედვით, საგადასახადო და საბაჟო ორგანოები, რომლებიც აწესებენ კონტროლს აქციზის გადახდაზე, დადგენილი წესის შესაბამისად ახდენენ აქციზური მარკის გარეშე იმპორტირებული ან გასაყიდად მიღებული აქციზური საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი ითვლება სახელმწიფო საკუთრებად და მისი რეალიზაცია ან განადგურება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით[1].

საქონლის იმპორტისას აქციზის გადახდევინება ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო გადასახადისათვის მიღებული პროცედურების შესაბამისად.

რეექსპორტის მიზნით საქართველოში აქციზური საქონლის შემოტანისას გადახდილი აქციზის (გირაოს) დაბრუნება რეექსპორტირებული საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად ხდება საბაჟო ორგანოების მიერ 15 დღის განმავლობაში.

აქციზის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოს მიერ ზედმეტად არის გამოთვლილი აქციზის გადასახდელი თანხა ან საბაჟო ღირებულება. თუ აქციზის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას, საბაჟო ორგანო: ა) ზედმეტად გადახდილ აქციზის თანხას ჩათვლის აქციზის გადამხდელის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში; ბ) აქციზის გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში დარჩენილ ნაწილს ჩათვლის მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში; გ) უბრუნებს აქციზის გადამხდელს დარჩენილ თანხას ოცდღიან ვადაში მისი წერილობითი განცხადების მიღების დღიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ აქციზის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, ცნო-

---

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2003, გვ. 90.

ბები დანიშნული თანხის გამოყენების შესახებ უნდა აღინიშნოს შეტყობინებაში გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ.

აქციზის თანხის დაბრუნებისათვის აუცილებელია საბაჟო ორგანოებს წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ; ბ) შევსებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც მოხდა გადასახადის გამოთვლა; გ) საგადასახადო დავალება, რომლის მიხედვითაც მოხდა გადასახადის გადახდა ბანკის მიერ გაკეთებული აღნიშვნით თანხის გადახდის თაობაზე; დ) საქონლის თანმხლები დოკუმენტები, საბაჟო ორგანოს აღნიშვნით საზღვრის ფაქტობრივი გადაკვეთის შესახებ.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან აქციზის გადამხდელებისაგან ან ბანკისაგან (იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია საგარანტიო წერილი) *უდაგო წესით* ამოიღონ გადასახადების ვადაგადაცილებული დავალიანებების თანხები[1].

საქართველოს საგადასახადო კოდექსში (მუხლები 133 და 134) განსაზღვრულია აქციზის დაბრუნება რეექსპორტისას და აქციზური მარკების სავალდებულო დართვის წესი. რეექსპორტის მიზნით საქართველოში აქციზური საქონლის შემოტანისას გადახდილი აქციზის (გირაოს) დაბრუნება, რეექსპორტირებული საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად, ხდება საბაჟო ორგანოების მიერ 15 დღის განმავლობაში.

ნორმატიული აქტებით შესაძლებელია შემოღებულ იქნეს მოთხოვნათა აქციზური მარკების სავალდებულო დართვა იმ იმპორტული საქონლისათვის, რომელიც ექვემდებარება აქციზს ფიქსირებული განაკვეთით. ამ შემთხვევაში აქციზი გადაიხდება მარკის ყიდვის დროს. *საქონელი, რომელსაც აქვს მარკა, დამატებით აქციზით არ იბეგრება. აკრძალულია აქციზური საქონლის იმპორტი ან რეალიზაცია აქციზური მარკის გარეშე. საგადასახადო ორგანოებს აქვთ აქციზური მარკის გარეშე გასაყიდად მიღებული აქციზური საქონლის ჩამორთმევის უფლება კანონით დადგენილი წესით.*

---

1 საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები, 1998, გვ. 161.

საქონლის იმპორტისას აქციზის გადახდევინება ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო გადასახადისათვის მიღებული პროცედურების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსში აღნიშნულია: თუ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახადები განისაზღვრება საბაჟო პროცედურების მიხედვით, კონტროლი ხორციელდება საბაჟო კანონმდებლობით საბაჟო ორგანოების მიერ.

პასუხისმგებლობა აქციზის გადახდის სისწორესა და დროულობაზე ეკისრებათ აქციზის გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს.

მოკლე დასკვნები

- *საბაჟო გადასახდელებია: საბაჟო გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; საბაჟო მოსაკრებლები.*
- *საბაჟო გადასახადის სახეებია: ჩვეულებრივი; სეზონური; განსაკუთრებული.*
- *საბაჟო გადასახადის განაკვეთებია: ადვალური; სპეციფიკური; კომბინირებული.*
- *საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირება ხდება საბაჟო ორგანოში საქონლით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას. ღირებულების განსაზღვრის სისწორეს აკონტროლებს ის საბაჟო ორგანო, სადაც ხდება საქონლის საბაჟო გაფორმება.*
- *სატარიფო შეღავათების სახეებია: გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება; საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება და საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება.*

კითხვები გამეორებისათვის

- *განმარტეთ საბაჟო გადასახდელების ცნება.*
- *რას ნიშნავს საბაჟო ტარიფი?*
- *დაახასიათეთ საბაჟო გადასახადის სახეები.*
- *რას ნიშნავს დემპინგი?*
- *რაში მდგომარეობს ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის არსი?*
- *განსაზღვრეთ საქონლის საბაჟო ღირებულება და დაახასიათეთ მისი დადგენის მეთოდები.*

- *საბაჟო გადასახადების რა სახის განაკვეთებია საქართველოში?*
- *ჩამოთვალეთ საბაჟო სატარიფო პრეფერენციების სახეები.*
- *რომელი ფორმულით გამოიანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა?*
- *რომელი ფორმულით გამოიანგარიშება აქციზის გადასახადის თანხა?*

თავი 9. საბაჟო გაფორმება

საბაჟო გაფორმების ძირითადი პრინციპები

საბაჟო დათვალიერება არის საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული მოქმედება, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებების, შენობის ან მასში მოთავსებული საქონლის გარეგანი სახის შემოწმებას. საბაჟო დათვალიერების დროს არ ხდება სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის გახსნა, საგნების მთლიანობის დარღვევა[1].

საბაჟო გაფორმება *გარკვეული საბაჟო პროცედურების ჩატარებაა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა და ამ რეჟიმის დამთავრების მიზნით.*

საქართველოს საბაჟო კოდექსის 77-ე მუხლში განსაზღვრულია საბაჟო გაფორმების დრო და ადგილი. საბაჟო გაფორმება, როგორც წესი, წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილას – საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც იმყოფებიან საქონლის გამგზავნი, მიმღები ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

დაინტერესებული პირის თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით საბაჟო გაფორმება შეიძლება განხორციელდეს განცხადებაში მითითებულ ადგილზე და საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროსაც.

---

1 ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა", 1998, 2, გვ. 38.

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს დააღგინოს, რომ ცალკეული კატეგორიის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება განახორციელონ მხოლოდ განსაზღვრულმა საბაჟო ორგანოებმა.

საბაჟო გაფორმება წარმოებს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ენაზედაც.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ უფლებამოსილ პირებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით კი – ვალდებულნი არიან დაესწრნენ საბაჟო გაფორმებას.

საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლით გადაკვეთის მომენტისათვის, ამ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციები: საქონლის ტრანსპორტირება, რაოდენობის განსაზღვრა, საქონლის გადაზიდვამდე მისი რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების სავალდებულო ინსპექტირების უზრუნველყოფა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, საფუთავის გახსნა, შეფუთვა ან ხელახალი შეფუთვა. საწყობის მფლობელი ასევე ვალდებულია გააღოს სათავსები, საცავები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იყოს მოთავსებული საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა ოპერაციები ხორციელდება მესაკუთრის ხარჯით და მათ არ უნდა გამოიწვიონ ამ მიზნით სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯი.

საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 81) განსაზღვრულია საბაჟო გაფორმების პრიორიტეტული წესები. მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მისამართზე გაგზავნილი, აგრეთვე სტიქიური უბედურებების, ავარიების, კატასტროფების დროს საბაჟო ტერიტორიაზე საჭირო სა-

ქონლის შემოტანისა და ამ ტერიტორიიდან გატანის დროს მათი საბაჟო გაფორმება ხდება გამარტივებული და პრიორიტეტული წესით.

დაუშვებელია იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან განკარგვა, რომელთა მიმართ საბაჟო გაფორმება არ არის დამთავრებული.

დეკლარირება. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო სასზღვრის გადაკვეთისას, აგრეთვე საბაჟო რეჟიმის შეცვლისას საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებას.

დეკლარირება ხდება დადგენილი ფორმის (წერილობითი, ზეპირი მონაცემების ელექტრონული გადაცემის გზით) განცხადებით, რომელიც შეიცავს ზუსტ ცნობებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი საბაჟო რეჟიმის შესახებ და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო სხვა ცნობებს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 85), საქონლის დეკლარირება ხდება საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო გაფორმება. სატრანსპორტო საშუალებები, რომლებითაც საქონელი გადააქვთ, ექვემდებარება დეკლარირებას საქონელთან ერთად.

საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია სასღვაო და საჰაერო ხომალდების დეკლარირების წესი. მათი დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დანიშნულების ნავსადგურში ან აეროპორტში ჩასვლისას, აგრეთვე, საბაჟო ტერიტორიის ნავსადგურში ან აეროპორტში, საიდანაც ისინი გადიან. ცარიელი და მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო სასზღვრის გადაკვეთისას.

საბაჟო სატვირთო დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დადგენილ ვადებში. ეს ვადები არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს საქონლისა და მისი გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოებისათვის წარდგენის დღიდან.

საბაჟო სასზღვრის გავლით ფიზიკური პირების მიერ ხელბარგითა და ბარგით საქონლის გადაადგილებისას საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საქონელთან ერთად. ცარიელი და მგზავრე-

ბის გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესვლისას დეკლარირდება არა უგვიანეს სამი საათისა საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან, ხოლო გასვლისას – არა უგვიანეს სამი საათისა, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე. აღნიშნული ვადები შეიძლება გახანგრძლივდეს დადგენილი წესით.

დეკლარანტი შიძლება იყოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადამაადგილებელი პირი ან საბაჟო ბროკერი. საქაროველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია დეკლარანტის უფლება-მოვალეობანი. *საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებისას დეკლარანტი ვალდებულია:* ა) მოახდინოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული წესის მიხედვით; ბ) საბაჟო ორგანოს მოთხოვნით წარადგინოს საჭირო საბუთები და ცნობები; გ) უსრუნველყოს საბაჟო გადასახდელების გადახდა; დ) ხელი შეუწყოს საბაჟო ორგანოებს საბაჟო გაფორმებაში, მათ შორის საჭირო სატვირთო და სხვა ოპერაციების შესრულების გზით.

საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე დეკლარანტს უფლება აქვს საბაჟო კონტროლის ქვეშ დაათვალიეროს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე, საბაჟო ორგანოს ნებართვით აიღოს საქონლის სინჯები და ნიმუშები. საქონლის სინჯებსა და ნიმუშებზე ცალკე საბაჟო დეკლარაცია არ შეივსება. საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო ორგანოს წარედგინება საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო საბუთები, მათ შორის, საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ საბუთებისა და ცნობების და გადაზიდვამდე ინსპექტირებას დაუქვემდებარებელი საქონლის ნუსხა განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო საბუთებისა და ცნობების ნუსხა განსაზღვრულია კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში (2001 წლის 21 ნოემბერი, № 798)[1]. *ამ აქტის მიხედვით, საქონლის ექსპორტისა და იმპორტის*

---

1 საქაროველოს საკანონმდებლო მაცნე, 2001, 21 ნოემბერი, № 124, გვ. 3.

საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო სატვირთო დეკლარაციასთან ერთად შესაბამის საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი საბუთები და ცნობები:

- დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დეკლარანტის უფლებამოსილებას წარადგინოს საბაჟო სატვირთო დეკლარაცია;
- სატრანსპორტო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის გადაადგილების ფაქტს;
- საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტებს შორის გაფორმებული კონტრაქტი (ხელშეკრულება) ან მისი შემცველელი დოკუმენტი;
- ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი);
- გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის დამადასტურებელი საბუთი (გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი);
- საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, გაცემული შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებულ საქონელზე — შესაბამისობის სერტიფიკატი;
- თუ საქონლის ექსპორტი ან იმპორტი ექვემდებარება ლიცენზირებას — უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია;
- თუ საქონელი ექვემდებარება საქონლის გადასიდვამდე ინსპექტირებას — უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი.

„გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე" კონვენციით გათვალისწინებული ფლორისა და ფაუნის სახეობებზე — ამ საბუთებსა და ცნობებთან ერთად საბაჟო ორგანოს წარედგინება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა ან სერტიფიკატი.

ნავთობის მსუბუქ, საშუალო და მძიმე დისტილატებზე — ამ საბუთებსა და ცნობებთან ერთად საბაჟო ორგანოს წარედგინება სპეციალური საბაჟო სატვირთო დეკლარაცია.

საქართველოში ფეროშენადნობთა წარმოების პროცესში წარმოქმნილი წიდის (ქერქული ნარჩენები) ექსპორტისას — აღნიშნულ საბუთებსა და ცნობებთან ერთად საბაჟო ორგანოს წარედგინება:

ა) სს „ფეროშენადნობთა ქარხანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომლის საფუძველზეც წიდა (ქერქული ნარჩენები) იმყოფება პირის კანონიერ მფლობელობაში, ხოლო ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში – სს „ფეროშენადნობთა ქარხნის“ მიერ ამ ფაქტის წერილობითი დასტური;

ბ) სს „ფეროშენადნობთა ქარხნის“ მიერ გაცემული რწმუნებულება – იმ შემთხვევებში, თუ პირი მოქმედებს სს „ფეროშენადნობთა ქარხნი“ რწმუნებით;

გ) სს „ფეროშენადნობთა ქარხნის“ წერილობითი დასტური, რომ საექსპორტოდ განკუთვნილი წიდა (ქერქული ნარჩენები) არ წარმოადგენს სს „ფეროშენადნობთა ქარხნის“ საკუთრებას.

როგორც აღვნიშნეთ, *საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ადგენს იმ საქონლის ჩამონათვალს, რომელიც არ ექვემდებარება წინასაიმპორტო ინსპექტირებას. ეს საქონელია:*

საქონელი, რომლის ღირებულება არ აღემატება 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტს; ოქრო; ძვირფასი ქვები; ხელოვნების ნიმუშები; ფეთქებადი ნივთიერებები; საბრძოლო მასალები და აღჭურვილობა; იარაღი; საომარი საშუალებები; ჯართი; გაზეთები და პერიოდული გამოცემები; საფოსტო გზავნილები და ნიმუშები, ანუ არაკომერციული ღირებულების მქონე საგნები; მხოლოდ ახალი ხორცი; კვერცხი; ცოცხალი ცხოველები; ყველანაირი ხილი; ჰუმანიტარული დახმარებით საქართველოში 73 იმპორტირებული საქონელი; ელექტროენერგია; მილსადენით გადაადგილებული საქონელი (ნავთობი და გაზი); კანონმდებლობით საბაჟო, დღგ, აქციზის გადასახადისაგან განთავისუფლებული საქონელი, საქართველოს მთავრობის სახელით იმპორტირებული აქციზური მარკები; ეროვნული და უცხოური ვალუტა; გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი; იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ, საკონსულო, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის; მსუბუქი ავტომობილები (კოდი 2703), რომელშიც დასაჯდომ ადგილთა რაოდენობა არ აღემატება 9-ს (ძალაშია 2001 წლის 5 თებერვლიდან).

წინასაიმპორტო ინსპექტირების ხარისხის შემოწმებას არ ახორციელებენ შემდეგ საქონელზე: ფარმაცევტული პროდუქცია, სა-

ღებავები, სპეციალური ქიმიური ნივთიერებები, კოსმეტიკა, ღვინო (გარდა ჩამოსასხმელისა), სპირტი ან მსგავსი საქონელი, ხოლო ამ საქონლისათვის ფიზიკური ინსპექტირება მოიცავს რაოდენობის იდენტიფიკაციას, ვარგისიანობის თარიღს და შეფუთვის მთლიანობას.

წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციას იღებს საბაჟო ორგანო და ახდენს მის რეგისტრაციას. საბაჟო დეკლარაცია რეგისტრაციის მომენტიდან იქცევა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთად. საბაჟო ორგანოს არა აქვს უფლება უარი თქვას საბაჟო დეკლარაციის მიღებაზე. საბაჟო ორგანოს ნებართვით შეიძლება საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების შეცვლა, შევსება ან წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა.

საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 91, მეორე ნაწილი), საბაჟო დეკლარაციის შეცვლა, შევსება ან გამოთხოვა შეიძლება მხოლოდ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დაწყებამდე; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერებამდე ან საბაჟო შემოწმებამდე; საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული უტყუარობის დადგენამდე.

საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთ არა აქვთ უფლება შეავსონ საბაჟო დეკლარაცია, შეცვალონ ან შეიტანონ მონაცემები, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც საბაჟო ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება.

საბაჟო კოდექსი იმასაც განსაზღვრავს, რომ თუ დეკლარანტს განსაკუთრებულ მიზეზთა გამო არ შეუძლია სრული საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, საბაჟო ორგანოს დადგენილი წესით უფლება აქვს დართოს ნება დროებითი ან არასრული საბაჟო დეკლარაციის წარდგენაზე იმ პირობით, თუ დროებით ან არასრულ დეკლარაციაში შეტანილი იქნება ძირითადი მონაცემები, რომლებიც საჭიროა საბაჟო მიზნებისათვის; ხოლო იმ მონაცემებს, რომლებიც აკლია, წარმოადგენენ საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში.

ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეგულარულად გადაადგილებისას საბაჟო ორგანოს შეუძლია დართოს ნება, რომ მთელ იმ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც საბა-

ეო საზღვრის გავლით გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაადგილდება, წარდგენილ იქნეს ერთი პერიოდული საბაჟო დეკლარაცია. საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს ნება დართოს დეკლარანტს განახორციელოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება გამარტივებული წესით.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისათვის გამოიყენება საბაჟო დეკლარაციის შემდეგი სახეები: *სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია; ფიზიკური პირის დეკლარაცია; საფოსტო გზავნილების დეკლარაცია; სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.*

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების ჩატარების მიზნით დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს *სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას. ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს დეკლარირების პირადი საგნები, ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, ავსებს და საბაჟო ორგანოს წარუდგენს ფიზიკური პირის დეკლარაციას. ასევე, საქართველოდან საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაგზავნისას გამგზავნი ავსებს დეკლარაციას გასაგზავნ საქონელზე. სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.*

დეკლარირება ხდება შემდეგ ძირითად შემთხვევებში: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას საქართველოს საბაჟო საზღვარზე; საბაჟო რეჟიმის შეცვლისას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადამაადგილებელი პირის მიერ; სხვა შემთხვევებში (მაგალითად, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაზე ლიცენზიის ჩამორთმევის ან ასეთი მაღაზიის ლიკვიდაციისას).

საბაჟო ორგანოებზე სტანდარტული ფორმით მიწოდებული საბაჟო დეკლარაცია ინფორმაციატევადია და ამ ორგანოების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნებისათვის: სამართალდამცავი (კონტრაბანდასა და საბაჟო წესების სხვა დარღვევასთან ბრძოლისათვის), საგადასახადო (როგორც საგადასახადო დეკლარაცია), საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ადმინისტრაციული რეგულირებისათვის (კვოტირება, ლიცენზირ-

ება და სხვ.), როგორც საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ნებართვა (საშვი), როგორც საბაჟო რეჟიმის არჩევის დადასტურება, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის, საბაჟო საზღვარზე კონტროლის სხვა სახეების (სამედიცინო-სანიტარიული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული, ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისი, ტვირთების ხარისხის, რადიოაქტიური და სხვა) განხორციელებისათვის; სხვა მიზნებისათვის.

საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადამაადგილებელ პირსა და საბაჟო ორგანოს შორის საბაჟო-სატარიფო ურთიერთობების საწყის ეტაპზე ეს ურთიერთობა იწყება საბაჟო ორგანოს მიერ ამ პირისაგან დეკლარაციის მიღებით.

დეკლარირების ფორმა და წესი, აგრეთვე, საბაჟო მიზნებისათვის საჭირო ცნობების ნუსხა განისაზღვრება დადგენილი წესით. დეკლარირების ფორმებია: წერილობითი, ზეპირი და მონაცემების ელექტრონული გადაცემა.

ამგვარად, საბაჟო დეკლარირება არის საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის საბაჟოში წარდგენა დოკუმენტურად და ფიზიკურად.

დოკუმენტური დეკლარირება ნიშნავს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონლის თანმხლები დოკუმენტის (პირველადი დოკუმენტები) ბაზაზე შექმნილ კრებსითი დოკუმენტის დეკლარაციის წარდგენას.

ფიზიკური დეკლარირება ნიშნავს საქონლის პირდაპირ წარდგენას ფიზიკური კონტროლის განსახორციელებლად. ეს სახეობა დაკავშირებულია საბაჟო კონტროლთან.

დოკუმენტური დეკლარირება ციფილური საბაჟო სისტემების განვითარების შედეგია. ყველაზე მეტად თანამედროვე სახე საბაჟო დეკლარაციებმა და მისმა დოკუმენტებმა მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც შეიქმნა სავალუტო და საბაჟო-სავაჭრო საერთაშორისო ორგანიზაციები.

დეკლარაცია არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას საქონლის გამომგზავნ-მიმღებზე, საბაჟო ღირებულებაზე, შეფუთვაზე, დაბეგვრის რეჟიმზე, ოდენობაზე. ის დგება ძირითადი სასაქონლო დოკუმენტების ბაზაზე: ანგარიშ-ფაქტურა

(ინვოისი), ან კონოსამენტი, კომერციული ხელშეკრულება, წარმოშობის და შეფუთვის სერტიფიკატი და სხვა[1].

დეკლარაციის სახეები, რომლებიც დღეს მოქმედებენ მსოფლიოში, ეყრდნობა გაეროს მიერ დამტკიცებულ ფორმას — ფორმა ორნაირია, 51 ან 52 გრაფა. საქართველოში 1998 წლამდე მოქმედებდა რუსული დეკლარაცია.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე საქართველოს რეზიდენტებისა და არარეზიდენტებისათვის საბაჟო პროცედურების ჩატარების გაიოლების, საბაჟო დოკუმენტების საერთაშორისო სტანდარტებისადმი მისადაგების, საბაჟო ორგანოებში საინფორმაციო ნაკადების მოძრაობის სრულყოფისა და ოპერატიულობის ამაღლების, ფიზიკური პირების მიერ საბაჟო სასაზღვარზე გადაადგილებული საქონლის აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, 1998 წლის 5 ნოემბერს დამტკიცდა ახალი, ქართულ-ინგლისური ნიმუშის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმები სსდ-1 და სსდ-2. შეიქმნა ქართულენოვანი დეკლარაცია, რომელიც ეყრდნობა გაეროს მიერ დამტკიცებულ ფორმას.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს: მოქალაქე დეკლარანტის გვარი, სახელი; იმ ქვეყნის დასახელება, სადაც მიემგზავრება ან საიდანაც ჩამოვიდა; მგზავრობის მიზანი (პირადი, ტურისტული, საქმიანი, მიწვევა და ა. შ.); საბარგო ადგილების რაოდენობა (ხელბარგის ჩათვლით), რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოს კონტროლისათვის; იმ საბარგო ადგილების რაოდენობა, რომელიც მოყვება მგზავრს ცალკე; ზოგიერთი საქონელი, რომელიც შედის ხელბარგში და მის გატანაზე (შემოტანაზე) ნებართვის საფუძველი არსებობს (იარაღი, საბრძოლო მასალა, ნარკოტიკები და მისი გამოყენების საშუალებები, სიძველეები და ხელოვნების ნიმუშები, ვალუტა და სავალუტო ფასეულობანი და სხვა); საქონელი, რომელიც მგზავრის ბარგშია, მაგრამ ეკუთვნის სხვა პირს. დეკლარაციაში მიეთითება შევსების თარიღი და დაისმება ბარგის მფლობელის ხელმოწერა.

საქართველოს საბაჟო სასაზღვარზე ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული პირადი სარგებლობის საგნების, ვალუტის და

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 241-242.

ფასიანი ქაღალდების დეკლარირება ხორციელდება ინსტრუქციის *„ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესახებ“ საფუძველზე*[1].

ინსტრუქციის თანახმად, შევსებული დეკლარაცია რჩება საბაჟოში და ინახება სპეციალურ არქივში.

დეკლარაციაში არ უნდა იყოს წაშლილი და გადასწორებული ადგილები. ყოველი შესწორების შეტანა უნდა მოხდეს არასწორი მონაცემების გადახაზვით და, თუ საჭიროა, შესაბამისი მონაცემების იმავე ფურცელზე ჩამატებით. ყოველი შესწორება მოწმდება საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და პირადნომრიანი ბეჭდის დასმით.

დეკლარაცია ივსება ფიზიკური პირის სურვილისამებრ ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. გაურკვეველად შევსებული დეკლარაციები საბაჟო ორგანოების მიერ არ მიიღება.

ინსტრუქციაში მოცემულია ფიზიკური პირის დეკლარაციის შევსების წესი.

საბაჟო ორგანოებს 1998 წლის 5 ნოემბრიდან აეკრძალათ ფიზიკური პირების მიერ ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით ერთჯერად საქართველოში შემოტანილი 100 კილოგრამზე მეტი წონის ტვირთის ან 20 კილოგრამზე მეტი ერთგვაროვანი საქონლის ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციებით გაფორმება; ყოველ ასეთ შემთხვევაში მათი *საბაჟო გაფორმება ხორციელდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებით.*

საქართველოში სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმები იდენტურია ევროპის კავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნების ერთიანი საბაჟო ადმინისტრაციული დოკუმენტისა. ეს ფორმები წარმოადგენენ ძირითად დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ცნობები საქონლის შესახებ, მათი საბაჟო რეჟიმების შესახებ და სხვა მონაცემები. ეს მონაცემები ესაჭიროებათ საბაჟო ორგანოებს მათზე დავალებული ფუნქციის შესასრულებლად.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსება საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პროცესია; იგი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და დახელოვნებას.

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, ნორმატიული აქტების კრებული, თბ., 2002, გვ. 132-137.)

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი ფიზიკური პირის კუთვნილი საქონლის დეკლარირება ხორციელდება სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში „სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის" გამოყენებით „სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის" შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე (2000 წლის 25 მაისი, № 87).

საქონლის გატარება ხდება საბაჟო გაფორმების დამთავრების შემდეგ. საქონლის საბაჟო გაფორმება იწყება საქონლის საბაჟო გაფორმების ადგილზე მიტანის, საბაჟოში შეტყობინების, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციისა და არსებულ დებულებებში მითითებული სხვა დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. საბაჟოს მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მიღება დასტურდება № 7 გრაფაში დეკლარაციის ნომრისა და მისი საბაჟო გაფორმებისათვის მიღების თარიღის ჩვენებით. საბაჟოებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამატებითი საბუთები და მონაცემები სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში და წარდგენილ საბუთებში არსებული ინფორმაციის შემოწმების მიზნით, თუ არსებობს ეჭვი წარდგენილი დოკუმენტებისა და მათში გაცხადებული მონაცემების სისწორის მიმართ.

საბაჟო გაფორმება მთავრდება კონტროლისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტისა და მონაცემების შემოწმების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – გაცხადებული საქონლის დათვალიერების შემდეგ. გაფორმების დამთავრდება დასტურდება დამღით „გაშვება ნებადართულია".

ინსტრუქციაში მოცემულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის და მათი დამატებითი ფურცლების შევსების წესი. ინსტრუქცია ვრცელდება იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის კომპლექტი შედგება 4 აკინძული ფურცლისაგან (ფორმა T-D-1). დეკლარაცია ივსება საქონლის ან ქონების ყოველ პარტიაზე, რომელიც შედგება ერთი დასახელების საქონლისაგან ან ქონებისაგან იმ პირობით, რომ მათ მიმართ ვრცელდება ერთი და იგივე საბაჟო რეჟიმი. თუ პარტია მოიცავს რამდენიმე დასახელების საქონელს ან ქონებას, გამოიყენება დამატებითი ფურცლები (T-D-2). თითოეული მათგანი იძლევა კიდევ სამი დასახელების საქონლის ან ქონების დეკლარირების შესაძლებლობას. ერთ დეკლარაციაში შეიძლება გა-

ცხადებული იყოს მონაცემები 99 დასახელების საქონელზე ან ქონებაზე (ერთდროულად დეკლარაციას შეიძლება თან ერთვოდეს 33 დამატებითი ფურცელი).

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფურცლები ნაწილდება შემდეგნაირად:

პირველი ფურცელი რჩება საბაჟოში და ინახება სპეციალურ არქივში;

მეორე ფურცელი ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკის სამმართველოს;

მესამე ფურცელი უბრუნდება საქონლის განმცხადებელ პირს;

მეოთხე ფურცელი ინახება საბაჟო ბუღალტერიაში.

დეკლარაცია ივსება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. გაურკვეველად შევსებული დეკლარაციები საბაჟო ორგანოების მიერ არ მიიღება.

ინსტრუქციაში განსაზღვრულია საბაჟო-სატვირთო დეკლარაციების შევსების წესები[1].

დეკლარაციაში და დამატებით ფურცლებში არ უნდა იყოს წაშლილი და გადასწორებული ადგილები. ყოველი შესწორების შეტანა უნდა მოხდეს არასწორი მონაცემების გადახაზვით და იმავე ფურცელზე ჩაბეჭდვით ან ჩაწერით, ჩამატებით. ყოველი შესწორება მოწმდება დეკლარანტის მიერ. თუ საქონელი ექვემდებარება საბაჟო დაბეგვრას და მათზე დამატებითი ფურცლების მაგიერ გამოიყენება სპეციფიკაციები, შესაფუთი ფურცლები, ქონების ჩამონათვალი, მაშინ მათში აღინიშნება შესაბამისი საქონლის დასახელება, მათი კოდი, რაოდენობა და ღირებულება.

საერთაშორისო წესებით დადგენილია საფოსტო გზავნილების დეკლარაციის შევსების მონაცემები: გამგზავნის სახელწოდება და მისამართი; გზავნილის გასავლის ნომერი; მიმღების სახელწოდება და სრული მისამართი; ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა დეკლარირების საგანი საჩუქარი ან საქონლის ნიმუში; დანიშნულების ქვეყანა; საერთო, ბრუტო წონა; გზავნილების რაოდენობა; გზავნილის შიგსაროის ვრცელი ჩამონათვალი; სატარიფო ნომერი; ნეტო წონა; გაცხადებული ღირებულება.

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, ნორმატული აქტების კრებული, თბ., 2002, გვ. 138-145.

საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია საქონელი, რომლის შემოტანა ხორციელდება ლიცენზიებით:

სამედიცინო მოწყობილობა; სამკურნალო საშუალებები და ნედლეული; მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები; სამრეწველო ნარჩენები; ნარკოტიკული ნივთიერებები; იარაღი და ტყვია-წამალი.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით აკრძალულია:

- ქვეყნის ტერიტორიაზე იარაღის, ტყვია-წამლის და სხვა საბრძოლო დანიშნულების ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და გატანა შესაბამისი სამსახურების (შსს, უშიშროების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო) ნებართვის გარეშე;
- სამკურნალო საშუალებების (მედიკამენტები, წამლები, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვის გარეშე;
- ბირთვული, ატომური, ქიმიური ნივთიერებებისა და მათი შემცველი საგნების შემოტანა, გატანა და ტრანზიტი შესაბამისი სამსახურების (შსს, უშიშროების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ბუნებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო) ნებართვის გარეშე.
- საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი და მეწარმე-სუბიექტი ვალდებულია საბაჟოს წარუდგინოს სწორად შევსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, აგრეთვე, საბაჟო დათვალიერებისათვის – სატრანსპორტო საშუალება, პირადი ბარგი, ხელბარგი და თანმხლები ტვირთი.

საბაჟო დეკლარაციის შედგენისაგან თავისუფლდებიან:

- სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟის წევრები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო რეისებს, კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაკები და სხვა პირები, რომლებსაც სამსახურის გამო უფლება აქვთ გადაკვეთონ საზღვარი მოკლე ვადით;
- უცხოური კრუიზის ტურისტები, რომლებიც საქართველოს პორტებში ყოფნის დროს ცხოვრობენ გემებზე და ჩამოდიან ნაპირზე მხოლოდ მოკლევადიანი ექსკურსიების გამო.

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის დადგენილებით „ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის დაბეგვრის წესისა და დაბეგვრისაგან გათავისუფლებული საქონლის ნუსხის შესახებ“ განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმები:

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ყოველი შემოსვლისას შემოტანილი დაბეგვრისაგან გათავისუფლებული 300 ლარამდე ღირებულების საქონლად ჩაითვალოს არა უმეტეს 50 კილოგრამი საერთო წონის ტვირთი. ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის შეფასება.

ფიზიკური პირის მიერ არაკომერციული დანიშნულებით შემოტანილი 50-დან 100 კგ-მდე წონის ტვირთი იბეგრება საბაჟო გადასახადით 1 ლარით კილოგრამზე.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ერთჯერად 100 კგ-ზე მეტი ტვირთის ან ერთგეროვანი საქონლის 20 კგ-ზე მეტი ოდენობით შემოტანა განიხილება, როგორც საქონლის კომერციული მიზნით შემოტანა და დაიბეგრება საერთო რეჟიმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

უცხოეთში 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ ფიზიკური პირის საქართველოში შემოსვლისას პარლამენტის დადგენილების პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული ნორმები, იზრდება 5-ჯერ. ამაზე მეტი წონის ტვირთზე გავრცელდება დაბეგვრის საერთო რეჟიმი.

საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსული ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალება და სხვ.) იმპორტი არ იბეგრება.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში დროებით შემოტანილი და საქართველოდან დროებით გატანილი საქონელი შეიტანება საბაჟო დეკლარაციაში. ამავე დადგენილებაში მოცემულია იმ აქციზური საქონლის ნუსხა, რომლის შემოტანა შეიძლება დაუბეგრავად: ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი – 3 ლიტრი; ლუდი – 10 ლიტრი; თამბაქოს ნაწარმი – 200 ღერი; ძვირფასი ლითონისაგან, მელქიორისაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი – 1 ცალი; მსუბუქი ავტომობილის საბურავი – 4 ცალი[1].

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფიზიკურ პირს საქართველოდან ყოველი გასვლისას უფლება აქვს ხელბარგით და თანმხლები ბარგით გაიტანოს: საქართველოში შემოსვლისას დეკლარირებული ნივთები; პირადი სარგებლობის ახალი (ლეგა-

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი I, გვ. 354-355.

ლურად მიღებული: შეძენილი, ნაჩუქარი, მოგებული) ან ნახმარი ნივთები, კერძოდ: ძვირფასი ლითონების, მელქიორის, ძვირფასი ქვების, მათი გამოყენებით დამზადებული ნივთები, მათ შორის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობები ან მათი ერთი კომპლექტი წონის მიუხედავად, რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს; სახლის ჭურჭელი და ელექტროსაქონელი (სერვიზი, ჭაღი, ბრა, ბროლის ნაწარმი და ა. შ.), რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს; ტელე-, აუდიო-, ვიდეოტექნიკა, კომპიუტერი და მისი მოწყობილობანი – თითო დასახელების თითო საგანი ან ერთი კომპლექტი; გრამფირფიტები, მაგნიტურ ლენტებზე კასეტები (ვიდეომაგნიტოფონისათვის, აუდიო დისკები და ა. შ.) – 10 ცალი; მუსიკალური ინსტრუმენტი – 1 დასახელების, რომლის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს; კულტურული ფასეულობა, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს; ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი – 10 ლიტრი; თამბაქოს ნაწარმი – 1000 ღერი; მანქანური ქსოვის ხალიჩის ნაწარმი – 2 ცალი; მსუბუქი ავტომობილის საბურავი – 4 ცალი; სამკურნალო პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების საგნები ავადმყოფობის ისტორიიდან ამონაწერის (ცნობის) საფუძველზე მკურნალობისათვის აუცილებელი რაოდენობით.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში დროებით შემოტანილი და საქართველოდან დროებით გატანილი ნივთები შეიტანება საბაჟო დეკლარაციაში. ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ საქართველოდან გასატანი საგნების შეფასება. ღირებულების დასტურად ჩაითვლება: მაღაზიის მიერ გაცემული ჩეკი; სასაქონლო ექსპერტიზის აქტი (დასკვნა); კულტურის სამინისტროს მუშაკის სახელოვნებათმცოდნეო საექსპერტო დასკვნა ნივთის ღირებულების მინიშნებით. საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს არ ცნოს ნივთის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან არ გაატაროს საზღვარზე ნივთი, თუ მისი კუთვნილების შესახებ გააჩნია საკმარისი საფუძველი. ჯერ ერთი, გასატანი საგნები არ უნდა წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან მხატვრულ, ისტორიულ, არქეოლოგიურ, სამეცნიერო ან სხვა ღირებულების მქონე ფასეულობას, რომელთა საქართველოდან გატანა დაიშვება საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვით; მეორე, ფიზიკურ პირს უფლება აქვს

გაიტანოს საზღვარგარეთ საგნები, რომლებიც ითვლება მემკვიდრეობად, საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები მოქალაქის სასარგებლოდ. ასეთი საგნები გაიგზავნება დადგენილი წესით, მემკვიდრეობის უფლების და მემკვიდრეობის შემადგენლობის შესახებ ლეგალიზებული დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოდან ერთჯერადად აღნიშნულ რაოდენობაზე მეტი საგნების ხელბარგით ან თანმხლები ბარგით გატანა განიხილება, როგორც საქონლის კომერციული მიზნით გატანა. ფიზიკური პირის მიერ საგნების გატანა არ იზღუდება რაოდენობით, წონით ან მოცულობით, ხოლო მათი საბაჟო გაფორმება ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაჟო გაფორმების პროცედურები

საბაჟო პროცედურების სახეები. საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ ხორციელდება გაფორმების შემდეგი პროცედურები: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა, მათი დათვალიერება და საბაჟო შემოწმება; საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება; საქონლის გადაზიდვაზე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება; გადასახადების გამოანგარიშება და გადახდევინება; საბაჟოსათვის გარანტიების წარდგენა; საქონლის გაშვება.

საქართველოს საბაჟო კოდექსი (მუხლები 100-106) განსაზღვრავს საბაჟო გაფორმების პროცედურების განხორციელების წესებს. საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საქონლის საბაჟო დათვალიერებას, ამოწმებენ საქონლის დასახელების, წარმოშობის, მდგომარეობის, რაოდენობის, ღირებულების შესაბამისობას წარმოდგენილი დეკლარაციის მონაცემებთან. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს საქონლის საბაჟო დათვალიერებასა და შემოწმებას.

საბაჟო კოდექსი უფლებას აძლევს საბაჟო ორგანოებს შეამოწმონ საბაჟო ტერიტორიაზე შემოსული, საბაჟო ტერიტორიაზე არსებული და ტერიტორიიდან გამსვლელი სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე მოახდინონ მათი საბაჟო დათვალიერება.

რა წესით ხდება ფიზიკური პირის ნივთების საბაჟო დათვალიერება? ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას და საბაჟო კონტროლის ზონაში ყოფნისას საბაჟო ორგანოს მუშაკს უფლება აქვს მოსთხოვოს მას პირადი ნივთების წარდგენა საბაჟო დათვალიერებისათვის და დაათვალიეროს ისინი. შესამოწმებელი ფიზიკური პირი ვალდებულია საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს დაეხმაროს თავისი ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებაში, გახსნას თავისი ბარგი მისი მითითებით. ფიზიკური პირის ნივთების საბაჟო დათვალიერება ხორციელდება მფლობელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. თუ საგნების მფლობელი არ იქნება დადგენილი, ან თუ იგი უარს აცხადებს საბაჟო დათვალიერებაზე დასწრებაზე, პირადი ნივთები შეიძლება დათვალიერებულ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსის შესაბამისად (მუხლი 333), დანაშაულის კვალის ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ დაათვალიერონ შემთხვევის ადგილი, გვამი, ადგილმდებარეობა, სადგომი, საგანი, დოკუმენტი ან სხვა ობიექტი. ადამიანის სხეულის დათვალიერება ხდება შემოწმების ან ექსპერტიზის ჩატარებისას, ხოლო საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილისა – მისი დაყადაღებისა და ამოღების დროს. ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების შედეგად აღმოჩენილი დოკუმენტის, საგნისა და კვალის დათვალიერება ხდება ამ საპროცესი მოქმედების ჩატარებისას.

დათვალიერება ტარდება ორი დამსწრის მონაწილეობით. დათვალიერებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი და ექსპერტი, აგრეთვე ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი.

საბაჟო ორგანოები არ უნაზღაურებენ საქონლის მესაკუთრეს იმ ზიანს, რომელიც დაკავშირებულია სინჯებისა და ნიმუშების აღებასთან. სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევისას საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო ლაბორატორიების ხარჯებს საქონლის

მესაკუთრე არ აანალიზებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი გამოკვლევა ეწყობა აღნიშნული პირის ინიციატივით.

საბაჟო გაფორმების მიზნით საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ აიღონ საქონლის სინჯები და ჩაატარონ მათი გამოკვლევა (ექსპერტიზა). საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სინჯები და ნიმუშები, კონტროლის განხორციელების მიზნით, საბაჟო ორგანოს ნებართვით, შეუძლიათ აიღონ აგრეთვე საქონლის მფლობელებმა ან მათმა წარმომადგენლებმა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. *სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად. სინჯებისა და ნიმუშების აღების შესახებ დგება ოქმი დადგენილი წესით.*

საქონლის მესაკუთრეს, მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ დაესწრნენ საბაჟო ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ესწრებიან სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების, აგრეთვე საქონლის მესაკუთრის, მფლობელისა და სხვა უფლებამოსილი პირების მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას. აღნიშნული პირები და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღებაში, კერძოდ, თავიანთ ხარჯზე განახორციელონ სატვირთო და სხვა ოპერაციები, რომლებიც საჭიროა სინჯებისა და ნიმუშების ასაღებად.

საქონლის მესაკუთრეთა, მფლობელთა და სხვა უფლებამოსილ პირთა დაუსწრებლად საქონლის სინჯები და ნიმუშები საბაჟო ორგანოებმა შეიძლება აიღონ საქონლის წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში; სხვა გადაუდებელი გარემოებების დროს სინჯებისა და ნიმუშების აღებას ესწრება ორი მოწმე, რომლებიც არ არიან დაინტერესებული გამოკვლევის შედეგებით.

საქონლის მესაკუთრეს, მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის შედეგებს. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების მიერ აღებული სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის შედეგები უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოებს.

საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, სხვადასხვა საბაჟო რეჟიმით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისას საბაჟო ორგანო იტოვებს საბანკო გარანტიას ან შესაბამისი ღირებულების საქონელს გარანტის სახით (გირაო), რომლის დაბრუნებაც ხდება საბაჟო რეჟიმების ფაქტობრივი განხორციელებიდან 15 დღის განმავლობაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით (მუხლი 168), „გირაო არის ის ფულადი თანხა ან ფასეულობა, რომელიც ბრალდებულს, მის ნათესავებს ან სხვა პირებსა და ორგანიზაციებს შეაქვთ იმ სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოს დეპოზიტზე, რომლის განსჯადიცაა ეს სისხლის სამართლის საქმე. გირაოს შეტანა შეუძლია აღნიშნულ პირთაგან და ორგანიზაციათაგან რამდენიმეს. გირაოდ შეიძლება მიღებულ იქნეს უძრავი ქონება. თუ ბრალდებული დაარღვევს ნაკისრ ვალდებულებებს, გირაო გადადის სახელმწიფო ბიუჯეტში“.

საბაჟო გაფორმება მთავრდება საქონლის გაშვებით, რის შემდეგაც საქონელი გადადის მფლობელის სრულ განკარგულებაში.

საბაჟო დათვალიერება საფოსტო გზავნილებისა, რომლებშიც მოთავსებულია უცხო სახელმწიფოდან შემოსული საქონელი, ხდება კავშირგაბმულობის საწარმოებში გზავნილის მიმღებისათვის გადაცემამდე. უცხო სახელმწიფოში გასაგზავნი საფოსტო გზავნილების საბაჟო დათვალიერება ხდება კავშირგაბმულობის საწარმოებში მიღების შემდეგ ან მიღებისას.

საბაჟო დათვალიერების უზრუნველყოფის მიზნით, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს შეუძლია მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებათა, შენობების და შესაბამისი საქონლის იდენტიფიკაცია. იდენტიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ტექნიკური ღონისძიებების გატარებით: ლუქის, ბეჭდის, ციფრობრივი, ასოთი ან სხვა მარკირების, საიდენტიფიკაციო ნიშნების, შტამბის დასმა; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა აღწერა; ნახაზების შედგენა, მასშტაბური გამოსახულების, ფოტოსურათების ილუსტრაციების გამოყენება და სხვ. საბაჟო დათვალიერება ხდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის, საბაჟო საწყობების, თავისუფალი საწყობების, თავისუფალი საბაჟო ზონების და უბაჟო მაღაზიების ვიზუალური შემოწმებით. ამასთან, დათვალიერებას აქვს

ადგილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის დროს – გამგზავნ საბაჟოზე და გატანის დროს – დანიშნულების საბაჟოზე[1].

საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები

საბაჟო გაფორმებას წინ უსწრებს წინასწარი ოპერაციები. წინასწარ ოპერაციებს მიეკუთვნება ყველა ქმედება, რომელიც წინ უსწრებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებას. საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარმა ოპერაციებმა უნდა გააიოლოს და დაარქაროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება. წინასწარი ოპერაციების დროს საბაჟო ორგანოები ახორციელებენ წინასწარ საბაჟო მომსახურებას.

საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 108), საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს მესაკუთრეს ან მის უფლებამოსილ პირს აქვს უფლება საბაჟო ორგანოს წინასწარ შეატყობინოს საქართველოს საბაჟო სასაზღვრის გადაკვეთის შესახებ. საბაჟო ორგანო ვალდებულია აღრიცხოს შეტყობინება და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დანიშნოს დრო და ადგილი, სადაც უნდა მიიტანონ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო გაფორმებისათვის.

აღნიშნული შეტყობინების შემდეგ მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი საბუთები საქონლის მდგომარეობის ცვლილებების გარეშე (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში კლებით), დადგენილი მარშრუტით მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას და იმყოფებოდეს იქ მიტანის შემდეგ.

საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი დოკუმენტაცია საბაჟო ორგანომ უნდა მიიტანოს დადგენილ ვადებში,

---

1 ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1998, № 2, გვ. 38.

მიტანის ჩვეულებრივი ვადების შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალებების შესაძლებლობის, დადგენილი მარშრუტისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით. ამასთან, ეს ვადები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ვადას, რომელიც განისაზღვრება დღეში ას კილომეტრზე გაანგარიშებით.

პასუხისმგებლობა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გარკვეულ საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე, მათ შორის საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის, ეკისრება მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.

უფრო კონკრეტულად, წინასწარ ოპერაციებს მიეკუთვნება:

- საბაჟო ორგანოების შეტყობინება საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის ან გადაკვეთის სურვილის შესახებ;
- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა, მიყვანა და დაყენება საბაჟო ორგანოების მიერ მითითებულ საბაჟო გაფორმების ადგილას;
- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა საბაჟო ორგანოებისათვის;
- მოკლე დეკლარაციის წარდგენა.

რაში გამოიხატება შეტყობინება? იგი გამოიხატება საქონლის მიმღების (გამგზავნის) მიერ საგარანტიო ვალდებულებებისა და საქონლის ანგარიშფაქტურის წარმოდგენაში.

საბაჟო ორგანო ყველა შეტყობინებას ატარებს რეგისტრაციაში, ხოლო გადამზიდველს უნიშნავს დროს და ადგილს საბაჟო გაფორმებისათვის.

გადამზიდველი ვალდებულია დათქმულ დროსა და ადგილას მიიტანოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საჭირო დოკუმენტები. საქონლის მიტანა ხდება შეფუთვისა და საქონლის მდგომარეობის შეცვლის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანომ საბაჟო გაფორმების ადგილად მიუთითა ადგილი საბაჟო ტერიტორიის სიღრმეში (მაგალითად, თბილისში), ეს საქონელი საბაჟოდან (სასაზღვრო) გაფორმების საბაჟომდე უნდა გადაიზიდოს საბაჟო კონტროლის პირობებში შიდა საბაჟო ტრანზიტის პროცედურებით.

საგარანტიო ვალდებულება უნდა იყოს დადგენილი ფორმის

და ხელმოწერილი საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ. საგარანტიო ვალდებულების წარმოდგენა არ არის საჭირო: თუ საქონელი გადაიზიდება TIR-ის წიგნაკის საშუალებით; საქონელი გადაიზიდება რკინიგზით; საქონელი წარმოშობილია ქვეყნებში, რომელთა საქონელი საქართველოში არ იბეჭრება; საქართველოს კანონმდებლობით საქონელი გათავისუფლებულია საბაჟო, დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადებისაგან.

ანგარიშ-ფაქტურა შეიცავს საბაჟო გაფორმებისა და კონტროლისათვის საჭირო მონაცემებს: ა) ექსპორტიორისა და იმპორტიორის სახელწოდებას, მისამართებს, ხელშეკრულების (კონტრაქტის) ნომერსა და თარიღს; ბ) სატვირთო ადგილების სახეებსა და რაოდენობას; გ) მონაცემებს ნიშანდების (მარკირების) შესახებ; დ) ბრუტო წონას; ე) საქონლის ღირებულებას და სხვ.

რას ნიშნავს მოკლე დეკლარაცია? მოკლე დეკლარაცია შეიცავს ისეთივე ინფორმაციას, როგორიც საჭიროა საქონლის დროებით შენახვისათვის: საქონლის გამომგზავნი პირი და ქვეყანა; საქონლის მიმღები და დანიშნულების ქვეყანა; გადამზიდველი; სატრანსპორტო საშუალებების მონაცემები; სატრანსპორტო დოკუმენტების ნომრები; საქონლის დასახელება; სატვირთო ადგილების რაოდენობა; ბრუტო წონა; იდენტიფიკაციის საშუალებები (პლომბები და სხვ.); დამატებითი მონაცემები[1].

დროებითი შენახვა

საბაჟო კოდექსში ნაჩვენებია დროებითი შენახვის არსი, ადგილები და ვადები. საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან და მათ გაშვებამდე, ან არსებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად პირის განკარგულებაში გადაცემამდე, დროებით ინახება საბაჟო კონტროლის ქვეშ, ექვემდებარება დეკლარირებასა და საბაჟო მოსაკრებლების გადახდას.

---

1 საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები, გვ. 249.

დროებითი შენახვა ხდება სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსებში ან სხვა ადგილებში (დროებით შესანახ საწყობებში). დროებითი შენახვის ვადებს კი ადგენენ საბაჟო ორგანოები, საბაჟო დეკლარაციის წარსადგენად საჭირო დროის, საქონლისა და გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების ხასიათის გათვალისწინებით.

დროებითი შენახვის საწყობში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს დაადგინოს ცალკეული კატეგორიის საქონლის შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადები, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

დროებითი შენახვისა და საქონლის დროებითი შენახვის ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დებულებებსა და ინსტრუქციებში. ასეთი დებულება დროებითი საწყობების შესახებ დამტკიცებულია 1999 წლის ნოემბერში[1].

დებულების თანახმად, საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო ორგანოში მისი წარდგენის მომენტიდან და მათ გაცემამდე ან პირზე გადაცემამდე შერჩეული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად იმყოფებიან დროებით შესანახად საბაჟო კონტროლის ქვეშ. საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები დროებით შენახვაზე მყოფის სტატუსს იღებენ ავტომატურად, მათი საბაჟო ორგანოში წარდგენის მომენტიდან.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოტანისა და მოზიდვის ადგილი მხოლოდ დროებითი შენახვის საწყობია. დროებითი შენახვა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსოებში, ღია მოედნებზე და სხვა ადგილებზე – დროებითი შენახვის საწყობებში. დროებითი შენახვის საწყობები შეიძლება დაარსდეს ნებისმიერ ადგილზე, რომელიც მოწონებული იქნება საბაჟო ორგანოს მიერ.

დროებითი შენახვის საწყობების არსებობა აუცილებელია საერთაშორისო მიმოსვლისათვის აეროპორტებში, აეროდრომებზე, სადაც ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გა-

---

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წლის 13 დეკემბერი, გვ. 45-50.

დაადგილებული საქონლის მიღება, ჩატვირთვა, გადმოტვირთვა და გადაცემა, აგრეთვე საბაჟო ტერიტორიიდან გაშვების პუნქტებში, სადაც ხორციელდება საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლა.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებითი შენახვის საწყობში გადაცემამდე ამ საქონელზე და საშუალებებზე მთელი პასუხისმგებლობა, საბაჟო გადასახადების ჩათვლით, ეკისრება გადამზიდველს. დროებითი შენახვის საწყობი და მისი მიმდებარე ტერიტორია (დროებითი შენახვის საწყობის ტერიტორია) წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას. დროებითი შენახვის საწყობი შეიძლება იყოს ღია ტიპის, ე. ი. გამოსაყენებელი ყველა პირის მიერ და დახურული ტიპის, განკუთვნილი გარკვეული პირების საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესანახად.

დახურული ტიპის საწყობები შეიძლება დაარსდეს: 1. საკუთარი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესანახად; 2. მისი გადამზიდველის მიერ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესანახად; 3. საწყობის მფლობელის მიერ საწყობის დაარსებისას განსაზღვრული გარკვეული პირების საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შენახვისათვის; 4. საწყობის მფლობელის მიერ მისი დაარსებისას განსაზღვრული ცალკეული საქონლის შენახვისათვის.

დროებითი შენახვის საწყობის მოწყობამ უნდა გამორიცხოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საწყობში შემოსვლა და მაი საწყობიდან ამოღება საბაჟო კონტროლის გვერდით ავლით, უზრუნველყოს საწყობში მოთავსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაცულობა და მათთან უცხო პირის შეღწევის შეუძლებლობა. *საწყობის ტერიტორია, მიმდებარე გადმოსატვირთი მოედნების ჩათვლით, მონიშნული უნდა იქნეს, ხოლო საბაჟოს მოთხოვნით — შემოსაზღვრული. დროებითი შენახვის საწყობებში უნდა მიდიოდეს მოხერხებული მისასვლელი გზები.*

დროებითი შენახვის საწყობის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს საწყობის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მათ შორის: ა) ჩამტვირთავ-გადმოსატვირთი და სატრანსპორტო საშუალებებით; ბ) სასაწყობო დაადგარებით;

გ) კავშირგაბმულობის საშუალებებით; დ) ორგტექნიკით; ე) აეროპორტით; ვ) საბაჟო ორგანოს თანამშრომლებისათვის უსასყიდლოდ გამოყოს საბაჟო ორგანოების მოთხოვნების, საბაჟო კონტროლის და საბაჟო გაფორმების პირობების შესაბამისად აღჭურვილი სათავსოები, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებები.

დროებითი შენახვის საწყობის მფლობელი ვალდებულია:

გამორიცხოს საბაჟო კონტროლის გვერდით აკლით შესანახად მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ამოღება; არ გაართულოს საბაჟო კონტროლის განხორციელება; არ დაუშვას მესამე პირის შეღწევის შესაძლებლობა შენახულ საქონელთან და სატრანსპორტო საშუალებებთან; დაიცვას დროებითი საწყობის დაარსებაზე მიღებული ლიცენზიის პირობები და შეასრულოს საბაჟო ორგანოების მოთხოვნები; საბაჟო ორგანოს მოთხოვნით მოახდინოს საქონლის ტრანსპორტირება, მისი აწონვა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შესწორება, შეფუთვის გახსნა და ა. შ.; ლიცენზიის გაუქმების ან ჩამორთმევის შემთხვევაში უზრუნველყოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაცულობა და საწყობის ლიკვიდაციის პროცედურების შესრულება.

დროებითი შენახვის საწყობში თავსდება საქართველოს საზღვარზე გადასაადგილებელი ნებისმიერი საქონელი და სატრანსპორტო საშუალება. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანად ან ამ ტერიტორიიდან გასატანად აკრძალული საქონელი შეიძლება მოთავსებულ იქნეს მხოლოდ დროებითი შენახვის საწყობებში, რომელთა მფლობელებიც არიან საბაჟო ორგანოები.

საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ სხვა საქონელს ან მოითხოვენ შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა ინახებოდეს დროებითი შენახვის საწყობის სპეციალურად მოწყობილ სათავსოებში.

საქონლის დროებითი შენახვის ვადებს, მათი კატეგორიების მიხედვით, კონკრეტულ საწყობებში ადგენს საბაჟო, საბაჟო დეკლარაციის მიწოდებისათვის აუცილებელი დროიდან, საქონლის ხასიათიდან, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებებისა და დროებითი შენახვის საწყობის მფლობელის მოსაზრების გათვალისწინებით.

საბაჟო ბროკერი

საბაჟო ბროკერი (შუამავალი) არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზია საბაჟო ბროკერის საქმიანობის განსახორციელებლად.

საბაჟო ბროკერი თავის საქმიანობას ახორციელებს საბაჟო კოდექსისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საბაჟო ბროკერის მარწმუნებელთან ურთიერთობას საფუძვლად უდევს წერილობითი ხელშეკრულება.

საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციების განხორციელების უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ ლიცენზირებულ საბაჟო ბროკერს.

საბაჟო ბროკერის საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად საწარმო ვალდებულია:

1. დადოს საბაჟო ბროკერის საქმიანობის საგარანტიო ან სადაზღვევო ხელშეკრულება. სადაზღვევო თანხა ან საბანკო გარანტია არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები;

2. ჰქონდეს საბაჟო ბროკერის საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა;

3. შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უსრულველყოფენ საბაჟო გაფორმებას, აღრიცხვის წარმოებასა და ანგარიშგებას, რომლებშიც ზუსტად აისახება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ წარმოებული ოპერაციები.

ბროკერის უფლება-მოვალეობები უფრო კონკრეტულად განსაზღვრულია დებულებაში „საბაჟო ბროკერის შესახებ“. დებულების მიხედვით, საბაჟო ბროკერის მოვალეობებია:

- დაწესებული ფორმით და დაწესებულ ვადებში განაცხადოს მონაცემები საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე და მათ საბაჟო რეჟიმზე, განაცხადოს სხვა მონაცემები, რომლებიც აუცილებელია საბაჟო მიზნებისათვის;
- საქართველოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნაზე წარმოადგინოს დეკლარირებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები;

- საქართველოს საბაჟო ორგანოში წარმოადგინოს საბაჟო მიზნებისათვის აუცილებელი დოკუმენტები და დამატებითი მონაცემები;
- შეამოწმოს მარწმუნებელი პირისაგან მიღებული საბაჟო მიზნებისათვის აუცილებელი დოკუმენტებისა და მონაცემების სისწორე;
- საქართველოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნით დაესწროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას და აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს საბაჟო გაფორმების წარმოებაში;
- საქართველოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნით მარწმუნებელი პირის ხარჯზე განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება, აწონვა ან მისი რაოდენობის სხვაგვარი განსაზღვრის, საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვის, გადმოტვირთვის, გადატვირთვის, დაზიანებული შეფუთვის გასწორების, შეფუთვის გახსნის, შეფუთვის ან შეფუთვის შეცელის ოპერაციები, აგრეთვე გახსნას სათაესოები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იმყოფებოდეს ზემოთ მითითებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები;
- განახორციელროს საბაჟო გადასახდელების სწორი გამოთვლა და გადახდევინება და სხვ.

საბაჟო ბროკერს ლიცენზია შეიძლება გაუუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ:

- ლიცენზია გაიცა არასრული ან არასარწმუნო ცნობების საფუძველზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების მისაღებად;
- საბაჟო ბროკერს არ შეუძლია ლიცენზიის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში საქმიანობის დაწყება ან შეაჩერებს ამ საქმიანობას 6 თვეზე მეტი ვადით;
- საბაჟო ბროკერი აღარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზედაც გაიცა ლიცენზია;
- გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ ძალაშია მისი მიღების დღიდან.

საბაჟო ბროკერის ლიცენზია შეიძლება ჩამოართვას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ საბაჟო ბროკერი:

1. არღვევს, არ ასრულებს ან არ შეუძლია შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები;

2. არამართლსაბამიერად აყენებს ზიანს მარწმუნებელს, მათ შორის, იმ ცნობების უკანონოდ გამოყენებით, რომლებიც შეიცავს კომერციულ საიდუმლოს ან საიდუმლო ინფორმაციას, რაც დადგენილია სასამართლოს მიერ.

საბაჟო ბროკერის ვალაუვალად ცნობის შემთხვევაში, ან თუ საბაჟო ბროკერი თავს გაკოტრებულად გამოაცხადებს, მისი ლიცენზია ავტომატურად ითვლება ძალადაკარგულად.

ლიცენზიის მიღებაზე საბაჟო ბროკერის განმეორებითი განცხადება შეიძლება განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების, ჩამორთმევის ან ძალადაკარგულად ცნობის, ანდა მოქმედების შეჩერების დღიდან 6 თვის შემდეგ, თუ აღმოიფხვრება მიზეზები, რომელთა გამო მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება.

საბაჟო ბროკერის ლიცენზიის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ არსებობს საფუძველი, რომ იგი არაკეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს. საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება 3 თვემდე ვადით შეუძლია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს. გადაწყვეტილება საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ჩამორთმევის, ძალადაკარგულად ცნობისა და მოქმედების შეჩერების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზია გაიცემა 2 წლის ვადით. საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს.

საბაჟო ბროკერს უფლება აქვს თავისი სახელით, მისი მარწმუნებლის ხარჯზე და დავალებით განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ნებისმიერი ოპერაცია და საბაჟო საქმეში შეასრულოს სხვა საშუამავლო ფუნქციები.

საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციების განხორციელებისათვის საბაჟო ბროკერი ასრულებს

ყველა მოვალეობას და მას ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორიც დაეკისრებოდა საბაჟო სასღვრის გავლით საქონლის დამოუკიდებლად გადამაადგილებელ პირს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი აწარმოებს საბაჟო ბროკერთა უწყებრივ რეესტრს და უზრუნველყოფს მის გაცნობას დაინტერესებულ პირთათვის.

საბაჟო ბროკერისა და მისი მუშაკების მიერ მარწმუნებლისაგან მიღებული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საბაჟო მიზნებისათვის.

ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ, საბანკო და კანონით დაცულ სხვა საიდუმლოს, არ შეიძლება გახმაურდეს. აკრძალულია ასეთი ინფორმაციის გამოყენება საბაჟო ბროკერის მიერ საკუთარი მიზნებისათვის, აგრეთვე მისი გადაცემა მესამე პირისათვის (გარდა საბაჟო ორგანოებისა), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

საბაჟო გადამზიდველი

საბაჟო გადამზიდველი არის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზია საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განსახორციელებლად.

საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება აქვს მხოლოდ საბაჟო გადამზიდველს, რომელმაც აიღო საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზია. გარდა:

ა) საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით ან/და ელექტროგადამცემი ხაზებით გადასაადგილებელი, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე თავისი სვლით გადაადგილებული, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ავტოსატრანსპორტო

საშუალებებისა, თუ ამ საშუალებებით საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი არ გადაიზიდება.

საბაჟო გადამზიდველი თავის საქმიანობას ახორციელებს საბაჟო კოდექსისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საბაჟო გადამზიდველის ურთიერთობა საქონლისა და დოკუმენტების გამომგზავნთან ან მის წარმომადგენელთან განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე.

საბაჟო გადამზიდველის საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად საწარმო ვალდებულია:

- გააჩნდეს ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ტექნიკურად გამართულია და აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
- დადოს საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის საგარანტიო ან სადაზღვევო ხელშეკრულება. სადაზღვევო თანხა ან საბანკო გარანტია არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები;
- გააჩნდეს საკუთრებაში ან სრულ სამეურნეო გამგებლობაში, ან, სულ ცოტა, 3 წლის ვადით იჯარით აღებული საჭიროებისამებრ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს 48 საათის განმავლობაში თუნდაც ერთი სატრანსპორტო საშუალების მისვლას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბაჟო გაფორმების ადგილზე.

საბაჟო გადამზიდველს ლიცენზია შეიძლება გაუუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ:

- საბაჟო გადამზიდველის საქმიანობაზე ლიცენზია გაიცა არასრული ან არასარწმუნო ცნობების საფუძველზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების მისაღებად;
- საბაჟო გადამზიდველს არ შეუძლია ლიცენზიის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში საქმიანობის დაწყება ან შეაჩერებს ამ საქმიანობას 6 თვეზე მეტი ვადით;
- საბაჟო გადამზიდველი აღარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზედაც გაიცა ლიცენზია;
- გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ ძალაშია მისი მიღების დღიდან.

საბაჟო გადამზიდველს ლიცენზია შეიძლება ჩამოართვას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ:

- საბაჟო გადამზიდველი არ ასრულებს ან არ შეუძლია შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, საქონლის გადატანაზე აცხადებს დაუსაბუთებელ უარს, გამოყენებისათვის გამიზნული სატრანსპორტო საშუალებები ტექნიკურად გაუმართავია და არ შეესაბამება სტანდარტებს ანდა არ არის საჭიროებისამებრ აღჭურვილი, აგრეთვე გადაზიდვაზე ხელოვნურად არის გაზრდილი საფასური, რაც არ შეესაბამება ასეთი მომსახურების საშუალო ღირებულებას;
- ირღვევა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- მესაკუთრეს ან მის წარმომადგენლებს მიაყენეს ზიანი;

ეს გადამზიდველის სურვილია.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ ძალაშია მისი მიღების დღიდან. ლიცენზიის მიღებაზე საბაჟო გადამზიდველის განმეორებითი განცხადება შეიძლება განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების, ჩამორომევისა და ძალადაკარგულად ცნობის ანდა მოქმედების შეჩერების დღიდან 6 თვის შემდეგ.

საბაჟო გადამზიდველს ლიცენზიის მოქმედება შეიძლება შეუჩერდეს 3 თვის ვადით, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ გადამზიდველი ბოროტად იყენებს თავის უფლებებს.

საბაჟო გადამზიდველის მოვალეობებია:

- მიაწოდოს საქონელი დანიშნულების საბაჟოს მისი შეფუთვისა და მდგომარეობის შეუცვლელად, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში კლებით;
- დაიცვას საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილი მიწოდების ვადები და მარშრუტი;
- წარმოადგინოს საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დანიშნულების საბაჟოში;
- არ გადაზიდოს საბაჟო კონტროლის პირობებში მყოფ საქონელთან ერთად სხვა რაიმე საქონელი;
- აწარმოოს საბაჟო კონტროლის პირობებში გადაზიდული საქონლის აღრიცხვა და საბაჟო ორგანოების წინაშე შესაბამისი ანგარიშგება;

- არ გასცეს საქონლის გამგზავნისაგან მიღებული ის კომერციული, საბანკო და სხვა ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით დაცულ საიდუმლოებას;
- დანიშნულების საბაჟოში შეტანილი საქონელი საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე არ დატოვოს უმეთვალყურეოდ, არ შეუცვალოს დგომის ადგილი, არ გადმოცალოს, გადაცალოს, გახსნას შეფუთვა, მოაცილოს იდენტიფიკაციის ნიშნები.

საბაჟო ორგანოები რეგისტრაციას უკეთებენ საბაჟო გადამზიდველებს და პერიოდულად აქვეყნებენ მათ სიებსა და რეკვიზიტებს.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლისა და მისი საბუთებიდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ, საბანკო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას, ანდა კონფიდენციალური ინფორმაცია, – არ უნდა გახმაურდეს. დაუშვებელია ინფორმაციის გამოყენება საბაჟო გადამზიდველისა და მისი მუშაკების მიერ საკუთარი მიზნებისათვის, გადაცემა მესამე პირისათვის. ეს არ ეხებათ საბაჟო ორგანოებს.

1998 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე არ დაიშვება დაულუქავი საიმპორტო ტვირთის (საქონელი, პროდუქტი) სამგზავრო ავტოტრანსპორტით (ავტობუსებით) გადაადგილება:

1. სამგზავრო ავტობუსებით შემოტანილი საიმპორტო და სატრანზიტო ტვირთის (საქონლის) სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, საბაჟო ზონაში ხდება მისი ზუსტი აღრიცხვა და საბაჟო გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ ტვირთის მფლობელის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის თანდასწრებით;

2. სატვირთო ავტომანქანით შემოტანილი დაულუქავი საიმპორტო და სატრანზიტო საქონელი მოწმდება საბაჟო ზონაში, ილუქება საბაჟო სამსახურის მიერ და იგზავნება მიმღები საბაჟოს ან საბაჟო ტერმინალის მისამართით საბაჟო გაფორმებისათვის;

3. ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე დაულუქავი საიმპორტო და სატრანზიტო ტვირთის მოძრაობა განიხილება მოქმედი საბაჟო წესების დარღვევად და ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

საქართველოს კანონის შესაბამისად, დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი საბაჟო გაფორმების დროს იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით საერთო რეჟიმის შე-

საბამისად, საქონლის საბაჟო ღირებულების 20-პროცენტიანი გადაკვეთით. იმპორტული საავტომობილო ბენზინისა და თხევადი გაზის საბაჟო გაფორმება ხდება მხოლოდ საქსტანდარტში აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკაციის წარმოდგენის შემდეგ.

მოკლე დასკვნები

- *საბაჟო გაფორმება გარკვეული საბაჟო პროცედურების ჩატარებაა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა და ამ რეჟიმის დამთავრების მიზნით.*
- *საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებას.*
- *დეკლარანტი შეიძლება იყოს საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი ან საბაჟო ბროკერი.*
- *საბაჟო დეკლარაციის სახეებია: სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია; ფიზიკური პირის დეკლარაცია; საფოსტო გზავნილების დეკლარაცია; სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.*
- *საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ ხორციელდება საბაჟო გაფორმების პროცედურები.*
- *საბაჟო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბაჟო ბროკერსა და საბაჟო გადამზიდველს.*

კითხვები გამეორებისათვის

- *რა არის საბაჟო გაფორმება?*
- *რა იგულისხმება საბაჟო პროცედურებში?*
- *ჩამოთვალეთ დეკლარაციის სახეები და განმარტეთ მათი შევსების წესები.*
- *რას ნიშნავს დეკლარირება?*
- *რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს დეკლარანტმა საბაჟო გაფორმებისათვის?*
- *რას ნიშნავს წინასწარი ოპერაციები?*

- *რა არის და ვინ შეიძლება იყოს საბაჟო ბროკერი? საბაჟო ბროკერის უფლება-მოვალეობები. ვინ შეიძლება იყოს საბაჟო გადამზიდველი?*
- *რა უფლებები და მოვალეობები აქვს საბაჟო გადამზიდველს?*

თავი 10. საბაჟო კონტროლი

საბაჟო კონტროლის განხორციელება და მისი სახეები

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება საბაჟო კონტროლის საკითხებს. საბაჟო კოდექსში ასლებურადაა გააზრებული და გადაწყვეტილი საბაჟო კონტროლის კარდინალური დებულებები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, საბაჟო კონტროლს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ახორციელებენ. საბაჟო კონტროლი ითვალისწინებს: საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებას; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო შემოწმებას; პირად გასინჯვას; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას; ფიზიკური პირების ზეპირ გამოკითხვას; აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმებას; დროებითი შენახვის საწყობების ტერიტორიისა და სათავსების, საბაჟო საწყობების, თავისუფალი საწყობების, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებისა და სხვა ადგილების დათვალიერებას, სადაც შეიძლება ინახებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ანდა ხორციელდებოდეს საქმიანობა, რომლის კონტროლიც ევალებათ საბაჟო ორგანოებს; კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის სხვა სახეებს[1]. საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განისაზღვრება კანონქვემდებარე აქტებით.

---

1 საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2003, გვ. 46-47.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლს მიეკუთვნება: საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გავლით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას.

საქონლის მახასიათებლების მიხედვით გამოიყოფა საბაჟო კონტროლის შემდეგი ჯგუფები: საერთაშორისო გადაზიდვების ტვირთების კონტროლი; იმ ბარგის კონტროლი, რომელიც ფიზიკურ პირს ჩაბარებული აქვს სატრანსპორტო ორგანიზაციებზე და გადაიზიდება მისი უშუალო თანხლების გარეშე; ხელბარგის და მგზავრის თანხლებით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ბარგის კონტროლი; ფიზიკური პირის პირადი საბაჟო კონტროლი.

სატრანსპორტო საშუალებების სახეობის მიხედვით განასხვავებენ საბაჟო კონტროლის ფორმებს: საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების (გემების) საბაჟო კონტროლი; სარკინიგზო ტრანსპორტის საბაჟო კონტროლი; საჰაერო ხომალდების საბაჟო კონტროლი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი.

უცხო ქვეყნებთან საბაჟო კონტროლის საქმეში თანამშრომლობის სახეობების მიხედვით განასხვავებენ საბაჟო კონტროლის ფორმებს: ორმხრივი საბაჟო კონტროლი; საბაჟო კონტროლს ახორციელებენ ორივე ქვეყნის საბაჟო დაწესებულებები; ცალმხრივი საბაჟო კონტროლი. ამ შემთხვევაშიც ორივე ქვეყნის საბაჟო სამსახურები ერთობლივად ახორციელებენ საბაჟო კონტროლს. კონტროლის პროცესის დაჩქარების მიზნით ასეთი კონტროლი შეიძლება განხორციელდეს სამგზავრო მატარებლებისა და ავტობუსების საბაჟო კონტროლის განხორციელებისას.

საქართველოში საბაჟო ორგანოების საქმიანობაში გამოიყენება საბაჟო კონტროლის მეთოდები, რომლებიც წარმოადგენენ კონტროლის ხერხებისა და მათი გამოყენების ფორმების ერთობლიობას. ეს მეთოდებია: ჩვეულებრივი კონტროლი, რომელიც ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში შემოსულ საქონელსა და

სატრანსპორტო საშუალებაზე; საბაჟო კონტროლი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას; სრული საბაჟო კონტროლი ყველა არსებული საშუალებითა და ხერხებით; შერჩევითი კონტროლი და ა. შ.

საბაჟო კონტროლის სახეები, ფორმები და მეთოდები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული მათი პრაქტიკული გამოყენების პროცესში.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება ხუთ ეტაპად. კონტროლის ჩატარების საფუძველია საბაჟო დეკლარაცია. პირველ ეტაპზე ტარდება დეკლარაციის მონაცემების ფორმალურ-ლოგიკური კონტროლი. მთავარია დადგინდეს დეკლარაციის უტყუარობა. მისი გადამოწმება ხდება კომპიუტერული პროგრამით. თუ ასეთი ტექნიკა არ გააჩნიათ, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი ვიზუალურად ათვალიერებს საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის შევსების სისწორეს და თანმხლები დოკუმენტების შესაბამისობას გამოცხადებული რეჟიმისადმი და საქონლის ამ სახისადმი; *მეორე ეტაპი.* ამ ეტაპზე საბაჟო კონტროლის საგანია საგადასახადო ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ამავე პერიოდში მოწმდება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სავალუტო კანონმდებლობის დაცვა; *მესამე ეტაპი.* ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო გადასახადების სისწორეს, საბაჟო-სატარიფო კანონმდებლობის შესრულებას, ახორციელებენ გადასახადების საბაჟო ანგარიშებზე შემოსავლის კონტროლს; *მეოთხე ეტაპი.* ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო დეკლარაციის იმ გრაფების სისწორეს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საბაჟო სტატისტიკა. *მეხუთე ეტაპი.* ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოს სატვირთო განყოფილების უფროსი ან სხვა ამაზე უფლებამოსილი პირი ღებულობს გადაწყვეტილებას საქონლის შემოწმების ჩატარების შესახებ.

საბაჟო კონტროლის ხუთიანი ეტაპის განხორციელების დამთავრებისთანავე სატვირთო დოკუმენტში ისმება შტამპი „გაშვება ნებადართულია". ეს შტამბი, აგრეთვე, საბაჟო დეკლარაციის ნომერი, რომელიც დაესმება სატვირთო დოკუმენტს ზედა მარჯვენა კუთხეში, აუცილებლად უნდა დამოწმდეს საბაჟო სატვირთო (ოპერატიული) განყოფილების უფროსის ან მისგან ამაზე რწმუნებული პირის მიერ. *სხვა თანამშრომლებზე შტამპის*

გაცემა აკრძალულია. სასურველია, რომ საბაჟო კონტროლის ცალკეული ეტაპების კონტროლი განახორციელონ სხვადასხვა პირებმა.

საბაჟო საქმე ნებისმიერი ეკონომიკის ერთ-ერთი საბაზო ინსტიტუტია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი იმ ქვეყნებში, რომლებიც ახორციელებენ ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ეს პირდაპირ ეხება საქართველოს, სადაც მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმები, მიმდინარეობს ფართო მასშტაბით და ეკონომიკის ყველა მიმართულებით. რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბაჟოს. *ჯერ ერთი,* საბაჟოს ეკისრება საგარეო ვაჭრობის ბრუნვის რეგულირება, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღება, ამით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება; *მეორე,* იგი სახელმწიფოს იცავს იარაღის, ნარკოტიკების და სხვა .კონტრაბანდისაგან; *მესამე,* საბაჟო სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას და შიდა ბაზრის დაცვას, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების წახალისებას.

აქედან გამომდინარეობს საბაჟო კონტროლის გაძლიერებისა და მისი მეცნიერული სრულყოფის საჭიროება განვითარების თანამედროვე ეტაპზე. საბაჟო კონტროლის მიზანმიმართული და სწორი ორგანიზაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საბაჟო სისტემისა და მისი სტრუქტურების ფუნქციონირებას. იგი ამავე დროს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ადეკვატური ღონისძიებაა.

საბაჟო კონტროლი გარკვეულ ეფექტიან ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო სისტემის ნორმალურ და მოქნილ ფუნქციონირებას. მისი საფუძველია საბაჟო გაფორმება, რაც, როგორც აღვნიშნეთ, პროცედურაა, რომელიც საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს აქცევს განსაზღვრულ საბაჟო რეჟიმში და ამთავრებს ამ რეჟიმის არსებობას.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება სამი ფორმით: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა დოკუმენტების შემოწმება; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო დათვალიერება; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო გასინჯვა[1].

---

1 ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1998, № 2, გვ. 38.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა დოკუმენტების შემოწმება მიზნად ისახავს საბაჟო გაფორმების განხორციელების სისწორის შესაბამისობას საბაჟო კანონმდებლობასთან. იგი ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. *საბაჟო დოკუმენტები:* საბაჟო დეკლარაცია, მიტანის საკონტროლო საბუთი, სატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული ნებართვა, რომელიც უფლებას იძლევა გადაზიდულ იქნეს საქონელი საბაჟო ბეჭდისა და ლუქის ქვეშ; 2. *სავაჭრო დოკუმენტები:* ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, სპეციფიკაცია; 3. *სატრანსპორტო დოკუმენტები:* რკინიგზით, ავტომანქანებით, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ზედნადები, კონოსამენტი, ხოლო რკინიგზით ტრანსპორტირებისას, აგრეთვე, საგზაო უწყება, სავაგონო ფურცლები, გადასაცემი უწყებები, საბარგო ქვითრები და სხვა; 4. *სხვა დოკუმენტები:* ხარისხის სერტიფიკატი, სამხედრო ნებართვა და სხვა.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას. მისი მიზანია საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესების დაცვის უზრუნველყოფა.

საზღვრებზე ტვირთების გადაზიდვის კონტროლის პირობების შეთანხმების შესახებ ჟენევის 1982 წლის 21 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია განსაზღვრავს საბაჟო კონტროლისა და კონტროლის სხვა სახეების შეთანხმების პრინციპებს.

კონვენციის თანახმად, „საბაჟოს“ ცნების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოებრივი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია საბაჟო კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფაზე, საიმპორტო და საექსპორტო გადასახადების აკრეფაზე, აგრეთვე სხვა წესებისა და კანონების გამოყენებაზე, ეხება ტვირთის შემოტანას, გატანას და ტრანზიტს. საბაჟო კონტროლი გულისხმობს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც გამოყენებულია იმ წესებისა და კანონების უზრუნველსაყოფად, რაზეც პასუხისმგებელნი არიან საბაჟოები.

ჟენევის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, „კონტროლის სამსახურის ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი სამსახური, რომელზედაც დაკისრებულია მოვალეობა განახორციელოს საბაჟო, სამედიცინო-სანიტარიული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული, ტექ-

ნიკურ სტანდარტებთან შესაბამისი, ტვირთების ხარისხის ან კიდევ ნებისმიერი სხვა სახის კონტროლი, რომელსაც რეგულარულად ექვემდებარებიან საიმპორტო, საექსპორტო ან სატრანზიტო ტვირთები".

კონვენციის მოთხოვნაა, „შეიქმნას იქ, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელია, ტვირთების ხარისხის კონტროლისათვის საჭირო პირობები, გადაზიდვის მოთხოვნათა შესაბამისად ხელი შეუწყონ ტვირთების წინ წაწევას".

კონვენციის შესაბამისად, „სხვა სახის კონტროლის ორგანიზაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, კოორდინირდება საბაჟო კონტროლთან. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ერთ ადგილას რამდენიმე სახის კონტროლის ჩატარება, კომპეტენტური სამსახურები ღებულობენ ყველა სათანადო ზომას, რათა კონტროლი ჩატარდეს ერთდროულად ან რაც შეიძლება მოკლე დროში"[1].

კონტროლის სხვა სახეებია:

1. სამედიცინო-სანიტარიული კონტროლი ხორციელდება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის;

2. ვეტერინარული კონტროლი ხორციელდება ცხოველებისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით, აგრეთვე, საგნებსა და ტვირთებზე, რომლებიც შეიძლება იყოს ცხოველურ დაავადებათა მატარებელი;

3. ფიტოსანიტარიული კონტროლი მიმართულია სახელმწიფო საზღვრებს მიღმა მცენარეთა მავნებლების, მავნე მცენარეული წარმოშობის პროდუქტების გადაზიდვისა და გავრცელების წინააღმდეგ;

4. ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისი კონტროლი უზრუნველყოფს ტვირთების მინიმალურ მიახლოებას საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებთან, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი წესებითა და კანონებით;

5. ტვირთის ხარისხის კონტროლი მიმართულია იმ მიზნის განსახორციელებლად, რათა დადგინდეს ტვირთის მინიმალური საერთაშორისო ან ეროვნული ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი წესებითა და კანონებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 124) მიხედვით, „საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო

---

1 ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა", 1998, № 2, გვ. 46.

საშუალებებით გადაკვეთისას საბაჟო კონტროლთან კოორდინაციაში ხორციელდება სამედიცინო-სანიტარიული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის კონტროლი".

საბაჟო კონტროლის ამ სახეების კონტროლს ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

სამედიცინო-სანიტარიული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის კონტროლის ორგანოებს შეუძლიათ მოახდინონ თავიანთ უფლებამოსილებათა მოლიანი ან ნაწილობრივი დელეგირება საქართველოს საბაჟო ორგანოებისადმი. აღნიშნულ ორგანოთა შესაბამისი სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციონირებენ საბაჟო კონტროლის ზონაში. საბაჟო კონტროლის ზონაში ამ სამსახურების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საბაჟო დეპარტამენტი.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ყველა შესაბამისი სახის სახელმწიფო კონტროლის დამთავრებისა და გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 125-ე მუხლში განსაზღვრულია საბაჟო კონტროლის ზონები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ადგილებში იქმნება საბაჟო კონტროლის ზონები. ეს ის ადგილია, სადაც ხდება საბაჟო საზღვრის გადმოკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, სადაც ხდება საბაჟო გაფორმება და განლაგებულია საბაჟო ორგანოები. საბაჟო კონტროლის ზონა კონკრეტული მიწის ნაკვეთია თავისი, მეტწილ შემთხვევაში, შემოღობილი და დაცული ტერიტორიებითა და საზღვრებით. საბაჟო კონტროლის ზონაში მოქმედებს სპეციალური რეჟიმი. ზონაში მკაცრადაა რეგლამენტირებული ტვირთების გადაადგილება, ხოლო საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს მინიჭებული აქვთ დამატებითი უფლებამოსილებანი. ასევე რეგლამენტირებულია საბაჟო კონტროლის ზონაში ტვირთით ან უტვირთოდ შესვლა და გამოსვლა. საბაჟო კონტროლის ზონას აქვს თავისი შინაგანაწესი, რომლის დარღვევისათვის დამრღვევს ეძლევა გაფრთხილება ან ჯარიმდება.

საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენობა-ნაგებობების და საბაჟო საწყობების გარდა, მგზავრთა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების დაწესებულებებია: ფოსტა-ტელეგრაფი, ავტოსამრეცხაო, კვების ობიექტები, ავტოშემკეთებელი და ავტოგასამართი სადგურები, მაღაზიები, სასტუმრო და სხვა. ეს ობიექტები შეიძლება აიგოს და ფუნქციონირებდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით და მისი კონტროლის პირობებში. ძირითადი მოთხოვნა, რაც წაეყენებათ მომსახურების ობიექტებს, იმაში მდგომარეობს, რომ გამოირიცხოს საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლა და გასვლა საბაჟო ორგანოებზე გვერდის ავლით. გარდა ამისა, საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები დაცულ უნდა იქნეს უცხო პირების მიერ ხელყოფისაგან.

საბაჟო კონტროლის ზონა უნდა იმყოფებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის პირობებში. საბაჟო ორგანოს საშუალება უნდა ჰქონდეს თვალყური ადევნოს საბაჟო კონტროლის მთელ პანორამას, მიიღოს ინფორმაცია ცნობილი თუ უცნობი პირების ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ, რათა გამოავლინოს საბაჟო კონტროლისაგან თავის არიდების მიზნით ნივთებისა და ნივთიერებების გადამალვა, სხვა პირებზე გადაცემა, სატრანსპორტო საშუალებების თანამშრომელთა (ნავსადგურის, აეროდრომის, რკინიგზის მტვირთავების და ა. შ.) უსაფუძვლო დაინტერესება ტვირთებით, ბარგით, კონტეინერებით, სატრანსპორტო საშუალებებით და სხვა.

საბაჟო კონტროლის ისეთი ობიექტი, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალება, იყოფა ორად და თითოეულისადმი სხვადასხვა მიდგომაა საჭირო. სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მგზავრებისა და საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებისათვის, ექვემდებარება საბაჟო კონტროლს, როგორც გადაზიდვის საშუალებები. ყველა სხვა მიზნით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს საქონლის დარგში.

საბაჟო კონტროლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში დადებითი როლი შეასრულეს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის-

მა დებულებებმა, ინსტრუქციებმა და სხვა სამართლებრივმა აქ-ტებმა.

ფიზიკურ პირთა მიერ ნივთების, ვალუტისა და ფასეულობათა საქართველოში შემოტანისა და საზღვარგარეთ გატანის დროებითი წესები ფართოდ და ყოველისმომცველად განსაზღვრულია ინსტრუქციაში, რომელიც დამტკიცებულია საბაჟო დეპარტამენტის მიერ. ინსტრუქციის მიხედვით, ფიზიკურ პირებს (პირი, რომელიც ახდენს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთას ბარგით ან ბარგის გარეშე), რომელთაც აქვთ საფუძველი საქართველოში შემოსვლისა და საზღვარგარეთ გასვლისა, უფლება ეძლევათ გადაკვეთონ სახელმწიფო საზღვარი შეუფერხებლად ნივთების, ვალუტისა და ფასეულობათა საბაჟო გაფორმების წესების დაცვით. ფიზიკური პირები, რომლებსაც თანმხლებ ან არათანმხლებ ბარგში გააჩნიათ ისეთი ნივთები, რომლებიც ითხოვენ საბაჟო გაფორმებას, ავსებენ საბაჟო დეკლარაციას. საბაჟო დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს ცნობები იმ საგნებზე, ვალუტაზე და ფასეულობაზე, რომლებიც გააქვთ ფიზიკურ პირებს პირადად, ხელბარგით ან ბარგით და რომლებიც მათ მიერ წარედგინება შესამოწმებლად.

საბაჟო გაფორმებას ექვემდებარება, მიუხედავად რაოდენობისა და ღირებულებისა: უცხოური ვალუტა; ძვირფასი ლითონები, ქვები, მარგალიტი, აგრეთვე ამ ლითონებისაგან, ქვებისაგან და მარგალიტისაგან დამზადებული საიუველირო და სხვა სახის ნაკეთობანი; საგნები, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან მხატვრულ, ისტორიულ, სამეცნიერო ან სხვა სახის კულტურულ ფასეულობას; საგნები და ფასეულობანი, რომელთა დაბეგვრა ხდება საბაჟო გადასახადით.

ინსტრუქციის მიხედვით, საზღვარგარეთ პირად საგნებზე ან ტურისტად მიმავალი ცალკეული პირის ბარგზე საბაჟო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ იმ საბაჟოში, რომლიდანაც მფლობელი გადის საქართველოდან.

ნივთების საბაჟო კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში: შესამოწმებელ დარბაზში, თვითმფრინავებში, ავტობუსებში, ვაგონებში, გემებზე, სატრანსპორტო ორგანიზაციათა საწყობებში და ა. შ. ბარგის მფლობელის ან იმ პირთა თანდასწრებით, რომლებიც მინდობილობით მოქმედებენ.

ინსტრუქციაში განსაზღვრულია საბაჟო ორგანოთა თანამდებობის პირთა უფლებები: ა) შეამოწმონ ფიზიკურ პირთა საბაჟო დეკლარაციაში მოყვანილი ცნობები; ბ) შეაჩერონ ის ფიზიკური პირები, რომლებსაც გააჩნიათ საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საგნები და რომლებმაც არ შეიტანეს ასეთი საგნები დეკლარაციაში; გ) დაათვალიერონ ფიზიკურ პირთა ხელჩანთები და მათი ბარგი; დ) არ გაატარონ სახელმწიფო საზღვარზე ნივთები, ვალუტა და ფასეულობანი, რომელთა შემოტანა საქართველოში ან გატანა საზღვარგარეთ აკრძალულია. საბაჟო გაფორმებისა და სახელმწიფო საბაჟო კონტროლის განხორციელებისას დაუშვებელია ფიზიკურ პირთა პატივისა და ღირსების დამამცირებელი მოქმედებანი ან ფიზიკურ პირებზე გაუმართლებელი ზარალის მიყენება. ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ მათი კუთვნილი საგნების შემოწმებას, მიიღონ ინფორმაცია საბაჟო წესების შესახებ, საბაჟო დაწესებულებებში სახელმწიფო საზღვარზე გაუტარებელი საგნების შესანახად დატოვების შესახებ. ბარგისა და ხელჩანთის გახსნას და ნივთების ხელახლა შეფუთვას ახდენს ფიზიკური პირი.

ფიზიკური პირის კუთვნილი ტვირთი, რომლის გადაადგილება ხდება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე და მასზე არ ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათიანი პირობები, იბეგრება საბაჟო და პროცედურების გადასახადებით. ტვირთი, რომელზეც არ არის გადახდილი შესაბამისი გადასახადები, საზღვრის გადაკვეთას არ ექვემდებარება. გადასახადებს იხდის ტვირთის მფლობელი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი.

აღსანიშნავია, რომ სამამულო წარმოების საქონელი, შემოტანილი საზღვარგარეთიდან, ექვემდებარება უბაჟო გატარებას, მისი ღირებულებისა და ხარისხის მიუხედავად.

ეროვნული და უცხოური ვალუტის საზღვარზე გატანისას აუცილებელია მისი სრულად ასახვა საბაჟო დეკლარაციაში. დეკლარირებული ვალუტის გატანა-შემოტანა თავისუფალია და არ იბეგრება. ვალუტის არადეკლარირებული გატანა ან შემოტანა ისჯება მოქმედი კანონმდებლობით.

სამეწარმეო საქმიანობა, საქონლის სატრანსპორტო საშუალებათა და ფიზიკურ პირთა გადაადგილება საბაჟო კონტროლის

ზონების საზღვრის გადაკვეთით ან მათ ფარგლებში დაიშვება მხოლოდ საბაჟო ორგანოების ნებართვით და მათი კონტროლით. აღნიშნულ შემთხვევაში საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლა დაიშვება საბაჟო ორგანოებისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

რიდის იწყება საბაჟო კონტროლი? კოდექსში განსაზღვრულია საბაჟო კონტროლ'ს ეოფნის დრო. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისას საბაჟო კონტროლი იწყება მათ მიერ საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის მომენტიდან. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გატანისას საბაჟო კონტროლი იწყება საბაჟო დეკლარაციის მიღების მომენტიდან.

რიდის მთავრდება საბაჟო კონტროლი? საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საბაჟო კონტრილი მთავრდება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტის დროს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმების შემთხვევაში – შესაბამისი რეჟიმის სრული დამთავრებისას.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 127) მიხედვით, საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას გადამაადგილებელი პირი ან პირები, რომლებიც ეწევიან საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას, ვალდებულნი არიან ამ ორგანოებს წარუდგინონ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები და ცნობები. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სამართალდამცავი, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმაცია. საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტებსა და ცნობებს საბაჟო ორგანო ინახავს ექვსი წლის განმავლობაში.

საბაჟო ორგანოებს, კანონმდებლობის მიხედვით, უფლება აქვთ საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად მოიწვიონ სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეციალისტები `და ექსპერტები.

საბაჟო კონტროლის რა მეთოდები გამოიყენება კონტროლის განხორციელებისას? საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას ხორცი-

ელდება სრული ან შერჩევითი შემოწმება. საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად· საბაჟო ორგანოები იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დაცვას.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო კონტროლი

საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების წესის შესახებ დებულება განსაზღვრავს საფოსტო საწარმოებში საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე საბაჟო კონტროლისა და გაფორმების მექანიზმს.

განვმარტოთ ცნებები: საერთაშორისო საფოსტო გზავნილები – საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი: ა) ჩვეულებრივი, შეკვეთილი და ფასგამოცხადებული წერილები, მცირე პაკეტები, ბანდეროლები და ამანათები, რომლებიც შეიცავენ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელსა თუ საგნებს; ბ) *საფოსტო საწარმო* – საფოსტო დაწესებულება, სადაც ხდება საერთაშორისო საფოსტო გზავნილებათა დამუშავება; *ტომრები* – სპეციალური ტომრები, რომლებიც შეიცავენ ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილას ერთსა და იმავე მიმღების მისამართით გაგზავნილ გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს, წიგნებსა და სხვა ბეჭდვით პროდუქციას.

საბაჟო დათვალიერება გზავნილებისა, რომლებშიც მოთავსებულია უცხო სახელმწიფოდან შემოსული საქონელი, ხდება საფოსტო საწარმოებში გზავნილის მიმღებისათვის გადაცემამდე. უცხო სახელმწიფოში გასაგზავნი გზავნილების საბაჟო დათვალიერება ხდება საფოსტო საწარმოებში მიღების შემდეგ ან მიღებისას.

გზავნილებათა საბაჟო კონტროლს საბაჟოს თანამშრომლები ახორციელებენ საფოსტო საწარმოს მიერ, სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ აღჭურვილ შენობასა და სათავსოში. გზავნილებაში საქონლის დათვლას, აწონვას, შეფუთვას და ა. შ. საბაჟოს თანამშრომელთა თანდასწრებით აწარმოებს საფოსტო საწარმოს თანამ-

შრომელი, რომელიც საბაჟო სამსახურს, გზავნილებასთან ერთად, წარუდგენს საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას.

გზავნილებათა საბაჟო კონტროლი გულისხმობს: გზავნილებათა გამყოლი დოკუმენტების კონტროლს; გზავნილებათა დათვალიერებას მისი გახსნის შემდეგ; გზავნილებათა შერჩევით გახსნას; გზავნილებათა გახსნას პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ გამყოლი დოკუმენტებისა და გზავნილების დათვალიერების შემდეგ საბაჟოს თანამშრომელს აქვს საფუძველი იფიქროს: ა) გზავნილება შეიცავს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისათვის აკრძალულ საქონელს (მონეტებს, საბანკო და საკრედიტო ბილეთებს, საგზაო ჩეკებს, პლატინის, ოქროსა და ვერცხლის როგორც ნაკეთობას, ასევე დაუმუშავებელი სახით ძვირფას ქვებს, საიუველირო ნაკეთობებს და სხვა ძვირფას საგნებს); ბ) გზავნილების შიგთავსი არ ემთხვევა საბაჟო დეკლარაციაში ან იარლიყში მითითებულს (ასახულს); გ) გზავნილება დეკლარაციის ან იარლიყის გარეშე შემოვიდა საფოსტო საწარმოში.

გზავნილების დაკავება ხდება, თუ: ა) შიგთავსს არ ახლავს საბაჟო იარლიყი (დეკლარაცია) ან შევსებულია არასათანადოდ; ბ) არაა გადახდილი საბაჟო მოსაკრებელი და გადასახადები; გ) გზავნილება შეიცავს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისათვის აკრძალულ ან იმ შეზღუდულ საქონელს, რომლებსაც არ ახლავს სათანადო ნებართვები შესაბამისი უწყებიდან.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დიპლომატიური ფოსტა საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება, ხოლო საკონსულო ვალიზის საბაჟო კონტროლი რეგულირდება საქართველოს საბაჟო კოდექსით.

საბაჟო კანონმდებლობით გაგზავნას არ ექვემდებარებიან შემდეგი საფოსტო გზავნილები: თუ ისინი თავიანთი შეფუთვით საფრთხეს შეუქმნიან ფოსტისა და საბაჟოს თანამშრომლებს; დასვრიან ან გააფუჭებენ სხვა გზავნილებსა და საფოსტო მოწყობილობებს; თუ გზავნილები, გარდა გაცხადებული ფასეულობებისა, შეიცავს მონეტებს, საბანკო და საკრედიტო ბილეთებს ან სხვა ფასეულობებს წარმდგენზე, საგზაო ჩეკებს, პლატინის, ოქროს და ვერცხლის როგორც ნაკეთობას, ასევე დაუმუშავებელი სახით ძვირ-

ფას ქვებს, საიუველირო ნაკეთობებს და სხვა ძვირფას საგნებს; ნარკოტიკული და ფსიქოტროპიული ნივთიერებები; ცოცხალი ცხოველები; ფეთქებადი, აალებადი და სხვა საშიში ნივთიერებები; რადიოაქტიური და მალფუჭებადი ნივთიერებები; უხამსი და უსნეო ხასიათის საგნები; დანიშნულების ქვეყნებში შესატანად და მიმოქცევაში გასაშვებად აკრძალული საქონელი.

საქართველოს კანონმდებლობით, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, გარეული ცხოველებისა და ფრინველების, გადაშენებული ცხოველების ძვლების, ტყის მერქნიან სახეობათა თესლებისა და ანალოგიური ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, წამლებისა და მათი ნედლეულის, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის, კულტურული ფასეულობების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების სათანადო ნებართვას იძლევიან, შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, კულტურის, ფინანსთა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, სატყეო დეპარტამენტი.

გზავნილებაში მოთავსებულ საქონელზე გადასახდელების გადახდა ხორციელდება გაფორმებისათვის გაცხადებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, მსოფლიო საფოსტო კავშირის 1994 წლის სეულის კონვენციისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი დასაბეგრი საქონლის რაოდენობასა და სახეობას.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური და საიდენტიფიკაციო საშუალებები

საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო კონტროლი ხორციელდება იმ ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც არავითარ საფრთხეს არ უქმნიან ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ცხოველებსა და მცენარეულობას და არ აზიანებს საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს. საბაჟო კონტროლის დროს დაუშვებელია პირებისათვის, მათი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის არამართლზომიერი ზიანის მიყენება.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანოლეპტიკური მეთოდები – მხედველობის, სმენის, ყნოსვის, შეხების. უფრო ობიექტურია სხვადასხვა საზომი ხელსაწყოები და მოწყობილობანი. ზოგ შემთხვევაში კი დასაშვებია საქონლის თვისებათა და მახასიათებლების დასადგენად საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, ლაბორატორიული ხერხებით მათი გამოკვლევისათვის.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას გამოიყენება ტექნიკური საშუალებები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი არ მოუტანენ ზიანს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე ცხოველებსა და მცენარეებს, არ დააზიანებენ საქონელს და სატრანსპორტო საშუალებებს, არ დააზარალებენ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საზღვარზე გადამაადგილებელ პირებს.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებანი ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსია, რომელიც გამოიყენება უშუალოდ ოპერატიული საბაჟო კონტროლის განხორციელებისას და საბაჟო საზღვარზე ყველა სახის გადაადგილებული (გადასაადგილებელი) საქონლისათვის, რათა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა ეს საქონელი დეკლარირებულს და, აგრეთვე, შემოტანისათვის (გატანისათვის) აკრძალული მასალების, საგნების და ნივთიერებების გამოსაკვლენად.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებანი განკუთვნილია ცალკეული საბაჟო კონტროლის ოპერაციებისათვის:

1. საბაჟო დოკუმენტების და საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტების უტყუარობის დასადგენად გამოიყენება *გამადიდებელი შუშები და ხელსაწყოები,* მათ შორის უტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივები, რაც შესაძლებელს ხდის შესწორებული, გადაშლილი და ა. შ. გაყალბებული დოკუმენტების დადგენას.

2. კონტრაბანდული და აკრძალული საქონლის, ასევე შეფუთულ, თვალს მოფარებულ სათავსში საქონლის „დასანახად" გამოიყენება *კონვეიერული ტიპის რენტგენოსატელევიზიო აპარატები, რენტგენოაპარატები – პირდაპირი ხედვის ფლუოროსკოპები, ენდოსკოპების ნაკრებები, მავთულის საცეცები, ლითონის მაძიებლები და ლითონის დეტექტორები და სხვა.*

3. საბაჟო კონტროლის ობიექტების სწრაფი იდენტიფიკაციის ექსპრეს-ანალიზისათვის – *სხვადასხვა ანალიზატორები, ექსპრეს-იდენტიფიკატორები და სხვა.*

4. საბაჟო კონტროლის ზონის ოპერატიული თვალთვალისათვის – *რადიოლოკაციური ტიპის აპარატები, ტექნიკურ საშუალებებთან შერწყმული ოპტიკური და ოპტიკურ-სატელევიზიო თვალთვალის ისეთი საშუალებები, რომლებიც მუშაობენ ნებისმიერი ხილვადობის დროს; სხვა ოპტიკური აპარატურა: მინო და სტერეობინოკლები, ინფრაწითელი სათვალთვალო ხელსაწყოები, ტელეკამერები და სხვა.*

5. აუდიო-ვიდეო ინფორმაციის მატარებელი საქონლის შესამოწმებლად – *დიქტოფონები, აუდიოპლეიერები, მაგნიტოფონები, ფოტო და კინოფირების, სლაიდების, მიკროფირების და სხვა გამჟღავნებული ფირების დასათვალიერებელი მოწყობილობა; ვიდეოპლეიერები და ვიდეომაგნიტოფონები და სხვა.*

6. *ხელსაწყოების ნაკრებები,* რომელთა მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ხელბარგის მცირე ზომის საგნების, ბარგის, საფოსტო გზავნილების, ასევე ყუთებისა და კონტეინერების გასახსნელად და შეფუთვის აღსადგენად.

7. *საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტებით დადალვისა და ნიშანდებისათვის – პლომბირატორები, რულონური მწებავი ლენტები საბაჟო მარკირებით, სპეციალური ნიშანდების ნიშნები.*

8. *დოზიმეტრული კონტროლის ხელსაწყოები, სასწორები, საზომი მოწყობილობანი, დენით კვების წყაროები და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი*[1].

საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ მგზავრბრუნვის დასაჩქარებლად 1971 წლის 8 ივნისს მიიღო შეთანხმება „ავიამგზავრების საბაჟო კონტროლის გამარტივების შესახებ ორარხიანი სისტემის საფუძველზე". ამ სისტემით მგზავრები საბაჟო კონტროლის ზონას ტოვებენ ორიდან ერთი გასასვლელით: „მწვანეთი" ან „წითლით". „მწვანე" გასასვლელით საბაჟო კონტროლის ზონიდან გადიან ისინი, ვისაც არა აქვს თან ნივთები (საქონელი), რომელიც ექვემდებარება საბაჟო გადასახდელების გადახდას, სპეციალურ ნებართვას, ან სულაც აკრძალულია. ყველა სხვა შემთხვევაში მგზავრი ირჩევს „წითელ" დერეფანს და ადგენს საბაჟო დეკლარაციას. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს ჩაუტაროს საბაჟო შემოწმება ცალკეულ პირებს, ამისათვის „მწვანე" დერე-

1 საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები, 1998, გვ. 292-293.

ფანში გამავალნი და მათი ხელბარგი იმყოფებიან ვიზუალური კონტროლის პირობებში და მებაჟე პერიოდულად ირჩევს კონტროლის სუბიექტს, თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

საბაჟო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, სათავსებისა და სხვა ადგილების იდენტიფიკაცია.

საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში ტერმინ „საიდენტიფიკაციო საშუალებების" მაგიერ ხშირად ხმარობენ ტერმინს „საბაჟო უსრუნველყოფის ატრიბუტები". *ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საიდენტიფიკაციო საშუალებები – საბაჟო უსრუნველყოფის ატრიბუტები – შემდეგია:*

ა) შეუძლებელი უნდა იყოს ანაბეჭდის გაყალბება (ბეჭდების, შტამპების, ხელმოწერების, ნიშანდების); ბ) თვალნათლივი ნიშნების გარეშე შეუძლებელი უნდა იყოს საბაჟო უსრუნველყოფის ატრიბუტების მთლიანობის დარღვევა (ლუქის, მწებავი ლენტის, გასაღების, ბოქლომის); გ) შტემპელების, ანაბეჭდების, წერის საშუალებების (მელნის, საღებავების, ლუქის) მდგრადობის გარე კლიმატური ზემოქმედების მიმართ; დ) საბაჟო უსრუნველყოფის ატრიბუტების მკაფიო წაკითხვადობა; ე) საბაჟო ატრიბუტების ნიშანდება დოკუმენტებზე, შეფუთვასა და სატრანსპორტო საშუალებებზე არ უნდა მოითხოვდეს დიდ დროს.

იდენტიფიკაცია საქონლის გამოცნობაა, ხოლო საიდენტიფიკაციო საშუალებები, – მისი გამოსაცნობი საშუალება.

საქონლის იდენტიფიკაციის საშუალება და საბაჟო უსრუნველყოფის ატრიბუტებია სააქციზო მარკები. სააქციზო მარკები გამოიყენება სააქციზო საქონლის არალეგალური გზით შემოტანის წინააღმდეგ და აქციზის გადასახადის სრულად ამოსაღებად.

სააქციზო მარკები მიეყიდება იმპორტიორს, რაც პრაქტიკულად ნიშნავს აქციზის გადახდას. იმპორტიორი სააქციზო მარკებს გადასცემს წარმოებას, რომელიც ამ მარკებს წებოთი და საქარხნო წესით აწებებს ნაწარმს. სააქციზო მარკიანი ნაწარმი ითვლება აქციზის გადასახადის გადახდილად და, შესაბამისად, საცალო ქსელში იკრძალება ისეთი სააქციზო საქონლის გაყიდვა, რომელსაც ასეთი საიდენტიფიკაციო ნიშანი არ გააჩნია. საბაჟო ორგანოს წინაშე მარკების შეძენასა და გამოყენებაზე პასუხს აგებს იმპორტიორი.

საქართველოს საბაჟო კოდექსი (მუხლი 131) განსაზღვრავს საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, სათავსების, აგრეთვე, სხვა ადგილების იდენტიფიკაციისა და კონტროლის წესებს. სატრანსპორტო საშუალებები, სათავსები და სხვა ადგილები, სადაც არის ან შეიძლება იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ადგილები, სადაც ხორციელდება საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, აგრეთვე, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს საბაჟო ორგანოების მიერ.

იდენტიფიკაცია (იდენტიფიკაცია და იდენტიფიცირება-გაიგივება, გათანაბრება) ხდება პლომბის, ბეჭდის დადებით, ციფრობრივი, ასოებრივი ან სხვა მარკირების, საიდენტიფიკაციო ნიშნების, შტამპის დასმით, სინჯებისა და ნიმუშების აღებით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღწერით, ნახაზების შედგენით, მასშტაბური გამოსახულების, ფოტოსურათების, ილუსტრაციების გამოყენებით, იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით.

კანონმდებლობით იდენტიფიკაციის შეცვლა, მოცილება ან განადგურება შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ ან მათი ნებართვით. ამასთან ერთად, საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ ეცნობება იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლის, მოცილების ან განადგურების შესახებ.

საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით საბაჟო ორგანოების შესაბამის სახელმწიფო მოხელეებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ შეეიდნენ ნებისმიერ საცავში, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, ან სადაც შეიძლება მოთავსებული იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთები და სატრანსპორტო საშუალებები, თუ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები.

საბაჟო კონტროლს ექვემდებარება საბაჟო საზღვრის გავლით გადასაადგილებელი ყველა საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; კანონმდებლობა უფლებას აძლევს საბაჟო ორგანოებს იძულების წესით გააჩერონ სატრანსპორტო საშუალებები, უკან დააბრუნონ საზღვაო და საჰაერო ხომალდები, რომლებიც საბაჟო ტერიტორიიდან გავიდნენ საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე, გარდა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მყოფი ხომალდებისა.

პირადი გასინჯვა

პირადი გასინჯვა საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული ფორმაა. იგი დაიშვება საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცველელი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით, თუ არის საკმაო საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ საბაჟო საზღვრის გაელით მიმავალი ან საბაჟო კონტროლის ზონაში, ანდა საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მყოფი ფიზიკური პირი მალავს და არ აჩენს საქონელს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების დარღვევის ობიექტია და რომელთა შესრულებაზე კონტროლი საბაჟო ორგანოებს ევალებათ.

კანონმდებლობით პირადი გასინჯვის დაწყების წინ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი ვალდებულია ფიზიკურ პირს აცნობოს საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცველელი პირის გადაწყვეტილება პირადი გასინჯვის თაობაზე, გააცნოს ფიზიკურ პირს მისი უფლება-მოვალეობანი ასეთი გასინჯვის დროს და შესთავაზოს მას ნებაყოფლობით გამოაჩინოს დამალული საქონელი.

ფიზიკური პირის მიერ ნებაყოფლობით პირად გასინჯვაზე უარის თქმის შემთხვევაში პირადი გასინჯვა, სხეულის გასინჯვის ჩათვლით, ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (მუხლი 315).

„ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა გასარკვევად“.

პირადი ჩხრეკა და პირისაგან საგნის, ნივთისა და დოკუმენტის ამოღება, რასაც თან სდევს გაშიშვლება, უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამდებობის პირმა იმავე სქესის დამწრეთა მონაწილეობით. საჭიროებისამებრ შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი.

პირადი შემოწმება წარმოებს სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნის შესაბამისი იზოლირებულ ოთახში. გამორიცხული უნდა იყოს

ამ ოთახში იმ პირთა შესვლა, რომლებიც არ მონაწილეობენ შემოწმებაში. შესამოწმებელი პირის სხეულის ორგანოების გამოკვლევა უნდა აწარმოოს მხოლოდ მედიკინის მუშაკმა.

საბაჟო შემოწმების ვადები და პირობები

საქართველოს საბაჟო კოდექსში, ისევ როგორც ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობაში, ნაჩვენებია საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტების შემოწმების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმების ვადები. საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ხდება საბაჟო ორგანოების მიერ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს სამი დღისა საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო მი'ნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების წარდგენის მომენტიდან. აღნიშნულ ვადებში არ შედის დრო, რომელიც საჭიროა სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის განსახორციელებლად.

საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის დროს უფლებამოსილი პირებისა და მათი წარმომადგენლების დასწრების პირობები. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის დროს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს საბაჟო დათვალიერებასა და შემოწმებას.

საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები უფლებამოსილ პირთა და მათ წარმომადგენელთა დაესწრებლად შეამოწმონ შემდეგ შემთხვევებში:

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენიდან ხუთი დღის განმავლობაში აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობისას; თუ საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს, ცხოველებსა და მცენარეულობას, გარემოს, მხატვრულ, ისტორიულ და არქეოლოგიურ ფასეულობებს, აგრეთვე, სხვა გადაუდებელ გარემოებებში; საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით საქონლის გაგზავნისას.

საბაჟო რეჟიმის დარღვევისას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ხდება დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით. საბაჟო კონტროლის სფეროს განეკუთვნება, აგრეთვე, იმ პირთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას და სავალუტო კონტროლს.

საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაციისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების პირობებსა და წესს. საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს ჩაატარონ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე, იმ საქონლის ინვენტარიზაცია, რომლის საბაჟო გადასახდელები გადაუხდელია, ან რომელსაც აქვს საბაჟო შელავათები საბაჟო გადასახდელების ნაწილში. საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ დანიშნონ ან ჩაატარონ იმ პირთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებისას საბაჟო ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ: მოითხოვონ გასაცნობად ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელიც ეხება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას; თანამდებობის პირებისა და სხვა მუშაკებისაგან მიიღონ ცნობები, წერილობითი და სხვა ზეპირი ახსნა-განმარტებანი; საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დალუქონ სათავსები და ამოიღონ საბუთები. გარდა აღნიშნულისა, საჭიროების შემთხვევაში საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს შეუძლიათ დაადგინონ დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაცნობის დრო და ადგილი.

შემოწმებისას საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მოქმედებამ არამართლზომიერი ზიანი არ უნდა მიაყენოს პირს, რომლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაც მოწმდება. შემოწმების შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამ პირს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 132, ნაწილი 1) შესაბამისად, „საბაჟო კონტროლს ექვემდებარება საბაჟო საზღვრის

გავლით გადასაადგილებელი ყველა საქონელი და სატრანსპორტო საშუალება, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა". *გამოთქმაში – „ყველა საქონელი და სატრანსპორტო საშუალება"* იგულისხმება არა მარტო მატერიალური ქონება, არამედ ვალუტა, სავალუტო ფასეულობა, ელექტრო, თბური და სხვა სახის ენერგია, გაზი, ნავთობპროდუქტები, რომლებიც გადაიზიდება მილსადენებით და სხვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთული სპეციფიკით ხასიათდება საზღვარზე ვალუტისა და სავალუტო ფასეულობების გადაადგილება. ამ დროს საბაჟო კონტროლის პროცესში მონაწილეობენ ბანკები, საგადასახადო ინსპექცია, სხვა საკრედიტო დაწესებულებანი.

საქართველოს საბაჟო კოდექსში (მუხლი 138) ნაჩვენებია სავალუტო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოების კომპეტენცია. *საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი არის სავალუტო კონტროლის აგენტი საქართველოში.* საბაჟო ორგანოების ფუნქციები და უფლებამოსილებები სავალუტო კონტროლის განხორციელების სფეროში განისაზღვრება საბაჟო დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში. საბაჟო ორგანოები ახორციელებენ პირების მიერ საბაჟო საზღვრის გავლით, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების გარდა, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო ფასეულობათა გადაადგილების სავალუტო კონტროლს. სავალუტო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოების მიერ გამოვლენილი სამართალდამრღვევებისათვის პასუხისმგებლობა დგება კანონმდებლობის შესაბამისად.

ამრიგად, საბაჟო დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზაციას უკეთებს სავალუტო კონტროლის განხორციელებას, ასრულებს სავალუტო კონტროლის ორგანოს ფუნქციებს.

საბაჟო კონტროლისა და კონტროლის სხვა სახეების შეთანხმება

როგორც აღვნიშნეთ, საზღვრებზე ტვირთების გადაზიდვის კონტროლის პირობების შეთანხმების შესახებ ჟენევის 1982 წლის 21 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენციაში განსაზღვრულია სა-

ბაჟო კონტროლისა და კონტროლის სხვა სახეების შეთანხმების პრინციპები.

საბაჟოს მუშაკები სასაზღვრო ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებულ, ექსპორტ-იმპორტის და ტრანზიტული ტვირთების საბაჟო გაფორმებებს ამოიავრებენ ვეტსანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელების შემდეგ. საბაჟო მუშაკებს ეკრძალებათ სასაზღვრო ვეტერინარული და მცენარეთა კარანტინის წარმომადგენლების გარეშე იმ ტვირთების გაფორმება, რომლებიც ექვემდებარებიან დასახელებული სამსახურების კონტროლს. საბაჟოს მუშაკები მგზავრთა ბარგსა და ხელბარგში, საფოსტო და სარკინიგზო გზავნილებში სასაზღვრო ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების, ნედლეულისა და მასალების გამოვლენისას წარუდგენენ მათ ზემოდასახელებული სამსახურების სპეციალისტებს.

საბაჟო დეპარტამენტი ვალდებულია გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟოს, სახელმწიფო სასაზღვრო ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სამსახურების მუშაკთა ერთობლივი შეთანხმებული მუშაობისათვის.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დებულების მიხედვით, საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო ორგანოების მონაწილეობას სახელმწიფო უშიშროების დაცვის განხორციელებაში, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, ბუნებრივი გარემოს დაცვაში.

საბაჟო ორგანოები მონაწილეობენ საკარანტინო ღონისძიებებში. *კარანტინი* — შემზღუდავ ღონისძიებათა სისტემაა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. კარანტინის ზონაა ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება საკარანტინო ღონისძიებები. კარანტინს მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კარანტინი. *სასოფლო-სამეურნეო კარანტინი* — ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა სისტემა; *ფიტოსანიტარიული კარანტინი* — სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი მცენარეთა საკარანტინო ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად; *ვეტერინარული კარანტინი* — სახელ-

მწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების საქართველოში შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი იმ სახელმწიფოებიდან, რომელთაც არ გააჩნიათ ფიტოსანიტარიული კარანტინის სამსახური და, შესაბამისად, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იმ შესაბამისი სტრუქტურის მიერ გაცემული ნებართვით, რომლის საქმიანობაც განსაზღვრულია საქართველოს კანონით „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ".

კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციისა და ტვირთის ტრანზიტი და რეექსპორტი საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და საქართველოს ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის საკარანტინო ნებართვით.

საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია და სატრანსპორტო საშუალება სასაზღვრო ზონებში ექვემდებარება აუცილებელ ფიტოსანიტარიულ შემოწმებას[1], საჭიროების მიხედვით – ლაბორატორიულ ექსპერტიზას და გაუსნებოვნებას.

სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებსა და სახმელეთო გასასელელებში ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი საბაჟო სამსახურთან ერთად, საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში.

საქართველოს 1994 წლის 14 ივნისის კანონი „ვეტერინარიის შესახებ" განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიის დაცვის წესებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ცხოველების საშიში გადამდები დაავადებების შემოტანისაგან. კანონის შესაბამისად, „და-

---

1 ფიტო – მცენარე, რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს მცენარეს, სანიტარია – (ჯანმრთელობა) – სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა.

იშვება საქართველოს რესპუბლიკაში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მხოლოდ ჯანმრთელი ცხოველების შემოყვანა და ასეთი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტების შემოტანა. აუცილებელია ცხოველებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა იყოს პირუტყვის საშიში გადამდები დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო"[1].

კანონის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, საწარმოები, უწყებები, ფირმები, კომერციული სტრუქტურები, მოქალაქეები საზღვარგარეთის ქვეყნებში შეისყიდიან და შემოიყვანენ საქართველოს რესპუბლიკაში ცხოველებს, შემოიტანენ მეცხოველეობის პროდუქტებს, ნედლეულს, ფურაჟს და ვეტკონტროლქვემდებარე სხვა ტვირთებს, ან გაიტანენ მხოლოდ საქართველოს ვეტერინარული კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის ნებართვით.

საქართველოს ტერიტორიაზე, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ცხოველების და ადამიანების საერთო საშიში გადამდები დაავადებების შემოტანის აღკვეთის მიზნით, საქართველოს სასაზღვრო გადასასვლელების – საერთაშორისო მიმოსვლის რკინიგზის სადგურებში, ავტოსადგურებში, სასაზღვრო პორტებში, აეროპორტებში, ავტოტრასებზე უშუალოდ საბაჟო კონტროლის ზონაში ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობით, ყველა სახის გზავნილებით (სარკინიგზო, საფოსტო), მათ შორის, მგზავრთა ხელბარგით, ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ექსპორტ-იმპორტის და ტრანზიტული ტვირთების შემოწმება და შესაბამისი ღონისძიებების მიღება (ვეტსერტიფიკატებისა და ვეტმოწმობების გაფორმება ტვირთგადაზიდვების განხორციელების შემდგომი უფლებით, ხოლო ტვირთების კეთილსაიმედოობასა და ვარგისიანობაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ან მათი ტრანსპორტირების ვეტსანიტარიული ნორმების დარღვევისას ტვირთების დაკავება, გაუვნებლობა ან ამოღება-მოსპობა) ხორციელდება სასაზღვრო-სატრანსპორტო ვეტერინარული კონტროლის სამსახურის მიერ.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ცხოველების გადმოყვანა, მეცხოველეობის პროდუქტების, ნედლეულის, ფურაჟის და

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი I, 2002, გვ. 230.

ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე სხვა ტვირთების გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მოწყობილია სახელმწიფო სასაზღვრო-სატრანსპორტო საკონტროლო ვეტერინარული უბნები. ამ უბნების საზედამხედველო ობიექტებია სასაზღვრო ზონის ფარგლებში განლაგებული საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო ობიექტების სასაწყობო მეურნეობები, დამამზადებელი და გადამამუშავებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე სამკურნალო საშუალებების იმპორტი ხორციელდება წამლის დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზიით. საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების შემოტანა მხოლოდ მწარმოებლის მიერ გაცემული ხარისხის სერტიფიკაციის თანხლებით.

არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებები საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შემოტანილ იქნეს შემდეგ შემთხვევებში: სამკურნალო საშუალებების კლინიკამდელი და კლინიკური კვლევისათვის; სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის (ნიმუში); ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის; საერთაშორისო მიმართულებებზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების ბრიგადის მიერ მგზავრთა სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ოდენობით. გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, განსაკუთრებულ პირობებში — სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივი დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადების შემთხვევა — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალური გადაწყვეტილებით დასაშვებია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების შემოტანა და გამოყენება, თუ წარმოდგენილია საზღვარგარეთის ქვეყნებში მაი რეგისტრაციისა და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების უკანონო ასლის[1]

---

1 „სამკურნალო საშუალებების უკანონო ასლი" — წამალი, რომლის შეფუთვა და ეტიკეტი წარმოადგენს სხვა მწარმოებლის ყალბ იმიტაციას ან მიმსგავსებულია.

და ფალსიფიცირებული წამლის შემოტანა. ასეთი სამკურნალო საშუალებების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ორგანოები ახორციელებენ მათ კონფისკაციას და ანადგურებენ წამლის დეპარტამენტის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოში სამკურნალო საშუალებების იმპორტის უფლება აქვს: ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია; სამკურნალო საშუალებების საწარმოს – მხოლოდ საკუთარი წარმოების უზრუნველსაყოფად; სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას – წამლის შექმნის ტექნოლოგიის შემუშავების, მისი ხარისხის, ეფექტიანობის და უსაფრთხოების გამოკვლევის მიზნით, თუ მოცემულ პარტიაზე არსებობს სათანადო ნებართვა.

სამედიცინო-სანიტარიული კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში და მას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის გამშვებ პუნქტებზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია. მისი ძირითადი ფუნქციებია:

1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;

2. ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკა;

3. პოტენციურად საშიში ყველა სახის ნედლეულისა და საქონლის ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის აღკვეთა;

4. საკარანტინო დაავადებათა შემოტანის და გავრცელების აღკვეთა[1].

ვეტერინარული კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში და მას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი. ძირითადი ფუნქციებია:

1. საქართველოს ტერიტორიის დაცვა საზღვარგარეთიდან ცხოველების, ფრინველის, თევზის, ფუტკრის საშიში გადამდები დაავადებების აღმძვრელის შემოტანისა და გავრცელებისაგან;

---

1 გონერ ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხებში), თბ., 2001, გვ. 162.

2. მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, ფურაჟის, მცენარეული, ქიმიური პრეპარატების ვეტერინარული შემოწმება. მომსახურება ფასიანია. ვეტერინარული მომსახურების საფასურს დამტკიცებული ტარიფის მიხედვით კრებს შესაბამისი საბაჟო ორგანო.

ფიტოსანიტარიული კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში და მას ახორციელებს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს *ფიტოსაკარანტინო სამსახური.* მისი ძირითადი ფუნქციებია:

1. მცენარეული წარმოშობის კარანტინს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ფიტოსანიტარიული შემოწმება;

2. საქონლის შემოტანის დროს საიმპორტო საკარანტინო უფლების გაცემა ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის საფუძველზე;

3. საქონლის ტრანზიტისა და რეექსპორტის დროს საკარანტინო ნებართვის გაცემა ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის საფუძველზე.

4. ფიტოსანიტარიული შემოწმება ფასიანია. მას კრებს საბაჟო დაწესებულება დამტკიცებული ტარიფის შესაბამისად.

ტარიფები დაახლოებით ასეთია: იონჯის თესლის დახელვა – 1 კგ – 0,12 ლარი; ხეხილისა და ვაზის დახელვა – 1 ნერგი – 0,05 თეორი; მარცვლოვანი ფურაჟი და კომბინირებული საკვების დახელვა – 1 ტონა – 3,0 ლარი; ბამბის ბოჭკოს დახელვა – 1 ტონა – 0,26 ლარი; იმპორტული საკარანტინო ნებართვის გაცემა – 1 ცალი – 25,0 ლარი; ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა საფოსტო გზავნილებზე – 1 ცალი – 1,50 ლარი და ა. შ.

ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის დარგში გაწეული მომსახურების ტარიფები: საბუთების შემოწმება და მათი რეგისტრაცია იმპორტის დროს – 1 პარტია – 2,0 ლარი; ასევეა ექსპორტისა და ტრანზიტის დროს; ცხოველების გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალებების ვეტერინარულ-სანიტარიული დათვალიერება – 1 დათვალიერება – 5,0 ლარი; გადასაყვანი ცხოველების დათვალიერება-შემოწმება – 1 სული – 1,0 ლარი და ა. შ.[1]

---

1 გონერ ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, თბ., 2001, გვ. 301-312.

ჟენევის 1982 წლის 21 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ხორციელდება ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისი და ხარისხის კონტროლი. ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისი კონტროლი უსრულველყოფს ტვირთების მინიმალურ მიახლოებას საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებთან, ხოლო ხარისხის კონტროლი ადგენს ტვირთის მინიმალურ საერთაშორისო ან ეროვნულ ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

სერტიფიკაცია – დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურება. *სერტიფიკატი* – სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტი. *სერტიფიკაციის სისტემა* – სისტემა, რომელსაც აქვს სერტიფიკაციის ჩასატარებლად საჭირო პროცედურისა და მართვის საკუთარი წესები. *ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემა* – სერტიფიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ პროდუქციას და რომლისთვისაც გამოიყენება ერთი და იგივე კონკრეტული სტანდარტები და პროცედურები.

სერტიფიკაციის მიზნები: შეუქმნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე საქმიანობის, აგრეთვე, საერთაშორისო ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის პირობები; დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში; დაიცვას მომხმარებელი პროდუქციის დამამზადებლის (გამყიდველის, შემსრულებლის) არაკეთილსინდისიერებისაგან; გაკონტროლოს პროდუქციის უსაფრთხოება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დასაცავად; დაადასტუროს დამამზადებლის მიერ განცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები. სერტიფიკაცია შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმ საქონლის (პროდუქციის) გაშვების პირობებს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას, განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული საქონლის შემოტანის წესი. *იგი დამტკიცებულია საბაჟო და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტების თავმჯდომარეების მიერ 1996 წლის 15 მაისს.*

სერტიფიკატი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს პროდუქციის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. საქონელი ექვემდებარება საბაჟო ტერიტორიაზე გაშვებას, თუ ის შეესაბამება საქართველოში დადგენილ სავალდებულო სერტიფიკაციის მოთხოვნებს.

საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" განსაზღვრავს იმპორტული პროდუქციის შემოტანის პირობებს. კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, საქართველოში მოსაწოდებელი პროდუქციის კონტრაქტის (ხელშეკრულების) პირობებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატის და შესაბამისობის ნიშნის არსებობა, თუ ეს პროდუქცია ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას. ამ სერტიფიკატს და შესაბამისობის ნიშანს ან აღიარების დოკუმენტს გასცემს საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. კანონის შესაბამისად პროდუქციის შემოტანის დროს ნებართვის მისაღებად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბაჟო დეკლარაციასთან ერთად აუცილებელია სერტიფიკატი ან აღიარების მოწმობა, რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოებს.

სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის წესს ადგენენ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და საქსტანდარტი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამრიგად, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბაჟო ორგანოების მონაწილეობას სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაში, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, ბუნებრივი გარემოს დაცვაში; საბაჟო კონტროლის განხორციელებაში.

სამხედრო ტვირთების საბაჟო კონტროლი

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში გადაადგილებული სამხედრო ტვირთი ექვემდებარება საბაჟო კონტროლსა და გაფორმებას. საქართველოს ტერიტორიაზე

დისლოცირებული უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების მოსამსახურეთა კუთვნილი პირადი ქონების საბაჟო კონტროლი და გაფორმება ხორციელდება არსებული საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად. *საქართველოს სასაზღვრო გადასასვლელებზე განთავსებული საქართველოს საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან შეანერონ მათი პუნქტების გავლით საქართველოში შემოსატანი და ტერიტორიიდან გასატანი სხვადასხვა საბაჟო რეჟიმში მოქცეული სამხედრო ტვირთები საბაჟო შემოწმების მიზნით.*

საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ტვირთების შემოტანისას საბაჟო ორგანოები აჩერებენ მათ და ამოწმებენ, ითხოვენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებართვას, რომელიც გაიცემა ერთჯერადად ტვირთის კონკრეტულ პარტიაზე. აღნიშნული ნებართვის წარდგენის, ასევე ტვირთის სათანადო შემოწმების გარეშე სამხედრო ტვირთების საბაჟო საზღვარზე გატარება დაუშვებელია. აღნიშნული ტვირთის სრულყოფილი საბაჟო გაფორმება ხორციელდება არსებული წესით.

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოძრავი სამხედრო ტვირთები, რომლებიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას შემოწმებული და გაფორმებულია არსებული მოთხოვნების დაცვით, წარედგინება საბაჟო შემოწმებისათვის იმ სასაზღვრო-საბაჟო გამშვები პუნქტის საბაჟო ორგანოს, რომლის გავლითაც ტოვებენ აღნიშნული ტვირთები საქართველოს საბაჟო ტერიტორიას.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირები ამოწმებენ ტვირთების თანმხლები დოკუმენტაციის მონაცემების შესაბამისობას წარმოდგენილ ტვირთებთან, ასევე აღნიშნულ ტვირთებზე თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ ნებართვებს. საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ დალუქული ტვირთები შემოწმებას არ ექვემდებარება, მოწმდება მხოლოდ თანმხლები დოკუმენტაცია.

სამხედრო ტვირთები, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს ტერიტორიიდან გატანას ექსპორტის, დროებითი გატანის ან სხვა შესაბამის საბაჟო რეჟიმში, ასევე იმპორტის, დროებითი შემოტანის ან სხვა საბაჟო რეჟიმში, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი მოთხოვნების დაცვით სასაზღვრო-საბაჟო ორგანოების მიერ შემოწმებული სამხედრო ტვირთები წარედგინება საქართველოს შესაბამის რეგიონულ საბაჟო ორგანოებს სრულყო-

ფილი გაფორმებისათვის. აღნიშნული ტვირთის საბაჟო კონტროლი და გაფორმება რეგიონული საბაჟო ორგანოების მიერ ხორციელდება არსებული წესით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვით.

სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის საბაჟო კონტროლი

შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლი. პროდუქცია – საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, მომსახურება და ინფორმაცია; ორმაგი დანიშნულების პროდუქცია – ესაა პროდუქცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო მიზნისათვის, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული, ქიმიური და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების შექმნისას. საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნომენკლატურას მიეკუთვნება: საკონტროლო სიები, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ჩამონათვალი, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მათ შორის ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები, მოწყობილობები, ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და მომსახურება, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი გადატანის საშუალებების შექმნისას.

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციას განეკუთვნება:

- ჩვეულებრივი შეიარაღება და ტექნიკა, ნედლეული, მასალები, სპეციალური მოწყობილობები და ტექნოლოგიები, აგრეთვე, მათ წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურება;
- ბირთვული მასალები, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, დანადგარები, სპეციალური არაბირთვული მასალები, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მოწყობილობები, ტექნოლოგიები, რადიოაქტიული გამოსხივების წყაროები და იზოტოპური პროდუქცია, რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;

- ორმაგი დანიშნულების ქიმიკატები და ტექნოლოგიები. რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმიური იარაღის შექმნისას გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით;
- დაავადებათა გამომწვევები, მათი გენეტიკურად შეცვლილი ფორმები და გენეტიკური მასალების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნისას, გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამოთვალის მიხედვით;
- მოწყობილობები, მასალები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება სარაკეტო იარაღის შექმნისას და რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;
- სამხედრო დანიშნულების პროდუქციასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, მომსახურება და ინტელექტუალური საკუთრების შედეგები.

საქართველოს კანონში (1998 წლის 28 აპრილი) „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის შესახებ" განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებანი.

საქართველოს პრეზიდენტი: გამოსცემს ნორმატიულ აქტებს საექსპორტო კონტროლის მოსაწესრიგებლად და განსახორციელებლად; ხელმძღვანელობს საექსპორტო კონტროლის განმახორციელებელი საქართველოს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და სხვ.

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება მასობრივი განადგურების იარაღის, სხვა სახის იარაღისა და მათი შექმნის ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტი: ა) განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას საექსპორტო კონტროლის სფეროში; ბ) ქმნის და ავითარებს საექსპორტო კონტროლის სისტემას; გ) საქართვე-

ლოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ საუწყებათაშორისო კომისიას წარუდგენს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართ შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები საქართველოს საბაჟოს გავლით საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე; დ) ახორციელებს საექსპორტო კონტროლის საკანონმდებლო რეგულირებას.

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გასცემს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო.

ტერმინების განმარტებანი: ექსპორტი – ამ შემთხვევაში გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან პროდუქციის გატანას მის ფარგლებს გარეთ მუდმივად განთავსების ან გამოყენების მიზნით, უცხო პირისათვის მომსახურების გაწევას და უფლებების მინიჭებას ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკასთან ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან.

რას ნიშნავს უფლებები ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე? ესაა საავტორო უფლებები სამეცნიერო ნაშრომებზე, ელექტრონულ-გამომთველელი მანქანების პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებზე, სამრეწველო საკუთრებაზე, გამოგონებაზე, პროდუქციაზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ წარმოებულ ან კუთვნილ პროდუქციაზე, მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე, მათ შორის შეიარაღებასთან, სამხედრო ტექნიკასთან, ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან, სპეციალურ აღჭურვილობასთან და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის ტექნოლოგიების სამრეწველო ნიმუშებსა და „ნოუ-ჰაუ"-სთან დაკავშირებულ მომსახურებაზე.

საქართველოს კანონის (მუხლი 8, 12) მიხედვით, „საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოს საბაჟოს გავლით გატანას აკონტროლებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები".

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოდან რეექსპორტი ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ნებართვით.

რეექსპორტი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის ფარგლებს გარეთ დამზადებული პროდუქციის ექსპორტი, ან სხვა სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოში დამზადებული პროდუქციის ექსპორტი მესამე ქვეყანაში.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუწყებათშორისო კომისიის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნული უსაფრთხოებისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ინტერესების შესაბამისად, ამტკიცებს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართ შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე საქართველოს საბაჟოს გავლით.

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის რეგულირება. საქართველოს კანონი (1998 წლის 26 ივნისი) „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“ აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი და რეექსპორტი დაიშვება სპეციალური საბაჟო გადასახადის გადახდით, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი საექსპორტო ლიცენზიის საფუძველზე.

საქართველოს კანონის „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ“ (1998 წლის 20 მარტი) მიხედვით (მუხლი 7, ნაწილი მესამე), სპეციალური საბაჟო გადასახადები გამოიყენება სხვადასხვა მიზნით, მათ შორის როგორც „დაცვითი ღონისძიება განსაკუთრებულ შემთხვევებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის ცალკეული სახეობების ექსპორტის დროებითი შეზღუდვის მიზნით“. სწორედ ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელია შავი და ფერადი ლითონების ჯართი და მათი ნარჩენები.

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის შესახებ ინფორმაცია აღირიცხება საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის წარმოების საერთო წესის შესაბამისად. ამასთან, ამგვარი ინფორმაცია, სა-

ქონლის სპეცი ფიკისათვის აუცილებელ სხვა პარამეტრებთან ერთად, უნდა შეიცავდეს ექსპორტირებული ჯართის წონას ტონებში.

რა მიეკუთვნება სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელს? მას მიეკუთვნება შავი და ფერადი ლითონი, ხე-ტყე, საქართველოში წარმოებული სხვა საქონელი.

90-იანი წლების დამდეგს საქართველოში დამკვიდრებული განუკითხაობის, უპასუხისმგებლობის, სახელმწიფო დისციპლინის მთლიანად მოშლის, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისისა და სამოქალაქო ომის პირობებში *დიდი დარაკლისი განიცადა საქართველოს ეკონომიკამ. დაიტაცეს და საზღვარგარეთ გაზიდეს სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ლითონი, ხე-ტყე, ფერადი ლითონი და სხვ.*

დღეს საბაჟო ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, არ დაუშვას სტრატეგიული დანიშნულების საქონლის კონტროლს დაუქვემდებარებელი გაშვება, საბაჟო საზღვრის გადაკვეთა. ასეთი მიზნებისათვის ყალიბდება საკანონმდებლო ბაზაც.

საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 25 ივნისს მიიღო კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ". კანონის მიზანია ტყით სარგებლობის მოწესრიგების გზით საქართველოს ტყეების დაცვითი (ეკოლოგიური) ფუნქციების შენარჩუნება და გაუმჯობესება. კანონის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მერქნის დამზადების შეზღუდვის მიზნით აიკრძალა ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადება.

ექსპორტის ლიცენზირებას ექვემდებარება ხე-ტყის ნედლეულის შემდეგი სახეები: ა) სათბობი (საშეშე) მერქანი ხის ღეროს გადანაჭრების (კოტრების), ნაპობის, ტოტების, ფიჩხის კონების ან მსგავსი სახით – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფი (სასაქონლო პოზიციის კოდი 4401); ბ) ხე-ტყის დაუმუშავებელი, გაქერქილი ან გაუქერქავი, უხეშად დაძელილი ან დაუძელავი მასალა – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფი (სასაქონლო პოზიციის კოდი 4403); გ) საკასრე მერქა-

ნი; დაპობილი ბალანსები; წამახეილებული, სიგრძივად გაუხერხავი სარები და ხიმინჯები, თლილი, მაგრამ გაუნეხავი, გაუღუნავი ან სხვა მეთოდით დაუმუშავებელი ხე-ტყის მასალა, რომელიც გამოიყენება ხელჯოხების, შოლტების, ინსტრუმენტების სახელურებისა და სხვა მსგავსი ნაკეთობების დასამზადებლად; ახდილი და სხვა მსგავსი მერქანი – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფი (სასაქონლო პროდუქციის კოდი 4404); დ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფის 4406 და 4407 სასაქონლო პოზიციით აღწერილი და კოდირებული ხე-ტყის ნედლეული.

ექსპორტის ლიცენზირებას დაქვემდებარებულ ხე-ტყის ნედლეულზე საექსპორტო ლიცენზიას გასცემს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. საექსპორტო ლიცენზია ექსპორტის ლიცენზირებას დაქვემდებარებულ ხე-ტყის ნედლეულზე გაიცემა მხოლოდ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული ხე-ტყის ნედლეულის მოპოვების დამადასტურებელი საბუთის (ცნობის) წარდგენის შემთხვევაში.

კანონის შესაბამისად, საშიში ქიმიური ნივთიერების წარმოება დასაშვებია, თუ მან გაიარა სახელმწიფო ექსპერტიზა და რეგისტრაცია, და თუ საწარმოს აქვს შესაბამისი ტექნოლოგია, ტექნიკური საშუალებანი, ჰყავს სპეციალურად მომზადებული მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარიული წესებისა და ნორმების, აგრეთვე, გარემოს დაცვის კანონმდებლობის პირობების შესრულებას.

საშიში ქიმიური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, მიეკუთვნებიან ტოქსიკურობისა და საშიშროების სხვადასხვა კლასებს. კლასების სახეები განსაზღვრულია საქართველოს კანონში „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“.

საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი ან ექსპორტი დასაშვებია, თუ შესასყიდი ნივთიერება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ან ექსპორ-

ტის განმახორციელებელმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აღნიშნული პროცედურის ჩასატარებლად უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. *კანონით აკრძალულია*:

1. არარეგისტრირებული და ისეთი ახალი საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი ან ექსპორტი, რომლებიც არ შეესაბამება წინასწარ დასაბუთებული თანხმობისა და ამ ნივთიერებების ექსპორტ-იმპორტის თაობაზე შეტყობინების სქემის მოთხოვნებს;

2. იმ საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი ან ექსპორტი, რომლის გამოყენებასაც კრძალავს იმპორტიორი ქვეყანა; არასწორად ეტიკირებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი;

3. ქვეყანაში ნებისმიერი სახისა და დანიშნულების საშიში ქიმიური ნივთიერების არალეგალურად შემოტანა. საშიში ქიმიური ნივთიერებების მიმართ ტერმინებს – საშიში ქიმიური ნივთიერებებით ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი – აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

საშიში ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობა – ნივთიერებების ექსპორტი ან იმპორტი;

ექსპორტი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საშიში ქიმიური ნივთიერებების გატანა, მათი აქ შემოტანის ვალდებულების გარეშე;

იმპორტი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საშიში ქიმიური ნივთიერებების მუდმივად დატოვება, მათი აქედან გატანის ვალდებულების გარეშე.

წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტიორს ან ექსპორტიორს უნდა ჰქონდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვა.

წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის სფეროში კონტროლს ახორციელებენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი. ტერმინებს – კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: *კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები* – საშიში ქიმიური ნივთიერებების

მართვისა და კონტროლის სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები;

წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურა – მკაცრად შეზღუდული ან აკრძალული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის გაგრძელებაზე იმპორტიორი ქვეყნების ოფიციალური გადაწყვეტილებების მიღებისა და გაერცელების პროცედურა.

ამგვარად, საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ახორციელებენ საბაჟო კონტროლს. მათ დღეისადაგ უნდა ახსოვდეთ საზღვრებზე ტვირთების გადაზიდვის კონტროლის პირობების შეთანხმების შესახებ ჟენევის 1982 წლის 21 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენციის დებულებები[1]:

- ყველა საზღვარზე საბაჟოების არსებობის და მათი მუშაობის საერთო ხასიათის გათვალისწინებით, სხვა სახის კონტროლის ორგანიზაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, კოორდინირდება საბაჟო კონტროლთან;
- იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ერთ ადგილას რამდენიმე სახის კონტროლის ჩატარება, კომპეტენტური სამსახურები ღებულობენ ყველა სათანადო ზომას, რათა კონტროლი ჩატარდეს ერთდროულად ან რაც შეიძლება მოკლე დროში. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ დოკუმენტებსა და ინფორმაციებში თავიანთი მოთხოვნების კოორდინირებისათვის; კერძოდ, კომპეტენტური სამსახურები ღებულობენ საჭირო ზომებს იმისათვის, რომ კონტროლის ჩატარების ადგილზე იყოს სათანადო პერსონალი და აღჭურვილობა. საბაჟოებს შეუძლიათ კომპეტენტური ორგანოების მიერ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებით ჩაატარონ კონტროლის ყველა ან ზოგიერთი სახე, რომელთა გამოც პასუხისმგებლობას თავად კისრულობენ. ასეთ შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოები უსრუნველყოფენ საბაჟოებს სათანადო აღჭურვილობით;
- საბაჟო უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას იმ იურიდიული მითითებების და წესების თაობაზე, რომლებიც შეიძლება მო-

---

1 საერთაშორისო კონვენცია საზღვრებზე ტვირთების გადაზიდვის კონტროლის პირობების შეთანხმების შესახებ, ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1998, №2, გვ. 46.

ითხოვონ საბაჟო კონტროლისაგან განსხვავებული კონტროლის სხვა სახეების განხორციელება.

- თუ დადგინდა კონტროლის სხვა სახეების ჩატარების აუცილებლობა, საბაჟო ინფორმირებს ამის შესახებ მასში მონაწილე სამსახურებს და თანამშრომლობს მათთან.

მოკლე დასკვნები

- *საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება საბაჟო კონტროლის საკითხებს.*
- *საბაჟო კონტროლი ითვალისწინებს საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებას, პირად გასინჯვას, აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმებას და სხვა.*
- *საბაჟო კონტროლის ფორმებია: ორმხრივი საბაჟო კონტროლი და ცალმხრივი საბაჟო კონტროლი.*
- *საბაჟო კონტროლი ხორციელდება ეტაპებად. მისი მიზანია საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესების დაცვის უზრუნველყოფა.*
- *საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო კონტროლთან კოორდინაციაში ხორციელდება სამედიცინო-სანიტარიული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის კონტროლი.*

კითხვები გამეორებისათვის

- *რას ითვალისწინებს საბაჟო კონტროლი?*
- *დაასახელეთ საბაჟო კონტროლის ფორმები და ეტაპები.*
- *რა სახის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლთან ერთად?*
- *რა არის საბაჟო კონტროლის ზონა?*
- *როგორ ხდება სამხედრო ტვირთების საბაჟო კონტროლი?*
- *რას ნიშნავს სტრატეგიული დანიშნულების საქონლის საბაჟო კონტროლი?*
- *რა არის საშალუტო კონტროლი?*

თავი 11. სპეციფიკური ტვირთების საბაჟო გაფორმება და კონტროლი

სპეციფიკურ ტვირთებს მიეკუთვნება საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ელექტროენერგია, ნავთობი, გაზი, ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები, მილსადენებით გატარებული საქონელი და სხვა. მათზე კონტროლის განხორციელება საბაჟო სამსახურის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

შექმნილია რეგიონული საბაჟო – „ენერგეტიკის საბაჟო", რომლის ძირითადი ამოცანაა საქართველოს საზღვარზე გადაადგილებული სათბობ-ენერგეტიკული და აქციზური საქონლის საბაჟო გაფორმების მონიტორინგი და კონტროლი, საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული სათბობ-ენერგეტიკული და აქციზური საქონლის აღრიცხვისა და დაბეგვრის ორგანიზება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მიღება სათბობ-ენერგეტიკული და აქციზური საქონლისათვის სასაქონლო ნომენკლატურული კოდის მინიჭება, საბაჟო ღირებულების განსაზღვრისა და განცხადების სისწორის კონტროლის განხორციელება.

ელექტროენერგიის ფაქტიური რაოდენობის საბაჟო კონტროლი

ერთ-ერთი სპეციფიკური საქონელი, რომელიც საბაჟო დეპარტამენტის კონტროლს ექვემდებარება, ელექტროენერგიაა. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ელექტროენერგიის გატარება და საბაჟო კონტროლის განხორციელება ემყარება საბაჟო კანონმდებლობას, ინსტრუქციას საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარებული ელექტროენერგიის ფაქტიური რაოდენობის საბაჟო კონტროლის განხორციელების შესახებ (1998 წლის 6 იანვარი).

ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს საბაჟო საზღვარზე ელექტროენერგიის გატარებაზე საქართველოს კანონების დაცვის და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ინსტრუქცია ვრცელდება ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, რომლებიც აწარმოებენ საბაჟო საზღვარზე ელექტროე-

ნერგიის ფაქტიური რაოდენობის გატარებას, ელექტრომომმარაგებელ საწარმოებზე და ორგანიზაციებზე, რომლებსაც აქვთ თავიანთ ბალანსზე საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი ელექტროგადამცემი ხაზები, ენერგეტიკული ობიექტების (ელექტრისადგურები, ქვესადგურები, ბლოკსადგურები) ელექტროენერგიის აღმრიცხველი სისტემებით, გამიზნული ელექტროენერგიის გაზომვისა და აღრიცხვიანობისათვის.

ელექტროენერგიის აღრიცხვაზე ზედამხედველობის ორგანიზაციას ახორციელებს საქართველოს სახასინო საწარმო „სახელმწიფო კომპანია საქენერგო", მოქმედი წესდების საფუძველზე.

საბაჟო ორგანოების მუშაკები, რათა უზრუნველყონ თავიანთი ფუნქციების შესრულება უშუალოდ ენერგოობიექტებზე, ვალდებულნი არიან გაიარონ ინსტრუქტაჟი, ინსტრუქტაჟის ჟურნალში ჩაწერით.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო წარადგენს საბაჟო დეპარტამენტში ენერგეტიკისა და სპეციალური ტრანსპორტით (მილსადენი და სხვა) გადაზიდულ პროდუქციაზე ენერგოობიექტების ჩამონათვალს (ელექტროსადგურები, ქვესადგურები, ბლოკსადგურები), რომლებიც აღჭურვილია ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემებით, განლაგებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და განკუთვნილია ელექტროენერგიის გაზომვისა და აღრიცხვისათვის; იმ ელექტროენერგიისა, რომელიც გატარებულია ყველა კლასის ძაბვის ელექტროხაზებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

მოცემული ენერგოობიექტები ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემებით წარმოადგენენ *ელექტროენერგიის გამშვებ საბაჟო პუნქტებს.*

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განსაზღვრული საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც გააჩნიათ ლიცენზიები, განახორციელებენ ელექტროენერგიის გატანას ან შემოტანას საქართველოს საბაჟო საზღვარზე, თუ არსებობს:

1. ელექტროენერგიის გატარებაზე საკითხების მარეგულირებელი ხელშეკრულებები გამყიდველსა და ქსელის მესაკუთრეს შორის;

2. საქართველოს საბაჟო ორგანოს მიერ გაფორმებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მეოთხე ეგზემპლარი შტამპით „გაშვება ნებადართულია“.

3. ელექტროენერგიის გატარება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ხორციელდება გადამტანის მეშვეობით, დროებით სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში გაცხადებულ ვადებში.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებათა დადება ხორციელდება ელექტროენერგიის გატარების საბაჟო პუნქტებზე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული აღრიცხვის სისტემებით აღჭურვილი ენერგეტიკული ობიექტების ჩამონათვალის მიხედვით.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებათა დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება საბაჟო ორგანოს მუშაკის მიერ.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები იდება:

1. აღრიცხვის წრედების შემკრებ კლემებზე და ელექტროენერგიის ანგარიშსწორების (კომერციული) აღრიცხვის ხელსაწყოების მომჭერებზე ელექტრომოწყობილობების მოწყობის წესების თანახმად. იგი დგება ენერგოზედამხედველობის ორგანოს მიერ დაყენებულ პლომბებთან ერთად აღრიცხვის წერტილში;

2. ენერგოობიექტებზე არსებულ ჩანაწერებზე – მრიცხველის ჩვენების პირველადი ჩანაწერის ჟურნალში.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებათა მთლიანობის დაცვაზე პასუხს აგებს ენერგოობიექტის ხელმძღვანელობა. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებათა დადება ხორციელდება საბაჟო ორგანოს მუშაკის მიერ ენერგოობიექტისა და ენერგოგასაღების პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, საბაჟო პლომბის, ბეჭდის, შტამპისა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებათა დადების გზით. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებათა დადების წესი განსაზღვრულია ინსტრუქციაში[1].

საბაჟო ორგანოს მუშაკის მიერ პლომბის მოხსნა ან დადება ხორციელდება ენერგოობიექტის და ენერგოგასაღების პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით შესაბამისი აქტის გაფორმებით.

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი I, გვ. 419-2421.

აქტის ერთი პირი ინახება საბაჟო ორგანოში, მეორე – ენერგოობიექტზე.

საბაჟო საზღვარზე გატარებული ელექტროენერგიის ფაქტიური რაოდენობის კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოების მუშაკების მიერ ელექტროობიექტის და ელექტროგასაღების პასუხისმგებელ წარმომადგენლებთან ერთად ელექტროენერგიის ანგარიშსწორების (კომერციული) აღრიცხვის ხელსაწყოებიდან ჩვენებების აღების გზით, აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმებით, დოკუმენტებისა და ცნობების მიღებით, რაც აუცილებელია საბაჟო მიზნებისათვის.

საბაჟო საზღვარზე გატარებული ელექტროენერგიის ფაქტიური რაოდენობის აღმრიცხველი ყველა აუცილებელი მოწყობილობით მიმღებ-გამშვები პუნქტის აღჭურვა და მათი მუშაობის უზრუნველყოფა ევალებათ იმ ორგანიზაციებს, ვის ბალანსზეც იმყოფება შესაბამისი ობიექტი.

საქართველოს საბაჟო ორგანო, რომლის მოქმედების ზონაშიც იმყოფება ელექტროენერგიის გადამტანი:

1. უმოწმებს მას დროებითი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მეოთხე ეგზემპლარს შტამპით „გაშვება ნებადართულია“;

2. აწვდის ინფორმაციას საქართველოს საბაჟო ორგანოს, რომლის მოქმედების ზონაშიც ხდება ელექტროენერგიის გატარება და უმოწმებს გადამტანს გაფორმებულ საბაჟო დეკლარაციის მეოთხე ეგზემპლარს შტამპით „გაშვება ნებადართულია“, იმ დამტკიცებულ საბაჟო პუნქტებზე, სადაც ხორციელდება ელექტროენერგიის საბაჟო კონტროლი.

გადამტანი ელექტროენერგიის გატარების განხორციელების დაწყებამდე აწვდის ინფორმაციას ენერგეტიკული ობიექტების ხელმძღვანელობას სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მის ხელთ არსებობაზე საქართველოს საბაჟო საზღვარზე ელექტროენერგიის გატარების შესახებ.

საბაჟო ორგანოს მუშაკი, რომელიც ახორციელებს საბაჟო კონტროლს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარებული ელექტროენერგიის ფაქტიურ რაოდენობაზე, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ კომისიასთან ერთად:

1. აფორმებს აქტს ელექტროენერგიის ბალანსის შედგენაზე ელექტროსადგურებზე, ქვესადგურებზე ენერგოობიექტების პერსონალის მიერ 24.00 საათზე აღებული მრიცხველის ჩვენებით, ანდა ელექტროენერგიის ყიდვაზე და გაყიდვაზე ხელშეკრულების თანახმად;

2. ამოწმებს ენერგოობიექტის პერსონალის მიერ საანგარიშო თვის ბოლო დღეს აღებული ელექტროენერგიის მრიცხველის ჩვენებებს „ელექტროენერგიის მარეგულირებელი მრიცხველის აღრიცხვის პირველადი ჩანაწერის ჟურნალში".

ინფორმაციის გადაცემის წესი. საქართველოს საბაჟო ორგანოები, რომელთა მოქმედების ზონაშიც იმყოფება ელექტროენერგიის გამშვები საბაჟო პუნქტი, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე გადასცემენ კომისიის და საბაჟო ორგანოების მუშაკების მიერ გაფორმებულ და ხელმოწერილ აქტებს საბაჟო ორგანოებში არსებული კავშირგაბმულობის ხაზების საშუალებით საბაჟო დეპარტამენტის რეგიონულ საბაჟო „ენერგეტიკას"; საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ყოველი მომდევნო თვის 20 რიცხვამდე — საბაჟო საზღვარზე გატარებული ელექტროენერგიის ფაქტიური რაოდენობის შესახებ.

მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების საბაჟო კონტროლი

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის წარმოება ხორციელდება ინსტრუქციით (1998 წლის 6 იანვარი), რომელიც შემუშავებულია საქართველოს საბაჟო საზღვრიდან გატანილი და საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანილი ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიურ რაოდენობაზე საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით.

ინსტრუქციის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

1. კონტროლის გაწევა საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული ნავთობისა და ნავთობ-

პროდუქტების ფაქტიური და გაცხადებული რაოდენობის შესაბამისობაზე;

2. საქართველოს იმ საბაჟო ორგანოების მიერ, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების საბაჟო გაფორმებას, საქართველოს საბაჟო ორგანოების მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიური რაოდენობის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფა;

3. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა ქმედებების ჩამონათვალის და თანმიმდევრობის დადგენა საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიური რაოდენობის არსებული გამზომი ხელსაწყოებით და უწყებრივი ნორმატიული აქტებით საბაჟო კონტროლის განხორციელებისას.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიურ რაოდენობაზე საბაჟო კონტროლი ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და მეთოდებს. ინსტრუქცია არ ცვლის ნავთობის და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისა და აღრიცხვის არსებულ ტექნოლოგიურ პროცესს.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიური რაოდენობის კონტროლს აწარმოებენ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირები.

საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ნორმატიული აქტების შესაბამისად, საბაჟო ორგანოები ადგენენ მუშაობის ტექნოლოგიურ სქემას საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირისა, რომელიც დანიშნულია ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის განხორციელებისათვის, მისი ქმედებების თანმიმდევრობისა და კონკრეტულობის მითითებით.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მუშაობის სქემას ამ-

ტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც აკონტროლებს ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადაადგილებას, უნდა გაეცნოს და აუცილებლად ასრულებდეს უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის მოთხოვნებს.

ტექნოლოგიურ მოწყობილობასთან არასანქციონირებული დაშვებისა და ნავთობის და ნავთობპროდუქტების საბაჟო გამშვები პუნქტის (სგპ) გვერდის ავლით ტრანსპორტირების თავიდან აცილების მიზნით ხდება საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება.

კონკრეტულ სახაზო სადისპეტჩერო სამსახურის პუნქტზე (სსსპ) საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება საბაჟო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით ხდება საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ორგანიზაციის პასუხისმგებელ პირთა თანდასწრებით. ამ მუხლის შესაბამისად, იდენტიფიკაცია ხდება პლომბის, ბეჭდის დადებით, ციფრობრივი, ასოებრივი ან სხვა მარკირების, საიდენტიფიკაციო ნიშნების, შტამპის დასმით, სინჯებისა და ნიმუშების აღებით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღწერით, ნახაზების შედგენით, მასშტაბური გამოსახულების, ფოტოსურათების, ილუსტრაციების გამოყენებით, იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით.

იდენტიფიკაციის საშუალებების შეცვლა, მოცილება ან განადგურება შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ ან მათი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების განადგურების, დაკარგვის ან არსებითი დაზიანების რეალური საფრთხე. საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ ეცნობები იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლის, მოცილების ან განადგურების შესახებ.

ორგანიზაციის პასუხისმგებელ წარმომადგენელთან ერთად წინასწარ დგება ტექნოლოგიურ მოწყობილობათა ჩამონათვალი (საბაჟო ორგანოს პლომბის დასადებად), აგრეთვე, პირველადი და საანგარიშგებო დოკუმენტაცია – დეკლარაცია და სხვა (საბაჟო

ორგანოს ბეჭდებისა და შტამპების დასადებად), რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების რაოდენობისა და ხარისხის შესახებ.

საიდენტიფიკაციო საშუალებები შეიძლება შეიცვალოს ან განადგურდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ ან მათი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს რეალური საშიშროება სსსპ-ზე ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობის ნორმალური რეჟიმის დარღვევისა ან ავარიულ და ხანძარსაშიშ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ამ ტექნოლოგიური მოწყობილობის ამოქმედება, რომელზედ დადებულია საიდენტიფიკაციო საშუალებები.

ორგანიზაციის სადისპეტჩერო სამსახური მის ხელთ არსებული კავშირის საშუალებებით ატყობინებს საქაროველოს საბაჟო ორგანოს სსსპ-ზე საავარიო სიტუაციის სალიკვიდაციო სამუშაოთა შესახებ, საიდენტიფიკაციო საშუალებათა მთლიანობის დარღვევის გამომწვევ მიზეზთა წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენით.

მოწყობილობის კაპიტალური ან მიმდინარე შეკეთების შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია მოწყობილობის დემონტაჟთან საიდენტიფიკაციო საშუალებათა მთლიანობის დარღვევით, ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი ატყობინებს საბაჟო ორგანოს წინასწარ, სამუშაოთა დაწყების თარიღისა და მათი ხანგრძლივობის ჩვენებით. სამუშაოთა დამთავრების შემდეგ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი აღადგენს საიდენტიფიკაციო საშუალებებს.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ საბაჟო პლომბის დადებისას და მოხსნისას უნდა შედგეს შესაბამისი ფორმის აქტი. აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება საბაჟო ორგანოში, მეორე გადაეცემა მაგისტრალური ნავთობსადენის სამმართველოს მეტროლოგიურ სამსახურს, მესამე რჩება სსსპ-ში.

სსსპ-ს უფროსი პასუხს აგებს მის დაქვემდებარებაში მყოფი სსსპ-ს ტერიტორიაზე არსებული საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებების მთლიანობაზე.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების რაოდენობაზე კონტროლი ხორციელდება მუდმივად.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიური რაოდენობის აღმრიცხველი ყველა აუცილებელი მოწყობილობით მიმღებ-გამშვები პუნქტის აღჭურვა და მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ევალებათ იმ ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც იმყოფება შესაბამისი ნავთობსადენი.

სათანადო აღმრიცხველი მოწყობილობების უქონლობის შემთხვევაში ამ ორგანიზაციების მიმართ გამოყენებული იქნება ეკონომიკური სანქციები, რომელთა ზომებსაც განსაზღვრავს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი. აღმრიცხველი მოწყობილობებით აღჭურვილი სგპ-ების ჩამონათვალი წარმოადგენს არსებული დებულების განუყოფელ ნაწილს.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. ამოწმებს სგპ-ზე სამარშრუტო დეპეშის არსებობას და შინაარსს, რომელიც გაფორმებულია შესაბამისი ორგანიზაციის მიერ და შეთანხმებულია საბაჟო დეპარტამენტის ენერგეტიკის სამმართველოსთან;

2. სსსპ-ს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობს გამზომი საშუალებებიდან რეზერვუარებში ნავთობის და ნავთობპროდუქტების დონის განმსაზღვრელი მონაცემების აოვლაში, სსსპ-ს ლაბორატორიიდან ღებულობს ნავთობპროდუქტების ხარისხის პასპორტს;

3. სსსპ-ს აღრიცხვის კვანძიდან ღებულობს შესაბამისი ორგანიზაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებს. ამოწმებს მიღება-ჩაბარების აქტებში არსებული ყველა მონაცემის სისწორეს, ადარებს სსსპ-ს პირველად დოკუმენტაციაში (აღრიცხვის ოპერატიული ჟურნალი, მიღება-ჩაბარების აქტების ჟურნალი, ხარისხის პასპორტების ჟურნალი) დარეგისტრირებულ მონაცემებთან;

ყველა მონაცემის და რეკვიზიტების სისწორის შემოწმების შემდეგ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი აღნიშნულ დოკუ-

მენტებს ადებს საიდენტიფიკაციო საშუალებებს (შტამპი, პირადნომრიანი ბეჭედი) და ამტკიცებს ხელმოწერით. აუცილებლობის შემთხვევაში სსსპ-ს თანამშრომლების ან ზემდგომი ორგანიზაციისაგან ღებულობს სხვა მონაცემსაც, რომელიც აუცილებელია საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის განსახორციელებლად.

ყოველთვიურად, მაგრამ არა უგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, საქართველოს საბაჟო ორგანო, რომელიც ახორციელებს კონტროლს გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიურ რაოდენობაზე, აგზავნის საბაჟო დეპარტამენტის ენერგეტიკის სამმართველოში:

ა) ცნობას საქართველოს საბაჟო საზღვარზე ერთი თვის განმავლობაში გადაადგილებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფაქტიური რაოდენობის შესახებ;

ბ) შესაბამისი ორგანიზაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებს.

მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე საბაჟო კონტროლი

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის წარმოების დებულება (1998 წლის 6 იანვარი) შემუშავებულია საქართველოს საბაჟო საზღვრიდან გატანილი და საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანილი გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

ინსტრუქცია განკუთვნილია საქართველოს საბაჟო ორგანოებისათვის და ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის, რომლებიც აწარმოებენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გაზის გადაადგილებას.

ინსტრუქციის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

1. კონტროლის გაწევა საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული გაზის ფაქტიური და გაცხადებული რაოდენობის შესაბამისობაზე;

2. საქართველოს იმ საბაჟო ორგანოების მიერ, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული გაზის საბაჟო გაფორმებას, საქართველოს საბაჟო ორგანოების მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული გაზის ფაქტიური რაოდენობის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფა;

3. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა ქმედებების ჩამონათვალის და თანმიმდევრობის დადგენა საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული გაზის ფაქტიური რაოდენობის არსებული გამზომი ხელსაწყოებით და უწყებრივი ნორმატიული აქტებით საბაჟო კონტროლის განხორციელებისას.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებული გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე საბაჟო კონტროლი ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და მეთოდებს.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული გაზის ფაქტიური რაოდენობის კონტროლს აწარმოებენ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირები.

საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ნორმატიული აქტების შესაბამისად, საბაჟო ორგანოები ადგენენ მუშაობის ტექნოლოგიურ სქემას საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირისა, რომელიც დანიშნულია გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის განხორციელებისათვის, მისი ქმედებების თანმიმდევრობისა და კონკრეტულობის მითითებით.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მუშაობის სქემას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც აკონტროლებს გაზის გადაადგილებას, უნდა გაეცნოს და

აუცილებლად ასრულებდეს უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის მოთხოვნებს.

ტექნოლოგიურ მოწყობილობასთან არასანქციონირებული დაშვებისა და გაზის საბაჟო გამშვები პუნქტის (სგპ) გვერდის ავლით ტრანსპორტირების თავიდან აცილების მიზნით ხდება საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება.

კონკრეტული აღრიცხვის სასაზღვრო კვანძზე (ასკ) საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება საბაჟო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით ხდება საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ორგანიზაციის პასუხისმგებელ პირთა თანდასწრებით.

ორგანიზაციის პასუხისმგებელ წარმომადგენელთან ერთად წინასწარ დგება ტექნოლოგიურ მოწყობილობათა ჩამონათვალი (საბაჟო ორგანოს პლომბის დასადებად), აგრეთვე, პირველადი და საანგარიშგებო დოკუმენტაცია – დეკლარაცია და სხვა (საბაჟო ორგანოს ბეჭდების და შტამპების დასადებად), რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანილი გაზის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ.

საიდენტიფიკაციო საშუალებები შეიძლება შეიცვალოს ან განადგურდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ ან მათი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს რეალური საშიშროება ასკ-ის ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობის ნორმალური რეჟიმის დარღვევისა, ან ავარიულ და ხანძარსაშიშ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ამ ტექნოლოგიური მოწყობილობის ამოქმედება, რომელზეც დადებულია საიდენტიფიკაციო საშუალებები.

ორგანიზაციის სადისპეტჩერო სამსახური მის ხელთ არსებული კავშირის საშუალებებით ატყობინებს საქართველოს საბაჟო ორგანოს ასკ-ზე საავარიო სიტუაციის სალიკვიდაციო სამუშაოთა შესახებ, საიდენტიფიკაციო საშუალებათა მთლიანობის დარღვევის გამომწვევ მიზეზთა წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენით.

მოწყობილობის კაპიტალური ან მიმდინარე შეკეთების შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია მოწყობილობის დემონტაჟთან საიდენტიფიკაციო საშუალებათა მთლიანობის დარღვევით, ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი ატყობინებს საბაჟო ორგა-

ნოს წინასწარ, სამუშაოთა დაწყების თარიღისა და მათი ხანგრძლივობის ჩვენებით. სამუშაოთა დასთავრების შემდეგ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი აღადგენს საიდენტიფიკაციო საშუალებებს

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ საბაჟო პლომბის დადებისას და მოხსნისას უნდა შედგეს შესაბამისი ფორმის აქტი. აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება საბაჟო ორგანოში, მეორე გადაეცემა მაგისტრალური გასადენების სამმართველოს მეტროლოგიურ სამსახურს, მესამე რჩება ასკ-ში.

ასკ-ს უფროსი პასუხს აგებს მის დაქვემდებარებაში მყოფი ასკ-ს ტერიტორიაზე არსებული საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებების მთლიანობაზე.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული გაზის რაოდენობაზე კონტროლი სგპ-ზე ხორციელდება მუდმივად.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული გაზის ფაქტიური რაოდენობის აღმრიცხველი ყველა აუცილებელი მოწყობილობით მიმღებ-გამშვები პუნქტის აღჭურვა და მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ევალება იმ ორგანიზაციას, რომლის ბალანსზეც იმყოფება შესაბამისი გაზსადენი.

სათანადო აღმრიცხველი მოწყობილობების უქონლობის შემთხვევაში ამ ორგანიზაციების მიმართ გამოყენებული იქნება ეკონომიკური სანქციები, რომელთა ზომებსაც განსაზღვრავს საბაჟო დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. აღმრიცხველი მოწყობილობებით აღჭურვილი სგპ-ების ჩამონათვალი წარმოადგენს არსებული დებულების განუყოფელ ნაწილს.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. ამოწმებს სგპ-ზე სამარშრუტო დეპეშის არსებობას და შინაარსს, რომელიც გაფორმებულია შესაბამისი ორგანიზაციის მიერ და შეთანხმებულია საბაჟო დეპარტამენტის ენერგეტიკის სამმართველოსთან;

2. ასკ-ს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობს გამზომი საშუალებებიდან მონაცემების ათვლაში, ასკ-ს ლაბორატორიიდან ღებულობს გაზის ხარისხის პასპორტს;

3. ასკ-ს აღრიცხვის კვანძიდან ღებულობს მომწოდებელსა და მიმღებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებს, ამოწმებს მიღება-ჩაბარების აქტებში არსებული ყველა მონაცემის სისწორეს, ადარებს ასკ-ს პირველად დოკუმენტაციაში (აღრიცხვის ოპერატიული ჟურნალი, მიღება-ჩაბარების აქტების ჟურნალი, ხარისხის პასპორტების ჟურნალი) დარეგისტრირებულ მონაცემებთან;

4. ყველა მონაცემის და რეკვიზიტის სისწორის შემოწმების შემდეგ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი აღნიშნულ დოკუმენტებს ადებს საიდენტიფიკაციო საშუალებებს (შტამპი, პირადნომრიანი ბეჭედი) და ამტკიცებს ხელმოწერით. აუცილებლობის შემთხვევაში ასკ-ს თანამშრომლების ან ზემდგომი ორგანიზაციისაგან ღებულობს სხვა მონაცემსაც, რომელიც აუცილებელია საქართველოს საბაჟო სასღვარზე გადაადგილებული გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის განსახორციელებლად.

ყოველთვიურად, მაგრამ არა უგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, საქართველოს საბაჟო ორგანო, რომელიც ახორციელებს კონტროლს გადატანილი გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე, აგზავნის საბაჟო დეპარტამენტის ენერგეტიკის სამმართველოში:

1. ცნობას საქართველოს საბაჟო სასღვარზე ერთი თვის განმავლობაში გადაადგილებული გაზის ფაქტიური რაოდენობის შესახებ;

2. მომწოდებელსა და მიმღებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებს.

თამბაქოს ნაწარმის იმპორტი, აღრიცხვა და დაბეგვრა

საქართველოში თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება ხორციელდება ფოთის, სარფის, გარდაბნის, თბილისის აეროპორტის, წითელი ხიდისა და სადახლოს საბაჟოებზე, საბაჟო საგუშაგო ბათუმის ნავსადგურზე, ხოლო საბაჟო გაფორმება – აჭარის რეგიონული საბაჟო სამმართველოს, აღმოსავლეთის რეგიონული საბაჟოს და დასავლეთის საბაჟოს მიერ.

აკრძალულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება და საბაჟო გაფორმება „თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორის ბარათის“ გარეშე[1].

იმპორტიორის ბარათთან ერთად საბაჟო დეპარტამენტის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის ყოველი კონკრეტული პარტიის გადაადგილებაზე გაიცემა აქციზური საქონლის გადაზიდვის ნებართვა.

აქციზური საქონლის გადაზიდვის ნებართვა, ისევე როგორც იმპორტიორის ბარათი, წარმოადგენს სპეციალური ნიშნით (ჰოლოგრამული მარკა) დაცულ დოკუმენტს, რომელიც გაიცემა სახმელეთო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული აქციზური საქონლის ყოველ კონკრეტულ პარტიაზე, გარდა ნავთობის დისტილატებისა.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, შემომტანმა პირმა ამის შესახებ წინასწარ უნდა განაცხადოს საბაჟო დეპარტამენტში და მიიღოს იმპორტიორის ბარათი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის საბაჟო რეჟიმით თამბაქოს ნაწარმის შემოტანის ნებართვას.

იმპორტიორის ბარათის მისაღებად თამბაქოს ნაწარმის შემომტანმა ან მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა საბაჟო დეპარტამენტში უნდა წარმოადგინოს:

1. საქონლის მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ან მათი ურთიერთობის განმსაზღვრელი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება საქონლის ფასი, მიწოდების პირობები, ტრანსპორტირების ღირებულება და სხვა ხარჯები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქონლის საბაჟო ღირებულების ფორმირებაზე;

2. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

3. საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს თამბაქოს ნაწარმის ღირებულებას, რაოდენობას და სასაქონლო ნომენკლატურას (თუ საქონლის ღირებულება აღემატება 2500 აშშ დოლარს);

---

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2001 წლის №10, გვ. 11-12.

4. საქონლის თანმხლები სატვირთო და სატრანსპორტო ზედდებულები;

5. აქციზური მარკების სამსახურის მიერ გაცემული აქტი სერიებისა და ნომრების მიხედვით, იმპორტიორის მიერ შეძენილი აქციზური მარკების შესახებ;

6. საგადასახადო ვალდებულების აღსრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

7. აქციზური მარკების იდენტურობის შესახებ შედგენილი აქტი („თამბაქოს ნაწარმის შემოწმების შესახებ").

საქართველოს ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის თითოეული სატრანსპორტო საშუალებით შემოტანისას შემოსასვლელ საბაჟო ორგანოში ხდება სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებული ყუთების საერთო რაოდენობის არანაკლებ 2%-ის, ხოლო თითოეული ყუთიდან არანაკლებ 2%-ის შერჩევითი გადამოწმება. მაგალითად, თუ კონტეინერში განთავსებულია 1000 ყუთი სიგარეტი, შერჩევით მოწმდება არანაკლებ 20 ყუთისა, ხოლო თითოეული ყუთიდან — არანაკლებ 10 კოლოფისა.

იმპორტიორის ბარათი ივსება ოთხ ეგზემპლარად. პირველი რჩება საბაჟო დეპარტამენტში, ხოლო დანარჩენი სამი ეძლევა იმპორტიორს ან მის უფლებამოსილ პირს, რომელთაგან მესამე და მეოთხე ეგზემპლარები განკუთვნილია, შესაბამისად, მიმღები და გამფორმებელი საბაჟოებისათვის.

საქონლის საბაჟო გაფორმების შემდეგ იმპორტიორის ბარათის მეოთხე ეგზემპლარი ბრუნდება საბაჟო დეპარტამენტში; იმპორტიორის ბარათის მოქმედების ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 10 კალენდარული დღით.

იმპორტიორის ბარათი ძალადაკარგულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

- დაიკარგა ან განადგურდა იმპორტიორის ხელთ არსებული ბარათის ერთ-ერთი ეგზემპლარი;
- იმპორტიორის ბარათს გაუვიდა მოქმედების ვადა.
- საბაჟო ორგანო შემოტანილი თამბაქოს ნაწარმის საბოლოო საბაჟო გაფორმებას ახდენს მხოლოდ იმპორტიორის ბარათის წარდგენის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მისნით შემოტანილი თამბაქოს ნაწარმი საბოლოო საბაჟო გაფორმებისათვის საჭიროებს გადაადგილებას ქვეყნის სივრცეში, ასეთი გადაადგილების ნებადამრთველ დოკუმენტს იმპორტიორის ბარათთან ერთად წარმოადგენს გადაზიდვის ნებართვა. გადაზიდვის ნებართვა გაიცემა ორ ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი რჩება საბაჟო დეპარტამენტში, ხოლო მეორეზე ეკვრება ჰოლოგრამული მარკა და ეძლევა იმპორტიორს.

მოცემულ შემთხვევაში, შემოსასვლელი საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი ამოწმებს იმპორტიორის მიერ წარმოდგენილ იმპორტიორის ბარათის და გადაზიდვის ნებართვის ეგზემპლარებს პირადნომრიანი ბეჭდითა და ხელმოწერით. დამოწმებული იმპორტიორის ბარათის მესამე ეგზემპლარი რჩება საბაჟო ორგანოში, ხოლო იმპორტიორის ბარათისა და გადაზიდვის ნებართვის დანარჩენი ეგზემპლარები უბრუნდება საქონლის გადამაადგილებელს დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარსადგენად. საქონლის გადაადგილება დანიშნულების საბაჟომდე ხდება საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და დისპეტჩერიზაციის სამმართველოს მეშვეობით.

თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორის ბარათის კომპლექტი შედგება ოთხი დანომრილი აკინძული ფურცლისაგან, რომელთა მეორე, მესამე და მეოთხე ეგზემპლარებს ეკვრება ჰოლოგრამული მარკა, ასეთისთვის სპეციალურად მინიშნებულ ადგილას.

ბარათი ივსება საქონლის ყოველ კონკრეტულ პარტიაზე. შევსებული ბარათის ფურცლები ნაწილდება შემდეგნაირად:

პირველი ფურცელი რჩება საბაჟო დეპარტამენტში; მეორე ფურცელი ეძლევა იმპორტიორს; მესამე ფურცელი ეგზავნება იმ საბაჟო ორგანოს, საიდანაც უნდა შემოვიდეს საქონელი; მეოთხე ფურცელი ეგზავნება იმ საბაჟო ორგანოს, რომელმაც უნდა მოახდინოს საქონლის საბოლოო საბაჟო გაფორმება.

ბარათში არ უნდა იყოს წაშლილი და გადასწორებული ადგილები. ყოველი შესწორების შეტანა უნდა მოხდეს არასწორი მონაცემების გადახაზვით და, თუ საჭიროა, შესაბამისი მონაცემების იმავე ფურცელზე ჩაბეჭდვით, ჩამატებით. ყოველი შესწორება მოწმდება ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

ბარათები ივსება ქართულ ენაზე.

მოკლე დასკვნები

- *სპეციფიკური ტვირთების გაფორმება და კონტროლი საბაჟო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.*
- *სპეციფიკური ტვირთების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარება, საბაჟო გაფორმება და კონტროლი ხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის, სპეციალური ინსტრუქციებისა და დებულებების საფუძველზე.*
- *სახელმძღვანელოში განხილულია ელექტროენერგიის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე კონტროლის საკითხები.*

კითხვები გამეორებისათვის

- ჩამოთვალეთ სპეციფიკური ტვირთების სახეობები.
- როგორ ხორციელდება ელექტროენერგიის ფაქტიური რაოდენობის საბაჟო კონტროლი?
- რაში მდგომარეობს მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების აღრიცხვის წესების არსი?
- რას ნიშნავს მილსადენის ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე საბაჟო კონტროლი?
- როგორ ხდება იდენტიფიკაციის საშუალებათა დადება?
- განმარტეთ თამბაქოს ნაწარმის იმპორტის, აღრიცხვისა და დაბეგვრის წესები.

თავი 12. საბაჟო სტატისტიკა. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საბაჟო ორგანოების ერთ-ერთი ფუნქციაა საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება, რომელიც ეკონომიკური სტა-

ტისტიკის სფეროს მიეკუთვნება და მი'ნად ისახავს ქვეყნის საბაჟო საზღვარ'ზე საქონლის გადაადგილების შესახებ მონაცემების შეკრებას, დამუ'შავებასა და ანალიზს. მისი ამოცანებია: სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და მმართველობის სხვა სახელმწიფო ორგანოების უ'ზრუნველყოფა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით; სახელმწიფოთაშორისო საგაჭრო მოლაპარაკებების, აგრეთვე, ქვეყნის საგადასახდელო და სავაჭრო ბალანსების გაანგარიშების ინფორმაციული უ'ზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტში საგარეო ვაჭრობიდან საბაჟო გადასახდელების შემოსვლა'ზე კონტროლი.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების წესები განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში. საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 150) მიხედვით, „საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო ორგანოების ინფორმაციით უ'ზრუნველყოფის, სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელების შემოსავლის კონტროლის, სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსების გაანგარიშებისა და მთლიანად საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის ანალიზის მი'ნით, საბაჟო ორგანოები იღებენ და ამუშავებენ ინფორმაციას საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შესახებ და მის საფუძველ'ზე აწარმოებენ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკას".

საქართველოში სახელმწიფო სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა, ანალი'ზი და განზოგადება სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველ'ზე, საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; სახელმწიფო ორგანოებში სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებისა და მოსახლეობის ინფორმირება.

საბაჟო სტატისტიკის ძირითადი პრინციპებია: სტატისტიკური ინფორმაციის ობიექტურობა, დამოუკიდებლობა და ქრონოლოგიური შედარებითობა; სტატისტიკური ინფორმაციის სისრულე, დროულობა და მიწოდების სტაბილურობა; კა-

ნონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯაროობა და კონფიდენციალობა.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ, საქართველოს საბაჟო კოდექსი, საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დებულება.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის აღრიცხვის ობიექტია ყველა საქონელი, ბრუნვაში მყოფი სავალუტო ფასეულობების გარდა, რომელთა შემოტანა ან გატანა ადიდებს ან ამცირებს ქვეყნის მატერიალურ რესურსებს.

საქართველოს საბაჟო სტატისტიკის მიზნებია:

1. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის სრულყოფილი და ზუსტი აღრიცხვის უზრუნველყოფა;

2. საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი;

3. საბაჟო პოლიტიკის და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების სფეროში საქართველოს საკანონმდებლო აქტების მომზადების, აგრეთვე, სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

4. საქართველოში შიდა ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი;

5. სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახადების დარიცხვის კონტროლი;

6. სავალუტო კონტროლის განხორციელება;

7. სავაჭრო და საგადასახადო ბალანსის შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა.

საქართველოს საბაჟო სტატისტიკა ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის საერთო აღრიცხვის სისტემის საფუძველზე. იგი ახორციელებს შემოტანილი და გატანილი საქონლის აღრიცხვას; ამ დროს სტატისტიკის ტერიტორიის საზღვარს წარმოადგენს *საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.* საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სპეციალური სისტემის დროს სტატისტიკური ტერიტორიის საზღვარია *საბაჟო საზღვარი.*

აღრიცხვის საერთო სისტემის დროს საბაჟო სტატისტიკით აღირიცხება საქონლის შემდეგი კატეგორიები:

საქართველოს იმპორტი: საქონელი, რომელიც შემოტანილია თავისუფალი ბრუნვისათვის; რეიმპორტირებული საქონელი; საქონელი, რომელიც შემოტანილია საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების შემდეგ; საქონელი, რომელიც შემოტანილია საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავებისათვის; საქონელი, რომელიც შემოტანილია საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტის რეჟიმში მოსაქცევად; საქონელი, რომელიც შემოტანილია საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიასე თავისუფალ საბაჟო ზონებსა და თავისუფალ საწყობებში; შემოტანილი საქონელი, რომელზეც იმპორტიორი უარს აცხადებს სახელმწიფოს სასარგებლოდ; უცხოური საქონელი, რომელიც შემოტანილია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებში; საქონელი, რომელიც დროებით შემოტანილია იჯარით ერთი ან მეტი წლის ვადით; საქონელი, რომელიც შემოტანილია უსასყიდლოდ, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების სახით.

საქართველოს ექსპორტი: საქონელი, რომელიც გატანილია ექსპორტის საბაჟო რეჟიმის პირობებში; თავისუფალი მიმოქცევისათვის სახელმწიფოში შემოტანილი საქონელი, რომელიც შემდგომში საქართველოდან გაიტანება ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად; საქონელი, რომელიც გატანილია საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების შემდეგ; საქონელი, რომელიც გატანილია საბაჟო ტერიტორიის კონტროლის ქვეშ გადამუშავების შემდეგ; საქონელი, რომელიც გატანილია საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად; საქონელი, რომელიც გატანილია საქართველოს ტერიტორიიდან რეექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად; საქონელი, რომელიც გატანილია საქართველოს საზღვრებს გარეთ თავისუფალი საბაჟო ზონებიდან და თავისუფალი საწყობებიდან; უცხოური და საქართველოში წარმოებული საქონელი, რომელიც გატანილია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებიდან; საქონელი, რომელიც დროებით გატანილია იჯარით ერთი ან მეტი წლის ვადით; საქონელი, რომელიც გატანილია უსასყიდლოდ, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების სახით.

ალრიცხვის „საერთო“ სისტემა არ მოიცავს საბაჟო რეჟიმებში გაფორმებულ შემდეგ საქონელთა კატეგორიებს:

საქონელს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადაიტანება ტრანზიტით; საქონელი, რომელიც მოქცეულია საბაჟო

საწყობის რეჟიმში; დროებით შემოტანილი (გატანილი) საქონელი, ერთი ან მეტი წლით იჯარით გაცემულის გარდა; უცხოეთის საქონელი, რომელიც განადგურებულია საქართველოს ტერიტორიაზე; გასატანი საქონელი, რომელზეც პირმა უარი თქვა სახელმწიფოს სასარგებლოდ, აგრეთვე, განადგურებული საქონელი.

საქართველოში ამჟამად ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე მონაცემების შეკრება, დამუშავება და გადაცემა წარმოებს ორრგოლიანი სისტემით (რეგიონული საბაჟო სამმართველოები და საბაჟოები და საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკისა და კომპიუტერული სისტემის სამმართველო).

საქართველოში საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტი და იმპორტი აღრიცხება ეგრეთ წოდებული საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის საერთო სისტემით. ამ შემთხვევაში აღრიცხვის ობიექტია ყველა საქონელი (ბრუნვაში მყოფი სავალუტო ფასეულობების გარდა), რომლის გატანა ან შემოტანა ამცირებს ან ზრდის ქვეყნის მატერიალურ რესურსებს. კონკრეტულად, საერთო სისტემით აღრიცხული იმპორტი მოიცავს ქვეყანაში შემოტანილი (მათ შორის საბაჟო საწყობებში, თავისუფალ ზონებში და ღია ნავსადგურებში) უცხოური საქონლის მთლიან მოცულობას, მიუხედავად მისი შემდგომი დანიშნულებისა – მოიხმარება ქვეყნის შიგნით, თუ გათვალისწინებულია შემდგომი რეექსპორტისათვის.

საერთო სისტემით აღრიცხულ ექსპორტს მიეკუთვნება სამამულო წარმოების საქონლის, ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი უცხოური საქონლის (ადრე შიდა მოხმარებისათვის დეკლარირებული) საბაჟო საწყობებსა და თავისუფალ ზონებში მყოფი საქონლის, საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების შემდეგ საქონლის საზღვარგარეთ გატანა.

ამრიგად, აღრიცხვის საერთო სისტემაში აისახება ქვეყანაში შემოტანილი (იმპორტი) და ქვეყნიდან გატანილი (ექსპორტი) ყველა საქონელი, მიუხედავად მისი წარმოშობისა და დანიშნულებისა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა წარმოებს საბაჟო კოდექსისა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტების მიხედვით. საბაჟო სტატისტიკის წარმოება ხორციელდება

ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგიების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საბაჟო სტატისტიკურ მონაცემთა შესადარისობას როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

საბაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კოდექსისა და მის საფუძველზე მიღებული საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის დებულებათა შესაბამისად. სტატისტიკისათვის წარდგენილ ინფორმაციაზე ერცელდება საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები: „სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ საბაჟო ორგანოებისათვის... გადაცემული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საბაჟო საქმიანობისათვის. ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ, საბანკო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას, აგრეთვე, კონფიდენციალური ინფორმაცია... არ შეიძლება გამოქვეყნდეს, გამოყენებულ იქნეს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ პირადი მიზნით, გადაეცეს მესამე პირს“.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ფორმირებისათვის საწყისი მონაცემების წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს საქონლის საბაჟო გაფორმების დროს დეკლარანტის მიერ შევსებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია. იგი წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის გარეშეც ქვეყნის საზღვარზე საქონლის გადაადგილება არ დაიშვება. საქონლის დეკლარირება ხორციელდება მათი გამგზავნის ან მიმღების მიერ, ან სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, რომლთაც ეძლევათ საქონლის დეკლარირების უფლება საბაჟოს ნებართვით, ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოში საქონლის საზღვარზე გადაადგილების დეკლარაცია იესება იმ შემთხვევაში, როდესაც მათი გადატანა ხორციელდება საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტით. მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით საქონლის (ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) ტრანსპორტირების შემთხვევაში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პირველადი წყაროა ცნობები, რომლებ-

საც შეიცავენ მილსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების სასაზღვრო პუნქტებზე საქონლის მიღება-ჩაბარების აქტები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის კომპლექტი შედგება 4 აკინძული ფურცლისაგან. იგი ივსება საქონლის ან ქონების ყოველ პარტიაზე, რომელიც შედგება ერთი დასახელების საქონლისაგან. იმ შემთხვევაში, თუ პარტია მოიცავს რამდენიმე დასახელების საქონელს ან ქონებას, გამოიყენება დამატებითი ფურცლები, რომელთაგანაც თითოეული მათგანი იძლევა კიდევ 3 დასახელების საქონლის ან ქონების დეკლარირების შესაძლებლობას. ერთ დეკლარაციაში შეიძლება გაცხადებული იყოს მონაცემები 100 დასახელების საქონელსა ან ქონებაზე (ერთდროულად დეკლარაციას შეიძლება თან ერთვოდეს 33 დამატებითი ფურცელი).

საქართველოში სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ეგზემპლარები ნაწილდება შემდეგნაირად: პირველი ეგზემპლარი რჩება საბაჟოში; მეორე ეგზავნება საბაჟო დეპარტამენტს; მესამე — იმ პირს, რომელიც აწარმოებს საბაჟო გადასახადებით ანგარიშსწორებას; მეოთხე — მიყვება საქონელს და რჩება საზღვრის გადაკვეთის ადგილზე — საბაჟო გამშვებ პუნქტებში. ყოველ დეკლარაციას და მის დამატებით ფურცლებს საბაჟოში რეგისტრირებისას მიეკუთვნება შესაბამისი ნომრები.

დეკლარაციის შევსების პროცედურა საკმაოდ რთულია. საერთო ჯამში დეკლარანტმა უნდა შეავსოს 50 პუნქტამდე, თანაც აკურატულად და გარკვევით. აქ არ უნდა იყოს წაშლილი და გადასწორებული ადგილები.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის ფორმირებისათვის გამოიყენება დეკლარაციაში არსებული შემდეგი მაჩვენებლები: საანგარიშო პერიოდი; საქონლის ნაკადის მიმართულება (შემოტანა ან გატანა), წარმოშობის ქვეყანა შემოტანის დროს; დანიშნულების ქვეყანა გატანის დროს, პარტნიორი (მყიდველი, გამყიდველი) ქვეყანა; სტატისტიკური ღირებულება; საქონლის დასახელება და კოდი; ნეტო წონა; დამატებითი განზომილების ერთეულის დასახელება და კოდი; რაოდენობა დამატებითი განზომილების შესაბამისად; გარიგების ხასიათი.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარმოება არის საგარეო ვაჭრო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მე-

თოდი. იგი ფართოდ გამოიყენებოდა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში განსაზღვრულია საქონლის გატანის (ექსპორტი) და შემოტანის (იმპორტი) აღრიცხვის მომენტი. საბაჟო სტატისტიკური მონაცემების პირველად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, აღრიცხვის მომენტის განსაზღვრაც დაკავშირებულია ამ დოკუმენტის გაფორმებასთან. კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟო ორგანოები ამოწმებენ დეკლარაციაში ასახული სტატისტიკური მონაცემების და სხვა მაჩვენებლების სისწორეს, ამასთან ერთად, ასრულებენ სხვადასხვა პროცედურებს, რის შემდეგ დეკლარაციაზე აკეთებენ აღნიშვნას, რომ საქონლის გაშვება ნებადართულია და უსვამენ თარიღს, რომელიც უკვე ითვლება საქონლის ექსპორტის ან იმპორტის აღრიცხვის თარიღად. საქართველოში ეს განსაზღვრა ეხება მხოლოდ საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის ექსპორტს და იმპორტს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება საქონლის ექსპორტზე და იმპორტზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმება.

მილსადენი ტრანსპორტით საქონლის, აგრეთვე, ელექტროგადამცემი ხაზებით ელექტროენერგიის მიწოდების დროს ექსპორტისა და იმპორტის თარიღად ითვლება სასაზღვრო პუნქტებში და მილსადენის ან ელექტროგადამცემი ხაზის საკონტროლოგამანაწილებელ პუნქტებში შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.

საქონელი, რომელიც შეძენილია საზღვარგარეთ და ჩაბარდა თავის ორგანიზაციას ადგილზე მოსახმარებლად, იმპორტში ჩაითვლება ამ ორგანიზაციაზე მესაკუთრის უფლებების გადაცემის მომენტისათვის, რომელიც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. საქონლის საერთაშორისო ფოსტით გაგზავნის დროს აღრიცხვის მომენტად ითვლება საფოსტო ქვითარზე აღნიშნული თარიღი.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვა წარმოებს ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში. ნატურალური (რაოდენობრივი) აღრიცხვა უფრო ზუსტად ასახავს საერთაშორისო საქო-

ნელბრუნვის მოცულობას. რაოდენობრივი აღრიცხვის მონაცემებს იყენებენ საგარეო ვაჭრობის ტვირთების გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების დაგეგმვისათვის. მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში მყოფი საქონლის დიდი ნაწილი იზომება წონით ერთეულებში: ტონებში, ცენტნერებში, კილოგრამებში, ინგლისურ ფუნტებში.

საქართველოში, ისევე როგორც დსთ-ს სხვა ქვეყნებში, საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვისას განსზომილების ძირითადი ერთეულია კილოგრამი. ამასთან, აღრიცხვა წარმოებს ბრუტო ან ნეტო წონებში. ბრუტო წონა საქონლის წონაა ტარასთან ერთად, ნეტო სუფთა წონაა შიდა და გარე ტარის გარეშე, ამასთან, შიდა საფუთავი, რომელშიც უშუალოდ იმყოფება საქონელი და რომლითაც მიეწოდება მომხმარებელს, შედის ნეტო წონაში.

განზომილების წონით ერთეულთან ერთად რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება საქონლის ცალკეული სახეობებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ზომის ერთეულებიც, მაგალითად, ლიტრი, ცალი, წყვილი, კვადრატული მეტრი, კუბური მეტრი და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის რეკომენდაციით, საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება ნეტო წონა, რამდენადაც იგი უფრო მოხერხებულია ეკონომიკური ანალიზის დროს და სხვადასხვა ქვეყნების მიერ მიწოდებული ერთგვაროვანი საქონლის შედარებისას.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის ღირებულებითი შეფასება საბაჟო სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში გარიგებები ხორციელდება სხვადასხვა პირობებით და ამის მიხედვით გაყიდული (ნაყიდი) საქონლის ფასი შეიძლება იყოს სხვადასხვა. მაგალითად, ერთსა და იმავე საქონელს მისი ყიდვის ადგილას ექნება სხვა ფასი, გაგზავნის ნავსადგურში სხვა (უფრო მაღალი), ხოლო მიღების ნავსადგურში კიდევ უფრო მაღალი ფასი, რადგან მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მოძრაობის პერიოდში საქონლის ღირებულება იზრდება ტრანსპორტირების, დაზღვევისა და სხვა დამატებითი ხარჯების გამო.

ექსპორტირებული საქონლის აღრიცხვა წარმოებს „ფობ“, ანუ ფრანკო-საზღვაო ფასებით, ხოლო იმპორტირებული სა-

ქონლის – „სიფ“, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვაო ფასებით. „ფობ“-ფასი გულისხმობს, რომ გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით მიაწოდოს საქონელი გემის ბორტზე, ტრიუმებში ჩალაგების გარეშე. ტრიუმებში ჩალაგება, გემის დაფრახტვის მიღებული ნორმებით, ხორციელდება გემთმფლობელის ხარჯზე და შეიტანება ფრახტის ღირებულებაში. „სიფ“-ფასი მოიცავს „ფობ“-ფასს პლიუს გაგზავნის ნავსადგურიდან დანიშნულების ნავსადგურამდე ტრანსპორტირების და ტვირთის დაზღვევის ხარჯებს.

სახმელეთო გადაზიდვების დროს გამოიყენება ფასი-ფრანკო საზღვაო, რომელშიც შედის საქონლის საზღვრამდე მიტანისათვის (ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე, რიგორც ეს კონტრაქტშია) და დაზღვევის ხარჯები ამ საზღვრამდე მიტანისას.

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დანიშნულების ადგილად ითვლება: *აკვიაგადაზიდვების დროს – დანიშნულების აეროპორტი; საზღვაო გადაზიდვების დროს – დატვირთვის ან გადმოტვირთვის ნავსადგური; საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვების დროს – ქვეყნის ტერიტორიაზე შესასვლელი საზღვრის გადაკვეთის პუნქტი.*

საქართველოში, მოქმედი წესის მიხედვით, საქონლის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვა ღირებულებით გამოსახულებაში წარმოებს როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე ამერიკულ დოლარებში.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ამუშავებს და ამზადებს განზოგადებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ძირითადი ტენდენციები, განისაზღვროს მისი გეოგრაფიული და დარგობრივი სტრუქტურები, გაკეთდეს ამ სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზი, მომზადდეს საერთაშორისო ორგანიზაციების თხოვნით მათთვის საჭირო ინფორმაცია. პერიოდული სტატისტიკური ინფორმაციები მზადდება მაჩვენებელთა პროგრამით, რომელიც შეესაბამება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, იგი ითვალისწინებს საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებს დინამიკაში მთლიანად და ცალკე-

ული ქვეყნების, ქვეყნების ჯგუფების, საქონელთა ჯგუფების, სასაქონლო პოზიციების – „ქვეყანა-საქონელი“ და „საქონელი-ქვეყანა“ მიხედვით, აგრეთვე, ცალკეული საბაჟო ორგანოების ჭრილებში.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ყოველთვიურად გამოსცემს მოკლე საინფორმაციო ბიულეტენს საანგარიშო პერიოდში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის შედეგებზე, როგორც ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან საანგარიშო თვის ჩათვლით, ასევე თვეებისა და კვარტლების მიხედვით დინამიკაში. წელიწადში ერთხელ მზადდება და გამოიცემა წლიური სტატისტიკური კრებული, რომელიც საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელთა ფართო სპექტრს მოიცავს.

სპეციალური საბაჟო სტატისტიკა

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, „საბაჟო ორგანოები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით აწარმოებენ სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას დადგენილი წესით“ (მუხლი 151).

სპეციალური საბაჟო სტატისტიკა მიზნად ისახავს საბაჟო ორგანოებზე დაკისრებული ცალკეული ამოცანების რეალიზაციის ხელშეწყობას და უზრუნველყოფას. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობა და, შესაბამისად, სამართალდარღვევების სტატისტიკის წარმოება.

სტატისტიკის ამ სფეროს ძირითადი ამოცანებია: საბაჟო წესების დარღვევებისა და საბაჟო სფეროში კონტრაბანდისა და სხვა დანაშაულობების პროფილაქტიკა, აღრიცხვა და ანალიზი. ამ მიზნით საქართველოს გენერალური პროკურორის და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ჯერ კიდევ 1997 წლის 29 მარტის ერთობლივი ბრძანებით, ამავე წლის 1 აპრილიდან სამოქმედოდ შემოღებულია ოპერატიული მუშაობის ამსახველი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა „დოს“. იგი წარმოადგენს დეპარტამენტის ოპერატიულ სამმართველოს, მისი რეგიონული დანაყოფების, როგორც სამართალდამცავი (მოკვლევის) ორგანოების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შემცველ დოკუმენტს. მასში მოყვანილია ოპერატიული

სამსახურის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის სფეროში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის – კონტრაბანდის და საბაჟო წესების დარღვევების გამოვლენის, აღკვეთა-აცილების მიზნით გატარებული ღონისძიებების, ქვეყნის ბიუჯეტში ფულადი თანხების შეტანის შესახებ მონაცემები. ანგარიშგება წარმოებს კვარტალური პერიოდულობით და რეგიონული ოპერატიული ჯგუფების მიერ წარედგინება როგორც საბაჟო დეპარტამენტის სამსახურებს და ზედამხედველ (სამხარეო, რაიონულ) პროკურატურას. საბაჟო დეპარტამენტში დგება ნაერთი ანგარიში და წარედგინება დეპარტამენტის თავმჯდომარეს და გენერალურ პროკურორს.

ფიზიკური პირების მიერ საქონლის იმპორტისა და მისი დაბეგვრის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მოწესრიგების და ამასთან დაკავშირებით ინფორმაციის სრულყოფის მიზნით, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის 1996 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია ანგარიშგების ყოველთვიური ფორმა: „ფიზიკური პირის მიერ საქონლის იმპორტის დაბეგვრიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების და საბაჟო მოსაკრებლების შესახებ". ფორმა ითვალისწინებს ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი (იმპორტირებული) როგორც სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებით, ასევე ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციებით გაფორმებული ტვირთების საბაჟო ღირებულებას, მათზე დარიცხულ საბაჟო გადასახდელებს მთლიანად და ცალკეული სახეების მიხედვით, აგრეთვე, ქვითრებით გაფორმებული გადასახდელების შესახებ მაჩვენებლებს.

საქართველოს საბაჟო ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფისა და საბაჟო სამსახურების მუშაობის შედეგებზე ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოების ინფორმირების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის 1997 წლის 24 მარტის ბრძანებით დამტკიცდა და სამოქმედოდ შემოღებულია „საბაჟოს ოპერატიული მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ" კვარტალური სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა № 1-HO.

ანგარიშგების ფორმაში გათვალისწინებულია მასვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე (ორივე მიმართულებით) ტვირთების, მათ შორის ტრანზიტულის, გატარებას, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის, მათი ცალკეული სახეობებისა და საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეების გადაადგილებას. ანგარიშგებაში აისახება აგრეთვე ინფორმაცია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოში მსუბუქი ავტომობილების შემოყვანის შესახებ, მათი უკან გაყვანის პირობის გარეშე.

გარდა აღნიშნულისა, სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას მიეკუთვნება:

1. საერთაშორისო გადაზიდვების სტატისტიკა – საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული სატრანსპორტო საშუალებების სტატისტიკური აღრიცხვა;

2. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების სტატისტიკა;

3. საბაჟო გადასახდელების სტატისტიკა (საბაჟო გადასახდელების აღრიცხვა სახეების მიხედვით);

4. დეკლარირების სტატისტიკა – ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვა საბაჟო რეჟიმების სახეობების მიხედვით.

ამრიგად, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ორგანიზაციას უკეთებს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის წარმოებას და მონაცემების ოფიციალურ გამოქვეყნებას.

საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკის სამსახური

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკას, აგრეთვე, სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას აწარმოებს საბაჟო დეპარტამენტის საფინანსო კონტროლის სამმართველო. მის მუშაობას საფუძვლად უდევს საბაჟო კანონმდებლობა და სამმართველოს დებულება, რომლის შესაბამისად სტატისტიკისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის სტატისტიკურ აღრიცხვას, საბაჟო სისტემაში სახელმწიფო ფინანსების საერთო ხელმძღვანელობას, ხელს უწყობს იმ აუცილებელი ეკონომიკური პირობების ჩამოყალიბებას, რომლებიც განა-

პირობებენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას და უზრუნველყოფენ საბაჟო სისტემის კომპიუტერული ქსელის გამართულ მუშაობას.

საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

1. ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით;

2. ადგილობრივი საბაჟო ორგანოების სტატისტიკის სამსახურების კურირება ოპერატიული აღრიცხვა-ანგარიშგების, საბაჟო სტატისტიკის ორგანიზაციის, მონაცემების მიღების, დამუშავების და გადაცემის კომპიუტერული პროგრამის დანერგვის, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტის საქმეში;

3. საბაჟო ორგანოებში საბაჟო სტატისტიკური ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, ანალიზისა და გადაცემის ავტომატიზებული სისტემის შექმნა;

4. სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის შედგენის ინფორმაციული უზრუნველყოფა;

5. საბაჟო სტატისტიკის მონაცემების მომზადება ოფიციალური პუბლიკაციებისათვის;

6. საბაჟო სისტემაში ფინანსური შემოსავლებისა და გასავლების დაგეგმვა, დეპარტამენტის კუთვნილი ფინანსური რესურსების მაქსიმალური მობილიზაციის მიზნით ღონისძიებების გატარება, დეპარტამენტის ფინანსური რესურსების გამოყენების დასაბუთებული წინადადებების მომზადება;

7. რეგიონული საბაჟო ორგანოების მიერ საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის პროგნოზულ დავალებათა განსაზღვრა, მათ თავისდროულ და სრულ ამოღებაზე კონტროლი; აღნიშნული შემოსავლებისა და მოსაკრებლების მობილიზაციის —

8. სრულყოფის წინადადებების მომზადება;

9. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი;

10. საბაჟო სისტემაში არსებული რეზერვების გამოვლენა და შესწავლა ქვეყნის ბიუჯეტში დამატებითი ფულადი რესურსების მობილიზაციის მიზნით;

11. საბაჟო სისტემის პირადი შემადგენლობის მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და ამ სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების დაფინანსებისათვის წინადადებების მომზადება;

12. დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოსთან ერთად საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და საბაჟო საგადასახადო სისტემების შესწავლა, ანალიზი და საქართველოს საბაჟო სისტემაში მათი გამოყენების თაობაზე წინადადებების მომზადება.

დასახელი ამოცანების გადასაწყვეტად სამმართველოს მინიჭებული აქვს ფუნქციები:

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო საქმის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების ბაზაზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საგარეო ვაჭრობის ტვირთების გადაადგილების სტატისტიკის ორგანიზაცია და წარმოება, მათთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება;
- საბაჟო დაწესებულებებში საბაჟო ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, ანალიზისა და გადაცემის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნა, მისი ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;
- თანამედროვე, მაღალი დონის კომპიუტერული ტექნიკის ბაზაზე ადგილობრივი საბაჟო ორგანოების დეპარტამენტის კომპიუტერულ ქსელთან მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა სატელიტური საკომუნიკაციო სისტემის გამოყენებით;
- განზოგადებული სტატისტიკური მასალების მომზადება, ანალიზი და წარდგენა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში;
- მონაცემთა საინფორმაციო ბანკის შექმნა და მისი დაცვის უზრუნველყოფა;
- დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის, სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მათთან შეთანხმებული პროგრამით და ვადებში;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელების ამოღების წესის შესახებ მითითებების მომზადება და რეგიონულ საბაჟო ორგანოებამდე დაყვანა;
- საბაჟო სისტემის მუშაობის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი;
- საბიუჯეტო შემოსავლების თაობაზე ოპერატიული ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი, შესაბამისი დასკვნების მომზადება და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;
- ადგილობრივ საბაჟო ორგანოებში სტატისტიკური და ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საანგარიშო მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური მუშაობის ჩატარება;
- ნორმატიული-საცნობარო ინფორმაციის შესწავლა და გამოყენება საბაჟო სტატისტიკისა და ფინანსური მონიტორინგის საკითხებზე;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სამინისტროებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარება და კონსულტაციების გამართვა საბაჟო სტატისტიკის და ფინანსური მონიტორინგის საკითხებზე;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სტატისტიკური მასალების მომზადება ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო სისტემის მუშაობის ფინანსური შედეგების თაობაზე.

დებულებაში განსაზღვრულია სამმართველოს უფლებები და მოვალეობები:

- უზრუნველყოს სტატისტიკური ინფორმაციის ობიექტურობა და უტყუარობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის მისი მიწოდების ოპერატიულობა;
- დაიცვას საქართველოს რეზიდენტების შესახებ შეგროვებული პირველადი მონაცემების კონფიდენციალობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- უზრუნველყოს კრებსითი სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა, თანამშრომლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან;
- მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს საქართველოს რეზიდენტებს მათ შესახებ მონაცემთა ბანკში არსებული ინფორმაცია;

- ხელი შეუწყოს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას და განვითარებას.

საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული სისტემა

საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული სისტემა საბაჟო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. იგი შეიქმნა 1998-1999 წლებში, როდესაც მსოფლიო ბანკის დახმარებით საბაჟოზე სპეციალური პროგრამა ხორციელდებოდა და ამ სამსახურის რეორგანიზაცია ხდებოდა. ამ პროცესს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ემზარ ჯგერენაია ხელმძღვანელობდა.

პირველ რიგში, მოხდა ყველა საბაჟოს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა. მთლიანად გადაიარაღდა თბილისის, ქუთაისის, გორის, ვალეს, ყაზბეგის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟოები, ასევე წითელი ხიდი, ლაგოდეხი, სადახლო, გარდაბანი, ლილო. თითქმის ყველა საბაჟოზე მოხდა კომპიუტერული ტექნიკის დანერგვა. ეს იყო პირველი სერიოზული მცდელობა. მალე საქართველოს მასშტაბით ერთიანი კომპიუტერული ქსელი შეიქმნა, სადაც ფოთი, თბილისი, ყაზბეგი, ვალე და წითელი ხიდი გაერთიანებული იყვნენ ერთ ცენტრში – საბაჟო დეპარტამენტის მთავარ სერვიზში.

შემდეგ საბაჟო კომპიუტერულ სისტემას საფუძვლად დაედო კომპიუტერული პროგრამა. კომპიუტერული პროგრამის პირველი ნაწილი გახდა „ასიკუდა“. იგი ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისათვის შექმნილ პროგრამას წარმოადგენს, რომელსაც გაერო უჭერს მხარს. მისი დანერგვა უცხოელი ექსპერტების მიერ დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა, რომელიც მსოფლიო ბანკის დახმარებით დაიწყო. ეს პროგრამა ძირითადად ლილოში, თბილისის საბაჟოზე მუშაობდა.

საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული პროგრამა რამდენიმე დონეს მოიცავს. პირველ დონე, პირველი მიმართულება შსტ-ების დამუშავებაა. შიდა საბაჟო ტრანზიტის (შსტ) ფორმა წარმოადგენს საქართველოს საზღვარს შიგნით საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების გადაადგილებისათვის აუცილე-

ბელი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის დამხმარე სატრანსპორტო-საბაჟო დოკუმენტს, რომლის მოქმედების არეალი მოიცავს საქართველოს მთელს სატრანსპორტო ქსელს. იგი მიზნად ისახავს საქართველოს საზღვრებს შიგნით მოძრავ ტვირთებზე კონტროლის გაძლიერებას მათზე სრული მანიპულირების ჩატარების მიზნით. *მეორე დონე ფიზიკური პირების დეკლარაციების გადაგზავნა, ერთიან ცენტრში მოქცევა და დამუშავებაა. მესამე დონე არის თვითონ საბაჟო დეკლარაციების კონტროლი, გადაგზავნა და მათი დამუშავება.*

ამით შეიქმნა ერთიანი ბაზა, რომელიც საბაჟო დეპარტამენტის კომპიუტერულ ცენტრში შესაძლებელს ხდის ინფორმაციის დამუშავებას. ცენტრში ინფორმაცია შესაბამისად მუშავდება. შემდგომ ეტაპზე შესაძლებელი გახდა კომპიუტერული ცენტრიდან გაკონტროლებულიყო, თუ რას აფორმებდა ფოთი, ფოთის საბაჟოში, ყაზბეგის საბაჟოში გამოწერილი შსტ-ები და დეკლარაციები იმავდროულად თბილისში გვენახა.

1998 წელს ხელოვნური თანამგზავრის ანძები მთლიანად განლაგდა. 1999 წლის დასაწყისში ეს პროგრამა მთლიანად ამუშავდა. ეს სერიოზული მიღწევები დაკავშირებულია თენგიზ აბულაძის, თამაზ მაღლაკელიძის, ემზარ ჯგერენაიას სახელებთან.

მებაჟეთა კვალიფიკაცია საკმაოდ ამაღლდა. მათ ისწავლეს კომპიუტერზე ამ პროგრამით მუშაობა; ინფორმაცია ხელმისაწვდომი, ხოლო კონტროლი ადვილი გახდა.

რა არის „ასიკუდა“?

პროგრამა „ასიკუდა“ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან, ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული პროცესების მართვის კომპიუტერული სისტემაა და ამ პროცესებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამა საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების სტანდარტებს და კოდებს ემყარება, გარკვეული ხარვეზებით ეროვნულ კრიტერიუმებს ესადაგება[1].

ჩვენ მთლიანად ეთანხმებთ ბატონ ემზარ ჯგერენაიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „თუ არ მოხდა საბაჟოს ტექნიკური

---

1 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 351-375.

გადაიარაღება, კომპიუტერული ტექნიკის დანერგვა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავტომატიზაცია სრულად განხორციელდეს, შეუძლებელი გახდებოდა ამ პროგრამის ამუშავება. უფრო მეტიც, დღეს ეს პროგრამა იმდენად მოძველებული და მსოფლიოში არაპოპულარულია, რომ ქვეყანა „ასიკუდას" ბოლომდე დანერგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში დანებდება, თუ მას შესაბამისი ტექნიკური დახმარება მოჰყვება.

ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის სტატისტიკა

განუვითარებელი საერთაშორისო კავშირები ქვეყნისათვის უდიდესი ზიანის მომტანია; ამის გარეშე სტაგნაციას განიცდის მისი ეკონომიკა, აღარ ვითარდება კულტურა, ფერხდება დემოკრატიის განვითარება და სხვა. ამასთან, ასეთ ურთიერთობაში ჩაბმა ჩვენს ქვეყანას (ისევე, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებს) ძალზე რთულ პირობებში მოუხდა. საბჭოურმა სისტემამ ყველა ქვეყანაში ძალზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მოწინავე ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვაზე. ამის გამო პოსტსოციალისტურ ქვეყნებს უჭირთ თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ამასთან, პოსტსოციალისტური ქვეყნების მცხოვრებთ მიეცათ საშუალება შეიძინონ დასავლური პროდუქცია, რომლის შეძენაც ძალიან დიდი ხნის მანძილზე მათთვის ძნელი იყო. ამის შედეგიცაა, რომ თითქმის ყველა ამ ქვეყანაში დიდი ტემპით იზრდება იმპორტის მოცულობები, რომელსაც ჯერჯერობით ფეხს ვერ უწყობს ექსპორტის განვითარება.

ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ექსპორტიდან შემოსავლები ყველა ქვეყანაში იმპორტზე გაწეული ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა. ამას კი საქართველოში საექსპორტო შემოსავლების სიმწირე აფერხებს. *მაგალითად, თუ პოლონეთში ერთ მცხოვრებზე 750 დოლარის საექსპორტო შემოსავალი მოდის, საქართველოში ეს ციფრი ორმოცდაათსაც ვერ აღწევს, ანუ თხუთმეტჯერ და მეტჯერ ნაკლებია.* ამის შედეგად წარმოიქმნა საგადამხდელო (ძირითადად საგარეო ვაჭრობის) ბალანსის უარყოფითი სალდო, რაც ძალზე მძიმედ აწევს ქვეყნის ეკონომიკას, აფერხებს მის წინსვლას,

საფრთხეს უქმნის ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარეს და სხვა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ საქართველოში შემოტანილ იმპორტში არ სჭარბობს ნედლეული, მასალები, ტექნოლოგიური მოწყობილობები და სხვა ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეროვნული დარგების განვითარებას.

გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთი ქვეყანა (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი) საექსპორტო შემოსავლებით ახერხებს საიმპორტო ხარჯების დაფარვას. ამ ქვეყნებმა იმასაც კი მიაღწიეს, რომ დადებითი სალდო აქვთ საერთაშორისო ვაჭრობაში. საქართველოში იმპორტის ზრდის ძალზე მაღალი დონეა. ქვეყანას არ გააჩნია მისი დაფარვის წყარო. ასეთი იმპორტის დაკმაყოფილება ძირითადად მზარდი საგარეო ვალების ხარჯზე ხდება. *ჩვენი აზრით, საგადამხდელო ბალანსის დარეგულირების ძირითადი მიმართულება უნდა იყოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, საბაჟო ტარიფების დარეგულირება, იმპორტის რაციონალიზაცია და სხვა.*

გარდამავალ პერიოდში თითქმის ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის არსებით პრობლემას წარმოადგენს ფინანსური სახსრების დეფიციტი. ნებისმიერი მათგანისათვის უაღრესად აქტუალურია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. გარდამავალი ეკონომიკის ის ქვეყნები, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში სტაბილიზაციას, შექმნეს საკანონმდებლო ბაზა, უზრუნველყოფენ უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

საქართველო, როგორც უცხოური ინვესტიციების ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ასევე მისი აბსოლუტური მაჩვენებლით საკმაოდ მოკრძალებულ ადგილს იკავებს. კერძოდ, 1995-1998 წლებში ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში დაბანდდა 1039 მილიონი ლარი, აქედან უცხოურ ინვესტიციებს შეადგენდა 683 მლნ ლარი, რაც მთელი ინვესტიციების 65,7 პროცენტია. ქვეყნის მთლიან კაპიტალდაბანდებაში თანდათან უფრო მეტ ადგილს იკავებს უცხოური ინვესტიციები.

საქართველოში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილია 750 საწარმო, მათ შორის 154 ერთობლივი საწარმოა.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის მთავარია არა რეფორმების მიმდინარეობის ტემპები და მათი მიმართულება,

არამედ პოლიტიკური სტაბილურობა, კაპიტალის ზრდა და მისი ნაწილის ქვეყნიდან გატანის გარანტია, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე გარკვეული შეღავათებიც უნდა დაწესდეს უცხოელი ინვესტორებისათვის.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვის სტრუქტურა ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობის დიდი დისპროპორციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელს, წინა წელთან შედარებით, იგი საკმაოდ მნიშვნელოვნად შემცირდა, მასში წამყვანი ადგილი მაინც იმპორტს უკავია. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი საკმაოდ მაღალი უარყოფითი აბსოლუტური მაჩვენებლით ჩამოყალიბდა და შეადგინა 395 მლნ აშშ დოლარი[1].

საქონელთა ცალკეული ჯგუფებიდან ყველაზე დიდი მოცულობით – 2581 ათასი დოლარით გაიზარდა ტექნოლოგიური მოწყობილობის ექსპორტი, აგრეთვე შავი ლითონების (799 ათასი დოლარით), ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების (738 ათასი დოლარით), ყავის, ჩაისა და სუნელების (612 ათასი დოლარით) და ზოგიერთი სხვა სახეობის საქონლის ექსპორტი.

საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელია: შავი ლითონები, ალკოჰოლიანი სასმელები, საფრენი აპარატები და მათი ნაწილები, ხილი, ციტრუსი, თხილი, მადანი, ყავა, ჩაი, სუნელები.

საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები ჯერჯერობით მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წამყვანი მდგომარეობა რამდენიმე დასახელების საქონელს უკავია. *ბოლო წლებში ექსპორტირებული 90 დასახელების საქონლისა და საქონელთა ჯგუფიდან 5 მათგანის – ხილის (ციტრუსების ჩათვლით), თხილის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, მადნის, შავი ლითონების, საფრენი აპარატების ნაწილების წილად მოდის მთელი გატანილი საქონლის ნახევარზე მეტი.*

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტები სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ 100-ზე მეტი ქვეყნის პარტნიორებთან, მათ შორის ორმხრივს (ექსპორტის და იმპორტის) – 60 ქვეყნის პარტნიორებთან.

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორებია: *ექსპორტის დარგში* – რუსეთი (16,1%), თურქეთი (14,6%), აზერბაიჯანი (9,3%), უკრაინა (3,5%), გერმანია (1,6%), გაერთიანებული სამეფო (10,0%), თურქმენეთი (11,0%), აშშ (3,7%), იტალია (2,1%), შეიცარია (7,2%). *იმპორტის დარგში* – რუსეთი (15,3%), თურქეთი (12,0%), აზერბაიჯანი (11,0%), უკრაინა (8,5%), გერმანია (7,7%), გაერთიანებული სამეფო (3,6%), თურქმენეთი (2,1%), აშშ (4,5%), იტალია (5,23), შეეიცარია (7,2%)[1].

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2002 წელს (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1045 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ექსპორტი 325 მლნ, იმპორტი 720,0 მლნ დოლარი)[2].

ბოლო დროს არსებითი ცვლილება განიცადა საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურამ. მთლიან გადასახდელებში საგრძნობლად შემცირდა საბაჟო გადასახადის ხვედრითი წილი და ერთდროულად გაიზარდა აქციზის გადასახადის წილი. *თუ 1998 წელს საბაჟო გადასახადით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა მთლიანი შემოსავლების 17,4 პროცენტი, 1999 წელს ეს მაჩვენებელი 6,5 პროცენტამდე შემცირდა, აქციზის ხვედრითი წილი კი 20 პროცენტიდან 47,8 პროცენტამდე გაიზარდა*[3].

ჩვენი აზრით, მწვავედ უნდა დადგეს იმპორტში დაუბეგრავი (2002 წელს საგადასახადო შემოსავლებში 7,7% იყო) საქონლის შემცირება. უმნიშვნელოვანესი საკითხია აგრეთვე იმპორტის შიდა დაბეგვრის რეგულირების პრობლემა.

2002 წელს სრულ დაბეგვრას დაექვემდებარა მთელი იმპორტის მხოლოდ მესამედი. მთელი იმპორტი სრულად რომ დაბეგრილიყო, ბიუჯეტი მიიღებდა დაახლოებით 550 მლნ ლარის შემოსავალს. საბაჟო მოემსახურა ამ ტვირთებს, მან შეასრულა სამუშაო როგორც სახელმწიფო დაწესებულებამ, მაგრამ ეს არაფერში გამოჩნდა. ამ საკითხების გადაწყვეტა უნდა დაჩქარდეს.

მაგალითისათვის, აუცილებელია ხელჩანთის ბიზნესის გათვალისწინება სტატისტიკურ აღრიცხვაში, რადგან საქართველოდან ყოველწლიურად გადის და შემოდის დაახლოებით ერთი

---

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 16 თებერვალი.
2 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 16 თებერვალი.
3 ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2000, №1-2, გვ. 16.

მლიონი ადამიანი, რომელსაც შეუძლია 300 მილიონი ლარის საქონლის შემოტანა აღურიცხავად. აღნიშნულის ნახევარმაც რომ ისარგებლოს ამ უფლებით, მარტო ამ გზით შემოდის 150 მილიონი ლარის საქონელი, რომელიც იყიდება ბაზრობებზე და მოგების მულტიპლიკატორი ხდება 250-300 მილიონ თანხაზე, რომელიც ისევ იმპორტის დაფინანსებას ხმარდება. *ამდენად უნდა დაჩქარდეს მოქალაქეთა დეკლარაციების შემოღება.*

საქართველოს ეკონომიკაში მომხდარი დადებითი ძვრების შედეგად გაფართოვდა ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობანი. საქართველოს 110-ზე მეტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა ჰყავს. სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 22 ქვეყანასთან, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ — 8 ქვეყანასთან.

გაიზარდა ევროპის კავშირის ქვეყნების წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, განსაკუთრებით ექსპორტის თვალსაზრისით. ევროკავშირი ვაჭრობის სფეროში საქართველოს ანიჭებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს.

ექსპორტის ხელშეწყობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველოს პროდუქცია და მომსახურება იღებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ 144 ქვეყანასთან.

საქართველომ შეიძინა მსოფლიო-ისტორიული ფუნქცია — გახდეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საკვანძო ქვეყანა, მისი ფორპოსტი. დღევანდელი საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიოში, სახელმწიფო, რომელიც აღიარებულია ღირსეულ პარტნიორად.

დღევანდელი საქართველოსათვის პრობლემათა პრობლემაა საბიუჯეტო წესრიგის უზრუნველყოფა. აქ საჭიროა, ერთი მხრივ, გაიზარდოს საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ეფექტიანობა; ამაღლდეს მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა; მეორე მხრივ, დღის წესრიგში დადგეს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობაში სერიოზულ ცვლილებათა შეტანის საკითხი.

საქართველოში ინტენსიურად გრძელდება რეფორმები ფისკალურ სტრუქტურებში. გამოყენებულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, ამოქმედდა კადრების შერჩევის, პროფესიუ-

ლი გადამწყვეტებისა და შესრულებული სამუშაოებისადმი კონტროლის სათანადო მექანიზმები. არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოითხოვებათ პასუხი კონკრეტულ პირებს.

ქვეყნის საგადასახადო სისტემა ხდება ისეთი, რომ შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე შემცირდეს გადასახადების დამალვის მოთხოვნილება. განახლებული და რეფორმირებული საგადასახადო სისტემა კი ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას, მეწარმეობის და ბიზნესის განვითარებას.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა

საქართველოს საბაჟო კოდექსის (მუხლი 153) შესაბამისად, საბაჟო ორგანოები საქონლის კოდირებისა და კლასიფიკაციისათვის იყენებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, რომელიც შემუშავებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე და შესულია საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნულ სისტემაში.

საბაჟო დეპარტამენტი სახელმძღვანელოდ იღებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებსა და დამატებებს. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შეაქვს დამატებები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში არსებული წესის მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების პრაქტიკაში საბაჟო ორგანოები იყენებენ სხვადასხვა კლასიფიკატორებს, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია საგარეო სავაჭრო გარიგების კონკრეტული ობიექტის – საქონლის კოდირებისა და კლასიფიკაციისათვის გამოყენებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც აღიარებულია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებელ ინსტრუმენტად.

საგარეო ვაჭრობის მასშტაბების გაფართოებამ და მისი სტრუქტურის გართულებამ წარმოშვა იმის აუცილებლობა, რომ საერ-

თაშორისო პრაქტიკაში გამოსაყენებლად შემუშავებულიყო უნიფიცირებული სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც უზრუნველყოფდა: ყველასათვის მისაღებ საერთაშორისო ბრუნვაში მყოფი ყველა საქონლის ერთგვაროვან კლასიფიკაციას; ერთიანი გასაგები მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც გაუადვილებდნენ საქმიანობას საბაჟო ორგანოებს, ექსპერტებს, საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეებს, აგრეთვე მეწარმეებს, ექსპორტიორებს, იმპორტიორებს, საქონლის გადამზიდველებს; საგარეო ვაჭრობის ეროვნული სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისო შესადარისობას, ანალიზს და შეფასებას მსოფლიო ვაჭრობასთან მიმართებაში.

ასეთი ნომენკლატურის შემუშავება დაიწყო 70-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო ორგანიზაციის — საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ და მასში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ 59 ქვეყნის და მრავალი სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ექსპერტები.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურას საფუძვლად დაედო საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურის ბოლო რედაქცია, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია როგორც *ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურა*, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საერთაშორისო და ეროვნული საკლასიფიკაციო სისტემები, მათ შორის გაეროს სტანდარტული საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაცია. გაწეული მუშაობის შედეგად მომზადდა საქონელთა კლასიფიკაციის *ახალი სისტემა, რომელმაც მიიღო საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის სახელწოდება.*

საერთაშორისო კონვენცია „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ ხელმოწერილია ბრიუსელში 1983 წლის 14 ივნისს. მას ხელი მოაწერა და დაამტკიცა 53 ქვეყანამ, აგრეთვე ევროკავშირმა.

კონვენციაში გადმოცემულია ჰარმონიზებული სისტემის შექმნის მიზანი, მისი მოქმედების სფერო, განმტკიცებულია სისტემის გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი, განსაზღვრულია მისი შემდგომი სრულყოფისათვის კონვენციის მონაწილე ქვეყნების მუშაობის წესი, მათი ვალდებულებები. კონვენციის ტექსტის თანახმად, ჰარმონიზებული სისტემა არის მისი განუყოელი ნაწილი.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით (მუხლი 154), საბაჟო ორგანოები ახდენენ საქონლის კლასიფიცირებას, კონკრეტულ საქონელს აკუთვნებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში აღნიშნულ პოზიციებს.

საქონლის კლასიფიკაციის შესახებ საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა. სხვა ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ მიღებული კლასიფიკაცია საბაჟო ფუნქციების განსახორციელებლად არ გამოიყენება.

კლასიფიკაციის სისტემა ესაა საქონელთა განაწილება, მათი დაჯგუფება რაიმე ნიშნის მიხედვით. *ჰარმონიზებულ სისტემაში კლასიფიკაციის ექვსი დონეა:* განაყოფები, ჯგუფები, ქვეჯგუფები, სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები და ქვესუბპოზიციები. მათგან კლასიფიკაციის უმაღლესი დონეა განაყოფები.

ჯგუფების განსაზღვრისას (იგი ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში არის 99) გამოყენებულია საქონლის დამუშავების პრინციპი – ნედლეულიდან და ნახევარფაბრიკატებიდან მზა ნაწარმამდე და საქონლის შემდეგი ძირითადი ოთხი ნიშანი: დამუშავების ხარისხი, დანიშნულება, მასალის სახეობა, რომლისგანაც იგი დამზადდა და საქონლის დანიშნულება მსოფლიო ვაჭრობაში. ანალოგიური ნიშნებით ხდება საქონლის შემდგომი კლასიფიკაცია ქვეჯგუფების, სასაქონლო პოზიციების, სუბპოზიციებისა და ქვესუბპოზიციების მიხედვით.

ჰარმონიზებული სისტემის ნომკლატურით განსაზღვრული საქონელთა კლასიფიკაციის მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა მკაცრად იქნეს დაცული ჰარმონიზებული სისტემის ძირითადი პრინციპი – საქონლის ერთნიშნა მიკუთვნება ერთ საკლასიფიკაციო ჯგუფზე.

კოდირების სისტემა. საქონელთა კოდირება არის ტექნიკური ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა საკლასიფიკაციო საქონელი წარმოვადგინოთ ნიშნის ან ნიშანთა ჯგუფის სახით. კლასიფიკაციის კოდური სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოხერხებული იყოს ინფორმაციის შეკრება და მისი ავტომატიზებული დამუშავება.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში გამოყენებულია ციფრული აღნიშვნები, ამასთან, განაყოფებისა და ქვეჯგუფებისათვის გამოყენებულია რომაული ციფრები, ხოლო საქონელთა

ჯგუფების, სასაქონლო პოზიციებისა და სუბპოზიციებისათვის — არაბული.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში გამოყენებული კოდირების სისტემა უსრუნველყოფს საქონელთა ნომენკლატურის დეტალიზაციის მაღალ ხარისხს. ამას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი გამოყენებისას ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურებში. სახელმწიფოებს, რომლებსაც არა აქვთ უფლება დაარღვიონ კოდირების სისტემის საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, შესაძლებლობა ეძლევათ გარკვეულ ჩარჩოებში შეცვალონ დეტალიზაციის დონე ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ, გააფართოონ ნომენკლატურა კლასიფიკაციის სისტემის დაურღვევლად.

ჰარმონიზებული სისტემების შესახებ საერთაშორისო კონვენციით დადგენილია, რომ მის მონაწილე ქვეყნებს არ შეუძლიათ შეცვალონ საქონლის კლასიფიკაცია და მათი კოდები. ამ პრინციპის უსიტყვო შესრულება შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს შეცდომები საგარეო ვაჭრობის სფეროში მოქმედი დოკუმენტების შედგენისას, აგრეთვე სრულყოფილად დამუშავდეს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკური ინფორმაცია.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა და ევროკავშირის კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა გამოყენებულ იქნა როგორც საფუძველი და ყოფილ საბჭოთა კავშირში შემუშავდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც გამოქვეყნდა 1990 წელს სახელწოდებით — „სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა“ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1991 წლის 1 იანვრიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის მიერ, რიგი სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით შემუშავდა და 1992 წლის 1 მაისიდან რუსეთის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა აღნიშნული ნომენკლატურის ახალი რედაქცია.

იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხსენებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა გამოყენებული ყოფილიყო საქართველოშიც.

1995 წლის 3 ნოემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ. დსთ-ს წევრი 12 ქვეყნის მთავრობები შეთანხმდნენ მიეღოთ ერთიანი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, რომლის საფუძველია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა. შეთანხმების 1-ლი მუხლის მიხედვით, „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ზომების განსახორციელებლად, სტატისტიკური ანგარიშის წარმართვის და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის სრულყოფისათვის შეთანხმებული მხარეები იღებენ თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიან ნომენკლატურას (დსთ სეს სნ), რომელიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და დაფუძნებულია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე“[1].

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და მისი რეგიონული ორგანოები სახელმძღვანელოდ იღებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებსა და დამატებებს. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეაქვთ დამატებები სასაქონლო ნომენკლატურაში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო და საქსტანდარტის დეპარტამენტებთან შეთანხმებით.

საქართველოს საბაჟო ორგანოები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენების პროცესში ახდენენ საქონლის კლასიფიცირებას, ე. ი. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების საბაჟო გაფორმების დროს სატვირთო საბაჟო დეკლარაციებში გაცხადებულ კონკრეტულ საქონელს აკუთვნებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში მოცემულ პოზიციებს. ამ დროს დაუშვებე-

---

1 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, გვ. 295-296.

ლია სხვა ორგანოების მიერ მიღებული საქონელთა კლასიფიკაციის გამოყენება.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს გააჩნია უფლებამოსილება საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებებში, რომლებიც შეეხება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, განმარტებების მომზადებას, ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე მას უნდა გააჩნდეს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან და საქსტანდარტის დეპარტამენტთან შეთანხმებული პოზიცია.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს მხარეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საბაჟო საკითხებზე, კერძოდ, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლის შემუშავების, შეცვლის, დამატების, განმარტებისა და გამოყენების ნაწილში.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი მოქმედებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებულად.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების შესახებ მეწარმე სუბიექტების მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში და თანმხლებ დოკუმენტებში გაცხადებული მონაცემები და სხვა ცნობები კონფიდენციალური ხასიათისაა და არ შეიძლება იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, რადგან მათმა გამჟღავნებამ შეიძლება შელახოს მეწარმის უფლებები და კანონით დაცული ინტერესები, მიაყენოს მას მატერიალური ზარალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან განახორციელონ ზომები კონფიდენციალური ინფორმაციისა და მისი შემცველი საბაჟო დოკუმენტების დასაცავად. მათ ეკრძალებათ ასეთი ინფორმაციის წარდგენა ნებისმიერი მისამართით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

ამრიგად, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენებას, თვალყურს ადევნებს ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებსა და დამატებებს, საჭიროების შემთხვევაში, არსებული წესის მიხედვით, ნომენკლატურაში შეაქვს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე დამატებები.

მოკლე დასკვნები

- საბაჟო სტატისტიკის წარმოება ხორციელდება მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგიების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საბაჟო სტატისტიკურ მონაცემთა შესადარისობას როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.
- საბაჟო სტატისტიკის ძირითადი სახეებია: საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკა.
- საბაჟო ორგანოები საქონლის კოდირებისა და კლასიფიკაციისათვის იყენებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას.

კითხვები გამეორებისათვის

- ჩამოთვალეთ საბაჟო სტატისტიკის მიზნები.
- დაასახელეთ საბაჟო სტატისტიკით აღრიცხული საქონლის კატეგორიები.
- რას ნიშნავს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა?
- რას ნიშნავს სპეციალური საბაჟო სტატისტიკა?
- რაში მდგომარეობს საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული სისტემის არსი?
- როგორია ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა საქართველოში?
- რა მნიშვნელობა აქვს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სისტემას?

თავი 13. საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევათა საქმეებზე მოკვლევის ორგანო

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით: „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“ (მუხლი 145); „სისხლის სამართლის საქმეთა მოკვლევის ორგანოებია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოები“ (მუხლი 146); „საბაჟო წესების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობისა და სამართალდარღვევების საქმის წარმოების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით“ (მუხლი 147).

საქართველოს საბაჟო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ როგორც სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საბაჟო ორგანოები, რომლებიც შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. ეს სტატუსი საბაჟო ორგანოებს ახალმა საბაჟო კოდექსმა მიანიჭა (1997 წლის 14 ნოემბერი).

სამართალდამცავ ორგანოებს მიეკუთვნება ისეთი ორგანოები, რომელთაც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ისეთი ძირითადი ფუნქციები, რაც დაკავშირებულია მართლმსაჯულების განხორციელებასთან, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, ზედამხედველობის განხორციელებასთან კანონის ერთგვაროვანი და ზუსტი შესრულებისას, მოქალაქეთა თავისუფლების, კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვასთან, ასევე სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა სახის გაერთიანებების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვასთან.

სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი ფუნქციებია: კანონებისა და მართლწესრიგის დაცვა, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა სახის გაერთიანებების, იურიდიული და ფიზიკური პირების კანონიერი უფლებების დაცვა, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა,

დანაშაულის ჩადენის სწრაფი გახსნა, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება და საქმესა ჭეშმარიტების დადგენა[1].

სამართალდამცავი ორგანოს სტატუსმა საბაჟო ორგანოებს მნიშვნელოვანი ადგილი მიუჩინა სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი 2000 წლის 28 ივნისამდე წარმოადგენდა მოკვლევის ორგანოს საბაჟო გადასახადების თავიდან არიდებისა და საბაჟო წესების დარღვევის საქმეებზე. ახლა ეს სტატუსი გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონს. იგი სპეციალური სტატუსის მქონე საგადასახადო ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო და საბაჟო სფეროებში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას, საგადასახადო ორგანოების საქმიანობის უსაფრთხოებასა და მუშაკების დაცვას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად საგანგებო ლეგიონის ქვედანაყოფებია კონტრაბანდისა და სხვა საბაჟო სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური და მისი ადგილობრივი ქვედანაყოფები რეგიონულ საბაჟოებში, რომელთა საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე[2].

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მუხლი 66) შესაბამისად, მოკვლევის ორგანო არის სახელმწიფო დაწესებულება ან სახელმწიფოს თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება, აგრეთვე, წინასწარი გამოძიების დროს ჩაატაროს საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედება ან მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით.

მოკვლევის ორგანოები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა, რაც საჭიროა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად. მოკვლევის ორგანო ატარებს თავდაპირველ საგა-

---

1 აპოლონ ფალიაშვილი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, თბ., 2001, გვ. 7.

2 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (ორ წიგნად), წიგნი I, გვ. 343.

მოძიებო მოქმედებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამომძიებლისათვის სისხლის სამართლის საქმის გადაცემამდე. იმისათვის, რომ მოკვლევის ორგანომ აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ჩაატაროს თავდაპირველი მოქმედება, საჭიროა პროკურორის თანხმობა (სანქცია).

თავდაპირველი მოქმედება შეიძლება იყოს ჩხრეკა, ამოღება, შემოწმება, დათვალიერება, ეჭვმიტანილის დაკითხვა, დაზარალებულისა და მოწმის დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა და ნიმუშის აღება საექსპერტო გამოკვლევისათვის.

მოკვლევის ორგანო ვალდებულია გამომძიებელს საქმე გადასცეს მისი აღძვრიდან არა უგვიანეს 7 დღისა, ხოლო პირის ეჭვმიტანილად დაკავებისას – დაკავების ოქმის შედგენიდან 24 საათის განმავლობაში. სისხლის სამართლის საქმე პროკურორის მოთხოვნით, მის მიერ მითითებულ ვადაში, წინასწარი გამოძიებისათვის უნდა გადაეცეს გამომძიებელს ან პროკურორს (სსსკ, მუხლი 65, ნაწილი 5).

გამომძიებლისათვის საქმის გადაცემის შემდეგ მოკვლევის ორგანო, გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით, ვალდებულია ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება ან მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში.

მოკვლევის ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა წესრიგდება საქართველოს კანონით (1999 წლის 30 აპრილი) „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემაა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

საქართველოს მოკვლევის ორგანოებია:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და ქვედანაყოფები – ყველა დანაშაულის საქმეზე, გარდა მოკვლევის სხვა ორგანოთა კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეებისა;

სამხედრო ნაწილებისა და შინაართების მეთაურები და სამხედრო დაწესებულებათა უფროსები – სამხედრო გამომძიებელთა მიკუთვნებულ საქმეებზე;

სახელმწიფო უშიშროების მოკვლევის ორგანოები – სახელმწიფო უშიშროების გამომძიებელთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე;

სახელმწიფო საზღვრის დაცვის მოკვლევის ორგანოები – სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილი დანაშაულის, საზღვრისა და სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დარღვევის საქმეებზე;

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოები და ქვედანაყოფები – *ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე.*

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოები და ქვედანაყოფები – ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე;

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები – სასჯელაღსრულების დაწესებულების განლაგების ადგილზე ჩადენილ დანაშაულთა, აგრეთვე დაწესებულების თანამშრომლის მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე;

ნაოსნობაში მყოფი საზღვაო ხომალდის კაპიტანი;

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და მათ მიერ დაცული ობიექტების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საღსრულებო დეპარტამენტის საღსრულებო კოლიციის სამმართველო – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით სასამართლო აღსრულების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე.

რას ეგულისხმობთ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევაში?

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებს მიეკუთვნება ყველა დარღვევა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან და საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები იწვევს სისხლის სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა – დამნაშავის მხილება და კანონის სწორი გამოყენებით მისი სამართლიანად დასჯის უსრუნველყოფაა. დანაშაულის ჩადენის ფაქტი დამნაშავესა და სახელმწიფოს შორის წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობას. ამ ფაქტის გამო დამნაშავე ვალდებულია პასუხი აგოს ჩადენილი ქმედებისათვის, ხოლო სახელმწიფოს უფლება ეძლევა პასუხი აგებინოს დამნაშავეს, შეუფარდოს მას კანონით გათვალისწინებული სასჯელი. ამ უფლებამოსილებას სახელმწიფო ახორციელებს სპეციალური ორგანოების მეშვეობით, რომლებიც კანონით დადგენილი წესით აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს, ატარებენ წინასწარ გამოძიებას, პასუხისგებაში აძლევენ და სჯიან დამნაშავეს.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება კანონით დადგენილ საფუძველზე და წესით.

დანაშაული სამი კატეგორიისაა:

1. ნაკლებად მძიმე დანაშაული; 2. მძიმე დანაშაული; 3. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. *ნაკლებად მძიმეა* ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას; *მძიმე დანაშაულია,* რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას; *განსაკუთრებით მძიმეა* ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან თავისუფლების აღკვეთა უვადოდ.

სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. *სას-*

ჯელის სახეებია: ა) ჯარიმა; ბ) თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; დ) გამასწორებელი სამუშაო; ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; ვ) თავისუფლების შეზღუდვა; ზ) ტუსაღობა; თ) სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსება; ი) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა; კ) უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების მიხედვით გამოიყო ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფი, მიმართულება, პასუხისმგებლობა.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივი დარღვევები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით (მუხლები 214-218, 262-263, 270 და სხვ.).

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, რომლებიც განიხილება და რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (მუხლი 193, საბაჟო წესების დარღვევა; მუხლი 194, საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო და სხვა საქმიანობა და სხვ.).

დადებითი როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ საბაჟო დეპარტამენტს მინიჭებული ჰქონდა მოკვლევის ორგანოს სტატუსი. ამის შედეგად უფრო მიზანმიმართული, კომპლექსური და ეფექტიანი გახდა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლა.

მომკვლევი მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირია, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი მოქმედება სისხლის სამართლის საქმეზე.

იმ ფაქტმა, რომ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს მიენიჭა მოკვლევის ორგანოს სტატუსი, უფრო მიზანმიმართული, კომპლექსური და ეფექტიანი გახადა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლა. ეს სტატუსი 2003 წლის აგვისტოდან დაუბრუნეს საბაჟო დეპარტამენტს.

მოკვლევის ორგანოსა და მომკვლევის მიერ თავდაპირველი საპროცესო მოქმედების ჩატარებისას მათზე ვრცელდება გამომძიებლის სტატუსი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 58):

„1. გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება.

2. წინასწარი გამოძიების წარმოებისას ყველა გადაწყვეტილებას გამოძიების მიმართულების, საგამოძიებო ვერსიათა წამოყენებისა და შემოწმების, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამომძიებელი იღებს დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა, და პასუხს აგებს მათი სრულად და დროულად ჩატარებისათვის.

3. გამომძიებელი ვალდებულია დადგენილებით მიიღოს საქმე წარმოებაში, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, გამოავლინოს ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები, აგრეთვე ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები.

4. გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორისა და საგამოძიებო ორგანოს უფროსის წერილობითი მითითებები. მაგრამ თუ გამომძიებელი არ ეთანხმება საგამოძიებო ორგანოს უფროსის მითითებას, მას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი პროკურორთან ქვემდებარეობის მიხედვით. თუკი გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის, საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, საგამოძიებო ვადის გაგრძელების, ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის, საქმის სასამართლოში წარმართვის, მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, მას უფლება აქვს საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს, ან გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხებზე საბოლოოა.

5. კანონის შესაბამისად გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალა-

ქისათვის. გამომძიებლის დადგენილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით დაწესებულ პასუხისმგებლობას"[1].

დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, საქმის აღძვრაზე უარის თქმის, საქმის წარმოების შეჩერების, საქმის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გამოიტანოს მხოლოდ მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელმა და იგი უნდა დაამტკიცოს პროკურორმა.

მომკვლევის წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითების შესრულება სავალდებულოა მომკვლევისათვის. თუ მომკვლევი არ ეთანხმება მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითებას, მას უფლება აქვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმართოს ზედამხედველ პროკურორს, რომელსაც შეუძლია გააუქმოს მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითება, ხოლო მასალები ან საქმე წინასწარი გამოძიებისათვის გადასცეს სხვა მომკვლევს ან გამომძიებელს.

მოკვლევას 1999 წლის დეკემბრამდე უშუალოდ აწარმოებდა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის სამმართველო, რომლის საქმიანობაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებდა დეპარტამენტის თავმჯდომარე. მოკვლევის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები იყო: კონტრაბანდის, დიდი ოდენობით საბაჟო გადასახდელებისაგან თავის არიდების დანაშაულებრივი ფაქტებისა და საბაჟო წესების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების გამო სრული, ყოველმხრივი, ობიექტური მოკვლევის განხორციელება; ნარკოტიკულ საშუალებათა, იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებების, კულტურული და ისტორიული საგნების, ინტელექტუალური საკუთრებისა და საგნების უკანონო ბრუნვის აღკვეთის მიზნით ზომების მიღება; რეგიონულ საბაჟოებში ცალკეულ პირთა და საწარმოთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის ფაქტების შესწავლა და სამართალდამრღვევი მოქმედებების აღმოფხვრა; მოკვლევის განხორციელებისას კონტრაბანდის, საბაჟო წესების დარღვევისა და ნარკობიზნესის გამომწვევი მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების გამოვლენა.

---

1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2003, გვ. 44-55.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული ცნებებისა და ტერმინების განსაზღვრებანი:

სასამართლო – მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლეგიური ორგანო; *მოსამართლე* – ორგანო, რომელიც ერთპიროვნულად, არსებითად განიხილავს სისხლის სამართლის საქმესა და მასალებს საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილება – სასამართლოს ან მოსამართლის განაჩენი, განჩინება, დადგენილება.

განაჩენი – პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

განჩინება – კოლეგიური წესით გამოტანილი, პირველი, სააპელაციო, საკასაციო ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის გარდა) ნებისმიერ საკითხზე.

დადგენილება – გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს საქმის განხილვისას; მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც წარმოიშობა წინასწარი გამოძიებისას.

სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანო – მომკვლევი, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო.

პროკურორი – საქართველოს გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული ყველა პროკურორი, მათი მოადგილეები და თანაშემწეები.

გამომძიებელი – პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თანამდებობის პირი, რომელიც გამოძიებას აწარმოებს სრული მოცულობით.

მომკვლევი – მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც თავდაპირველ (გადაუდებელ) საგამოძიებო მოქმედებას ატარებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – ბრალეული ქმედება, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, საკუთრებას, სოციალურ-კულტურულ, სამეურნეო ან ად-

მინისტრაციულ-პოლიტიკური საქმიანობის სფეროებში დადგენილ მართლწესრიგს, რისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული სახდელი – პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიმართ და მისნაირად ისახავს დამრღვევის დასჯას და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები:

რაიონის (ქალაქის) სასამართლოები, მოსამართლეები და ადმინისტრაციული მოსამართლეები;

შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები და საქართველოს საკანონმდებლო აქტების საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოები (თანამდებობის პირები).

საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივი დარღვევები

საერთოდ და საბაჟო საქმეშიც, სამართალდარღვევები ძირითადად ოთხი სახისაა: დანაშაული, ადმინისტრაციული გადაცდომა, დისციპლინური სამართალდარღვევა და სამოქალაქო სამართალდარღვევა. ყველა მათგანი საშიშია, მაგრამ საშიშროების ხარისხი სხვადასხვაა. *დანაშაული* უფრო დიდი საშიშროების მქონე სამართალდარღვევაა და მისი ჩადენისათვის უფრო მკაცრი ღონისძიებების გამოყენებაა გათვალისწინებული. ყველა სხვა სამართალდარღვევა საშიშროების ნაკლები ხარისხით ხასიათდება და მისი ჩადენისათვის უფრო მსუბუქი ხასიათის ზემოქმედების გამოყენებაა კანონით დადგენილი.

სამართალდარღვევების სახეების შესაბამისად, კანონით დაწესებულია სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. *სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაულის ჩადენა. პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება ხდება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.* რაც შეეხება ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სამოქალაქო სამართალდარღვევას, მათი ჩადენისათვის დადგენილი ზემოქმე-

დების ღონისძიებების გამოყენება ხდება კანონით დადგენილი წესით, კომპეტენტური ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ. *სამართალდარღვევების აღნიშნული სახეები მთლიანად ეკუთვნის და გამოიყენება საბაჟო საქმეში.*

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამაროლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება.

დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საქართველოს საზოგადოებრივ წყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომის, ქონებრივ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე, მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. საბაჟო წესების დარღვევები, მათ შორის კონტრაბანდა, ითვლება მძიმე დანაშაულად[1].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (1999 წლის 22 ივლისი), რომელიც ძალაში შეეიდა 2000 წლის 1 ივნისიდან, ამოღებულია ტერმინი „კონტრაბანდა", მაგრამ მისი არსი, ნიშნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კოდექსის 214-ე მუხლში. ამ მუხლის შესაბამისად, საბაჟო წესების დარღვევებია:

1. *საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდით ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.*

2. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ამ დარღვევებისათვის ფიზიკური პირი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ვადით. იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე ვადით.

---

1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2003, თავი II.

3. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა. ამ დარღვევისათვის ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

4. საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამველი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასეფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა. ამ წესების დარღვევისათვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე ვადით.

214-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა) არაერთგზის; ბ) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; გ) საბაჟო კონტროლის განხორციელების მიმართ ძალადობით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტ წლამდე ვადით. 214-ე მუხლის იმავე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ვადით.

დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს რვაას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს ხუთი ათას ლარს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (მუხლი 214), საბაჟო წესის დარღვევისათვის სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით[1].

---

1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2003, გვ. 125-126.

რას ნიშნავს დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა? სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განსრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

ნივთის ჩამორთმევის საკითხს წყვეტს სასამართლო. ასეთი ღონისძიების გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა იგი საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ახალი დანაშაულის თაყიდან აცილების მიზნით.

რას ნიშნავს საბაჟო კონტროლისათვის გვერდის ავლა? საბაჟო ან სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენება? დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანა?

საბაჟო კონტროლისათვის გვერდის ავლა ნებისმიერი ქმედებაა საქონლის გასატანად (ან შემოსატანად) საბაჟო ორგანოების მიერ დაწესებული ადგილების, საგუშაგოების და გამშვები პუნქტების შემოვლით ან მისგან მალულად, ან ისეთ დროს, რომელიც განსაზღვრული არაა საბაჟო გაფორმებისათვის.

საბაჟო ან სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენება ნიშნავს წინასწარი განზრახვით ყალბი, არაკანონიერი გზებით მოპოვებული, ან ისეთი დოკუმენტების წარდგენას საბაჟო დაწესებულებაში, რომელიც შეიცავს ყალბ ან სხვა საქონლის მონაცემებს.

დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანა ან მონაცემების შეუტანლობა წერილობითი, ზეპირი თუ სხვა ფორმით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ყალბი განაცხადის (დეკლარაციის) გაკეთებაა.

კონტრაბანდის ჩადენაში ორგანიზებული ჯგუფი ხასიათდება დანაშაულებრივი როლების განაწილებით (ხელმძღვანელი, შემსრულებელი, ხელშემწყობი, წამქეზებელი), მდგრადობით და ერთობით. კონტრაბანდისა და მსგავსი დანაშაულებებისათვის პასუხისგებაში მიეცემიან არა მარტო შემსრულებლები, არამედ დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებიც.

კონტრაბანდასთან ბრძოლაში გამოკვეთილია სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული. ამ სახის ნედლეულს მიეკუთვნება საქონელი, რომელიც თავად სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს ინტერესებში მიჩნეულია ასეთად. სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულად საქონლის გამოცხადება ხდება სახელმწიფო საკანონმდებლო აქტით და მისი ექსპორტი იზღუდება აკრძალვით, ექსპორტზე მაღალი გადასახადებით, ლიცენზირებით ან კვოტებით. მსოფლიო საბაჟო პრაქტიკაში ქვეყნებს სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულად გამოცხადებული აქვთ ფართო ასორტიმენტის საქონელი: ფლორისა და ფაუნის იშვიათი და გადაშენების გზასე მდგარი ცხოველები და მცენარეები და მათი ნაწილები: სპილოს ძვლები, ირმის რქები, ჩლიქები; სამკურნალო ნედლეული, თესლი, ბუნებრივი გაზი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ელექტროენერგია, მინერალური და ქიმიური სასუქები, ხის მორები, ხის დახერხილი მასალა, ძვირფასი მეტალები და მისგან ნაკეთობანი, მადანი და მისი კონცენტრატები, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები და მათგან ნაწარმი, მარგალიტი და მისგან ნაწარმი, საკოლექციო მინერალური და პალეონტოლოგიური ნიმუშები, იშვიათი მეტალები, ბენზოლი, სტიროლი, ფენოლი, ანილინი, საღებავები, ფოლგა, მილები, ხორბალი და სხვ.

იმისათვის, რომ საბაჟო ორგანოებმა განახორციელონ სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის ექსპორტის სახელმწიფო რეგულირება, მათ უნდა გააჩნდეთ სახელმწიფო კანონმდებლობით მიღებული ასეთი ნედლეულის ჩამონათვალი, მათი სახელმწიფო რეგულირების დამტკიცებული მექანიზმი და როცა ეს საჭიროა, მათი იდენტიფიკაციის წესი. ყველა ეს დოკუმენტური მასალა მისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებულ პირთათვის[1].

საბაჟო ორგანოების უმთავრესი ფუნქციაა ბრძოლა კონტრაბანდასთან. ეს ბრძოლა კომპლექსური, მიზანმიმართული და ფართომასშტაბიანია. *რას ეგულისხმობთ კონტრაბანდაში?*

კონტრაბანდა — საქონლის ფარულად გადატანა სახელმწიფო საზღვარზე; კონტრაბანდისტი — პირი, რომელიც კონტრაბან-

1 საქართველოს საბაჟო კოდექსი, კომენტარები, 1998, გვ. 335.

დას ეწევა; კონტრაბანდული – კონტრაბანდის ხასიათისა, კონტრაბანდად შემოტანილი ან გატანილი[1].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-263-ე მუხლებით განსაზღვრულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული, ძლიერ მოქმედი, შხამიანი ან მომწამლავი ნივთიერებების კონტრაბანდა. „ნარკოტიკი" – სიტყვა ბერძნულია „narkotikas", რაც ნიშნავს გაშეშებაში, გაოგნებაში მომყვანს.

ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლა ეროვნულ სახელმწიფოთა ფარგლებს სცილდება და მსოფლიო პრობლემად იქცევა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბაჟო ორგანოებს და მათ სისტემებს, საბაჟო კავშირებსა და ქვეყნებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს, საბაჟო კანონმდებლობებსა და საბაჟო საკითხებზე საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებს.

აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების „უკანონო ბრუნვა წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ და დაუყოვნებლივ აღკვეთას", ვინაიდან „უკანონო ბრუნვა უსრუნველყოფს დიდ მოგებას და ფინანსებს, ტრანსნაციონალური ორგანიზაციები იჭრებიან, შლიან და არყევენ სამთავრობო მექანიზმებს და საზოგადოებას, ხელს უშლიან კანონიერ ვაჭრობას"[2].

საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 5 დეკემბერს მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ"[3]. კანონის მნიშვნელოვანი განყოფილებაა ნარკოტიკული

---

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკეთი პირველი, 1990, გვ. 583.

2 საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული (ორ წიგნად), წიგნი II, თბ., 2002, გვ. 283.

3 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, 23 დეკემბერი, №33, გვ. 3-31.

საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შემოტანა, გატანა, ტრანზიტი და რეექსპორტი. მისი ძირითადი დებულებები შეტანილია ამ სახელმძღვანელოში.

საბაჟო კანონმდებლობის სისხლისსამართლებრივ დარღვევებს მიეკუთვნება საქართველოში *ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა. ამ დარღვევისათვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე ვადით.*

სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს რომელიმე დანაშაული, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ვადით, ხოლო ქმედება, ჩადენილი ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლის შესაბამისად, *საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა* – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე ვადით; იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ჯგუფურად; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; არაეროგზის – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან თორმეტ წლამდე ვადით.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევად მიჩნეულია, აგრეთვე: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა (მუხლი 345), ხომალდზე საქართველოს სახელმწიფო ალმის ან ამოსაცნობი ნიშნის უკანონოდ აღმართვა (მუხლი 246) და სხვა.

საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივ დარღვევებთან ბრძოლას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სამსახურებთან თანამშრომლობით უშუალოდ ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი – სპეციალური სამართალდამცავი სტატუსის მქონე მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც

მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვას.

საგამოძიებო დეპარტამენტი ახორციელებს გადასახადებისაგან თავის არიდების, დამალული ან შემცირებული შემოსავლების, აგრეთვე, საქართველოსა თუ სხვა სახელმწიფოების ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთების საქართველოში დაუბრუნებლობასთან დაკავშირებულ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მოკვლევას; საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის გამომწვევი პირობების გამოვლენას, მოიპოვებს ოპერატიულ ინფორმაციას საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევებისა და მათი მონაწილე პირების შესახებ, ახდენს ამ ინფორმაციის დამუშავებას, სისტემატიზაციას, შესაბამის მონაცემთა ბაზის შექმნას; დადგენილი წესით აწვდის ინფორმაციას სხვა სამართალდაცვის, აგრეთვე, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების სისხლის სამართალწარმოებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის ამოცანებია: დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი; უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება; არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება; გამოასწოროს საგამოძიებო და სასამართლო შეცდომები; დაიცვას მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები; დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.

ამრიგად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ორგანოები და საგამოძიებო დეპარტამენტი, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საბაჟო სფეროში ორგანიზებულ დანაშაულობასთან, კონტრაბანდასთან, კორუფციასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ღონისძიებებში.

საბაჟო წესების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დარღვევები

კანონმდებლობა საბაჟო წესების დარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მჭიდროდ უკავშირდება სისხლის სამართლის კანონმდებლობას. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ერთ-ერთი სახეა იმ იურიდიულ პასუხისმგებლობათა შორის, რომელიც გამოიყენება საბაჟო წესების დარღვევებისათვის. პასუხისმგებლობის ეს სახე განსხვავდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. იგი განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ არ იწვევს ნასამართლობას, არ არის დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი სასჯელების (თავისუფლების აღკვეთა, ტუსაღობა, გამასწორებელი სამუშაოები და სხვ.) გამოყენებასთან; არ არის მხოლოდ სასამართლოს ქვემდებარე[1].

საბაჟო წესების დარღვევათა მეტი წილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს რვაას ლარს, ხოლო ადმინისტრაციული, – როდესაც გადაუხდელი თანხა რვაას ლარზე ნაკლებია.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საბაჟო წესების დარღვევებს მიეკუთვნება საბაჟო კონტროლის რეჟიმის, საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გავლის, დგომისა და გაჩერების, დეკლარირების წესებისა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა დარღვევები (მუხლი 193).

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები უნდა განვიხილოთ სამ ჯგუფად: 1. საბაჟო კონტროლის რეჟიმის; 2. საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გავლის, დგომისა და გაჩერების; 3. დეკლარირების წესების დარღვევები.

1. საბაჟო კონტროლის რეჟიმის დარღვევებია:

1. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ფიზიკურ პირთა უნებართვოდ გადაადგილება საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე;

---

1 ვალერი ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2002, გვ. 399.

2. საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უნებართვოდ განკარგვა, დაკარგვა (დაკარგვის საფრთხის ასაცილებლად ზომების მიუღებლობის გამო), საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას დადგენილ ვადაში მიუტანლობა და შენახვის წესების სხვაგვარი დარღვევა;

3. არამართლზომიერი ოპერაციების ჩატარება გარკვეული საბაჟო რეჟიმით მოთავსებული საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, მათი მდგომარეობის შეცვლა; სარგებლობა ან განკარგვა საბაჟო რეჟიმის დაუცველად;

4. საბაჟო ორგანოების მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლა, მოსპობა, დაზიანება ან მოცილება;

5. საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე საქონლის მოთავსებისა და შენახვის წესების დარღვევა;

6. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში ადრე შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობა, თუ გატანა სავალდებულოა, ან ადრე გატანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაუბრუნებლობა, თუ დაბრუნება სავალდებულოა და მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

7. საქონლის განადგურების წესის დარღვევა, განადგურების შემდეგ წარმოქმნილი ნარჩენების მოთავსების დადგენილი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და პირობების დარღვევა;

8. საბაჟო კონტროლისათვის იმ საქონლის დამალვა, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილდება, აგრეთვე, სამალავებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რაც აძნელებს საქონლის მიგნებას, ან ეროი საქონლისათვის მეორე საქონლის სახის მინიჭება, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

2. საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გავლის, დგომის და გაჩერების საბაჟო წესების დარღვევებია:

1. საბაჟო საზღვრის გავლისას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუჩერებლობა;

2. ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად ზომების მიუღებლობა;

3. საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, დატვირთვა, გადმოტვირ-

თვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, შეფუთვა, ხელახალი შეფუთვა, გადასაზიდად მიღება, სათავსებისა და სხვა ადგილების გახსნა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;

4. პირობითად გაშვებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან განკარგვა იმისაგან განსხვავებული მიზნით, რის გამოც მიენიჭათ საბაჟო გადასახდელების შეღავათები, თუ არ არის საბაჟო ორგანოების ნებართვა;

5. საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებულ გემთან ან სხვა მცურავ საშუალებებთან გემით თუ სხვა მცურავი საშუალებებით მიდგომა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ.

3. დეკლარირების წესების და საბაჟო კანონმდებლობის სხვა მოთხოვნების დარღვევები:

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარაციაში შეუტანლობა ან უზუსტო დეკლარირება, მცდარი ცნობების შეტანა, რაც გავლენას ახდენს საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებაზე საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების, საბაჟო რეჟიმით მათი მოთავსების შესახებ;

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან დოკუმენტებისა და იდენტიფიკაციის საშუალებების ყალბად გამოყენების შედეგად უზუსტო დეკლარირების გზით შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა, შეძენა, გამოყენება და განკარგვა;

3. საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა დოკუმენტში საბაჟო რეჟიმის, საბაჟო ღირებულების ან საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების წარმოშობის ქვეყნის შესახებ ან სხვა ისეთი უზუსტო ცნობების შეტანა, რაც საფუძველს იძლევა საბაჟო გადასახდელებისაგან გასათავისუფლებლად ან ოდენობის შესამცირებლად, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

4. საბაჟო დეკლარირების განხორციელება პირის მიერ, რომელსაც არა აქვს საბაჟო ბროკერის ლიცენზია, ან ყალბი ლიცენზიით, აგრეთვე, საბაჟო ბროკერის ან მისი წარმომადგენლის მიერ დაცული საიდუმლო, ან კონფიდენციალური (ნდობა – რის გახმაურებაც არ შეიძლება, საიდუმლო) ინფორმაციის შემცველი ცნობების გამოყენება პირადი მიზნებისათვის, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

5. საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განხორციელება ულიცენზიოდ ან გაუქმებული, შეჩერებული ან ყალბი ლიცენზიით.

საბაჟო წესების აღნიშნული დარღვევები გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე ან საბაჟო გადასახდელების სამმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ დარღვევათაგან ერთ-ერთის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე ან საბაჟო გადასახდელების ხუთმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

აღნიშნული სამართალდარღვევის შემთხვევაში საბაჟო და საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან ჯარიმის გადახდამდე დააკავონ საბაჟო წესების დარღვევით შემოტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობისას დაკავებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მნიშვნელოვანი დებულებაა 193-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, რომლის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლის გადაზიდვამდე მისი რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების სავალდებულო ინსპექტირებისათვის ექსპორტიორ ქვეყანაში, სახელმწიფოსა და ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში შესაბამისი დოკუმენტებისა და საქონლის წარუდგენლობა — გამოიწვევს საქონლის იმპორტიორის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 6 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით — გამოიწვევს საქონლის მფლობელის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 12 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა.

სახელმწიფოს უფლებამოსილი პირის მიერ სახელმწიფოსა და ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელ-

შეკრულებით დადგენილი, გადაზიდვამდე ინსპექტირების ვადების დარღვევა – გამოიწვევს ამ პირის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 6 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.

იგივე ქმედება ჩადენილი ერთი და იმავე პირის მიმართ განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 12 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა" (მუხლი 193, ნაწილი მესამე)[1].

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად, საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა არსებული წესების დარღვევით, აგრეთვე, შენობა-ნაგებობების მშენებლობა დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევით – გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 150 ლარიდან 200 ლარამდე, ხოლო იურიდიული პირებისა – 300-დან 500 ლარამდე.

ადმინისტრაციული სახდელის მიზნები. ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე, როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირის მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენის აცილების მიზნით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის გამოყენებულია შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: გაფრთხილება; ჯარიმა; იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა; იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა; მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ნადირობის უფლება) ჩამორთმევა; გამასწორებელი სამუშაოები; ადმინისტრაციული პატიმრობა; უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან.

---

1 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2003, გვ. 124.

ადმინისტრაციული სახდელების გამოყენება არ იწვევს პირის ნასამართლობას. ადმინისტრაციული სახდელების ეს სახეები გამოიყენება საბაჟო სისტემაშიც.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამაროალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ (მუხლი 13).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (მუხლი 99) თანახმად, სასაზღვრო საზღვაო პორტიდან (ნავმისადგომიდან), რკინიგზის სადგურიდან, ავტოვაგზლიდან (ავტოსადგურიდან), აეროპორტიდან და სხვა სასაზღვრო პუნქტიდან საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა — შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე.

სასაზღვრო ზონაში შესვლის, აგრეთვე, ცხოვრების ან ჩაწერის წესების დარღვევა (მუხლი 190) გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ: რაიონის (ქალაქის) სასამართლოები, მოსამართლეები (ადმინისტრაციული მოსამართლეები).

219-ე მუხლის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც ეხება საბაჟო წესების დარღვევებს.

ფინანსთა სამინისტროს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ — საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, საბაჟო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეებს, რეგიონული

საბაჟოს უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საგამოძიებო დეპარტამენტი უფროსსა და მის მოადგილეებს, ამ დეპარტამენტის სამმართველოსა და განყოფილებების უფროსებსა და მათ მოადგილეებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 223-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული საქონლის უნებართვოდ გადაადგილებისას საბაჟო კონტროლის ზონაში ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოთა თანამდებობის პირებს შეუძლიათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადგილზე ჯარიმა გადაახდევინონ — სახელმწიფო საზღვარზე და ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე, გზატკეცილებსა და გრუნტის გზებზე, გადასარეკ ტრასებზე ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებებით ცხოველთა (მათ შორის, ფრინველის, თევზის, ფუტკრის) გადაყვანის ვეტერინარული, საკარანტინო-შემსზღუდავი და ვეტერინარულ-სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევისათვის;

სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული საქონლის უნებართვოდ გადაადგილებისას საბაჟო კონტროლის ზონაში გამოიყენება კოდექსის 193-ე მუხლი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (მუხლი 248) შესაბამისად, პირადი გასინჯვა შეიძლება აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, სამოქალაქო ავიაციის ორგანოების, საბაჟო დაწესებულებების და სასაზღვრო ჯარების საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა. პირადი გასინჯვა შეუძლია აწარმოოს საამისოდ უფლებამოსილმა პირმა, რომელიც გასასინჯი პირის სქესისაა, იმავე სქესის ორი პირის თანდასწრებით.

ნივთების გასინჯვა შეუძლია აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, სამოქალაქო ავიაციის ორგანოების, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის, საბაჟო ორგანოების, საგადასახადო ორგანოების, სასაზღვრო ჯარების, ტყის დაცვის, თევზდაცვის ორგანოების, ნადირობის წესების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა. ნივთების, სანადირო და თევზჭერის იარაღების, მოპოვებული პროდუქციის და სხვა საგნების გასინჯვა

წარმოებს, როგორც წესი, იმ პირის თანდასწრებით, რომლის საკუთრებაში ან მფლობელობაშია ისინი. გადაუდებელ შემთხვევაში აღნიშნული ნივთები, საგნები შეიძლება გაისინჯოს მესაკუთრის (მფლობელის) გარეშე, ორი დამსწრის მონაწილეობით.

პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის შესახებ შედგება ოქმი, ანდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული დაკავების ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

საბაჟო დაწესებულებებში პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა წარმოებს საქართველოს საბაჟო კოდექსის 133-ე მუხლის შესაბამისად: პირადი გასინჯვა, როგორც საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული ფორმა, დაიშვება საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცვლელი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით, თუ არის საკმაო საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ საბაჟო საზღვრის გავლით მიმავალი ან საბაჟო კონტროლის ზონაში, ანდა საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მყოფი ფიზიკური პირი მალავს და არ აჩენს საქონელს, რომელიც კანონმდებლობის თუ საერთაშორისო შეთანხმების დარღვევის ობიექტია და რომელთა შესრულებაზე კონტროლი საბაჟო ორგანოებს ევალებათ.

პირადი გასინჯვის დაწყების წინ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი ვალდებულია ფიზიკურ პირს აცნობოს საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცვლელი პირის გადაწყვეტილება პირადი გასინჯვის თაობაზე, გააცნოს ფიზიკურ პირს მისი უფლება-მოვალეობანი ასეთი გასინჯვის დროს და შესთავაზოს მას ნებაყოფლობით გამოაჩინოს დამალული საქონელი. ფიზიკური პირის მიერ ნებაყოფლობით პირად გასინჯვაზე უარის თქმის შემთხვევაში პირადი გასინჯვა ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მუხლი 323, ნაწილი 6) შესაბამისად, „ჩხრეკის დაწყების წინ მომკვლევი, გამომძიებელი ან პროკურორი წინადადებას იძლევა ნებაყოფლობით გადასცენ ჩამოსართმევი საგანი ან დოკუმენტი. გადაცემის შემთხვევაში უნდა შედგეს ამოღების ოქმი, ხოლო თუ

არ გადასცემენ ან არასრულად გადასცემენ, – უნდა ჩატარდეს ჩხრეკა".

პირადი ჩხრეკა და პირისაგან საგნის, ნივთისა თუ დოკუმენტის ამოღება, რასაც თან სდევს გაშიშვლება, უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამდებობის პირმა იმავე სქესის დამწრეთა მონაწილეობით. საჭიროებისამებრ შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი.

პირადი ჩხრეკა და ამოღება ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-324-ე და 326-ე მუხლებში აღნიშნული წესებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსაზღვრულია საქმეების განხილვის ვადები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა ვადებიც.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება: 1. ადმინისტრაციული სახდელების დადების შესახებ; 2. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე. დადგენილების ასლი ჩაბარდება ხელწერილით სამი დღის ვადაში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (მუხლი 268, ნაწილი 4) შესაბამისად, საბაჟო წესების დარღვევისა და კონტრაბანდის საქმეებზე დადგენილების ასლი საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარდება იმ პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი.

დადგენილებას იმ საგნის კონფისკაციის შესახებ, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა, აღასრულებს საბაჟო ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლის მეორე ნაწილით, 194-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას.

კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება

საბაჟო კოდექსში შეტანილია სპეციალური თავი – „კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება“. მასში აღნიშნულია: „ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა საერთაშორისო უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად და ამ ბრუნვაში მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით, საბაჟო ორგანოები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, უცხო სახელმწიფოთა საბაჟო და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით ან საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე იყენებენ კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმას. იგი გულისხმობს საბაჟო ორგანოების კონტროლის ქვეშ უკანონო ბრუნვაში მოქცეული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანას, საქართველოდან გატანას ან მის ტერიტორიაზე ტრანზიტით გატარებას“.

კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო დეპარტამენტი, რასაც იგი ახორციელებს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად.

საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის გამოყენების წესები. კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა დანიშნულების ქვეყანა უცხო სახელმწიფოა, სისხლის სამართლის საქმე საქართველოში არ აღიძვრება, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებას საბაჟო ორგანო დადგენილი წესით დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს. ამ წესით კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის გამოყენება შეიძლება ძლიერმოქმედი ან შხამიანი ნივთიერებების, აგრეთვე, იმ სხვა ობიექტების მიმართაც, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის საგანს ან საშუალებას, ან რომელთა მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედება კონტრაბანდად ითვლება.

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო დეპარტამენტი საგამოძიებო დეპარტამენტთან შეთანხმებით, რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს.

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შემოტანა, გატანა, ტრანზიტი და რეექსპორტი. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადატანა ექვემდებარება სპეციალურ კონტროლს.

შემუშავებულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების სიები – საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ჩამონათვალი.

კანონმდებლობის მიხედვით, III და IV სიებში მითითებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს[1].

II სიაში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების შემოტანა ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით. ამ მიზნით შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების მიმღებ ორგანიზაციათა ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

---

1 საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002 წლის 23 დეკემბერი, №33, გვ. 7.

ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შემდეგ სიებში:

I სია – ნარკოტიკული საშუალებების კრებსითი ჩამონათვალი.

რა არის ნარკოტიკული საშუალება? იგი ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატია, რომელიც გაეროს კონვენციის შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების სიაში.

პრეპარატი – ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში არსებული კომბინირებული წამლის ფორმა, რომელიც შეიცავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ერთ ან რამდენიმე ნივთიერებას.

II სია – მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი.

რა არის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება? იგი საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის აკრძალული, განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალებაა, რომლის გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

III სია – შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი.

რა არის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება? იგი საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ნარკოტიკული საშუალებაა.

IV სია – ფსიქოტროპული ნივთიერებების ჩამონათვალი.

რა არის ფსიქოტროპული ნივთიერება? იგი ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატია, რომელიც გაეროს კონვენციის შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების სიაში.

V სია – პრეკურსორების ჩამონათვალი.

რა არის პრეკურსორი? იგი ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერებაა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს

საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ დამზადებისას და გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეკურსორების სიაში.

აღნიშნული სიები დართული აქვს საქართველოს კანონს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" (2002 წლის 5 დეკემბერი)[1].

სიებს გაეროს კონვენციების მოთხოვნათა, ასევე ადგილობრივი ნარკოლოგიური და კრიმინალური სიტუაციის გათვალისწინებით შეიმუშავებს და მათში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებებს ამზადებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანამდე (გატანამდე) შემომტანი (გამტანი) იურიდიული პირი ვალდებულია მიიღოს წინასწარი ნებართვა, რომელსაც გასცემს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გატანის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით მოითხოვს ინფორმაციას გატანილი ნივთიერებების რაოდენობისა და დანიშნულების ადგილამდე მიტანის შესახებ.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს აწვდის ინფორმაციას შემოტანილი ნივთიერებების რაოდენობის შესახებ.

---

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, 23 დეკემბერი, №33, გვ. 11-31.

რა ეკალებათ საბაჟო ორგანოებს?

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანის (გატანის) შემდეგ საქართველოს საბაჟო ორგანოები აფიქსირებენ შემოტანილი (გატანილი) ნივთიერებების რაოდენობას და ამ ინფორმაციას საქართველოს კანონით დადგენილი წესით უგზავნიან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

რა იგულისხმება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებში? ესაა ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება და პრეკურსორი.

საქართველოს ტერიტორიაზე იმ საბაჟო პუნქტების ნუსხას, საიდანაც ნებადართული იქნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანა და გატანა, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების:

- შემოტანა და გატანა საფოსტო ყუთის ან ბანკის მისამართით;
- გატანა მიწერითი საბაჟო საწყობის მისამართით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ წინასწარ ნებართვაში მითითებულია მიწერითი საბაჟო საწყობი; ტრანზიტი; რეექსპორტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წინასწარი ნებართვის გარეშე შემოტანის მცდელობისას საბაჟო დეპარტამენტი უსრუნველყოფს ტვირთის უკან დაბრუნებას მომწოდებლის ხარჯით.

მოკლე დასკვნები

- *კონტრაბანდა, აგრეთვე, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები იწვევს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.*

- *საბაჟო საქმეებზე მოკვლევის ორგანოა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი.*
- *სისხლისსამართლებრივი დარღვევა გულისხმობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გატანას და გადმოტანას, რომელიც ჩადენილია საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტების ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.*
- *ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება: საბაჟო კონტროლის რეჟიმის, საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გავლის, დგომისა და გაჩერების, დეკლარირების წესების დარღვევები.*

კითხვები გამეორებისათვის

- საბაჟო წესების დარღვევის სახეები და მათი დახასიათება.
- რა იგულისხმება საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივ დარღვევებში?
- ჩამოთვალეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დარღვევები საბაჟო სფეროში.
- რაში მდგომარეობს კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების არსი?

(სახელმძღვანელოში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განსაზღვრებანი)

წიგნის ამ მონაკვეთში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის, საბაჟო საქმის საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, კონვენციების, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო საბაჟო სამართლის პრინციპებისა და შესაბამისი ლიტერატურის საფუძველზე მოცემულია საბაჟო სამართლის ძირითადი ცნებების, ტერმინებისა და დებულებების განსაზღვრებანი.

ცნება – ლოგიკურად გაფორმებული ზოგადი აზრი საგანზე, რისიმე იდეა. *ტერმინი* (ლათ. terminus – საზღვარი) – სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგის გარკვეულ ცნებას.

ანტიდემპინგური ბაჟი – დემპინგი საქონლის გაყიდვაა უცხოეთის ბაზარზე საშინაო ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც (კონკურენტების განდევნის მიზნით). 1947 წელს ტარიფებსა და ვაჭრობაზე მიღებული გენერალური შეთანხმების შესაბამისად, დემპინგში იგულისხმება სიტუაცია, როდესაც ბაზრისთვის გათვალისწინებული საქონლის „საექსპორტო ფასი" ბაზარზე არსებული ანალოგიური საქონლის „ნორმალურ ღირებულებაზე" ნაკლებია. ანტიდემპინგური კანონმდებლობა სპეციალური სამართლებრივი აქტებისა და დებულებების სისტემაა, რომელიც მიმართულია უცხოეთის ბაზარზე შინაგანი ბაზრის ფასებთან შედარებით საქონლის ბევრად იაფად გაყიდვის წინააღმდეგ. ანტიდემპინგური კანონმდებლობა კონცენტრირებულია ჟენევის 1967 წლის საერთაშორისო ანტიდემპინგურ კოდექსში. სასაქონლო დემპინგის რაოდენობრივი კრიტერიუმები პირველად მოცემულია ჟენის 1962 წლის საერთაშორისო ანტიდემპინგურ კანონში. საექსპორტო ფასი დემპინგურად ითვლება, თუ ის საქონლის წარმოების ქვეყანაში შიდა ბაზრის ფასებზე 20 ან მეტი პროცენტი-

თაა ნაკლები, ან, სულ მცირე, მსოფლიო ფასებზე 8 პროცენტითაა ნაკლები. ანტიდემპინგური ბაჟი იმპორტის დემპინგურ ფასებში შემოტანისაგან სამამულო მრეწველობის ინტერესების დასაცავად შემოღებული ბაჟია.

ბაჟი — 1. გადასახადი სახელმწიფოში შემოტანილსა და სახელმწიფოდან გატანილ საქონელზე; 2. გადასახადი საქონლის დამზადებაზე. ბაჟი სახელმწიფო ფულადი მოსაკრებელია, რითაც იბეგრება შემოტანილი, გატანილი და ტრანზიტული საქონელი, ქონება და სხვადასხვა ფასეულობა, აგრეთვე, იბეგრებიან მოქალაქეები სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და სასამართლოების მიერ გაწეული მომსახურებისათვის. ბაჟს კრებენ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით, მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებითა და ქვეყნის ცალმხრივი კანონმდებლობით (ავტონომიური საბაჟო ტარიფი) დაწესებული განაკვეთების მიხედვით. ცნობილია დიფერენციული, მფარველობითი და პრეფერენციული ბაჟები. დიფერენციული ბაჟისათვის დამახასიათებელია ერთსა და იმავე საქონელზე სხვადასხვა საბაჟო განაკვეთები (ნომინალური, შეღავათიანი, მინიმალური, შუალედური, მაქსიმალური). მფარველობით ბაჟს იყენებენ ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებისა და უცხოეთის კონკურენციისაგან მის დასაცავად. პრეფერენციული განსაკუთრებით შეღავათიანი ბაჟია ყველა საქონლისა და საქონელთა ჯგუფისათვის.

საექსპორტო ბაჟს იღებენ საქონლის საზღვარგარეთ გატანისას. განვითარებულ ქვეყნებში საექსპორტო ბაჟს იშვიათად იყენებენ (ძირითადად დროებით) საგადასახადო ბალანსის რეგულირებისათვის; ბევრ ქვეყანაში კი ასეთი ბაჟი სახელმწიფო ხარჯების დაფარვის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

საიმპორტო ბაჟი არის გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო აწესებს საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე. საიმპორტო ბაჟი შეიძლება იყოს ფისკალური (სახელმწიფო შემოსავლების შესავსებად) და პრეფერენციული (უპირატესი). ბაჟის ოდენობა (განაკვეთი) შეიძლება იყოს მინიმალური, მაქსიმალური და შეღავათიანი. ის ჩვეულებრივად იზრდება საქონლის დამუშავების დონის შესაბამისად (ნედლეულისათვის უფრო დაბალია, ვიდრე მზა ნაწარმისათვის). იგი წესდება როგორც მყარი თანხა საქონლის ერთეულზე ან როგორც პროცენტი — ფასზე. შეიძლება

მოქმედებდეს ორივე განაკვეთი. ამ შემთხვევაში ხდება უფრო მეტის გადახდა. საგადასახადო ბალანსის რეგულირების მიზნით, საიმპორტო ბაჟზე შეიძლება შემოღებულ იქნეს დროებითი წანამატი ფისკალური ან პოლიტიკური მიზნით.

სატრანსპორტო ბაჟს იღებენ საქონლის ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტით გადატანის დროს.

ამრიგად, ბაჟი გადასახდელია, რომელსაც საბაჟო ორგანოები ახდევინებენ საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს და იგი ასეთი შემოტანის ან გატანის განუყოფელი პირობაა.

საბაჟო ორი მნიშვნელობით გამოიყენება:

1. საბაჟოს უწოდებენ საბაჟო გადასახადს (ბაჟს). საბაჟო ბაჟის სახით დაწესებული ბაჟია: საბაჟო ტარიფი, საბაჟო გადასახადი;

2. სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც თვალყურს ადევნებს სახელმწიფოში საქონლის შეტანა-გატანას და ახდევინებს დადგენილ ბაჟს. მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფო ატარებს საკუთარ საბაჟო პოლიტიკას, რომელიც არეგულირებს საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მოცულობას, განსაზღვრავს სტრუქტურასა და პირობებს; ბაჟის გადახდევინება საქონლის საზღვარზე გატანისას ხდება შესაბამისი საბაჟო ტარიფებით. არსებობს შემოტანის, გატანისა და სატრანსპორტო საბაჟო გადასახადები.

საბაჟო სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც კონტროლს უწევს ქვეყნის საბაჟო საზღვარზე სხვადასხვაგვარი ტვირთის, საქონლის, ფასეულობების, საფოსტო გზავნილებისა და სხვ. გატანა-შემოტანას. საბაჟო დაწესებულებების ფუნქციებში შედის, აგრეთვე, ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ფორმების კონტროლი და დაცვა; ამასთანავე, იგი გამოავლენს და ებრძვის საბაჟო წესების დამრღვევო, კონტრაბანდულ საქმიანობას. საბაჟო დაწესებულება ამოწმებს ქვეყნის კანონებისა და წესების შესრულებას, აღრიცხავს საიმპორტო და საექსპორტო საქონელს, ინახავს ტვირთს (დროებით), აკონტროლებს საბაჟო ფორმალობების დაცვას.

საბაჟო კოდექსი. კოდექსი არის განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი. საბაჟო კოდექსი

სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტია, რომელიც აწესრიგებს საბაჟო ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობას, ადგენს ტვირთის შენახვის, საბაჟო გადასახადების აკრეფისა და შემოწმების წესებს. კოდექსი საბაჟო წესების დარღვევისა და კონტრაბანდისათვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ა. შ.

საბაჟო ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ძირითადი ორგანოებია: საბაჟო სამინისტრო ან დეპარტამენტი, მთავარი სამმართველო ან სამმართველო, საბაჟო დაწესებულება, საბაჟო საგუშაგო და საბაჟო გამშვები პუნქტი. საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს საბაჟო ორგანოების ძირითად ფუნქციებს და მუშაობის ფორმებს. მთელ რიგ ქვეყნებში საბაჟო დაწესებულებები ექვემდებარებიან ფინანსთა სამინისტროს. ყოფილ სსრ კავშირში საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან არსებობდა მთავარი საბაჟო სამმართველო, რომელიც უგულებელყოფდა მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობას საბაჟო საქმიანობაში და ერთპიროვნულად მართავდა საბაჟო დაწესებულებებს საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე.

საბაჟო ტარიფი. ტარიფი განაკვეთების სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს ანაზღაურების ოდენობას სხვადასხვა მომსახურებისათვის, მომსახურების ფასი; ტარიფების ყველაზე მნიშვნელოვანი სახეებია: სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, კომუნალური და საბაჟო (ამოიღება საქონლის ექსპორტისა და იმპორტისათვის).

საბაჟო ტარიფი ბაჟის განაკვეთების სისტემატიზებული ცნობაა (კრებსი) იმ საქონელზე, რომელიც ქვეყნის საზღვარზე გადაადგილდ. იგი XVII საუკუნეში შემოიღეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა. საბაჟო ტარიფში მოცემულია დაბეგრილი საქონლის დასახელება და კლასიფიკაცია, ბაჟის განაკვეთი და დაბეგვრის წესი, ჩამოთვლილია ის საქონელი, რომელიც არ იბეგრება ან რომლის შემოტანა-გატანა ან ტრანზიტი აკრძალულია.

საბაჟო ტარიფი შეიძლება იყოს ავტონომიური, რომელსაც ცალმხრივად ადგენს ესა თუ ის სახელმწიფო, და კონვენციური, რომელსაც იგი სხვა ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად ადგენს. ზოგ ქვეყანაში მოქმედებს შერეული, ე. წ. ავტონომიურ-კონვენციური ტარიფი (კანადა, ინდოეთი).

საქართველოს საბაჟო ტარიფი საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებული ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და ამ ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მიმართ, მისი საბაჟო ღირებულების შემცირების ან გაზრდის მიზნით, აგრეთვე, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

საბაჟო დეკლარაცია (ლათ. Dechlaration) ინგლისურად ნიშნავს ტვირთის განმკარგულებლის განცხადებას, რომელსაც იგი წარადგენს ტვირთის იმპორტის ან ექსპორტის დროს. საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია დეკლარაციის წარდგენის ვადა. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს საქონლისა და მისი გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოებისათვის წარდგენის დღიდან. საბაჟო დეკლარაცია ეწოდება აგრეთვე დოკუმენტს, რომელსაც ფიზიკური პირი წარადგენს საბაჟოში ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას. საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების ჩვენება იწვევს ჯარიმას, ზოგ შემთხვევაში კი – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საგადასახადო დეკლარაცია გადასახადის გადამხდელის ოფიციალური განცხადებაა მის მიერ გასულ პერიოდში (კვარტალი, ნახევარი წელიწადი, წელიწადი ან სხვა პერიოდი, იმის მიხედვით, თუ გადასახადების ამოღების რა წესი არსებობს ქვეყანაში) მიღებული შემოსავლის შესახებ. დეკლარაციაში აჩვენებენ, აგრეთვე, გასავლებს, რომლებზეც არსებული წესის შესაბამისად ვრცელდება საგადასახადო შეღავათები. დეკლარაციაში ნაჩვენები შემოსავალ-გასავალი, ჩვეულებრივ, სათანადო ფინანსური დოკუმენტებით დასტურდება; გადასახადის სისწორეს საფინანსო ორგანოები საგადასახადო დეკლარაციების საფუძველზე ამოწმებენ.

დიფერენცირებული საბაჟო ტარიფი ესაა ტარიფი, რომლის მიხედვით საბაჟო გადასახადები ერთსა და იმავე საქონელზე ან პროდუქტზე სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ქვეყნიდან ან რომელი საბაჟო საზღვრიდან შემოდის საქონელი, ვინ არის გემის მფლობელი და ა. შ. ამას საფუძვლად უდევს ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებები.

ორმაგი საბაჟო ტარიფი ესაა ტარიფი ყოველი სასაქონლო პოზიციის მაქსიმალური და მინიმალური განაკვეთებით, რომლებ-

საც გამოიყენებენ იმისდა მიხედვით, თუ როგორი სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობები გააჩნიათ მოცემულ ქვეყანასთან.

საბაჟო გადასახადები — არაპირდაპირი გადასახადები, რომლებსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები:

- უცხოური წარმოების საქონლის ქვეყნის შიგნით საბაჟო საზღვარზე გატარების დროს (საიმპორტო საბაჟო გადასახადი);
- საქონლის ექსპორტის დროს (საექსპორტო საბაჟო გადასახადი), რომელიც გამოიყენება როგორც დროებითი ღონისძიება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის შეზღუდვის მიზნით უმოსავლო წლებში. საექსპორტო საბაჟო გადასახადს მიმართავენ ძირითადად ხელოვნების ნიმუშებისა და სიძველეთა მიმართ.

საბაჟო გადასახადი საქართველოში არის სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის. საბაჟო გადასახადების სახეებია: ა) ჩვეულებრივი; ბ) სეზონური; გ) განსაკუთრებული.

კონვენციური ბაჟი. კონვენცია ძირითადად ისეთი სახის სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას ეწოდება, რომელიც რაიმე სპეციალურ დარგს ეხება და სპეციალურ დანიშნულებით ხასიათს ატარებს. კონვენციური ბაჟი საბაჟო გადასახადია, რომელიც დაწესებულია სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებების ან შეთანხმების საფუძველზე. კონვენციური ბაჟის მოცულობა, როგორც წესი, ნაკლებია სახელმწიფოს მიერ ცალმხრივ დადგენილ საბაჟო (ავტონომიურ) ტარიფზე.

აკრძალვითი ტარიფები — მაღალი საბაჟო გადასახადები (20 პროცენტზე მეტი), რომლებიც გამოიყენება გარკვეული იმპორტული საქონლის შემოტანისაგან ქვეყნის შიდა ბაზრის დასაცავად. გამოიყენება შიდა ბაზარზე ფასების მაღალი დონის შესანარჩუნებლად.

ბარტერული გარიგება — პირდაპირი საქონელგაცვლაა კონტრაჰენტებს შორის ფულადი ანგარიშსწორების გარეშე. კონტრაჰენტი (და არა კონტრაგენტი) ხელშეკრულების დამდები პირი ან სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელმაც ხელშეკრულების ძალით რაიმე ვალდებულება იკისრა. ბარტერული ოპერაცია — გაცვლა სასაქონლო გარიგებაა სახელმწიფოებს, ფირმებს, საწარმოებს შორის, რომელსაც საფუძვლად უდევს მოწოდებული თუ შესყიდული საქონლის ერთნაირი ღირებულება. ბარტერული

გაცვლა, როგორც წესი, არ საჭიროებს ფულადი თანხების გადარიცხვას გარიგებაში მონაწილე მხარეთა შორის. მოწოდებული საქონლის (უმეტესწილად ნედლეულის) ანაზღაურება წარმოებს სასაქონლო ფორმით. გასაცვლელი საქონლის სახეები, რაოდენობა, მოცულობა, ხარისხი, მიწოდების ვადები და სხვა პირობები გათვალისწინებულია ბარტერული გაცვლის კონტრაქტით. კონტრაქტი წერილობითი ხელშეკრულება-შეთანხმებაა, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს, შესრულების პირობებს, ვადებს და პასუხისმგებლობას მათი შეუსრულებლობისათვის.

საქონლის ღირებულება საბაჟოსათვის – ესაა: 1. ფასი, რომლითაც ის იყიდება ექსპორტიორ ქვეყანაში (უცხოური ღირებულება); 2. ფასი, რომლითაც ანალოგიური საქონელი უკვე ბითუმად იყიდება იმპორტიორ ქვეყანაში ბაჟის გამოკლებით; 3. პროდუქციის ღირებულება (დანახარჯების მოცულობა მასალებზე, წარმოებაზე, შეფუთვაზე და სხვ. მომატებული მოგება).

საპატენტო ბაჟი – ფულადი გადასახადი, რომელიც გადაეხდეინებათ საპატენტო კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოგონებების დაპატენტებაზე, სავაჭრო ნიშნების რეგისტრაციისათვის და სხვ.

უტარიფო შეზღუდვები – საბაჟო ტარიფებით გაუთვალისწინებელი ადმინისტრაციული, ფინანსური, საკრედიტო და სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ტარდება ქვეყნის შიდა ბაზრის უცხოელი კონკურენტებისაგან დასაცავად.

უპირატესი ხელსაყრელი რეჟიმი – ერთი ქვეყნის მიერ მეორეს მიმართ ვაჭრობაში მაქსიმალურად შესაძლო ხელსაყრელი უპირატესობების შექმნა.

საგადასახადო ტარიფები – განაკვეთების სისტემატიზებული ჩამონათვალი, გამოხატული მყარი თანხით ან პროცენტებით, რომლითაც იბეგრება სხვა საქონელი ან მომსახურება. საგადასახადო ტარიფების ტიპური ფორმაა საბაჟო ტარიფები.

საგადასახადო სერტიფიკატები – სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ საწარმოთათვის გაცემული ოფიციალური წერილობითი მოწმობა, რომელიც ადასტურებს დროის გარკვეულ პერიოდში გადასახადების გადახდისგან სრულ ან ნაწილობრივ გათავისუფლებას.

საერთო საბაჟო ტარიფები – ყველა იმპორტული საბაჟო გადასახადის სისტემატიზებული ჩამონათვალი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტული კლასიფიკაციის შესაბამისად – ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურის შესაბამისად. მოცემულ ჩამონათვალში საბაჟო ტარიფები წარმოადგენენ თანხებს, რომლებიც მიეკუთვნება საბაჟო გადასახადის განსაზღვრის საფუძველს; საერთო საბაჟო ტარიფები შედგება საქონლის დასახელებისაგან ან მისი აღწერისაგან სატარიფო ნომრის (რუბრიკის) შესაბამისად და სატარიფო კატეგორიისაგან, აგრეთვე, თვით საბაჟო ტარიფებისაგან.

აქციზი – არაპირდაპირი გადასახადის სახე, უპირატესად ფართო მოხმარების საქონელსა და საწარმოთა მომსახურებაზე; იგი ჩართულია ფასსა და ტარიფში. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი გათავისუფლებული არ არის გადასახადისაგან. აქციზით დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი.

აქციზის დაბრუნება რეექსპორტისას – რეექსპორტის მიზნით საქართველოში აქციზური საქონლის შემოტანისას გადახდილი აქციზის (გირაოს) დაბრუნება, რეექსპორტირებული საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად, ხდება საბაჟო ორგანოების მიერ 15 დღის განმავლობაში.

აქციზური მარკა – ნორმატიული აქტებით შემოღებულია მოთხოვნა აქციზური მარკების საეალდებულო დართვის შესახებ იმ ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა და იმპორტული საქონლისათვის, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას აქციზის ფიქსირებული განაკვეთით. ამ შემთხვევაში აქციზი გადაიხდება მარკის ყიდვის დროს. საქონელი, რომელსაც აქვს მარკა, დამატებითი აქციზით არ იბეგრება; აგრეთვე, იკრძალება აქციზური საქონლის იმპორტი ან რეალიზაცია აქციზური მარკის გარეშე.

კონტრაბანდა – დანაშაულებრივი მოქმედება, რომლის დროსაც საქონელი საბაჟო საზღვარზე გადაადგილდება აკრძალული გზებითა და მეთოდებით.

კვოტირება – განსაზღვრული სახეობის საქონლის ექსპორტის ან იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების მიზნით ატარებენ.

კონტეინერი – სატრანსპორტო მოწყობილობა (გალია, მოსახსნელი ცისტერნა ან მსგავსი მოწყობილობა). იგი გათვალისწინებულია ტვირთის მოსათავსებლად; კონსტრუირებულია იმგვარად, რომ იოლად შეიძლებოდეს დატვირთვა და გადმოტვირთვა; აქვს შიდა მოცულობა არანაკლებ ერთი კუბური მეტრისა.

კონოსამენტი – სატრანსპორტო ზედნადები, დოკუმენტი, რომელსაც ტვირთის გადამზიდავი მის გამგზავნს აძლევს. იგი გადასაზიდავად ტვირთის მიღებას ადასტურებს და მოიცავს ვალდებულებას მიიტანოს ტვირთი დანიშნულების პუნქტამდე და გადასცეს მიმღებს.

კომერცია – სავაჭრო და სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობა, რომელიც მოგების მისაღებად ხორციელდება.

კონტრაქტი – იურიდიულად სავალდებულო შეთანხმება ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლითაც განსაზღვრულია მათ მიერ შესასრულებელი მოქმედება და პასუხისმგებლობა ამ მოქმედების შესრულებისათვის.

კარანტინი – შემზღუდავ ღონისძიებათა სისტემა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

სასოფლო-სამეურნეო კარანტინი – ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა სისტემა;

ფიტოსანიტარიული კარანტინი – სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი მცენარეთა საკარანტინო ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ვეტერინარული კარანტინი – სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე, ცხოველთა სხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების საქართველოში შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა – სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

ნავთობი და გაზი – ნახშირწყალბადების ბუნებრივი ნაერთების კომპლექსი, რომელიც ნორმალური ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის პირობებში შეიძლება იყოს აირად (ნავთობის თანმდევი ან ბუნებრივი გაზი), თხევად (ნავთობი ან კონდენსატი), ან მყარ (პარაფინი, ბიტუმი, გაზის ჰიდრატები) მდგომარეობაში.

საბაჟო ტრანზიტის პროცედურა – ერთ-ერთი მონაწილე მხარის საბაჟო ტერიტორიის გავლით მესამე სახელმწიფოებიდან შემოსული, აგრეთვე, მესამე სახელმწიფოებში გასაგზავნი ტვირთის საბაჟო კონტროლის განხორციელებისას მონაწილე მხარეების მიერ დადგენილი სატრანზიტო გადაზიდვების წესი.

საბაჟო დარღვევები – ნიშნავს საბაჟო დარღვევას, რომლის დროსაც პიროვნება მალავს სრულ ინფორმაციას, რითაც ნაწილობრივ ან მთლიანად თავს არიდებს იმპორტის, ექსპორტისა და სხვა სახის გადასახდელების გადახდას, რომლებიც დადგენილია საბაჟო კანონმდებლობით, ან ღებულობს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უპირატესობას.

სასაზღვრო ზოლი – არა უმეტეს 500 მეტრი სიგანის სასაზღვრო ზონის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს და სადაც სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი;

საბაჟო კონტროლის ზონა – სპეციალურად გამოყოფილი სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ხორციელდება მგზავრთა ბარგის, ხელბარგისა და ტვირთების საბაჟო კონტროლი და შემოწმება.

საჰაერო გარიგება – შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გაცვლასა და მომსახურების გაწევასთან.

სატრანზიტო სახელმწიფო – ერთ-ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოა, რომლის ტერიტორიის გავლითაც ტვირთის გადაზიდვა ხდება ტრანზიტით მესამე სახელმწიფოებიდან დანიშნულების სახელმწიფოში, ან გამგზავნი სახელმწიფოდან მესამე სახელმწიფოში.

სატრანსპორტო დოკუმენტი – დოკუმენტი, რომლის შესაბამისად ხორციელდება საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა, საბაჟო საზღვრამდე (საქონლის გატანისას) და საბაჟო საზღვრი-

დან საქონლის დანიშნულების ადგილამდე (საქონლის შემოტანისას) გადასიდვის დოკუმენტების ჩათვლის.

სუბსიდია – დასმარება ფულადი ან მატერიალური ფორმით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სპეციალური ფონდებიდან მიეცემათ იურიდიულ პირებს.

სამუშაო ძალის მიგრაცია – ადამიანების გადაადგილება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ.

სამუშაო ძალის იმიგრაცია – უცხოელთა შესვლა ამა თუ იმ სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად. იმიგრანტი – იმიგრაციაში მყოფი პირი.

სამუშაო ძალის ემიგრაცია – იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავის სამშობლოდან სხვა ქვეყანაში. ემიგრანტი – ემიგრაციაში მყოფი პირი.

საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმება – კონკრეტული სახეობის საქონლის მწარმოებელი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა ამ საქონელზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებისა და მსოფლიო ბაზრის რეგულირებისათვის.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია – სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის, ასევე ეკონომიკური სუბიექტების (ფირმები, კომპანიები და სხვა) გაერთიანება, ურთიერთმოქმედების გაღრმავება, კავშირების განვითარება მათ შორის.

საერთაშორისო კრედიტი – კრედიტი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ფირმებსა და სახელმწიფოებს შორის საკრედიტო ურთიერთობებში. იგი არსებობს კომერციული, საბაჟო და სახელმწიფო კრედიტის სახით.

საერთაშორისო ანგარიშსწორება – ერთმანეთის მიმართ გადასახდელი ანგარიშსწორება ქვეყნებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკაცია. პირველი – გაეროს მოდელი – მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლების დონე. მეორე მოდელის მიხედვით: განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები; განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები; განუვითარებელი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები (ადრინდელი კლასიფიკაციით სუსტად განვითარებული ქვეყნები).

ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲘᲗᲐ ᲑᲐᲠᲒᲘ – გულისხმობს ხელბარგს, ბარგს, უგამყოლო ბარგს, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, საგნებს, ვალუტას და სავალუტო ფასეულობებს, შეძენილს რომელიმე მონაწილე მხარის ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ – ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამაყალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას – ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს – გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ – სამართლებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-ოპერატიული, ოპერატიულ-სამძებრო, საინჟინრო-ტექნიკური, სარეჟიმო, საბაჟო, ორგანიზაციული, ეკოლოგიური, სანიტარიული და სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობას, სასაზღვრო ზონაში, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში დადგენილი წესების შესრულებასა და კონტროლს, აგრეთვე, სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ – სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესი; საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და არასამხედრო გემების საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში ყოფნისა და ცურვის წესები, აგრეთვე, სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვა სამუშაოთა წარმოების წესები.

ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲖᲝᲜᲐ – სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან საზაპირო ზოლიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალი არა უმეტეს 5 კილომეტრის სიგანის სახმელეთო ზოლი, აგრეთვე, საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი.

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ – საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ვერტიკალურად მდებარე საჰაერო სივრცე (ატმოსფერო), რომელზედაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკ-

რულებებითა და შეთანხმებებით ერცელდება საქართველოს სუ-
ვერენიტეტი.

საჰაერო ხომალდი – ძრავიანი ან უძრავო საფრენი აპარატი.

საჰაერო მიმოსვლა – ორ სახელმწიფოს შორის (რომელთა-
გან ერთი საქართველოა) საჰაერო ხომალდით მგზავრთა გადაყ-
ვანა და ტვირთის გადაზიდვა.

დიპლომატიური სამსახური – საქართველოს საგარეო საქმე-
თა სამინისტრო და მისი ქვეგანაყოფები ქვეყნის ტერიტორიაზე
და საზღვარგარეთ.

დიპლომატიური წარმომადგენლობა – საქართველოს საგა-
რეო საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფი, რომელიც საერთაშო-
რისო ორგანიზაციებსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან
დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობისას წარმოადგენს
საქართველოს.

საკონსულო დაწესებულება – საქართველოს საგარეო საქმე-
თა სამინისტროს ქვეგანაყოფი, რომელიც ადგილსამყოფელ სა-
ხელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობისას და იმ სახელმწი-
ფოსთან დიპლომატიური ურთიერთობისას, სადაც დიპლომატიუ-
რი წარმომადგენლობა არ არის დაფუძნებული, წარმოადგენს
საქართველოს.

დიპლომატიური რანგი – დიპლომატიურ სამსახურში დაწე-
სებული საკლასო ჩინი.

დიპლომატიური თანამდებობის პირი – დიპლომატიურ სამ-
სახურში შტატით გათვალისწინებულ დიპლომატიურ თანამდე-
ბობაზე დანიშნული პირი.

ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი – დიპლომატიურ
წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში ხელშეკ-
რულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული პირები, რომლებიც
ასრულებენ ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური უზრუნ-
ველყოფისა და დამხმარე ხასიათის სხვა ფუნქციებს.

მომსახურე პერსონალი – დიპლომატიურ სამსახურში ხელ-
შეკრულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული პირები, რომლე-
ბიც ასრულებენ მომსახურე ფუნქციებს.

ოჯახის წევრი – დიპლომატიური მოსამსახურის მეუღლე,
არასრულწლოვანი შვილები და მეურვეობის ან მზრუნველობის
ქვეშ მყოფი პირები.

დამხმარე ტექნიკური პერსონალი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში არადიპლომატიურ თანამდებობებზე დანიშნული ან ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული პირები, რომლებიც ასრულებენ ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფისა და დამხმარე ხასიათის სხვა ფუნქციებს.

დიპლომატიური წარმომადგენლობები: ა) სხვა სახელმწიფოში განლაგებული საქართველოს საელჩო; ბ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა და დიპლომატიური მისია.

მოსაკრებლის ცნება. მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული გარკვეული მომსახურებისათვის.

მოსაკრებლების სისტემა მოიცავს მოსაკრებლების (მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების) გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. საქართველოში მოსაკრებლების სტრუქტურას, ოდენობასა და შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

სტანდარტიზაცია – საქმიანობა, რომელიც არსებულ და პოტენციურ ამოცანებთან დაკავშირებით მოწოდებულია დაადგინოს დებულებები საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის და მიზნად ისახავს ამ გზით გარკვეულ სფეროებში ოპტიმალური მოწესრიგების მიღწევას.

პროტექციონიზმი – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ვლინდება თავისი ქვეყნის საშინაო ბაზრის მიზანმიმართულ მფარველობაში – დაიცვას ის უცხოური საქონლის შემოჭრისაგან.

ფისკალური პოლიტიკა – მთავრობის პოლიტიკა დაბეგვრის, სახელმწიფო ბიუჯეტის სფეროში, რომელიც მიმართულია მოსახლეობის დასაქმებისა და ანტიინფლაციური მთლიანი ეროვნული პროდუქციის მიღებისაკენ.

ტურიზმი – ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დას-

ვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და სხვა მიზნით.

ტურისტი – ფიზიკური პირია, რომელიც ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი ან სხვა მიზნით, არანაკლებ 24 საათის და არაუმეტეს ერთი წლის ვადით და რომლის მოგზაურობაც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან.

სამკურნალო ტურიზმი – კურორტების გამოყენება მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

შიდა ტურიზმი – საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის გაწეული ტურისტული მომსახურება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის საზღვრებში.

უცხოური ტურიზმი – ესაა მოგზაურობებისა და ტურისტული გაცვლების სისტემა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებების საფუძველზე საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით.

შორეული ტურიზმი არის მოგზაურობა, რომელიც მოითხოვს დროის მნიშვნელოვან დანახარჯს დანიშნულების ადგილზე მისვლისათვის (თვითფრინავით ოთხ საათზე მეტს, ავტომობილით – 4 დღეს, თბომავლით ან მატარებლით – 4-5 დღეს და ა. შ.).

ორგანიზებული ტურიზმი – მოგზაურობა ორგანიზებულია ტურისტული სუბიექტის მიერ (ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის, ტუროპერატორის მიერ) და იღებს მისგან კომპლექსურ მომსახურებას.

არაორგანიზებული ტურიზმია, როდესაც ტურისტი მოგზაურობს ინდივიდუალურად ხელშეკრულების, საგზურის, სამარშრუტო წიგნაკის გარეშე.

ინდივიდუალური ტურიზმი ადამიანის ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციის ფორმაა. იგი უფრო მეტად ვლინდება საქმიან, სამეცნიერო, ბალნეოლოგიურ, გამაჯანსაღებელ ტურიზმში. უკანასკნელ დროს ინდივიდუალური ტურიზმი მნიშვნელოვნად ვითარდება ნათესაური და ოჯახური კავშირების, შემოქმედებითი გაცვლებისა და მიწვევების არხებით. ინდივიდუალური მოგზაურობები ინერგება აგრეთვე სოციალური და ახალგაზ-

რდული ტურიზმის ხაზით. ინდივიდუალურ ტურისტებს შეუძლიათ გამოიყენონ თარჯიმნების, ექსკურსიამძღოლების, მოგზაურობის ორგანიზატორების, გამცილებლების, თანმხლებლების, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება.

საქმიანი ტურიზმი არის დროებითი მივლინება და მგზავრობა სამსახურებრივი მიზნით (კონფერენციებზე, კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე და სხვა), რომელიც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან.

კულტურული ტურიზმი მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და შესწავლას. ამ ტურისტული მოძრაობის მიზნები და პრინციპები განსაზღვრულია იუნესკოს დოკუმენტებში (ტურიზმის ქარტია, კულტურის კოდექსი).

ახალგაზრდული ტურიზმი – მოზარდი თაობის ტურისტული საქმიანობის კონკრეტული სახე, რომელიც ხორციელდება ეროვნული, აგრეთვე, რეგიონული და მსოფლიო დონის ფარგლებში.

რეკრეაციული ტურიზმი. სიტყვა „რეკრეაცია" (ლათ. recreation – აღდგენა) აღდგენას ნიშნავს. იგი გულისხმობს ადამიანის მიერ შრომის პროცესში დახარჯული ფიზიკური და გონებრივი (ინტელექტუალური) ენერგიის აღდგენას, რომლის ბაზარსაც ქმნის გეოგრაფიულ გარემოში არსებული ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ობიექტების და ძეგლების ერთობლიობა, ანუ რეკრეაციული რესურსები. ფართო გაგებით, რეკრეაცია დასვენებას (ძირითადად ბუნების წიაღში) ნიშნავს. რეკრეაციული ტურიზმი მოგზაურობაა დასვენების, მკურნალობის, გაჯანსაღების, ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ძალების აღდგენისა და განეითარების მიზნით.

ოჯახური ტურიზმი – ადამიანთა მოგზაურობების ორგანიზაციის ფორმა, რომელიც დაკავშირებულია ტურისტული მიზნით ოჯახურ გასვლებთან. ოჯახურ ტურისტებში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ავტოტურიზმი, საცხენოსნო, სანაოსნო ტურიზმი, ავტოსატრანსპორტო მოგზაურობები, საკრუიზო გადაყვანები, კომბინირებული ტურიზმი.

თანამემამულეების ტურიზმი მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებთა (ნათესავები, თანასოფლელები, თანამემა-

მულეები და სხვა) შეხვედრებს ენის, ტრადიციების, კულტურის შენარჩუნების მიზნით.

მეზობლური ტურიზმი (სასაზღვრო ტურიზმი) — ეს არის მოკლევადიანი საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობა მეზობელი სახელმწიფოების სასაზღვრო ადგილებში.

პილიგრიმული ტურიზმი. პილიგრიმი — „წმინდა ადგილებში" სალოცავად მიმავალი მორწმუნე; მოხეტიალე მლოცველი. მომლოცველობა — „პილიგრიმი" არის სიარული ან მოგზაურობა წმინდა ადგილებში მკაცრად გამოკვეთილი საკულტო მიზნებით. ამა თუ იმ ფორმის მომლოცველობა საფუძვლად უდევს პრაქტიკულად ყველა სახის რელიგიასა და წარმართულ კულტურას.

ეკოლოგიური ტურიზმი ითვალისწინებს გარემოზე ზრუნვას, შენარჩუნებას, დაცვას და განსაზღვრული ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ჯანსაღი ბუნებრივი პირობები ჯანსაღი სიცოცხლის საფუძველია. ამიტომ ეკოლოგიურად სუფთა გარემო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პირობაა.

ბაზარი — საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის, საგაჭრო გარიგებების დადების ადგილი.

გამგზავნი სახელმწიფო — ერთ-ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოა, რომლის ტერიტორიიდან ტვირთი იგზავნება მესამე სახელმწიფოში მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტრანზიტით.

გამშვები საბაჟო — სატრანზიტო სახელმწიფოს საბაჟო, რომლის გავლითაც ტვირთი გადის სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

დონორი — ორგანიზაცია, რომელიც ხელშეკრულების ან წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს ჰუმანიტარულ საქონელს მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად. მიმღები — იურიდიული ან ფიზიკური პირი, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო, რომელიც იღებს ჰუმანიტარული დახმარების პროგრამით გათვალისწინებულ ჰუმანიტარულ საქონელს.

დანიშნულების სახელმწიფო — ერთ-ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოა, რომელიც ტვირთის საბოლოო დანიშნულების ადგილს წარმოადგენს და ეს ტვირთი შემოტანილია მესამე სახელმწიფოდან მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტრანზიტით.

დროებითი შემოზიდვა – დროებითი შემოზიდვა შემდგომი გაზიდვის პირობით საბაჟო გადასახადის და მოსაკრებლების გადახდისაგან განთავისუფლებით და საიმპორტო აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენების გარეშე.

დემპინგი – საქონლის გაყიდვა ხელოვნურად დაქვეითებული ფასით (საშუალო საბაზრო დონეზე ბევრად იაფად), პოტენციური კონკურენტების შევიწროებისა და ბაზრის დასაპყრობად. „დემპინგი არის საერთაშორისო დისკრიმინაცია ფასებში, რომლის დროსაც ექსპორტიორი ფირმა თავის საქონელს ერთ რომელიმე ქვეყნის ბაზარზე უფრო იაფად ყიდის, ვიდრე სხვაზე (ჩვეულებრივ, სამამულო ბაზარზე). ყაჩაღური დემპინგი (predutory dumping) ეწოდება დაბალი ფასების დროებით დაწესებას, მოცემული ბაზრიდან კონკურენტის გამოსაძევებლად და ფასების დონის აღდგენას მიზნის მიღწევის შემდეგ. მუდმივი დემპინგი (persistent dumping) თავისი სახელწოდების შესაბამისად განუსაზღვრელი დროით გრძელდება"[1].

ემბარგო – სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში გარკვეული სახეობის საქონლის, ფასეულობების, ოქროს, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის გატანის ან შემოტანის აკრძალვა.

ექსპორტი – საზღვარგარეთ საქონლის გატანა, რომელიც უცხოელ მყიდველზეა ორიენტირებული ან უცხოეთის ბაზარზე გაიყიდება ან სხვა ქვეყანაში გადამუშავდება.

მარკეტინგი [MaRKET – ბაზარი, გასაღება] – კომერციული საქმიანობის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბაზრის შესწავლით და მოთხოვნაზე ზემოქმედებით განაპირობებს საქონლის რეალიზაციას.

შიდა გადაზიდვები – ნიშნავს ტვირთების გადაზიდვებს, რომლებიც იტვირთება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე და ექვემდებარება გადატვირთვას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.

შემომშვები საბაჟო – სატრანზიტო სახელმწიფოს საბაჟო, რომლის გაელითაც ტვირთი შემოდის სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

სურსათი – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ბუნებრივი წარმოშობის ნატურალური პროდუქტი, აგრეთვე, მცენარეული, ცხო-

---

1 პიტერ ჰ. ლინტერტი, საეროაშორისო ეკონომიკა, თბ., 2001, გვ. 123.

ველური და მინერალური საკვები ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი.

თამბაქოს ნაწარმი – ნედლეული თამბაქოსაგან ან მისი გამოყენებით დამზადებული და მოსაწევად, საღეჭად ან საყნოსად განკუთვნილი ნაწარმი.

სტანდარტი – უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს საქონლის, მასთან დაკავშირებული პროცესების და წარმოების მეთოდებისათვის.

ეროვნული სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანოს მიერ და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

საერთაშორისო სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

რეგიონული სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის რეგიონული ორგანიზაციის მიერ და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფაროო წრისათვის.

სასაზღვრო გამშვები პუნქტი – საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება სასაზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი.

საქართველოს საზღვრის ფიზიკური და ტექნიკური დაცვა – სახელმწიფო საზღვრისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის (შენობა-ნაგებობების, საბაჟო-სასაზღვრო გამტარი პუნქტებისა და სხვა ობიექტების) მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა.

სასაზღვრო ინციდენტი – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს სასაზღვრო ფორმირებებს შორის ან საქაროველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის კონფლიქტი; იგი შეიძლება შეიარაღებული ხასიათისა იყოს.

საქართველოს შიდა წყლები. შიდა წყლებს მიეკუთვნება: ა) მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად საქართველოს ეკუთვნის; ბ) შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; გ) საქართველოს პორტის წყლები, რომლებიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობების უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

საქართველოს ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) — ტერიტორიულ წყლებს მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს ტერიტორიაზე ან ტერიტორიულ წყლებში საბაჟო, ფისკალური, საიმიგრაციო ან სანიტარიული კანონმდებლობისა და წესების დარღვევის აღკვეთის მი'ზნით დგინდება საქართველოს ტერიტორიული წყლების მიმდინარე ზონა, რომელიც არის 12 საზღვაო მილის[1] სიგანის ზღვის ზოლი და ღია ზღვის მხრიდან ესაზღვრება ტერიტორიულ წყლებს.

საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის საზღვაო სივრცე, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანე არ აღემატება 200 საზღვაო მილს.

საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკას, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო მიმოსვლა ხდება იმ სასაზღვრო გამშვები პუნქტების მეშვეობით, რომლებსაც ამ-

---

1 მილი (ლათ.) — მანძილის საზომი ერთეული; საზღვაო მილი = 1852 მეტრს.

ტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად. სასაზღვრო გამშვები პუნქტის თავზე აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა. სასაზღვრო გამშვები პუნქტების ფარგლებს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის, ტრანსპორტის, ცხოველის, ტვირთისა და სხვა ქონების გატარება. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის, ტრანსპორტის, ცხოველის, ტვირთისა და სხვა ქონების გატარება ხდება სასაზღვრო გამშვები პუნქტების მეშვეობით და გულისხმობს პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, სახელმწიფო საზღვარზე ტრანსპორტის გადაადგილების, ცხოველის გადაყვანის, ტვირთისა და სხვა ქონების გადატანის კანონიერების ცნობას. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები გაატარებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ტრანსპორტზე, ცხოველზე, ტვირთსა და სხვა ქონებაზე სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

საჰაერო ხომალდის აფრენა და დაფრენა. საქართველოს ტერიტორიიდან აფრენა, აგრეთვე, საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლის შემდეგ მიწაზე დაფრენა იმ საჰაერო ხომალდისა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უნდა გადაკვეთოს, ხდება საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილ აეროპორტში (აეროდრომზე), სადაც არის სასაზღვრო გამტარი პუნქტი, საბაჟო დაწესებულება და სხვა შესაბამისი სამსახურები. საჰაერო ხომალდს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას და საქართველოს საჰაერო სივრცეში სატრანზიტო გადაფრენისას ეკრძალება: ა) ისეთ აეროპორტში (აეროდრომზე) დაფრენა, ან ისეთი აეროპორტიდან (აეროდრომიდან) აფრენა, რომელიც არ არის გახსნილი საერთაშორისო მიმოსვლისათვის; ბ) ფრენა აკრძალულ რაიონებში, რის შესახებაც დადგენილი წესით საყოველთაოდ არის

გამოცხადებული; გ) საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აკრძალული სხვა საქმიანობა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევად ჩაითვლება: ა) პირი ან ტრანსპორტი, რომელმაც გადაკვეთა ან ცდილობდა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გამტარი პუნქტის გავლით, მაგრამ მისი გადაკვეთისათვის დადგენილი წესების დარღვევით; ბ) უცხო სახელმწიფოს არასამხედრო ან სამხედრო გემი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში შემოსვლისას დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები; გ) საჰაერო ხომალდი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა შესაბამისი ნებართვის გარეშე ან დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის წესი.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ამოცანებია: ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფიზიკური და ტექნიკური დაცვა; ბ) სასაზღვრო, საბაჟო, საკარანტინო, საავტომობილო, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლი; გ) სასაზღვრო ინციდენტებისა და მოსაზღვრე სახელმწიფოთა სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის თავიდან აცილება და მოგერიება; დ) მიგრაციული პროცესების კონტროლი; ე) პირისა და ტრანსპორტის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, აგრეთვე, ტვირთისა და სხვა ქონების სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილების კონტროლი; ვ) სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონტროლი სასაზღვრო ზონაში; ზ) საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების დადგენა და დამრღვევის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის განსაკუთრებული კომპეტენციაა. სახელმწიფო საზღვრის დაცვა საქართველოს ხმელეთზე, ტერიტორიულ და შიდა წყლებში, აგრეთვე, სახელმწიფო საზღვარზე არსებულ

საერთაშორისო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ევალებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებს, ხოლო საჰაერო სივრცეში — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის ძალებს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები ა: ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი; ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; დ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო; ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან, არიან: ა) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი; ბ) საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო; გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; დ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო; ე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სასამართლო ხელისუფლება. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სა-

სამართლო. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა ერთნაირია.

საქართველოს იუსტიციის საბჭო. სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევის, წარდგენის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო – საქართველოს იუსტიციის საბჭო. იგი შედგება თორმეტი წევრისაგან.

ნორმატიული აქტები. სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული, შესასრულებლად სავალდებულო აქტი. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა – ნორმატიული და ინდივიდუალური.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში.

ვალუტა – ქვეყნის ფულის ერთეული (ეროვნული ვალუტა), რომელიც მოცემულ სახელმწიფოში გამოიყენება; უცხოეთის სახელმწიფოთა ფულის ნიშნები, საკრედიტო და საგადამხდელო დოკუმენტები თამასუქების, ჩეკების, ბანკნოტების სახით, რომლებიც საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გამოიყენება (უცხოური ვალუტა).

ვალუტის კურსი – ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ფასი, გამოხატული სხვა ქვეყნების ფულის ერთეულში.

სავალუტო პოლიტიკა – სავალუტო ურთიერთობის სფეროში სახელმწიფო ორგანოების, ცენტრალური საბანკო და საფინანსო დაწესებულებების, საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობა.

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი

მსოფლიო სამეურნეო სფეროში, სავალუტო-ფულადი და საანგარიშსწორებო-საკრედიტო ერთობლიობის სახით, რომელიც ემსახურება ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სესხების გაცემას, სამეცნიერო-ტექნიკური შედეგების გაცვლას, საბაჟო საქმეს, ტურიზმს, სახელმწიფო და კერძო გადარიცხვებს.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სამაროლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

აღმასრულებელი ხელისუფლება. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია საქართველოს პრეზიდენტი. იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მეშვეობით. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებია: ა) სამთავრობო დაწესებულებები; ბ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები.

ნარკოტიკული საშუალებები — სათანადო უფლებამოსილ ორგანოების მიერ სპეციალურ სიებში (ჩამონათვალებში) შეტანილი ის ქიმიური ან ბუნებრივი ნივთიერებები, მცენარეები, რომლებიც, როგორც წესი, მათი გამოყენებისას იწვევენ განსაკუთრებულ მდგომარეობას (ეიფორიას — აღგზნებას, ჰალუცინაციებს და სხვა), ასევე მათთან ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას. ტერმინმა გამოყენება ჰპოვა როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებში, ასევე ეროვნულ კანონმდებლობაში, მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვა — ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც ჩადენილია პირდაპირი განზრახვით და მოიცავს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის ყველა სტადიას, დაწყებული მისი დამზადებიდან, მათ შორის, ნარკოშემცველი მცე-

ნარეების მოქვანიდან, დამოავრებული მომხმარებელთან მოხვედრით, მისი რეალიზაციის ჩათვლით.

ნარკომანია – დაავადება ან ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატური მოხმარების შედეგად და ხასიათდება ავადმყოფებში გარკვეული ნიშნების, სინდრომების ერთობლიობით და რომელიც იწვევს ნარკოტიკებისადმი ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას, ქცევის შეცვლას და სხვა პათოლოგიურ შედეგებს.

ნარკოტიკების მომხმარებელი – პირი, რომელიც ეწევა არასამედიცინო დანიშნულებით, დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, ნარკოტიკების ეპიზოდურ ანდა სისტემატურ მოხმარებას, მაგრამ ჯერ კიდევ გააჩნია ნარკოტიკების მიღებისაგან თავის შეკავების უნარი.

სახელმწიფო ბაჟი. სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.

კოდექსი არის განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ჯგუფი – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურით დადგენილი, წარმოშობის ან ფუნქციური დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირებული, ერთგვაროვანი სახის საქონლის ჯგუფები.

სასაქონლო პოზიციის კოდი – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო პოზიციის აღმნიშვნელი ოთხნიშნა ციფრული კოდი, რომელიც მოიცავს სასაქონლო პოზიციაში შემავალ სუბპოზიციისა და ქვესუბპოზიციის კოდებს.

სასაქონლო სუბპოზიციის კოდი – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო სუბპოზიციის აღმნიშვნელი ექვსნიშნა ციფრული კოდი, რომელიც

მოიცავს სასაქონლო სუბპოზიციაში შემავალ ქვესუბპოზიციის კოდებს.

ბრიუსელის სატარიფო ნომენკლატურა – ბრიუსელის სატარიფო ნომენკლატურა არის საბაჟო მიზნებისათვის საქონლის კლასიფიკაციის საერთაშორისო ვაჭრობაში აღიარებული ნორმა. იგი ახდენს ცალკეული სახის საქონლის კლასიფიკაციას ნედლეულიდან მზა პროდუქტამდე და საშუალებას იძლევა გამონახოს „ერთობლივი საბაჟო ენა" საბაჟო ტარიფების შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკების შესამსუბუქებლად. ბრიუსელის სატარიფო ნომენკლატურა მიიღო უმრავლესმა ქვეყანამ.

ჟენევის ნომენკლატურა – 1931 წლის ჟენევის ნომენკლატურა, რომელიც ახდენს საქონლის კლასიფიკაციას საბაჟო მიზნებისათვის. იგი ბრიუსელის სატარიფო ნომენკლატურისა და ვაჭრობის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის საფუძველია.

ფისკალური პოლიტიკა – ფინანსური პოლიტიკის ნაწილი.

ძვირფასი ლითონები – ნებისმიერი სახის ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პალადიუმი ნებისმიერ მდგომარეობაში (ნედლეული, შენადნობები, ნახევარფაბრიკატები, ლაბორატორიული ჭურჭელი და ინსტრუმენტები, ქიმიური ნაერთები, ჯართი და ნარჩენები).

ძვირფასი ქვები – ბუნებრივი ალმასი, ლალი, ზურმუხტი, საფირონი, ალექსანდრიტი, ორგანოგენური წარმონაქმნი მარგალიტი როგორც ნედლეულის, ასევე გადამუშავებული სახით.

იმპორტი – უცხოეთიდან ქვეყანაში უცხოეთის საქონლის, ტექნოლოგიის, კაპიტალის ან მომსახურების შემოტანა.

ინვესტიცია – კერძო ან სახელმწიფო სექტორის კაპიტალური დაბანდება ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ.

საბაჟო პოლიტიკა სახელმწიფოს საგარეო-სავაჭრო საქმიანობის ნაწილია, რომელიც არეგულირებს საქონლის ექსპორტ-იმპორტის მოცულობას, სტრუქტურასა და პირობებს. სახელმწიფოები ერთიანდებიან საბაჟო კავშირებად ერთობლივი ღონისძიებების განსახორციელებლად საბაჟო პოლიტიკის დარგში.

საბაჟო ბლოკადა – რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის მიერ ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური იზოლაცია

ამ ქვეყნიდან საქონლის იმპორტის შეწყვეტის ან შეჩერების მიზნით.

თავისუფალი საბაჟო ზონა მსხვილი ნავსადგურის, რკინიგზის კვანძის, აეროპორტის ან მათი მიმდებარე რაიონების განსაკუთრებული ტერიტორიაა, სადაც წარმოებს საქონლის შენახვა, ხელახლა შეფუთვა, დახარისხება და გადამუშავება. ამ ტერიტორიაზე საბაჟო გადასახადები შემცირებული ან გაუქმებულია.

საბაჟო საწყობი – საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც შემოტანილი საქონელი ინახება საბაჟო კონტროლის ქვეშ ბაჟისა და საბაჟო გადასახადის (გადასახადი დამატებულ ღირებულებასა და აქციზებზე) გადაუხდეველობლად და საქონლის მიმართ ეკონომიკური ღონისძიებების (ლიცენზირება, კვოტირება) გამოუყენებლად, ხოლო ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, გასატანად გაითვალისწინებული საქონელი ინახება საბაჟო კონტროლის ქვეშ იმ შეღავათების გამოყენებით, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

საქონელი საბაჟო საწყობში შენახვის რეჟიმში შეიძლება ინახებოდეს ერთ წლამდე ვადით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში.

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი, არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების და შეწყვეტის წესს, მათი იურიდიული ძალის ნამდვილობის პირობებს, ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების მოწესრიგების საშუალებებს. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ცალკე დარგია, რომლის მნიშვნელობა ძალზე დიდია.

ხელშეკრულება საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე ფართოდ მიღებული ტერმინია, რომელიც ყველა სახის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას ასახავს. ხელშეკრულება შეთანხმებაა, ჩვეულებრივ წერილობითი, ურთიერთვალდებულებების შესახებ.

პაქტი ეწოდება ორმხრივ ან მრავალმხრივ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ სფეროში.

შეთანხმება ეწოდება იმ სახელმწიფოთაშორისო აქტებს, რომლებიც იდება მთავრობების მიერ ან მათი რწმუნების საფუძველზე და, როგორც წესი, რატიფიკაციას არ საჭიროებენ; მაგრამ იდება ისეთი შეთანხმებებიც, რომელთა რატიფიკაცია სავალდებულოა.

კონვენცია ძირითადად ისეთი სახის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებაა, რომელიც რაიმე სპეციალურ დარგს ეხება და სპეციალური დანიშნულების ხასიათს ატარებს (საბაჟო, სასაზღვრო და სხვა საკითხებზე).

დეკლარაცია ეწოდება ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს ისეთ განცხადებას, რომელიც მხარეთა საგარეო პოლიტიკის გარკვეულ გეზს სახავს ან მათ შეხედულებას გამოხატავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროში. დეკლარაცია, როგორც წესი, შეიცავს საერთაშორისო სამართლის ახალ, ძირითად პრინციპებს ან მხარეთა დამოკიდებულებას არსებული პრინციპებისადმი. იგი ოთხი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. ოფიციალური, საზეიმო განცხადება რაიმე აქტისა, კანონისა, ძირითადი პრინციპებისა; 2. ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს განცხადება საერთაშორისო პოლიტიკის რაიმე საკითხებზე; 3. გადასახადის გადამხდელის განცხადება თავისი შემოსავლის, ქონების რაოდენობის შესახებ; 4. საფოსტო დოკუმენტი, რომელიც ახლავს საზღვარგარეთ გასაგზავნ ფულს ან ფასიან პაკეტს.

ნოტა (ლათ. Nota – ნიშანი, შენიშვნა) ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი. ვერბალური ნოტა – ხელმოუწერელი ნოტაა, რომელიც უთანაბრდება ზეპირ განცხადებას. ნოტების გაცვლა ეწოდება შეთანხმების დადების ისეთ წესს, როდესაც მხარეები ერთმანეთს უგზავნიან იდენტური ტექსტის მქონე განცხადებებს. იდენტური კი – მსგავსი, ერთნაირი, იგივეობრივია.

კომპრომისი ეწოდება ისეთ შეთანხმებას, რომლითაც მხარეები თანხმდებიან გადასცენ საერთაშორისო სასამართლოს მათ შორის წარმოშობილი დავა. კომპრომისი ურთიერთდათმობის გზით მიღებული შეთანხმებაა.

ოქმი – ოქმის საშუალებით ფორმდება სხვადასხვა სახის შეთანხმებანი, რომელთა მეშვეობით მხარეები აცხადებენ თა-

ვის სურვილს შეუერთდნენ ხელშეკრულებას, განავადონ მისი მოქმედება. ზოგჯერ ოქმის სახელწოდებას ატარებს შეთანხმება, რომელიც არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ხელშეკრულებისაგან.

რატიფიკაცია და რატიფიცირება არის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცება საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილია ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ; რატიფიკაცია ხელშეკრულებას აძლევს იურიდიულ ძალას.

საერთაშორისო ორგანიზაცია სუვერენული სახელმწიფოების სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო საზოგადოებების, ასოციაციების გაერთიანებაა, რომლის საქმიანობას საფუძველად უდეკს დამფუძნებელი სამართლებრივი დოკუმენტი (წესდება, პროგრამა და სხვ.). სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებს, კომპეტენციას, ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემას, ორგანიზაციის სტრუქტურას, საქმიანობის წესს. საერთაშორისო ორგანიზაცია სამი და მეტი სახელმწიფოს გაერთიანებაა საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე დარგში.

საერთაშორისო კონფერენცია ეწოდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების შეხვედრას ამა თუ იმ პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სხვა საკითხების განხილვისათვის და მათ თაობაზე შეთანხმების მიღწევისათვის. საერთაშორისო კონფერენციებია: ა) საზავო კონფერენციები; ბ) პოლიტიკური კონფერენციები; გ) ეკონომიკური კონფერენციები; დ) დიპლომატიური კონფერენციები; ე) სხვა სახის კონფერენციები.

პრივილეგია (ლათ. Privilegium) განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ვისმე სხვებისაგან განსხვავებით, უპირატესობა.

იმუნიტეტი (ლათ. Imunitas) გათავისუფლება რამისაგან, ცალკეული პიროვნებების ხელშეუხებლობა, მასზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობა, მაგალითად, დიპლომატიური იმუნიტეტი – დიპლომატიური წარმომადგენლის პიროვნების ხელშეუხებლობა და მისი ბინის შეუვალობა.

დიპლომატია (ფრანგ. diplomatie) მთავრობის საქმიანობა სახელმწიფოს საგარეო, საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად. დიპლომატი – თანამდებობის პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა და აკისრია სახელმწიფოებთან ურთიერთობა.

დიპლომატიური კორპუსი ეწოდება მოცემულ სახელმწიფოში აკრედიტებული ყველა უცხო დიპლომატიურ წარმომადგენელთა ერთობლიობას (ელჩები, ნუნციები, დესპანები, საქმეთა რწმუნებულები, დროებით რწმუნებულები, ყველა დიპლომატიური თანამშრომელი). დიპლომატიურ კორპუსს მიეკუთვნებიან დიპლომატიური თანამშრომლების ოჯახის წევრებიც – მეუღლეები, გაუთხოვარი ქალიშვილები, არასრულწლოვანი ვაჟიშვილები. დიპლომატიური კორპუსის მეთაურად (უხუცესად, დუაენად, დეკანად) ინიშნება უმაღლესი დიპლომატიური კლასის მქონე ის პირი, რომელიც ამ სახით ყველაზე დიდხანს მუშაობს მოცემულ ქვეყანაში.

სახელმწიფო ტერიტორია – ტერიტორია ანუ დედამიწის ზედაპირი – ხმელეთი, წყალი და მათ ზემოთ მდებარე საჰაერო სივრცე. სახელმწიფო ტერიტორია არის დედამიწის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება.

სახელმწიფო საზღვარი ეწოდება ზოლს, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიას გამიჯნავს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიისაგან. საზღვრებია: 1. ოროგრაფიული, რომელიც გაიყვანება ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით (ხევი, ბორცვი, მდინარე, ქედი და სხვ.); 2. გეომეტრიული საზღვრები წარმოადგენენ ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გაყვანილ სწორ ხაზს; 3. ასტრონომიული საზღვრები გაიყვანება მერიდიანების ან პარალელების გასწვრივ (რუსეთის პოლარული სექტორი, 38-ე პარალელი – ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი და ა. შ.).

სახელმწიფოს საზღვრები ძირითადად ოროგრაფიულ და გეომეტრიულ ხაზებს წარმოადგენენ, ასტრონომიული საზღვრები შედარებით იშვიათი მოვლენაა.

გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 57-ე მუხლის თა-

ნახმად, გაეროსთან დაკავშირებულია სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულება, რომლებიც შექმნილია მთავრობებს შორის შეთანხმებებით. ამჟამად ასეთი ხელშეკრულება დადებულია 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაციასთან. სპეციალიზებული დაწესებულებები დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციებია, გაერო მხოლოდ კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას.

საქონელი – ნებისმიერი ქონება, მათ შორის ფული, ფასიანი ქაღალდები და სავალუტო ფასეულობა, ელექტრო და თბოენერგია, გაზი, წყალი და სატრანსპორტო საშუალებები.

სამამულო საქონელი – საქართველოში წარმოშობილი საქონელი.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერი წესით შემოტანა ან ამ ტერიტორიიდან მათი გატანა, მათ შორის გაგზავნა საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით, მილსადენი ტრანსპორტის ან ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით.

საგნები ნიშნავს ქვეყნის საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ ნებისმიერ საგანს.

სატრანსპორტო საშუალებები – ნებისმიერი საშუალება, რომელიც გამოიყენება მგზავრების საერთაშორისო გადაყვანისა და საქონლის საეროაშორისო გადაზიდვისათვის, მათ შორის კონტეინერები და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობა.

ნივთები ნიშნავს პირადი სარგებლობის საგნებს, მათ შორის ინდივიდუალური სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა გადაადგილება ხდება სუვერენული სახელმწიფოს საბაჟო საზღვარზე.

ვალუტა და ფასეულობანი ნიშნავს ქვეყნის ეროვნულ ვალუტას, უცხოეთის ვალუტას, სხვა სავალუტო და სხვაგვარ ფასეულობებს, რომელთა გადაადგილება ხდება საბაჟო საზღვარზე და ნუსხას განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა.

სამემკვიდრეო ქონება ნიშნავს უცხოეთში ან სუვერენულ სახელმწიფოში გახსნილი მემკვიდრეობის შემადგენლობაში შემავალ საგნებს, რომელთა გადაადგილებაც ხდება საბაჟო საზღვარზე.

დეკლარანტი – საქონლის გადამაადგილებელი პირი და საბაჟო ბროკერი (შუამავალი), რომლებიც ახდენენ საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებას, წარმომადგენლობენ ან წარმოადგენენ მათ საკუთარი სახელით.

საბაჟო გადამზიდველი – საწარმო, რომელიც შექმნილია კანონმდებლობის მიხედვით და რომელსაც აქვს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზია საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განსახორციელებლად. გადამზიდველი იურიდიული პირია, რომელსაც ფაქტობრივად გადააქვს საქონელი, ან პასუხისმგებელია სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისათვის.

საბაჟო რეჟიმი – დებულებათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ საბაჟო საზღვრის გავლით გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სტატუსს.

საქონლის გადამაადგილებელი პირები – ესენია პირები, რომლებიც არიან საქონლის მესაკუთრეები, მათი მყიდველები ან მფლობელები.

პირობითი გაშვება – საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გატარება, რომელიც დაკავშირებულია პირის ვალდებულებასთან დაიცვას დადგენილი შეზღუდვები, მოთხოვნები ან პირობები.

საბაჟო გაშორმება – საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გარკვეულ საბაჟო რეჟიმში მოქცევის პროცედურების დამთავრება შესაბამისი ქვეყნის საბაჟო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა და დებულებათა მიხედვით.

საბაჟო კონტროლი – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საბაჟო კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

საერთაშორისო, უცხოეთის ორგანიზაციებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის საგნები ნიშნავს ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათთან არსებული უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლობების ოფიციალური ან სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილ საგნებს, რომელთა გადაადგილებაც ხდება მოცემული ქვეყნის საბაჟო საზღვარზე.

დენონსაცია და დენონსირება – რომელიმე სახელმწიფოს განცხადება საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები – საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და შეიძლება შეიცავდეს კვოტირებას, ლიცენზირებას, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესებას, აგრეთვე მსოფლიო მეურნეობასთან საქართველოს ეკონომიკის ურთიერთკავშირის რეგულირების სხვა ღონისძიებებს.

ტრანზიტი (ლათ. transitus – გავლა): 1. ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა ერთი პუნქტიდან მეორეში გზაზე მდებარე პუნქტების გავლით, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში მესამე სახელმწიფოს გავლით; 2. ტვირთის გადაზიდვა გაგზავნის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე შუალედურ პუნქტებში მისი გადმოტვირთვა-დატვირთვის გარეშე.

ფიზიკური პირი – სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების მქონე ადამიანი. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები, რომელიც წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. მისი განხორციელების უნარი (ქმედუნარიანობა) წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (მუხლი 12), სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

იურიდიული პირი – დამოუკიდებელი დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გამოცალკევებული ქონება, იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე, შეუძლია თავისი სახელით მიიღოს სამოქალაქო უფლებები და პასუხისმგებლობა ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან, უფლება აქვს გამოვიდეს როგორც მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟში და სამედიატორო სასამართლოში, ფლობდეს ქონებას, იკისროს ვალდებულებანი, დადოს ხელშეკრულებები და სხვა.

საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტები გულისხმობს საქართველოს იურიდიულ და კერძო პირებს, რომელთა ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზეა.

არარეზიდენტები გულისხმობს უცხოეთის იმ იურიდიულ და კერძო პირებს, რომელთა მუდმივი ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა.

საბაჟო პროცედურები – იგულისხმება საბაჟოების მუშაკთა მიერ გაწეული საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, რომლის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

გრანტი – გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტად არ ჩაითვლება სამეწარმეო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გადაცემული სახსრები.

გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს: საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მათ შორის საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხოეთის ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, აგრეთვე, უცხოეთის არასამეწარმეო იურიდიული პირი (ფონდი); საქართველოს ის არასამეწარმეო იურიდიული პირი (ფონდი, პროგრამა), რომლის ძირითადი, საწესდებო მიზანია ქონების დაგროვება საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

საბაჟო სამართალი

სასწავლო პროგრამა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული, ეკონომიკისა და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტების, აგრეთვე სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (2 კრედიტი, 30 საათი)

ზოგადი ნაწილი

თემა 1. საბაჟო სამართალი, საგანი, სტრუქტურა და წყაროები (3 საათი)

საბაჟო სამართლის საგანი; საბაჟო სამართლის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან; საბაჟო კანონმდებლობისა და სამართლის სისტემა; საბაჟო სამართლის ნორმები; საბაჟო სამართლის წყაროები; საბაჟო ინფრასტრუქტურა და მისი სრულყოფა.

თემა 2. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია (4 საათი)

საბაჟო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა; საბაჟო ორგანოების ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში; საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი; რეგიონული საბაჟო ორგანოები; საქართველოს საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეები; საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეების სპეციალური წოდებები და მათი მინიჭების წესი.

თემა 3. საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობა საბაჟო სფეროში (2 საათი)

საქართველოს საერთაშორისო-საბაჟო ურთიერთობის გაფართოება; საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციები; საერთაშორისო საბაჟო კონფერენციები; საერთაშორისო საბაჟო კონვენციები და ხელშეკრულებები; საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოები.

თემა 4. საბაჟო შეღავათები (2 საათი)

დიპლომატიური წარმომადგენლობების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები; საკონსულო წარმომადგენლობების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები; საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები.

თემა 5. საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი საფუძვლები (2 საათი)

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები; თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი); რეიმპორტი; ტრანზიტი; საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა; უბაჟო ვაჭრობა; საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე; საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ; საქონლის დროებითი შემოტანა და გატანა; თავისუფალი საბაჟო ზონა და თავისუფალი საბაჟო საწყობი; გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ; ექსპორტი; რეექსპორტი; განადგურება; სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა.

თემა 6. საბაჟო გადასახდელების სამართლებრივი საფუძვლები (2 საათი)

საქართველოს საგადასახადო სისტემა; საბაჟო გადასახდელების სახეები; საბაჟო ტარიფისა და საბაჟო გადასახადის ცნება; საბაჟო გადასახადის სახეები; საბაჟო გადასახადის გადამხდელები და დაბეგვრის ობიექტი; საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესი; საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირება; საქონლის წარმოშობის ქვეყანა და სერტიფიკატი; საბაჟო გადასახადის განაკვეთების სახეები; საბაჟო-სატარიფო შეღავათების სახეები; საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება; საბაჟო მოსაკრებლების სახეები და განაკვეთები; საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან განთავისუფლება; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი.

თემა 7. საბაჟო გაფორმება (3 საათი)

საბაჟო გაფორმების ძირითადი პრინციპები; საბაჟო გაფორმების პრიორიტეტული წესები; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება; საბაჟო დეკლარაციის სახეები; დეკლარაციების შევსების წესები; საბაჟო გაფორმების პროცედურები; საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები; დროებითი შენახვა; საბაჟო ბროკერი; საბაჟო გადამზიდველი; საბაჟო დოკუმენტები და მათი ბრუნვა.

თემა 8. საბაჟო კონტროლი და მისი სახეები (3 საათი)

საბაჟო კონტროლის განხორციელება და მისი სახეები; საბაჟო კონტროლის თავისებურებანი საქართველოში; საბაჟო კონტროლის დოკუმენტები; საბაჟო კონტროლის მეთოდები და ეტაპები; პირადი გასინჯვა – საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული ფორმა; საბაჟო კონტროლისა და კონტროლის სხვა სახეების შეთანხმება; სამხედრო ტვირთების საბაჟო კონტროლი; სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის საბაჟო კონტროლი.

თემა 9. სპეციფიკური ტვირთების გაფორმება და კონტროლი (2 საათი)

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ელექტროენერგიის დაბეგვრა; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ნავთობის, მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების იმპორტისა და აღრიცხვის წესი; მილსადენი ტრანსპორტით გატანილი საქონლის საბაჟო გაფორმების თავისებურებანი; აქციზური საქონლისა და თამბაქოს დაბეგვრის წესები; მსუბუქი ავტომობილების გაფორმების ტექნოლოგია; საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო კონტროლი.

თემა 10. საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებები და საბაჟო ექსპერტიზა (1 საათი)

საბაჟო კონტროლის ტექნიკა; საბაჟო კონტროლის ტექნიკურ საშუალებათა კლასიფიკაცია; ექსპერტიზა: არსი და კლასიფიკაცია; საბაჟო ექსპერტიზა.

თემა 11. საბაჟო სტატისტიკა (2 საათი)

საბაჟო სტატისტიკის არსი და აღრიცხვის წესი; საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება; სპეციალური საბაჟო სტატისტიკა; საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული სისტემა.

თემა 12. სასაქონლო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (1 საათი)

სასაქონლო ნომენკლატურის ცნება; სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემა.

თემა 13. საბაჟო საქმის ფინანსური ორგანიზაცია (1 საათი)

ფინანსური აღრიცხვა საბაჟოზე; ბუღალტრული აღრიცხვა საბაჟო ორგანოებში.

თემა 14. საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები. კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება (2 საათი)

საბაჟო კანონმდებლობისა და საბაჟო წესების დარღვევათა მოკელეეის ორგანო; საბაჟო წესების დარღვევის სახეები; საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობა; საბაჟო ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა;

წარმოება საბაჟო წესების დარღვევის საქმეებზე; საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივი დარღვევები; საბაჟო წესების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დარღვევები; კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება.

გამოყენებული ლიტერატურა

ძირითადი ლიტერატურა

საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2003.

საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბ., 2003.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2003.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2003.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2003.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 2003.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, ნორმატიული აქტების კრებული, თბ., 2003.

ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2001.

გივი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000.

ვალერი ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2002.

ვალერი ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002.

რომან შენგელია, საკრედიტო და საანგარიშსწორებო სამართლებრივი საკითხები, თბ., 2002.

ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ., 2002.

ვახტანგ ქარუმიძე, საბაჟო სამართალი, თბ., 2001.

ვახტანგ ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 2003.

პიტერ ჰ. ლინტერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თარგმნის მეცნიერ-რედაქტორი როზეტა ასათიანი, თბ., 2001.

დიკ ლეონარდი, ევროკავშირის სახელმძღვანელო, თბ., 2002.

ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002.

Основы таможенного дела, под общей редакцией В. Драганова, М., 1998.

Российское таможенное право, учебник, (Отв. редактор Б. Н. Габричидзе), М., 1998.

Таможенное право. (Под ред. В. Г. Драганова, М. М. Рассомова, отв. ред. Н. Д. Ериашвили), М., 2001.

Борисов К. Г., Международное таможенное право, М., 2001.

Сандровский К. К. Международное таможенное право, Учебник, Киев, 2001.

Rohv Blejer. Custom System in EC Countries. Berlin, 1998.

დამხმარე ლიტერატურა

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული, მთავარი რედაქტორ-შემდგენელი ზაურ ამილახვარი, ორ წიგნად, თბ., 2003.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, 2002, №128, 31 დეკემბერი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, №88, 9 სექტემბერი.

საქართველოს კანონი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2003, 15 სექტემბერი, №28, გვ. 6-10.

კრუგმანი პ. მაურის ოფსვილდი. საერთაშორისო ეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა, ინგლისურიდან თარგმნეს მ. თელიანმა, ნ. ქუთათელაძემ, ლ. შაყულაშვილმა. რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი, თბ., 2000.

ვიქტორ ლორთქიფანიძე, საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები, თბ., 2001.

პაატა ცნობილაძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2001.

გონერ ურიდია, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა (კითხვა-პასუხებში), თბ., 2001.

გონერ ურიდია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, თბ., 2002.

Ершов А. Д. Международные таможенные отношения, учебное пособие, Санкт-Петербург, 2000.

შინაარსი

ზოგადი ნაწილი

თავი 1. საბაჟო სამართალი, საგანი, სტრუქტურა და წყაროები 9
საბაჟო სამართლის საგანი 9
საბაჟო სამართლის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან 23
საბაჟო სამართლის წყაროები 26
საბაჟო-სამართლებრივი ნორმები 28

თავი 2. საბაჟოები და საბაჟო-სამართლებრივი ძიებლები ძველ საქართველოში 47
საბაჟოების მოკლე ისტორია 47
საბაჟო სამსახური 1918–1921 წლებში 60

თავი 3. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა 68
საბაჟო პოლიტიკა, არსი, მიზნები 68
საბაჟო ორგანოების მართვის სისტემა 83
ფინანსთა სამინისტროს სისტემა 109
საბაჟო დეპარტამენტი 123
საქართველოს საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეები 143
საბაჟო ორგანოები და მათი ფუნქციები 158
საგამოძიებო დეპარტამენტი 172

თავი 4. საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობა საბაჟო სფეროში 180
საქართველოს საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობების გაფართოება 180
საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციები და კონფერენციები 205
საერთაშორისო საბაჟო კონვენციები და შეთანხმებანი 235
საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოები 253

თავი 5. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების სისტემა საგარეო სამართალში 267

დიპლომატიური წარმომადგენლობების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები 267

საკონსულო წარმომადგენლობების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები 276

საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო პრივილეგიები და იმუნიტეტები 279

საქართველოს კანონმდებლობა საბაჟო შეღავათების შესახებ 282

თავი 6. საქართველოში შემოსვლისა და გასვლის სამართლებრივი საფუძვლები *286*

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა 287

საქართველოს მოქალაქეთა დროებითი გასვლისა და შემოსვლის წესები 297

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა 299

ტურისტების აღრიცხვა 302

კერძო ნაწილი

თავი 7. საჰაერო და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საგარეო საზღვრის გადაკვეთის სამართლებრივი საფუძვლები 307

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები 307

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მგზავრთა, ავტოტრანსპორტის, ტვირთების რეგისტრაცია და კონტროლი 318

საბაჟო რეჟიმების სახეები 323

სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა 360

თავი 8. საბაჟო გადასახდელების სისტემა და მართვა 363
საბაჟო გადასახდელების სახეები 363
საბაჟო გადასახადი 368
საბაჟო გადასახადის განაკვეთები 370
სატარიფო შეღავათები 382
საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება 385
საქონლის საბაჟო ღირებულება და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა 387
საბაჟო მოსაკრებლები 402
დამატებული ღირებულების გადასახადი 407
აქციზი..... 417

თავი 9. საბაჟო გაფორმება .....
საბაჟო გაფორმების ძირითადი პრინციპები 425
საბაჟო გაფორმების პროცედურები 441
საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები 445
დროებითი შენახვა 447
საბაჟო ბროკერი 451
საბაჟო გადამზიდველი 454

თავი 10. საბაჟო კონტროლი 459
საბაჟო კონტროლის განხორციელება და მისი სახეები 459
საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო კონტროლი 470
საბაჟო კონტროლის ტექნიკური და საიდენტიფიკაციო საშუალებები 472
საბაჟო შემოწმების ვადები და პირობები 478
საბაჟო კონტროლისა და კონტროლის სხვა სახეების შეთანხმება 480
სამხედრო ტვირთების საბაჟო კონტროლი 488
სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის საბაჟო კონტროლი 490

თავი 11. საეციფიკური ტვირთების საბაჟო გაფორმება და კონტროლი 499
მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების საბაჟო კონტროლი 503
მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილებული გაზის ფაქტიურ რაოდენობაზე საბაჟო კონტროლი 508
თამბაქოს ნაწარმის იმპორტი, აღრიცხვა და დაბეგვრა 512
საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული სისტემა .....

თავი 12. საბაჟო სტატისტიკა. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა 516
საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება 516
სპეციალური საბაჟო სტატისტიკა 526
საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკის სამსახური 528
საბაჟო სტატისტიკის კომპიუტერული სისტემა 532
ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის სტატისტიკა 534
საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა 539

თავი 13. საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები 516
საბაჟო კანონმდებლობის დარღვევათა საქმეებზე მოკვლევის ორგანო 546
საბაჟო წესების სისხლისსამართლებრივი დარღვევები 555
საბაჟო წესების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დარღვევები 563
კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება 572

დანართი. საბაჟო სამართალი (სახელმძღვანელოში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განსაზღვრებანი) 578

სასწავლო პროგრამა. საბაჟო სამართალი 613

გამოყენებული ლიტერატურა 616

ОГЛАВЛЕНИЕ

Таможенное право

Общая часть

Тема 1. Таможенное право, предмет, структура и источники ... 9
Тема 2. Формы деятельности таможенных органов .. 47
Тема 3. Международное правовое сотрудничество в таможенной сфере ... 68
Тема 4. Таможенные привелегии и иммунитеты международных организаций и дипломатических представительств ... 180

Особенная часть

Тема 5. Таможенные режимы ... 267
Тема 6. Таможенные платежи ... 286
Тема 7. Таможенное оформление ... 307
Тема 8. Таможенный контроль ... 363
Тема 9. Таможенное оформление и контроль специфических грузов ... 425
Тема 10. Технические средства таможенного контроля и таможенная экспертиза ... 459
Тема 11. Таможенная статистика ... 499
Тема 12. Товарная номенклатура внешнеэкономической деятельности ... 516
Тема 13. Виды нарушений таможенных правил ... 546
Таможенное право (учебная программа) ... 612
Использованная литература ... 616

CONTENTS

Custom Law

The General Part

Theme 1. Customs Law, the Subject, Structure and Sources 9
Theme 2. The Organization of Customs Affair 47
Theme 3. The International-Law Cooperation in Customs Sphere 68
Theme 4. The Diplomatic Representatives and International Organization Customs and Immunities 180

Private Part

Theme 5. The Customs Regimes Law Basises 267
Theme 6. The Customs Taxis Law Basises 286
Theme 7. The Customs Design 307
Theme 8. The Customs Control and it's Form 363
Theme 9. The Customs Design and Control of the Spesial Cargo 425
Theme 10. The Technical Means of the Customs Control and Customs Examination 459
Theme 11. The Customs Statistics 499
Theme 12. The Customs Economic Affair and Customs Nomenclature 516
Theme 13. The Abrogation of Customs Legislation 546
The Customs Law (Syllabus) 612
Used Literature 616

ვახტანგ ქარუმიძე
საბაჟო სამართალი
სახელმძღვანელო

Вахтанг Иванович Карумидзе
ТАМОЖЕННОЕ ПРАВО
Учебник

Dr. Vakhtang Karumidze
THE CUSTOMS LAW
The Manuel

გამომცემლობის რედაქტორი	თ. კაპანაძე
ტექ. რედაქტორი	დ. ბაბუხადია
კორექტორი	ნ. ქარუმიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X – 2003
საბეჭდი ქაღალდი 60X84
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 39
შეკვეთა №21. ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა – საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი – საზოგადოება „ცოდნა“

ლერი გამგებელის სახელობის სააქციო საზოგადოება
„პირველი სტამბა“
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №58